ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების
85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული

„მსოფლიოსა და ეროვნული ეკონომიკების მდგომარეობა და გამოწვევები თანამედროვე ეტაპზე“

Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 85th Anniversary of
the Foundation of the National Academy of Sciences of Georgia

“THE CURRENT STATE AND CHALLENGES OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMIES”

თბილისი **Tbilisi**
2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების
85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული

“მსოფლიოსა და ეროვნული ეკონომიკების მდგომარეობა და გამოწვევები თანამედროვე ეტაპზე”

(23 ოქტომბერი, 2026)

Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 85th Anniversary of
the Foundation of the National Academy of Sciences of Georgia

“THE CURRENT STATE AND CHALLENGES OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMIES”

(23 October, 2026)

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

თბილისი **Tbilisi**
2026

UDC (უაკ) 338(47+57)33(479.22)(063)
პ – 645

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობიოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები
Materials of reports made at the international scientific conference held by Paata Gugushvili Institute of Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2026

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: *თ. არნანია-კეპულაძე, დ. ასლანიშვილი, თ. ბერიძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, ნ. კაკულია, მ. კვარაცხელია, ლ. თოთლაძე, თ. ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორი), ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, ა. სულაბერიძე, მ. ტვარონავიჩიენე, ქ. ქველაძე, ა. ჩეჩელი, მ. ხუსკივაძე. რ. ჯავახიშვილი*

Scientific-editorial Board: ***T. Arnania-Kepuladze, D. Aslanishvili, T. Beridze, G. Berulava, N. Bibilashvili (Executive Secretary), V. Burduli, A. Chechel, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Kakulia, K. Kveladze, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili (Editor-in-Chief), V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, A. Sulaberidze, M. Tvaronavičienė, L. Totladze***

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა
Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე
The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2026

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU, 2026

ISBN 978-9941-36-559-1

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი

ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, თსუ პროფესორი
ავთანდილ სილაგაძე – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
მიხეილ ჯიბუტი – აკადემიკოსი
ნოდარ ჭითანავა – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ალექსანდრე სიჭინავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
გივი ბედიანაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი
თეიმურაზ ბერიძე – თსუ პროფესორი
გიორგი ბერულავა – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი
ვახტანგ ბურდული – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი
მურმან კვარაცხელია – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი
ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ პროფესორი
ავთანდილ სულაბერიძე – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი
თეიმურაზ შენგელია – თსუ პროფესორი
ლალი ჩაგელიშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
ნათია წიკლაშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ეთერ ხარაიშვილი – თსუ პროფესორი
მერაბ ხოხობაია – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი
თეა ლაზარაშვილი – (თავმჯდომარე) ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის დოქტორი
მამუკა ხუსკივაძე – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
რევაზ ჯავახიშვილი – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი
თამილა არნანია-კეპულაძე – აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნანა ბიბილაშვილი – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ბადრი გეჩბაია – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
თეიმურაზ გოგოხია – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ნატა დავლაშერიძე – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ლინა დათუნაშვილი – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
გულნაზ ერქომაიშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი
ლია თოთლაძე – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
გოჩა თუთბერიძე – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
ეთერ კაკულია – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ნაზირა კაკულია – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
გივი ლემონჯავა – ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
მარინა მუჩიაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
დალი სოლოღაშვილი – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ფატი შენგელია – უნივერსიტეტი – ევროპული აკადემია, ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის უცხოელი წევრები

ფრენკ არაუჰო – პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი, (კალიფორნია, აშშ)
ლარისა ბელინსკაია – ვილნიუსის უნივერსიტეტი (ვილნიუსი, ლიეტუვა)
სიმონე გუერჩინი – ფლორენციის უნივერსიტეტი (ფლორენცია, იტალია)
ბარნი ერედია – პროფესორი, საგანმანათლებლო კონსორციუმ ინსტიტუტის პრეზიდენტი (აპტოსი, კალიფორნია, აშშ)
ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი (ბერლინი, გერმანია)
ტომას დ. ვილეტი – კლერმონტის უნივერსიტეტი (ბატავია, აშშ)
ელდარ ისმაილოვი – ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი)
გინდრა კასნაუსკიენე – ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა (ვილნიუსი, ლიეტუვა)
სტივენ კოენი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, მდგრადი მენეჯმენტის სკოლის დირექტორი (ნიუ იორკი, აშშ)
ჯეფრი საქსი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს მთავარი მრჩეველი (ნიუ იორკი, აშშ)
დაროლ ჯ. სტეინლი – პეპერდაინის უნივერსიტეტი (მალიბუ, აშშ)
ალექს სტუპნიცკი – ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი (კიევი, უკრაინა)
ადამ ნიუმენ ტიორნერი – მენეჯმენტის პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი (ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი

თეიმურაზ გოგოხია (*ხელმძღვანელი*), გოჩა გოგუაძე, ნინო კედია, ეთერ ჯაბანაშვილი

SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE

Vladimer Papava – Academician, Professor of TSU
Avtandil Silagadze – Academician, Professor of TSU
Mikheil Jibuti – Academician
Nodar Chitanava – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
Givi Bedianashvili – Associate Professor of TSU
Teimuraz Beridze – Professor of TSU
George Berulava – Chief of Department of the Institute, Professor
Vakhtang Burduli – Chief of Department of the Institute, Professor
Lali Chagelishvili – Professor of Guram Tavartkiladze Teaching University
Eter Kharaishvili – Professor of TSU
Merab Khokhobaia – Dean of the faculty of economics and business of TSU, Associate Professor
Murman Kvaratskhelia – Chief Research Fellow of the Institute, Professor
Elguja Mekvabishvili – Professor of TSU
Teimuraz Shengelia – Professor of TSU
Alexander Sitchinava – Professor of Georgian Technical University
Avtandil Sulaberidze – Professor of Institute of Demography and Sociology
Natia Tsiklashvili – Professor of Shota Rustaveli Batumi State University
Tea Lazarashvili – *(Chairman of Committee)* Director of the Institute, Academic Doctor
Mamuka Khuskivadze – Chief of Department of the Institute, Academic Doctor
Revaz Javakhishvili – Chief of Department of the Institute, Academic Doctor
Tamila Arnania-Kepuladze – Professor of Akaki Tsereteli State University
Nana Bibilashvili – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Lina Datunashvili – Chief Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Nata Davlasheridze – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Gulnaz Erkomaishvili – Associate Professor of TSU
Badri Gechbaia – Professor of Shota Rustaveli Batumi State University
Teimuraz Gogokhia – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Lia Totladze – Chief Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Gocha Tutberidze – Professor of European University
Eter Kakulia – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Nazira Kakulia – Associate Professor of TSU, Academic Doctor
Givi Lemonjava – Associate Professor of Georgian University
Marina Muchiashvili – Associate Professor of TSU, Academic Doctor
Pati Shengelia – Associate Professor of Teaching University, European Academy
Dali Sologhashvili – Professor of Akaki Tsereteli State University

SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE (FOREIGN MEMBERS)

Frank P. Araujo – University California at Berkeley, Professor (USA)
Larisa Belinskaia – Vilnius University, Professor (Lithuania)
Steven Cohen - Columbia University, Professor (USA)
Barney Eredia – Educational Consortium Institute, Professor (USA)
Simone Guercini – University of Florence, Professor (Italy)
Eldar Ismailov – Caucasus Institute of Strategic Researches, Professor (Azerbaijan)
Gindra Kasnauskiene – Vilnius University, Professor (Lithuania)
Jeffrey D. Sachs – Columbia University, Professor (USA)
Darrol J. Stanley – University of Pepperdine, Professor (USA)
Oleksiy Stupnitskyy – Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor (Ukraine)
Adam Newman Turner – Leicester University, Professor (United Kingdom)
Wolfgang Weng – Technical University of Berlin, Professor (Germany)
Thomas D. Willet – Claremont Graduate University, Professor (USA)

ORGANIZING GROUP OF THE CONFERENCE

Teimuraz Gogokhia (Head), Gocha Goguadze, Nino Kedia, Eter Jabanashvili

პლენარული სხდომა
PLENARY SESSION

იური ანანიაშვილი
ლია თოთლაძე
მამუკა ხუსკივაძე

აგლომერაციული ეფექტები და თბილისის ურბანული ტრანსფორმაციის თავისებურებები: პოლიცენტრული განვითარების გამოწვევები

ანოტაცია. *თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პროცესში ურბანიზაცია სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და პროდუქტიულობის ზრდის საფუძველია. სტატიაში გაანალიზებულია თბილისის ურბანული ტრანსფორმაციისა და აგლომერაციის ეკონომიკის თავისებურებები პოსტკომუნისტური განვითარების დინამიკის კონტექსტში; განხილულია სივრცითი ეკონომიკის ფუნდამენტური თეორიული კონცეფციები, როგორიცაა ზიფისა და ჯიბრას კანონები, პოლ კრუგმანის „ცენტრი-პერიფერიის“ მოდელი, ჯეინ ჯეიკობსის „ურბანული მრავალფეროვნება“ და ჯოზეფ შუმპეტერის „კრეატიული დესტრუქცია“ .*

ნაშრომში დადასტურებულია თბილისის, როგორც ურბანულ-პრიმატული ცენტრის არსებობა, სადაც მძლავრი ცენტრისკენული ძალების ზეგავლენით ირღვევა ქალაქების პროპორციული ზრდის კანონზომიერება (ჯიბრას კანონი). სტატიაში ასევე გაანალიზებულია ციფრული ეკონომიკისა და დისტანციური შრომის, როგორც ცენტრიდანული ძალის პოტენციალი; შემოთავაზებულია სივრცითი ეკონომიკური პოლიტიკის — მიზიდულობის ალტერნატიული ცენტრების სტიმულირების, როგორც ქვეყნის დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: *ურბანული ეკონომიკა, აგლომერაციის ეფექტი, პრიმატი ქალაქი, ჯიბრას კანონი, პოლიცენტრული განვითარება.*

თანამედროვე ეტაპზე ურბანიზაცია სცდება წმინდა დემოგრაფიული ცვლილებების ჩარჩოებს და განიხილება როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, ინოვაციების შექმნის და სტრუქტურული გარდაქმნების მთავარი კატალიზატორი. ურბანული ტრანსფორმაციისა და მისი თანამდევი აგლომერაციის ეფექტების შესაფასებლად შემუშავებული სივრცითი ეკონომეტრიკის მოდელები ადასტურებენ, რომ აგლომერაციის ზრდა, ერთი მხრივ, მკვეთრად ზრდის შრომის მწარმოებლურობასა და ტექნოლოგიების გავრცელების არეალს, მეორე მხრივ კი ხასიათდება ნეგატიური შედეგებით: ზრდის მიწისა და უძრავი ქონების ფასებს, იწვევს საცობებს და აღრმავებს სივრცით და ქონებრივ უთანასწორობას.

წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია აგლომერაციული ეფექტები და თბილისის ურბანული ტრანსფორმაციის ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც პოსტკომუნისტური განვითარების დინამიკის ჭრილში გამოიკვეთა.

თბილისის ურბანული დინამიკა გვიჩვენებს, რომ ის ზემოთ აღნიშნული ორმაგი ბუნების ნათელი მაგალითია. დღეს დედაქალაქს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდაში. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, თბილისი ქმნის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 53.1%-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (www.Geostat.ge). ეკონომიკის ზრდას ძირითადად განსაზღვრავს საბითუმო და საცალო ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან

დაკავშირებული საქმიანობები და ფინანსური სერვისები. ქვეყანაში მოქმედი მსხვილი კომპანიების, ბანკებისა და სავაჭრო ქსელების სათავო ოფისები სწორედ თბილისშია თავმოყრილი. დედაქალაქი წარმოადგენს მთავარ სატრანსპორტო, ლოგისტიკურ და ტურისტულ ჰაბს, რაც ზრდის მის ეკონომიკურ წონას მთელ რეგიონში. თბილისის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში იმაზეც მიანიშნებს, რომ ნომინალური ხელფასები დედაქალაქში იმდენად მაღალია, რომ იგი სრულად აკომპენსირებს საცხოვრებელი რენტის ზრდას (საშუალო ხელფასი თბილისში შეადგენს 2604, მაშინ როცა დანარჩენ 10 რეგიონის საშუალო ხელფასი 1634 ლარია (www.Geostat.ge)). შესაბამისად დედაქალაქზე მოდის ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა და ეკონომიკური აქტივობის ძირითადი ნაწილი. ეს ფაქტორი განაპირობებს შრომითი რესურსების უწყვეტ კონცენტრაციას, რაც იწვევს პერიფერიების დაცლას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, **ბიზნესსექტორში დასაქმებულთა 66.5% თბილისზე მოდის,** ხოლო **მთლიანი სამუშაო ძალის (თვითდასაქმებულების ჩათვლით) შემთხვევაში, თბილისში დასაქმებულია ქვეყნაში მთლიანად დასაქმებულთა დაახლოებით 33%** (www.Geostat.ge).


ამავდროულად, გრძელვადიან პერსპექტივაში იკვეთება სერიოზული რისკები. ინკლუზიური ურბანული პოლიტიკის არარსებობის პირობებში არსებობს საფრთხე, რომ ქალაქი გარდაიქმნას სოციალურად სეგრეგირებულ, არასასურველი ეკოლოგიური მდგომარეობისა და არაეფექტიან სივრცედ, სადაც აგლომერაციის სარგებელს გადაწონის მისივე დანაკარგები.

განვითარებად და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ხშირად ვხვდებით ე. წ. „ურბანულ-პრიმატულ“ (Urban Primate) მოდელს, სადაც ერთი უდიდესი ქალაქი (როგორც წესი, დედაქალაქი) დემოგრაფიული და ეკონომიკური მასშტაბებით არაპროპორციულად დიდია ქვეყნის სხვა ურბანულ ცენტრებთან შედარებით (მსოფლიო ბანკი, 2023). ეს ფენომენი განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება აზიაში, ლათინურ ამერიკასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში. (www.Worldbank.org). შედარებისათვის დიაგრამა 1-ზე წარმოდგენილია საქართველოსა და შემოსავლების სიდიდის მიხედვით დაჯგუფებული ქვეყნების ურბანულ-პრიმატ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის ურბანულ პოპულაციაში წილის დინამიკა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, საშუალო და მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში ურბანულ-პრიმატ ქალაქებში მცხოვრებთა წილი არცთუ მაღალია და დაახლოებით 10-20%-ის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება დაბალშემოსავლიან ქვეყნებს, მათთვის აღნიშნული წილი თითქმის გაორმაგებულია და ბოლო ათწლეულში 30%-ს არ ჩამოსცდენია. ამ სიტუაციაში საქართველოში არსებული მდგომარობა ზოგადი კანონზომიერებიდან მკვეთრად ამოვარდნილად გამოიყურება. მოყვანილი დიაგრამის მიხედვით, მაგალითად, 2024 წელს საქართველოს ურბანულ პოპულაციაში თბილისში მაცხოვრებელთა წილი დაახლოებით 47%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში მთელი პოპულაციის 34% პროცენტი ცხოვრობდა.

დიაგრამა #1

ურბანულ პოპულაციაში უდიდეს ქალაქში მაცხოვრებელთა წილი, 1960-2024 წწ.



წყარო: *https://ourworldindata.org/*

განვიხილოთ როგორ შესაბამისობაში იმყოფება საქართველოს რეალობა რიგ ურბანულ კანონზომიერებასთან, რომელიც ემპირიულად შესწავლილი და გამოვლენილია განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნის მაგალითზე. პირველ რიგში, გავარკვიოთ შესაბამისობაშია თუ არა თბილისის სივრცითი დომინირება ზიფისა და ჯიბრას კანონებთან.

ზიფის კანონი (Eaton J., Eckstein Z.,1997) აღწერს ქალაქების ზომათა განაწილების სტატიკურ სურათს და გვეუბნება, რომ „თუ მოვახდენთ ქალაქების რანჟირებას მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მიხედვით, ორი ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა მათი რანგების თანაფარდობის უკუპროპორციული იქნება“. სხვანაირად, ზიფის კანონის მიხედვით, თუ განვიხილავთ ქალაქების სისტემას, უდიდესი ქალაქი დაახლოებით ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე ქალაქს, სამჯერ აღემატება სიდიდით მესამე ქალაქს და ა.შ. აღნიშნულის ფორმალიზაცია შემდეგი სახით შეიძლება:


$$y(x) = A\,x^{-1}, \qquad (1)$$

სადაც x არის ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნება; y – ქალაქის ზომა (რანგი), A – გარკვეული მუდმივა.

ზიფის კანონთან საქართველოს ქალაქების ზომის შესაბამისობის შესწავლისათვის განვიხილეთ 28 ქალაქი და ზომის მიხედვით მათი რანჟირებით დავადგინეთ, რომ საქართველოს ქალაქების რანგსა და ზომას შორის დამოკიდებულებას დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილი სახე აქვს. ამ უკანასკნელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს შემთხვევა მხოლოდ ნაწილობრივ შესაბამისობაშია ზემოთ აღწერილ ზიფის კანონთან. თბილისი წარმოადგენს მკაფიო ამოვარდნას მოდელიდან – ამჟამად დედაქალაქში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის, ბათუმის, მოსახლეობა შვიდჯერ ნაკლებია დედაქალაქის მოსახლეობაზე

(ანანიაშვილი ი., თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ., 2025). ეს მკვეთრი ასიმეტრია თბილისს „პრიმატი ქალაქის“ კლასიკურ მაგალითად აქცევს.

დიაგრამა #2



წყარო: *ანანიაშვილი ი., თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ., 2025.*

თუ ზიფის კანონი სტატიკურ სურათს გვიჩვენებს, ჯიბრას კანონი (Gibrat, 1931) ანუ, როგორც სხვანაირად უწოდებენ, პროპორციული ზრდის კანონი, აღწერს დინამიკას – იზრდება თუ არა ყველა ქალაქი პროპორციულად, საწყისი ზომისგან დამოუკიდებლად. ამ კანონის დადასტურება ნიშნავს, რომ დიდ ცენტრებს არ აქვთ სისტემური ეკონომიკური უპირატესობა პატარა ქალაქებთან შედარებით. თუმცა პოსტკომუნისტურ და განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ეს კანონი მუდმივად ირღვევა. დედაქალაქი ექსპონენციალურად უფრო სწრაფად იზიდავს კაპიტალსა და ადამიანურ რესურსებს, ვიდრე სხვა ქალაქები. ჯიბრას კანონის დარღვევა პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ მოქმედებს მძლავრი ცენტრისკენული ძალები და აგლომერაციული ეფექტები მხოლოდ ცენტრშია კონცენტრირებული. ჯიბრას კანონის ფორმალიზება შემდეგი ზოგადი რეგრესიული მოდელით შეიძლება:

$$S_{i,t} = \theta\, S_{i,t-1}^{\beta}\, exp(\mu_{i,t}), \qquad (2)$$

სადაც $S_{i,t}$ და $S_{i,t-1}$ არის ქალაქის ზომა (მოსახლეობის რიცხოვნობა) შესაბამისად t და $t-1$ პერიოდებში; β – ქალაქის ზომის ეფექტის პარამეტრი; θ – მუდმივა; $\mu_{i,t}$ – შემთხვევითი სიდიდეა და შემდეგნაირად განისაზღვრება: $\mu_{i,t} = \alpha_i + \delta_t + \varepsilon_{i,t}$, სადაც $(\alpha_i + \delta_t)$ ინდივიდუალური და დრიოთი ეფექტების ჯამია, $\varepsilon_{i,t}$ – შეცდომის შემთხვევითი წევრია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას: $E(\varepsilon_{i,t}) = 0$, $D(\varepsilon_{i,t}) = \sigma_\varepsilon^2$. როგორც წესი, იგულისხმება, რომ $\mu_{i,t}$ ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეა: $\mu_{i,t} \sim N(\alpha_i + \delta_t;\ \sigma_\varepsilon^2)$.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მოდელი გარკვეულ გარდაქმნებს ექვემდებარება და სხვადასხვა სიტუაციაში მისი გამოყენებით რამდენიმე ჰიპოთეზის მართებულება შეიძლება შემოწმდეს (Tschoegl A.1983). განსაკუთრებით საინტერესოა ჰიპოთეზათა წყვილი: $H_0: \beta = 1$, $H_1: \beta \neq 1$. საქმე ისაა, რომ $\beta = 1$ შემთხვევაში

სრულდება ჯიბრას კანონის ის ნაწილი, რომელიც გვეუბნება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყოველი ქალაქის ზრდის ტემპი დამოკიდებული არ არის მის საწყის ზომაზე. დიდ ქალაქს (ვთქვათ, თბილისს) არ აქვს სისტემური უპირატესობა სხვა პატარა ქალაქებთან შედარებით. როცა $\beta > 1$, მაშინ ირღვევა ჯიბრას კანონი — დიდ ქალაქებს (ჩვენ შემთხვევაში თბილისს) პროპორციულად უფრო მაღალი ზრდის ტემპი აქვს, ვიდრე პატარა ქალაქებს (დივერგენცია), მოქმედებს ცენტრისკენული აგლომერაციული ძალები და სიდიდის მიხედვით ქალაქების განაწილება მეტად ასიმეტრიულ ხდება. ჯიბრას კანონი მაშინაც ირღვევა, როცა $\beta < 1$. ასეთ სიტაციაში პატარა ქალაქები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დიდი ქალაქები (კონვერგენცია).

სწორედ ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განხორციელდა მსოფლიო ბანკის 2015 წლის სივრცით-ეკონომიკური კვლევა საქართველოს ქალაქებზე. მასში დეტალურად არის გაანალიზებული ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიული კონცენტრაცია და ქალაქების ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი უთანაბრო ზრდის დინამიკა. დადასტურდა თბილისის, როგორც პრიმატული ქალაქის დომინირებაც ჯიბრას კანონის დარღვევით (*Primate City Ratio*) (World Bank, 2015). ი. განგულისა და ს. ბეკერის (Ganguli, I., & Becker, C. M. 2007) პოსტსაბჭოთა სივრცის (მათ შორის სამხრეთ კავკასიის) ქალაქების ზრდისა და შემცირების დინამიკის კვლევამაც აჩვენა, თუ როგორ დაირღვა ქალაქების პროპორციული ზრდის კანონზომიერებები ცენტრალიზებული დაგეგმარების რღვევისა და დედაქალაქებში მოსახლეობის ჰიპერკონცენტრაციის გამო. იანგისა და შმელევის (Young, C., & Shmelev, S. 2012) კვლევის შედეგების მიხედვით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა თუ დსთ-ის ქვეყნებში გეგმიური ზონირება ჩაანაცვლა დერეგულაციამ და სივრცის მაქსიმალურმა კომერციალიზაციამ. თბილისში უძრავი ქონების ბაზრის გეოგრაფია ადასტურებს, რომ დეველოპერული კაპიტალის დომინირება ხელს უწყობს სწრაფ ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა პარალელურად იწვევს სივრცით ფრაგმენტაციასა და ქალაქის პოლარიზებას მაღალპროდუქტიულ ცენტრებად და ეკონომიკურად პასიურ საძინებელ რაიონებად (Salukvadze, J., & Golubchikov, O. 2016).

თბილისის მიმზიდველობა და პროდუქტიულობა თანამედროვე ურბანული ეკონომიკის გადასახედიდან საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ზოგადად, ურბანული პროდუქტიულობის ზრდა ეყრდნობა ტრანზაქციული ხარჯების შემცირებასა და „ცოდნის გადადინებას“. ამ კონტექსტში, ეკონომიკურ თეორიაში ორი მთავარი მიდგომა უპირისპირდება ერთმანეთს:

- MAR (Marshall-Arrow-Romer) ეფექტი, რომლის მიხედვითაც ინოვაციასა და ზრდას განაპირობებს ერთი და იმავე სფეროს ფირმების გეოგრაფიული კონცენტრაცია (სპეციალიზაცია);

- ჯეიკობსის ეფექტი (Jacobs Externalities), რომლის კონცეფციის თანახმად, ქალაქის ნამდვილი ძალა მის მრავალფეროვნებაშია. ინოვაცია იბადება არა ერთგვაროვან ინდუსტრიულ კლასტერებში, არამედ განსხვავებული სექტორების ფიზიკური გადაკვეთისა და იდეების გაცვლის შედეგად (Jacobs, 1969; Glaeser et al., 1992).

თბილისის ისტორიული ცენტრისა და მიმდებარე უბნების (მაგალითად, ვერა, ჩუღურეთი) ტრანსფორმაცია ცალსახად მიუთითებს ჯეიკობსის მოდელის დომინირებაზე. აღნიშნულ არეალებში კრეატიული ინდუსტრიების გამოცოცხლება ხდება ტექნოლოგიური, კულტურული, სახელოვნებო და გასტრონომიული სექტორების სინერგიის ხარჯზე (ამის მაგალითებია სტამბა, ფაბრიკა, ქარხანა და სხვა ე. წ. კო-ვორკინგ სივრცეები) (Chatelain, V., 2019; Gugushvili, T., & Salukvadze, J., 2021).

ამ პროცესს კარგად ხსნის რიჩარდ ფლორიდას „კრეატიული კლასის“ თეორიაც. ფლორიდას მიხედვით, თანამედროვე ეკონომიკაში კაპიტალი მიჰყვება არა იაფ მუშახელს, არამედ ნიჭიერი ადამიანების ნაკადებს. კრეატიული კლასი ირჩევს იმ ქალაქებსა თუ უბნებს, სადაც კონცენტრირებულია 3T (Talent, Technology, Tolerance) (Florida, R. 2002). დეველოპერები და ინვესტორები კი ზუსტად იქ მიემართებიან, სადაც ეს ადამიანისეული კაპიტალი გროვდება, რაც სრულად ხსნის თბილისის ცენტრალური უბნების უძრავი ქონების ბაზარზე არსებულ დინამიკას.

თბილისის ურბანული აგლომერაციის ევოლუცია ადასტურებს, რომ ქალაქის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია არა ძველი სტრუქტურების კონსერვაციაზე, არამედ მათ განახლებაზე. საბჭოთა პერიოდის ინდუსტრიული ზონების, ქარხნებისა და ფაბრიკების ადგილას თანამედროვე კომერციული, მაღალტექნოლოგიური (IT) და კრეატიული არეალების გაჩენა შეიძლება განვიხილოთ ჯოზეფ შუმპეტერის „კრეატიული დესტრუქციის“ კლასიკური გამოვლინებად. ეს პროცესი შეესაბამება აგიონისა და ჰოვიტის (Aghion, P., & Howitt, P. 1992) ენდოგენური ზრდის თეორიას, სადაც კრეატიული ნგრევა განიხილება ეკონომიკური განვითარების უალტერნატივო მექანიზმად. დაბალპროდუქტიული ინდუსტრიების ჩანაცვლება მაღალშემოსავლიანი მომსახურების სფეროთი ქმნის მძლავრ აგლომერაციულ ეკონომიკას (თუმცა ეს ეხება ქალაქის ცენტრალურ უბნებს, ხოლო გარეუბნებში ინდუსტრიულ შენობა-ნაგებობებს აქტიურად ანაცვლებს საცხოვრებელი უბნები).

საინტერესოა არის თუ არა თბილისის მშენებლობისა და დეველოპმენტის ბუმი ნამდვილი „კრეატიული დესტრუქცია“, თუ ესაა უბრალოდ კაპიტალის აკუმულაცია უძრავ ქონებაში? შუმპეტერის განმარტებით, თუ პროცესს არ მოჰყვება ტექნოლოგიური ან მენეჯერული ინოვაცია, აშკარაა მხოლოდ ფიზიკური ნგრევა და არა კრეატიული წინსვლა. უფრო მეტიც, ურბანულ ტრანსფორმაციას თან სდევს მწვავე სოციალური გამოწვევები – ჯენტრიფიკაცია: ახალი, პრესტიჟული პროექტები ზრდის მიწის ფასს, რის შედეგადაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა ეკონომიკური წნეხის გამო იძულებულია დატოვოს ისტორიული ცენტრი. შესაბამისად, მთავარი ეკონომიკური დილემა მდგომარეობს იმაში, გადაწონის თუ არა ახალი ინოვაციური კლასტერების მიერ შექმნილი სიმდიდრე იმ სოციალურ და ეკოლოგიურ შედეგებს (როგორებიცაა საცობები, დაბინძურება), რასაც ეს დესტრუქცია იწვევს (Totladze L., Khuskivadze M. 2024).

საქართველოში არსებული რეალობა შესაბამისობაშია პოლ კრუგმანის ეკონომიკური გეოგრაფიის „ცენტრი-პერიფერიის“ მოდელთანაც (Krugman, 1991). თბილისი წარმოადგენს მძლავრ ბირთვს, ხოლო დანარჩენი რეგიონები — სუსტ პერიფერიას. აგლომერაცია თვითგანახლებადი პროცესია. ახალი სამუშაო ადგილები ცენტრში იქმნება, რაც იწვევს შრომითი რესურსების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა და ინოვაციური კადრების მიგრაციას რეგიონებიდან დედაქალაქისკენ. ეს მიგრაცია კიდევ უფრო ზრდის თბილისის ბაზრის ზომას, იზიდავს ახალ კომპანიებს და პროცესი ექსპონენციალურად გრძელდება. პერიფერიაში კი რჩება მხოლოდ ასაკოვანი მოსახლეობა და დაბალშემოსავლიანი სექტორები (მაგ: მცირემიწიანი სოფლის მეურნეობა), რაც ნებისმიერ პოტენციურ ინვესტორს ისევ დედაქალაქისკენ უბიძგებს (Gugushvili & Salukvadze, 2019; World Bank, 2018).

თანამედროვე ეტაპზე კრუგმანისეული ცენტრი-პერიფერიის მოდელი სერიოზული ტრანსფორმაციის წინაშე დგას ციფრული ეკონომიკის განვითარების გამო. თუ ინდუსტრიულ ეპოქაში მთავარი ბარიერი ფიზიკური საქონლის ტრანსპორტირება იყო, ციფრულ ეპოქაში ფოკუსი ინფორმაციისა და შრომის მობილობაზე გადავიდა

(Baldwin, R. (2019). დისტანციურმა მუშაობამ შრომის ბაზრისთვის სივრცითი დანახარჯები პრაქტიკულად გაანულა, რამაც ორი რევოლუციური ცვლილება მოიტანა: მაღალანაზღაურებად პროფესიონალებს (IT სფერო, ფინანსები, დიზაინი) შეუძლიათ იცხოვრონ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში და შეინარჩუნონ გლობალური ან თბილისის შესაბამისი შემოსავალი. ეს ქმნის ადგილობრივი მსყიდველობითუნარიანობის ზრდის პრეცედენტს და სტიმულს აძლევს პერიფერიულ მიკროეკონომიკას (მომსახურება, კვება, ლოჯისტიკა). დედაქალაქში ცხოვრების მკვეთრად გაზრდილი ხარჯები, ეკოლოგიური დეგრადაცია და სატრანსპორტო კოლაფსი არის ის ცენტრიდანული ძალები, რომლებიც ადამიანებს ალტერნატიული საცხოვრებელი სივრცეების ძიებისკენ უბიძგებს (Galt & Taggart., 2023–2024).

ციფრული ეკონომიკა ურბანიზაციას ვერ შეაჩერებს, მაგრამ გარდაქმნის მის ფორმას. თბილისი დარჩება ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ და კულტურულ არტერიად, თუმცა სწორი პოლიტიკის პირობებში შესაძლებელია მივიღოთ უფრო დაბალანსებული, ინკლუზიური და სივრცულად სამართლიანი პოსტ-სოციალისტური განვითარების მოდელი. შესაძლებელია ე. წ. მიზიდულობის ახალი, მცირე ცენტრების (მაგალითად, ბათუმი, კახეთისა და ყაზბეგის ზონები) ჩამოყალიბება, სადაც დისტანციურად მომუშავეთა კლასტერები შეიქმნება.

თბილისი დარჩება მთავარ, დომინანტურ ჰაბად არა იმდენად ინდუსტრიული წარმოების ან რუტინული საოფისე სამუშაოს გამო, რამდენადაც უნიკალური სერვისების, გართობისა და მაღალი დონის სოციალური ინტერაქციის გამო. დისტანციურმა მუშაობამ შესაძლოა შეასუსტოს, მაგრამ სრულად ვერ შეცვალოს თბილისის ეკონომიკურ მონოპოლია.

დასკვნა

თბილისის მაგალითი ცხადყოფს, რომ ურბანული აგლომერაციის ეფექტები ძლიერი ენდოგენური ზრდის მამოძრავებელია, თუმცა ქალაქის სივრცითი ტრანსფორმაციის თავისებურებები – ბაზრის სტიქიური, არარეგულირებული განვითარება – გარდაუვალად იწვევს სოციალურ-სივრცით ფრაგმენტაციასა და პერიფერიების დეგრადაციას. იმისათვის, რომ თბილისმა შეინარჩუნოს რეგიონული ჰაბის ფუნქცია, მაგრამ ამავდროულად არ მოახდინოს ქვეყნის დანარჩენი რესურსების სრული მონოპოლიზება, აუცილებელია კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული სივრცითი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ალტერნატიული ურბანული ცენტრების (ქუთაისი, ბათუმი, თელავი) სტიმულირება. ეს უნდა მოხდეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის (საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრები, ტექნოლოგიური პარკები) განვითარებით.

რეგიონულ დონეზე შექმნილი სიმდიდრისა და გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილობრივ ბიუჯეტში დატოვება მუნიციპალიტეტებს მისცემს ფინანსურ ბერკეტს, დამოუკიდებლად შექმნან ბიზნესისთვის მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი (სუბსიდირება, ინფრასტრუქტურის თანადაფინანსება).

რეგიონებმა უნდა განავითარონ ის ეკონომიკური ნიშები, სადაც დედაქალაქს არ აქვს უპირატესობა (აგროტექნოლოგიები, მწვანე ენერგეტიკა, ეკო და რეკრეაციული ტურიზმი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2025), მდგრადი ურბანიზაციის ზეგავლენა სოციალურ და ეკოლოგიურ ინდიკატორებზე: ემპირიული კვლევა საქართველოს მაგალითზე. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, #4, 2025. DOI: 10.52340/ekonomisti.2025.04.02; https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=1129
2. Aghion, P., & Howitt, P. (1992). A Model of Growth Through Creative Destruction. Econometrica, 60(2), 323–351.
3. Baldwin, R. (2019). The Globeotics Upheaval: Globalization, Robotics, and the Future of Work. Oxford University Press.
4. Chatelain, V. (2019). Creative Hubs and Urban Regeneration in Post-Socialist Tbilisi: The Case of Fabrika. GeoJournal / Urban Studies Research.
5. Chauvin J. P., Glaeser E., Ma Y., Tobio K, (2016) "What is different about urbanization in rich and poor countries? Cities in Brazil, China, India and the United States." Journal of Urban Economics 98: 17–49 (NBER WP 22002, 2016).
6. Eaton J., Eckstein Z.,(1997) Cities and growth: theory and evidence from France and Japan // Regional Science and Urban Economics. № 27. P. 443–474.
7. Florida, R. (2002). The Rise of the Creative Class—And How It's Transforming Work, Leisure, Community, and Everyday Life. Basic Books.
8. Galt & Taggart. (2023–2024). Residential Real Estate in Tbilisi & Batumi / Macroeconomic Updates.
9. Ganguli, I., & Becker, C. M. (2007). Urbanized Transition: Post-Soviet Urban Growth and Decline. Environment and Planning A, 39(8), 1991–2011;
10. Glaeser, E. (2011). Triumph of the City: How Our Greatest Invention Makes Us Richer, Smarter, Greener, Healthier, and Happier. Penguin Press.
11. Gibrat R. (1931). Les inegalites economiques. Paris: Librairie du Recueil Sirey.
12. Gorzelak, G., & Smentkowski, M. (2010). Regional development and the local potential in Central and Eastern Europe. Europe-Asia Studies, 62(6), 941–962.
13. Gugushvili, T., & Salukvadze, J. (2021). Gentrification and Creative Economy in Heritage Neighborhoods of Tbilisi. Urban Research & Practice, 14(3), 285–304.
14. Jacobs, J. (1961). The Death and Life of Great American Cities. Random House.
15. Krugman, P. (1991). Increasing returns and economic geography. Journal of Political Economy, 99(3), 483–499.
16. Salukvadze, J., & Bakradze, A. (2014). High-rises in post-socialist Tbilisi: Urban transformation and spatial dynamics. Urban Studies, 51(7), 1422–1440.
17. Salukvadze, J., & Golubchikov, O. (2016). City profile: Tbilisi – Beyond the post-Soviet transition. Cities, 52, 137–151.
18. Totladze L., Khuskivadze M. (2024). THE IMPACT OF URBANIZATION ON INCOME DISTRIBUTION: A STUDY OF GEORGIA. International Journal of Innovative Technologies in Economy, p-ISSN 2412-8368, 3(47) 2024; DOI: 10.31435/rsglobal_ijite/30092024/8207
19. Tschoegl A. (1983). Size, growth and transnationality among the world’s largest banks. T he Journal of Business, 56 (2), 187–201.
20. World Bank. (2023). Urban Development and Agglomeration Economies in Developing Nations. World Bank Group.
21. World Bank. (2018). Georgia: Urbanization and Spatial Development Assessment. World Bank Group, Washington, DC.
22. Young, C., & Shmelev, S. (2012). Neoliberal urban transformation in post-socialist cities. Cities, 29(4), 250–261.
23. https://ourworldindata.org/

Iuri Ananiashvili
Lia Totladze
Mamuka Khuskivadze

Agglomeration Effects and Characteristics of Tbilisi's Urban Transformation: Challenges of Polycentric Development

Summary

This article examines the characteristics of urban transformation and agglomeration economics in Tbilisi within the context of post-communist development dynamics. The research relies on the fundamental theoretical frameworks of spatial economics, including the empirical modeling of Zipf's and Gibrat's laws, Paul Krugman's "core-periphery" model, Jane Jacobs's concept of urban diversity, and Joseph Schumpeter's theory of "creative destruction."

The paper confirms the existence of an "urban primate" model in Tbilisi, where powerful centripetal forces disrupt the proportional growth pattern of cities (Gibrat's Law) and lead to a hyper-concentration of capital and human resources.

Furthermore, the article analyzes the potential of the digital economy and remote work to act as centrifugal forces in the modern era. In conclusion, the author substantiates the necessity of implementing a comprehensive, scientifically grounded spatial economic policy. This includes stimulating alternative urban centers, ensuring fiscal decentralization, and applying inclusive zoning practices to secure the balanced and polycentric development of the country.

Keywords: *Urban Economics, Agglomeration Effects, Primate City, Gibrat's Law, Polycentric Development.*

გივი ბედიანაშვილი

მაკროსისტემიდან ინდივიდამდე: სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ფორმირების ფაქტორები მზარდი გაურკვევლობის და გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში

ანოტაცია. *თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნამ სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება ერთდროულად ეროვნული მდგრადობისა და ადამიანის ღირსეული ცხოვრების ცენტრალურ წინაპირობად აქცია. გეოპოლიტიკური დაძაბულობა, წარმოებისა და ვაჭრობის ქსელების ფრაგმენტაცია, ფინანსური რყევები, ტექნოლოგიური ცვლილების დაჩქარება და ბუნებრივი რესურსებისადმი მზარდი წნეხი ქმნის ურთიერთდაკავშირებულ რისკებს, რომელთა მართვაც ვეღარ შემოიფარგლება რომელიმე ერთი სექტორის ან ინსტიტუტის მოქმედებით. ნაშრომის მიზანია ქვეყნისა და ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტების ანალიზი და მათი ურთიერთკავშირის კონცეპტუალური სინთეზი გაურკვევლობისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. კვლევა ეფუძნება სისტემურ, ინსტიტუციურ და შედარებით-ანალიტიკურ მიდგომებს. სოციალური და ეკონომიკური პროცესები განიხილება როგორც მრავალდონიანი სისტემა, სადაც გლობალური ცვლილებები ეროვნული ეკონომიკის, შრომის ბაზრის, შემოსავლების, სოციალური დაცვისა და არსებით რესურსებზე წვდომის მეშვეობით აისახება ინდივიდის მდგომარეობაზე. ამასთან, ინდივიდებისა და შინამეურნეობების მდგომარეობა უკუკავშირით განსაზღვრავს ეკონომიკის პროდუქტიულობას, საზოგადოებრივ ნდობასა და სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობებს. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და ადამიანის უსაფრთხოება წარმოდგენილია არა როგორც*

ერთმანეთისგან განცალკევებული ამოცანები, არამედ როგორც ურთიერთ-განმტკიცებადი უსაფრთხოების კონტური. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია ინსტიტუციური და პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც აერთიანებს ადაპტირებად სახელმწიფო სტრატეგიას, სოციალური რისკების პრევენციას, ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებასა და ცოდნაზე დაფუძნებული მმართველობის პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: *სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება; მაკროსისტემური დეტერმინანტები; კონფრონტაციული გლობალიზაცია; გაურკვევლობა; მდგრადი კონკურენტუნარიანობა; სოციალური დაცვა; დასაქმება; ინსტიტუციური მდგრადობა.*

შესავალი

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება დღეს მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპით ან სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობით არ განისაზღვრება. იგი გულისხმობს საზოგადოების, ეკონომიკისა და ადამიანის უნარს, თავიდან აიცილოს ან შეამსუბუქოს ისეთი შოკები, რომლებიც არღვევს ცხოვრების სტაბილურობას, ამცირებს განვითარების შესაძლებლობებს და აჩენს ხანგრძლივი სოციალური იზოლაციის საფრთხეს. ამ გაგებით უსაფრთხოება არ არის ერთჯერადად მიღწეული მდგომარეობა. ის არის მუდმივად განახლებადი შესაძლებლობა, რომელიც მოითხოვს რისკების დროულ ამოცნობას, რესურსების მიზნობრივ განაწილებასა და სხვადასხვა პოლიტიკის შეთანხმებულ მოქმედებას.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი ურთიერთდამოკიდებულების გაღრმა-ვებასთან ერთად გამოირჩევა დაპირისპირებით, კონფრონტაციული ბუნებით (ბედიანაშვილი & ჭარაია, 2026; ბედიანაშვილი და სხვ., 2024; ბედიანაშვილი, 2023, 2024; ვეშაპიძე, 2024; Bedianashvili, 2023a, 2023b, 2024; Bedianashvili & Kokhreidze, 2024; Papava, 2022), ეკონომიკური სივრცეების დაყოფის ტენდენციებითა და კონკურენტული ზეწოლის გამწვავებით. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები აღარ არის მხოლოდ შესაძლებლობების წყარო; მათში ჩნდება მიწოდების ჯაჭვების რღვევების, სავაჭრო შეზღუდვების, კაპიტალის არასტაბილური მოძრაობისა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე არათანაბარი წვდომის რისკებიც. ასეთი გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ცვლის მცირე და ღია ეკონომიკების დღის წესრიგს, თუმცა პრობლემის არსი უნივერსალურია: ქვეყნის მაკროეკონომიკური სისუსტე ადრე თუ გვიან ადამიანის ყოველდღიურ უსაფრთხოებაში აისახება.

ამ კონტექსტში აუცილებელია უსაფრთხოების ანალიზის ორი გავრცელებული შეზღუდვის გადალახვა. პირველი შეზღუდვაა მაკროეკონომიკური წარმატების ავტომატურად გაიგივება მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ზრდა, ინვესტიციების ზრდა ან საგარეო კავშირების გაფართოება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია, თუ მათი შედეგები არ ქმნის ფართო და მდგრად შესაძლებლობებს დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობისა და საცხოვრებლის მიმართულებით. მეორე შეზღუდვაა ადამიანის სოციალური დაუცველობის მხოლოდ ინდივიდუალურ ან სოციალური დახმარების პრობლემად აღქმა. სინამდვილეში, მასშტაბური დაუცველობა მაკროეკონომიკური რისკია: იგი ასუსტებს შრომით პოტენციალს, ამცირებს შიგა მოთხოვნას, ზრდის საზოგადოებრივ დაძაბულობას და ზღუდავს ქვეყნის უნარს, განახორციელოს გრძელვადიანი რეფორმები.

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ის მაკროსისტემური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნისა და ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას, და ჩამოყალიბდეს მათი ურთიერთკავშირის ანალიტიკური ჩარჩო. კვლევის ამოცანებია:

უსაფრთხოების კონცეფციის მრავალდონიანი გააზრება; გლობალური და ეროვნული გამოწვევების სისტემატიზაცია; ადამიანის უსაფრთხოების ძირითადი დეტერმინანტების გამოყოფა; მაკრო და მიკრო დონეებს შორის გადაცემის მექანიზმების ახსნა; და იმ ინსტიტუციური გადაწყვეტილებების დასაბუთება, რომლებიც ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას სოციალური მდგრადობის მიზნებთან დააკავშირებს.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი იყენებს სისტემურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც გლობალური, ეროვნული, რეგიონული და ინდივიდუალური დონეები ერთიან მიზეზშედეგობრივ ჯაჭვად განიხილება. **ინსტიტუციური მიდგომა** საჭიროა იმის საჩვენებლად, რომ უსაფრთხოება მხოლოდ რესურსების მოცულობაზე არ არის დამოკიდებული: გადამწყვეტია წესების ხარისხი, პასუხისმგებლობის განაწილება და სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების თანამშრომლობის უნარი. **სინთეზური** წვლილი იმაში მდგომარეობს, რომ მაკროსისტემური კონკურენტუნარიანობის საკითხი სოციალური დაცვის, დასაქმებისა და ადამიანის განვითარების საკითხებთან ერთ ანალიტიკურ სივრცეში გადმოდის. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება უსაფრთხოების პოლიტიკის ისეთი დიზაინის საჭიროებას, რომელიც რეაგირებით არ შემოიფარგლება და რისკების პრევენციის მექანიზმებსაც ქმნის.

თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება კომპლექსური კატეგორიაა (ბედიანაშვილი, 2023, 2024; Papava & Maisaia, 2023; Papava & Bedinashvili, 2024; OECD, 2025). ქვეყნის დონეზე იგი გამოხატავს ეკონომიკური სისტემის სიცოცხლის-უნარიანობას, განვითარების რესურსების შენარჩუნებას, გარე და შიდა შოკებისადმი მედეგობას და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. ადამიანის დონეზე ბკი ეს არის ცხოვრების ისეთი პირობების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს შემოსავლის მიღების, დასაქმების, ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებლის, საკვებისა და სხვა არსებით რესურსებზე ხელმისაწვდომობის რეალურ შესაძლებლობას. ამ ორი დონის გამიჯვნა ანალიზისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს, მაგრამ პოლიტიკისთვის მათი განცალკევება უდავოდ შეცდომაში შემყვანია.

ქვეყნის უსაფრთხოება ქმნის წესებსა და რესურსულ გარემოს, რომელშიც ინდივიდი აკეთებს ყოველდღიურ არჩევანს. მაკროეკონომიკური სტაბილურობა გავლენას ახდენს ფასების, სესხის, სამუშაო ადგილებისა და საჯარო მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე. ეკონომიკის სექტორული სტრუქტურა განაპირობებს, რა პროფესიულ შესაძლებლობებს მიიღებს ადამიანი; განათლების სისტემის ხარისხი განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა იგი ამ შესაძლებლობების გამოყენებას; სოციალური დაცვის მოდელი კი განსაზღვრავს, რამდენად მძიმე იქნება ცხოვრებისეული შოკის ფასი. ამავე დროს, მიკრო დონეზე დაგროვილი მოწყვლადობა არ რჩება კერძო სივრცეში. თუ შინამეურნეობებს არ შეუძლიათ განათლებაში, ჯანმრთელობასა და პროფესიულ განვითარებაში ინვესტირება, ქვეყანა კარგავს ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობას და ეკონომიკის ხარისხობრივი ზრდის საფუძველს.

ორივე განზომილების გაერთიანება მნიშვნელოვანია ორი მიზეზით. პირველ რიგში, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება თავისთავად არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ფართო ფენები დაცულები არიან. ზრდა შეიძლება კონცენტრირებული იყოს, ხოლო შრომითი და სოციალური რისკები — არათანაბრად გადანაწილებული. მეორე მხრივ, სოციალური დაუცველობა არ არის მხოლოდ ჰუმანიტარული პრობლემა. იგი ამცირებს შრომის პროდუქტიულობას, ზღუდავს ადამიანისეული კაპიტალის

განვითარებას, აძლიერებს უთანასწორობასა და სოციალურ დაძაბულობას, საბოლოოდ კი ასუსტებს ქვეყნის კონკურენტულ პოზიციას.

მაკროსისტემური ხედვა ყურადღებას ამახვილებს არა ცალკეულ ფაქტორზე, არამედ ურთიერთქმედებაზე. ეკონომიკური პოლიტიკა, საჯარო ფინანსები, შრომის ბაზარი, განათლება, ინოვაცია, სოციალური დაზღვევა, რეგიონული განვითარება და საგარეო ეკონომიკური კავშირები უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ელემენტებია. მათი კავშირი მხოლოდ ადმინისტრაციული არ არის; იგი ფუნქციურია. მაგალითად, ფინანსური არასტაბილურობა აძვირებს კრედიტს და ამცირებს ინვესტიციას; ეს ასუსტებს საწარმოო აქტივობასა და დასაქმებას; დასაქმების შემცირება კი ზრდის სიღარიბისა და სოციალური დაცვის სისტემაზე დატვირთვის რისკს. თუ ამავე დროს განათლებისა და გადამზადების სისტემა ვერ სთავაზობს ადამიანს შრომის ბაზარზე დაბრუნების გზას, დროებითი შოკი შეიძლება იქცეს ხანგრძლივ სოციალურ იზოლაციად.

გაურკვევლობის პირობებში უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ როგორც ადაპტაციური შესაძლებლობა (ბედიანაშვილი, 2023, 2024; Bochko et al, 2022; Cook & Kabeer, 2009; Gordon, 2012; Jianu, 2023; Bedianashvili, 2024; Papava & Bedianashvili, 2024; OECD, 2025; SolAbility, 2025). ტრადიციული მიდგომა ხშირად ეფუძნება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, მაშინ როცა სწრაფად ცვალებადი გარემო მოითხოვს ახალი ცოდნის მიღებას, სცენარების შემუშავებას, გადაწყვეტილებების კორექტირებასა და ინსტიტუტების მოქნილობას. შესაბამისად, მდგრადი კონკურენტუნარიანობა არ არის მოკლევადიანი უპირატესობა. იგი არის ეკონომიკისა და საზოგადოების შესაძლებლობა, შეინარჩუნოს განვითარების პოტენციალი ცვლილებების პირობებშიც, ისე რომ გარდაქმნის დანახარჯები არ დაეკისროს მხოლოდ ყველაზე დაუცველ ჯგუფებს.

ამგვარი მიდგომა უსაფრთხოებას სამ ურთიერთშემავსებელ საყრდენზე აფუძნებს: ეკონომიკურ მდგრადობაზე (მედეგობაზე), სოციალურ თანასწორობასა და კონკურენტუნარიანობაზე. ეკონომიკური მდგრადობა ქმნის რესურსს და შოკისადმი გამძლეობას; სოციალური თანასწორობა უზრუნველყოფს შესაძლებლობების ფართო განაწილებასა და საზოგადოებრივ ნდობას; კონკურენტუნარიანობა კი ქმნის პროდუქტიულობისა და განახლების უნარს. რომელიმე ერთი საყრდენის უგულებელყოფა მთელ სისტემას ასუსტებს. მაგალითად, კონკურენტულობა სოციალური დაცვის გარეშე შეიძლება გაზრდილ მოწყვლადობას დაეფუძნოს; თანასწორობა ეკონომიკური დინამიკის გარეშე შეიძლება მხოლოდ არსებული რესურსების გადანაწილების შეზღუდულ შესაძლებლობად დარჩეს; მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი ინოვაციისა და ადამიანის განვითარების გარეშე ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ წინსვლას.

გლობალური და ეროვნული დონის მაკროსისტემური გამოწვევები

კონფრონტაციული გლობალიზაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია თანაარსებობს ძალაუფლებისთვის, ბაზრებისთვის, ტექნოლოგიებისა და რესურსებისთვის გამწვავებულ კონკურენციასთან (Bedianashvili, 2024; Papava, 2022; Papava & Bedianashvili, 2025). ასეთ პირობებში საერთაშორისო ურთიერთობები უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. პოლიტიკური დაძაბულობა ეკონომიკურ სანქციებში, სავაჭრო ბარიერებში, სატრანსპორტო შეფერხებებში ან ტექნოლოგიურ შეზღუდვებში გარდაიქმნება; ეკონომიკური გადაწყვეტილებები კი უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილად იქცევა (ბედინაშვილი & ჭარაია, 2026).

შესაბამისად, გარე ეკონომიკური გარემო უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ზრდის შესაძლებლობების, არამედ დამოკიდებულებებისა და მოწყვლადობების მიხედვითაც.

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია ეროვნული ეკონომიკების წინაშე რამდენიმე ერთდროულ ამოცანას აყენებს. პირველი არის საგარეო დამოკიდებულებების მართვა. საერთაშორისო ბაზრებთან კავშირი ზრდის შესაძლებლობებს, მაგრამ ზედმეტი კონცენტრაცია ერთ ბაზარზე, ერთ მომწოდებელზე ან ერთ ფინანსურ წყაროზე დაუცველობას აჩენს. მეორე ამოცანაა ეკონომიკური სტრუქტურის გამძლეობა: დივერსიფიცირებული წარმოება, მრავალფეროვანი საექსპორტო ბაზრები და ადგილობრივი ღირებულების შექმნის უნარი ამცირებს გარე შოკის გადაცემის მასშტაბს. მესამეა ტექნოლოგიური გარდაქმნის მართვა, რადგან ახალი ტექნოლოგიები ერთდროულად ზრდის პროდუქტიულობისა და შრომითი დისლოკაციის შესაძლებლობას.

ამ გამოწვევების ეროვნულ დონეზე გადმოტანა არ არის ავტომატური პროცესი. შოკის გავლენა დამოკიდებულია ეკონომიკის სტრუქტურაზე, სახელმწიფო ფინანსების მოქნილობაზე, ინფრასტრუქტურის საიმედოობაზე და ინსტიტუტების რეაგირების ხარისხზე. ერთი და იგივე საგარეო შეზღუდვა განსხვავებულ შედეგს იძლევა იქ, სადაც საწარმოებს აქვთ მრავალფეროვანი კავშირები, მომუშავეთა — გადამზადების შესაძლებლობა, ხოლო შინამეურნეობებს — საბაზისო სოციალური დაცვა; და იქ, სადაც ეს რესურსები სუსტია. ამდენად, ეროვნული პოლიტიკის ამოცანა არ არის გარე გაურკვევლობის სრულად გაუქმება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მისი შიგა ნეგატიური ზემოქმედების შეზღუდვა.

ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობა უსაფრთხოების განსაკუთრებული წყაროა. ფასების, ვალუტის კურსის, სესხის ღირებულებისა და შემოსავლების მერყეობა პირდაპირ მოქმედებს როგორც ბიზნესის საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, ისე შინამეურნეობების კეთილდღეობაზე. თუ სახელმწიფოს არ გააჩნია ეფექტიანი მაკროეკონომიკური მართვის, ფისკალური სტაბილურობისა და კრიზისზე რეაგირების ინსტრუმენტები, დროებითი რყევა შესაძლოა ხანგრძლივ სოციალურ დანაკარგად იქცეს. ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ ზრდის ხელშეწყობა; აუცილებელია მისი ხარისხის, ინკლუზიურობისა და კრიზისგამძლეობის უზრუნველყოფაც.

ეროვნულ დონეზე მაკროსისტემურ გამოწვევებს ემატება ინსტიტუციური ფრაგმენტაცია. როდესაც ეკონომიკური, სოციალური, განათლების, გარემოსდაცვითი და რეგიონული პოლიტიკები ერთმანეთთან შეუსაბამოა, სახელმწიფოს რეაგირება გვიანდება ან მხოლოდ შედეგებს ებრძვის. მაგალითად, დასაქმების ხელშეწყობა შედეგს კარგავს, თუ იგი არ არის დაკავშირებული პროფესიულ განათლებასთან; სოციალური დახმარება ვერ ამცირებს ხანგრძლივ დაუცველობას, თუ მას არ ახლავს ჯანმრთელობის, ზრუნვის ან დასაქმების სერვისები; რეგიონული პროექტები კი ვერ ქმნის მდგრად შესაძლებლობებს, თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პოტენციალსა და ინფრასტრუქტურულ ხელმისაწვდომობას არ ეყრდნობა.

ფორმალური ინსტიტუტების ეფექტიანობა ვერ განიხილება საზოგადოებრივი ნდობისგან დამოუკიდებლად. ნდობა განსაზღვრავს, რამდენად მზად არის საზოგადოება მონაწილეობა მიიღოს რეფორმებში, შეასრულოს საერთო წესები და მიიღოს გარდამავალი პერიოდის ხარჯები. ნდობის ნაკლებობისას, თუნდაც ფორმალურად გამართული ღონისძიებები შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც არასამართლიანი ან არაეფექტიანი. ამიტომ გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა, შედეგების საჯარო შეფასება და ინტერესთა ჯგუფებთან შინაარსიანი კომუნიკაცია

სოციალური უსაფრთხოების არა მეორეხარისხოვანი, არამედ ინსტიტუციური საფუძველია.

გლობალური გამოწვევები ქმნის მრავალმხრივი თანამშრომლობის საჭიროებასაც. თუმცა თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ეროვნულ ინტერესთა უგულებელყოფას. ეფექტიანი სტრატეგია აერთიანებს ღიაობას, პარტნიორობების გაფართოებას, კრიტიკულ სფეროებში გონივრულ თვითუზრუნველყოფასა და საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას. ამგვარი ბალანსი ეროვნული უსაფრთხოებისათვის უფრო სარგებლიანია, ვიდრე იზოლაცია ან დაუცველი დამოკიდებულება. უსაფრთხოების მიზანი დახურულ (ჩაკეტილ) ეკონომიკად გარდაქმნა არ არის; მიზანია ურთიერთდამოკიდებულების მართვა ისე, რომ კავშირები შესაძლებლობად დარჩეს და მოწყვლადობად არ იქცეს.

მაკრო და მიკრო დონეების ურთიერთმიმართება: გადაცემის არხები და უკუკავშირი

მაკრო და მიკრო დონეებს შორის ურთიერთკავშირის გასააზრებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გადაცემის არხებს, რომელთა მეშვეობითაც ფართო ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილება ადამიანის ცხოვრებაში აღწევს.

პირველი არხია შრომის ბაზარი. ეროვნული ეკონომიკის ზრდის მოდელი, ინვესტიციების მიმართულება, ტექნოლოგიური განახლება და საგარეო მოთხოვნის ცვლილება განსაზღვრავს სამუშაო ადგილების რაოდენობას, სტრუქტურასა და ხარისხს. თუმცა ადამიანისთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სამუშაოს არსებობას, არამედ მისი სტაბილურობის, უსაფრთხოების, ანაზღაურებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხარისხს.

მეორე არხია ფასებისა და შემოსავლების თანაფარდობა. მაკროეკონომიკური რყევა შინამეურნეობისთვის ხშირად ყველაზე სწრაფად ცხოვრების ღირებულების ცვლილებით გამოვლინდება. თუ შემოსავალი არ არის დაცული ან ადაპტაციის საშუალებები სუსტია, ადამიანი იძულებული ხდება შეამციროს ხარჯი ისეთ სფეროებშიც, რომლებიც მომავალ შესაძლებლობებს ქმნის — განათლებაში, ჯანმრთელობასა და პროფესიულ განვითარებაში. მოკლევადიანი ეკონომიკური ზეწოლა ამგვარად შეიძლება გრძელვადიან, გარკვეულწილად, ადამიანურ დანაკარგად გარდაიქმნას.

მესამე არხია საჯარო სერვისებისა და სოციალური დაცვის ხარისხი. სახელმწიფოს ფინანსური და ადმინისტრაციული შესაძლებლობები განსაზღვრავს, რამდენად სწრაფად და სამართლიანად აღწევს დახმარება საჭირო ადამიანამდე, რამდენად ხელმისაწვდომია საბაზისო მომსახურება და რამდენად შეუძლია სისტემას გამონაკლისი მდგომარეობების მართვა. ამ არხის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როცა ოჯახის არაფორმალური მხარდაჭერის რესურსიც შეზღუდულია. სოციალური დაცვა ამ შემთხვევაში მხოლოდ შემოსავლის კომპენსაცია კი არა, საზოგადოების შოკის შთანთქმის მექანიზმია.

მეოთხე არხია სივრცითი უთანასწორობა. ეროვნული საშუალო მაჩვენებლები ხშირად ფარავს რეგიონებს, დასახლებებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის არსებით განსხვავებებს. იქ, სადაც ინფრასტრუქტურა, განათლება, ჯანდაცვა და ციფრული კავშირი ნაკლებად ხელმისაწვდომია, მაკროეკონომიკური შესაძლებლობა მიკრო დონეზე სრულფასოვან შესაძლებლობად ვერ გარდაიქმნება. ამიტომ რეგიონული ჭრილი არ არის მხოლოდ ტერიტორიული პოლიტიკის საკითხი; ის ადამიანისეული

კაპიტალის, შრომის ბაზრისა და სოციალური თანასწორობის აუცილებელი განზომილებაა.

ურთიერთკავშირი ორმხრივია. ინდივიდებისა და შინამეურნეობების დაცულობა ზრდის მათ უნარს, დაგეგმონ, ისწავლონ, დასაქმდნენ და მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის შედეგად ფართოვდება პროდუქტიული შრომითი ბაზა, ძლიერდება შიგა მოთხოვნა და იზრდება ქვეყნის ადაპტაციური რესურსი. საპირისპიროდ, როდესაც ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივი გაურკვევლობის პირობებში ცხოვრობს, ისინი ბუნებრივად გადადიან მოკლევადიანი გადარჩენის რეჟიმში. ასეთ ვითარებაში მცირდება ინვესტირება ცოდნაში, იზრდება არაფორმალურობისა და იზოლირების რისკი, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტიანობა სუსტდება.

ამიტომ მაკროპოლიტიკის შეფასება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აგრეგირებული მაჩვენებლებით. საჭიროა კითხვა: როგორ აისახება გადაწყვეტილება სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობაზე, სამუშაო ძალის სხვადასხვა ჯგუფზე, რეგიონზე და ასაკობრივ კატეგორიაზე? ანალოგიურად, მიკრო დონეზე სოციალური პრობლემების შეფასება უნდა უკავშირდებოდეს იმ სტრუქტურულ მიზეზებს, რომლებიც მათ წარმოშობს. ასეთი ორმხრივი ანალიზი ამცირებს რისკს, რომ სახელმწიფო ერთდროულად გაატარებს ეკონომიკურად რაციონალურ, მაგრამ სოციალურად დამაზიანებელ, ან სოციალურად კეთილგანწყობილ, მაგრამ ეკონომიკურად არამდგრად ღონისძიებებს.

ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დეტერმინანტები

ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება პირველ რიგში განისაზღვრება ღირსეული დასაქმებისა და სტაბილური შემოსავლის შესაძლებლობით. სამუშაო არ არის მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფის საშუალება; იგი აყალიბებს სოციალურ სტატუსს, პროფესიულ თვითრეალიზაციასა და საზოგადოებრივ ჩართულობას. ამიტომ უმუშევრობა, არასრულად დასაქმება, არასტაბილური შრომითი ურთიერთობები და შემოსავლის არაპროგნოზირებადობა არა მხოლოდ კერძო პრობლემებია — ისინი ეროვნული სოციალური სტაბილურობის რისკებს ქმნის.

შემოსავლების საკმარისობა და მათი განაწილება მეორე საკვანძო დეტერმინანტია. მაღალი ეკონომიკური აქტივობა ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, თუ მისი შედეგები მოსახლეობის დიდ ნაწილამდე არ მიდის. შემოსავლის უთანასწორობა აფერხებს განათლებაზე, ჯანდაცვაზე, საცხოვრებელსა და ხარისხიან კვებაზე თანაბარ წვდომას. ამით განსხვავება საწყის შესაძლებლობებში გადადის და თაობათაშორისი სოციალური მოწყვლადობა მყარდება. შესაბამისად, სოციალური პოლიტიკა უნდა აფასებდეს არა მხოლოდ სიღარიბის უკიდურეს ფორმებს, არამედ იმ რისკს, რომ დასაქმებულმა ადამიანმაც ვერ უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების მინიმალური პირობები.

სოციალური დაცვა ადამიანის უსაფრთხოების დამცავი მექანიზმია. მისი ფუნქცია არ უნდა დავიწროვდეს მხოლოდ დახმარების განაწილებამდე. თანამედროვე სოციალური დაცვა მოიცავს შემოსავლის დაკარგვის, ავადმყოფობის, ასაკის, შრომისუუნარობისა და ოჯახური რისკებისადმი წინასწარ მომზადებას. კარგად ორგანიზებული სისტემა ამცირებს შოკის ინდივიდუალურ ფასს და ამავე დროს იცავს ეკონომიკას მოთხოვნის მკვეთრი ვარდნისა და სოციალური დაძაბულობისგან. სოციალური დაცვის ეფექტიანობა განსაკუთრებით დამოკიდებულია მიზნობრიობაზე,

ადმინისტრაციულ ხელმისაწვდომობაზე და იმაზე, რამდენად ებმის იგი დასაქმების ხელშეწყობასა და უნარების განვითარებას.

არსებით რესურსებზე ხელმისაწვდომობა — საკვებზე, საცხოვრებელზე, ჯანმრთელობის სერვისებზე, განათლებაზე, ენერგიასა და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე — უსაფრთხოების არანაკლებ მნიშვნელოვანი საფუძველია. ამ რესურსების დეფიციტი ან მიუწვდომლობა ადამიანისთვის ყოველდღიური გაურკვევლობის წყაროა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული და სოციალური ჯგუფების მიხედვით არსებული განსხვავებების შემცირება: თუ შესაძლებლობები მხოლოდ ცალკეულ სივრცეებსა და ფენებშია კონცენტრირებული, ქვეყანა ვერ იყენებს თავის ადამიანისეულ პოტენციალს სრულად.

ტექნოლოგიური ცვლილება ორმაგ გავლენას ახდენს ინდივიდზე. ერთი მხრივ, იგი ქმნის ახალ პროფესიებს, კომუნიკაციისა და ცოდნის მიღების საშუალებებს; მეორე მხრივ, მოძველებული უნარების მქონე ჯგუფებისთვის ზრდის შრომის ბაზრიდან გამოდევნის საფრთხეს. ამიტომ ადამიანის უსაფრთხოება სულ უფრო მეტად უკავშირდება განათლების უწყვეტობას, პროფესიულ გადამზადებასა და ციფრულ შესაძლებლობებზე თანასწორ წვდომას. ეს არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხი — იგი ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების გრძელვადიანი გარანტიაა. ცოდნის განახლების შესაძლებლობა ადამიანს აძლევს ადაპტაციის ძალას, ეკონომიკას კი — ტექნოლოგიური ცვლილების სოციალურ დანაკარგად კი არა, პროდუქტიულობის წყაროდ გარდაქმნის შესაძლებლობას.

ამ დეტერმინანტების ერთიანობა აჩვენებს, რომ ადამიანის უსაფრთხოება არც მხოლოდ შემოსავლით და არც მხოლოდ სოციალური ტრანსფერით არ იზომება. უსაფრთხო ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვისაც აქვს არა მხოლოდ მიმდინარე მოხმარების, არამედ მომავლის დაგეგმვის რეალური შესაძლებლობა. ასეთ შესაძლებლობას ქმნის სტაბილური, მაგრამ დინამიკური შრომის ბაზარი; ხარისხიან მომსახურებებზე წვდომა; შოკის დროს მხარდაჭერის მექანიზმი; და სოციალური გარემო, სადაც წინსვლა მხოლოდ დაბადების ადგილს, ოჯახის რესურსს ან შემთხვევითობას არ ეფუძნება.

ეკონომიკური მდგრადობის, სოციალური თანასწორობისა და კონკურენტუნარიანობის ერთიანი ჩარჩო

ეკონომიკური მდგრადობა, სოციალური თანასწორობა და კონკურენტუნარიანობა ხშირად ცალკე პოლიტიკურ მიმართულებებად განიხილება. სინამდვილეში, ისინი ერთი განვითარების მოდელის სამ განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს. ეკონომიკური მდგრადობა ნიშნავს ეკონომიკის უნარს, შეინარჩუნოს ფუნქციონირება და განვითარების რესურსი შოკის პირობებში. სოციალური თანასწორობა გულისხმობს არა შედეგების სრულ გათანაბრებას, არამედ საბაზო შესაძლებლობებზე, ძირითად სერვისებსა და განვითარების არხებზე სამართლიან წვდომას. კონკურენტუნარიანობა კი არის პროდუქტიულობის, ცოდნის, ინოვაციისა და ორგანიზაციული ხარისხის საფუძველზე ღირებულების შექმნის უნარი.

ამ ჩარჩოს ლოგიკა ასეთია: კონკურენტუნარიან ეკონომიკას სჭირდება კვალიფიციური, ჯანმრთელი და მოტივირებული ადამიანი; ასეთი ადამიანის ფორმირებისთვის საჭიროა განათლებაზე, ჯანმრთელობასა და ღირსეულ დასაქმებაზე წვდომა; ამ წვდომის შენარჩუნებას კი სჭირდება ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია შექმნას სამუშაო, და სახელმწიფო, რომელსაც აქვს კრიზისულ ვითარებაში მხარდაჭერის რესურსი. ამდენად, სოციალური პოლიტიკა მხოლოდ ეკონომიკური

განვითარების „ხარჯი“ არ არის. თუ იგი სწორად არის დაკავშირებული განათლებასთან, შრომის ბაზართან და ჯანდაცვასთან, სოციალურ პოლიტიკას შეუძლია იქცეს პროდუქტიულობისა და კონკურენტული უპირატესობის წინაპირობად.

თანასწორობის პრინციპი ამ ჩარჩოში ეფუძნება შესაძლებლობების გაფართოებას. როდესაც საზოგადოების ნაწილს არ აქვს აუცილებელ სერვისებზე წვდომა ან ტექნოლოგიური და გეოგრაფიული ბარიერების გამო ვერ მონაწილეობს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქვეყანა კარგავს შესაძლო ინოვატორებს, კვალიფიციურ მუშაკებსა და მეწარმეებს. უთანასწორობა ამგვარად არა მხოლოდ განაწილების, არამედ რესურსების გამოუყენებლობის პრობლემაცაა. უფრო ინკლუზიური სისტემა ზრდის ეკონომიკის ცოდნით, განსხვავებული გამოცდილებითა და ფართო მონაწილეობით განახლების შესაძლებლობას.

ეკონომიკური მდგრადობა მოითხოვს, რომ ზრდის წყაროები მრავალფეროვანი და ადაპტირებადი იყოს. მაგრამ დივერსიფიკაცია მხოლოდ სექტორების ჩამონათვალის გაფართოებას არ ნიშნავს. ის გულისხმობს ცოდნის, უნარების, ფინანსური შესაძლებლობებისა და ბაზრებთან კავშირის ისეთ განაწილებას, რომელიც ამცირებს ერთ შოკზე დამოკიდებულებას. ამასთან, სოციალური მდგრადობა უზრუნველყოფს, რომ გარდაქმნის პროცესში ადამიანები არ აღმოჩნდნენ პროცესის მიღმა. გადამზადება, აქტიური დასაქმების სერვისები და სამართლიანი სოციალური მხარდაჭერა გარდამავალ პერიოდს არა პასიურ ლოდინად, არამედ ახალი შესაძლებლობის პერიოდად აქცევს.

აღნიშნული ერთიანი სისტემური ჩარჩო გამორიცხავს მცდარ დილემას ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის. ეფექტიანობა, რომელიც ადამიანისეულ კაპიტალს აცლის რესურსს ან ზრდის მასშტაბურ დაუცველობას, საბოლოოდ თვითონვე კარგავს საფუძველს. სოციალური სამართლიანობა, რომელიც არ ითვალისწინებს წარმოების, ინოვაციისა და ფინანსური მდგრადობის მოთხოვნებს, ვერც გრძელვადიანად შეძლებს დაცვის უზრუნველყოფას. სინთეზური პოლიტიკის ამოცანაა, ეკონომიკური გადაწყვეტილებისას წინასწარ დაინახოს სოციალური შედეგი, ხოლო სოციალური გადაწყვეტილებისას — მისი კავშირი დასაქმებასთან, პროდუქტიულობასთან და სახელმწიფო შესაძლებლობებთან.

დეტერმინანტების ურთიერთგაძლიერება და კასკადური რისკების მექანიზმები

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში რისკები იშვიათად მოქმედებს იზოლირებულად. ერთი სფეროს სისუსტე ხშირად სხვა სფეროს პრობლემას აძლიერებს და წარმოქმნის კასკადურ ეფექტს. კასკადი იწყება მაშინ, როდესაც საწყისი შოკი არსებულ მოწყვლადობას ხვდება: ეკონომიკური რყევა ზემოქმედებს შემოსავალზე; შემოსავლის შემცირება ზღუდავს მოხმარებასა და ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებას; ეს ამცირებს ბიზნესის მოთხოვნას და შრომით შესაძლებლობებს; საბოლოოდ კი იზრდება სახელმწიფო სისტემებზე ზეწოლა. თუ ინსტიტუტები რეაგირებენ ფრაგმენტულად, კასკადი ღრმავდება.

პირველი მექანიზმი ეკონომიკურ და სოციალურ რისკს შორის გადაცემა არის. ინვესტიციისა და საწარმოო აქტივობის შემცირება შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს დასაქმების გაუარესებაში. დასაქმების გაუარესება შინამეურნეობას აიძულებს შეამციროს მოხმარება და გადადოს განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯი. ამ დროს სოციალური დაცვა მნიშვნელოვან ბუფერად იქცევა, მაგრამ თუ იგი მხოლოდ შემოსავლის დროებით ჩანაცვლებას ახერხებს და არ ქმნის შრომის ბაზარზე

დაბრუნების გზას, რისკი შესაძლოა ხანგრძლივი დამოკიდებულებისა და იზოლაციის ფორმაში გადაიზარდოს.

მეორე მექანიზმი ტექნოლოგიურ ცვლილებასა და უთანასწორობას შორის კავშირია. ტექნოლოგიური განახლება ზრდის მათ შესაძლებლობებს, ვისაც უკვე აქვს შესაბამისი ცოდნა, კავშირი და რესურსი. იმ ჯგუფებისთვის კი, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი სწავლებაზე ან ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, იგივე პროცესი შეიძლება დასაქმების რისკად გადაიქცეს. თუ გადამზადება დაგვიანებულია ან შერჩევითად ხელმისაწვდომი, განსხვავება უნარებში შემოსავლის განსხვავებად, შემდეგ კი ფართო სოციალურ უთანასწორობად გარდაიქმნება. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიური პოლიტიკის სოციალური კომპონენტი არ არის დამხმარე დანამატი; ის ტრანსფორმაციის უსაფრთხოების პირობაა.

მესამე მექანიზმი რეგიონულ უთანასწორობასა და ეროვნული კონკურენტ-უნარიანობის ურთიერთქმედებას აჩვენებს. შესაძლებლობების ტერიტორიული კონცენტრაცია აფერხებს ადგილობრივი ადამიანისეული და ეკონომიკური რესურსის გამოყენებას. რეგიონებში მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სამუშაოს სიმწირე ამცირებს მათ მონაწილეობას საერთო ეკონომიკურ განვითარებაში და ზრდის სოციალურ დაშორებას. შედეგად, ეროვნული კონკურენტუნარიანობა კარგავს მასშტაბს და ინკლუზიურობას. რეგიონული თანასწორობა ამდენად არ არის მხოლოდ სოციალური კომპენსაციის საკითხი; იგი ქვეყნის ეკონომიკური ბაზის გაფართოების საშუალებაა.

მეოთხე მექანიზმი ნდობასა და ინსტიტუციურ გამძლეობას ეხება. კრიზისის დროს მოქალაქის მზადყოფნა, ითანამშრომლოს საჯარო ინსტიტუტებთან, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სამართლიან და გასაგებ წესებად აღიქვამს იგი პოლიტიკას. არათანმიმდევრული კომუნიკაცია, გაურკვეველი კრიტერიუმები ან მხარდაჭერის მიუწვდომლობა ამცირებს ნდობას. ნდობის შემცირება თავის მხრივ ართულებს როგორც რეფორმის განხორციელებას, ისე კრიზისის მართვას. ამგვარად, ინსტიტუციური ხარისხი არა მხოლოდ ადმინისტრაციული ეფექტიანობის, არამედ კასკადური რისკების შეჩერების ფაქტორია.

კასკადის შეჩერება მოითხოვს სამგვარ მექანიზმს: ადრეულ სიგნალს, დამცავ ბუფერს და აღდგენის არხს. ადრეული სიგნალი გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური და რეგიონული რისკების ერთიან მონიტორინგს, რათა პრობლემა მაშინ გამოვლინდეს, როდესაც მისი მართვა შედარებით მცირე რესურსით არის შესაძლებელი. დამცავი ბუფერი მოიცავს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მიზნობრივ სოციალურ დაცვასა და კრიტიკული სერვისების უწყვეტობას. აღდგენის არხი კი გულისხმობს გადამზადებას, დასაქმების ხელშეწყობას, მცირე და საშუალო ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერასა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის აღდგენას. მხოლოდ ბუფერი ადამიანს პასიურ მდგომარეობაში ტოვებს, მხოლოდ აღდგენის არხი კი შესაძლოა დაგვიანებული აღმოჩნდეს; საჭიროა ორივეს ურთიერთშეთანხმება.

ქვეყნისა და ადამიანის უსაფრთხოების ურთიერთკავშირი

ქვეყნის (სახელმწიფოს) და ადამიანის უსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს როგორც ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიები. ძლიერი სახელმწიფო შესაძლებლობები — სტაბილური ფინანსები, ფუნქციური ინფრასტრუქტურა, ეფექტიანი მმართველობა, განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა — ქმნის იმ გარემოს, რომელშიც ადამიანს შეუძლია დაგეგმოს მომავალი. მაგრამ ეს

შესაძლებლობები მდგრადი ვერ იქნება, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუცველია, არ აქვს ხარისხიანი განათლება, ღირსეული სამუშაო ან აუცილებელი მომსახურებებისადმი წვდომა.

ამ ურთიერთკავშირის ანალიტიკური ჯაჭვი შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: გლობალური შოკი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე; ეროვნული პროცესები ცვლის დასაქმების, ფასების, შემოსავლებისა და სოციალური სერვისების პირობებს; ინდივიდის მოწყვლადობა კი იწვევს ადამიანისეული კაპიტალის შესუსტებას, მოთხოვნის შემცირებას, უთანასწორობისა და სოციალური დაძაბულობის ზრდას. საბოლოოდ, ეს უკან უბრუნდება ეროვნულ დონეს და ამცირებს ეკონომიკის ადაპტაციურ უნარს. ამიტომ უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა წყვეტდეს არა მხოლოდ ჯაჭვის ბოლო რგოლის, არამედ რისკის წარმოშობის მიზეზების პრობლემასაც.

ამ ჯაჭვის მეორე მიმართულება პოზიტიურ ურთიერთგაძლიერებას აჩვენებს. თუ ეროვნული განვითარების პოლიტიკა ქმნის ინვესტირების, ინოვაციისა და ხარისხიანი სამუშაოს პირობებს, იზრდება ადამიანთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პროფესიული შესაძლებლობა. თუ სოციალური სისტემა მათ შოკის დროს დაცვასა და უნარების განახლებაში ეხმარება, შრომითი პოტენციალი არ იკარგება. შედეგია უფრო მოქნილი ეკონომიკა, უფრო მაღალი ნდობა და უკეთესი მზადყოფნა ახალი ცვლილებისთვის. სოციალური უსაფრთხოება აქ ეკონომიკური უსაფრთხოების შედეგი კი არა, მისი შექმნის თანამონაწილეა.

მდგრადი კონკურენტუნარიანობა სწორედ ამ წრედის გაწყვეტისა და პოზიტიურ კონტურად გარდაქმნის შესაძლებლობაა. მისი არსი არის ისეთი ეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელშიც პროდუქტიულობის ზრდა, ინოვაცია და საერთაშორისო კავშირები ქმნის ფართო სოციალურ სარგებელს. კონკურენტუნარიანობა, რომელიც მიღწეულია შრომითი დაუცველობის, სოციალური ხარჯების გადადების ან გარემოსდაცვითი დანაკარგების ხარჯზე, მოკლევადიანია. პირიქით, ადამიანისეულ კაპიტალში, სოციალურ ნდობასა და ინსტიტუციურ ხარისხში ინვესტირება ზრდის ქვეყნის უნარს, გაუძლოს გაურკვევლობას და გამოიყენოს ცვლილებით წარმოქმნილი შესაძლე-ბლობები.

ინსტიტუციური და პოლიტიკის რეკომენდაციები

პირველი მიმართულება არის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრირებული სტრატეგიის ჩამოყალიბება. ამ სტრატეგიამ უნდა დააკავშიროს ეკონომიკური ზრდა, კონკურენტუნარიანობა, სოციალური დაცვა, შრომის ბაზრის განვითარება, განათლება და რეგიონული პოლიტიკა. მისი შესრულება უნდა ეფუძნებოდეს არა იზოლირებულ უწყებრივ გეგმებს, არამედ საერთო მიზნებს, გაზომვად მაჩვენებლებსა და რეგულარულ შეფასებას. სტრატეგიის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს „უსაფრთხოების ზემოქმედების“ წინასწარი შეფასება: ეკონომიკური ან სოციალური გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ ჯგუფებს, ტერიტორიებსა და სისტემურ რისკებს შეეხება იგი.

მეორე მიმართულება მაკროეკონომიკური და საწარმოო მდგრადობის გაძლიერებაა. საჭიროა ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ინოვაციური საქმიანობის, ადგილობრივი ღირებულების შექმნისა და ბაზრების მრავალფეროვნების ხელშეწყობა. ამასთან, კრიზისის მართვის ინსტრუმენტები წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული, რათა ფინანსურ ან საგარეო შოკზე რეაგირება დროული, მიზნობრივი და სოციალურად სამართლიანი იყოს. ასეთი წინასწარი მომზადება მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკური

შეზღუდვის, არამედ მისი დასაქმებაზე, ფასებზე და საბაზისო სერვისებზე შესაძლო გავლენის სცენარების დამუშავებას.

მესამე მიმართულებაა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა. პროფესიული განათლება და გადამზადება უნდა პასუხობდეს ტექნოლოგიურ ცვლილებასა და ეკონომიკის რეალურ მოთხოვნას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების, ქალების, რეგიონების მოსახლეობისა და შრომის ბაზრიდან გამოთიშვის მაღალი რისკის მქონე ჯგუფების შესაძლებლობებს. სამუშაოს შექმნის პოლიტიკა ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი სამუშაოს ხარისხსაც — უსაფრთხო პირობებს, სტაბილურობასა და სამართლიან ანაზღაურებას — ითვალისწინებს. დასაქმების სერვისები, განათლების პროვაიდერები და დამსაქმებლები უნდა მოქმედებდნენ დაკავშირებულ სისტემად, რათა უნარების განვითარება რეალურ სამუშაო შესაძლებლობად გარდაიქმნას.

მეოთხე მიმართულება სოციალური დაცვის პრევენციულ და ინკლუზიურ მოდელად გარდაქმნაა. დახმარებისა და მომსახურებების სისტემა უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, მონაცემებზე დაფუძნებული და მორგებული ცხოვრებისეული რისკების მრავალფეროვნებაზე. სოციალური მხარდაჭერა აუცილებელია დაუკავშირდეს დასაქმების, განათლებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობ სერვისებს, რათა იგი დაუცველობის შემცირების აქტიურ ინსტრუმენტად იქცეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომსახურების მიღების ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებასა და იმგვარ კომუნიკაციას, რომელიც ადამიანს მხარდაჭერის სისტემის გამოყენების რეალურ შესაძლებლობას მისცემს.

მეხუთე მიმართულება რეგიონული და სოციალური თანასწორობის უსაფრთხოების პოლიტიკაში ინტეგრირებაა. ეროვნული პროგრამები უნდა შეფასდეს მათი ტერიტორიული ხელმისაწვდომობის მიხედვით: ვის აქვს ინფორმაცია, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, ციფრული კავშირი და სერვისით სარგებლობის დროითი შესაძლებლობა. რეგიონული განვითარების პოლიტიკა უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობას, პროფესიულ უნარებსა და საჯარო მომსახურებებს, რათა იგი მხოლოდ ფიზიკური პროექტების ერთობლიობად არ დარჩეს. ამ გზით შესაძლებელი გახდება ადგილობრივი პოტენციალის ეკონომიკურ რესურსად გარდაქმნა და ადამიანების საზოგადოებისაგან იზოლაციის რისკის შემცირება.

მეექვსე მიმართულება არის კვლევითი და კოორდინაციული შესაძლებლობების განვითარება. ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერდისციპლი-ნური ინსტიტუტის ან ამ ფუნქციის მქონე სტაბილური კვლევით-პოლიტიკური პლატფორმის შექმნა ხელს შეუწყობდა რისკების სისტემურ მონიტორინგს, მონაცემთა ინტეგრირებას, პოლიტიკის შედეგების შეფასებასა და უწყებებს შორის კოორდინაციას. ასეთი მექანიზმი განსაკუთრებით ღირებულია მაშინ, როცა საფრთხეები სწრაფად იცვლება და ერთ სფეროში წარმოშობილი პრობლემა სხვა სფეროებში ვრცელდება. პლატფორმამ უნდა გააერთიანოს ეკონომიკური, სოციალური, შრომითი, საგანმანათლებლო და რეგიონული მონაცემების ანალიზი, რათა პოლიტიკა დაგვიანებული რეაგირებიდან პრევენციულ მართვაზე გადავიდეს.

მეშვიდე მიმართულება ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებაა. ინტეგრირებული პოლიტიკა ვერ იქნება შედეგიანი, თუ მისი მიზნები, კრიტერიუმები და მოსალოდნელი შედეგები საზოგადოებისთვის გაუგებარია. აუცილებელია რეგულარული საჯარო შეფასება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და იმის ჩვენება, თუ როგორ უკავშირდება კონკრეტული ეკონომიკური ღონისძიება ადამიანის ყოველდღიურ უსაფრთხოებას. გამჭვირვალე მმართველობა

ამცირებს გაურკვევლობას, ზრდის თანამშრომლობის მზადყოფნას და აძლიერებს ინსტიტუტების მოქმედების სოციალურ ლეგიტიმაციას.

ამ რეკომენდაციების განხორციელება მოითხოვს პრიორიტეტების თანმიმდევრობას. პირველ ეტაპზე საჭიროა ერთიანი ანალიტიკური ჩარჩოსა და რისკების მონიტორინგის დამკვიდრება; შემდეგ — უწყებათაშორისი კოორდინაციისა და რეაგირების პროცედურების გაძლიერება; ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში — ადამიანისეულ კაპიტალში, ინოვაციასა და რეგიონულ შესაძლებლობებში თანმიმდევრული ინვესტირება. ასეთი მიმდევრობა შესაძლებელს ხდის, რომ პოლიტიკა ერთდროულად იყოს რეალისტური, გაზომვადი და მომავლისკენ მიმართული.

დასკვნა

გაურკვევლობისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნული განვითარებისა და ადამიანის კეთილდღეობის საერთო საფუძველი. მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა, ეკონომიკური და ფინანსური რყევები, ტექნოლოგიური ცვლილება და რესურსებზე კონკურენცია ქმნის ისეთ მაკროსისტემურ გარემოს, რომელშიც ცალკეული, მოკლევადიანი გადაწყვეტილებები საკმარისი აღარ არის. უსაფრთხოება მოითხოვს სისტემური კავშირების დანახვას და იმ ფაქტის აღიარებას, რომ გლობალური, ეროვნული, რეგიონული და ინდივიდუალური პროცესები ერთიანი დინამიკის ნაწილებია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის უსაფრთხოება დამოკიდებულია ეკონომიკის ადაპტაციურობასა და მდგრად კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო ადამიანის უსაფრთხოება — დასაქმებაზე, შემოსავლებზე, სოციალური დაცვის ეფექტიანობასა და არსებით რესურსებზე თანასწორ წვდომაზე. ამ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირი ორმხრივია: ეროვნული სისუსტეები ზრდის ინდივიდუალურ დაუცველობას, ხოლო ფართომასშტაბიანი სოციალური დაუცველობა ასუსტებს სახელმწიფოს განვითარების პოტენციალს. ამ უკუკავშირის უგულებელყოფა წარმოშობს კასკადური რისკების საფრთხეს, მაშინ როცა მისი გააზრება ქმნის პოზიტიური ურთიერთგაძლიერების შესაძლებლობას.

ეკონომიკური მდგრადობის, სოციალური თანასწორობისა და კონკურენტუნარიანობის ერთიანი ჩარჩო აჩვენებს, რომ ეს მიზნები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. კონკურენტული ეკონომიკის საფუძველია დაცული, განათლებული და ადაპტაციის უნარის მქონე ადამიანი; სოციალური დაცვის მდგრადი შესაძლებლობა კი დაკავშირებულია პროდუქტიული ეკონომიკისა და ეფექტიანი ინსტიტუტების არსებობასთან. შესაბამისად, სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს განვითარების პოლიტიკის ორგანული ნაწილი, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკა — ადამიანის უსაფრთხოების გათვალისწინებით შემუშავებული.

ამიტომ პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს ინტეგრირებული, გრძელვადიანი და ადაპტირებადი მიდგომა. მისი მიზანი არა მხოლოდ კრიზისის შედეგების შემსუბუქება, არამედ რისკების წინასწარ ამოცნობა, ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერება, ინსტიტუტების კოორდინაცია და ზრდის სოციალური სარგებლის გაფართოება უნდა იყოს. სწორედ ამ პირობებში შეიძლება ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გადაიქცეს არა დაუცველობის წყაროდ, არამედ ქვეყნისა და ადამიანის უსაფრთხოების მდგრად საყრდენად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი, გ., & ჭარაია, ვ. (2026). უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის ეპოქაში: კონცეპტუალური საფუძვლები და სტრატეგიული გამოწვევები. საქართველოს ეკონომისტთა VIII ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: "საქართველოს ეკონომიკა გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: გამოწვევები და შესაძლებლობები." სამხრეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 101-117. https://www.researchgate.net/publication/414258515

2. ბედიანაშვილი, გ. (2023). გლობალური განუზღვრელობა და მდგრადი კონკურენტუნარიანობა. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდანმე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: *მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით.* თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 21-26.

3. ბედიანაშვილი გ., კოხრეიძე გ., მიქელაძე ნ. (2024). გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: *''მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები''.* აწსუ, ქუთაისი, 67-82.

4. ბედიანაშვილი გ. (2024). ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტები გაურკვევლობის და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული: *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისი, 67-72. https://tsu.ge/assets/media/files/7/globalizacia-2024%20(1).pdf

5. ვეშაპიძე, ვ. (2024). უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში. *ეკონომისტი*, 20 (4).

6. Ahir H., Bloom N., & Furceri D, 2023. Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. Retrieved February 2, 2024, from https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth.

7. Bedianashvili, G. (2024). Sustainable Competitiveness and Economic Security in the Modern Condition of Globalization. Materials of XVII International Research and Practical Conference: *«World Trends and Prospects for the Development of the Financial System of Ukraine» «WTPDFSU'2024»*. Taras Shevchenko National University of Kyiv.

8. Bedianashvili G. (2023a). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.

9. Bedianashvili, G. (2023b). Confrontational globalization and global sustainable competitiveness of small countries. Proceedings of the 5th National Scientific Conference: Positioning of the Georgian economy in the conditions of confrontational globalization. Tbilisi, Gruni. 172-179. https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-172-179 (In Georgian).

10. Bedianashvili G., & Kokhreidze G. (2024) Global Sustainable Competitiveness for Countries on the Way toward EU Integration. *TEM Journal.* 13(2):1684-1694. https://doi.org/10.18421/TEM132-81U

11. Bochko, O. Y., Maletska, O. I., Tsitska, N., & Kapral, O. R. (2022). Paradigm of a Country Competitiveness Under Conditions of Digital Economy. *Review of Economics and*

Finance, 20, 572–580. Retrieved September 27, 2023, from HYPERLINK "https://doi.org/10.55365/1923.X2022.20.65" https://doi.org/10.55365/1923.X2022.20.65 .

12. Cook, S., & Kabeer, N. (2009). *Socio-economic security over the life course: A global review of social protection*. Institute of Development Studies. Retrieved from HYPERLINK "https://gsdrc.org/document-library/socio-economic-security-over-the-life-course-a-global-review-of-social-protection/" https://gsdrc.org/document-library/socio-economic-security-over-the-life-course-a-global-review-of-social-protection/

13. Gordon, D. (2012). Socio-Economic Security. In: van der Maesen, L.J.G., Walker, A. (eds) Social Quality. Palgrave Macmillan, London. HYPERLINK "https://doi.org/10.1007/978-0-230-36109-6_6" https://doi.org/10.1007/978-0-230-36109-6_6

14. Ignatov, A. (2019). *Analysis of the dynamics of the European economic security in the conditions of a changing socio-economic environment*. New Medit, 18(2), 15–56. HYPERLINK "https://doi.org/10.30682/nm1902b" https://doi.org/10.30682/nm1902b

15. Jianu, I. (2023). Developing an economic and social security index for Euro-Atlantic area countries: A panel data analysis. *Journal of Business Economics and Management*, *24*(1), 112-135. HYPERLINK"https://doi.org/10.3846/jbem.2023.18610"\t"_new" https://doi.org/10.3846/jbem.2023.18610

16. OECD (2025), *Economic Security in a Changing World*, New Approaches to Economic Challenges, OECD Publishing, Paris, HYPERLINK "https://doi.org/10.1787/4eac89c7-en" https://doi.org/10.1787/4eac89c7-en .

17. Papava, V., Bedianashvili, G. (2024). Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty. HYPERLINK "https://www.researchgate.net/journal/Bulletin-of-the-Georgian-National-Academy-of-Sciences-0132-1447?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6ImxvZ2luIiwicGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicHJldmlvdXNQYWdlIjoicHJvZmlsZSIsInBvc2l0aW9uIjoicGFnZUhlYWRlciJ9fQ" *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* , 18(3), 174-180.

18. Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. HYPERLINK "https://www.researchgate.net/journal/Bulletin-of-the-Georgian-National-Academy-of-Sciences-0132-1447?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6ImxvZ2luIiwicGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicHJldmlvdXNQYWdlIjoicHJvZmlsZSIsInBvc2l0aW9uIjoicGFnZUhlYWRlciJ9fQ" *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* . 17(3):116-120.

19. Papava V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved November 17, 2023, from HYPERLINK "https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I" https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I .

20. SolAbility (2025). *The GSCI: Global Sustainability Competitivenes Index*. https://solability.com/news-insights/global-sustainable-competitiveness-index-gsci-2025

Givi Bedianashvili

FROM MACROSYSTEM TO INDIVIDUAL: FACTORS SHAPING SOCIO-ECONOMIC SECURITY AMIDST RISING UNCERTAINTY AND GEOPOLITICAL FRAGMENTATION

Summary

The transformation of the modern global economy has established socio-economic security as a central prerequisite for both national resilience and a dignified human life. Geopolitical tensions, the fragmentation of production and trade networks, financial volatility, accelerating technological change, and mounting pressure on natural resources create interconnected risks that can no longer be managed through the actions of a single sector or institution alone. This paper aims to analyze the macrosystemic determinants of socio-economic security—at both the national and individual levels—and to conceptually synthesize their interrelationships within the context of uncertainty and confrontational globalization. The study employs systemic, institutional, and comparative-analytical approaches. Social and economic processes are viewed as a multi-level system in which global changes impact an individual's situation through the national economy, the labor market, income levels, social protection, and access to essential resources. Conversely, the status of individuals and households—through a feedback loop—shapes economic productivity, public trust, and the state's capacity for development. The scientific novelty of this paper lies in presenting national competitiveness and human security not as separate objectives, but as a mutually reinforcing security framework. The concluding section proposes institutional and policy directions that integrate an adaptive state strategy, the prevention of social risks, inclusive economic development, and principles of knowledge-based governance.

***Keywords**: Socio-economic security; macro-systemic determinants; confrontational globalization; uncertainty; sustainable competitiveness; social protection; employment; institutional resilience.*

George Berulava

AI-Enabled Food Traceability and Digital Marketing Interfaces: Consumer Trust, Engagement, and Purchase Behavior

***Annotation**. In recent years, with the introduction of digital food traceability tools, the ways consumers receive relevant product information have changed dramatically. At the same time, the accessibility to larger amounts of data alone does not guarantee that customers will use or trust this data. In this context, the use of artificial intelligence (AI) is gaining particular interest. Specifically, the usage of AI assistants that can answer questions, select relevant facts, and substantially change the modes in which traceability information is presented to consumers, reducing the effort needed to assess food origin, safety, and quality. In this way, AI effectively complements digital food traceability in influencing consumers' trust, engagement, and purchase behavior. The current paper reviews the recent academic studies on AI-enabled food traceability, blockchain verification, QR-code communication, consumer trust, and AI-based marketing interfaces, to develop an integrated view of how the reliability of traceability data and the design of the consumer interface may shape trust, engagement, and purchase behavior of consumers. The empirical evidence suggests that while verified traceability can increase perceived quality, transparency, and trust, no less important are AI interfaces, which increase consumer engagement through easing their efforts in obtaining relevant information. These effects on consumer responses, in turn, depend on such factors as product risk, technology anxiety, technology readiness, brand familiarity, and consumer knowledge. A key gap in existing academic literature revealed by the current review is that most studies examine either reliable traceability data or effective digital interfaces, while their joint effect on consumers' engagement and behavior remains relatively unstudied. Based on this finding,*

the paper proposes a research agenda in which blockchain, or other verified traceability, is combined with AI-based consumer interfaces. The employment of field experiments and observed purchase behavior is required to explore the link between trust and engagement on the one hand, and willingness to pay and actual purchases on the other.

Keywords: *artificial intelligence; food traceability; digital marketing; consumer trust; consumer engagement; blockchain; QR codes; purchase behavior.*

1. Introduction

The functioning of food markets is characterized by the asymmetry of information between producers and consumers, which arises from the fact that food products may contain many attributes that cannot be checked at the point of purchase. Specifically, origin, production methods, safety controls, environmental practices, and movement through the supply chain may remain unknown to the buyer, thus creating information gaps between producers and consumers. Digital traceability systems, exactly, have been designed in part to reduce these information gaps by supplying consumers with information about the origin of food, its production and distribution characteristics. The blockchain system that ensures digital traceability of food products supports product claims with verifiable records, since the records stored in this system are less likely to change over time. The recent empirical research finds that blockchain labels can increase perceived food quality and purchase intention, with stronger effects for less familiar brands (Treiblmaier & Garaus, 2023).

However, the availability of reliable information does not mean that consumers will comprehend it properly. For example, a QR code may contain several pages of technical data and information that the consumer, after scanning the code, must find, interpret, and decide whether it is relevant. Such informational overload can create certain challenges for consumers in perceiving and understanding the provided information.

The salience of this issue has risen drastically with an increase in the use of AI in consumer interfaces. An AI traceability assistant, which can be viewed as an interface between complex supply-chain data and consumer decisions, substantially simplifies the process of accessing and comprehending product-related information for consumers. This interface selects information from the traceability record and provides it to consumers in a short and simple form upon their request.

Lu et al. (2025), based on information overload theory and using three experiments involving 747 valid responses, investigated the impact of AI traceability assistant design on positive consumer engagement behaviors and its underlying mechanism. According to study results, the AI traceability assistant has a significant impact on positive consumer engagement behaviors, and this effect is mediated by perceived ease of use of the system. Moreover, the authors find that perceived product risk positively moderates the impact of the AI traceability assistant on perceived system ease of use. The study concludes that the value of AI may lie less in supplying additional information and more in making existing information easier to use.

This paper aims to explore the existing literature on the emerging link between traceability technology and digital marketing interfaces, and their effect on the following three marketing outcomes: consumer trust, engagement, and purchase behavior. We consider these outcomes as an interconnected process rather than individual results of technology adoption. Within this process, the interface makes the evidence accessible, and consumer perceptions then determine whether the evidence is trusted, used, and converted into purchase decisions.

The main contributions of the paper can be defined as follows. ***First***, in this study, research on blockchain traceability and research on AI marketing interfaces are brought together. ***Second***, we made a distinction between **information reliability** and **information transmissibility**, where the former reflects whether product information can be verified and the latter concerns whether consumers can access and understand it with little effort. ***Third***, based on an examination of existing literature, the gaps in the current empirical evidence were identified and used to develop a research agenda focused on the joint effects of AI, verified traceability, and interface design.

2. Digital Traceability as a Consumer Trust Mechanism

As already mentioned in the introduction, the process of food product choice is associated with information asymmetry and resulting uncertainty regarding product quality. The important factor that influences consumers' food choice, in situations where the quality of the product cannot be assessed before it is consumed, is trust. Traceability is exactly the trust-generating instrument that reduces uncertainty related to food product quality by providing information on origin, production, processing, and distribution.

In recent periods, in academic literature, blockchain-based systems have been studied as a mechanism of strengthening quality signals for food products. For instance, drawing on signaling theory, Treiblmaier and Garaus (2023) conducted two experiments to examine the effects of the usage of blockchain to trace product quality on the perception of product quality and on purchase intentions. The study revealed that blockchain labels, working as a signaling mechanism in food supply chains, have a positive impact on perceived quality of food products and further on purchase intention. The results of the study also show that this effect is stronger for less familiar brands.

Similarly, using signaling theory, structural equation modelling and an online survey of 415 Chinese consumers, Tao and Chao (2024) examined the effects of a blockchain-based food traceability system on online purchase intentions of consumers of organic agricultural products. The findings of the study indicate that blockchain-based food traceability has a significant and positive impact on purchase intention of organic agricultural products. The study also uncovers the mediating effects of product quality perceptions, product trust, and environmental information transparency in the relationship between the blockchain-based food traceability system and consumer purchase intention.

Lam et al. (2025), based on commitment-trust theory, examined the effects of the quality of traceability information on consumer trust in the context of food safety. The results of a consumer-based questionnaire survey on Australian and Taiwanese samples showed that the traceability of product-related information positively influences consumer trust, which in turn has a positive impact on purchase intention. Also, the study suggests that perceived risk increases the perceived informativeness of traceability systems.

The interesting findings on the relationships between blockchain-based food traceability systems, consumer trust in organic food products, and their intention to buy these products provide Duong et al. (2024) study. The study, employing a targeted sample of 5,326 consumers in Vietnam and the moderated mediation PROCESS macro model, revealed that blockchain-based food traceability systems positively affect consumer trust and consumers' purchase intention to buy organic food products. The study reveals the mediating role of consumer trust in this relationship, as well as the negative moderating effect of technology anxiety.

Another important factor to consider is the consumer knowledge and valuation of blockchain-based traceability. Rao et al. (2023) conducted a randomized experiment to explore the effect of consumers' valuation of blockchain-based traceability in the tea industry in China. The study indicates that consumers valued blockchain-based traceability more than conventional traceability and certification. Also, the authors suggest that an information intervention increased their valuation of blockchain-based traceability.

To summarize, empirical evidence shows that blockchain-based traceability can reduce uncertainty through a trust-creation mechanism, mitigating information asymmetry in food markets. However, in many cases the effect of blockchain technology on the purchase behavior of the consumers of food products is not a direct one. As recent empirical findings reveal, this effect is mediated through such factors as consumer perceptions of information quality, product quality, transparency, risk, and the credibility of the system.

3. From Traceability Data to the Consumer Interface

In this section, we discuss the ways the traceability information reaches the consumer as well as the importance of digital marketing and interface design in this context. For instance, QR codes, which represent a low-cost instrument for providing consumers with information that cannot be fit-

ted on a label, are considered a common bridge between physical packaging and digital information. Tran et al. (2024), using an online choice experiment, examined blockchain traceability and QR-code communication for Feta cheese among 715 Greek consumers. The study finds that ethnocentric consumers placed greater value on blockchain-based traceability and showed stronger intentions to scan QR codes. However, spending more time reading information embedded in QR codes was not related to willingness-to-pay for traceable food products. These findings suggest that more time spent with an interface should not be treated as an indication of greater consumer value.

The empirical evidence also highlights that access to information may be a more important factor influencing consumers' behavior than specific verification technology itself. Collart et al. (2025), using data from two discrete choice experiment surveys on romaine lettuce and spinach, examined consumers' willingness-to-pay for access to blockchain-based traceability information via QR codes in the US. The study finds that a median marginal willingness to pay for access to traceability information through a QR code was about US$1.45 over no access and an additional $0.33-$0.38 if the information is blockchain-verified. These findings mean that though consumers value verified information, most of the premium was linked to access to traceability itself rather than blockchain verification. Thus, a distinction should be made between the back-end and front-end of a traceability system. While the back-end concerns how records are collected, stored, checked, and protected, the front-end concerns how consumers see and use those records. According to empirical evidence, a strong back-end cannot create its full consumer value if the front-end is difficult to use.

This view is further supported by the evidence from mobile food delivery services. Shahzad et al. (2023) studied the key factors affecting customers' attitudes and continued intention in the context of the task technology fit (TTF) model for the use of mobile food delivery apps. The study reveals that customer rating, ordering review, food tracking, navigational design, and user self-efficacy positively impact TTF. Further, it was found that TTF positively influences attitude and continued intention, and in turn, attitude positively influences continued intention. The study confirms that blockchain technology-enabled traceability positively moderates the relationship between TTF, attitudes, and continued intention to use mobile food delivery apps.

To summarize, the above empirical findings show that the marketing role of traceability should consequently be considered not only as a data problem but as an interface problem as well. Thus, the information must be not only credible, but it must also be presented at the point and in the form in which consumers can easily use it.

4. AI as a Traceability and Marketing Interface

Application of AI transforms exactly the front-end of digital traceability, removing the necessity to present information through a fixed menu. With an AI-supported interface, consumers are free to interact with the system and request the information that matters to them. Direct evidence of the effect of AI application on the effectiveness of marketing interface is provided by Lu et al. (2025) study. As discussed above, the study comprised three online experiments conducted using prepared foods and traceability tasks linked to food risk. The AI traceability assistant used in this research was grounded in information-overload theory. The study results show that compared to a traditional interface, the AI assistant increased positive engagement. The study also revealed a mediating effect of perceived ease of use and a positive moderating effect of perceived product risk. This finding shows that the cost of using traceability information is much more important for consumers than the quantity of information. To say it distinctly, detailed product information about its origin, ingredients, safety tests, or production methods may represent value for consumers. At the same time, consumers may not be willing to search for this information through a long digital page. An AI-supported conversational interface reduces the search cost for a consumer.

Further support for the above argument is provided by Li et al. (2025) research on food blockchain adoption. This study integrates the Technology Acceptance Model (TAM) and Technology Readiness (TR) and uses a survey of 322 supermarket consumers conducted in Shenzhen to explore consumer adoption behavior. The study finds that perceived ease of use and perceived usefulness have a positive effect on adoption attitude, which in turn has a significant impact on adoption inten-

tion. The study also reveals a significant moderating effect of optimism and innovativeness within the TAM model. Thus, consumer adoption can depend as much on a simple interaction as on the technical capacity of the traceability system.

Similarly, Wang et al. (2025) study of AI recommendations for functional foods provides further empirical evidence supporting the effectiveness of AI-based marketing interfaces. Specifically, the study explores the impact of AI recommendation features (personalization and transparency), and functional food attributes (perceived health benefits and perceived naturalness), on purchase intention. Perceived packaging and perceived value are considered as mediators in this relationship. The study results indicate that AI-recommended personalization has both direct and indirect impacts on purchase intention. At the same time, the study reveals only an indirect effect of transparency on purchase intention, which is mediated by perceived value. Thus, the study suggests that transparency and personalization perform different roles. While personalization ensures the relevancy of information for the consumer, transparency fosters trust and thus provides support for the assessment of value and credibility.

To summarize, AI-enabled traceability can fulfill multiple roles and satisfy different information needs. For instance, a consumer interested in the origin of food can be provided with provenance data; a consumer concerned about food safety can receive information on testing or ingredients; another consumer may look for information on production methods. At the same time, this flexibility of AI-enabled traceability may cause a new issue of trust. While with a static traceability page, the consumer evaluates the information shown in a fixed menu, with an AI interface, the consumer must also evaluate how information has been selected, summarized, and presented. Thus, one should treat trust in the underlying traceability system and trust in the AI interface differently.

5. An Integrated Consumer Response Framework

Based on the literature review and empirical evidence on the relationship between AI-based traceability of food products, marketing interface, and consumer responses, we propose the following integrated consumer response framework:

Verified traceability → accessible AI interface → perceived ease of use and transparency → trust and engagement → purchase response.

The ***first stage*** of this integrated framework concerns the information reliability issue. As empirical evidence suggests, blockchain or another verification mechanism can strengthen the credibility of information about origin, processing, certification, or movement through the supply chain.

The ***second stage*** concerns information transmissibility or easing of access to information for consumers. AI-based traceability system ensures selection, summarizing, and explanation of relevant information for consumers. Thus, when an AI-based traceability system is available, the consumer is not required to search through the full traceability record.

The ***third stage*** concerns such marketing dimension as consumer perceptions. While ease of use reduces the effort required to obtain information, transparency helps consumers judge whether the information and system are credible. Finally, perceived usefulness indicates whether the interface solves a real consumer problem.

The ***fourth stage*** of the integrated framework comprises other marketing concepts - trust and engagement. As empirical evidence (Wang et al., 2025) suggests, transparency fosters trust, which, in turn, may refer to the producer, retailer, food product, traceability system, or AI interface. These forms of trust represent different constructs. Further, when consumers are engaged, they usually perform the following activities: scanning a code, asking questions, viewing traceability records, or continuing to use an application.

The ***final stage*** concerns the purchase behavior of consumers. In academic literature, several indicators are employed to capture the behavioral dimension of consumers. In some studies, the purchase intention is utilized for this purpose. However, other indicators, such as willingness-to-pay and actual purchase, represent much stronger tests of consumer value. The positive willingness-to-

pay estimates reported by Collart et al. (2025) and Rao et al. (2023) show that traceability can have economic value. Yet, the existing research doesn't provide a clear answer on whether AI-mediated access adds a separate premium.

As empirical evidence suggests, several moderators should also be assumed within this integrated framework. For instance: product risk is likely to increase demand for information; technology anxiety may weaken acceptance of new technology; technology readiness and prior knowledge can ease adoption of digital systems; brand familiarity can reduce the need for technological signals; product type and national context may also change these relationships.

6. Research Gaps and Future Research

This review has revealed several gaps in current research on marketing outcomes of AI-enabled food traceability and consumer interfaces.

The ***first gap*** concerns the relationship between **verification and AI mediation**. The above review shows that while blockchain research explores whether information can be trusted, the AI-interface research is focused on the ease of access to information. However, it's worth mentioning that there is a lack of joint research on these two functions and their interactions. A promising direction for further research would be a design that implies cross-verification of the interaction between traceability and AI. Such a design would allow determining whether AI and verification complement or substitute each other.

Представляется, что в ближайшее десятилетие необходимо покончить с такой ситуацией. Для этого необходимо открывать инновационные предприятия как кожедубильные (производящие разные типы готовых к использованию кож), так и производящие обувь, кожаные куртки, плащи, дамские сумки и т. д. В Грузии ранее тоже существовали небольшие кожедубильные частные предприятия. В России с незапамятных времен производили разные типы качественных кож, существовали и кожедубильные и производящие обувь региональные кластеры. Однако запрет Н. С. Хрущева на частные артели резко снизил объемы производства качественных кож, в том числе и в Грузии. *Следует отметить, что запрет Хрущева на частные артели и на содержание скота в личном подсобном хозяйстве, который, по всей видимости, носил предумышленный характер, нанес сильный ущерб ряду отраслей экономики, в особенности сельскому хозяйству, отраслям легкой и пищевой промышленности; именно тогда в Советском Союзе впервые был спровоцирован* ***искусственный*** *дефицит товаров народного потребления, в частности, продовольственных продуктов и качественных изделий отраслей легкой промышленности (см, например, фильм [Сталинские артели под запретом ...], где приведены некоторые серьезные негативные последствия этого запрета).* В ближайшее десятилетие для организации переработки сельскохозяйственного сырья непосредственно в стране бизнесменам Грузии необходимо закупать современные инновационные технологии (в основном процессные) для дубления кож и привлекать иностранных специалистов для

обучения местных работников. Производить необходимо и сафьяновые кожи (в 70-ые-80-ые годы прошлого века в Грузии производилось небольшое количество кожаных плащей, но они изготовлялись из грубой кожи и были неконкурентоспособны). Представляется, что в сфере дубления кож необходимо организовать **инновационный кластер**, объединяющий мелкие предприятия в разных регионах Грузии, создание, развитие и деятельность которых будет координировать специальное подразделение, которое нам представляется необходимым создать при Грузинском агентстве инноваций и технологий. Что же касается изготовления качественной обуви, пошива кожаных плащей и курток и других изделий из кожи, то здесь тем более без сотрудничества местных бизнесменов с ведущими иностранными фирмами не обойтись. Очень хорошую обувь изготовляют в Китае, США, из Европейских стран в Италии (откуда обувь экспортируется даже в США), Австрии и некоторых других странах. Но трудно будет добиться, чтобы фирмы из этих стран передали нашим предпринимателям соответствующие процессные технологии и обучали наших работников, хотя условия Соглашения об ассоциации Грузии с ЕС в какой-то мере предусматривают эту возможность. А главное и в кожевенно-обувной промышленности нашим предпринимателям следует пытаться заключать соглашения о производстве обуви, кожаных плащей и т. д. с европейскими фирмами выпускающими современную брендовую продукцию.

Выводы

Социально-экономическая безопасность – это состояние защищённости экономики, социальной сферы и институтов государства от внутренних и внешних угроз, обеспечивающее устойчивое развитие, защиту интересов общества и высокий уровень жизни граждан. Современное социально-экономическое развитие сталкивается с рядом вызовом и угроз, многие из которых связаны со структурно-отраслевым (-секторным) развитием экономики. Поэтому в работе по статистическим данным за 2020-2024 годы анализируется динамика развития отраслей (видов деятельности) в Грузии: рассматривается доля видов деятельности (секторов) в ВВП и цепные индексы роста этих секторов. Отмечается, например, что недостаточно быстро растёт доля в ВВП и цепной индекс роста обрабатывающей промышленности (в которую входит много подсекторов). В эти же годы хорошо растёт доля в ВВП и цепной индекс роста в ВВП вида деятельности «информация и коммуникация» (мировая тенденция).

Крупным вызовом к социально-экономическому развитию является ежегодное увеличение отрицательного сальдо между экспортом и импортом продукции (почти трехкратное превышение импорта над экспортом).

Главным вызовом социально-экономической безопасности, который сдерживает размещение в стране высокотехнологичных предприятий, является отсутствие гарантии последующего сбыта намеченной к производству продукции.

Важным фактором для привлечения иностранного капитала в секторы экономики страны является наличие дешевой электроэнергии. Поэтому в ближайшее десятилетие **в секторе энергетики** необходимо сосредоточить усилия на создание электростанций работающих на возобновляемых источниках энергии. Прежде всего необходимо, где это еще возможно, строить ГЭС (поскольку электроэнергия вырабатываемая гидроэлектростанциями самая дешевая), но не на таких кабальных условиях, на каких предполагалось строить каскад Намахванских ГЭС, договор по строительству которого был расторгнут. В ближайшее десятилетие необходимо приступить к широкому строительству инновационных солнечных и, в особенности, ветряных электростанций, при которых, ввиду нестабильности генерации ими электроэнергии в разные периоды, должны существовать накопители энергии.

Для этого (и не только для этого) в Грузии необходимо развивать **электротехническую промышленность**, которая должна научиться производить накопители электроэнергии: литий-ионные аккумуляторы (которые в настоящее время интенсивно совершенствуются, разрабатываются и новые типы аккумуляторов); гравитационные накопители электроэнергии

(которые изобрели совсем недавно); гидроаккумулирующие электростанции (представляется, что в разработку новых типов аккумуляторов должны включиться и грузинские ученые, а государству целесообразно финансировать соответствующие исследования и разработки).

Очень актуальным становится и производство аккумуляторов для электромобилей и самолетов. Поэтому будет своевременным, если и в Грузии научатся производить такие аккумуляторы, а ученые начнут исследовать возможности их утилизации с целью их восстановления и повторного применения.

В электротехнической промышленности Грузии следует задуматься и о строительстве завода по производству солнечных элементов.

В Грузии уже есть несколько заводов по производству **композитных материалов** и, в основном, **изделий из них**. Поскольку уже есть опыт, то и в ближайшее время необходимо создавать новые, признанные в мире актуальными, производства в этом подсекторе. Для этого необходимо создать специальный кластер, инновационный центр которого будет координировать развитие этой отрасли. В первую очередь необходимо создать завод по производству препрегов (т. е. композитных листовых форм), поскольку сами композитные материалы в Грузию в настоящее время завозятся, а изделия из них формируются на местных заводах. Далее можно создать предприятия по производству корпусов и ветровых лопастей из этих препрегов, которые будут пользоваться спросом как на внутреннем, таки на внешнем рынках, корпуса для легковых автомобилей, а на существующем заводе по производству изделий для крупных самолетов открыть линию для производства самолетов малых размеров и т. д..

В **металлургической промышленности** совсем недавно в Швеции разработали безуглеродную технологию выплавки стали. Следует задуматься о создании в будущем завода использующего такую технологию на базе раннее существовавшего в г. Рустави металлургического завода. Однако пока рано говорить о создании такого завода из-за недостатка электроэнергии собственного производства. Но по мере наращивания собственных электроэнергетических мощностей, основанных на возобновляемых источниках энергии, можно будет подумать и о создании таких производств, актуальность которых все более возрастает в свете неизбежного увеличения мероприятий по «зеленой» экономике.

В **информационно-коммуникационных технологиях** есть два направления предпринимательства: производство информационно-коммуникационной аппаратуры и использование и развитие достижений цифровой электроники в других отраслях.

В Грузии, конечно же, нет возможности в ближайшем будущем основать производство современных компьютеров, телевизоров, смартфонов и других основных коммуникационных устройств. Этот рынок прочно освоен транснациональными компаниями и вряд ли какая-либо из них захочет основать совместное с нашими предпринимателями производство по изготовлению, например, современных телевизоров или других основных продуктов. Однако есть возможность использовать и развивать достижения цифровой электроники (ИК технологий) для применения в других отраслях. По некоторым из этих направлений в Грузии уже основан ряд предприятий малого бизнеса. В ближайшее десятилетие на наш взгляд, грузинскому бизнесу необходимо продолжать развивать инициативы в этом направлении, в том числе и при поддержке Грузинского Агентства технологий и инноваций и Агентства «Производи в Грузии» (подробности см. в [ბურდული., 2020; Бурдули В., 2020, Бурдули В., 2021]).

Далее можно предложить по примеру ряда малых стран организовать в подсекторе **транспортного машиностроения** ныне актуальное производство небольших винтовых электросамолетов (которое должно подкрепляться поставкой компонентов из сектора производства композитных материалов и изделий из них и электротехнической промышленности), а также электромобилей.

Теперь о **легкой промышленности**. Снизить негативный уровень экспортно-импортного сальдо можно только постепенно переходя к глубокой стадии переработки

исходного сырья внутри страны. Эта проблема в особенности затрагивает легкую промышленность, продукция которой в страну в значительной мере импортируется. Чтобы возродить отрасли легкой промышленности (текстильную, швейную, кожевенно-обувную) следует отказаться от экспорта шерсти и необработанных кож. Необходимо создавать инновационные текстильные и швейные предприятия, инновационные предприятия по дублению кож (с изготовлением изделий разного типа) и предприятия по изготовлению обуви и других кожевенных изделий, преимущественно заключая для этого соглашения с компаниями-производителями знаменитых брендов (это хотя и трудно, но достижимо).

Использованная литература

1. ბურდული ვახტანგი. ინოვაციური მასალების წარმოება და მათი გამოყენება ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონონიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XI. თბილისი: 2018.
2. ბურდული ვახტანგი. საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, 2020. ელექტრონული რესურსი: https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf
3. Ford вложит $7 млрд в строительство двух заводов для электрокаров. 2021, сентябрь. – Электронный ресурс: https://www.autonews.ru/news/6152f6909a79479ba72a74fa
4. National Accounts of Georgia 2024 (Statistical publication). – Tbilisi, 2026.
5. Statistical Yearbook of Georgia: 2024 / National Statistics Office of Georgia. – Tbilisi, 2025.
6. Бурдули Вахтанг. Классификация видов инноваций и отраслевые проблемы их распространения. – Журнал: Ekonomisti, 2020, №4, Volume XVI. **DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Burduli**
7. Бурдули Вахтанг. Проблемы распространения инноваций в Грузии. – Журнал: Ekonomisti, 2021, №3, Volume XVII. **DOI: 10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.03.Burduli**
8. ВВП на душу населения, ППС (2024) – Всемирный банк. – Электронный ресурс: https://www.worldometers.info/ru/%D0%B2%D0%B2%D0%BF/%D0%B2%D0%B2%D0%BF-%D0%BD%D0%B0-%D0%B4%D1%83%D1%88%D1%83-%D0%BD%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F/?source=wb&region=worldwide&year=2024&metric=ppp
9. Геополитическая фрагментация: три блока и два сценария // ЭКОНС. – URL: https://econs.online/articles/ekonomika/geopoliticheskaya-fragmentatsiya-tri-bloka-i-dva-stsenariya/
10. Геоэкономическая фрагментация несет угрозу продовольственной безопасности и переходу на чистые источники энергии // IMF Blog. – URL: https://www.imf.org/ru/Blogs/Articles/2023/10/03/geoeconomic-fragmentation-threatens-food-security-and-clean-energy-transition
11. Гурков А. 25.09.2020. Батареи для Tesla и накопителей электроэнергии: кто лидеры инноваций? – Электронный ресурс: https://www.dw.com/ru/batarei-dlja-tesla-i-hranenija-jenergii-kto-lidery-innovacij/a-55030825
12. Израиль представил полностью электрический самолет. 2019. – Электронный ресурс: https://www.youtube.com/watch?v=kLC6yMXPpE4
13. Список стран по ВВП (номинал) на душу населения. – Эдектронный ресурс: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD_%D0%BF%D0%BE_%D0%92%D0%92%D0%9F_(%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BD%D0%B0%D0%BB)_%D0%BD%D0%B0_%D0%B4%D1%83%D1%88%D1%83_%D0%BD%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F

14. Логвинова И. В., Горьковенко Н. А. Социально-экономическая безопасность как основа национальной безопасности страны и региона. – Электронный ресурс: https://cyberleninka.ru/article/n/sotsialno-ekonomicheskaya-bezopasnost-kak-osnova-natsionalnoy-bezopasnosti-strany-i-regiona/viewer

15. Ставицкий Андрей. Рынок аккумуляторов ждет революция. Когда они перестанут быстро садиться и взрываться? 19 сентября 2021. – Электронный ресурс: https://lenta.ru/articles/2021/09/19/batareika/

16. Сталинские артели под запретом. Почему Хрущев уничтожал предпринимательство в СССР. _ Электронный ресурс: https://youtu.be/cJEU96kRvqo

17. Турнава Натия. Грузинские джинсы покоряют Европу. Предприятие по пошиву одежды, предоставляющее одежду для знаменитых брендов, намерено расшириться. – Электронный ресурс: https://sputnik-georgia.ru/20210911/gruzinskie-dzhinsy-pokoryayut-evropu-259517647.html

18. Чеботарев А. 2018. Цифровые технологии настоящего и будущего. – АВИА панорама. 2018, №4 (130). – Электронный ресурс: PDF из интернета. Поиск по запросу «виды цифровых технологий».

19. Швеция произвела «революционную» сталь. 19.08.2021. – Электронный ресурс: https://lenta.ru/news/2021/08/19/revolution_steel/

Vakhtang Burduli

Socio-Economic Security and the Development of Georgia's Economic Sectors

Summary

The article examines the development of Georgia's economic sectors within the context of contemporary challenges to socio-economic security. It systematizes current challenges and threats to socio-economic development inherent to a small nation and discusses their impact on structural shifts within the Georgian economy. Against this backdrop, the study proposes a set of measures aimed at the further advancement of specific economic sectors, including energy and electrical technologies, green economy initiatives, cross-sectoral information and communication technologies, composite material technologies, as well as selected branches of heavy and light industries.

Keywords: *development, economic sectors, challenges and threats, socio-economic security.*

Nataliia Hrushchynska

Global Urbanization Trends: The Ukrainian Context

Urbanization is one of the defining processes of contemporary demographic and socioeconomic development. According to UN data, the global population exceeds 8 billion people in 2025, with the urban population continuing to grow. UN projections indicate that the proportion of the population residing in urban settlements will increase in the coming decades, intensifying the need for states to develop urban infrastructure, housing policy, transport systems, social services, and urban territory management mechanisms.

Currently, urban dwellers inhabit an area constituting a mere 3% of the total land surface, whereas the distribution of rural residents depends on agricultural land, which occupies 12% of the Earth's landmass. Despite forecasts that half of the world's population will reside in urban areas this year, significant disparities exist in the urbanization rates achieved by different countries and regions. The impact of urbanization has become most pronounced in the economically developed regions of the world. For instance, the urbanization rate has already exceeded 80% in Australia, New Zealand, and North America. In the developed world, Europe remains the least urbanized major region, with 72% of its population living in urban areas. Among less developed regions, a remarkably high urbanization rate (78%) has been reached in Latin America and the Caribbean.

Countries in Africa and Asia remain predominantly rural. In these regions, urban residents account for 38% and 41% of the population, respectively [1].

Ukraine belongs to the countries with a predominantly urban population. According to the State Statistics Service of Ukraine, as of January 1, 2022, the present population of Ukraine was 41.17 million people, of whom 28.69 million resided in urban settlements and 12.47 million in rural areas. The share of the urban population accounted for 69.7%, while the rural population constituted 30.3% [2].

According to UN estimates, in 2025, the urban population share of Ukraine was approximately 69.6%, and it is projected to rise to 73.7% by 2050. Thus, Ukraine already exhibits a fairly high urbanization level today, and the further concentration of the population in cities will remain one of the key factors transforming the state's social and economic policy [3].

At the same time, the Ukrainian situation possesses specific characteristics. Urbanization processes in Ukraine are occurring against the backdrop of long-term demographic decline, internal displacement, and large-scale external migration caused by the full-scale war. This alters the settlement structure and exerts additional pressure on cities that host internally displaced persons, providing them with housing, social services, medical care, education, and employment opportunities.

Concurrently, the population decline in rural areas poses risks to maintaining social and economic activity in low-density territories. For Ukraine, this is of particular significance given the role of rural territories in agricultural production, natural resource conservation, local infrastructure, and cultural heritage. Therefore, state policy regarding urbanization must address the interests of both urban and rural territories.

Consequently, urbanization in Ukraine cannot be viewed solely as an increase in the number of urban residents. It is a comprehensive process that impacts population distribution, the labor market, the social service system, housing policy, transport infrastructure, and the development of territorial communities. Amid war and demographic shifts, a balanced state policy aimed at creating adequate living conditions in both urban and rural areas acquires paramount importance.

References

1. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. *World Urbanization Prospects 2025: Summary of Results*. New York : United Nations, 2025. World Urbanization Prospects 2025
2. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. *World Urbanization Prospects 2025: Summary of Results*. New York : United Nations, 2025. 101p. https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undesa_pd_2025_wup2025_summary_of_results.pdf?utm_
3. UN-Habitat. *World Cities Report 2024: Cities and Climate Action*. Nairobi : United Nations Human Settlements Programme, 2024. 373 p. ISBN 978-92-1-132955-1. https://digitallibrary.un.org/record/4065171?ln=en&utm
4. UN-Habitat. *World Cities Report 2020: The Value of Sustainable Urbanization*. Nairobi : United Nations Human Settlements Programme, 2020. World Cities Report 2020
5. World Bank. *Fourth Rapid Damage and Needs Assessment (RDNA4): February 2022 – December 2024*. Washington, DC: World Bank, 2025. https://documents1.worldbank.org/curated/en/099022025114040022/pdf/P180174-ca39eccd-ea67-4bd8-b537-ff73a675a0a8.pdf?utm_
6. UN-Habitat. *World Cities Report 2024: Cities and Climate Action*. Nairobi : UN-Habitat, 2024. https://documents1.worldbank.org/curated/en/099022025114040022/pdf/P180174-ca39eccd-ea67-4bd8-b537-ff73a675a0a8.pdf?utm_

ნაზირა კაკულია

ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია: თანამედროვე მიდგომები და განვითარების პერსპექტივები

ანოტაცია. *ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე მდგრადი განვითარების ერთ-ერთ სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენს. სტატიაში განხილულია როგორ გარდაქმნის ხელოვნური ინტელექტი (AI), დიდი მონაცემები და ანალიტიკა, ბლოკჩეინი, ციფრული ტყუპები რესურსების მართვას. სტატია გვთავაზობს საქართველოსთვის ეტაპობრივი განვითარების მოდელს, რომელიც აერთიანებს ციფრულ ინფრასტრუქტურას, მონაცემთა სტანდარტებს, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერასა და შედეგების გაზომვას.*

ნაშრომში გაანალიზებულია ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მიდგომები. ციფრული ტექნოლოგიების როლის შეფასება ცირკულარული ეკონომიკური მოდელების განვითარებაში და ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის მოახდინოს ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შეფასება ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ შედეგებზე.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში შესწავლილია ცირკულარული ეკონომიკის არსი, პრინციპები და განვითარების ევოლუცია, ციფრული ტექნოლოგიების გავლენის შეფასება რესურსების პროდუქტიულობაზე, ციფრული პლატფორმების როლის განსაზღვრა მეორეული რესურსებისა და პროდუქტების ბაზრების განვითარებაში. ჩამოყალიბებულია ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკური არსი და ძირითადი მახასიათებლები, ციფრული ტექნოლოგიების შეფასების კრიტერიუმები.

ნაშრომში ასევე შესაძლებელი გახდა ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი ბარიერებისა და რისკების გამოვლენა, ციფრული ცირკულარული ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების სისტემატიზაცია, ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის შეფასების მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება და განვითარების შესაძლო სცენარებისა და პერსპექტივების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ეკონომიკა; ციფრული ტრანსფორმაცია; ხელოვნური ინტელექტი; ნარჩენების პრევენცია;განახლებადი რესურსების გამოყენება; რესურსების ნაკადების ციფრული მონიტორინგი.*

შესავალი

XXI საუკუნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ურთიერთშეთავსება.

აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია. ცირკულარული ეკონომიკა გულისხმობს ისეთი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის ფარგლებშიც პროდუქციის, მასალებისა და რესურსების ღირებულება მაქსიმალურად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნარჩუნდება, ხოლო ნარჩენების წარმოქმნა მინიმუმამდე მცირდება.

ციფრული ტრანსფორმაცია ცირკულარული ეკონომიკის კონტექსტში მხოლოდ ტექნოლოგიური განახლების პროცესს არ წარმოადგენს. იგი გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობების, ბიზნესმოდელების, მიწოდების ჯაჭვების, მომხმარებელთა ქცევისა და მმართველობითი მექანიზმების ფუნდამენტურ ცვლილებას. შესაბამისად, ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ინსტიტუციურ და სოციალურ კომპონენტებს.

პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ციფრული ტექნოლოგიების არსებობა თავისთავად არ უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას. აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელი ტექნოლოგიები ქმნის ყველაზე მაღალ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ეფექტს, რა პირობებია საჭირო მათი ინტეგრაციისთვის, როგორ უნდა შეიცვალოს ბიზნესმოდელები და რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ, კერძო სექტორმა და მომხმარებელმა.

ცირკულარული ეკონომიკის განვითარება განსაკუთრებით აქტუალური ხდება ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების პირობებში. ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, დიდი მონაცემები (Big Data), ციფრული ტყუპები (Digital Twins), სენსორული სისტემები და მონაცემთა ანალიტიკა ქმნის შესაძლებლობას, ეკონომიკური პროცესები უფრო ზუსტად იქნეს დაგეგმილი და ოპტიმიზებული.

* * *

ნაშრომში შევეცადეთ მოგვეხდინა ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე მიდგომების სისტემური გაანალიზება და საქართველოსთვის განვითარების პერსპექტივების იდენტიფიცირება. კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით თანამედროვე შეხედულებების მიმოხილვას:

ეივინდ კრისტოფერსენი, ფენა ბლომსი და სხვა (Kristoffersen E, Blomsma F., et al.2020) ციფრულ ტექნოლოგიებს განიხილავენ როგორც ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს. ავტორების მიხედვით, ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი (Internet Things– IoT), დიდი მონაცემები (Big Data) და მონაცემთა ანალიტიკა (Data Analytics), ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად შეაგროვონ, დაამუშაონ და გამოიყენონ ინფორმაცია რესურსების, პროდუქტებისა და წარმოების პროცესების შესახებ. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიები მხოლოდ ტექნოლოგიური განახლების ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ ქმნის საფუძველს ბიზნესპროცესების, რესურსების მართვისა და ორგანიზაციული სტრატეგიების გარდაქმნისთვის.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების სექტორში, რადგან ის კომპანიებს ეხმარება რესურსების ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში. რეალურ დროში მონაცემების მიღება და მათი ანალიზი ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს უკეთ შეაფასონ პროდუქციის, მასალებისა და საწარმოო პროცესების მდგომარეობა, გამოავლინონ პრობლემები და მიიღონ უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ამგვარად, ციფრული ტრანსფორმაცია ხელს უწყობს ორგანიზაციის ოპერაციული პროცესების უფრო მოქნილ, მონაცემებზე დაფუძნებულ და ეფექტიან მართვას.

კრისტოფერსენი, ბლომსი ამ ურთიერთკავშირის ასახსნელად გვთავაზობენ Smart Circular Economy (Smart CE) framework-ს – აღნიშნული ჩარჩო აერთიანებს ციფრულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა ნაკადებსა და ბიზნესანალიტიკის შესაძლებლობებს ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიებთან. ავტორების მიდგომის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დიდი რაოდენობით მონაცემების შეგროვება, არამედ მათი გარდაქმნა ინფორმაციად, ცოდნად და პრაქტიკული გადაწყვეტილებების საფუძვლად. შესაბამისად, მონაცემები ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრალურ რესურსად გვევლინება.

Smart CE framework-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მონაცემთა ტრანსფორმაცია, რომლის საშუალებითაც ორგანიზაცია ნედლ მონაცემებს გარდაქმნის უფრო მაღალი ღირებულების მქონე ინფორმაციად და ცოდნად. მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსების ოპტიმიზაციის შესაძლებლობები, რომლებიც მოიცავს არსებული მდგომარეობის აღწერას, პრობლემების დიაგნოსტირებას, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას, პროგნოზირებასა და გადაწყვეტილებების შემუშავებას. ამ ორ კომპონენტს ერთმანეთთან აკავშირებს მონაცემთა შეგროვების, ინტეგრაციისა და ანალიზის პროცესები.

ამ თვალსაზრისით, ციფრული ტრანსფორმაცია ორგანიზაციაში შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ან ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დანერგვა, არამედ როგორც მონაცემებზე დაფუძნებული მართვის მოდელის ჩამოყალიბება. ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და მათი გამოყენება შესაძლებელი გახდეს როგორც მიმდინარე პროცესების მონიტორინგისთვის, ისე სამომავლო გადაწყვეტილებების მისაღებად. სწორედ ეს ქმნის ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიულ ღირებულებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნივთების ინტერნეტისა (IoT) და დიდი მონაცემების (Big Data) როლი. IoT ტექნოლოგიები იძლევა ფიზიკური ობიექტებისა და პროცესების შესახებ მონაცემების უწყვეტად მიღების შესაძლებლობას, ხოლო Big Data და მონაცემთა ანალიტიკა ამ მონაცემების დამუშავებასა და მათგან მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენას უზრუნველყოფს. შედეგად, კომპანიას შეუძლია უფრო ზუსტად განსაზღვროს რესურსების მოხმარება, პროდუქტის მდგომარეობა, ტექნიკური მომსახურების საჭიროება და წარმოების პროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობები.

ამრიგად, ეს კვლევა გვიჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციების მიერ უფრო მდგრადი და ეფექტიანი ბიზნესმოდელების ჩამოყალიბებაში. მათი მიდგომის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ციფრული შესაძლებლობების განვითარება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მონაცემები გარდაქმნან ცოდნად და ცოდნა გამოიყენონ რესურსების უფრო ეფექტიანი მართვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად, ციფრული ტრანსფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ორგანიზაციულ და სტრატეგიულ ცვლილებად, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის პროცესებზე, გადაწყვეტილების მიღებასა და გრძელვადიან კონკურენტუნარიანობაზე.

ამ კონტექსტში Kristoffersen et al. (2020)-ის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული ტრანსფორმაციის შესწავლისთვის, რადგან ავტორები ციფრულ ტექნოლოგიებს აკავშირებენ არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, არამედ ორგანიზაციის რესურსების, მონაცემებისა და ბიზნესპროცესების გარდაქმნასთან. მათი Smart CE framework აჩვენებს, რომ ციფრული შესაძლებლობების

ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს ტექნოლოგიების, მონაცემთა მართვისა და ბიზნესსტრატეგიის ურთიერთშეთანხმებულ განვითარებას.

თანამედროვე ლიტერატურის შესწავლა აჩვენებს, რომ ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი მექანიზმი არის „ხილვადობის ეკონომიკა“ – რაც უფრო ზუსტად ვიცით სად არის რესურსი, რა მდგომარეობაშია, რისგან შედგება და რა დარჩენილი ღირებულება აქვს, მით უფრო შესაძლებელია მისი ღირებულების შენარჩუნება. სწორედ ამიტომ IoT (Internet of Things (IoT) – ნივთების ინტერნეტი), AI (Artificial Intelligence (AI) – ხელოვნური ინტელექტი), DPP (DPP – Digital Product Passport) და ციფრული ტყუპი ერთმანეთის კონკურენტი ტექნოლოგიები კი არა, ინფორმაციული ჯაჭვის სხვადასხვა ფენაა. IoT ქმნის მონაცემს, AI ქმნის ინტელექტს, DPP ქმნის სტრუქტურირებული სიცოცხლის ციკლის ჩანაწერს, ხოლო ინტეროპერაბელურ მონაცემთა ინფრასტრუქტურა ამ ინფორმაციას ეკოსისტემაში ამოძრავებს.

საქართველოს სტატისტიკა აჩვენებს საინტერესო პარადოქსს: ინტერნეტზე წვდომა საწარმოებსა და შინამეურნეობებში მაღალია, მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს მოწინავე ციფრული შესაძლებლობების ფართო გამოყენებას. ამიტომ გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს ინტერნეტიდან სტრუქტურირებულ მონაცემამდე, მონაცემიდან ანალიტიკამდე, ანალიტიკიდან ცირკულარულ ბიზნესგა-დაწყვეტილებამდე გადასვლა.

მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია: ცირკულარული ეკონომიკის ეროვნულ სტრატეგიაში ციფრული ტრანსფორმაციის ცალკე კომპონენტისა და საზომი KPI-ების ინტეგრირება (KPI — Key Performance Indicators — ძირითადი შესრულების მაჩვენებლები). „გაზომვადი KPI-ების ინტეგრირება“ უფრო ბუნებრივად შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც „გაზომვადი ძირითადი შესრულების მაჩვენებლების (KPIs) სისტემაში ინტეგრირება“.

ასევე კვლევისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს საწარმოებში ციფრული სიმწიფისა და ცირკულარული სიმწიფის ერთობლივი გაზომვა. პერსპექტიულია ინდექსის შექმნა, რომელიც გააერთიანებს IoT/AI/ERP/BI გამოყენებას, მონაცემთა ინტეგრაციას, პროდუქტის მიკვლევადობას, რესურსეფექტიანობას, ნარჩენის პრევენციას, შეკეთებასა და მეორეული მასალის გამოყენებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციების რეალური გადაკვეთის წერტილს. მისი არსი არ არის რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიის დანერგვა, არამედ ისეთი ინფორმაციული შესაძლებლობების შექმნაა, რომლებიც პროდუქტისა და რესურსის ღირებულებას უფრო დიდხანს შეინარჩუნებს. IoT, AI, დიდი მონაცემები, ციფრული ტყუპები, blockchain/DLT და DPP ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი კონკრეტულ ცირკულარულ გადაწყვეტილებას – პრევენციას, შეკეთებას, ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებას – აუმჯობესებს.

საქართველოსთვის პოტენციალი შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ინტერნეტზე ფართო წვდომა ქმნის საბაზისო ციფრულ საფუძველს, ხოლო ცირკულარობის ეროვნული გზამკვლევი – პოლიტიკურ მიმართულებას. მომდევნო ეტაპზე საჭიროა ამ ორი დღის წესრიგის დაკავშირება. მონაცემთა სტანდარტები, DPP-ისთვის მზადყოფნა, სექტორული AI/IoT პილოტები, SME-ის მხარდაჭერა და ცირკულარობის მკაფიო KPI-ები საქართველოს საშუალებას მისცემს ციფრული ტრანსფორმაცია გადაიყვანოს რესურსეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობისა და ევროპულ ბაზართან ტექნოლოგიურ-რეგულაციური თავსებადობის ინსტრუმენტად.

მომავალში ცირკულარული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად შეიძლება იქცეს მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკა. რაც უფრო სრულყოფილი გახდება პროდუქციისა და მასალების შესახებ მონაცემთა შეგროვება, მით უფრო ეფექტიანი გახდება მათი მართვა მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება ხელოვნური ინტელექტისა და პროგნოზირებადი ანალიტიკის განვითარება. AI-ის საშუალებით შესაძლებელი გახდება მოთხოვნის, რესურსების საჭიროების, ტექნიკური გაუმართაობისა და ნარჩენების ნაკადების უფრო ზუსტი პროგნოზირება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ციფრული პროდუქტის პასპორტების გამოყენების როლი. პროდუქტის შესახებ სტანდარტიზებული ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს მეორეული ბაზრების განვითარებას, მომხმარებელთა ინფორმირებულობასა და გადამუშავების პროცესების გაუმჯობესებას.

ასევე მოსალოდნელია პლატფორმული ეკონომიკის გაფართოება. ციფრული პლატფორმები დააკავშირებს მწარმოებლებს, მომხმარებლებს, სარემონტო ორგანიზაციებს, ლოგისტიკურ კომპანიებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს.

გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული ციფრული ცირკულარული ეკოსისტემები, რომლებშიც პროდუქტის წარმოებიდან საბოლოო გადამუშავებამდე ყველა ეტაპი დაკავშირებული იქნება ერთიან მონაცემთა სისტემასთან.

საბოლოოდ, ციფრული ცირკულარული ეკონომიკის განვითარება შეიძლება გახდეს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის საშუალება, არამედ ახალი ეკონომიკური ღირებულების, ინოვაციების, სამუშაო ადგილებისა და კონკურენტული უპირატესობების შექმნის წყარო. შესაბამისად, მისი კვლევა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით და ქმნის საფუძველს ისეთი ეკონომიკური სისტემის ფორმირებისთვის, რომელშიც ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ეფექტიანობა და გარემოსდაცვითი მდგრადობა ერთმანეთთან ჰარმონიულად იქნება დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია ნ., არღუთაშვილი ვ. (2021). მდგრადი განვითარება, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 3 ივლისი, თბილისი. ISBN 978-9941-491-53-5. http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2021%20konf.pdf?fbclid=IwAR0dW0ie9HSmjrpGAQ7n0a57jbhfCEtNqrwHJrTBcp_717FDS-dWhnAQcLM
2. კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ. (2022). გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 10 თებერვალი. ქუთაისი.
3. Chauhan, C., Parida, V., & Dhir, A. (2022). Linking circular economy and digitalisation technologies: A systematic literature review of past achievements and future promises. Technological Forecasting and Social Change, 177, 121508. https://doi.org/10.1016/j.techfore.2022.121508
4. European Parliament & Council of the European Union. (2024). Regulation (EU) 2024/1781 of 13 June 2024 establishing a framework for the setting of ecodesign requirements for sustainable products. Official Journal of the European Union. https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1781/oj

5. Kristoffersen, E., Blomsma, F., Mikalef, P., & Li, J. (2020). The smart circular economy: A digital-enabled circular strategies framework for manufacturing companies. Journal of Business Research, 120, 241–261. https://doi.org/10.1016/j.jbusres.2020.07.044

6. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2023). A national roadmap for Georgia's transition to a circular economy will be prepared. https://mepa.gov.ge/En/News/Details/21442

7. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2024). Circularity roadmap for Georgia 2024. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia.

8. National Statistics Office of Georgia. (2025). Indicators of using information and communication technologies (ICT) in households (2025). Geostat.

9. National Statistics Office of Georgia. (2025b). Municipal waste: 2023 municipal waste indicators. Environmental Statistics Portal, Geostat.

10. National Statistics Office of Georgia. (2026a). Use of information-communication technologies in enterprises – 2025. Geostat.

11. Psarommatis, F., & May, G. (2026). A comprehensive review of digital product passports in sustainable manufacturing: Current state, challenges, and future directions. Circular Economy and Sustainability, 6, Article 207. https://doi.org/10.1007/s43615-026-00927-x

12. Zhang, Z., Gu, J., Li, R., Lian, W., Ma, C., & Tian, J. (2026). Bridging digital and green transitions: A literature review of digital product passport systems. Renewable and Sustainable Energy Reviews, 228, 116600. https://doi.org/10.1016/j.rser.2025.116600

13. Operationalising digital circularity: A critical systematic review of artificial intelligence applications to material and digital product passports. (2026). Buildings, 16(11), 2048.

14. Trustworthy digital product passports based on distributed ledgers: A review and guidelines. (2026). Procedia Computer Science, 277, 596–605. https://doi.org/10.1016/j.procs.2026.02.101

Nazira Kakulia

Digital Transformation of the Circular Economy:
A Modern Approach and Development Prospects
Summary

The digital transformation of the circular economy represents one of the rapidly growing dimensions of modern sustainable development. This article examines how artificial intelligence (AI), Big Data and analytics, blockchain, and digital twins are reshaping resource management. It proposes a phased development model tailored for Georgia, integrating digital infrastructure, data standards, support for small and medium-sized enterprises (SMEs), and performance measurement.

The study analyzes contemporary theoretical and practical approaches to the digital transformation of the circular economy. It evaluates the role of digital technologies in advancing circular economic models and formulates a methodological framework to assess the impact of digital transformation on economic, environmental, and social outcomes.

To achieve these objectives, the paper examines the essence, principles, and evolutionary trajectory of the circular economy; assesses the impact of digital technologies on resource productivity; and defines the role of digital platforms in fostering markets for secondary resources and products. Furthermore, it outlines the economic core and key characteristics of digital transformation alongside evaluation criteria for digital technologies.

The research identifies the primary barriers and risks associated with the digital transformation of the circular economy, systemizes the key determinants shaping a digital circular economy, develops a methodological framework for assessment, and delineates potential development scenarios and future prospects.

Keywords: *Circular Economy; Digital Transformation; Artificial Intelligence; Waste Prevention; Use of Renewable Resources; Digital Monitoring of Resource Flows.*

მურმან კვარაცხელია

საქართველოს სოციალური უსაფრთხოების გამოწვევები: თანამედროვე რეალობა, სისტემური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ანოტაცია. *წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში განხილულია თანამედროვე საქართველოს სოციალური უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები, სისტემური პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლო გზები. კვლევის მიზანია შეაფასოს არსებული სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური რისკებისგან დაცვის კუთხით.*

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, არსებული სოციალური პროგრამების შედარებითი ანალიზი. კვლევის ფოკუსშია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: სიღარიბის დონე და უთანასწორობა, უმუშევრობა, საპენსიო სისტემის მდგრადობა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და დემოგრაფიული დაბერების ტენდენციები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ბოლო წლებში განორციელებული რეფორმებისა, საქართველოს სოციალური უსაფრთხოების სისტემა მაინც დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, რაც გამოწვეულია შეზღუდული საბიუჯეტო რესურსებით, დასაქმების არაფორმალური სექტორის მაღალი წილითა და სოციალური დახმარებების დაბალი მიზნობრიობით. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები სოციალური დაცვის მექანიზმების დახვეწისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური უსაფრთხოება, სოციალური პოლიტიკა, სიღარიბე, უმუშევრობა, საქართველო, საზოგადოებრივი კეთილდღეობა.*

შესავალი

სოციალური უსაფრთხოება თანამედროვე სახელმწიფოს მდგრადობის, დემოგრაფიული სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური საყრდენია. იგი მოიცავს მექანიზმების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი გარანტიების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა დაცვას სიღარიბის, უმუშევრობის, დაავადებების, შეზღუდული შესაძლებლობების, სიბერისა და სხვა სოციალური რიკებისგან. საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკისა და რთული გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე მდგარი ქვეყნისთვის, სოციალური უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას სიღარიბის, სოციალური უთანასწორობის, უმუშევრობისა და დემოგრაფიული დაბერების პრობლემები. სტატიაში განხილულია საქართველოს სოციალური უსაფრთხოების არქიტექტურა, ძირითადი გამოწვევები, არსებული პროგრამების ეფექტიანობა და სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობები.

* * *

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა (Targeted Social Assistance - TSA) და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზეა დაფუძნებული. განსხვავებით ევროპული ქვეყნებისგან, სადაც სოციალური

უსაფრთხოების საფუძველს სოციალური დაზღვევა (დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შენატანები) შეადგენს, საქართველოში სისტემა უმეტესწილად საბიუჯეტო (საგანგებო/საგადასახადო) დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ესაა

1."სიღარიბის მახე" (Poverty Trap): არსებობს საყოველთაო ტენდენცია, როცა ბენეფიციარები ხშირად უარს ამბობენ ოფიციალურ დასაქმებაზე იმის შიშით, რომ მცირე, მაგრამ სტაბილურ შემოსავალს სოციალური დახმარების დაკარგვა მოჰყვება.შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზების გამო, რაც გამოიხატება იმაში, რომ ა. სარეიტინგო ქულის გამოთვლის ალგორითმი ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს ოჯახის რეალურ მსყიდველუნარიანობასა და საჭიროებებს. ბ. საყოველთაო ჯანდაცვა და პენსიები: 2013 წელს ამოქმედებულმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდები კვლავ მაღალ დონეზე რჩება, რაც დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის მძიმე ტვირთია. საპენსიო სისტემა: საქართველოში მოქმედებს საბაზო (სახელმწიფო) პენსია და დაგროვებითი საპენსიო სისტემა. საბაზო პენსია ფარავს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნილებებს, ხოლო დაგროვებითი სისტემის ეფექტიანობა მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გახდება თვალსაჩინო. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სოციალურ სფეროში გამოწვევები ჯერ კიდევ შორსაა მის მაღალ ეფექტიანობასთან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს სიღარიბის დონე ქვეყანაში.

საქართველოს სოციალური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები მრავალ-რიცხოვანია, ესენია: სიღარიბე და უთანასწორობა, უმუშევრობა და არაფორმალური დასაქმება, დემოგრაფია და მიგრაცია, შრომის ბაზრის უსაფრთხოება და შოკებისადმი დეფიციტი.

სოციალური უსაფრთხოების ყველაზე უმთავრეს გამოწვევად თანამედროვე ეტაპზე რჩება სიღარიბე და უთანასწორობა. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ადამ სმიტი წერდა: „არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია იყოს აყვავებული და ბედნიერი, თუ მისი წევრების უდიდესი ნაწილი ღარიბი და უბადრუკია“[1]. საქართველოში ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშოა ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი. თუმცა ბოლო წლების დინამიკა ცვლილებებს განიცდის. აქ გამოკვეთილია შემდეგი ძირითადი ტენდენციები, კერძოდ: აბსოლუტური სიღარიბე. მოსახლეობაში მისი წილი ბოლო წლებში მცირდება, მაგრამ ბევრად მაღალია, ვიდრე ზრდასრულ მოსახლეობაში. ბავშვთა ასაკში (0-17წელი) აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 19-20%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ოჯახში, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი შემოსავალი არსებობისთვის[7]. ამასთან ერთად ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ფარდობით სიღარიბეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფლად მცხოვრები ბავშვები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. ამ დროს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების ყოველთვიური დახმარება კრიტიკას ვერ უძლებს. ამისი მთავარი გამოწვევის მიზეზი შეიძლება იყოს მშობელთა უმუშევრობა, მაღალი ინფლაცია სურსათზე, რეგიონული უთანასწორობა და სერვისებზე შეზღუდული წვდომა. ყოველივე ეს აფერხებს კაპიტალის განვითარებას და სიღარიბის თაობიდან თაობაზე გადაცემის რისკს ზრდის.

საქართველოში ჯინის ინდექსის მიხედვით შემოსავლების უთანასწორობა საკმაოდ მაღალია. ამ მხრივ სახეზეა ეკონომიკური ზრდის სარგებელის პროპორციულად ვერ გადანაწილება მოსახლეობის ყველა ფენასა და რეგიონებზე. ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით საქართველოში 2018 წელს თუ იყო 0.40, იგივე

მაჩვენებელი ხარჯების მიხედვით იყო 0,36. 2024 წლისთვის კი შესაბამისად შეადგინა 0,35 და 0,33. აქედან ცხადია, უთანასწორობის დონე მნიშვნელოვნად შემცირებულია[7]. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად გაუმჯობესებისა, საქართველოს ჯინის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი, სადაც ის - 0.30-ის ფარგლებშია[7].

2. უმუშევრობა და არაფორმალური დასაქმება. პრაქტიკა ადასტურებს, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურული პრობლემები პირდაპირ აისახება სოციალურ უსაფრთხოებაზე. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტრუქტურული უმუშევრობა. ამ შემთხვევაში არსებობს აცდენა განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის, რაც დღევანდელ პირობებში ერთ-ერთ არსებით პრობლემას წარმოადგენს. თუმცა ამ კუთხით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საქართველოში განათლების სისტემის რეფორმა ამ პრობლემას ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს უახლოეს წლებში.

არაფორმალური დასაქმებაც ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ფაქტია, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) არაფორმალურ სექტორშია ჩართული. ეს ნიშნავს, რომ ისინი მოკლებული არიან შრომით უფლებებს, დეკრეტულ შვებულებას, ავადმყოფობის გამო ანაზღაურებასა და სოციალურ გარანტიებს. ან კუთხით მეტად სერიოზულ დაბრკოლებად გვევლინება უმუშევრობის დაზღვევის არარსებობა. ჯერ კიდევ საქართველოში არ მოქმედებს უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევა, რაც სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეს ყოველგვარი შემოსავლის გარეშე ტოვებს.

3. დემოგრაფიული დაბერება და მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიული დაბერების ფაზაშია. შობადობის დაბალი მაჩვენებელი და შრომისუნარიანი მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) მასობრივი ემიგრაცია სხვადასხვა ქვეყნებში ამცირებს გადასახადის გადამხდელთა რაოდენობას. საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოდან 98,9 ათასი მოქალაქე წავიდა ემიგრაციაში, ხოლო 2024 წელს კი - 132 ათასი[7]. ეს იწვევს "დაბერების კოეფიციენტის" ზრდას, რაც მომავალში მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტსა და საპენსიო სისტემას.

4. შრომის უსაფრთხოება და სოციალური დაცვა. სამუშაო ადგილზე მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შრომის ინსპექციის უფლებამოსილება გაიზარდა, შრომის უსაფრთხოებისა და ღირსეული ანაზღაურების პრობლემა კვლავ აქტუალურია. მინიმალური ხელფასის კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვარი მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს. დღევანდელ ეტაპზე სახეზეა მოწყვლადი ჯგუფების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები, რომელთაც სპეციფიკური პრობლემები აწუხებთ. ეს სოციალური უსაფრთხოების სისტემას კიდევ უფრო განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებაში.

ზემოთ განხილული პრობლემები მოითხოვს საქართველოში მდგრადი და ეფექტიანი სოციალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი კომპლექსური რეფორმების გატარებას. რეფორმის მიმართულების მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური დახმარების ტრანსფორმაცია, სარეიტინგო სისტემის დახვეწა, დასაქმების წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა, "სიღარიბის მახის" დაძლევა, შრომისუნარიანი ბენეფიციარების ჩართვა ეკონომიკაში, შრომის ბაზრის რეფორმა, უმუშევრობის დაზღვევის ეტაპობრივი დანერგვა, ღირსეული მინიმალური ხელფასის დაწესება, შოკებისადმი მედეგობის ამაღლება, არაფორმალური სექტორის შემცირება,

ბავშვთა სოციალურ დაცვის გაუმჯობესება, ბავშვთა სიღარიბის შემცირება, ადამიანური კაპიტალის განვითარება და აქტიური დაბერების პოლიტიკის განხორციელება.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სოციალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევები კომპლექსურია და მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მიზნობრივი სოციალური დახმარების გაზრდა და საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესება მნიშვნელოვანიწინგადადგმული ნაბიჯებია, თუმცა დღეს არსებული მოდელი საჭიროებს თვისებრივ ტრანსფორმაციას — პასიური ფინანსური დახმარებიდან აქტიურ, შესაძლებლობების განვითარებაზე დაფუძნებულ სოციალურ პოლიტიკაზე გადასვლას.

ამასთან, ხანგრძლივი პერსპექტიული სტაბილურობისთვის აუცილებელია შრომის ბაზრის რეფორმირება, არაფორმალური დასაქმების შემცირება, ბავშვთა და ხანდაზმულთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება და სოციალური დაზღვევის ელემენტების ეტაპობრივი შემოღება. სოციალურ უსაფრთხოებაში ინვესტიცია არ არის უბრალოდ საბიუჯეტო ხარჯი, ეს არის ინვესტიცია, რომელიც იდება ქვეყნის ადამიანურ კაპიტალსა და ქვეყნის ეკონომიკურ მომავალში.

დასკვნა

საქართველოს სოციალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევები კომპლექსურია და მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა და საყოველთაო ჯანდაცვის სფეროში. ქვეყანაში დღეს არსებული მოდელი საჭიროებს თვისებრივ ტრანსფორმაციას — პასიური ფინანსური დახმარებიდან აქტიურ, შესაძლებლობების განვითარებაზე დაფუძნებულ სოციალურ პოლიტიკაზე გადასვლას.

საქართველოში სოციალური უსაფრთხოების ხანგრძლივი პერსპექტიული სტაბილურობისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, შრომის ბაზრის რეფორმირება, არაფორმალური დასაქმების შემცირება, ბავშვთა და ხანდაზმულთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება და სოციალური დაზღვევის ელემენტების ეტაპობრივი შემოღება. სოციალურ უსაფრთხოებაში ინვესტიცია არ არის უბრალოდ საბიუჯეტო ხარჯი, ეს არის ინვესტიცია ქვეყნის ადამიანურ კაპიტალსა და ეკონომიკურ მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამ სმიტი, „ხალხთა სიმდიდრე“, წიგნი I, თავი VIII – “შრომისა და ხელფასის შესახებ“(1776წ).
2. გოკიელი ნინო – საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უსაფრთხოება – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/369881
3. ჩიქოვანი ელენე – სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები – https://eugb.ge/index.php/111/article/view/96
4. ბადაგაძე სალომე – სოციალური დაზღვევის დაფინანსების გამოწვევები – https://openscience.ge/entities/publication/6c59f0e9-a3a0-432e-a861-973fe7d7299d
5. იაკობიძე მარიამ – შრომის ბაზრის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები
6. ფარტენაძე ქეთევან – სოციალური უთანასწორობა და მიგრაცია
7. საქსტატი
8. UNICEF Georgia – Social Assistance Description and Recommendations – https://www.unicef.org/georgia/reports/social-assistance-description-and-recommendations
9. Friedrich Ebert Stiftung – Societal Security Framework in Georgia – https://southcaucasus.fes.de

10. Холостова Е.И. Социальная политика и социальная работа
11. Роик В.Д. Социальное страхование и социальная защита
12. Осипов Г.В. Социальная безопасность
13. Ярская-Смирнова Е.Р. Социальная политика
14. Amartya Sen – Development as Freedom
15. UNDP Human Development Reports – https://hdr.undp.org
16. World Bank Poverty Assessment Georgia – https://www.worldbank.org/en/country/georgia.

Murman Kvaratskhelia

Social Security Challenges in Georgia:
Contemporary Reality, Systemic Issues, and Development Prospects
Summary

This scientific article examines the primary challenges, systemic issues, and potential mitigation pathways facing contemporary Georgia's social security system. The objective of the research is to evaluate the efficacy of current social policies in mitigating socio-economic risks for the population. Utilizing a mixed-methods approach, the study incorporates both qualitative and quantitative research methodologies, including the analysis of official statistical data and a comparative assessment of existing social programs. The research focuses on key dimensions such as poverty levels, inequality, unemployment, the sustainability of the pension system, healthcare accessibility, and demographic aging trends. The findings reveal that despite recent reforms, Georgia's social security framework continues to confront severe challenges driven by constrained budgetary resources, a high share of informal employment, and low targeting efficiency in social assistance programs. Concluding the study, actionable recommendations are formulated to refine social protection mechanisms and establish a sustainable socio-economic policy.

Keywords: *social security, social policy, poverty, unemployment, Georgia, public welfare.*

თეა ლაზარაშვილი
თეიმურაზ გოგოხია

სიღარიბის პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები თანამედროვე მსოფლიოში

ანოტაცია. *სიღარიბის პრობლემა უძველესი დროიდან აწუხებდა კაცობრიობას. მიუხედავად ამისა, კაცობრიობამ ვერ შეძლო გადაჭრა და რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სიღარიბე რჩება ყველა საზოგადოების განუყოფელი ნაწილი.*

სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. დღევანდლამდე არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, რადგანაც თითოეული შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ-ნოვატორულ მიდგომას. საზოგადოების თითოეული წევრის არათანაბარ წვდომას ნებისმიერ აუცილებელ რესურსზე, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურზე, სოციალური უთანასწოროება ეწოდება. უთანასწორობისაგან განსხვავებით სიღარიბე არა ახასიათებს საზოგადოებას, როგორც მთლიანობას, ის გავლენას ახდენს მხოლოდ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე. სიღარიბის ცნება მოიცავს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ან მცირე ნაწილს, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სიღარიბე არის ,,კეთილდღეობის მკვეთრი ვარდნა“, ანუ ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობა, რომელის დროსაც მათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ სიცოცხლისთვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნილებების გარკვეული დიაპაზონი, შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ შრომისუნარიანობა. სიღარიბე წარმოადგენს ფარდობით და მრავალღირებულებით ცნებას და დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში ცხოვრების დონის საერთო დონეზე (ჯინის კოეფიციენტი, თეილის ინდექსი).

,,სიღარიბის შემცირება არ ნიშნავს ხელფასიების ან შემწეობების გაზრდას“. უმუშევრობა, დაბალი განათლება, შეზღუდული შესაძლებლობები, ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლად ყოფნა, შერეულ და ღარიბ თემში ცხოვრება, ფაქტორებია და ისინი სიღარიბესთან ბრძოლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

* * *

ღარიბები - საზოგადოების დაუცველი ფენაა, რომელიც გარკვეულწილად აფერხებს განვითარებად ქვეყნებს. ეს ის ფენაა, რომლებსაც არ გააჩნიათ სასკმარისი რესურსები, ან რომელთა მოხმარების დონე არასაკმარისია გარკვეული სიღარიბის ინდექსის ზემოთ განსათავსებლად. ასეთ ადამიანებს შეიძლება არ ქონდეთ საცხოვრებელი, საკვები, ან ნორმალური ჯანმრთელობა, რაც იწვევს არასრულაფსოვანი კვების ან წიგნიერების დონის ცვლილებებს.

სიღარიბე წარმოადგენს სხვადასხვა ურთიერთადაკავშირებული მიზეზების შედეგს, რომლებიც შემდეგ ჯგუფად იყოფა:

- ეკონომიკური (უმუშევრობა, ეკონომიკური უთანასწორობა, მ.შ. დაბალი ხელფასი, დაბალი შრომის პროდუქტიულობა, დარგის არაკონკურენტუნარიანობა);
- სოციალური და სამედიცინო (ინვალიდობა, სიბერე, მაღალი ავადობა);
- დემოგრაფიული (არასრულყოფილი ოჯახები, კმაყოფაზე მყოფი ადამიანების მეტი რაოდენობა ოჯახში);
- საგანმანათლებლო-კვალიფიციური (განათლების დაბალი დონე, არასაკმარისი სპროფესიული მომზადება);
- პოლიტიკური (საომარი კონფლიქტები, იძულებითი მიგრაცია);
- რეგიონულ-გეოგრაფიული (რეგიონების არათანაბარზომიერი განვითრება);
- რელიგიურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური (ასკეტიზმი, როგორც ცხოვრების წესი);
- საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის ,,ოქსფარმის“ ექსპერტების აზრით, მსოფლიოში სიღარიბის ზრდისა და სოციალური უთანასწორობის მიზეზი 2010 წლიდან დაწყებული, შემდეგია:
- შეძლებული ადამიანების მიერ გადასახადებისგან თავის არიდება.
- მომუშავეებისათვის ხელფასის შემცირება;
- შრომის ანაზრაურების მინიმალურ და მაქსიმალურ დონეს შორის სხვაობის გაზრდა.

სიღარიბის შესწავლისას, შესაძლებელია მისი პირობითად 3 ქვესახედ დაყოფა: აბსოლუტური, ფარდობითი, შემოსავალზე დაფუძნებული ან/და მრავალზომიერი, რომელსაც უწოდებენ სიღარიბის რიცხოვნობის გაზრდას. მაგ. აშშ-ს მთავრობამ 2012 წელს დაადგინა სიღარიბის ზღვარი 23050$ დონეზე (წლიური შემოსავალი) 4 ადამიანისაგან შემდგარ ოჯახზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა უმეტესობა ადამიანი დარჩა ამ ზღვარს მიღმა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ თუკი სახელმწიფოში არის

სიღარიბის გარკვეული ზღვარი დაწესებული, იგი არ აზღვევს არც სახელმწიფოს და არც მოსახლეობის დაუცველ სეგმენტს სიღარიბისაგან.

აბსოლუტური სიღარიბე გულისხმობს ძირითადი საჭიროებების (საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი) არსებობას ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. სიღარიბის დონის რაოდენობრივი გამოთვლები პირველად ბრიტანელმა მეცნიერებამ ჩარლზ ბუთმა და სიბორ როენტრიმ ჩაატარეს, რომლებმაც სიღარიბის ზღვრის კონცეფცია შემოიღეს 1890-იან წლებში.

სიღარიბის ზღვარი არის მინიმალური შემოსავალი, რომელიც საჭიროა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები პროდუქტების, ტანსაცმლის შესაძენად და საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად. თუკი სახელმწიფო აწესებს სიღარიბის ზღვარს, იგი წარმოადგენს ნომინალურს, მაშინ როცა, რეალური საგრძნობლად განსხვავებულია. და ის ადამიანები, რომლებიც რჩებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა, იმყოფებიან „ქრონიკური სიღარიბის' მდგომარეობაში.

ფარდობითი სიღარიბე გულისცხმობს ადამიანის სიღარიბეს სხვა ადამიანებთან მიმართებაში მოცემულ საზოგადოებაში. სწორედ ამაში მდგომარეობს სხვაობა აბსოლუტურ და ფარდობით სიღარიბეს შორის. პირველს მიეკუთვნება პირველადი მოხმარების საქონელი და მომსახურება, ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით, მაგრამ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტები.

გაერო ღარიბი ტერიტორიებისათვის იყენებს ტერმინს „ნაკლებად განვითარებული ქვეყნები". . ეს სტატუსი ენიჭება 3 კრიტერიუმის საფუძველზე:

- სახელმწიფოს ეკონომიკური დაუცველობის ინდექსი;
- მოსახლეობის შემოსავლების დონე, ან მშპ მოსახლების ერთ სულზე ბოლო 3 წლის მანძილზე;
- ცხოვრების რეალური ხარისხის შეფასება.

ეკონომიკური დაუცველობის ინდექსი ან სახელმწიფოს სისუსტის ინდექსი - არის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამთუიმ ქვეყნის ხელისუფლების უნარს (უუნარობას), გააკონტროლოს მისი ტერიტორიის მთლიანობა და აგრეთვე დემოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში.

ცხოვრების რეალური ხარისხის შეფასება, ანუ ცხოვრების ხარისხის იდექსი, აკავშირებს ქვეყნებში ცხოვრების სუბიექტური შეფასების შესახებ კვლევების შედეგებს ამ ქვეყნებში ცხოვრების ხარისხის ობიექტურ განმსაზღვრელ ფაქტორებთან. ადამიანის განვითარების ინდექსი 2013 წელს იქნა გამოთვლილი (Economic Interlligence Unit)-ის მიერ და მოიცავს 80 ქვეყანას, სადაც ლიდეროზს შვეიცარია, ავსტრალია და ნორვეგია.

მნიშვნელოვან მსოფლიო პრობლემად კვლავ რჩება უკიდურესი სიღარიბე - სიღატაკე, როდესაც ადამიანი ცოცხლობს 1,9$-ით ან ნაკლებით დღეში.

სიღატაკე - არის სიღარიბის ზრვარს ქვემოთ მყოფი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს დარჩეს ბიოლოგიურად მისაღები ნორმის ფარგლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ადამიანის ძირითადი საჭიროებების (საკვები, სასმელი წყალი, სანიტარული ნორმები, ჯანდაცვა, საცხოვრებელი, განათლება და ინფორმაცია) მწვავე დეფიციტი. ასმას გარდა ასევე გამოითვლება ეროვნული სიღარიბის ზღვარი. ეროვნული სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება, როგორც შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბლა.

საარსებო მინიმუმი - არის ღირებულება, რომელიც საკმარისია ადამიანის სხეულის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების

უზრუნველსაყოფად, საკვები პროდუქტების ერთობლიობა, აგრეთვე არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მინიმალური ნაკრები, რომელიც აუცილებელია ინდივიდის ძირითადი სოციალური და კულტურული საჭიროებების დასკმაყოფილებლად.

საარსებო მინიმუმი კრიტიკულად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის გამოიყენება მინიმალური ხელფასის, პენსიისა და შეღავათების ოდენობის დასადგენად, ეროვნული და რეგიონული ბიუჯეტების გამოსათვლელად და სოციალური პროგრამების შესამუშავებლად.

სიღარიბესთან ბრძოლა პრობლემის მოსაგვარებლად ფულის დახარჯვას არ ნიშნავს. სიღარიბეს მრავალმხრივი მიზეზები და ფესვები აქვს. მისი დაძლევა მხოლოდ შემწეობის გაზრდით, სამუშაო ადგილების შექმნით, ბიზნეს სესხებზე წვდომის უზრუნველყოფით, ან საბინაო პირობების გაუმჯობესებით შეუძლებელია.

ამჟამად, საერთაშორისო სიღარიბის ზღვარი მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის მიხედვით დღეში 1,90 აშშ დოლარს შეადგენს. ეს ადამიანები იმდენად დაბალ შემოსავალს იღებენ, რომ ვერ ახერხებენ ყველაზე ელემენტარული კვების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მსოფლიოს სამი უღარიბესი უღარიბესი ქვეყანა - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბერია და ბურუნდი, სწორედ ამ ზღვრის ქვემოთაა.

დღესდღეობით 1,4 მლრდ ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში, ანუ მსოფლიოში დაახლებით ყოველი მეხუთე ადამიანი, რომელთა უმეტესობა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ცხოვრობს. ზოგიერთ მდიდარ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა აშშ და იაპონია, ყოველი მეექვსე ადამიანი შედარებით სიღარიბეში ცხოვრობს.

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის პ. კრუგმანის აზრით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპი შეიძლება დახასიათდეს როგორც **„სისტემური და სტადიური რეგრესი“**, რაც ვლინდება პოლარიზაციაში, სადაც საკვანძო როლს თამაშობს უთანასწორობა ქონების გადანაწილებაში და არა შემოსავლებში. სიტუაცია, როდესაც ქონებრივ დიფერენციაციასა და სიღარიბეზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემას თან ახლავს დისკრიმინაცია მედიცინასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობაში, პირდაპირ კონფლიქტში მოდის ინკლუზიური საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებთან და მდგრადი განვითარების პრინციპებთან.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია გამოირჩევა საზოგადოებრივი ყურადღების მაღალი სიმწვავით მზარდი უთანასწორობისა და სიღარიბის გავრცელების შედეგების მიმართ, განსაკუთრებით მისი **„ახალი“ ფორმისა**, რომელიც გამოირჩევა სისტემურობითა და აღწარმოებადობით, რაც იწვევს ადამიანური პოტენციალის არასრულფასოვან გამოყენებას და განათლებიდან უკუგების შემცირებას, რითაც აფერხებს პროგრესულ ეკონომიკურ წინსვლას. მდგრადი ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეკონომიკის მუდმივ პროგრესულ განვითარებას გარკვეული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რასაც თან ახლავს საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ზრდა, ასევე საზოგადოებრივი განვითარების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლების გაუმჯობესება.

ეკონომიკური განვითარება გულისხმობს არა უბრალოდ წარმოების რაოდენობრივ ზრდას, არამედ პროგრესულ სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, ინოვაციების დანერგვას, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას. ზრდის ინტენსიფიკაციისას ეკონომიკა ხდება უფრო დინამიკური: იზრდება მისი ტემპები და მაღლდება კონკურენტუნარიანობა8. კერძოდ, ავტორები აღნიშნავენ განსხვავებას ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდას შორის და მიუთითებენ განვითარების მშპ-ის

ზრდასთან გაიგივების შეცდომითობაზე იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს ხდება სიღარიბისა და სოციალური დიფერენციაციის მაღალი დონის დაკონსერვება.

გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისია მდგრად განვითარებას განმარტავს როგორც პროცესს, რომელიც იძლევა მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას მომავალი თაობების მიერ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე9. ცნება „მდგრადი გამოყენება“ გამოიყენება განახლებადი რესურსების მიმართ და გულისხმობს მათ ექსპლუატაციას ისეთ მასშტაბებში, რომლებიც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს ბუნებრივი მარაგები იმ დონეზე, რაც საკმარისია მათ ბუნებრივი აღდგენისთვის. ასეთი მიდგომის შედეგია ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა საკვანძო ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, ეკოლოგიურ პირობებთან ადაპტაციასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას.

მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, პროგრესისთვის პირობების შექმნა, ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესება მაჩვენებლების მნიშვნელობების სტაბილური შენარჩუნებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გაეროს 17 მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) ფარგლებში ისახება ამოცანა ხელი შეეწყოს პროგრესულ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას (მე-8 მიზანი: „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“).

გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგის ფარგლებში (SDG 2016–2030) „მდგრადი ეკონომიკური ზრდა“ გულისხმობს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას არანაკლებ 7%-ის დონეზე წელიწადში ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. EAEU-ს ქვეყნები ორიენტირებულნი არიან 5–5,5%-იან ზრდაზე, თუმცა ზოგი მეცნიერის აზრით, ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელს ძალუძს უზრუნველყოს ყოველწლიური ზრდა არანაკლებ 10%-ისა.

უძავა-ლუკასის ენდოგენური ეკონომიკური ზრდის ორსექტორიანი მოდელი აჩვენებს, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდა შეიძლება განპირობებული იყოს შიდა პროცესებით – კერძოდ, განათლების მეშვეობით ადამიანური კაპიტალის დაგროვებით. მოდელი ხაზს უსვამს ადამიანური კაპიტალის როლს, როგორც სიღარიბის მახიდან გამოსვლის ინსტრუმენტს. ამასთან დაკავშირებით, სამუშაო სამეცნიერო ჰიპოთეზა ეფუძნება „ახალი“ სიღარიბის ფენომენისა და სიღარიბის მახის აღიარებას სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან დაბრკოლებად.

ალტერნატიული თვალსაზრისის მიხედვით (თ. პიკეტი, „კაპიტალი XXI საუკუნეში“), ქონებრივი უთანასწორობა და სიღარიბე კაპიტალიზმის იმანენტური მახასიათებლები და ფუნდამენტური კანონია. გალორ-მოავის მოდელი მიუთითებს უთანასწორობის დადებით როლზე განვითარების ადრეულ ეტაპებზე (ფიზიკური კაპიტალის დაგროვებისას), თუმცა ადამიანური კაპიტალის დომინირების ეტაპზე ეს ლოგიკა იცვლება. სიმონ კუზნეცის ჰიპოთეზის („ამოტრიალებული U-სებრი მრუდი“) თანახმად, ზრდის ადრეულ ეტაპებზე უთანასწორობა იზრდება, ხოლო შემდგომ სტაბილიზდება და მცირდება.

ო.ს. სუხარევის კვლევა ხაზს უსვამს საინვესტიციო მოდელზე გადასვლას და აღნიშნავს, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში უთანასწორობის ზრდა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მაღალშემოსავლიანებში – შესაძლოა გაზარდოს. კვლევები აჩვენებს ურთიერთკავშირის არაწრფივობას: ჯინის კოეფიციენტის 0,35 ზღვრულ მნიშვნელობაზე მაღლა უთანასწორობა იძენს ჭარბ ხასიათს და იწყებს ზრდის შეზღუდვას [9].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. ეკონომიკის სტრუქტურის ხარისხობრივი ცვლილებების ანალიზი;
2. გადასვლა აბსოლუტურიდან ფარდობით და შერეულ შეფასებებზე;
3. უთანასწორობასა და ზრდას შორის კავშირის ემპირიული შეფასება;
4. კვლევები, რომლებიც სიღარიბეს განიხილავენ როგორც ჭარბი უთანასწორობის პროდუქტს დასაქმებულთათვისაც [3].

ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიყოფა:

• **აბსოლუტური კრიტერიუმი (ს. როუნტრი):** სიღარიბის ზღვარი მინიმალური სამომხმარებლო კალათის საფუძველზე.

• **ფარდობითი კონცეფცია (მ.ა. მოჟინა, ლ.ნ. ოვჩაროვა, რ. ტაუნსენდი):** დომინანტური ცხოვრების სტანდარტისა და მოხმარებაში დანაკლისის ანალიზი (მედიანური შემოსავლის 50–60%).

• **ფუნქციონალური შესაძლებლობების კონცეფცია (ა. სენი):** კეთილდღეობა განისაზღვრება რეალური უნარით განახორციელოს მნიშვნელოვანი მოქმედებები და მიაღწიოს სასურველ მდგომარეობებს.

სიღარიბე ასევე უარყოფითად მოქმედებს დემოგრაფიულ სიტუაციასა და შრომით პოტენციალზე.

„ახალი“ სიღარიბის ფენომენი ვლინდება ადამიანური კაპიტალის აღწარმოების უზრუნველმყოფ სექტორებში (განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა) დასაქმებულთა შრომის სათანადოდ შეუფასებლობასა და კვალიფიკაციის ფორმალურ ამაღლებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განიხილება ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში - ესაა სიღარიბის პრობლემა, რომელიც ეხება და ყოველთვის ეხებოდა მოსახლეობის უმეტესობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

სიღარიბის პრობლემა გამოდის როგორც ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებოისთვის. სქწორედ ამიტომ, გაეროს დღის წესრიგში დგება საკითხი, შესაძლებელია თუ არა სიღარიბის აღმოფხვრა პირველი სტრატეგიული მიზნის თანახმად მსოფლიოში მდგრადი განვითარების სფეროში.

მსოფლიო ბანკის შეფასებით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს დღეში 1.9 დოლარზე ნაკლებ თანხაზე. რაც უკიდურესი გაჭირვებისა და სიღატაკის მაჩვენებელია. მსოფლიო ბანკი როგორც გაეროს ინსტიტუტი, უკიდურეს სიღარიბეს განსაზღვრავს, როგორც დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებით ცხოვრებას.

გაეროს საერთაშორისო ინსტიტუტებმა და მ.შ. პირველმა მსოფლიო ბანკმა დაისახეს 2 მთავარი მიზანი: სიღარიბის დასრულება ერთ თაობაში და სერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა[6].

მდგრადი განვითარების პირველი მიზანი უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრაა, რომელიც უფრო ფართოდ განისაზღვრება, როგორცხ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა.

ასეთი ხმამაღალი განცხადებების, საჯარო გარანტიებისა და ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლების დაპირების მიუხედავად, სიღარიბის მდგომარეობა მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში კვლავ მძიმეა, განსაკუთრებით კორონავირუსის ეპიდემიის ფონზე, რომელმაც მხოლოდ გააუარესა და გაამწვავა სიღარიბე მრავალ ქვეყანაში.

სიღარიბის ყველაზე ხშირ მიზეზად სახელდება უმუშევრობა. ამიტომ სიღარიბის შემცირების სტრატეგია აგრეთვე გულისხმობს მოსახლეობის უმუსევრობასთან ბრძოლასაც.;

გაეროს პირველ მიზანს მდგრადი განვითარების სფეროში წარმოადგენს სწრაფვა „აღმოიფხვრას სიღატაკე ყველანაირ ფორმაში და მთლიანად მსოფლიოში 2030 წლისთვის“.

სიღარიბესა და გაჭირვებას კაცობრიობა ისტორიის მანძილზე ებრძოდა, მაგრამ ეს ძალისხმევა განსაკუთრებით გაძლიერდა მესამე ათასწლეულში. 2015 წლისთვის დაგეგმილი ათასწლეულის განვითარების მიზნები 2030 წლისთვის ახალი მდგრადი განვითარების მიზნებით შეიცვალა, მიუხედავად ამისა, სიღარიბისა და გაჭირვების პრობლემა უცვლელი რჩება. ამ გაგებით, ე.ე. ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია დიდი სირთულეებით და არანაკლებ დიდი გამომწვევებით მიმდინარეობს [2].

კითხვა, შეიძლება თუ არა სიღარიბის აღმოფხვრა, ყოველთვის აქტუალური იყო და არის კაცობრიობისათვის. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ფილოსოფიური და ეკონომიკური აზროვნების მრავალი თეორეტიკოსი ფიქრობდა უძველესი დროიდან. მათგან შეიძლება მოიყოს ბრიტანელი ეკონომისტი, თომას მალთუსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჭარბი მოსახლეობა განვითარებადი ეკონომიკისა და საზოგადოებების მთავარი პრობლემაა. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანები გეომეტრიული პროგრესიის იზრდებიან, ხოლო საკვები - არითმეტიკულით პროგრესიით. მისი თქმით, დადგება დრო, როდესაც საკვები აღარ იქნება საკმარისი დედამიწის მთელი მოსახლეობისათვის.

საკვების ნაკლებობა იწვევს შიმშილს (შიმშილის დაძლევა და მასთან ბრძოლა მდგრადი განვითრების მე-2 მიზანია), რომელიც პირდაპირ კავშირშია სიღარიბესთან. ღარიბ ადამიანებს ხშირად არ შეუძლიათ საკუთარი თავის და ოჯახების გამოკვებაც.

რა განსაზღვრავს სიღარიბეს? და რატომ რჩება ზოგიერთი ადამიანი, შრომისმოყვარეობის მიუხედავად, ღარიბად, ზოგო კი, დიდი ხარჯვის მიუხედავად, მდიდარი? რა შეიძლება გაკეთდეს მთელი კაცობრიობის წინაშე მდგარი ამ ფუნდამენტური ჰუმანიტარული პრობლემის გადასაჭრელად? ბოლოს და ბოლოს, ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები 7 მილიარდი ადამიანიდან სულ მცირე 1 მილიარდი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უკიდურეს გაჭირვებაში და შიმშილში ცხოვრობს. ამ ადამიანებს საკუთარი თავის გამოკვებაც კი არ შეუძლიათ და არა იმიტომ, რომ უკუდირესად ზარმაცები ან არაკომპეტენტურები არიან, არამედ იმიტომ, რომ ისეთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდებიან, რომ არაფრის შოვნის, ან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა არ აქვთ.

თუ დავაკვირდებით როგორ მიმდინარეობს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა მთელს მსოფლიოში 1990 წლიდან მოყოლებუული, ვნახავთ რომ სიღარიბე ყველაზე სწრაფად მცირდება ე.წ. არასტაბილურ ქვეყნებში, ხოლო სტაბილურ, ანუ განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე დაახლოებით იმავე დონეზე რჩება და მხოლოდ უმნიშვნელოდ მცირდება.

დასავლეთის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერების აზრით, მხოლოდ „მდგრადი განვითარება და დედამიწის რესურსების რაციონალური გამოყენება დაეხმარება მილიონობით ადამიანს სიღარიბიდან გამოსვლაში“[8].

სიღარიბის შემცირების სხვადასხვა სტრატეგია ზოგადად კლასიფიცირდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომს ხდის ისინი ადამიანის ძირითად საჭიროებებს ან ტუ ზრდის ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო განკარგვად შემოსავალს.

ჩვენგან მოითხოვენ რომ სიღარიბეს ისევე შევეგუოთ, როგორც სტიქიურ უბედურებებს მაგრამ თუ ამა სიტუაციის შეცვლა ადამიანის ჩარევით არის შესაძლებელი, მაშინ აბსოლუტური სიღარიბის მნიშვნელოვანი შემცირება ეკონომიკურ განვითარებას მოითხოვს, რაც ჩინეთმა ბოლო წლებში აჩვენა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სიღარიბის დაძლევის ჩინურ სტრატეგიულ მოდელზე, რომელიც ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა მთელს მსოფლიოში.

სიღარიბის სრული აღმოფხვრა წარმოადგენს თანამედროვე კაცობრიობის გლობალურ მისიაში ყველაზე ფუნდამენტურ გამოწვევას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში სიღარიბის შემცირება პირველხარისხოვან ამოცანად არის დეკლარირებული.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ აჩვენა ისტორიულად უპრეცედენტო მასშტაბისა და სიჩქარის შედეგები, რამაც არსებითად შეცვალა მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური ლანდშაფტი.

1978 წელს რეფორმებისა და ღიაობის პოლიტიკის ინიცირებიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკის აბსოლუტური სიღარიბის კრიტერიუმის (დღეში 1.90 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე) შესაბამისად, ჩინეთში სიღარიბეს თავი დააღწია დაახლოებით 800 მილიონმა ადამიანმა. აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს იმავე პერიოდში გლობალურად სიღარიბის შემცირების საერთო მოცულობის დაახლოებით 75%-ს. ჩინეთის მიერ გატარებული კომპლექსური რეფორმების შედეგად, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მსოფლიო მოსახლეობის წილი 40%-დან 10%-ზე დაბლა შემცირდა, სადაც ჩინეთის წვლილი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ჩინეთის გამოცდილების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთის განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვინაიდან ჩინურმა მოდელმა დაამტკიცა, რომ სწორი ინსტიტუციური მექანიზმების, პოლიტიკური ნებისა და მიზნობრივი სტრატეგიის პირობებში შესაძლებელია აბსოლუტური სიღარიბის სრული დაძლევა.

ჩინეთის მიერ სიღარიბის დაძლევის სპეციფიკური გზის ფორმირება ეფუძნება ოთხ ძირითად სტრატეგიულ საყრდენს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სტრუქტურების, ბაზრისა და საზოგადოების სინერგიულ მოქმედებას [4].

სიღარიბის შემცირება ჩინეთში აყვანილია უმაღლესი სახელმწიფო სტრატეგიის რანგში, საადაც შეიქმნა ვერტიკალურად ინტეგრირებული მართვის მექანიზმი. ეს სისტემა მოიცავს მკაცრ იერარქიულ პასუხისმგებლობას – ცენტრალური სტრატეგიული დაგეგმვიდან ადგილობრივ დონეზე უშუალო აღსრულებამდე. ჩამოყალიბდა სახელმწიფოს, ბაზრისა და საზოგადოების შეთანხმებული მონაწილეობის მექანიზმი, რომელსაც ზურგს უმაგრებს შეფასებისა და კონტროლის ყველაზე მკაცრი მონიტორინგის სისტემა.

ჩინური კონცეფციის თანახმად, სიღარიბის დაძლევის საკითხი უპირველეს ყოვლისა განვითარების საკითხია. პასიური სოციალური დახმარების ნაცვლად, პოლიტიკა ორიენტირებულია ეკონომიკურ აღმავლობაზე ღარიბ რეგიონებში. სახელმწიფომ უზრუნველყო კადრების, კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური მიმართვა სუსტად განვითარებულ ტერიტორიებზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა თვითგანვითარებად და მდგრად ეკონომიკურ მექანიზმებს.

სტრატეგიის ქვაკუთხედია პრინციპი „საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიმავალ გზაზე არავინ უნდა დარჩეს უკან“. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანების

შინაგანი მოტივაციის, რწმენისა და მისწრაფებების ამაღლებას . მიდგომა „ანკესის მიცემა და არა მზა თევზის მიწოდება“ მიზნად ისახავს სიღარიბის მენტალური და სტრუქტურული მიზეზების სიღრმისეულ აღმოფხვრას [4].

მიზანმიმართული სიღარიბის დაძლევა (Targeted Poverty Alleviation) წარმოადგენს ჩინურ ნოვაციას, რომელიც გამორიცხავს რესურსების გადანაწილების „ფართო მოწყვლის“ (сплошное орошение) პრინციპს. ამის ნაცვლად გამოიყენება ინდივიდუალური

მიდგომა — „წამლის შერჩევა კონკრეტული დიაგნოზის მიხედვით“. სიზუსტე მიიღწევა ექვს ძირითად მიმართულებაში: ბენეფიციართა ზუსტი იდენტიფიკაცია, პროექტების დაგეგმვა, სახსრების მიზნობრივი გამოყენება, ზომების მიყვანა თითოეულ ოჯახამდე, პასუხისმგებელი კადრების მიმაგრება კონკრეტულ სოფლებზე და ეფექტიანობის ობიექტური შეფასება [5].

ამ სტრატეგიის ფარგლებში პრაქტიკულად განხორციელდა „ორი ზრუნვისა“ და „სამი გარანტიის“ ინსტიტუციური სტანდარტი:

ორი ზრუნვა: საკვებისა და ტანსაცმლის ნორმალური უზრუნველყოფა;

სამი გარანტია: გარანტირებული სავალდებულო სასკოლო განათლება, საბაზო სამედიცინო მომსახურება და უსაფრთხო საცხოვრებელი;

დამატებითი სტანდარტი: უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის სრული უზრუნველყოფა.

ჩინეთის მიერ განხორციელებულმა მასშტაბურმა კამპანიამ 2020 წლის ბოლოსთვის ისტორიულ შედეგებს მიაღწია. ქვეყანამ გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით დასახულ სიღარიბის შემცირების მიზანს 10 წლით ადრე მიაღწია.

აბსოლუტური სიღარიბის დაძლევის შემდეგ ჩინეთმა დააწესა 5-წლიანი გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდის განმავლობაში მოქმედებს დინამიკური მონიტორინგისა და მიზანმიმართული მხარდაჭერის მექანიზმები, რაც საიმედოდ იცავს „წითელ ხაზს“ – სიღარიბეში მოსახლეობის მასობრივი დაბრუნების აღკვეთას.

ჩინეთის გამოცდილება არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული საზღვრებით. როგორც უდიდესი განვითარებადი ქვეყანა, ჩინეთი აქტიურად უზიარებს საკუთარ კონცეფციებსა და პრაქტიკულ ინსტრუმენტებს გლობალური სამხრეთის ქვეყნებს, რაც ამტკიცებს, რომ „სუსტ ფრინველსაც შეუძლია პირველად აფრენა და სიმაღლის აღება“.

მსოფლიო ბანკის საპროგნოზო შეფასებებით, ჩინეთის მიერ ინიცირებულმა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ (BRI) ინფრასტრუქტურულმა და ეკონომიკურმა პროექტებმა 2030 წლისთვის შესაძლოა დაახლოებით 7.6 მილიონ ადამიანს დაეხმაროს უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლაში, ხოლო 32 მილიონ ადამიანს — საშუალო სიღარიბიდან თავის დაღწევაში. გარდა ამისა, გლობალური განვითარების ინიციატივის (GDI) ამოქმედებიდან 4 წლის განმავლობაში მობილიზებულ იქნა 23 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი და განხორციელდა 1800-ზე მეტი თანამშრომლობის პროექტი.

მნიშვნელოვანია თუ როგორ უნდა მოხდეს რეფორმების რეალური ეფექტის შეფასება საზოგადოებასა და მოწყვლად ჯგუფებზე.

სოციალურ-ეკონომიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისკენ, ხშირად არათანაბრად მოქმედებს საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე. ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა ზოგადი კეთილდღეობა გაზარდოს, თუმცა მოკლევადიან ან საშუალოვადიან პერსპექტივაში გარკვეული ჯგუფებისთვის – განსაკუთრებით ღარიბი და მოწყვლადი მოსახლეობისთვის – შესაძლოა სერიოზული ფინანსური თუ სოციალური დანაკარგები გამოიწვიოს.

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სიღარიბისა და სოციალური ზემოქმედების ანალიზი (Poverty and Social Impact Analysis - PSIA) წარმოადგენს სისტემურ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომლის მიზანია პოლიტიკის რეფორმების სავარაუდო თუ ფაქტობრივი შედეგების შეფასება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის კეთილდღეობაზე. PSIA-ს მთავარი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად სოციალურ სამართლიანობასა და ინკლუზიურობას აყენებს წინა პლანზე.

PSIA ეფუძნება შვიდ ფუნდამენტურ კონცეპტუალურ ასპექტს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ რეფორმის მრავალმხრივ და სიღრმისეულ ანალიზს:

- რეფორმის არსის განსაზღვრა: რა სახის რეფორმა ხორციელდება (მაგ. სუბსიდიების

შემცირება, საგადასახადო ცვლილებები, პრივატიზაცია, ტარიფების კორექტირება).

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება: ვინ არიან რეფორმით დაზარალებული ან ხეირიანი ჯგუფები (ღარიბი მოსახლეობა, ქალები, სოფლის მცხოვრებნი, მცირე მეწარმეები).

- გადამცემი არხების გაანალიზება: რა გზებითა და მექანიზმებით აღწევს რეფორმის

ეფექტი კონკრეტულ ოჯახებსა და ინდივიდებამდე (გადამცემი არხები) [6].

რეფორმის ეფექტი მოსახლეობამდე აღწევს ხუთი მთავარი გადამცემი არხის (Transmission Channels) მეშვეობით. ამ არხების დეტალური შესწავლა საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს, თუ ვინ იზარალებს და ვინ მოიგებს რეფორმით.

PSIA-ს საბოლოო მიზანი მხოლოდ პრობლემების დიაგნოსტიკა არ არის – იგი პოლიტიკის შემქმნელებს აწვდის კონკრეტულ რეკომენდაციებს რეფორმის ოპტიმიზაციისა და უარყოფითი ეფექტების შემცირებისთვის.

სიღარიბის აღმოფხვრა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) არსებობის ფუნდამენტური იდეოლოგიური საფუძველია, რომლის ევოლუცია სამ ძირითად ისტორიულ ეტაპზე აისახა. 1919 წლის შსო-ს წესდების პრეამბულამ პირველად განსაზღვრა, რომ შრომის უსამართლო პირობები საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობასა და თანხმობას. 1944 წლის ფილადელფიის დეკლარაციამ ეს ხედვა გააღრმავა აქსიომატური პრინციპით, რომ სიღარიბე ნებისმიერ ადგილას საფრთხეს უქმნის საერთო კეთილდღეობას. 2015 წელს მიღებულმა მდგრადი განვითარების დღის წესრიგმა კი სიღარიბის ყველა ფორმისა და გამოვლინების ლიკვიდაცია მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობად გამოაცხადა. წინამდებარე სტატია აანალიზებს შსო-ს როლს ამ გლობალურ პროცესში და ღირსეული შრომის, როგორც სოციალური სამართლიანობის მიღწევის ცენტრალური ინსტრუმენტის, ტრანსფორმაციულ პოტენციალს.

აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 100 წლის იუბილესთან (2019 წელი) დაკავშირებული შვიდი "ასწლეულის ინიციატივა" ქმნის კომპლექსურ სინერგიას 2030 წლის დღის წესრიგთან. ეს ინიციატივები არ არის იზოლირებული პროექტები, არამედ ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიული მიმართულებებია:

1. **სიღარიბის აღმოფხვრის ინიციატივა:** პირდაპირი ინსტრუმენტი 2030 წლის დღის წესრიგის რეალიზაციისთვის.

2. **ქალები შრომის სფეროში:** პასუხობს SDG 5-ს, მიმართულია სტრუქტურული უთანასწორობის დაძლევისკენ.

3. **მწვანე ინიციატივა:** შსო-ს წვლილი SDG 13-ში; მჭიდროდ უკავშირდება "შრომის სფეროს მომავლის ინიციატივას" სამუშაო ადგილების ტრანსფორმაციის კონტექსტში.

4. **საწარმოთა ინიციატივა:** კერძო სექტორთან პარტნიორობის ახალი პლატფორმა მდგრადი განვითარებისთვის.

5. **ნორმების ინიციატივა:** ეხმიანება SDG 16-ს, აძლიერებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ინსტიტუციურ მდგრადობას.

6. **შრომის სფეროს მომავლის ინიციატივა:** ტრანსფორმაციული ცვლილებების ანალიზი სოციალური სამართლიანობის მანდატის შესასრულებლად.

7. **ადმინისტრაციული მართვის ინიციატივა:** შსო-ს შიდა ეფექტურობის ზრდა მრავალმხრივ სისტემებთან უკეთესი კოორდინაციისთვის [6].

დასკვნა

2030 წლის მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღირსეული შრომა აღქმული იქნება არა როგორც ეკონომიკური ზრდის თანდართული პროდუქტი, არამედ როგორც მდგრადი განვითარების ცენტრალური სტრატეგიული მიზანი და კოლექტიური პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

ქვეყნებს, სადაც შემოსავლების უთანასწოროება და სიღარიბის მაღალი დონეა, შეულიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ უთანასწოროება და სიღარიბე მთავრობის ჩარევის გზით. იმისათვის, რომ ღარიბებმა საკუთარი ძალისხმევით შეძლონ სიაღიბისგან თავის დაღწევა, ჩვენ უნდა შევქმნათ თანაბარი პირობები ბავშვებისთვის განათლებისა და სოციალური უზრინველყოფის გაუმჯობესებით, სამუშაო ადგილებზე წვდომის გაფართოებით და მდიდრებისა და გავლენიანი ადამიანების მიერ მანიპულირების თავიდან აცილებით. თანამედროვე სამყარო საკმარის მატერიალურ სიმდიდრეს აწარმოებს აბსოლუტური სიღარიბის დასაძლევად.

სოციალური დაძაბულობის, სიღარიბის, კორუფციისა და შიმშილის ამჟამინდელი მდგომარეობის აღმოფხვრა, მხოლოდ მთელი გლობალური საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით არსი შესაძლებელი.

ზოგიერთ ქვეყანაში ექსტრემალური სიღარიბე არ არის მასობრივი, თუმცა შენარჩუნებულია აბსოლუტური სიღარიბის მაღალი სტანდარტები. დასაქმება თავისთავად აღარ წარმოადგენს სიღარიბისგან დაცვის გარანტიას – მსოფლიოში 300 მილიონზე მეტი დასაქმებული ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ამან წარმოშვა ახალი სოციალური კატეგორია – **„ახალი“ ღარიბები**, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით დაბალი შრომითი ანაზღაურების პირობებში. XXI საუკუნის ახალი გამოვლინებები მოიცავს:

- სიმდიდრის კონცენტრაციას მოსახლეობის „1%-თან“;
- შრომის ბაზრის პოლარიზაციას;
- სახელმწიფო სოციალური მხარდაჭერის შესუსტებას და ეკონომიკის რენტულ ორიენტაციას.

შედეგად, პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა სიღარიბის თვითაღწარმოების მექანიზმი და „სიღარიბის მახე“.

სიღარიბე და ჭარბი უთანასწორობა წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური სისუსტის შედეგს, არამედ გრძელვადიანი მდგრადი ზრდის შემკავებელ ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Deon Filmer, Haishan Fu, Luis Felipe López-Calva. Improving Poverty Measurement Methods. 2025. https://blogs.worldbank.org/ru/voices/further-strengthening-how-we-measure-global-poverty
2. Georgia Learning Poverty Brief. April 2024 Version 2. International bank for Reconstruction and Development / The World bank.
3. Social Protection in a World of Crisis: Learning from the Response to the COVID-19 Pandemic in Eastern Europe and the South Caucasus, No. 2304 © 2023 International Bank for Reconstruction and Development / The World Bank
4. В борбе с бедностью одержана полная победа, жизнь крестьян в бедных районах продолжает улушаться. Двадцатый доклад из серии докладов о достижениях в области

социально-экономического развития после 18-го Всекитайского съузда Коммунистической партии Китаяю 2023. https://ru.theorychina.org.cn/c/2023-02-08/1460194.shtml

5. Горин В.А., Бикчурина К.Ю. О феномене «новой» бедности с позиции устойчивого экономического роста // Национальная безопасность / nota bene. 2026. № 3. С. 83-106. DOI: 10.7256/2454-0668.2026.3.79961 EDN: FXTKNS URL: https://nbpublish.com/library_read_article.php?id=79961

6. Еврокомиссия хочет искорить бедность в УС л 2050 году. 07.05.2026

7. Инициатива по искоренению бедности: МОТ и Повестка дня на период до 2030 года. Международная конференция труда, 105-я сессия, 2016 г. Международное бюро труда, Женева.

8. Камилова Н.А., Мусинова З. Проблема бедности и пути ее решения в соврименном мире. https://cyberleninka.ru/article/n/problema-bednosti-i-puti-eyo-resheniya-v-sovremennom-mire

9. Методические указания по анализу бедности и социальных последствий. Всемирный Банк Группа стратегии сокращения бедности (PRMPR) и Департамент социального развития (SDV). (c) 2003 Международный банк реконструкции и развития / Всемирный банк

10. Практика Китая по ликвидации бедности укрепляет глобалбные усилия по сокращению нищеты. 03.12.2025ю

Tea Lazarashvili
Teimuraz Gogokhia

The Problem of Poverty and Ways to Address It in the Modern World
Summary

Humanity has grappled with the problem of poverty since ancient times. Despite this, a solution has remained elusive; paradoxically, poverty persists as an integral part of every society.

Combating poverty and inequality is a primary objective of the socio-economic policy of every state. To date, there is no unified policy for resolving this issue, as each case requires an individualized, innovative approach. Social inequality is defined as the unequal access of individual members of society to essential resources – whether material or non-material. Unlike inequality, poverty does not characterize society as a whole; rather, it affects only a specific segment of the population. The scope of poverty – whether it encompasses a large or small portion of the population – d epends on a country's level of economic development. Poverty is defined as a "sharp decline in well-being"– specifically, the economic state of an individual or group wherein they are unable to meet a certain range of minimum needs essential for life or to maintain and improve their capacity to work. Poverty is a relative and multifaceted concept that depends on the general standard of living within a given society (e.g., as measured by the Gini coefficient or Theil index).

"Reducing poverty does not simply mean increasing wages or benefits." Factors such as unemployment, low levels of education, disabilities, poor health, belonging to an ethnic minority, and residing in a mixed or impoverished community must be taken into account when addressing poverty.

ავთანდილ სილაგაძე

გლობალური ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაციები. ავტორი აანალიზებს აშშ-ის, ჩინეთისა და ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკას პოსტპანდემიურ პერიოდში, ფოკუსირდება სტრუქტურულ ცვლილებებსა და გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე. ნაშრომში ასევე*

შეფასებულია საქართველოს როლი გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში და მისი ეკონომიკური მდგრადობის ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური ეკონომიკა, გეოპოლიტიკა, მიწოდების ჯაჭვები, სტრატეგიული ავტონომია, საქართველოს ეკონომიკა.*

21-ე საუკუნის პირველი მეოთხედი მოსახლეობის, ტექნოლოგიებისა და გლობალური წარმოების მასშტაბური ტრანსფორმაციით ხასიათდება. გლობალური ეკონომიკა მიმდინარე საუკუნეში 3.5-ჯერ გაიზარდა, თუმცა პანდემიის შემდგომმა პერიოდმა აჩვენა მწვავე დაცემა ზრდის ტემპებში. თუ 2021 წელს მსოფლიომ პოსტპანდემიური „აღმასვლის აფეთქება“ (6.5%) განიცადა, 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2.9%-მდე შემცირდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წამყვან ეკონომიკებშიც: ევროკავშირში ზრდა 1.5%-მდე დასტაბილურდა, აშშ-ში - 2.2%-მდე, ხოლო ჩინეთში - 5%-მდე. [გაანგ.: worldbank.org/indicator 07.08.2026].

ეს შენელება არ არის მხოლოდ დროებითი ციკლური მოვლენა; ის ასახავს სტრუქტურულ ცვლილებებს გლობალურ ბაზარზე. ტრადიციული გლობალიზაციის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ღია ბაზრებსა და ოპტიმიზებულ მიწოდების ჯაჭვებზე, ადგილს უთმობს ეროვნული უსაფრთხოების, პროტექციონიზმისა და სტრატეგიული ავტონომიის პრინციპებს.

გლობალური ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებლებია აშშ და ჩინეთი, რომლებიც ფლობენ გლობალურ ეკონომიკაზე ეკონომიკის დაახლოებით 43%-ს. [გაანგ. worldbank.org/indicator 07.08.2026].

შეერთებული შტატები გლობალური ეკონომიკის უპირველესი ლიდერია და მისი ეკონომიკის სტაბილურობას ხელს უწყობს მყარი შიდა მოხმარება და ტექნოლოგიური სექტორის გაძლიერება. აშშ მსოფლიოს ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) 26%-ს (2025) ქმნის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად პანდემიის შემდგომ პერიოდში ზრდის ტემპის ზოგადი გლობალური შენელებისა (როდესაც აშშ-ში მაჩვენებელი 2021 წლის 6.2%-დან 2025 წლისთვის 2.2%-მდე დასტაბილურდა), ამერიკული ეკონომიკა აგრძელებს განსაკუთრებულ სიმყარეს და ადაპტაციას ცვალებად გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოსთან.

ამერიკული ეკონომიკური მოდელის ფუნდამენტური საყრდენია ძლიერი და მრავალფეროვანი შიდა მოხმარება, რომელიც მსპ-ს დაახლოებით 70%-ს უზრუნველყოფს. მიუხედავად ინფლაციური წნეხისა და სარგებლის განაკვეთების პერიოდული რყევებისა, დასაქმების მაღალი დონე და ხელფასების ზრდა ინარჩუნებს მოსახლეობის მყარ ყიდვითუნარიანობას. შრომის ბაზრის მოქნილობა და მიგრაციული რესურსების ეფექტიანი ინტეგრაცია საშუალებას აძლევს ბიზნესს სწრაფად დაუბალანსოს სამუშაო ძალის დეფიციტი.

თანამედროვე ეტაპზე აშშ-ის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას მაღალტექნოლოგიური სექტორი წარმოადგენს. სილიკონის ველისა და სხვა ტექნოლოგიური ჰაბების გარშემო კონცენტრირებული კორპორაციები წარმართავენ გლობალურ ინოვაციურ ციკლებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხელოვნური ინტელექტის (AI), ქსელური გამოთვლითი რესურსების, ფინანსური ტექნოლოგიებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროებში განხორციელებული მძლავრი კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები, რომლებმაც აშშ-ის ბაზარი ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ეპიცენტრად აქციეს.

გლობალური მიწოდების ჯაჭვების ფრაგმენტაციისა და ჩინეთთან სავაჭრო-ტექნოლოგიური დაპირისპირების ფონზე, აშშ-ის მთავრობამ აქტიურად მიმართა

აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის მექანიზმებს. ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები, როგორიცაა „ნახევარგამტარებისა და მეცნიერების შესახებ აქტი“ და ინფლაციის შემცირების აქტი, მიზნად ისახავს ნახევარგამტარების (ჩიპების), მწვანე ენერგიისა და კრიტიკული კომპონენტების ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას. ეს ზომები ამცირებს საგარეო შოკებზე დამოკიდებულებას და აძლიერებს ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

მთლიანობაში, აშშ-ის ეკონომიკა ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ინოვაციების, კაპიტალის ბაზრების სიდიდისა და მაკროეკონომიკური რეგულირების მოქნილობის ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს მის წარმატებულ ადაპტაციას ახალ გლობალურ გამოწვევებთან.

თავის მხრივ, ჩინეთის მთავრობაც ცდილობს ეკონომიკის გადართვას შიდა მოხმარებასა და მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე, თუმცა აქ გამოწვევად რჩება უძრავი ქონების სექტორში არსებული სირთულეები. წლების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად ეყრდნობოდა ექსპორტს და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს. ამჟამად მთავრობა ცდილობს, რომ ჩინეთის მოსახლეობამ მეტი დახარჯოს ქვეყნის შიგნით, რითაც ეკონომიკა უფრო სტაბილური გახდება და საგარეო შოკებზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული. ის, ტრადიციული იაფი წარმოების ნაცვლად, უკვე მიისწრაფის მაღალტექნოლოგიური წარმოებისაკენ (ელექტრო-მობილები, მზისა და ქარის ტექნოლოგიები, ნახევარგამტარები (ჩიპები) და ხელოვნური ინტელექტი). ჩინეთის მაღალი ეკონომიკური ზრდის შენელებას ხელი შეუწყო ბოლო წლებში ჩინეთის უძრავი ქონების ბაზრის კრიზისმა. შედეგად, მსხვილი სამშენებლო კომპანიები ფინანსური კრახის წინაშე აღმოჩნდნენ: შემცირდა მოსახლეობის ნდობა, დასუსტდა საბინაო ბაზარი, რამაც ნეგატიურად იმოქმედა მთლიან ეკონომიკურ ზრდაზე.

აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, სავაჭრო ტარიფებმა და მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე (განსაკუთრებით ნახევარ-გამტარებსა და ჩიპებზე) დაწესებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა ჩინეთის საექსპორტო პოტენციალი. ბევრი გლობალური კომპანია ცდილობს წარმოება ჩინეთიდან სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ვიეტნამში, ინდოეთში ან მექსიკაში) წარმოების გადატანას.

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში ევროკავშირი ერთ-ერთ უმსხვილეს და გავლენიან მოთამაშედ რჩება, რომელიც მსოფლიო მთლიანი სამამულო პროდუქტის 18%-ს ქმნის. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პანდემიის შემდგომ პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპი მკვეთრად შენელდა - 2021 წლის მაღალი მაჩვენებლიდან (6.5%) 2025 წლისთვის 1.5%-მდე შემცირდა. ეს დინამიკა ასახავს იმ რთულ სტრუქტურულ და გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ევროპული სივრცე ბოლო წლებში აღმოჩნდა.

ევროკავშირის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ მთავარ ტესტად იქცა რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომისა და შემდგომი გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე წარმოქმნილი ენერგეტიკული კრიზისი. ათწლეულების განმავლობაში ევროპული ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი სამრეწველო გიგანტი გერმანია, დამოკიდებული იყო იაფ რუსულ ენერგორესურსებზე (ბუნებრივი აირი და ნავთობი). ამ მიწოდების ჯაჭვების მკვეთრმა წყვეტამ გამოიწვია ენერგორესურსების ფასების უპრეცედენტო ზრდა, რამაც მძიმედ დაარტყა ენერგოინტენსიურ ინდუსტრიებს (ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა) და ახალი იმპულსი მისცა ინფლაციურ პროცესებს.

ამ ფონზე, ევროკავშირმა ძირფესვიანად გადაიაზრა თავისი ეკონომიკური სტრატეგია. ტრადიციული თავისუფალი ვაჭრობისა და გლობალური ინტეგრაციის პრინციპები შეიცვალა „სტრატეგიული ავტონომიისა“ და ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინებით. ევროკავშირი აქტიურად ახორციელებს ინდუსტრიულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს:

- *კრიტიკული მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიცირებას:* ერთ მომწოდებელზე დამოკიდებულების შემცირებას და წარმოების „მეგობარ ქვეყნებში“ გადატანას.
- *ევროპულ ჩიპების აქტს* (European Chips Act): მასშტაბურ სუბსიდიებს და ინვესტიციებს ნახევარგამტარებისა და მიკროსქემების ადგილობრივი წარმოების განსავითარებლად, რათა შემცირდეს ტექნოლოგიური დამოკიდებულება აზიასა და ამერიკაზე.
- *მწვანე შეთანხმებას* (Green Deal): მწვანე ეკონომიკას და განახლებადი ენერგიების (მზის, ქარის და წყალბადის ენერგიის) ფართომასშტაბიან ინტეგრაციას, რაც ერთდროულად ემსახურება კლიმატის დაცვასა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს გააჩნია ძლიერი ერთიანი ბაზარი, მაღალკვალიფიციური მუშახელი და მყარი ფინანსური ინსტიტუტები, ის კვლავ აწყდება გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორებს. სავაჭრო პარტნიორებთან (აშშ და ჩინეთი) შედარებით, ევროპაში ინოვაციური სტარტაპების ზრდა და ხელოვნური ინტელექტის სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვა უფრო ნელა მიმდინარეობს, რასაც ემატება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია და ადამიანური რესურსების დეფიციტი.

ამრიგად, ევროკავშირის ეკონომიკა გარდამავალ ეტაპს გადის. ის ცდილობს შეინარჩუნოს სოციალური სტაბილურობა და ეკოლოგიური სტანდარტები, ერთდროულად კი მოერგოს ახალ, ფრაგმენტირებულ და კონკურენტულ გლობალურ რეალობას.

გლობალური ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა მწვავე გეოპოლიტიკური გამოწვევებმა - საომარმა მოქმედებებმა ახლო აღმოსავლეთში, უკრაინაში და სხვა რეგიონებში, რამაც მძლავრი დარტყმა მიაყენა გლობალურ ენერგომომარაგებას: მკვეთრად გაიზარდა ენერგორესურსების ფასები და წახალისდა ინფლაციური პროცესები. მსოფლიოში სამხედრო ხარჯებმა $2.65 ტრილიონს გადააჭარბა (იტალიის ეკონომიკის ტოლი). [https://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.CD. 07.08.2026]. მზარდი სახელმწიფო ვალები მძიმე ტვირთად დააწვა განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებს, ხოლო პროტექციონისტულმა სავაჭრო ტარიფებმა უკიდურესად დაძაბა გლობალური მიწოდების ჯაჭვები. მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიანი დანერგვის შედეგად, ტექნოლოგიური სექტორის საინვესტიციო ციკლი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ გლობალურ ტექნოლოგიურ მიწოდების ჯაჭვებში ჩართული ქვეყნები და კომპანიები, უკეთ უმკლავდებიან მაკროეკონომიკურ გამოწვევებს.

გლობალურ ვაჭრობაში ტრადიციული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს სულ უფრო ხშირად ანაცვლებს „სტრატეგიული დამოუკიდებლობისა“ და ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები. მთავრობები, კრიტიკული სექტორების გასაძლიერებლად, აქტიურად იყენებენ ინდუსტრიულ პოლიტიკას - სუბსიდიებს, სამამულო წარმოების მხარდაჭერას. გარდა ამისა, ისინი ხშირად მიმართავენ დივერსიფიცირების პოლიტიკას ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე ან ბაზარზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება ინდოეთის ეკონომიკა და ის ტოპ-10-ში შედის. გამოიკვეთა ინდოეთის ეკონომიკური ზრდის მიზეზები: ა) ძლიერი შიდა მოხმარება და მზარდი შიდა ბაზარი; ბ) მასშტაბური სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ინვესტიციები (საგზაო, რკინიგზების, პორტების, აეროპორტებისა და ციფრული ქსელების განვითარებაში); გ) გლობალური მიწოდების ჯაჭვების ცვლილება (წარმოების გადატანა ჩინეთიდან); დ) ტექნოლოგიური და მომსახურების სექტორის ბუმი (IT და აუთსორსინგი; გაციფრულება); მაკროეკონომიკური სტაბილურობა და რეფორმები (საგადასახადო სისტემის გამარტივება; საბანკო სექტორის გაჯანსაღება) და სხვ.

მსოფლიო მასშტაბით მაკროეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა გაორმაგდა (2021-2025) და ის სტაბილურად ინარჩუნებს პოზიტიურ დინამიკას, რასაც მრავალფაქტორიანი ეკონომიკური პოლიტიკა და რეგიონული ლოჯისტიკური ფუნქცია განაპირობებს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და გააზრებული სამშვიდობო და სატრანზიტო პოლიტიკა წარმოადგენს. შავი ზღვის აუზისა და „შუა დერეფნის“ მეშვეობით საქართველო იქცა კრიტიკულ ალტერნატიულ სავაჭრო და სატრანსპორტო არტერიად. გლობალური მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაციისა და რუსეთზე დაწესებული სანქციების ფონზე, გაიზარდა ტვირთბრუნვა, რამაც მნიშვნელოვანად გაზარდა სატრანსპორტო, ლოჯისტიკურ და ინფრასტრუქტურულ სექტორებზე მოთხოვნა.

საქართველოს ეკონომიკის მზარდ დინამიკას ძლიერი ფინანსური ნაკადები უზრუნველყოფს. ქვეყანაში ფიქსირდება მაღალი სავალუტო შემოდინებები, რომლებსაც განაპირობებს: *მზარდი ტურიზმი, დიდი უცხოური* ფულადი გზავნილები და დივერსიფიცირებული საინვესტიციო ნაკადები. ასევე, აქტიურად ხორციელდება სავაჭრო ბაზრებისა და ეკონომიკური პარტნიორების დივერსიფიცირება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (როგორც ევროკავშირთან, ისე აზიისა და რეგიონის სხვა წამყვან ქვეყნებთან) ქმნის შესაძლებლობებს სამამულო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გასაზრდელად. გარდა ამისა, მიმდინარეობს სამუშაოები სამამულო წარმოების წახალისებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით.

მთლიანობაში, გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის პირობებში, საქართველოს ეკონომიკა წარმატებით ახდენს არსებულ გამოწვევებთან ადაპტირებას და ზრდას. პრაგმატული სატრანზიტო პოლიტიკა, მყარი სავალუტო შემოდინებები და ბაზრების დივერსიფიცირება უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და მის წარმატებულ ინტეგრაციას ცვალებად გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია (ლ.ნილი, რ.კემერონი). სახელმძღვანელო. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი ავთანდილ სილაგაძე. თბილისის უნ-ტის გამომც., თბილისი, 2022

2. მენაბდიშვილი, ი. (2023). *გლობალური ეკონომიკა და თანამედროვე გეოეკონომიკური გამოწვევები.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

3. Baldwin, R. (2019). *The Globotics Upheaval: Globalization, Robotics, and the Future of Work.* Oxford University Press.

https://www.researchgate.net/publication/341801554_Richard_Baldwin_The_Globotics_Upheaval_Globalisation_Robotics_and_the_Future_of_Work#fullTextFileContent 07.08.2026.

4. *Geoeconomic Fragmentation: The Economic Risks of a Splitting World*. (2023) file:///C:/Users/User/Downloads/190366-geoeconomic-fragmentation-the-economic-risks-from-a-fractured-world-economy.pdf 08.08.2026.

5. World Bank Group. Global Economic Prospects (2026) . https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/4c370aee-ae90-4c42-ac27-89259f9e284e/content 08.08.2026.

6. Silagadze,A., Atanelishvvili,T., Silagadze, N. (2022) Covid Depression and Search for a New Paradigm. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 16(1):2022. https://www.researchgate.net/publication/359904891_Covid_Depression_and_Search_for_a_New_Paradigm#fullTextFileContent 07.08.2022.

7. Stiglitz, J. E. (2019). *People, Power, and Profits: Progressive Capitalism for an Age of Discontent*. W. W. Norton & Company. https://wwnorton.com/books/People-Power-and-Profits/ 08.08.2022.

8. https://www.geostat.ge/ka# 07.08.2026.

9. https://data.worldbank.org და სხვ. ინტერნეტმასალა: 07.08.2022.

Avtandil Silagadze

Modern Trends of the Global Economy

Summary

The paper examines the global economic transformations occurring in the first quarter of the 21st century. The author analyzes the economic policies of the USA, China, and the European Union in the post-pandemic period, focusing on structural shifts and geopolitical challenges. The paper also assesses Georgia's role in global supply chains and the factors contributing to its economic resilience.

Keywords: *Global economy, Geopolitics, Supply chains, Strategic autonomy, Georgian economy.*

ავთანდილ სულაბერიძე
იოსებ არჩვაძე
ვლადიმერ სულაბერიძე

დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებანი და თავისებურებები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში

ანოტაცია. *საბჭოთა კაშირის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ არსებითი გავლენა მოახდინა არა მარტო პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურასა და დინამიკაზე, არამედ ყველა მათგანში განვითარებულ დემოგრაფიულ პროცესებზე. განვლილი ათწლეულების მანძილზე არსებითად განსხვავებული ფორმა მიიღო ამ ქვეყნების დემოგრაფიულმა სტრუქტურამ, ქცევამ, დინამიკამ არა მარტო ურთიერთმიმართებით, არამედ საკუთარი საბჭოთა პერიოდისდროინდელ დემოგრაფიული ქცევის მოდელსა და დემოგრაფიული პროცესების სტრუქტურასთან შედარებითაც. სახელმწიფოები თავიანთ დემოგრაფიულ პოლიტიკას ატარებენ საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის, ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესის, მენტალობის, სამომხმარებლო,*

სამეწარმეო და დემოგრაფიული ქცევის ფორმების, გლობალიზაციით და ტექნოლოგიური პროგრესით განპირობებული სამართლებრივი და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაიოლების გამო მოსახლეობის მობილურობის მასშტაბური ზრდის გათვალისწინებით. ასეთ პირობებში დემოგრაფიული პოლიტიკა სცდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი ასპექტის სტატუსს და წარმოადგენს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და მდგრადობის განმაპირობებელ უმნიშვნელოვანეს პირობას.

საკვანძო სიტყვები: *შობადობა, დეპოპულაცია, მოსახლეობის დაბერება, შრომითი მიგრაცია, დემოგრაფიული პოლიტიკა.*

საბჭოთა პერიოდის დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები


დემოგრაფიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში ცენტრალიზებული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. მისი ძირითადი მიზნები იყო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა, შრომითი რესურსების ფორმირება და სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ხელშეწყობა. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნებოდა მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ატარებდა შობადობის წახალისების პოლიტიკას. ამ მიზნით გამოიყენებოდა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა, ერთჯერადი და პერიოდული სოციალური დახმარებები. 1944 წელს დაწესდა საპატიო წოდებები და შესაბამისი ორდენები და მედალი: ორდენი «**Мать-героиня»** („გმირი დედა“ – 10 და მეტი ბავშვის გაჩენისათვის), ორდენი «**Материнская слава»** („დედობრივი დიდება“ - სამი ხარისხის, შესაბამისად, 9, 8 და 7 შვილის გაჩენისათვის) და **«Медаль материнства»** („დედობის მედალი“ - ორი ხარისხის, შესაბამისად, 6 და 5 ბავშვის გაჩენისათვის). ასევე, გაფართოვდა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა და ბავშვის მოვლის სისტემა. პარალელურად ფართოვდებოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელი, რაც ქალებს შრომითი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევდა.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემა სრულ დასაქმებაზე იყო ორიენტირებული, რის გამოც დემოგრაფიული პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომითი რესურსების დაგეგმვასთან. მოსახლეობის ზრდა განიხილებოდა როგორც ეკონომიკური განვითარების, ახალი სამრეწველო დარგების ჩამოყალიბებისა და მანამდე ეკონომიკურად ნაკლებად ათვისებული ტერიტორიების (ყამირი მიწები, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და სხვა) განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

ინდუსტრიალიზაციის პროცესის პარალელურად სახელმწიფო მიზანმიმართულად უწყობდა ხელს სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მიგრაციას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქების მოსახლეობის წილი, შეიცვალა დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა და მნიშვნელოვნად დაჩქარდა ურბანიზაციის პროცესი თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში. მთლიანობაში, საბჭოთა კავშირში ქალაქის მოსახლეობის წილი 1926 წლის 18 პროცენტიდან 1989 წლისათვის 66 პროცენტამდე გაიზარდა, მათ შორის საქართველოში — 22 პროცენტიდან 56 პროცენტამდე.

დიაგრამა 1



დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ქალთა დასაქმებისა და ოჯახური ფუნქციების შეთავსების ხელშეწყობა. ამასთანავე, სახელმწიფო მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავდა ჯანდაცვის სისტემის განვითარებისა და მოკვდაობის შემცირებისკენ, რაც გამოიხატებოდა უფასო სამედიცინო მომსახურების გაფართოებით, ვაქცინაციის მასობრივი პროგრამების განხორციელებითა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების სისტემატური განვითარებით.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ჩვილთა მოკვდაობა და გაზარდა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა. თუმცა, 1970-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით მამაკაცებში, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ტემპი შესამჩნევად შენელდა.

ამასთან, მიუხედავად ერთიანი სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის არსებობისა, რესპუბლიკებს შორის დემოგრაფიული პროცესები არსებითად განსხვავდებოდა. ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში შენარჩუნებული იყო მაღალი შობადობა და მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი ზრდა; ბალტიის ქვეყნებში, რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში 1970-იანი წლებიდან შობადობა შემცირდა და მოსახლეობის დაბერების პროცესი გაძლიერდა; სამხრეთ კავკასიაში (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) დემოგრაფიული მაჩვენებლები შუალედურ მდგომარეობას იკავებდა - ბუნებრივი მატება შედარებით მაღალი იყო, თუმცა მისი შემცირების ტენდენცია უკვე გამოიკვეთა.

საბჭოთა დემოგრაფიული პოლიტიკა, მთლიანობაში, გამოირჩეოდა მაღალი ცენტრალიზაციით და სახელმწიფო კონტროლით. მან მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების, ჯანდაცვის სისტემის განვითარების, ჩვილთა მოკვდაობის შემცირებისა და სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მიმართულებით. კერძოდ, 1926-1989 წლებში სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 44 წლიდან 70 წლამდე, ანუ 26 წლით გაიზარდა.

ამასთანავე, აღნიშნული პოლიტიკის ეფექტიანობას ზღუდავდა რიგი ფაქტორები, მათ შორის მოსახლეობის იძულებითი მიგრაციები, რესპუბლიკებს შორის არსებული დემოგრაფიული უთანასწორობა, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე საშუალებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ეკონომიკური განვითარების არათანაბარი ტემპები. 1980-იანი წლების ბოლოს უკვე აშკარად გამოიკვეთა დემოგრაფიული კრიზისის ნიშნები — შობადობის შემცირება, მოსახლეობის დაბერების პროცესის დაჩქარება და მამაკაცთა მაღალი მოკვდაობა, რომლებმაც შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიულ განვითარებაზე.

ამრიგად, საბჭოთა დემოგრაფიული მოდელი ემყარებოდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო ჩარევას, თუმცა რესპუბლიკებს შორის დემოგრაფიული დიფერენციაცია უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა.

დემოგრაფიული ვითარება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში 1990-იან წლებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა მისი მასშტაბი და ხანგრძლივობა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითად, თუ ეკონომიკური რეცესია ესტონეთში დაახლოებით 25 თვე გაგრძელდა, საქართველოში იგი თითქმის ექვს წელს — 71 თვეს (1988 წლის ოქტომბრიდან 1994 წლის აგვისტოს ჩათვლით) — მოიცავდა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 74.5 პროცენტით შემცირდა, მაშინ როდესაც პოსტ-საბჭოთა სივრცეში საშუალო კლება დაახლოებით 35 პროცენტი იყო, ხოლო დაბადებულთა რაოდენობამ 37.6 პროცენტით იკლო — 91 905-დან 57 311-მდე.

ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა როგორც ოჯახების რეპროდუქციულ ქცევაზე, ისე მოსახლეობის მიგრაციულ აქტივობაზე. თუ საბჭოთა პერიოდში ეთნიკური ქართველების 95.1 პროცენტი საქართველოში ცხოვრობდა[3], ამჟამად საქართველოში მსოფლიო ქართველობის მხოლოდ დაახლოებით 65–70 პროცენტია კონცენტრირებული. 1990-იან წლებში საქართველოდან განხორციელებული ემიგრაციის შემთხვევათა დაახლოებით 90 პროცენტი (ქვეყნიდან ეთნიკური მიგრაციის გამოკლებით) ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის დროისთვის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მამაკაცებისთვის 64–66 წელს, ქალებისთვის კი 73–75 წელს შეადგენდა (ორივე სქესისათვის საშუალოდ დაახლოებით 69–70 წელი). მომდევნო წლებში ეკონომიკური კრიზისის, ჯანდაცვის სისტემის გაუარესების, სოციალური სტრესისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გავლენით სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა თითქმის ყველა ქვეყანაში შემცირდა.

საქართველოში აღნიშნული ტენდენცია თითქმის ორი ათეული წელი გაგრძელდა. შედეგად, მამაკაცთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 2000-იანი წლების დასაწყისში 64.9 წლამდე შემცირდა, რაც 1990-იანი წლების დასაწყისის მაჩვენებელზე დაბალი იყო.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ 2000-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა ბალტიის ქვეყნებში 75–79 წელს აღწევს და საშუალო ევროპულ დონეს უახლოვდება. სამხრეთ

[3] 1989 წლის საკავშირო მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, ქართველთა რაოდენობა სსრკ-ში შეადგენდა 3981.0 ათას კაცს, მათ შორის საქართველოში - 3304.1 ათასს კაცს (95.1%).

კავკასიაში იგი 73–76 წლის ფარგლებში მერყეობს, მათ შორის საქართველოში 76.0 წელს შეადგენს. რუსეთში, ბელარუსში, უკრაინასა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების უმეტესობაში აღნიშნული მაჩვენებელი 72–74 წელს არ აღემატება.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა თავდაპირველად შემცირდა, თუმცა შემდგომ წლებში უმეტეს პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში კვლავ გაიზარდა. ამასთანავე, გაიზარდა გენდერული სხვაობაც. საქართველოში ქალთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (80.6 წელი) მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (71.4 წელი) 9.2 წლით აღემატება, მაშინ როდესაც 1990-იან წლებში ეს სხვაობა 8.1 წელს შეადგენდა.

ბალტიის ქვეყნები — ესტონეთი, ლატვია და ლიტვა — დღეს რომ სიცოცხლის ხანგრძლივობითა და ზოგადად ჯანმრთელობის ინდიკატორებით უფრო ახლოს არიან დასავლეთ ევროპასთან, ვიდრე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან, განპირობებულია რამდენიმე სტრუქტურული განსხვავების კომბინაციით:

1) სწრაფი ინტეგრაცია ევროკავშირში და ნატოში (შედეგად - **ევროკავშირის** მასშტაბური **ფინანსური ინვესტიციები ჯანდაცვაში,** რეგულაციების სწრაფი და სრული ევროპეიზაცია, ინფრასტრუქტურის და საავადმყოფოების მოდერნიზაცია, etc.);

2) ჯანდაცვის სისტემის სწრაფი რეფორმა (მათ შორის **სავალდებულო დაზღვევის მოდელზე სწრაფი გადასვლა,** პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესება, უფრო ადრეული დიაგნოსტირება; უკეთესი პრევენცია;

3) ცხოვრების სტილი;

4) ეკონომიკური სტაბილურობა და ცხოვრების დონე (ნაკლები სიღარიბე, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, მეტი წვდომა ჯანმრთელ საკვებზე და სერვისებზე;


5) დემოგრაფიული და ინსტიტუციური ფაქტორები (დაბალი კორუფცია, ძლიერი საჯარო ინსტიტუტები, მაღალი ნდობა სახელმწიფოს მიმართ, უკეთესი სოციალური დაცვის სისტემები). ამ მიმართულებით სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება, პრევენციული მედიცინის განვითარება და დემოგრაფიული პოლიტიკის არსებითი გაუმჯობესება და გაძლიერება.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შობადობის დინამიკა მთლიანობაში ეწერება შესაბამისი პროცესების გლობალურ კონტექსტში, კერძოდ, ადგილი აქვს შობადობის საერთო და ჯამობრივი კოეფიციენტების შემცირებას. - თუ საბჭოთა პერიოდში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მერყეობდა **2.0–3.6 ბავშვს შორის,** დღეს უმეტესობა არის **1.2–1.9,** ანუ **ჩანაცვლების დონეზე (2.1)** ნაკლებია.

ყველაზე დიდი ვარდნა მოხდა ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სადაც აღნიშნული კოეფიციენტი შემცირდა: ბალტიის ქვეყნებში - 2.0-დან დაახლოებით 1.2-1.4-მდე, რუსეთში - 1.9-დან 1.5-მდე, ხოლო უკრაინაში - 1.8-დან 1.2-მდე.


რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ სამხრეთ კავკასიაში, თუმცა აქაც შობადობის მაჩვენებლები ჩამოსცდა მარტივი კვლავწარმოებისათვის აუცილებელ მაჩვენებელს (2.1): საქართველოში - 2.2-დან 1.9-მდე, სომხეთში - 2.6-დან 1.7-მდე, ხოლო აზერბაიჯანში - 2.7-დან 1.7-მდე. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ცენტრალური აზიის ქვეყნები ინარჩუნებენ კვლავწარმოების მაღალ ტემპს (ყაზახეთი - 2.6, უზბეკეთი - 2.8, ყირგიზეთი - 2.4...).

დიაგრამა 2



აღნიშნული გარემოებით აიხსნება ამ ქვეყნების წილის ზრდა მთელ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. - თუ 1990 წელს მათ წილად მოდიოდა საბჭოთა კავშირის მთლიანი მოსახლეობის 17.4 პროცენტი, 2025 წელს უკვე - პოსტ-საბჭოთა სივრცის მთელი მოსახლეობის 27.9 პროცენტი. ამ ხნის განმავლობაში ამ ქვეყნებში მოსახლეობა გაიზარდა 63.5 პროცენტით, დანარჩენ ქვეყნებში კი პირიქით, შემცირდა 11.3 პროცენტით (მათ შორის საქართველოში - 30.2 პროცენტით).

დიაგრამა 3




პოსტ-საბჭოთა განვლილმა ათწლეულებმა მკაფიოდ წარმოაჩინა მაღალი კორელაცია, ერთი მხრივ, დემოგრაფიული პროცესების დინამიზმს და მეორე მხრივ, შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას, ურბანიზაციასა და განათლებას შორის.

ეკონომიკასთან კავშირი გამოიხატება იმაში, რომ იზრდება შვილების აღზრდის ხარჯები. სხვადასხვა შეფასებებით, ოჯახს (მშობლებს) ბავშვის დაბადებიდან მათი 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე ხარჯების მოცულობა (მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა

კვება, ტანსაცმელი, საცხოვრებლის დამატებითი ხარჯი, კომუნალური მომსახურება, საბავშვო ბაღი, სკოლა, სასწავლო მასალები, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის ხარჯები, სპორტი, კულტურა და დასვენება, ციფრული მოწყობილობები. მაგრამ არ შედის ხარჯები უნივერსიტეტის სწავლაზე, ბავშვისთვის შეძენილი ბინა ან სხვა დიდი ქონება) შეადგენს (საშუალოდ წელიწადში): აშშ-ში - 14-19 ათას აშშ დოლარს, გერმანიაში - 8-12 ათას ევროს, გაერთიანებულ სამეფოში - 10-14 ათას ფუნტ სტერლინგს, საფრანგეთში - 8-11 ათას ევროს და ა.შ.[4]

ეს ერთერთი ფაქტორია იმისა, თუ რატომ აგვიანებენ ადამიანები ოჯახების შექმნას და ზღუდავენ ბავშვების რაოდენობას. - ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე ქორწინების საშუალო ასაკი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში გაიზარდა, სულ ცოტა, 11 წლით.[5] მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით საქართველოში ქორწინების საშუალო ასაკი გაიზარდა: მამაკაცებში - 5.6 წლით და 32.4 წელი შეადგინა, ქალებში, შესაბამისად, 6.8 წლით და 30.1 წელი.

დიაგრამა 4



გადავადებული, დაგვიანებული ქორწინება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შობადობის მაჩვენებლების დაცემას. ახალგაზრდებს წინა პლანზე აყენებენ სამსახურებრივ კარიერას, სტაბილურ და მაღალ შემოსავალს, მეტ ფინანსურ უსაფრთხოებას, უკეთეს საცხოვრებელ პირობებს. ურბანიზაცია, ქალთა განათლების და დასაქმების მზარდი დონე და დემოგრაფიული ქცევის „გადავადებული დედობით“ ცნობილი ახალი არქეტიპი და ამით გამოწვეული რეპროდუქციული „დროის ფანჯრის“ შემცირება ასევე უარყოფითად მოქმედებს შობადობაზე. ასეთი განწყობის პირობებში **ბავშვების ყოლა ახლადშექმნილი ოჯახების პრიორიტეტთა ათეულში** ფაქტობრივად აუტსაიდერია.

საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ბოლო ათწლეულებში თითქმის 2.5-ჯერ შემცირდა - 1950-იანი წლების ბოლოს 23.8 პრომილედან 2025 წლის 9.6-მდე. შეიძლება ითქვას, რომ შობადობის დაცემაში მთავარი დამნაშავე არის არა

[4] იხ. OECD – The Cost of Raising Children Across Evolving Family Structures (2025).

[5] ქალების საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას გაიზარდა 18-21 წლიდან 26-30 წლამდე, ხოლო მამაკაცებისა, შესაბამისად, 22-25 წლიდან 28-33 წლამდე.


ადამიანთა ეგოიზმი და შვილების ყოლის სურვილის მინავლება, არამედ ის, რომ ისინი უფრო გვიან ქმნიან ოჯახს, უფრო ძვირი ხდება ბავშვის გაზრდა, და უფრო რთული ხდება დროის/კარიერის ბალანსი, ანუ შობადობის კლება არის: **ეკონომიკის + ქალაქის ცხოვრების + განათლების ზრდის** ბუნებრივი შედეგი.

შობადობის შემცირება და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა პირდაპირ აისახება ბავშვთა წილის შემცირებაში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. ბალტიის ქვეყნებში აღნიშნული დონე 1990-იან წლებთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 24 პროცენტიდან 15-16 პროცენტამდე, რუსეთსა და უკრაინაში - 22-23 პროცენტიდან 15-18 პროცენტამდე, საქართველოში - 24 პროცენტიდან 19 პროცენტამდე. აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში (ტაჯიკეთი - 35%, ყირგიზეთი - 32%, თურქმენეთი - 31%, ყაზახეთი და უზბეკეთი - 30-30 პროცენტი თითოეულში). ეს გავლენას ახდენს მოსახლეობის მედიანურ ასაკზე, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

ფაქტობრივად, შობადობის შემცირება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში წარმოადგენს გლობალური დემოგრაფიული გარდაქმნის რეგიონულ გამოვლინებას.

შობადობის შემცირებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა არსებითად ცვლის პროპორციებს ბავშვებისა და მოხუცების რიცხოვნობათა შორის. ამჟამად ყოველ 100 ბავშვზე მოდის: საქართველოში - 95, ბალტიის ქვეყნებში -120-133 ხანდაზმული, უკრაინაში - 120, სომხეთში - 74, აზერბაიჯანში - 49, ყაზახეთში - 28, ხოლო უზბეკეთში - 21.

დიაგრამა 5



ანუ პოსტ-საბჭოთა სივრცე ამ ინდიკატორით გაიყო სამ ნაწილად: ბალტიის ქვეყნები → დაბერებული; აღმოსავლეთ ევროპა/კავკასია → საშუალო დაბერება; ცენტრალური აზია → ახალგაზრდა სტრუქტურა. ფაქტობრივად, ერთი თაობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ **ბავშვებით მდიდარი რეგიონი გადაქცეულიყო რეგიონად, სადაც ხანდაზმულები ბავშვებს აჭარბებენ**. ამ ვითარებას აქვს თავისი ეკონომიკური შედეგი: სწრაფად იზრდება საპენსიო ხარჯები, ბიუჯეტზე ზეწოლა ძლიერდება; მთავრობა **იძულებულია: გაზარდოს გადასახადები, გაზარდოს საპენსიო ასაკი ან შეამციროს პენსიის რეალური ღირებულება.** შრომით ბაზარზე ჩნდება სამუშაო ძალის დეფიციტი. ამას ემატება ის, რომ სავიზო ლიბერალიზაციისა და ეკონომიკური

შესაძლებლობების ზრდის პირობებში იზრდება ემიგრაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რაც კიდევ უფრო მეტად ამწვავებს მდგომარეობას.

მოტანილი ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, მოვახდინოთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული ტიპოლოგიზაცია, რაზეც უფრო თვალსაჩინო წარმოდგენას ქვემორე სქემა იძლევა.


პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული ტიპოლოგიზაცია

დემოგრაფიული ტიპი	ქვეყნები	ძირითადი მახასიათებლები
I. დაბერებული	ბალტიის ქვეყნები, უკრაინა	დაბალი შობადობა, მოსახლეობის კლება, მაღალი მედიანური ასაკი
II. გარდამავალი	საქართველო, სომხეთი, რუსეთი, ბელარუსი	დაბალი შობადობა, აქტიური მიგრაცია, ზომიერი დაბერება
III. ახალგაზრდა	ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი	მაღალი შობადობა, მოსახლეობის ზრდა, ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის მედიანური ასაკის ზრდა და მისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

პოსტ-საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მედიანური ასაკი ყველა ქვეყანაში გაიზარდა, სულ მცირე, 5 წლით. თუ 1990-იანი წლების დასაწყისში იგი ქვეყნების მიხედვით 20-34 წლის ფარგლებში მერყეობდა, 2025 წლისათვის უკვე 25-44 წელს მიაღწია. შესაბამისად, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული მოსახლეობის მქონე ქვეყნებს შორის განსხვავება 14 წლიდან 19 წლამდე გაიზარდა, რაც მოსახლეობის ასაკობრივი დიფერენციაციის გაღრმავებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 6



ქვემორე ცხრილი მკაფიო წარმოდგენას იძლევა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში მედიანური ასაკის აბსოლუტურ მატებასა და ზრდის ტემპზე 1990 წელთან შედარებით.

ცხრილი

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მედიანური ასაკის ზრდა 2025 წელს 1990 წელთან შედარებით

	ზრდა 2025 წ. 1990 წ.-თან, წელი	**2025 წ. %-ით 1990 წ.-თან**
ლიტვა	11	133,3
ლატვია	10	129,4
უკრაინა	10	131,3
საქართველო	10	134,5
ესტონეთი	9	126,5
რუსეთი	9	129
ბელარუსი	9	128,1
სომხეთი	8	128,6
აზერბაიჯანი	8	132
ყაზახეთი	5	119,2
უზბეკეთი	5	121,7
ყირგიზეთი	5	122,7
ტაჯიკეთი	5	125

მედიანური ასაკის ზრდა ძირითადად განპირობებულია: შობადობის შემცირებით; სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით; ახალგაზრდების ემიგრაციით; ურბანიზაციით; ეკონომიკური ტრანსფორმაციით.

შესაბამისად, მედიანური ასაკის დინამიკა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ნათლად აჩვენებს მოსახლეობის სტრუქტურული დაბერების პროცესს. თუ სსრკ-ის დაშლის პერიოდში რეგიონი შედარებით ახალგაზრდული იყო (განსაკუთრებით ცენტრალური აზიის გავლენით), დღეს აშკარაა ასაკობრივი პოლარიზაცია: ბალტიის ქვეყნები და აღმოსავლეთ ევროპა უკვე დაბერებულ საზოგადოებებს წარმოადგენენ, ხოლო ცენტრალური აზია ინარჩუნებს ახალგაზრდა მოსახლეობის სტრუქტურას, თუმცა იქაც მიმდინარეობს თანდათანობითი დაბერება. აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ **პოსტ-საბჭოთა სივრცე აღარ წარმოადგენს ერთიან დემოგრაფიულ სისტემას.** თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია სამი ძირითადი დემოგრაფიული ტიპის გამოყოფა:

ტიპი	**რეგიონი**	**მახასიათებელი**
დაბერებული	ბალტიის ქვეყნები, უკრაინა	მაღალი მედიანური ასაკი (>40)
გარდამავალი	რუსეთი, საქართველო და სამხრეთ კავკასიის ნაწილი	30–40 წელი
ახალგაზრდა	ცენტრალური აზიის სახელმწიფოები	<30 წელი

ურბანიზაციის ზრდის, ქალთა განათლების დონისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდის გამო მნიშვნელოვნად - საშუალოდ 5-8 წლით, გაზრდილია ქალთა პირველი ქორწინების ასაკი.

1990-იანი წლების დასაწყისში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ქალები საშუალოდ **20.5–23.8 წლის** ასაკში ქორწინდებოდნენ. ყველაზე დაბალი საშუალო ასაკი მაშინ იყო მოლდოვაში (20.5 წელი), ხოლო ყველაზე მაღალი — აზერბაიჯანში (23.8

წელი). ამჟამად ქალთათვის ყველაზე დაბალი ასაკი პირველი ქორწინებისას ფიქსირდება ტაჯიკეთში (22.8 წელი), ყველაზე მაღალი კი - ლატვიაში (30.6 წელი; საქართველოში, შესაბამისად, 30.1 წელი)

შრომითი მიგრაციიის მასშტაბები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში შრომითი მიგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და სტრუქტურულ დემოგრაფიულ პროცესს, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად განვითარდა 1990-იანი წლების ეკონომიკური ტრანსფორმაციისადა მასთან ასოცირებული გარდამავალი პერიოდით გამოწვეული რეცესიის შემდეგ. მისი მასშტაბი და ხასიათი ქვეყნებს შორის განსხვავდება, თუმცა საერთო ტენდენციები საკმაოდ მკაფიოა.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან შრომით მიგრაციაში ყოველწლიურად მონაწილეობს დაახლოებით **10–15 მილიონი ადამიანი** (მუდმივად ან სეზონურად) - პოსტ-საბჭოთა სივრცის მთელი მოსახლეობის 5.0-7.5 პროცენტი. ეს მაჩვენებელი მერყეობს ცალკეული ქვეყნების, ეკონომიკური ციკლებისა და მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრის მოთხოვნის მიხედვით.

რუსეთის ფედერაცია დღემდე რჩება პოსტ-საბჭოთა სივრცის შრომითი მიგრაციის ძირითად მიმღებ ქვეყნად. - პოსტ-საბჭოთა სივრცის შრომითი მიგრაციის დაახლოებით 70–80% რუსეთის ფედერაციაზე მოდის. განსაკუთრებით მაღალია მიგრანტების რაოდენობა ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი); ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო).

საგულისხმო „ევოლუცია“ განიცადა შრომითმა მიგრაციამ მოლდოვადან რუსეთში: სსრკ დაშლის შემდეგ ამ ქვეყნიდან, მძიმე ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის გამო, ასობით ათასმა ადამიანმა დაიწყო სეზონური და ხანგრძლივი სამუშაო მიგრაცია, რომელშიც მთავარი დანიშნულების ქვეყანა რუსეთი იყო. 2000–2014 წლებში რუსეთში ერთდროულად მუშაობდა მოლდოვის **დაახლოებით 550 ათასი** მოქალაქე, მათ შორის არანაკლებ ნახევარი - არალეგალური სტატუსით.

ამჟამად რუსეთში სეზონურად ან დროებით მუშაობს რამდენიმე მილიონი მიგრანტი (3–5 მილიონამდე აქტიური პერიოდების მიხედვით). მხოლოდ უზბეკეთიდან ყოველწლიურად დაახლოებით 2–3 მილიონი გადის ქვეყნიდან შრომით ემიგრაციაში. საზღვარგარეთ ყოველწლიურად შრომით ემიგრაციაში იმყოფება ტაჯიკეთიდან მოსახლეობის 25–40%, ყირგიზეთში - 20 პროცენტამდე, საქართველოში - 15-20 პროცენტი.

საქართველოში 1990-იან წლებში განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა არსებითად განსაზღვრა ემიგრაციის მასშტაბები, რომლის 80 პროცენტი შრომით ემიგრაციას წარმოადგენდა, ძირითადად - რუსეთის ფედერაციაში. ამჟამად შრომითი ემიგრაციის გეოგრაფია საკმაოდ დივერსიფიცირებულია და თუ ქვეყანაში განხორციელებული ტრანზაქციების წილით და სიხშირით ვიმსჯელებთ (2025 წელს: თანხობრივად - 12.9%, რაოდენობა/სიხშირე - 17.7%), იკავებს ქვეყნებს შორის რემიტანსების მიხედვით - მესამე, ხოლო გადმორიცხვის შემთხვევათა მიხედვით - მეორე ადგილს ქვეყნებს შორის.

მთლიანობაში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში შრომითი მიგრაცია არის **მასობრივი, სტრუქტურული და გრძელვადიანი დემოგრაფიული ფენომენი**, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად არის დაკავშირებული ეკონომიკურ უთანასწორობასთან, შრომის ბაზრის დისბალანსთან და რუსეთის, როგორც მთავარი მიმღები ქვეყნის, როლთან.

ამავე დროს, შრომითი ემიგრაცია წარმოშობს მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსურ ნაკადებს რემიტანსების სახით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც შინამეურნეობების შემოსავლების ზრდაში, ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.


ამჟამად მთელი მსოფლიოს მასშტაბით რემიტანსების თანაფარდობა გლობალურ ეკონომიკასთან შეადგენს ერთ პროცენტზე ნაკლებს, მაშინ როდესაც ტაჯიკეთში ის აღწევს 47.5 პროცენტს, ყირგიზეთში - 17.6%, უზბეკეთში - 13.7%, მოლდოვაში - 10.5%, ხოლო საქართველოში - თითქმის 10.0%-ს.

შედეგად - მიგრაცია პოსტ-საბჭოთა სივრცეში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების არა მხოლოდ შედეგი, არამედ დამოუკიდებელი დემოგრაფიული ფაქტორიც გახდა.

დემოგრაფიული დინამიკის კონფესიური ასპექტები

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დემოგრაფიული პროცესების განვითარების არაერთგვაროვნებას აქვს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი - **კონფესიური**. ცენტრალური აზიის ქვეყნებში, აგრეთვე აზერბაიჯანში, რომელთა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, მოსახლეობის მატების საშუალო წლიური მატების ტემპი 1991-2025 წლებში შეადგენდა +1.41 პროცენტს, მაშინ როდესაც დანარჩენ ქვეყნებში საშუალო - -0.35 პროცენტს (მათ შორის საქართველოში: -1.02%).


დიაგრამა 7



უპირატესად ქრისტიანული კონფესიის მქონე სახელმწიფოების მოსახლეობის წილი პოსტ-საბჭოთა სივრცეში შემცირდა 1990 წლის 80.1 პროცენტიდან 68.5

პროცენტამდე, ხოლო უპირატესად მუსლიმანური რელიგიის მიმდევარი სახელმწიფოების მოსახლეობის წილი, პირიქით, გაიზარდა - 1990 წლის 19.9 პროცენტიდან 2025 წლის 31.4 პროცენტამდე.

დიაგრამა 8



მაგრამ აღნიშნული პროპორცია მაინც ვერ ასახავს რეალურად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ამ ორი რელიგიის მიმდევარი მოსახლეობის ფაქტობრივ წილს. - ე.წ. ქრისტიანული კონფესიის მიმდევარ სახელმწიფოებში მუსლიმანური მოსახლეობა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე ე.წ. მუსლიმანურ ქვეყნებში - ქრისტიანი მოსახლეობა. მაგალითად, საქართველოში მუსლიმანი მოსახლეობის წილი 11.1 პროცენტია, აზერბაიჯანში კი ქრისტიანი მოსახლეობის წილი მხოლოდ 3 პროცენტამდეა. რუსეთის ფედერაციაში მუსლიმანი მოსახლეობის წილი 15 პროცენტს აღემატება, ხოლო მოსახლეობით ყველაზე მრავალრიცხოვან ისლამის მიმდევარ სახელმწიფოში - უზბეკეთში - ქრისტიანების რაოდენობა მხოლოდ 4 პროცენტია და ა.შ. მთლიანობაში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მუსლიმანი მოსახლეობის წილი არანაკლებ 25 პროცენტია, ხოლო ქრისტიანი მოსახლეობისა - დაახლოებით 65-70 პროცენტი.

მოსახლეობის მატების განსხვავებული ტემპის გათვალისწინებით (საქართველოში, მაგალითად, ავტოქტონური მოსახლეობის რაოდენობა ბოლო აღწერათა შორის პერიოდში - 2014-2024 წლებში - გაიზარდა მხოლოდ 2.5 პროცენტით, ხოლო აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა - 6-ჯერ უფრო მეტად - 15.4 პროცენტით; იმავე პერიოდში აზერბაიჯანის მოსახლეობა გაიზარდა 6.6 პროცენტით). 2050 წლისთვის აღნიშნული პროპორციები კიდევ უფრო შეიცვლება. - მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით თანაფარდობა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში „ქრისტიანულ“ და „მუსლიმანურ“ სახელმწიფოებს შორის იქნება პროპორციით დაახლოებით 59.4% : 40.6%, ხოლო რეალურად, შესაბამისი კონფესიის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, 52-55% : 45-48%.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული კანონზომიერებები

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი დემოგრაფიული კანონზომიერებები:

- შობადობის შემცირება და მისი უმეტეს ქვეყნებში ჩანაცვლების დონეზე ქვემოთ ჩამოსვლა;
- მოსახლეობის ასაკობრივი დაბერების უნივერსალური ტენდენცია;
- მიგრაციის გარდაქმნა დემოგრაფიული ბალანსის მნიშვნელოვან მარეგულირებელ ფაქტორად;
- რეგიონული დემოგრაფიული დიფერენციაციის გაღრმავება;
- დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი განსხვავებები ქვეყნებს შორის.

მიგრაცია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ასრულებს **დემოგრაფიული ბალანსის ძირითადი რეგულატორის ფუნქციას**. - ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ კოვიდპანდემიის შემდეგდროინდელ პერიოდში (2021-2025 წწ.) საქართველოს მოქალაქეთა უარყოფითი მიგრაციული სალდოს (-154.7 ათასი კაცი) და არამოქალაქეების დადებითი სალდოს (+175.6 ათასი კაცი) ჯამი (331.3 ათასი კაცი) 1.6-ჯერ აღემატება იმავე პერიოდში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობას (205.8 ათასი ბავშვი).

მთლიანობაში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული განვითარება შეიძლება შეფასდეს როგორც **დემოგრაფიული პოლარიზაციის პროცესი**, სადაც ერთი ჯგუფი ქვეყნების (ცენტრალური აზია) ინარჩუნებს ზრდის პოტენციალს; მეორე ჯგუფი (აღმოსავლეთ ევროპა) განიცდის დეპოპულაციას; მესამე ჯგუფი (სამხრეთ კავკასია და რუსეთი) იმყოფება გარდამავალ მდგომარეობაში.

ამრიგად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული მომავალი არ არის ერთგვაროვანი და დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს უნარზე, მოახდინოს დემოგრაფიული გამოწვევების ინტეგრირებული მართვა. დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა მომავალში განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას, არამედ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილურობასაც.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული უსაფრთხოების მდგომარეობა

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების **დემოგრაფიული უსაფრთხოება** არსად არ არის კარგ მდგომარეობაში, ის შეიძლება შეფასდეს, როგორც **საშუალო ან დაბალ დონეზე**, რადგან ერთდროულად ადგილი აქვს რამდენიმე, ზემოთ უკვე ნახსენებ კრიტიკულ დემოგრაფიულ გამოწვევას: დაბერებას, მიგრაციას და შობადობის კლებას, ხოლო პოსტ-საბჭოთა არააზიურ ქვეყნებში - მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებასაც.

ზოგადად, დემოგრაფიული უსაფრთხოება ნიშნავს სახელმწიფოს უნარს: შეინარჩუნოს მოსახლეობის **რაოდენობა და სტრუქტურა,** უზრუნველყოს **შრომითი რესურსების საკმარისი რაოდენობა,** თავიდან აიცილოს დეპოპულაცია და დემოგრაფიული დისბალანსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოგრაფიული უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოსახლეობის რაოდენობრივი, სტრუქტურული და სივრცითი პარამეტრები უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, შრომითი რესურსების აღდგენისა და ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურ ფუნქციონირებას.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დემოგრაფიული უსაფრთხოების ძირითადი ინდიკატორების (შობადობის დონე და ბუნებრივი მატება; მოსახლეობის ასაკობრივი

სტრუქტურა; მიგრაციული სალდო; სიცოცხლის ხანგრძლივობა; შრომითი რესურსების მოცულობა) ერთობლიობა მიუთითებს სისტემურ დემოგრაფიულ დისბალანსზე, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა 1990-იანი წლების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების შემდეგ.

ის, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობა ხასიათდება დაბალი შობადობით **(საშუალოდ 1.3–1.9 ბავშვი ერთ ქალზე ბევრ ქვეყანაში),** მაღალი ემიგრაციით, მოსახლეობის დაბერებით, ბუნებრივი მატების შემცირებით ან უარყოფითით, **ქმნის ე.წ.** დემოგრაფიულ კრიზისს**, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრია აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში.**

პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოგრაფიული უსაფრთხოება მთლიანობაში არის **დასუსტებული და არათანაბარი, არაერთგვაროვანი და სტრუქტურულად დაუცველი სისტემა.**: ყველაზე მძიმე მდგომარეობა – აღმოსავლეთ ევროპაში, საშუალო, მაგრამ რისკიანი – კავკასიაში; შედარებით სტაბილური, მაგრამ ემიგრაციაზე დამოკიდებული – ცენტრალურ აზიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებში დემოგრაფიული მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში დემოგრაფიული პროცესები მიუთითებს გრძელვადიან რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის შემცირებასთან, დაბერებასთან და ემიგრაციასთან.

შესაბამისად, დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოსტ-საბჭოთა სივრცეში მოითხოვს კომპლექსურ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს როგორც შობადობის მხარდაჭერას, ისე მიგრაციული პროცესების მართვას და ეკონომიკური განვითარების გაძლიერებას.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობას აქვს **დემოგრაფიული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიები**, თუმცა მათი მასშტაბი, ეფექტიანობა და ინსტიტუციური სიმტკიცე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზოგ ქვეყანაში ეს არის სრულფასოვანი ეროვნული პროგრამა, ზოგან კი — ნაწილობრივ ინტეგრირებული სოციალური/ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში მოქმედი ღონისძიებები.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში დემოგრაფიული პოლიტიკა ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება:

- **შობადობის ზრდის მხარდაჭერა** (pronatalist policies);
- **მიგრაციული პროცესების მართვა** (ემიგრაციის შემცირება და იმიგრაციის რეგულირება).

გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვანი კომპონენტია: ოჯახების სოციალური მხარდაჭერა, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, რეგიონული განვითარების პოლიტიკა.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მოდელად:

ცენტრალიზებული-სისტემური მოდელი

ამ მოდელს ახასიათებს ძლიერი სახელმწიფო ჩარევა, მრავალწლიანი პროგრამები და ფინანსური სტიმულები. ეს მოდელი ხასიათდება მაღალი ინსტიტუციური სტაბილურობით და შედარებით მკაფიო შედეგებით შობადობის ზრდის მიმართულებით.

შერეული (სოციალურ-ეკონომიკური) მოდელი

ამ მოდელს ახასიათებს შედარებით მაღალი სტაბილურობა, თუმცა ნაკლები მიზნობრივი კონცენტრაცია დემოგრაფიულ შედეგებზე.

ფრაგმენტული და კრიზისული მოდელი რეალიზდება საქართველოსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში (სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა), სადაც დემოგრაფიული პოლიტიკა არ არის ერთიანი და ხშირად რეაგირებს კრიზისულ მდგომარეობებზე.ამ მოდელში დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა შედარებით დაბალია.

მოდელი	ქვეყნები	ძირითადი მახასიათებლები
ცენტრალიზებული	რუსეთი, ყაზახეთი	ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა
შერეული	ბალტიის ქვეყნები	დემოგრაფიული პოლიტიკა ინტეგრირებულია სოციალურ პოლიტიკაში
ფრაგმენტული	საქართველო, მოლდოვა, სომხეთი	რეაქტიული და არასაკმარისად კოორდინირებული

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში გამოყენებული დემოგრაფიული პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავს: **ფინანსური სტიმულებს (**ერთჯერადი დახმარებები ბავშვის დაბადებისას; მრავალშვილიანი ოჯახების სუბსიდირება, „მატერნალური კაპიტალის“ ტიპის პროგრამები (რუსეთი); **სოციალური მხარდაჭერა (**საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მშობლის შვებულების პოლიტიკა, ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება), **საცხოვრებელი პოლიტიკა (**იპოთეკური სუბსიდიები, სოციალური საცხოვრებელი პროგრამები, ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა), **მიგრაციული პოლიტიკა (**ემიგრაციის შემცირების მცდელობები, დიასპორის დაბრუნების პროგრამები, შრომითი მიგრაციის რეგულირება).

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკის საერთო პრობლემებია: ეკონომიკური რესურსების შეზღუდვა; შრომითი მიგრაციის მაღალი დონე; დაბალი ინსტიტუციური კოორდინაცია; დემოგრაფიული პოლიტიკის არასაკმარისი გრძელვადიანი დაგეგმვა; რეგიონული უთანასწორობა.

მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკის ინსტრუმენტების არსებობისა, დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა კვლავ რჩება რთულ ამოცანად, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი ემიგრაცია და დაბალი შობადობა ერთდროულად მოქმედებს.


შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა მოითხოვს არა მხოლოდ ფინანსურ სტიმულებს, არამედ კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიებს, რომლებიც მიმართული იქნება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომითი მიგრაციის შემცირებაზე.

მთლიანობაში, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა ყველაზე მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც ის ინტეგრირებულია გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიებში, ხოლო ყველაზე დაბალია იქ, სადაც მაღალი ემიგრაცია და ეკონომიკური არასტაბილურობა სისტემურ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს ასუსტებს.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში **დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე პირდაპირ მიმართული** ხარჯების ზუსტი, ერთმანეთთან სრულად შესადარებელი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ქვეყნები ოჯახების, ბავშვების, მშობიარობის, საბავშვო ბაღების, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა პროგრამების დაფინანსებას სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლში აღრიცხავენ, თუმცა, მეტ-ნაკლები სიზუსტით მაინც შეიძლება საუბარი, რასაც საფუძვლად უდევს **ოჯახისა და ბავშვების მხარდაჭერის სახელმწიფო ხარჯები,** რომელიც დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართულ ძირითად, თუმცა არასრულ ნაწილს წარმოადგენს.

ამ ასპექტით შემდეგი სურათი გვაქვს. ყველაზე მაღალი ხარჯები (მშპ-ის 3%-მდე) ხორციელდება ესტონეთში, ყველაზე ნაკლები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და მოლდოვაში (1%-მდე), რაზეც მკაფიო წარმოდგენას ქვემორე დიაგრამა იძლევა.

დიაგრამა 9



თუ ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყანას ერთად შევხედავთ, **დემოგრაფიული და ოჯახების მხარდაჭერის პოლიტიკაზე** სახელმწიფოები საშუალოდ ხარჯავენ მშპის დაახლოებით 1-2 პროცენტს, მაშინ როდესაც საფრანგეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 3-4 პროცენტის ფარგლებშია.

თუ დემოგრაფიული პოლიტიკის შეფასებისას გავითვალისწინებთ არა მხოლოდ უშუალოდ ოჯახისა და ბავშვების მხარდაჭერის პროგრამებს, არამედ ჯანდაცვის, განათლების, საცხოვრებლისა და სხვა სოციალური პოლიტიკის ღონისძიებებსაც, სახელმწიფო დანახარჯების რეალური მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება მხოლოდ პირდაპირი საბიუჯეტო ხარჯების საფუძველზე სრულყოფილ სურათს ვერ ასახავს.

რა მოხდება 2050 წლისთვის პოსტ-საბჭოთა სივრცეში ამ ტენდენციების გაგრძელების შემთხვევაში

პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოგრაფიული განვითარების 2050 წლამდე სცენარები ძირითადად ეფუძნება გაეროს (UN DESA), მსოფლიო ბანკისა და რეგიონული კვლევების პროგნოზებს. საერთო სურათი მიუთითებს, რომ რეგიონი შედის მოსახლეობის დაბერების, შრომითი რესურსების შემცირებისა და მიგრაციული დისბალანსის გრძელვადიან ფაზაში, თუმცა ქვეყნები განსხვავებული დემოგრაფიული ტრაექტორიებით ვითარდებიან.

2050 წლამდე დემოგრაფიული პროგნოზები აჩვენებს პოსტ-საბჭოთა სივრცის მკვეთრ დიფერენციაციას. ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია *შობადობის დონე, მიგრაციული ნაკადები, ეკონომიკური სტაბილურობა* და *სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა.* თუ არსებული ტენდენციები — დაბალი შობადობა, მოსახლეობის დაბერება, მიგრაციის მაღალი ინტენსივობა და ეკონომიკის ავტომატიზაცია — გაგრძელდება, რეგიონში დემოგრაფიული პოლარიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდება.

ბალტიის ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა) სავარაუდოდ ჩამოყალიბდებიან როგორც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დაბერებული პერიფერიული ზონა. 65 წლისა და უფროსი მოსახლეობის წილმა შესაძლოა 28–32 პროცენტს მიაღწიოს, ხოლო ბავშვთა წილი კიდევ უფრო შემცირდეს. შრომითი რესურსების დეფიციტის კომპენსაცია, დიდი ალბათობით, განხორციელდება როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან, ისე აზიური სახელმწიფოებიდან იმიგრაციის გზით.

აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შესაძლოა აღმოჩნდნენ „დემოგრაფიული წნეხის ზონაში“, სადაც გაძლიერდება შრომითი რესურსების დეფიციტი, გაიზრდება დამოკიდებულება იმიგრაციაზე, გაღრმავდება სოფლის მოსახლეობის შემცირების პროცესი და გაიზრდება ზეწოლა საპენსიო სისტემებზე.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, შედარებით მაღალი შობადობისა და ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურის გამო, სავარაუდოდ შეინარჩუნებენ „ახალგაზრდა რეგიონის“ სტატუსს, თუმცა იქაც გაგრძელდება მოსახლეობის თანდათანობითი დაბერება.

ამრიგად, 2050 წლისთვის პოსტ-საბჭოთა სივრცეში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი დემოგრაფიული ტრაექტორია:

• **ცენტრალური აზია** — მოსახლეობის ზრდისა და შრომითი პოტენციალის შენარჩუნება;

• **სამხრეთ კავკასია და აღმოსავლეთ ევროპა** — მოსახლეობის შემცირება და დაბერების გაძლიერება;

• **რუსეთი** — გარდამავალი მდგომარეობა დემოგრაფიულ სტაბილიზაციასა და მოსახლეობის დაბერებას შორის.

შედეგად, პოსტ-საბჭოთა სივრცის მთავარი დემოგრაფიული გამოწვევა იქნება არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მისი ასაკობრივი სტრუქტურა და შრომითი რესურსების მდგრადობა.

მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები კვლავ დარჩება: შობადობის დონე, მიგრაციული პროცესები, ეკონომიკური განვითარების ტემპი, სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა.

ამგვარი ცვლილება უკვე აისახება მიმდინარე პროგნოზებში. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2050 წლისთვის პოსტ-საბჭოთა სივრცის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1990 წელთან შედარებით დაახლოებით 6.4 პროცენტით გაიზრდება. ამავე დროს, ევროპულ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოში და სომხეთში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემცირება (მათ შორის საქართველოში — 32.8 პროცენტით), მაშინ როდესაც ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და აზერბაიჯანში პროგნოზირებულია მოსახლეობის თითქმის 2.2-ჯერ ზრდა (აზერბაიჯანში — დაახლოებით 57.4 პროცენტით).

დემოგრაფიული კრიზისის შერბილებისკენ მიმართული პოლიტიკა

დემოგრაფიული კრიზისი — დაბალი შობადობა, მოსახლეობის დაბერება და სამუშაო ძალის შემცირება — კომპლექსური პრობლემაა, რომლის გადაჭრა ერთჯერადი ღონისძიებებით შეუძლებელია. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ შედარებით წარმატებული ქვეყნები იყენებენ რამდენიმე პოლიტიკის კომბინაციას.

მოკლევადიან პერსპექტივაში ყველაზე სწრაფ ეფექტს ხშირად იძლევა **იმიგრაცია**, რადგან ახალგაზრდა მიგრანტები ავსებენ შრომის ბაზარს, ზრდიან გადასახადების გადამხდელთა რაოდენობას და ამცირებენ საპენსიო სისტემაზე ზეწოლას. ასეთ მოდელს იყენებდნენ როგორც აშშ, ისე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანია.

უფრო გრძელვადიან შედეგს იძლევა **შობადობის მხარდაჭერის** პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ბავშვთა ფინანსურ დახმარებებს, ხელმისაწვდომ საბავშვო ბაღებს, მშობლების შვებულების განვითარებულ სისტემას და მოქნილ დასაქმებას. საფრანგეთი ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითად მიიჩნევა.

ე.წ. სკანდინავიური მოდელი (შვედეთი, დანია) ეფუძნება ოჯახის და კარიერის შეთავსების პრინციპს: ხანგრძლივი მშობლობის შვებულება ორივე მშობლისთვის, ბავშვთა მოვლის ხელმისაწვდომი სერვისები და მაღალი გენდერული თანასწორობა შრომის ბაზარზე.

მეოთხე მიმართულებაა ტექნოლოგიური კომპენსაცია — ავტომატიზაცია და რობოტიზაცია, რაც განსაკუთრებით აქტუალურია იაპონიის მაგალითზე.

ამრიგად, დემოგრაფიული კრიზისის სრულად „გადაწყვეტის“ უნივერსალური მოდელი არ არსებობს, თუმცა მისი შერბილების ყველაზე ეფექტიანი გზა წარმოადგენს იმიგრაციის, შობადობის მხარდაჭერისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის კომბინირებულ გამოყენებას.

ქვეყნები	სტრატეგია	შედეგი
გერმანია	იმიგრაცია + ეკონომიკა	სტაბილური სამუშაო ბაზარი
საფრანგეთი	ოჯახური პოლიტიკა	შედარებით მაღალი შობადობა
შვედეთი	დაბალანსებული კეთილდღეობა	სტაბილური დემოგრაფია
იაპონია	ავტომატიზაცია	ეკონომიკის შენარჩუნება დაბალი შობადობის ფონზე

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე რეალური წარმატების პოტენციალის მქონეა **ყაზახეთი — ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც აქვს სამივე ბერკეტის ერთდროულად გამოყენების რეალური შანსი 2050 წლამდე.**

რეკომენდაციები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს დემოგრაფიული პოლიტიკის სრულყოფისათვის

პოსტ-საბჭოთა სივრცის ძირითადი დემოგრაფიული გამოწვევები — *დაბალი შობადობა, მოსახლეობის დაბერება, მაღალი ემიგრაცია და შრომითი რესურსების შემცირება* — მოითხოვს დემოგრაფიული პოლიტიკის სისტემურ და გრძელვადიან გაძლიერებას.

პირველ რიგში, აუცილებელია ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა, რადგან ეკონომიკური სტაბილურობა პირდაპირ გავლენას ახდენს ოჯახის რეპროდუქციულ ქცევაზე.

მეორე მიმართულებაა შობადობის მხარდაჭერის სისტემური პოლიტიკა: მრავალშვილიანი ოჯახების რეგულარული ფინანსური დახმარება, ახალგაზრდა ოჯახებისთვის საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის ზრდა და მოქნილი, ადეკვატურად ანაზღაურებადი მშობლობის შვებულება.

მესამე მიმართულებაა ემიგრაციის შემცირება და დაბრუნებითი მიგრაციის წახალისება, მათ შორის საგადასახადო და საინვესტიციო შეღავათების მეშვეობით.

მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ჯანდაცვის სისტემის განვითარებასაც — პრევენციული მედიცინის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამების გაფართოებას.

საბოლოოდ, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა უნდა ეფუძნებოდეს არა დროებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ მყარ ინსტიტუციურ საფუძველს: ეროვნულ დემოგრაფიულ სტრატეგიას, მონაცემთა მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემას და ძლიერი აკადემიური კვლევითი ინსტიტუტების არსებობას.

მთლიანობაში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ეკონომიკური, სოციალური, მიგრაციული და ინსტიტუციური პოლიტიკის ერთიან, კოორდინირებულ სისტემად გარდაქმნას.

დასკვნა

პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოგრაფიული განვითარება საერთო საბჭოთა წარსულიდან განსხვავებული ეროვნული დემოგრაფიული მოდელების ფორმირების პროცესად გარდაიქმნა, რომლის მიმართულებას დღეს განსაზღვრავს შობადობის დონე, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის დაბერება, ეკონომიკური განვითარება და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული განვითარება, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, საერთო ისტორიული საწყისის მიუხედავად, სულ უფრო მეტად განსხვავებული ტრაექტორიებით მიმდინარეობს. პოსტ-საბჭოთა სივრცე აღარ წარმოადგენს ერთიან დემოგრაფიულ სისტემას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურ-ინსტიტუციურმა ტრანსფორმაციებმა არსებითად შეცვალა მოსახლეობის კვლავწარმოების, მიგრაციისა და ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირების მექანიზმები. შედეგად, პოსტ-საბჭოთა სივრცე დღეს აღარ წარმოადგენს ერთიან დემოგრაფიულ სისტემას და ჩამოყალიბებულია რამდენიმე განსხვავებული დემოგრაფიული მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება შობადობის, მოკვდაობის, მოსახლეობის დაბერების, მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოგრაფიული განვითარების უმთავრესი ტენდენცია მოსახლეობის ასაკობრივი დაბერების დაჩქარებაა, რაც გამოწვეულია შობადობის შემცირების, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ზრდისა და შრომითი ასაკის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციის ერთობლივი ზემოქმედებით. თითქმის ყველა ქვეყანაში ჯამობრივი შობადობის კოეფიციენტი ჩამოსცდა თაობათა მარტივი კვლავწარმოებისათვის აუცილებელ დონეს (2.1 ბავშვი ერთ ქალზე), ხოლო მოსახლეობის მედიანური ასაკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ პროცესებმა შეცვალა ასაკობრივი სტრუქტურა, გაზარდა დემოგრაფიული დატვირთვა და კიდევ უფრო გაამწვავა შრომითი რესურსების დეფიციტის რისკი.

ამავე დროს, მკაფიოდ წარმოჩინდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების არაერთგვაროვნება. პირობითად შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი დემოგრაფიული ტიპი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბალტიის სახელმწიფოები და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, სადაც მოსახლეობის დაბერება, დაბალი შობადობა და დეპოპულაცია ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული. მეორე ჯგუფში ერთიანდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და რუსეთი, რომლებიც დემოგრაფიული გარდამავალი მდგომარეობით ხასიათდებიან. მესამე ჯგუფს წარმოადგენს ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შედარებით მაღალი ტემპი და ახალგაზრდა

ასაკობრივი სტრუქტურა, თუმცა დემოგრაფიული გარდაქმნის პროცესი იქაც თანდათანობით ვითარდება.

დემოგრაფიული პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესთან. ეკონომიკური ზრდა, ურბანიზაცია, განათლების დონის ამაღლება, ქალთა ეკონომიკური აქტიურობის ზრდა და ოჯახის შექმნის ასაკის გადავადება ქმნის იმ სოციალურ გარემოს, რომელიც თანამედროვე საზოგადოებებში შობადობის შემცირების ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება. შესაბამისად, დაბალი შობადობა მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანის შედეგი არ არის; იგი ეკონომიკური განვითარების, ცხოვრების სტილის ცვლილებისა და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ბუნებრივ დემოგრაფიულ გამოხატულებას წარმოადგენს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციულ პროცესებს, რომლებიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში პრაქტიკულად დემოგრაფიული ბალანსის ერთ-ერთ მთავარ მარეგულირებელ ფაქტორად ჩამოყალიბდა. შრომითმა ემიგრაციამ, ერთი მხრივ, შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა და განსაკუთრებით ახალგაზრდული ასაკობრივი ჯგუფების წილი, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რემიტანსების მეშვეობით შინამეურნეობების შემოსავლებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მხარდაჭერაში. ამდენად, მიგრაციას პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ერთდროულად აქვს როგორც პოზიტიური ეკონომიკური, ისე ნეგატიური დემოგრაფიული შედეგები.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში დემოგრაფიული უსაფრთხოება საშუალო ან დაბალი დონისაა. დაბალი შობადობის, მოსახლეობის დაბერების, ინტენსიური ემიგრაციისა და შრომითი რესურსების შემცირების ერთობლიობა ქმნის გრძელვადიან რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალური დაცვის სისტემების მდგრადობაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე, რეგიონულ განვითარებასა და, საბოლოოდ, ეროვნული უსაფრთხოების ცალკეულ კომპონენტებზე.

2050 წლამდე არსებული პროგნოზების ანალიზი მიუთითებს, რომ მოქმედი დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში პოსტ-საბჭოთა სივრცეში დემოგრაფიული პოლარიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდება. ბალტიის ქვეყნები და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები მოსახლეობის დაბერებისა და შემცირების პროცესს განაგრძობენ; სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, დემოგრაფიული სტაბილურობისა და დეპოპულაციის ზღვარზე დარჩებიან, ხოლო ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, შედარებით მაღალი შობადობის პირობებში, შეინარჩუნებენ მოსახლეობის ზრდისა და შრომითი რესურსების გაფართოების პოტენციალს. ამდენად, რეგიონის მთავარი გამოწვევა მომავალში იქნება არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება, არამედ ასაკობრივი სტრუქტურის გარდაქმნა და ეკონომიკის უზრუნველყოფა საკმარისი შრომითი რესურსებით.

კვლევის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის ინსტიტუციურ მდგრადობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან ინტეგრაციაზე. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მხოლოდ ფინანსური სტიმულები ვერ უზრუნველყოფს შობადობის მდგრად ზრდას. შედარებით წარმატებული ქვეყნები დემოგრაფიულ პოლიტიკას ახორციელებენ როგორც მრავალკომპონენტიან სისტემას, რომელიც აერთიანებს ოჯახების სოციალურ მხარდაჭერას, ხარისხიან ჯანდაცვას, ხელმისაწვდომ განათლებას, დასაქმების პოლიტიკას, რეგიონულ განვითარებას, შრომითი მიგრაციის მართვასა და, საჭიროების შემთხვევაში, იმიგრაციის ეფექტიან რეგულირებას.

შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს არა როგორც სოციალური პოლიტიკის ცალკეული მიმართულება, არამედ როგორც სახელმწიფოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტი.

საქართველოსთვის მიღებული შედეგები განსაკუთრებით აქტუალურია. ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება დღეს ხასიათდება შობადობის შემცირების, მოსახლეობის დაბერების, ახალგაზრდების ემიგრაციისა და მოსახლეობის რაოდენობრივი კლების ტენდენციების ერთობლიობით. ამ პირობებში დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტებად უნდა იქცეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ახალგაზრდა ოჯახების სისტემური მხარდაჭერა, რეგიონებში დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება, დაბრუნებითი მიგრაციის ხელშეწყობა, პირველადი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის გაძლიერება, აგრეთვე დემოგრაფიული პროცესების მუდმივი მონიტორინგისა და პროგნოზირების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება.

პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოგრაფიული მომავალი არ არის წინასწარ განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დაბერება და შობადობის შემცირება თანამედროვე დემოგრაფიული გარდაქმნის ობიექტური და ფართოდ გავრცელებული პროცესებია, მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მასშტაბი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ხარისხზე, ეკონომიკური განვითარების ტემპზე, ინსტიტუციურ ეფექტიანობასა და საზოგადოების ადაპტაციის უნარზე. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობა განსაზღვრავს, შეძლებენ თუ არა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები დემოგრაფიული გამოწვევების ეფექტიან მართვას და დემოგრაფიული უსაფრთხოების, როგორც ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტის, უზრუნველყოფას XXI საუკუნის შუა პერიოდისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი /UNFRA გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი; შემდგ.: გიორგი წულაძე; [სარედ. კოლ.: ა. სულაბერიძე (მთ. რედ.) [და სხვ.]. თბ., 2012 (შპს „ვესტა“)
2. ავთანდილ სულაბერიძე, იოსებ არჩვაძე, ვლადიმერ სულაბერიძე. დემოგრაფიული კოლაფსი საქართველოში. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. - თბილისი, 2024, გვ. 79-97.
3. ა. სულაბერიძე, ი. არჩვაძე. დემოგრაფიული ტენდენციები. - კრებულიდან: დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში. - თბილისი, 2025, გვ. 12-37.
4. United Nations, Department of Economic and Social Affairs. 2022. *World Population Prospects 2022*. https://population.un.org/wpp/.
5. United Nations Development Programme. 2023. *Human Development Report 2023*. https://hdr.undp.org/.
6. International Organization for Migration. 2023. *World Migration Report 2024*. https://worldmigrationreport.iom.int/.
7. World Bank. 2023. *Migration and Remittances Data*. https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiasporaissues.
8. Heleniak, Timothy. 2018. *The Changing Demography of the Former Soviet Union. Oxford: Oxford University Press.*

9. Frejka, Tomas, and Stuart Gietel-Basten. 2021. “Fertility and Population Change in Post-Soviet Countries.” *Population Studies*.

10. Kohl, Philippe. 2019. *Migration and Labor Markets in Eastern Europe and Central Asia*. Washington, DC: World Bank.

11. Vishnevsky, Anatoly. 2015. *Demographic Modernization of Russia and Post-Soviet Countries.* Moscow: Higher School of Economics.

12. Mukomel, Vladimir. 2020. *Labor Migration in Russia and CIS Countries. Moscow: Institute of* Sociology, RAS.

13. Zayonchkovskaya, Zhanna. 2017. *Migration Processes in the Post-Soviet Space.* Moscow: Institute of Economic Forecasting.

14. OECD. 2022. *Migration in Eastern Europe and Central Asia: Trends and Policies*. Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/migration/

15. Weeks, John R. 2020. *Population: An Introduction to Concepts and Issues. Boston:* Cengage Learning.

16. Poston, Dudley L., and Leon F. Bouvier. 2017. *Population and Society: An Introduction to Demography.* Cambridge: Cambridge University Press.

17. Eurostat. 2023. *Demography of Europe. https://ec.europa.eu/eurostat/*.

18. CIS Statistical Committee. *2022. Demographic Yearbook of the CIS Countries.* http://www.cisstat.com/.

19. Сулаберидзе А.В., Арчвадзе И.С., Сулаберидзе В.А. - Вызовы рождаемости постсоветской Грузии. НАСЕЛЕНИЕ ПОСТСОВЕТСКИХ СТРАН: ТЕНДЕНЦИИ, ПРОГНОЗЫ, МЕЖПОКОЛЕНЧЕСКИЕ ТРАНСФЕРТЫ. под науч. ред. М.Б. Денисенко. М., «Прометей», 2024, сс. 255-284.

20. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტატსამსახურების ოფიციალური საიტები.

Avtandil Sulaberidze
Joseph Archvadze
Vladimer Sulaberidze

Regularities and Peculiarities of Demographic Processes in Post-Soviet Countries

Summary

The article presents the regularities and challenges of demographic processes developing in the post-Soviet countries, the threats and expected consequences that may arise if these trends continue. Conduct a comparative analysis of migration dynamics and state demographic policy.

The structural features of the decline in fertility, population aging, decline in natural growth and migration flows are analyzed on the example of different countries.

The demographic security of the post-Soviet countries is generally at a medium or low level and is characterized by several interconnected challenges, including declining fertility, population ageing, intensive emigration, and a shrinking labor force. Demographic security refers to a state's ability to maintain the size and structure of its population, ensure an adequate labor supply for economic development, and prevent depopulation and demographic imbalance. Following the dissolution of the Soviet Union, profound economic, political, and social transformations accelerated demographic challenges, resulting in the emergence of diverse national demographic models rather than a unified demographic system.

Demographic trends vary considerably across the region. The Baltic States and Eastern European post-Soviet countries experience the most severe population decline, low fertility, and rapid population ageing. The South Caucasus, including Georgia, remains on the threshold between demographic stability and depopulation, while the Central Asian countries continue to benefit from relatively high fertility rates and younger age structures, allowing them to maintain population growth despite the gradual onset of population ageing.

Demographic policies across the post-Soviet region primarily focus on two strategic directions: supporting fertility and managing migration. These policies are complemented by family support programs, healthcare improvements, housing initiatives, and regional development measures. Three main models of demographic policy can be identified. The **centralized model**, represented by Russia and Kazakhstan, relies on strong government intervention and substantial financial incentives. The **mixed model**, characteristic of the Baltic States, integrates demographic objectives into broader social policy. The **fragmented model**, observed in Georgia, Armenia, Moldova, and Ukraine, is less coordinated and largely reactive to demographic crises.

The policy instruments employed include childbirth allowances, financial support for large families, parental leave schemes, expanded access to childcare services, housing subsidies, and migration management programs. Nevertheless, their effectiveness is constrained by limited financial resources, high levels of emigration, weak institutional coordination, and insufficient long-term strategic planning. Public expenditure on family and child support averages approximately 1–2% of GDP across post-Soviet countries, remaining well below the levels observed in many Western European welfare states.

Population projections to 2050 indicate increasing demographic polarization across the region. The Baltic States and Eastern Europe are expected to continue experiencing population decline and accelerated ageing, while the South Caucasus will remain vulnerable to depopulation. In contrast, Central Asian countries are projected to preserve population growth and expand their labor force potential. According to World Bank projections, the population of the European post-Soviet countries is expected to decline by approximately 21% by 2050, while Georgia's population may decrease by as much as 32.8%. Conversely, Central Asia and Azerbaijan are projected to experience substantial population growth.

International experience demonstrates that demographic crises can only be effectively addressed through comprehensive and integrated policy approaches. The most successful countries combine well-managed immigration, family-oriented pronatalist policies, and technological modernization. Notable examples include France's family support system, the Nordic model of work–family balance, Germany's immigration policy, and Japan's strategy of automation to compensate for labor shortages. Among the post-Soviet countries, Kazakhstan appears to possess the greatest potential for success due to its capacity to combine all three policy approaches.

The study recommends strengthening demographic policy through sustainable economic development, systematic support for young families, improved housing affordability, expanded employment opportunities in the regions, incentives for return migration, and improvements in healthcare services. Equally important are the establishment of a long-term national demographic strategy, continuous demographic monitoring, and stronger institutional capacity for demographic planning and policy implementation.

Overall, the study concludes that the demographic future of the post-Soviet region will depend not only on fertility and migration trends but also on the quality of public policy, the pace of economic development, and institutional effectiveness. Demographic policy should therefore be regarded as a fundamental component of long-term national development, economic sustainability, and national security.

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე

ანოტაცია. *სტატიაში სათანადო ლიტერატურული და სტატისტიკური მასალის შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები – საქონელბრუნვის, ექსპორტ-*

იმპორტის დინამიკის, მათი თანაფარდობის, სასაქონლო სტრუქტურის, სავაჭრო სალდოსა და ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მონაცემები. ჩატარებული კვლევის შედეგად, მასში გამოვლენილია თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და არსებული გამოწვევები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემების დაძლევის გზებსა და სამომავლოდ მისი განვითარების ძირითად მიმართულებებზე.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ბალანსი, ტენდენციები, გამოწვევები.*

საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უძველეს ფორმას, რომელიც დიდ როლს ასრულებს როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

საბჭოური სისტემის პირობებში, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, ისე როგორც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკას, საქართველოსაც ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. მანამდე კი, ამ მხრივ, ქვეყანას ჰქონდა საკმაოდ დიდი ტრადიციები. გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ევროპისა და აზიის შუალედურ დამაკავშირებელ რგოლს, საქართველოს თვითონ ჰქონდა საკმაოდ განვითარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მრავალ ქვეყანასთან. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური ეკონომიკის პირობებშიც, ე.წ. საკავშირო სტრუქტურები წარმატებით იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს, რომელთაც 80-ზე მეტი დასახელების ქართული პროდუქტი გაჰქონდათ საზღვარგარეთ 50-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც იგი დიდი მოწონებით სარგებლობდა და წარმატებით იყიდებოდა.

ერთიანი მონსტრი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ საჭირო ღონისძიებები განახორციელა საგარეო ვაჭრობის ფუნქციის აღდგენისა და განვითარების მიმართულებით. კერძოდ, გადაიდგა ნაბიჯები საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვის საჭირო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შესაქმნელად, რისთვისაც ჯერ კიდევ 1992 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში ყველა რეგისტრირებულ პირს უფლება მიეცა საგარეო სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისთვის. ამის პარალელურად გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მიმართულებითაც, რაც გამოიხატა ექსპორტის კვოტირებით, ლიცენზირების არსებული წესის შეზღუდვითა და ერთიანი საბაჟო ტარიფების დაწესებით.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიებები შემდგომშიც ხორციელდებოდა, მაგრამ საწყის ეტაპზე ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გამო ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. შემდგომში კი, ქვეყნის ეკონომიკური გამოცოცხლების კვალდაკვალ, განსაკუთრებით ამ საუკუნის დასაწყისიდან საგრძნობლად შეიმჩნევა საგარეო სავაჭრო საქმიანობის გაფართოება და სავაჭრო ბრუნვის ზრდა, რაც კარგად ჩანს 1-ელი ცხრილის მონაცემებიდან.

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის განვითარება 2000-2025 წწ /მლნ აშშ დოლარი/ [7]

წლები	ბრუნვა სულ	ექსპორტი		იმპორტი		სალდო +/-	ექსპორტით იმპორტის გადაფარვის %
		ბრუნვა	%	ბრუნვა	%		
2000	1032,3	322,8	31,3	709,4	68,7	-386,6	45,5
2005	3357,2	866,2	25,8	2490,9	74,2	-1624,7	34,8
2008	7800,6	1496,4	19,2	6304,8	80,8	-4809,1	23,7
2009	5500,1	1130,6	20,5	4369,5	79,5	-3238,9	25,8
2010	6934,6	1677,5	24,2	5251,1	75,8	-3579,6	31,9
2015	9504,3	2204,2	23,2	7300,1	76,8	5095,9	30,2
2019	13315,4	3798,4	28,5	9316,9	71,5	-5718,5	39,9
2020	11390,0	3341,0	29,3	8045,0	70,7	-4708,0	41,5
2021	14342,5	4242,7	29,6	10099,8	70,4	-5857,1	40,8
2022	19130,0	5582,0	29,4	13548,0	70,6	-7966,0	41,2
2023	21691,0	6086,0	28,0	15605,0	72,0	-9519,0	39,0
2024	23435,0	6560,0	28,0	16875,0	72,0	-10315,0	38,9
2025	25820,9	7291,2	28,2	18529,7	71,8	-11238,5	39,3

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 21-ე საუკუნის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ცალკეული პერიოდების მიხედვით ზრდა გარკვეულწილად განსხვავებულია. იგი საკმაოდ მაღალი იყო 2000-2008 წლებში, როცა ეს მაჩვენებელი 7,5-ჯერ გაიზარდა და 7800,6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მომდევნო წელს კი იგი საგრძნობლად /42%-ით/ შემცირდა, რაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიითა და გამოცხადებული ცალმხრივი სავაჭრო ემბარგოთი უნდა აიხსნას.

შემდგომში კი, ახალ-ახალი ბაზრების მოძიების კვალდაკვალ, მოხდა საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია და საქონელბრუნვის სწრაფი განვითარება, რომელიც 2019 წ. თითქმის გაორმაგდა და 13,3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მომდევნო წელს კი ბრუნვა 14,8%-ით შემცირდა, რაც განაპირობა მსოფლიოში კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ. ეპიდემიასთან წარმატებული ბრძოლის შემდეგ კი, 2021 წლის მეორე ნახევრიდან, ბრუნვა კვლავ სწრაფად /წინა წელთან შედარებით 43,6%-ით/ იზრდება და მან 2025 წ. 25,8 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა [7].

სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მისი ზრდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. ამასთან, ეს უფრო მეტად განხორციელდა 2000-2015 წწ., როცა ამის გამო იმპორტის წილი მთლიან ბრუნვაში 68,7%-დან 76,8%-მდე ამაღლდა, ექსპორტისა კი შესაბამისად 31,3%-დან 28,5%-მდე დაქვეითდა. ამას შედეგად მოჰყვა უარყოფითი სავაჭრო სალდოს

საგრძნობი ზრდა და ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებლის გაუარესება, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ქვეყნის ისედაც მცირე ბიუჯეტს.

2017 წლიდან შეიმჩნევა მთლიან ბრუნვაში ექსპორტის წილის გარკვეული ზრდა, თუმცა სადღეისოდ იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია /28,2%/, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამჟამად ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის 2/3-ზე მეტი იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის სავალუტო რესურსების დაგროვებასა და ბიუჯეტის ბალანსირებაზე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის შეუფერხებელ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ბოლო პერიოდში ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები. 2020-2025 წწ-ში მისი ბრუნვა 2,3-ჯერ (მ.შ. ექსპორტის – 2,2-ჯერ, ხოლო იმპორტის – 2,3-ჯერ) გაიზარდა. გასულ წელს წინა წელთან შედარებით კი მისმა ზრდამ 11,2% (მ.შ. ექსპორტისამ – 11,2%, ხოლო იმპორტისამ – 9,7%) შეადგინა. იმპორტთან შედარებით ექსპორტის უფრო მაღალი ზრდის გამო, უარყოფითი სალდოს ნეგატიური წილი 0,5%-ით შემცირდა და 43,5% დაიკავა [8].

სადღეისოდ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, რომელთა წილი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში. ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის ეს მაჩვენებელი ნაჩვენებია მეორე ცხრილში.

ცხრილი 2


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2025 წ. /მლნ აშშ დოლარი/ [7]

ქვეყნები	საქონელბრუნვა		მათ შორის			
	აბს.	%	ექსპორტი		იმპორტი	
			აბს.	%	აბს.	%
თურქეთი	3108,0	12,0	333,0	10,7	2775,0	89,3
აშშ	2844,0	11,0	120,0	4,2	2724,0	95,8
რუსეთი	2689,0	10,4	749,0	27,8	1940,0	72,2
ჩინეთი	2313,0	9,0	328,0	14,2	1985,0	85,8
ყირგიზეთი	1504,0	5,8	5,0	0,3	1499,0	99,7
გერმანია	1359,0	5,3	72,0	5,3	1287,0	94,7
აზერბაიჯანი	1358,0	5,3	697,0	51,3	661,0	48,7
ყაზახეთი	1001,0	4,0	910,0	90,9	91,0	9,1
სომხეთი	786,0	3,0	233,0	29,6	553,0	70,4
ბულგარეთი	557,0	2,2	320,0	57,5	237,0	42,5

მონაცემებით დასტურდება, რომ 2025 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში 67,2% შეადგინა. მათგან პირველ სამეულში შედის თურქეთი, აშშ და რუსეთი, რომელთა წილად მოდის 33,7%. ექსპორტ-იმპორტის მიხედვით ეს მაჩვენებლები განსხვავებულია. გასულ წელს საქართველოს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78,3% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორების /ყირგიზეთი, ყაზახეთი და რუსეთი/ წილი კი ქვეყნის მთლიან ექსპორტში უდრიდა 43,3%-ს.

2025 წელს საქართველოდან უცხოეთში ექსპორტირებული ძირითადი სასაქონლო პროდუქტების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს 1-ელი სქემის მონაცემები [8].

სქემა 1




გასულ წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი **მსუბუქმა ავტომობილებმა** დაიკავა /38,6%/, მეორე ადგილზეა **ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები** /5,2%/, ხოლო მესამეზე – **სპირტიანი სასმელები** /3,9%/. წინა წელთან შედარებით, **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** ექსპორტი 10%-ით გაიზარდა და 1844,3 მლნ აშშ დოლარი, ხოლო **სამრეწველო პროდუქციისა** 12%-ით გადიდდა და 5450,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა დაფიქსირდა შემდეგ პოზიციებზე: **მინერალური წყალი** (6%); ძირითადი ბაზრები: რუსეთი /41%/, ყაზახეთი /20%/, უკრაინა /12%/, უზბეკეთი /7%/, ლიტვა /6%/, გერმანია /2%/; **თხილი** /62%/, ძირითადი ბაზრები: იტალია /21%/, ესპანეთი /15%/, გერმანია /7%/, საფრანგეთი /7%/, თურქეთი /3%/; **უალკოჰოლო სასმელები** /21%/, ძირითადი ბაზრები: რუსეთი /30%/, აზრბაიჯანი /19%/, ყაზახეთი /17%/, სომხეთი /10%/, უზბეკეთი /8%/; **ხილ-ბოსტნეულის წვენები** /11%/, ძირითადი ბაზრები: გერმანია /34%/, აშშ /21%/, ავსტრალია /12%/, იაპონია /4%/, ისრაელი /6%/. სურსათზე ექსპორტი კი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე: ღვინო, სპირტიანი სასმელები, სამკურნალო საშუალებები, სანელებლები, ციტრუსები, ცოცხალი ცხვარი, სიგარეტები.

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ პოზიციებზე: მსუბუქი ავტომობილები /16%/, ძვირფასი ლითონის მადნები /60%/, აზოტოვანი სასუქები /11%/, დაუმუშავებელი ოქრო /17%/, სამედიცინო ხელსაწყოები /0,2%/, საბურავები /54%/. მისი **ექსპორტი** კი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე: ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სატვირთო ავტომობილები, ელექტრონული წყალგამახურებლები.

რაც შეეხება იმპორტს, გასულ წელს, წინა წელთან შედარებით მისმა ზრდამ 9,7% შეადგინა, ხოლო ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში კი 70,5%-ით განისაზღვრა. აქედან, ყველაზე დიდი საიმპორტო სამეულის (თურქეთი, აშშ და ჩინეთი) წილმა 40,4% შეადგინა. 2025 წელს საქართველოში იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფების შესახებ მონაცემები ნაჩვენებია მე-2 სქემაზე [8].

სქემა 2



2025 წელს საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებიდან პირველ ადგილზეა **მსუბუქი ავტომობილები** /იმპორტის 20,9%/, მეორე ადგილს იკავებს ნავთობპროდუქტები /7,3%/, ხოლო მესამე ადგილზეა მედიკამენტები /3,7%/. წინა წელთან შედარებით **სოფლის მეურნეობის პროდუქტების** იმპორტი 18%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციისა 8%-ით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე: **მსუბუქი ავტომობილები** /11%/, იმპორტიორი ქვეყნები: აშშ /59%/, გერმანია /17%/, იაპონია /9%/; **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** /4%/, იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი /35%/, რუმინეთი /17%/, ბულგარეთი /14%/, აზერბაიჯანი /9%/, თურქეთი /8%/, საბერძნეთი /2%/; **სურათები და ხატები** /481,1 მლნ აშშ დოლარი/, იმპორტიორი ქვეყნები: გაერთიანებული სამეფო /53%/, აშშ /47%/; **ნავთობის აირები** /2%/, იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი /47%/, აზერბაიჯანი /53%/; **სამკურნალო საშუალებები** /9%/, იმპორტიორი ქვეყნები: თურქეთი /25%/, გერმანია /12%/, შვეიცარია /8%/, უნგრეთი /9%/, ინდოეთი /4%/, საფრანგეთი /5%/; **სატელეფონო აპარატები** /3%/, იმპორტიორი ქვეყნები: საამიროები /3%/, ვიეტნამი /8%/, ჩეხეთი /18%/, ჩინეთი /8%/, ჰონგ კონგი /6%/; **ფრინველის ხორცი** /12%/, იმპორტიორი ქვეყნები: ჩინეთი /34%/, ბრაზილია /12%/, უკრაინა /13%/, აშშ /11%/, თურქეთი /12%/, ნიდერლანდები /4%/, საფრანგეთი /3%/; **ნაღების კარაქი** /56%/, იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი /32%/, ურუგვაი /10%/, ირანი /10%/, ფინეთი /8%/, პარაგვაი /12%/, დანია /4%/, არგენტინა /1%/; **ხორბალი**_/69%/, იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი /80%/, ყაზახეთი /20%/. **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** /12%/, იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი /92%/, აზერბაიჯანი /8%/. **ღორის ხორცი გაყინული** /28%/, იმპორტიორები: ბრაზილია /78%/, რუსეთი /15%/.

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო წარმოადგენს საკმაოდ მაღალ იმპორტდამოკიდებულ ქვეყანას, რაც განაპირობებს უარყოფით სავაჭრო სალდოს ზრდასა და სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. ეს კი ნეგატიურად ზემოქმედებს ქვეყნის საფინანსო სისტემაზე.

იმპორტის ზრდის მაღალ მაჩვენებლებთან ერთად, პრობლემას ამწვავებს ენერგომატარებლებსა და სხვა სტრატეგიული დანიშნულების სამრეწველო და სასურსათო პროდუქტებზე იმპორტდამოკიდებულების მაღალი დონე, რაც შეიცავს

მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებს. ამის კარგი მაგალითია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. ცნობილია, რომ რუსეთი ხშირად იყენებდა სხვადასხვა სახის ტექნიკურ-აგრესიულ ხრიკებს (აფეთქებები და სხვადასხვა სახის დაზიანებები ელექტროგადამცემ ხაზებზე, ნავთობისა და გაზსადენების მაგისტრალებზე) თავისი პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად.

ასეთი მოვლენები მომავალშიც გაგრძელდება, რაც რუსეთ-უკრაინის ომითაც დასტურდება. საქართველომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ახალ-ახალი (უწინარეს ყოვლისა, ენერგორესურსების) ბაზრების მოძიებაზე, რათა თავიდან აიცილოს აგრესორ ქვეყანაზე იმპორტდამოკიდებულება და მისგან გამომდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეები. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, რის შედეგადაც, სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი გეოგრაფიაც. თუ 2006 წლამდე საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო რუსეთი, რუსული ემბარგოსა და 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ, პირველ ადგილზე გადმოინაცვლა თურქეთმა, რუსეთი კი გადავიდა მეორე, ხოლო 2025 წელს მესამე ადგილზე. ახალ-ახალი ბაზრების მოძიების შედეგად, ვაჭრობა გაფართოვდა აზერბაიჯანთან, ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-თან, ემირატებთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებთან. ეს პროცესი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს.

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზით ირკვევა, რომ საქართველო ამჟამად მსოფლიო ბაზარზე უფრო მეტად ყიდის ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, რომელთა ფასი, მზა პროდუქციასთან შედარებით, გაცილებით დაბალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობასა და სავალუტო რესურსების ზრდაზე. მეორე მხრივ, ქართულ ბაზარზე დიდი რაოდენობით იყიდება იმპორტირებული პირუტყვისა და ფრინველის ხორცი, ხორბალი, სიმინდი, ხილ-ბოსტნეული, ზეთი, კარაქი, შაქარი, ჩაი, თამბაქოს ნაწარმი, სპირტიანი სასმელები, სამკურნალო წამლები, არმატურა, ცემენტი და ბევრი სხვა საქონელი. ეს მაშინ, როცა წარმოების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფითა და სწორი სავაჭრო პოლიტიკით ქვეყანას შეუძლია აღნიშნული იმპორტირებული საქონლის საკუთარი წარმოების პროდუქციით სრული ან ნაწილობრივი ჩანაცვლება, რაც მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგებითაც დასტურდება. მატერიალური წარმოების სფეროში გამოიკვეთა ექვსი ასეთი დარგი: მებაღეობა, მებოსტნეობა, ღვინის, საშენი მასალების, ტანსაცმლის, მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების წარმოება [3]. ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ამ დარგების, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციით მსოფლიო ბაზარზე გასვლის დიდი შესაძლებლობები.

ბოლო დროს საქართველომ კურსი აიღო დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირის ქვეყნებზე, რაც სავსებით სწორია და იგი სამომავლოდ უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ბაზრები /განსაკუთრებით სასურსათო/ უაღრესად მკაცრი, მომთხოვნი და მაღალკონკურენტუნარიანია. აქ დასამკვიდრებლად, სატარიფო ბარიერებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რაშიც იგულისხმება სტანდარტიზაციის, სერთიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემების, აგრეთვე, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული, სურსათის უვნებლობისა და ეკოლოგიური სისუფთავის სტანდარტების დაცვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეალურად ამ ბაზრებზე შეღწევა და დამკვიდრება.

ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოება სრულებითაც არ ნიშნავს დსთ-ის (მ.შ. რუსეთის) ბაზრებზე უარის თქმას. ამ მხრივ, რუსეთთან ერთად, ძალზე ყურადსაღებია უკრაინის, ბელორუსის, ახლო მეზობლების (აზერბაიჯანისა და სომხეთის), აგრეთვე, შუა აზიის ქვეყნების საკმაოდ დიდი ბაზრები. ბოლო დროს ვაჭრობა საგრძნობლად გაფართოვდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ჩინეთი, იაპონია, კორეა და ავსტრალია), აგრეთვე, აშშ-თან, კანადასა და ბრაზილიასთან, ირანსა და ისრაელთან, არაბეთის საამიროებსა და საუდის არაბეთთან, სადაც არსებობს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციის დიდი შესაძლებლობები.

ამასთან, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმის სრულყოფაც. როგორც უკვე აღინიშნა, ქართული შიდა ბაზარი გაჯერებულია ისეთი უცხოური პროდუქციით, რომელთა ხარისხი ხშირად არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ საფასო კონკურენციის ან მათი დეფიციტის გამო, მაინც იყიდება. საჭიროა ამ საქმეში სახელმწიფოს უფრო აქტიური ჩარევა, რომელმაც უნდა განახორციელოს, ექსპორტის სტიმულირებასთან ერთად, იმპორტშემცვლელი სავაჭრო პოლიტიკა, სათანადო სამართლებრივი და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით ხელი შეუწყოს საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების აღორძინებას, საქონლის კონკურენუნარიანობის ამაღლებასა და შიდა ბაზრის მოთხოვნის ძირითადად ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით დაკმაყოფილებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის (2014). თბილისი.
2. გუროვა მ. (2014). *მსოფლიო ეკონომიკა*. თბილისი.
3. თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (2015). *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული*. თბილისი.
4. თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (2024). *სამეცნიერო შრომები*. ტ. 17., თბილისი.
5. თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (2025). *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული*. თბილისი.
6. კაკულია, მ. (2010). საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი. *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტ. *8*., თბილისი.
7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. economy.ge
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. geostat.ge

Revaz Javakhishvili

Main Trends and Challenges of Georgia's Foreign Trade Development at the Current Stage of Globalization

Summary

Following the restoration of its independence, Georgia implemented a series of measures aimed at re-establishing the foreign trade function and creating the legislative and regulatory framework necessary for its development. As a result, the country has demonstrated a steady upward trend in foreign trade turnover. At the same time, it has been determined that the growth in trade turnover has been driven primarily by imports rather than exports, leading to an increase in the

negative trade balance, a deterioration in the import coverage ratio by exports, a reduction in the country's foreign exchange reserves, and a stronger negative impact on the state budget.

Today, one of the greatest challenges facing Georgia's foreign trade is its high dependence on imports in general, and particularly on energy resources and other strategically important industrial and agricultural products. Furthermore, Georgia exports mainly raw materials and semi-finished products, which are significantly lower in value than finished goods. On the other hand, the domestic market is often saturated with imported industrial products and, especially, agricultural products containing high levels of chemical substances, many of which could be fully or partially replaced by domestically produced alternatives. The article emphasizes that the state should play a more active role in addressing these issues by implementing export promotion and import substitution policies. Through appropriate legal and economic instruments, the government should support the revival of export-oriented industries, encourage the production of highly competitive goods to satisfy domestic demand, and facilitate the successful entry of Georgian products into international markets.

In recent years, Georgia has rightly pursued a policy of expanding its foreign trade with highly developed countries in both the West—primarily the European Union—and the East. However, it is important to recognize that these markets are highly competitive, demanding, and subject to strict requirements. Gaining access to them requires overcoming not only tariff barriers but also non-tariff barriers, including compliance with standards of standardization, certification, and accreditation, as well as veterinary, phytosanitary, food safety, and environmental quality regulations. Only by meeting these requirements can Georgia successfully enter and establish a lasting presence in these markets.

ხათუნა ბერიშვილი

ელექტრონული ბიზნესის განვითარების ტენდენციები და გამოწვევები საქართველოში

ანოტაცია. *გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიურმა დანერგვამ ბიზნესპროცესებისა და კომერციული ურთიერთობების ტრადიციული მოდელები ფუნდამენტურად შეცვალა. დღესდღეობით ელექტრონული კომერცია აღარ წარმოადგენს მხოლოდ ვაჭრობის დამატებით საშუალებას, არამედ იგი ბაზარზე კომპანიების პოზიციონირებისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მთავარ ფაქტორად გვევლინება.*

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ელექტრონული ბიზნესის ევოლუციის, საკანონმდებლო რეგულირებისა და ადგილობრივი საბაზრო გარემოს თავისებურებათა კომპლექსურ შესწავლას. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს 126 ქართული კომპანიის მონაცემთა ანალიზი, რომლებიც მეთოდოლოგიურად დაყოფილია მცირე, საშუალო და მსხვილ სეგმენტად.

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საბანკო სექტორის მაღალი ტექნოლოგიური მზაობისა, ადგილობრივი ბიზნესი კვლავ სერიოზულ სტრუქტურულ ბარიერებს აწყდება. მათ შორისაა დედაქალაქსა და რეგიონებს შორის ტექნოლოგიური განვითარების მკვეთრი სხვაობა, მაღალი საოპერაციო-ლოგისტიკური ხარჯები და კვალიფიციური კადრების სიმცირე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ეროვნულ ეკონომიკაში ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებასა და ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: *ელექტრონული ბიზნესი, ციფრული ეკონომიკა, საკანონმდებლო რეგულირება, საწარმოთა კლასიფიკაცია, ელექტრონული კომერცია საქართველოში.*

შესავალი

ტექნოლოგიურმა პროგრესმა თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებისა და ტრადიციული ვაჭრობის ფორმები მნიშვნელოვნად შეცვალა. პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება სულ უფრო ხშირად ონლაინპლატფორმების მეშვეობით ხორციელდება. ეს პროცესი ფუნდამენტურად ცვლის მომხმარებლის ქცევას, ანგარიშსწორების ფორმებსა და მიწოდების სისტემებს.

საქართველო აქტიურად ცდილობს ჩაერთოს გლობალურ ციფრულ სივრცეში. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდამ და ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ ელექტრონული ბიზნესის გაფართოებას შეუწყო ხელი. თუმცა, ადგილობრივი საწარმოები მაინც აწყდებიან მენეჯერული ციფრული უნარების ნაკლებობას, რეგულაციებთან ადაპტაციის სირთულეებსა და სუსტ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას. გარდა ამისა, საერთაშორისო გიგანტების ექსპანსია ადგილობრივ ბაზარზე მკვეთრად ზრდის კონკურენციას, რაც ქართული ბიზნესისგან მოითხოვს ტექნოლოგიური პროცესებისა და მომსახურების ხარისხის სრულყოფას. არსებული გამოწვევების ფონზე, ციფრული ეკოსისტემის არათანაბარი განვითარება საფრთხეს

უქმნის მცირე და საშუალო საწარმოების გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას. აღნიშნული პროცესების კომპლექსური შესწავლა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის.

ელექტრონული ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში

თანამედროვე ბიზნესგარემოში ელექტრონული კომერცია ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური სექტორია. მისი განვითარების ისტორია რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს: საწყის ეტაპზე (2000–2010 წლები) ქართული კომპანიების ვებსაიტები ატარებდა მხოლოდ პასიური საინფორმაციო ბუკლეტის ფუნქციას. ამ პერიოდში ონლაინგადახდები პრაქტიკულად არ არსებობდა, ვინაიდან საბანკო სექტორს არ გააჩნდა შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ხოლო მომხმარებლებში ციფრული ნდობის დონე საკმაოდ დაბალი იყო.

ვითარება არსებითად შეიცვალა ინფრასტრუქტურული განვითარებისა და სტაბილური ზრდის ეტაპზე (2011–2020 წლები). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტის სიჩქარე და დაფარვის გეოგრაფიული არეალი. პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართულმა კომერციულმა ბანკებმა (კერძოდ, „თიბისი ბანკმა“ და „საქართველოს ბანკმა“), რომლებმაც შექმნეს ონლაინგადახდების უსაფრთხო სისტემები. აღნიშნულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა ბაზარზე პირველი ადგილობრივი ელექტრონული მაღაზიებისა და მომსახურების პლატფორმების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. მაგალითად, Swoop.ge-მ დაამკვიდრა ფასდაკლების ვაუჩერების ონლაინყიდვა, ხოლო Tkt.ge-მ უზრუნველყო ღონისძიებებისა და ტრანსპორტის ბილეთების ციფრული რეალიზაცია.

ბაზრის გაფართოებისა და ეკოსისტემების ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე (2021–2026 წლები) ონლაინვაჭრობამ სოციალური ქსელებიდან სპეციალიზებულ პლატფორმებსა და მობილურ აპლიკაციებში გადაინაცვლა. შედეგად, ჩამოყალიბდა მსხვილი ქართული სავაჭრო სივრცეები, როგორებიცაა Extra.ge და Veli.store, სადაც ათასობით ადგილობრივი პროდუქტია წარმოდგენილი. ამავდროულად, განვითარდა სწრაფი მიტანის სერვისები და ლოგისტიკური კომპანიები (Glovo, Wolt, Onway, საქართველოს ფოსტა), რამაც პროდუქციის მიწოდების პროცესი მაქსიმალურად დააჩქარა და მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა. (საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაცია, 2022).

ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად, არსებითად შეიცვალა მომხმარებელთა ქცევაც. თუ ადრეულ ეტაპზე საზოგადოებაში ჭარბობდა უნდობლობა ონლაინ-ანგარიშსწორებისა და დისტანციური ყიდვის მიმართ, დღეს ელექტრონული გადახდები და ციფრული სერვისები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ პროცესს ხელი შეუწყო ციფრული მარკეტინგული ინსტრუმენტების, პერსონალიზებული შეთავაზებებისა და სოციალური კომერციის (Social Commerce) სწრაფმა დამკვიდრებამ.(Chaffey, 2023; Laudon & Traver, 2023). შედეგად, ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა ტრანზაქციების რაოდენობა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ონლაინ-სივრცეში მომხმარებელთა უფლებების, მონაცემთა უსაფრთხოებისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა.(World Bank Group, 2024).

სწორედ ამიტომ, ელექტრონული ბიზნესის გამართული ფუნქციონირებისა და სტაბილურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მკაფიო და მოწესრიგებულ სამართლებრივ ბაზას. დღევანდელ რეალობაში საქართველოში აღნიშნულ სექტორს სამი ძირითადი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

პირველ რიგში, საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ სამართლებრივ ძალას ანიჭებს ელექტრონულ ხელმოწერასა და ციფრულ დოკუმენტებს, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც ბიზნესებს შორის (B2B), ისე ბიზნესსა და მომხმარებელს შორის (B2C) გარიგებების დადების პროცესს. ამასთანავე, საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ ავალდებულებს ონლაინმოვაჭრეებს, მომხმარებელს მიაწოდონ ამომწურავი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ. აღნიშნული კანონი ასევე ამკვიდრებს მნიშვნელოვან გარანტიას და ადგენს შეძენილი ნივთის უპირობოდ დაბრუნების 14-დღიან ვადას. (საქართველოს პარლამენტი, 2022). მესამე საკვანძო დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც აწესებს მკაცრ სტანდარტებს მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაზე და თავისი არსით ეფუძნება საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას. (საქართველოს პარლამენტი, 2023).

მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის ასეთი დახვეწისა და პროგრესისა, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სერიოზულ პრაქტიკულ გამოწვევად კვლავ რჩება ამ ნორმების რეალური დანერგვა და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციების ნაკლებობა.

ელექტრონული ბიზნესის საერთაშორისო გამოცდილება და გლობალური მოდელები

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში ელექტრონული კომერციის განვითარება სხვადასხვა რეგიონული თავისებურებებით ხასიათდება. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ციფრული ბაზრების ფორმირებაზე არსებით გავლენას ახდენს ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დონე და მომხმარებელთა კულტურული მახასიათებლები. სწორედ ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად, გლობალურ დონეზე იკვეთება სამი წამყვანი მოდელი, რომელთაც თავისი სპეციფიკა გააჩნიათ.

ევროკავშირის მოდელი მკაცრად არეგულირებს ციფრულ ბაზრებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომხმარებლის უფლებების მაღალ დონეზე დაცვასა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს შენარჩუნებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისეთი გლობალური და რეგიონული პლატფორმები, როგორებიცაა Zalando და Amazon Europe, რომლებიც საქმიანობას მომხმარებელთა მონაცემთა დაცვის მკაცრი რეგულაციებისა (GDPR) და ნივთის დაბრუნების გამართული სტანდარტების სრული დაცვით ახორციელებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) მოდელი ძირითად აქცენტს აკეთებს მაღალ ტექნოლოგიებზე, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების დანერგვაზე, მონაცემთა ღრმა ანალიტიკასა და თითოეულ მომხმარებელზე მორგებული პერსონალიზებული მომსახურების განვითარებაზე. ამ მიდგომის ლიდერები არიან Amazon და Shopify, რომლებიც AI-რეკომენდაციებისა და მასშტაბური ინფრასტრუქტურის მეშვეობით მომხმარებელს ინდივიდუალურ სავაჭრო გამოცდილებას სთავაზობენ.

აზიის რეგიონის მოდელი წარმატებით იყენებს სოციალურ ქსელებსა და პირდაპირ ვიდეოტრანსლაციებს (Live-stream commerce) პროდუქციის სწრაფი და ინტერაქციული რეალიზაციისთვის. ამ მიმართულებით პიონერები არიან ჩინური გიგანტები Taobao (Alibaba Group) და TikTok Shop (Douyin), სადაც პროდუქციის გაყიდვა რეალურ დროში, კონტენტის შექმნასა და მომხმარებელთან უშუალო ინტერაქციასთან არის დაკავშირებული.

ამ საერთაშორისო სტანდარტებისა და წამყვანი გლობალური პლატფორმების გამოცდილების ეტაპობრივი დანერგვა ქართულ კომპანიებს დაეხმარება, წარმატებით დამკვიდრდნენ საერთაშორისო ბაზარზე, გააფართოონ თავიანთი საქმიანობის არეალი და მნიშვნელოვნად გაზარდონ მომხმარებელთა ნდობის ხარისხი. (World Bank Group, 2024).

ემპირიული კვლევა

საქართველოში ელექტრონული ბიზნესის არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დასანერგად, აუცილებელია ადგილობრივი ბაზრის სტრუქტურული სპეციფიკის შესწავლა. ვინაიდან, ინოვაციების დანერგვა ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სიდიდის კომპანიაში განსხვავებული ტემპით მიმდინარეობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული ჯგუფის წინაშე მდგარი ბარიერებისა და თავისებურებების სიღრმისეული გამოკვლევა. ამ ამოცანების გადასაჭრელად ჩატარდა ემპირიული კვლევა. მისი მთავარი მიზანი ქართული კომპანიების ციფრული განვითარების დონის, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული კომერციის ეფექტიანობის დადგენა იყო. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 126 ადგილობრივი კომპანია, რომელიც, მონაცემთა სიღრმისეული ანალიზისთვის, სამ ჯგუფად - მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესად დაიყო.

ცხრილი 1. 126 ადგილობრივი კომპანიის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი

კატეგორია	კომპანიე-ბის რაოდე-ნობა	ქართული კომპანიები	საკუთა-რი ვებ-საიტი (%)	ონლაინ გადახდა (%)	მთავარი სავაჭრო არხი
მცირე ბიზნესი	65	საოჯახო მარნები (მაგ.„ჩემი მეგობარი მარანი“), ხელნაკეთი ნივთების ოსტატები „კერამიკა ნატალი“), სტარტაპები („CraftGeorgia“) და სხვა.	30%	45%	სოციალური ქსელები (Facebook, Instagram)
საშუალო ბიზნესი	41	ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ქსელები („Dressup Group“), წიგნების მაღაზიები („ბიბლუსი“), ველო-მაღაზიები („Velostore.ge“) და სხვა.	80%	85%	საკუთარი ვებსაიტი და სავაჭრო პლატფორმები (Extra.ge, Veli.store)
მსხვილი ბიზნესი	20	ტექნიკისა და ჰიპერმარკეტების ქსელები („ალტა“, „გორგია“, „ფრესკო“, „ნიკორა“), საბანკო ეკოსისტემები და სხვა.	100%	100%	მობილური აპლიკაცია, ვებსაიტი, მრავალვენდორული პლატფორმა

წყარო: ავტორის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის (2021–2026 წწ.) მონაცემები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“, 2025) ანგარიშები.

ემპირიულმა მონაცემებმა აჩვენა მკვეთრი განსხვავება ბიზნესის მასშტაბსა და ციფრული ტექნოლოგიების ათვისების ხარისხს შორის.

მცირე ბიზნესის კატეგორიაში გამოკვლეული 65 კომპანიის უმრავლესობა (90%-ზე მეტი) პროდუქციის წარსადგენად და გასაყიდად Facebook-სა და Instagram-ს იყენებს. მათგან საკუთარი ვებსაიტი მხოლოდ 30%-ს აქვს, ხოლო პირდაპირი ონლაინ-გადახდის სისტემა 45%-ს. მცირე ბიზნესი ძირითადად ეყრდნობა ნაღდი ანგარიშსწორებით მიწოდებას (Cash on Delivery) ან პირად საბანკო გადარიცხვებს. მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა ვებსაიტის დამზადებისა და მოვლის მაღალი ღირებულება, საბანკო საკომისიოები და საკურიერო მომსახურების მაღალი ტარიფები.

საშუალო ბიზნესის (41 კომპანია) 80%-ს გააჩნია გამართული ვებსაიტი, ხოლო 85%-ს ინტეგრირებული აქვს ელექტრონული გადახდის სისტემები. ეს კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ სავაჭრო პლატფორმებთანაც. მათთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ციფრული მარკეტინგის, მონაცემთა ანალიზისა და IT-სპეციალისტების დეფიციტი, აგრეთვე მაღალი კონკურენცია ბაზრის ლიდერებთან.

მსხვილი ბიზნესის ჯგუფში გამოკითხული 20-ივე კომპანია (100%) ფლობს მრავალფუნქციურ ვებსაიტსა და მობილურ აპლიკაციას. მათ დანერგილი აქვთ მართვის ავტომატიზებული სისტემები (ERP/CRM) და საკუთარი ან ექსკლუზიური ლოგისტიკური ქსელი. ამ კომპანიების მთავარი ამოცანაა მომსახურების სისწრაფის გაზრდა, მონაცემთა უსაფრთხოება და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ინტეგრირება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ოთხი მთავარი პრობლემა, რაც აფერხებს ელექტრონული ბიზნესის განვითარებას საქართველოში:

- ტერიტორიული ციფრული უთანაბრობა: დედაქალაქსა და რეგიონებს შორის არსებობს დიდი განსხვავება ინტერნეტის ხარისხსა და მოსახლეობის ციფრულ უნარებში. რეგიონებში მცხოვრები მეწარმეები ნაკლებად იყენებენ ელექტრონულ არხებს;
- ლოგისტიკური ბარიერები: რეგიონებსა და განსაკუთრებით მთიან დასახლებებში პროდუქციის მიწოდება დაკავშირებულია მაღალ საოპერაციო ხარჯებთან და დროსთან;
- კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა: მცირე და საშუალო საწარმოებს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსები და ტექნიკური რესურსი, რათა დაიცვან თავიანთი ვებსაიტები და მომხმარებელთა მონაცემები კიბერშეტევებისგან;
- ადმინისტრაციული და იურიდიული ბარიერები: ახალ რეგულაციებთან (მაგალითად, მომხმარებლის უფლებების დაცვის ან მონაცემთა დაცვის კანონებთან) სწრაფი ადაპტაცია უჭირთ მცირე მეწარმეებს იურიდიული კონსულტაციის არარსებობის გამო.

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ელექტრონული ბიზნესი სწრაფი ტემპით ვითარდება, თუმცა ეს პროცესი მკვეთრად არათანაბარია. მსხვილი კომპანიები წარმატებით იყენებენ თანამედროვე ციფრულ ინსტრუმენტებს, მცირე საწარმოები კი კვლავ სოციალურ ქსელებსა და არაფორმალურ ვაჭრობაზე რჩებიან დამოკიდებული, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას. სექტორის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, სადაც სახელმწიფო, საბანკო სექტორი და კერძო ბიზნესი მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

ემპირიული კვლევის შედეგად გამოკვეთილი სტრუქტურული პრობლემებისა და სისტემური გამოწვევების საპასუხოდ, აუცილებელია მიზანმიმართული

ღონისძიებების გატარება. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის მდგრადი განვითარების, მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ციფრული ეკოსისტემის სრულყოფისთვის მიზანშეწონილია შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინება:

- რეგიონული ლოგისტიკის მხარდაჭერა: სახელმწიფო და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით (Public-Private Partnership) უნდა შეიქმნას რეგიონული ლოგისტიკური ცენტრები (ჰაბები), რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რეგიონებსა და მაღალმთიან დასახლებებში ამანათების მიწოდების საოპერაციო ხარჯებსა და დროს;
- მცირე ბიზნესის ციფრული სუბსიდირება: მიზანშეწონილია ამოქმედდეს მიზნობრივი საგრანტო და თანადაფინანსების პროგრამები, რომლებიც მცირე მეწარმეებს დაეხმარება გამართული ვებსაიტის შექმნაში, ელექტრონული საგადასახადო სისტემების ინტეგრირებასა და პირველად ციფრულ ტრანსფორმაციაში;
- ციფრული წიგნიერებისა და უნარების ამაღლება: აუცილებელია რეგულარული საგანმანათლებლო და პრაქტიკული ტრენინგ-პროგრამების განხორციელება რეგიონული მეწარმეებისთვის ციფრული მარკეტინგის, მონაცემთა ანალიტიკის, ონლაინ-გაყიდვების მართვისა და კიბერუსაფრთხოების საბაზო სტანდარტების მიმართულებით;
- საბანკო საკომისიოების ოპტიმიზაცია: სასურველია აქტიური კონსულტაციების წარმოება ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებთან, რათა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის შემუშავდეს შეღავათიანი ტარიფები და შემცირდეს ონლაინ-გადახდების სატრანზაქციო საკომისიო განაკვეთები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი, ხ. (2020). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საზოგადოების მდგრად და ინოვაციურ განვითარებაში. სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ეკონომიკა და ეკონომიკური მეცნიერება: ურთიერთდამოკიდებულება, გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრის გზები“, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.
2. ბერიშვილი, ხ. (2020). პერსონალის მოტივაციის ბიზნესზე ზეგავლენის ემპირიული კვლევა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2025). ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში. თბილისი.
4. საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაცია. (2022). ელექტრონული კომერციის ბაზრის მიმოხილვა და განვითარების ტენდენციები საქართველოში. თბილისი: ECA.
5. საქართველოს პარლამენტი. (2023). საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
6. საქართველოს პარლამენტი. (2022). საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2023). საწარმოთა საქმიანობა საქართველოში. https://www.geostat.ge

8. Berishvili, K. (2018). Impact of Foreign Direct Investment on the Economic Development of Developing Countries. International Journal of Social and Humanities Sciences, 2(1), 15–24.

9. Berishvili, Kh. (2017). Identification of Integration Processes in Conditions Economic Turbulence and their Use in Development of the Countries with Small Economy. EcoForum Journal, 6(2), 1–8.

10. Berishvili, K. (2017). Contradictory character of the process of liberalization and integration of economic relations and influence of this process on the countries with small economy. Proceedings of the 6th Business & Management Conference, Geneva, pp. 3–9.

11. Berishvili, K. (2014). Possibilities for Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine, 6(4), 277–285.

12. Chaffey, D. (2023). Digital Business and E-Commerce Management (8th ed.). Pearson Education.

13. Laudon, K. C., & Traver, C. G. (2023). E-Commerce 2023–2024: Business, Technology, Society (18th ed.). Pearson.

14. Turban, E., Outland, J., Lee, D., King, D., & Chung, H. M. (2021). Electronic Commerce 2021: A Managerial and Social Networks Perspective. Springer.

15. Shengelia, T., & Berishvili, K. (2025). Innovative Business in Georgia: Problems and Prospects. The New Economist, 20(1), 24–35.

16. Shengelia, T., & Berishvili, K. (2020). Methodology of social entrepreneurship research and its influence on countries with small economy. International Journal of Social and Humanities Sciences, 4(3), 181–190.

17. Shengelia, T., & Berishvili, K. (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences, 3(2), 81–90.

18. World Bank Group. (2024). Digital Economy Assessment: South Caucasus Region. Washington, DC: World Bank.

19. WTO & World Bank. (2025). Digital Trade for Development. World Bank Publications.

Khatuna Berishvili

Trends and Challenges in the Development of E-Business in Georgia

Summary

The intensive integration of digital technologies into the global economic system has fundamentally transformed traditional models of business processes and commercial relations. Today, e-commerce no longer serves merely as a supplementary sales channel; rather, it has emerged as a key determinant of corporate positioning and long-term competitiveness in the market.

This research paper aims to conduct a comprehensive examination of the evolution of e-business in Georgia, its legislative and regulatory framework, and the specific characteristics of the local market environment. The empirical foundation of the study relies on the data analysis of 126 Georgian enterprises, methodologically categorized into small, medium, and large business segments.

The findings reveal that, despite the refinement of the legislative framework and the high level of technological readiness within the banking sector, local businesses continue to face significant structural barriers. Prominent among these are a pronounced technological divide between the capital and the regions, high operational and logistical costs, and a scarcity of qualified human resources.

ნუგზარ თოდუა
თათია ბრეგვაძე

ინოვაციიდან შეძენის განზრახვამდე: ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ

ანოტაცია. *კვლევის მიზანია საქართველოში ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა და დამოკიდებულების კავშირის შეფასება შეძენის განზრახვასთან. კვლევა ეფუძნება 607 მომხმარებლის ონლაინ გამოკითხვას; გამოყენებულია ფაქტორული, სანდოობის, კორელაციური და იერარქიული რეგრესიული ანალიზები. შედეგების მიხედვით, ინფორმირებულობა, აღქმული სარგებლიანობა და ნდობა მომხმარებლის დამოკიდებულებას დადებითად, ხოლო აღქმული რისკი უარყოფითად უკავშირდება. მომხმარებლის დამოკიდებულება, თავის მხრივ, შეძენის განზრახვის ძლიერი დადებითი პრედიქტორია.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური აგროპროდუქტები; ინფორმირებულობა; აღქმული სარგებლიანობა; ნდობა; შეძენის განზრახვა.*

პრობლემის აქტუალობა

მსოფლიო აგროსასურსათო სისტემები ერთდროულად დგანან მზარდი მოთხოვნის, კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის გამოწვევის წინაშე. გაეროს 2024 წლის პროგნოზით, მსოფლიო მოსახლეობა 2050 წლისთვის დაახლოებით 9.7 მილიარდს მიაღწევს [United Nations, 2024]. OECD/FAO-ს 2026–2035 წლების პროგნოზით, მომდევნო ათწლეულში გლობალური სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაახლოებით 13%-ით გაიზრდება, ხოლო სოფლის მეურნეობიდან პირდაპირი სათბურის აირების ემისიები დაახლოებით 6%-ით მოიმატებს [OECD/FAO, 2026]. FAO-ს მონაცემებით, 2023 წელს აგროსასურსათო სისტემებიდან სათბურის აირების ემისიებმა 16.5 მლრდ ტონა CO_2-ის ეკვივალენტი შეადგინა, რაც ადამიანის საქმიანობით გამოწვეული საერთო ემისიების დაახლოებით 32%-ს შეესაბამება [FAO, 2025a]. ამასთან, სოფლის მეურნეობაზე მსოფლიოში მტკნარი წყლის აღების 70%-ზე მეტი მოდის [FAO, 2025b]. ეს გარემოებები ზრდის ისეთი ინოვაციების მნიშვნელობას, რომლებიც პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, დანაკარგების შემცირებასა და გარემოზე ზეწოლის შერბილებას ემსახურება.

თუმცა ტექნოლოგიური ინოვაცია თავისთავად არ უზრუნველყოფს საბაზრო წარმატებას. ტექნოლოგიური ან პროდუქტისეული უპირატესობა ეკონომიკურ ღირებულებას მაშინ იძენს, როდესაც მომხმარებელი ახალ პროდუქტს გასაგებად, სასარგებლოდ და სანდოდ აღიქვამს. ოთხ ქვეყანაში 2,494 მომხმარებელზე ჩატარებულმა კვლევამ ინოვაციური საკვები ტექნოლოგიების მიღების მზაობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოავლინა [Giacalone D., …, 2023:137119]. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ პროდუქტის შესახებ არასაკმარისი ცოდნა მიღების მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოადგენს, ხოლო ჯანმრთელობასთან, მდგრადობასთან და კონკრეტულ სარგებელთან დაკავშირებული აღქმები მიღებას აძლიერებს [Laureati M., …, 2024:1534; Monaco A., …, 2024:107285; Günden C., …, 2024:2051]. ამდენად, ინოვაციური აგროპროდუქტების კომერციალიზაციისას ტექნოლოგიის დანერგვასთან

ერთად მნიშვნელოვანი ხდება მომხმარებლის ინფორმირება და მისი შეფასებითი პროცესის შესწავლა.

საქართველოსთვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგროსასურსათო სექტორის მოდერნიზაციისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგიის 2024–2027 წლების სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების, ბაზრების დივერსიფიკაციის, რესურსების მდგრად გამოყენებისა და ხარისხის სისტემების გაძლიერების მნიშვნელობას[საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2024]. საქსტატის მონაცემებიც ასახავს სექტორის მნიშვნელოვან როლსა და წარმოების არაერთგვაროვან დინამიკას [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026]. ამ პირობებში ახალი წარმოების, დამუშავების, შეფუთვისა და მიკვლევადობის ტექნოლოგიების გავრცელება მხოლოდ მიწოდების მხარის საკითხი აღარ არის; მათი ეკონომიკური შედეგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გასაგები და მისაღებია ახალი პროდუქტი მომხმარებლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში ახალი საკვებისა და საკვები ტექნოლოგიების მიღება აქტიური კვლევის საგანია, საქართველოს კონტექსტში შედარებით მწირია ემპირიული მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება მომხმარებლის დამოკიდებულებას ინფორმირებულობა, აღქმული სარგებლიანობა, ნდობა და აღქმული რისკი. კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, ამ ოთხი ფაქტორის კავშირის შეფასება მომხმარებლის დამოკიდებულებასთან და, მეორე მხრივ, იმის განსაზღვრა, რამდენად უკავშირდება ჩამოყალიბებული დამოკიდებულება შეძენის განზრახვას. პრაქტიკული თვალსაზრისით, შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომხმარებელთა ინფორმირების, პროდუქტის პოზიციონირების, ნდობის ფორმირებისა და რისკის კომუნიკაციის სტრატეგიების დასაგეგმად. წინა კვლევებიც მიუთითებს, რომ ინოვაციური აგროპროდუქტების საბაზრო მიღება მჭიდროდ უკავშირდება მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეფასებას. საქართველოში ჩატარებულ ემპირიულ კვლევაში აღქმული სარგებლიანობა და გამოყენების სიმარტივე მომხმარებლის დამოკიდებულებასთან მნიშვნელოვან დადებით კავშირს ავლენდა, ამასთან აღქმული სარგებლიანობის კავშირი უფრო ძლიერი იყო [Todua N., …, 2026a; Todua N., …, 2026c:383–408].

კვლევის აქტუალობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ინოვაციური აგროპროდუქტის ტექნოლოგიური მახასიათებლები მომხმარებლისთვის ყოველთვის უშუალოდ დაკვირვებადი ან მარტივად გადასამოწმებელი არ არის. წარმოების მეთოდის, უსაფრთხოების, მიკვლევადობის ან გრძელვადიანი სარგებლის შეფასებისას მომხმარებელი ხშირად ეყრდნობა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, სანდო სიგნალებსა და საკუთარ აღქმებს. ამიტომ ინოვაციური პროდუქტის საბაზრო მიღების ანალიზი მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიური უპირატესობების, არამედ მომხმარებლის ინფორმირებულობისა და შეფასებითი მექანიზმების გათვალისწინებას.

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება

აღქმული სარგებლიანობა და მომხმარებლის დამოკიდებულება

აღქმული სარგებლიანობა (Perceived Usefulness — PU) ასახავს მომხმარებლის შეფასებას იმის შესახებ, რამდენად ქმნის ინოვაცია მისთვის პრაქტიკულ ღირებულებას ან სასურველ შედეგს. ინოვაციური აგროპროდუქტის შემთხვევაში ეს შეიძლება უკავშირდებოდეს კვებით თვისებებს, მოხერხებულობას, უსაფრთხოებას, რესურსების

დაზოგვას ან გარემოსდაცვით სარგებელს. თანამედროვე კვლევებში აღქმული სარგებლიანობა და ინოვაციის შედარებითი უპირატესობა დადებით შეფასებასა და მიღების მზაობასთან არის დაკავშირებული [Hellali W., …, 2023:104849; Wang O., …, 2024:105072]. გერმანიაში 617 მომხმარებელზე ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა, რომ ინოვაციის შედარებითი უპირატესობა მის პოზიტიურ აღქმასა და აღქმულ ღირებულებას უკავშირდება [Albertsen L., …, 2020:103958].

სარგებლიანობის შეფასება სხვა შეფასებით ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში ყალიბდება. როდესაც მომხმარებელი ინოვაციურ პროდუქტში კონკრეტულ უპირატესობას ხედავს, მისი საერთო შეფასებაც უფრო პოზიტიური ხდება. უახლესი სამეცნიერო კვლევები მიუთითებს, რომ ახალი საკვების მიღებაში ჯანმრთელობასთან, მდგრადობასთან და ფუნქციურ სარგებელთან დაკავშირებული შეფასებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს [Laureati M., …, 2024:1534; Mosikyan S., …, 2024:107655].

ინოვაციური აგროპროდუქტების შემთხვევაში აღქმული სარგებლიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგიური სიახლე მომხმარებლისთვის ხშირად უშუალოდ ხილული არ არის. მხოლოდ პროდუქტის სიახლე მისი მიღებისთვის საკმარისი არ არის; მომხმარებლისთვის გასაგები უნდა იყოს, რა კონკრეტულ სარგებელს ქმნის ინოვაცია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სარგებლიანობის უფრო მაღალი შეფასება მომხმარებლის უფრო დადებით დამოკიდებულებასთან იქნება დაკავშირებული.

H1: ინოვაციური აგროპროდუქტების აღქმული სარგებლიანობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებლის დამოკიდებულებაზე.

ნდობა და მომხმარებლის დამოკიდებულება

ინოვაციური საკვები ხშირად შეიცავს რთულად გადასამოწმებელ მახასიათებლებს — მაგალითად, უსაფრთხოებას, წარმოების მეთოდს, ეკოლოგიურობას ან მიკვლევადობას — რომელთა დამოუკიდებლად შეფასება მომხმარებლისთვის რთულია. ასეთ პირობებში ნდობა ინფორმაციული გაურკვევლობის შემცირების მნიშვნელოვან მექანიზმად იქცევა. ევროპის 13 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნდობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანმრთელი, მდგრადი და ახალი საკვების შეძენის განზრახვის ფორმირებაში [Macready A. L., …, 2025:105386].

აგროსასურსათო მიკვლევადობის შესახებ ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ გამჭვირვალე და გადამოწმებადი ინფორმაცია მომხმარებლის ნდობას აძლიერებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტექნოლოგია პროდუქტის წარმოშობის, უსაფრთხოებისა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ ინფორმაციის შემოწმების შესაძლებლობას ქმნის [Reitano M., …, 2024:100455]. ალტერნატიული ცილების კვლევაშიც ნდობა შეძენის განზრახვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული [Wang O., …, 2024:105072].

ნდობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მომხმარებელი გადაწყვეტილების მისაღებად ეყრდნობა ეტიკეტს, სერტიფიკატს, მწარმოებლის რეპუტაციას ან ციფრული მიკვლევადობის ინფორმაციას. ასეთი სიგნალები ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და მომხმარებელს ეხმარება ისეთი თვისებების შეფასებაში, რომელთა უშუალო შემოწმებაც შეძენის მომენტში შეუძლებელია. ამ საფუძველზე მოსალოდნელია, რომ ნდობა ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ უფრო დადებით დამოკიდებულებასთან იქნება დაკავშირებული.

H2: ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ ნდობა დადებითად გავლენას ახდენს მომხმარებლის დამოკიდებულებაზე.

აღქმული რისკი და მომხმარებლის დამოკიდებულება

აღქმული რისკი (Perceived Risk — PR) გამოხატავს პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების შეფასებას. ახალი საკვები ტექნოლოგიების შემთხვევაში რისკის აღქმა შეიძლება უკავშირდებოდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ტექნოლოგიის უცნობობას, პროდუქტის წარმომავლობას ან არასაკმარის ინფორმაციას. კვლევები მიუთითებს, რომ ახალი საკვები ტექნოლოგიების მიღებას ერთდროულად განსაზღვრავს მოსალოდნელი სარგებლისა და რისკის შეფასება [Bearth A., …, 2016:14–23; Siegrist M., …, 2020:343–350].

ახალი საკვები ტექნოლოგიების მიმართ რისკის აღქმა ერთგვაროვანი არ არის და დამოკიდებულია როგორც ტექნოლოგიის ტიპზე, ისე მომხმარებლის ნდობაზე, საკვები ტექნოლოგიებისადმი ნეოფობიასა (food technology neophobia) და შესაძლო შედეგების სიმძიმის შეფასებაზე. პორტუგალიაში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა კროსკულტურულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალი არათერმული დამუშავების ტექნოლოგიების რისკის შეფასებაში ნდობა და საკვები ტექნოლოგიებისადმი ნეოფობია მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო [Silva A., …, 2024:103772].

თანამედროვე კვლევები ასევე მიუთითებს, რომ ახალი საკვების მიმართ რისკის განცდა ხშირად უკავშირდება ინფორმაციის ნაკლებობას, ნეოფობიას, ბუნებრიობის აღქმასა და ნდობის დეფიციტს [Günden C., …, 2024:2051; Monaco A., …, 2024:107285]. ამ პირობებში მომხმარებელი ინოვაციურ პროდუქტს მოსალოდნელი სარგებლისა და შესაძლო საფრთხეების ერთობლივი შეფასების საფუძველზე განიხილავს; შესაბამისად, რისკის ზრდა ნაკლებად დადებით დამოკიდებულებას უნდა უკავშირდებოდეს.

H3: ინოვაციური აგროპროდუქტების აღქმული რისკი უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებლის დამოკიდებულებაზე.

ინფორმირებულობა და მომხმარებლის დამოკიდებულება

ინფორმირებულობა (Awareness — AWA) ამ კვლევაში მოიცავს მომხმარებლის ცოდნას ინოვაციური აგროპროდუქტების ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მოძიებისა და შეძენის შესაძლებლობების ცოდნას, აგრეთვე შესაბამის ინფორმაციასთან რეგულარულ შეხებას. თანამედროვე სისტემურ მიმოხილვებში ახალი საკვების შესახებ დაბალი ცნობადობა, ინფრმაციის ნაკლებობა მიღების მნიშვნელოვან ბარიერებად სახელდება [Laureati M., …, 2024:1534]. ამასთან, ახალი საკვების მიმართ გაცნობიერება და გამოცდილება უფრო მაღალი მიღების ხარისხთან არის დაკავშირებული [Monaco A., …, 2024:107285].

ინფორმირებულობის მნიშვნელობა მხოლოდ ინფორმაციის მოცულობით არ განისაზღვრება. მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია იყოს გასაგები, ხელმისაწვდომი და სანდო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროდუქტის ტექნოლოგიური მახასიათებლები უშუალოდ ვერ მოწმდება. Laureati და თანაავტორები მიუთითებენ, რომ საკმარისი და გასაგები ინფორმაციის მიწოდებაზე დაფუძნებული საკომუნიკაციო და ცნობიერების ამაღლების აქტივობები ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სკეპტიციზმის შემცირებას უწყობს ხელს [Laureati M., …, 2024:1534].

ციფრული მიკვლევადობისა და საკვების ბლოკჩეინ-ტექნოლოგიების შესახებ კვლევებიც აჩვენებს, რომ ტექნოლოგიის სარგებლის შესახებ მომხმარებლის ცოდნა და ინფორმირებულობა უკავშირდება ნდობას, უსაფრთხოების აღქმასა და მიღების მზაობას [Reitano M., …, 2024:100455]. საქართველოს ბაზარზე, სადაც ინოვაციური აგროპროდუქტების ნაწილი მომხმარებლისთვის ჯერ კიდევ შედარებით ახალია,

ინფორმირებულობა შეიძლება წარმოადგენდეს საწყის კოგნიტურ ფაქტორს, რომელსაც პროდუქტის შემდგომი შეფასება ეყრდნობა.

H4: ინოვაციური აგროპროდუქტების შესახებ ინფორმირებულობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებლის დამოკიდებულებაზე.

მომხმარებლის დამოკიდებულება და შეძენის განზრახვა

დამოკიდებულება (Attitude — ATT) წარმოადგენს მომხმარებლის საერთო დადებით ან უარყოფით შეფასებას პროდუქტის ან ქცევის მიმართ და დაგეგმილი ქცევის თეორიის თანამედროვე განმარტებაში ქცევითი განზრახვის ერთ-ერთ ცენტრალურ წინაპირობად განიხილება [Ajzen I., 2020:314–324]. საკვები ინოვაციების კვლევებშიც დამოკიდებულება და აღქმული სარგებლიანობა მიღების მზაობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტორებად არის წარმოდგენილი [Hellali W., …, 2023:104849].


ალტერნატიული ცილების შესახებ ახალ ზელანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინოვაციის შედარებითი უპირატესობა, აღქმული რისკი და ნდობა შეძენის განზრახვასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული [Wang O., …, 2024:105072]. ეს მიგნება შეესაბამება მოსაზრებას, რომ პროდუქტის ცალკეული მახასიათებლების შეფასება მომხმარებლის საერთო დამოკიდებულებასა და ქცევით მზაობასთან არის დაკავშირებული.

ამ კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოში მომხმარებლის დამოკიდებულება განიხილება როგორც შეფასებითი ეტაპი, მედიატორი, რომელიც პროდუქტის შესახებ არსებულ აღქმებს შეძენის განზრახვასთან აკავშირებს. სტატიის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია დამოკიდებულებისა და შეძენის განზრახვის უშუალო კავშირზე;

H5: ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ დადებითი დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს შეძენის განზრახვაზე.

კვლევის კონცეპტუალური მოდელი

ჰიპოთეზების საფუძველზე აგებული მოდელი აერთიანებს მომხმარებლის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ოთხ ფაქტორს — აღქმულ სარგებლიანობას, ნდობას, აღქმულ რისკსა და ინფორმირებულობას — და დამოკიდებულებას განიხილავს შეძენის განზრახვის უშუალო პრედიქტორად.



ნახაზი 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი

წყარო: *ავტორთა მიერ შემუშავებული კვლევის მოდელი.*

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის დიზაინი და ჩატარდა სტრუქტურირებული ონლაინ გამოკითხვა. გენერალურ ერთობლიობად განხილულ იქნა საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლები, რომელთა რაოდენობა 2024 წლის დასაწყისში დაახლოებით 2.93 მილიონს შეადგენდა [Kemp S., 2024], ხოლო უშუალო სამიზნე ჯგუფს ზრდასრული აგროპროდუქტების მომხმარებლები წარმოადგენდნენ. კითხვარი გავრცელდა სოციალური ქსელებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

კითხვარი ეფუძნებოდა სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს და მოიცავდა მოხმარების გამოცდილებას, ექვს ძირითად კონსტრუქტს — AWA, PU, TR, PR, ATT და PI — და სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს. კონსტრუქტები შეფასდა ხუთბალიანი ლიკერტის სკალით (1 — „სრულად არ ვეთანხმები“, 5 — „სრულად ვეთანხმები“). თავდაპირველად შეგროვდა 874 პასუხი. მონაცემთა წინასწარი გაწმენდისას გამოირიცხა არასრული კითხვარები, მექანიკურად ერთგვაროვანი პასუხების შემცველი ანკეტები (straight-lining) და ექსტრემალური ან არალოგიკური პასუხები; უკიდურესი მნიშვნელობების იდენტიფიკაციისას გამოყენებულ იქნა სტანდარტულ გადახრაზე დაფუძნებული კრიტერიუმი. საბოლოო ანალიზში დარჩა 607 ვალიდური პასუხი.

სკალების ფაქტორული სტრუქტურის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა Principal Axis Factoring (PAF), ხოლო მონაცემთა ფაქტორული ანალიზისთვის შესაბამისობა შეფასდა KMO ინდექსითა და Bartlett-ის სფერულობის ტესტით. სკალების შიდა თანმიმდევრულობა შემოწმდა Cronbach’s Alpha-თი. კომპოზიტური ცვლადები შესაბამისი ინდიკატორების საშუალო მნიშვნელობებით გამოითვალა, ხოლო კონსტრუქტებს შორის კავშირები პირსონის კორელაციით შეფასდა. მოცემული სტატია განიხილავს მომხმარებლის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ოთხ ფაქტორსა და დამოკიდებულების უშუალო კავშირს შეძენის განზრახვასთან.

ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა იერარქიული წრფივი რეგრესია. პირველ ეტაპზე მოდელებში შეტანილი იყო კონტროლის ცვლადები — სქესი, ასაკი და განათლების დონე — ხოლო მეორე ეტაპზე შესაბამისი თეორიული პრედიქტორი. ასაკი და განათლება დამუშავდა dummy coding-ის გამოყენებით. H1–H4-ის დამოკიდებული ცვლადი იყო მომხმარებლის დამოკიდებულება (ATT), H5-ის — შეძენის განზრახვა (PI). დამატებით, AWA, PU, TR და PR ერთდროულად იქნა შეტანილი ATT-ის ერთიან მოდელში მათი უნიკალური განმარტებითი წვლილის შესაფასებლად. რეგრესიული კოეფიციენტების შეფასებისას გამოყენებულ იქნა HC3 ტიპის მდგრადი სტანდარტული შეცდომები (robust standard errors). სტატისტიკური მნიშვნელოვნების კრიტერიუმი იყო $p<.05$.

ანალიზის ასეთი თანმიმდევრობა საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თითოეული ფაქტორის საერთო პროგნოზული კავშირი და მისი უნიკალური წვლილი სხვა აღქმითი ფაქტორების კონტროლის შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთმანეთთან ძლიერ კორელირებული კონსტრუქტების შემთხვევაში. ამიტომ ჰიპოთეზების შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც ცალკეული იერარქიული მოდელები, ისე ერთიანი მოდელის შედეგები. ასევე კოეფიციენტების ინტერპრეტაციისას დამატებით არის გათვალისწინებული. დისკრიმინანტული ვალიდობა შეფასდა Fornell–Larcker-ის კრიტერიუმით. თითოეული კონსტრუქტის AVE-ის კვადრატული ფესვი აღემატებოდა მის კორელაციას სხვა კონსტრუქტებთან, რაც კრიტერიუმის დაკმაყოფილებაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგები და სტატისტიკური ანალიზი

რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

საბოლოო შერჩევაში ქალები შეადგენდნენ 67.9%-ს, ხოლო მამაკაცები — 32.1%-ს. რესპონდენტების 73.7% 25–44 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ხოლო განათლების მიხედვით ყველაზე დიდი ჯგუფი ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები იყვნენ (46.5%). შერჩევის ეს სტრუქტურა შედეგების განზოგადებისას გასათვალისწინებელია; სქესი, ასაკი და განათლება შემდგომ მოდელებში კონტროლის ცვლადებად იქნა გამოყენებული.

ცხრილი 1. რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

მახასიათებელი	კატეგორია	n	%
სქესი	ქალი	412	67.9
	კაცი	195	32.1
ასაკი	18–24	58	9.6
	25–34	285	47.0
	35–44	162	26.7
	45–54	46	7.6
	55–65	46	7.6
	65+	9	1.5
განათლება	საშუალო	65	10.7
	პროფესიული	74	12.2
	ბაკალავრი	282	46.5
	მაგისტრი	101	16.6
	დოქტორი	85	14.0

წყარო: *ავტორთა გამოთვლები კვლევის მონაცემების საფუძველზე; N=607.*

საზომი სკალების ფაქტორული ანალიზი, სანდოობა და აღწერითი სტატისტიკა

ყველა კონსტრუქტის KMO მაჩვენებელი .786–.957 დიაპაზონში იყო, ხოლო Bartlett-ის სფერულობის ტესტი ყველა შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($p<.001$). თითოეულ სკალაში ერთი დომინანტური ფაქტორი გამოიყო, ფაქტორული დატვირთვები კი .871–.979 დიაპაზონში იყო. Cronbach’s Alpha არცერთი სკალისთვის .960-ზე ნაკლები არ ყოფილა, რაც მაღალ შიდა თანმიმდევრულობაზე მიუთითებს. საშუალო მნიშვნელობებიდან ყველაზე მაღალი მომხმარებლის დამოკიდებულებისთვის (ATT; M=3.66) დაფიქსირდა; ინფორმირებულობის საშუალომ 3.41 შეადგინა, ხოლო აღქმული რისკის საშუალო შედარებით დაბალი აღმოჩნდა (M=2.37).

ცხრილი 2. საზომი სკალების ფაქტორული, სანდოობისა და აღწერითი მაჩვენებლები

კონსტრუქტი	Items	KMO	დატვირთვები	M	SD	Cronbach’s α
PU	4	.882	.958–.973	3.58	1.41	.984
TR	8	.957	.926–.969	3.55	1.41	.988
PR	4	.852	.871–.960	2.37	1.43	.960
AWA	10	.957	.920–.962	3.41	1.43	.986

კონსტრუქტი	Items	KMO	დატვირთვები	M	SD	Cronbach's α
ATT	4	.879	.950–.979	3.66	1.40	.982
PI	3	.786	.960–.977	3.59	1.42	.978

შენიშვნა: *Bartlett-ის სფერულობის ტესტი ყველა შემთხვევაში p<.001; Extraction Method: Principal Axis Factoring; N=607.* ***წყარო:*** *ავტორთა გამოთვლები.*

საკვლევ კონსტრუქტებს შორის კორელაციური კავშირები

კორელაციური ანალიზის მიხედვით, PU (r=.924), TR (r=.913) და AWA (r=.879) ATT-სთან ძლიერ დადებითად, ხოლო PR უარყოფითად (r=−.755) აღმოჩნდა დაკავშირებული. ATT-სა და PI-ს შორის განსაკუთრებით ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა (r=.935). ამასთან, AWA, PU და TR ერთმანეთთანაც მაღალ კორელაციაშია (r=.915–.944).

ცხრილი 3. საკვლევი კონსტრუქტების კორელაციური მატრიცა

ცვლადი	PU	TR	PR	AWA	ATT	PI
PU	1					
TR	.944***	1				
PR	−.758***	−.763***	1			
AWA	.924***	.915***	−.759***	1		
ATT	.924***	.913***	−.755***	.879***	1	
PI	.917***	.902***	−.750***	.893***	.935***	1

****p<.001; N=607.* ***წყარო:*** *ავტორთა გამოთვლები.*

ჰიპოთეზების შემოწმება

სქესის, ასაკისა და განათლების მიხედვით აგებული საწყისი მოდელი მომხმარებლის დამოკიდებულების (ATT) ვარიაციის დაახლოებით 9.9%-ს ხსნიდა. დემოგრაფიული ფაქტორების კონტროლის შემდეგ თითოეული თეორიული ცვლადის ცალკე დამატებამ მოდელის განმარტებითი ძალა მნიშვნელოვნად გაზარდა. აღქმული სარგებლიანობა, ნდობა და ინფორმირებულობა მომხმარებლის დამოკიდებულებასთან ძლიერ დადებით, ხოლო აღქმული რისკი ძლიერ უარყოფით კავშირს ავლენდა. H5-ის მოდელში მომხმარებლის დამოკიდებულება შეძენის განზრახვის განსაკუთრებით ძლიერი დადებითი პრედიქტორი აღმოჩნდა.

ცხრილი 4. H1–H5 ჰიპოთეზების იერარქიული რეგრესიული ანალიზი

ჰიპ.	კავშირი	B	HC3 SE	β	t	p	95% CI	R^2	ΔR^2
H1	PU → ATT	.908	.018	.917	50.48	<.001	[.873, .943]	.859	.760
H2	TR → ATT	.906	.020	.909	45.41	<.001	[.867, .945]	.840	.741
H3	PR → ATT	−.731	.029	−.743	−25.52	<.001	[−.787, −.674]	.591	.492
H4	AWA → ATT	.874	.019	.892	45.05	<.001	[.836, .913]	.802	.703
H5	ATT → PI	.945	.017	.930	56.94	<.001	[.912, .977]	.878	.780

შენიშვნა: *ყველა მოდელში კონტროლის ცვლადებია სქესი, ასაკი და განათლება; H1–H4-ის დამოკიდებული ცვლადი — ATT, H5-ის — PI; N=606.* ***წყარო:*** *ავტორთა გამოთვლები.*

ერთიანი რეგრესიული მოდელი

მოდელში AWA, PU, TR და PR-ის ერთდროულად შეტანისას, დემოგრაფიული ცვლადების კონტროლების პირობებში, მოდელი ATT-ის ვარიაციის 87.9%-ს ხსნიდა.

ოთხივე თეორიულმა პრედიქტორმა სტატისტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა: PU (β=.468, p<.001) და TR (β=.293, p=.005) დადებით, PR (β=−.091, p=.001) უარყოფით, ხოლო AWA უფრო მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით დამოუკიდებელ კავშირს ავლენდა (β=.119, p=.049).

ცხრილი 5. მომხმარებლის დამოკიდებულების ერთიანი რეგრესიული მოდელი

პრედიქტორი	B	HC3 SE	β	t	p	95% CI
AWA	.116	.059	.119	1.97	.049	[.000, .232]
PU	.464	.090	.468	5.13	<.001	[.287, .641]
Trust	.292	.104	.293	2.80	.005	[.087, .496]
Risk	−.090	.028	−.091	−3.19	.001	[−.145, −.035]

R^2=.879; Adjusted R^2=.876; ΔR^2=.780; F(14,591)=307.50; p<.001; N=606.

წყარო: *ავტორთა გამოთვლები.*

ცალკეული და ერთიანი მოდელების შედარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის ინტერპრეტაციისთვის. AWA ცალკე მოდელში ATT-სთან ძალიან ძლიერ კავშირს ავლენდა, თუმცა PU-ს, ნდობისა და რისკის ერთდროული გათვალისწინებისას, დემოგრაფიული ცვლადების კონტროლის პირობებში მისი უნიკალური წვლილი შემცირდა და სტატისტიკური მნიშვნელოვნების ზღვართან აღმოჩნდა, თუმცა მნიშვნელოვნება მაინც შეინარჩუნა. ეს შედეგი შეიძლება მიუთითებდეს, რომ ინფორმირებულობის კავშირის ნაწილი მომხმარებლის სხვა შეფასებით ფაქტორებთან — განსაკუთრებით სარგებლიანობასა და ნდობასთან — საერთო ვარიაციით აიხსნება.

დისკუსია

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ მომხმარებლის დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება აღქმულ სარგებლიანობას, ნდობას, რისკსა და ინფორმირებულობას. ოთხივე კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო როგორც ცალკეულ იერარქიულ მოდელებში, ისე ერთიან მოდელში.

აღქმული სარგებლიანობის ძლიერი კავშირი მომხმარებლის დამოკიდებულებას-თან შეესაბამება თანამედროვე საკვები ინოვაციის ლიტერატურას, სადაც პროდუქტის პრაქტიკული სარგებელი და შედარებითი უპირატესობა მიღების მნიშვნელოვან ფაქტორებად განიხილება [Hellali W., …, 2023:104849; Wang O., …, 2024:105072]. მარკეტინგული თვალსაზრისით, ეს მიუთითებს, რომ ინოვაციური აგროპროდუქტის კომუნიკაცია მხოლოდ სიახლის ხაზგასმით არ უნდა შემოიფარგლოს; მომხმარე-ბლისთვის მკაფიო უნდა იყოს პროდუქტის კონკრეტული პრაქტიკული სარგებელი.

ინფორმირებულობის შედეგი აჩვენებს, რომ პროდუქტის შესახებ ცოდნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებლის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორებია, ეს ინტერპრეტაცია თანხვედრაშია სისტემურ მიმოხილვებთან, რომლებიც არასაკმარის ცოდნას ახალი საკვების მიღების ბარიერებად განიხილავს [Laureati M., …, 2024:1534; Monaco A., …, 2024:107285].

ნდობა ერთიან მოდელშიც ინარჩუნებს სტატისტიკურ მნიშვნელობას (β=.293, p=.005), რაც მიუთითებს, რომ ინფორმირებულობისა და სარგებლიანობის გათვალისწინების შემდეგაც სანდოობის შეფასებას დამოუკიდებელი განმარტებითი

მნიშვნელობა აქვს. აგროსასურსათო მიკვლევადობის კვლევები ხაზს უსვამს, რომ გამჭვირვალე, გადამოწმებადი და მომხმარებლისთვის გასაგები ინფორმაცია ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას [Reitano M., …, 2024:100455]. ამიტომ ნდობის ფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქტებისთვის, რომელთა წარმოების მეთოდი ან უსაფრთხოების მახასიათებლები მომხმარებლისთვის უშუალოდ ხილული არ არის.

აღქმული რისკის უარყოფითი კავშირი შეესაბამება ინოვაციური საკვები ტექნოლოგიების შესახებ კვლევებს, სადაც მიღებას ერთდროულად განსაზღვრავს მოსალოდნელი სარგებლისა და შესაძლო საფრთხის შეფასება [Bearth A., …, 2016:14–23; Siegrist M., …, 2020:343–350]. უახლესი კვლევებიც მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური ნეოფობია, ნდობა, უცნობობა და შესაძლო შედეგების სიმძიმის აღქმა რისკის შეფასებას მნიშვნელოვნად უკავშირდება [Silva A., …, 2024:103772; Günden C., …, 2024:2051]. მარკეტინგული კომუნიკაციისას მიზანშეწონილია რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფორმით მიწოდება.

H5-ის შედეგი სტატიის ერთ-ერთი ცენტრალური მიგნებაა: დემოგრაფიული ფაქტორების კონტროლის შემდეგ ATT-ის სტანდარტიზებული კოეფიციენტი β=.930-ს შეადგენდა, ხოლო მოდელი PI-ის ვარიაციის 87.8%-ს ხსნიდა. ეს შეესაბამება დაგეგმილი ქცევის თეორიის თანამედროვე განმარტებას, რომლის მიხედვითაც დამოკიდებულება ქცევითი განზრახვის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა [Ajzen I., 2020:314–324]. მიღებული შედეგი ასევე თავსებადია საკვები ინოვაციების კვლევებთან, სადაც პროდუქტის მიმართ პოზიტიური შეფასება მიღების მზაობას უკავშირდება [Hellali W., …, 2023:104849].

ATT-სა და PI-ს შორის ძლიერი კავშირი მიუთითებს, რომ შეძენის განზრახვის ახსნაში მომხმარებლის საერთო შეფასებით პოზიციას უფრო მაღალი განმარტებითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხოლოდ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს. მარკეტინგული თვალსაზრისით, ეს ყურადღებას მომხმარებლის დამოკიდებულების ფორმირებაზე ამახვილებს და არა მხოლოდ დემოგრაფიული სეგმენტების აღწერაზე.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თეორიული თვალსაზრისით, კვლევა აერთიანებს მომხმარებლის ინფორმირებულობას, აღქმულ სარგებლიანობას, ნდობასა და რისკს ერთ ფოკუსირებულ ჩარჩოში და აჩვენებს, რომ აგროსასურსათო ინოვაციების მიღება მხოლოდ პროდუქტის ტექნოლოგიური მახასიათებლებით ვერ აიხსნება. ახალი საკვების (novel food) შესახებ თანამედროვე მიმოხილვებიც მიღებას მრავალფაქტორულ პროცესად განიხილავს, რომელშიც ცოდნა, ფუნქციური სარგებელი, ნდობა, რისკი და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ფაქტორები ერთმანეთს უკავშირდება [Laureati M., …, 2024:1534; Günden C., …, 2024:2051; Mosikyan S., …, 2024:107655]. [Todua N., …, 2026c:383–408].

პრაქტიკული თვალსაზრისით, მარკეტინგული კომუნიკაციის ფარგლებში მიზანშეწონილია ოთხი მიმართულების გაძლიერება: (1) ინოვაციური პროდუქტის შესახებ მომხმარებლის ცოდნისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა; (2) ტექნოლოგიური მახასიათებლების კონკრეტულ მომხმარებლურ სარგებელთან დაკავშირება; (3) ნდობის ფორმირება გადამოწმებადი სიგნალებით — სერტიფიცირებით, ეტიკეტირებით, წარმოშობისა და მიკვლევადობის ინფორმაციით; და (4) უსაფრთხოებასა და გაურკვევლობასთან დაკავშირებული რისკების გამჭვირვალე კომუნიკაცია.

ამ მიმართულებების ერთობლიობა უფრო დასაბუთებულ საფუძველს ქმნის დადებითი დამოკიდებულებისა და შემდგომი შეძენის მზაობის ფორმირებისთვის.

თოდუასა და ბრეგვაძის [2026b] მიმოხილვით კვლევაში ხაზგასმულია, რომ ინოვაციური აგროპროდუქტების კომერციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის ინფორმირება, სანდო მარკეტინგული სიგნალების გამოყენება, პროდუქტის გამოცდის შესაძლებლობა და ღირებულებაზე ორიენტირებული კომუნიკაცია.

ინფორმაციის მიწოდებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მახასიათებლების მომხმარებლისთვის გასაგები ენით განმარტება. მაგალითად, წარმოების ან დამუშავების ინოვაციის აღწერა მხოლოდ ტექნოლოგიის სახელით ნაკლებად ეფექტიანი შეიძლება იყოს, თუ არ არის განმარტებული მისი კავშირი უსაფრთხოებასთან, შენახვის ვადასთან, მოხერხებულობასთან, რესურსების გამოყენებასთან ან მიკვლევადობასთან. ამასთან, ინფორმაციის მოცულობის ზრდა თავისთავად საკმარისი არ არის — სანდოობა, გასაგები ფორმა და გადამოწმების შესაძლებლობა მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობებია. [Todua N., …, 2026b:17–30].

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო კვლევის მიმართულებები

კვლევა ეფუძნება მხოლოდ ონლაინ გამოკითხვას, ამასთან, შერჩევაში მაღალია ქალების, 25–44 წლისა და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების წილი. ამიტომ შედეგების პირდაპირი განზოგადება საქართველოს მთელ ზრდასრულ მოსახლეობაზე სიფრთხილეს მოითხოვს.

სამომავლო კვლევებში მიზანშეწონილია სტრუქტურული მოდელირების გამოყენება და დეკლარირებულ განზრახვასთან ერთად რეალური შეძენის ქცევის შეფასება. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა აგროინოვაციის — მათ შორის ჰიდროპონიკული ან ვერტიკალური წარმოების, მაღალი წნევით დამუშავებული პროდუქტების, ჭკვიანი შეფუთვისა და ციფრული მიკვლევადობის — ცალ-ცალკე შედარება, რადგან ინფორმირებულობის, ნდობისა და რისკის მნიშვნელობა ტექნოლოგიის ტიპის მიხედვით შეიძლება იცვლებოდეს.

მომხმარებელთა სეგმენტების შემდგომი ანალიზი შესაძლებელია ტექნოლოგიის ცნობადობის, ინფორმაციის წყაროების გამოყენების, ინოვაციურობისადმი გახსნილობისა და ნდობის მიხედვით. კროსკულტურული კვლევები აჩვენებს, რომ ინოვაციური საკვები ტექნოლოგიების მიმართ მომხმარებელთა რეაქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ტექნოლოგიის ტიპის, ისე მომხმარებლის მახასიათებლების მიხედვით [Giacalone D., …, 2023:137119].

დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ინოვაციური აგროპროდუქტების მიმართ მომხმარებლის დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება ინფორმირებულობას, აღქმულ სარგებლიანობას, ნდობასა და აღქმულ რისკს. სქესის, ასაკისა და განათლების კონტროლის პირობებში ჩატარებულმა იერარქიულმა რეგრესიულმა ანალიზმა დაადასტურა ოთხივე თეორიული კავშირის სტატისტიკური მნიშვნელობა. ყველაზე ძლიერი დადებითი კავშირი დაფიქსირდა აღქმულ სარგებლიანობასა და დამოკიდებულებას შორის (β=.917; R^2=.859; ΔR^2=.760; $p<.001$), შემდეგ — ნდობას (β=.909; R^2=.840; ΔR^2=.741; $p<.001$) და ინფორმირებულობას (β=.892; R^2=.802; ΔR^2=.703; $p<.001$) შორის. აღქმული რისკი დამოკიდებულებასთან ძლიერ უარყოფით კავშირს ავლენდა (β=−.743; R^2=.591; ΔR^2=.492; $p<.001$). შესაბამისად, H1–H4 ჰიპოთეზები მხარდაჭერილია.

მომხმარებლის დამოკიდებულება განსაკუთრებით ძლიერი პრედიქტორი აღმოჩნდა შეძენის განზრახვისთვის. დემოგრაფიული ფაქტორების კონტროლის შემდეგ დამოკიდებულება შეძენის განზრახვას ძლიერ დადებითად უკავშირდებოდა (β=.930; R^2=.878; ΔR^2=.780; p<.001), რითაც მხარდაჭერილია H5 ჰიპოთეზაც. ერთიან მოდელში ინფორმირებულობა, სარგებლიანობა, ნდობა და რისკი ერთდროულად სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირებს ინარჩუნებდა მომხმარებლის დამოკიდებულებასთან, თუმცა ინფორმირებულობის დამოუკიდებელი წვლილი შედარებით მცირე იყო. ეს შედეგი აჩვენებს, რომ ინოვაციური აგროპროდუქტის მიმართ დამოკიდებულების ფორმირება დაკავშირებულია არა ერთ ცალკეულ ფაქტორთან, არამედ მომხმარებლის ინფორმირებულობის, აღქმული სარგებლის, ნდობისა და რისკის ერთობლიობასთან.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ინოვაციური აგროპროდუქტების წარმატებული ბაზარზე დანერგვისთვის მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლე საკმარისი არ არის. მომხმარებლისთვის აუცილებელია პროდუქტის სარგებლის მკაფიო კომუნიკაცია, სანდო და გასაგები ინფორმაციის მიწოდება, ნდობის განმტკიცება და შესაძლო რისკებთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირება. ამ ფაქტორებზე ორიენტირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ხელს შეუწყობს უფრო დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც, კვლევის შედეგების მიხედვით, მჭიდროდ უკავშირდება შეძენის განზრახვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2024. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგიის 2024–2027 წლების სამოქმედო გეგმა. თბილისი. ოფიციალური წყარო
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2025. თბილისი: საქსტატი. ოფიციალური PDF
3. Ajzen I., 2020. The theory of planned behavior: Frequently asked questions. *Human Behavior and Emerging Technologies*, vol. 2, №4, pp. 314–324. https://doi.org/10.1002/hbe2.195
4. Albertsen L., Wiedmann K.-P., Schmidt S., 2020. The impact of innovation-related perception on consumer acceptance of food innovations – Development of an integrated framework of the consumer acceptance process. *Food Quality and Preference*, vol. 84, 103958. https://doi.org/10.1016/j.foodqual.2020.103958
5. Bearth A., Siegrist M., 2016. Are risk or benefit perceptions more important for public acceptance of innovative food technologies: A meta-analysis. *Trends in Food Science & Technology*, vol. 49, pp. 14–23. https://doi.org/10.1016/j.tifs.2016.01.003
6. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2025a. Greenhouse gas emissions from agrifood systems: Global, regional and country trends, 2001–2023. FAOSTAT. ოფიციალური FAO წყარო
7. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2025b. Agricultural water management. Land, Soil and Water. ოფიციალური FAO გვერდი
8. Giacalone D., Jaeger S. R., 2023. Consumer acceptance of novel sustainable food technologies: A multi-country survey. *Journal of Cleaner Production*, vol. 408, 137119. https://doi.org/10.1016/j.jclepro.2023.137119
9. Günden C., Atakan P., Yercan M., Mattas K., Knez M., 2024. Consumer response to novel foods: A review of behavioral barriers and drivers. *Foods*, vol. 13, №13, 2051. https://doi.org/10.3390/foods13132051

10. Hellali W., Koraï B., 2023. The impact of innovation level and emotional response on upcycled food acceptance. *Food Quality and Preference*, vol. 107, 104849. https://doi.org/10.1016/j.foodqual.2023.104849

11. Kemp S., 2024. Digital 2024: Georgia. DataReportal. ოფიციალური წყარო

12. Laureati M., De Boni A., Saba A., Lamy E., Minervini F., Delgado A. M., Sinesio F., 2024. Determinants of consumers' acceptance and adoption of novel food in view of more resilient and sustainable food systems in the EU: A systematic literature review. *Foods*, vol. 13, №10, 1534. https://doi.org/10.3390/foods13101534

13. Macready A. L., Hieke S., Klimczuk-Kochańska M., Szumiał S., Wachter K., Arnoult M. H., Vranken L., Grunert K. G., 2025. Why trust is crucial – The moderating role of trust in the relationship between motivation and intention to buy healthy, sustainable and novel foods. *Food Quality and Preference*, vol. 126, 105386. https://doi.org/10.1016/j.foodqual.2024.105386

14. Monaco A., Kotz J., Al Masri M., Allmeta A., Purnhagen K. P., König L. M., 2024. Consumers' perception of novel foods and the impact of heuristics and biases: A systematic review. *Appetite*, vol. 196, 107285. https://doi.org/10.1016/j.appet.2024.107285

15. Mosikyan S., Dolan R., Corsi A. M., Bastian S. E. P., 2024. A systematic literature review and future research agenda to study consumer acceptance of novel foods and beverages. *Appetite*, vol. 203, 107655. https://doi.org/10.1016/j.appet.2024.107655

16. OECD/FAO, 2026. *OECD-FAO Agricultural Outlook 2026–2035*. OECD Publishing, Paris/FAO, Rome. https://doi.org/10.1787/47874669-en

17. Reitano M., Pappalardo G., Selvaggi R., Zarbà C., Chinnici G., 2024. Factors influencing consumer perceptions of food tracked with blockchain technology: A systematic literature review. *Applied Food Research*, vol. 4, №2, 100455. https://doi.org/10.1016/j.afres.2024.100455

18. Siegrist M., Hartmann C., 2020. Consumer acceptance of novel food technologies. *Nature Food*, vol. 1, №6, pp. 343–350. https://doi.org/10.1038/s43016-020-0094-x

19. Silva A., Rocha C., Ribeiro J. C., Aganovic K., Lima R. C., Methven L., Cunha L. M., 2024. Consumer perception of risk towards new sustainable non-thermal food processing technologies: A cross-cultural study between Portugal, Germany, and the UK. *Innovative Food Science & Emerging Technologies*, vol. 96, 103772. https://doi.org/10.1016/j.ifset.2024.103772

20. Todua N., Bregvadze T., 2026a. A Study of Consumers' Attitudes toward Innovative Agricultural Products: Evidence from Georgia. *ABEM Conference Proceedings*, Academy of Business and Emerging Markets (ABEM), No. 023228. https://doi.org/10.5281/zenodo.21481829

21. Todua N., Bregvadze T., 2026b. Commercializing Innovative Agri-Food Products: An Integrative Review of Marketing Challenges and Strategic Responses. *The International Journal of Business Management and Technology*, vol. 10, №8, pp. 17–30. https://www.theijbmt.com/archive/0980/3848412.pdf

22. Todua N., Bregvadze T., 2026c. Determinants of Consumer Acceptance of Innovative Agri-Food Products: An Integrated Marketing and Behavioural Framework. *International Journal of Latest Technology in Engineering, Management & Applied Science (IJLTEMAS)*, vol. 15, №7, pp. 383–408. https://doi.org/10.51583/IJLTEMAS.2026.150700033

23. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division, 2024. *World Population Prospects 2024: Summary of Results*. New York: United Nations. ოფიციალური UN წყარო

24. Wang O., Perez-Cueto F. J. A., Scarpa R., Scrimgeour F., 2024. The influence of innovation-adoption characteristics on consumers' trust and purchase intentions of innovative alternative proteins: A comparison between plant-based food, cultured food, and insect-based food. *Food Quality and Preference*, vol. 113, 105072. https://doi.org/10.1016/j.foodqual.2023.105072

Nugzar Todua
Tatia Bregvadze

From Innovation to Purchase Intention:
Georgian Consumers' Attitudes toward Innovative Agricultural Products

Summary

Global agri-food systems face the combined pressures of rising demand, climate change, resource constraints, and the need to reduce environmental impacts. These conditions increase the importance of innovations in agricultural production, processing, packaging, preservation, and traceability. Yet technological novelty alone does not guarantee market success. Innovative products generate economic value only when consumers understand them, perceive clear benefits, trust the information and actors surrounding them, and consider the associated risks acceptable. This issue is especially relevant in Georgia, where modernization of the agri-food sector increasingly brings new production, processing, packaging, and traceability solutions into the market. The present study therefore examines the factors associated with Georgian consumers' attitudes toward innovative agricultural products and evaluates the relationship between attitude and purchase intention.

The conceptual model focuses on four antecedents of consumer attitude: perceived usefulness (PU), trust (TR), perceived risk (PR), and awareness (AWA). Perceived usefulness reflects the extent to which consumers see practical value or desirable outcomes in an innovation. Trust captures confidence in product-related information, producers, certification, labels, reputation, and traceability signals when important product attributes cannot be verified directly. Perceived risk represents uncertainty and the assessment of possible negative consequences associated with innovative products. Awareness is treated carefully and specifically in this study. It does not refer only to general familiarity with a product category. AWA includes consumers' knowledge of the main characteristics of innovative agricultural products, their knowledge of opportunities to obtain information and purchase such products, and their regular exposure to relevant information. In this sense, awareness is considered an initial cognitive condition that may support subsequent product evaluation. The model proposes positive relationships of PU, TR, and AWA with attitude, a negative relationship of PR with attitude, and a positive relationship between attitude and purchase intention.

A quantitative research design was used, based on a structured online survey of adult consumers in Georgia. The questionnaire was distributed through social media and electronic communication channels. A total of 874 responses were initially collected. After data screening, incomplete questionnaires, mechanically uniform response patterns, and extreme or illogical responses were excluded, leaving 607 valid cases for analysis. Six constructs—AWA, PU, TR, PR, consumer attitude (ATT), and purchase intention (PI)—were measured using five-point Likert scales. Principal Axis Factoring was applied to assess the factor structure, KMO and Bartlett's test were used to evaluate factorability, Cronbach's alpha assessed internal consistency, and Pearson correlations were used to examine associations among the constructs. Hypotheses were tested with hierarchical linear regression. Gender, age, and education were entered as control variables in the first step, followed by the relevant theoretical predictor. HC3 robust standard errors were used for regression coefficients. A simultaneous model including AWA, PU, TR, and PR was also estimated to assess their independent contributions to ATT. Discriminant validity was evaluated using the Fornell–Larcker criterion.

The measurement results supported the quality of the scales. KMO values ranged from .786 to .957, Bartlett's test was significant for every scale ($p<.001$), factor loadings ranged from .871 to .979, and Cronbach's alpha ranged from .960 to .988. Correlation analysis showed strong positive associations of PU ($r=.924$), TR ($r=.913$), and AWA ($r=.879$) with ATT, whereas PR was negatively related to ATT ($r=-.755$). ATT and PI were strongly positively correlated ($r=.935$). AWA, PU, and TR were also highly intercorrelated, making it important to distinguish the separate hierarchical models from the simultaneous model.

The hierarchical regressions, controlling for gender, age, and education, supported all five hypotheses. PU showed the strongest positive association with ATT in its separate model (β=.917, R^2=.859, ΔR^2=.760, p<.001). TR was also strongly positive (β=.909, R^2=.840, ΔR^2=.741, p<.001), while PR showed a strong negative association (β=−.743, R^2=.591, ΔR^2=.492, p<.001). AWA was strongly and positively associated with ATT when examined as the focal theoretical predictor after demographic controls (β=.892, R^2=.802, ΔR^2=.703, p<.001). ATT was a particularly strong positive predictor of PI (β=.930, R^2=.878, ΔR^2=.780, p<.001).

The simultaneous regression is especially important for interpreting awareness. With AWA, PU, TR, and PR entered together, along with demographic controls, the model explained 87.9% of the variance in ATT (Adjusted R^2=.876). PU retained the largest positive independent contribution (β=.468, p<.001), followed by TR (β=.293, p=.005), while PR remained a significant negative predictor (β=−.091, p=.001). Although the independent contribution of AWA decreased after the other perceptual factors were considered simultaneously, awareness remained positively and statistically significantly associated with ATT (β=.119, p=.049). This indicates that awareness continues to have a meaningful independent role in consumer attitude even after perceived usefulness, trust, perceived risk, and demographic characteristics are taken into account. At the same time, the reduction in its coefficient suggests that part of the strong bivariate and separate-model relationship of awareness with attitude is shared with other consumer evaluations, particularly perceived usefulness and trust. Thus, awareness remains an important factor in the model, while also functioning as an initial cognitive basis on which subsequent product evaluations may develop.

The findings show that acceptance of innovative agricultural products cannot be explained by technological characteristics alone. Consumers evaluate innovations through a combination of knowledge, perceived benefit, trust, and risk. Marketing communication should therefore make product benefits concrete and understandable, provide credible and verifiable signals through certification, labeling, origin and traceability information, and address safety-related uncertainty transparently. Previous work by the authors also emphasizes consumer information, credible marketing signals, product trial, and value-oriented communication as important responses in the commercialization of innovative agri-food products.

The study is limited by its online survey design and by the relatively high representation of women, respondents aged 25–44, and participants with higher education. Generalization to the entire adult population of Georgia therefore requires caution. Future research should examine actual purchasing behavior and compare specific innovations, including hydroponic or vertical production, high-pressure processed products, smart packaging, and digital traceability. Overall, successful commercialization requires understandable information, recognizable benefits, credible trust signals, and reduced uncertainty; these factors are associated with consumer attitude, which in turn is strongly related to purchase intention.

Keywords: *innovative agricultural products; awareness; perceived usefulness; consumer attitude; purchase intention.*

ნუგზარ თოდუა
გიორგი ღვალაძე

ემოციური რეაქციების მედიატორული როლი მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე სენსორული მარკეტინგის გავლენის პროცესში

ანოტაცია. *ნაშრომის მიზანია საქართველოში საცალო ვაჭრობის სექტორში სენსორული მარკეტინგის გავლენის შესწავლა მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე და ამ პროცესში მომხმარებელთა ემოციური რეაქციების მედიაციური როლის გამოვლენა. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სტიმული-ორგანიზმი-რეაქციის S-O-R (Stimulus-Organism-Responses) მოდელი, რომლის*

მიხედვითაც გარემოს სენსორული სტიმულები გავლენას ახდენს მომხმარებელთა შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც, თავის მხრივ დაკავშირებულია ქცევით რეაქციებთან. კვლევაში განხილულია ხუთი ტიპის სენსორული სტიმული (ვიზუალური, სმენითი, შეხებითი, ყნოსვითი და გემოს შეგრძნების) და მათი გავლენა მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებსა და მყიდველობით განზრახვაზე. კვლევა ეფუძნება 723 რესპონდენტის მონაცემებს, რომლებიც დამუშავდა SPSS 31-ის გამოყენებით. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკა, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. შედეგემბა აჩვენა, რომ ხუთივე სენსორული სტიმული დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მოქმედებს მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე. ყველაზე ძლიერი გავლენა გამოვლინდა ყნოსვითი ($\beta=0.601$) და ვიზუალური ($\beta=0.562$) სტიმულების შემთხვევაში, ხოლო შედარებით სუსტი შეხებითი ($\beta=0.443$) და სმენითი ($\beta=0.484$) სტიმულების შემთხვევაში. ამასთან, მომხმარებელთა ემოციური რეაქციები მნიშვნელოვნად და ძლიერად მოქმედებს მყიდველობით განზრახვაზე ($\beta=0.736$; $R^2=0.541$). კვლევის შედეგები ადასტურებს S-O-R მოდელის გამოყენების შესაბამისობას საქართველოს საცალო ვაჭრობის კონტექსტში და ხაზს უსვამს ემოციური რეაქციების მნიშვნელობას სენსორული მარკეტინგის გავლენის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *სენსორული სტიმულები, S-O-R მოდელი, მომხმარებელთა ემოციური რეაქციები, მყიდველობითი განზრახვა.*

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე საცალო ვაჭრობის სექტორი დგას სწრაფადცვალებადი და მაღალკონკურენტული გარემოს წინაშე, სადაც კომპანიები მომხმარებელთა ყურადღების მოპყრობას და შენარჩუნებას სულ უფრო მეტად ცდილობენ. ციფრული ტექნოლოგიების ერაში მომხმარებელთა ქცევა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამიტომ მათთან ურთიერთობისათვის ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიები ნაკლებად ეფექტიანია [Guimarães & Rodrigues, 2026]. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის მომხმარებლები ვეღარ კმაყოფილდებიან მხოლოდ საქონლის ფუნქციური მახასიათებლებით. ისინი უფრო მეტად ეძებენ ისეთ პროდუქტებს, რომლებიც მათ დაუვიწყარ გამოცდილებას შეუქმნის [Belwal et al., 2025]. აღნიშნული ცვლილებები აიძულებს კომპანიებს, ტრადიციული მარკეტინგული მიდგომების პარალელურად, ისეთი ინოვაციური სტრატეგიები გამოიყენონ, რომლებიც მომხმარებელთან უფრო ღრმა კავშირებს უზრუნველყოფს [Papanagnou et al., 2022].

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სენსორული მარკეტინგი, რომელიც წარმოადგენს რა ინოვაციურ მიდგომას, მომხმარებლის ხუთივე გრძნობაზე (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოს შეგრძნება) ზემოქმედების გზით ახდენს მისი აღქმის, ემოციების და ქცევების ფორმირებას [Krishna, 2012]. ტრადიციული სტიმულებისაგან განსხვავებით, სენსორული სიგნალები ხშირად მოქმედებს არაცნობიერ დონეზე და გვერდს უვლის რაციონალურ დამუშავებას, რაც მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს [Goel et al., 2024]. კვლევები აჩვენებს, რომ სენსორული სტიმულები იწვევს კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით რეაქციებს, რომლებიც მომხმარებლების გამოცდილების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს [Jeong et al., 2022; Florea et al., 2025].

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ქცევაზე სენსორული სტიმულების გავლენას თანამედროვე მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევენ, განვითარებად ბაზრებზე, მათ შორის, საქართველოში, აღნიშნული საკითხი არასაკმარისადაა

შესწავლილი. არსებული კვლევების უმრავლესობა კონცენტრირებულია განვითარებულ ეკონომიკებზე და ნაკლებად ითვალისწინებს განვითარებადი ბაზრებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ გარემოებებს, რომლებიც განსხვავებულ კულტურულ კონტექსტს, მომხმარებელთა ქცევით თავისებურებებს და საცალო ვაჭრობის გარემოს სტრუქტურას უკავშირდება. საქართველოსთან მიმართებით, არსებული საკითხი მეტად აქტუალურია, ვინაიდან ბოლო ხანებში საცალო ვაჭრობის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა და კონკურენცია გაიზარდა, რაც ამ სფეროში მომხმარებელთა ქცევის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს. მართალია, საქართველოში მომხმარებელთა ქცევის მეცნიერული კვლევა ინტენსიურად ხორციელდება [Matin et al., 2022; Todua & Kartsivadze, 2025; Todua & Danelia, 2025; Todua & Gogitidze, 2026; Todua & Ghvaladze, 2026], თუმცა, ამ კუთხით გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, მომხმარებელთა ქცევისადმი გაზრდილი ინტერესის მიუხედავად, ადგილობრივ აკადემიურ სივრცეში სენსორული სტიმულების შესახებ ჩატარებული ემპირიული კვლევები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. არსებული ნაშრომები მომხმარებელთა ქცევაზე სენსორული სტიმულების გავლენის სიღრმისეული ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას ვერ იძლევა. საქართველოში ჩატარებული კვლევები, ძირითადად, ფოკუსირებული მომხმარებელთა ქცევის ზოგად ასპექტებზე და არ შეისწავლის სენსორული სტიმულების როლს მომხმარებელთა ემოციური სტიმულების და ქცევითი რეაქციების ფორმირებაში. აღნიშნული ხარვეზები წარმოშობს სიღრმისეული ემპირიული კვლევის ჩატარების საჭიროებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში საცალო ვაჭრობის მომხმარებელთა ქცევაზე სენსორული სტიმულების გავლენის შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში ჩამოყალიბებულია შემდეგი საკვლევი კითხვები (RQ):

RQ1: როგორ გავლენას ახდენს სენსორული სტიმულები ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე?

RQ2: როგორ გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციური რეაქციები მყიდველობით განზრახვაზე?

თეორიული ჩარჩო და კვლევის დიზაინი. კვლევის თეორიული საფუძველია Mehrabian-ისა და Russell-ის მიერ შემუშავებული „სტიმული-ორგანიზმი-რეაქციის (S-O-R)“ მოდელი, რომელიც აღწერს, თუ როგორ გარდაიქმნება გარემოს სტიმულები შინაგან მდგომარეობად და, საბოლოოდ, ქცევით რეაქციებად [Mehrabian & Russell, 1974]. ეს მოდელი განსაკუთრებით შესაფერისია სენსორული სტიმულების შესწავლისთვის, რადგან მომხმარებელთა ქცევაზე სენსორული სტიმულების პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენის შესწავლის საშუალებას იძლევა [Wang et al., 2023]. Stimulus-ის კომპონენტები, კვლევის მოდელში განხილულია, ხუთი ძირითადი სენსორული სტიმული: ვიზუალური, აუდიტორული, ტაქტილური, ყნოსვითი და გემოს შეგრძნების სტიმულები. ვიზუალური სტიმულები მოიცავს სავაჭრო ან ონლაინგარემოს დიზაინს, ფერებს, ფორმებსა და სხვა ვიზუალურ მახასიათებლებს, რომლებიც გავლენას ახდენს პროდუქტის გამორჩეულობასა და აღქმულ ხარისხზე [Krishna et al., 2017; Chen & Lin, 2018]. მუსიკა და აკუსტიკური გარემო, გავლენას ახდენს მომხმარებელთა ემოციურ მდგომარეობაზე, გარემოს შეფასებასა და ბრენდის დამახსოვრებას [Jang & Lee, 2019; Zha et al., 2024]. შეხებითი სტიმულები დაკავშირებულია პროდუქტის მასალის, ტექსტურის, ტემპერატურის, წონისა და სიმკვრივის აღქმასთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლის შეფასებებსა და ემოციურ რეაქციებში [Jang & Lee, 2019; Zha et al., 2024]. ყნოსვითი სტიმულები მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციებთან,


მოგონებებსა და მეხსიერებასთან, რის გამოც სასიამოვნო არომატები ხელს უწყობს პროდუქტისა და სავაჭრო გარემოს დადებით შეფასებას [Krishna & Schwarz, 2014; Herz, 2016]. გემოს შეგრძნების სტიმულები, განსაკუთრებით პროდუქტის უშუალო დაგემოვნების გამოცდილება, აძლიერებს მომხმარებელთა ნდობას, აღქმულ ავთენტურობასა და ბრენდისადმი დადებით დამოკიდებულებას, რაც, თავის მხრივ, მყიდველობით განზრახვაზე მოქმედებს [Martins, et al., 2022; Zha et al., 2024; Piqueras-Fiszman & Spence, 2015].

S-O-R მოდელის Organism კომპონენტში კვლევა განიხილავს მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებს, რომელიც წარმოადგენს სენსორულ სტიმულებსა და მომხმარებელთა შემდგომ ქცევით რეაქციებს შორის არსებულ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მექანიზმს. სენსორული გამოცდილებით შექმნილი ემოციური და აღქმული ღირებულება ზრდის მომხმარებელთა ემოციური რეაქციების დონეს და აძლიერებს მყიდველობითი განზრახვის ფორმირებას [Haase, et al., 2018; Wang et al., 2023].

Response კომპონენტში განხილულია მყიდველობითი განზრახვა. დაგეგმილი ქცევის თეორიის თანახმად, მყიდველობითი განზრახვა წარმოადგენს რეალური ქცევის უშუალო წინაპირობას [Ajzen, 1991]. შესაბამისად, საცალო ვაჭრობის კონტექსტში მყიდველობითი განზრახვა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი შუალედური ეტაპი უშუალოდ პროდუქტის შეძენამდე [Abdolmohamad Sagha et al., 2022; Duarte et al., 2024].

ზემოთ ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შევიმუშავეთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც საცალო ვაჭრობაში მომხმარებელთა ქცევაზე სენსორული სტიმულების გავლენას აღწერს (იხ. ნახ. 1).

ნახაზი 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი



წყარო: ავტორები

კვლევის მოდელში შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: ვიზუალური სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე.

H2: სმენითი სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე.

H3: შეხებითი სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე.

H4: ყნოსვითი სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე.

H5: გემოს შეგრძნების სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე.

H6: მომხმარებელთა ემოციური რეაქციები დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე.

კვლევის მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევა ეფუძნება დედუქციურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს არსებული თეორიების საფუძველზე ჰიპოთეზების ჩამოყალიბების და მათი სტატისტიკური ტესტირების გზით გადამოწმებას [Malhotra, 2020]. აღნიშნული მიდგომების საფუძველზე ჩამოყალიბდა კვლევის ჰიპოთეზები (H1-H6), რომელთა ტესტირება განხორციელდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. პირველადი მონაცემების შეგროვებისათვის გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვა. რაოდენობრივი მეთოდი არჩეულ იქნა იმიტომ, რომ კვლევის მიზანია რიცხვითი მონაცემების საფუძველზე ჰიპოთეზების ტესტირება და ცვლადებს შორის სტატისტიკური დამოკიდებულების დადგენა [Malhotra, 2020]. ანკეტაში მოცემული ყველა დებულება გაზომილია ლიკერტის 5 ბალიანი სკალის გამოყენებით (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2=არ ვეთანხმები, 3=ნეიტრალური, 4=ვეთანხმები, 5=სავსებით ვეთანხმები). შერჩევის ზომის დასადგენად გამოყენებულ იქნა Krejcie & Morgan [1970] ფორმულა. ფორმულიდან გამომდინარე შერჩევის მინიმალური ზომა კვლევისათვის შეადგენს 601 რესპონდენტს, რაც უზრუნველყოფს 95%-იან სანდოობასა და +4%-იან სიზუსტეს.

ანკეტის წინასწარი ტესტირება განხორციელდა რესპონდენტთა მცირე ჯგუფზე, რის შედეგადაც გამოვლენილი ხარვეზები აღმოიფხვრა და საბოლოო ვერსია მასობრივად გავრცელდა. 764 რესპონდენტისაგან მიღებული მონაცემები თავდაპირველად დამუშავდა Microsoft Excel-ში, საიდანაც გამოირიცხა იმ რესპონდენტთა ანკეტები, რომელთა საშუალო გადახრა (SD) იყო 0.2. საბოლოოდ, შევარჩიეთ 723 ანკეტა. მიღებულ მონაცემებზე ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი SPSS 31-ში. ცვლადებს შორის კავშირების დასადგენად და ჰიპოთეზების შემოწმებისათვის გამოვიყენეთ კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდები. ცვლადების დეტალური აღწერა, შესაბამისი დებულებები და წყაროები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. კვლევის კონსტრუქცია

ცვლადები	კოდები	საზომი დებულებები	წყარო
ვიზუალური სტიმულები (Visual Stimuli/ VIS)	VIS1	მაღაზიაში გამოყენებული ფერთა პალიტრა სასიამოვნო გარემოს ქმნის	Zha et al. (2024); Chen & Lin (2018)
	VIS2	მაღაზიაში განათება პროდუქტებს მიმზიდველს ხდის	
	VIS3	პროდუქციის განლაგება მაღაზიაში ჩემთვის მნიშვნელოვანია	
სმენითი სტიმულები (Auditory Stimuli/AUD)	AUD1	მაღაზიაში მოსმენილი მუსიკა სიამოვნებას მანიჭებს	Jang & Lee (2019); Abdolmohamad Sagha et al. (2022)
	AUD2	მაღაზიაში მოსმენილი მუსიკა ჩემს განწყობას აუმჯობესებს	
	AUD3	მაღაზიაში მუსიკის ხმის სიძლიერე გავლენას ახდენს ჩემს ქცევაზე	

შეხების სტიმულები (Tactile Stimuli/ TAC)	TAC1	შეგრძნება, რომელსაც პროდუქტზე შეხებით ვიღებ, ჩემს შეფასებაზე გავლენას ახდენს	Karangi & Lowe (2021); Silaban et al. (2023)
	TAC2	მე უპირატესობას ვანიჭებ პროდუქტებს, რომელსაც შეძენამდე შემიძლია შევეხო	
	TAC3	მე მეტად ვენდობი ისეთ პროდუქტებს, რომლებსაც შეძენამდე შემიძლია შევეხო	
ყნოსვითი სტიმულები (Olfactory Stimuli/ OLF)	OLF1	მაღაზიში არსებული სურნელი ერგება საერთო გარემოს	Jang & Lee (2019); Zha et al. (2024)
	OLF2	მაღაზიში არსებული სურნელი სასიამოვნო შთაბეჭდილებას მიტოვებს	
	OLF3	ჩემთვის მიმზიდველია ისეთი მაღაზია, სადაც საკვების არომატი იგრძნობა	
გემოს შეგრძნების სტიმულები (Gustatory Stimuli/ GUS)	GUS1	ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაღაზიაში შეძენილი პროდუქტი იყოს გემრიელი	Jang & Lee (2019); Zha et al. (2024)
	GUS2	მომწონს, როდესაც მაღაზიაში სხვადასხვა გემოს პროდუქტი ხელმისაწვდომია	
	GUS3	ჩემთვის მიმზიდველია მაღაზიები, სადაც საკვების შეძენამდე დაგემოვნება შეიძლება	
ემოციური რეაქციები (Emotional reaction/ EMO)	EMO1	მე მსიამოვნებს ისეთ მაღაზიებში ყოფნა, რომლებიც გაჯერებულია სენსორული სტიმულებით	Jang & Lee (2019); Abdolmohamad Sagha et al. (2022)
	EMO2	ემოციური სტიმულებით გაჯერებულ მაღაზიებში ყოფნისას თავს უფრო ენერგიულად ვგრძნობ	
	EMO3	სენსორული სტიმულებით გაჯერებულ მაღაზიებში ყოფნისას თავს უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ	
მყიდველობითი განზრახვა (Purchase Intention/ PI)	PI1	სენსორული სტიმულებით გაჯერებული მაღაზიის გარემო პროდუქტის შეძენის სურვილს მიძლიერებს	Abdolmohamad Sagha et al. (2022); Duarte et al. (2024)
	PI2	მაღაზიაში არსებული სენსორული სტიმულები ჩემს მყიდველობით განზრახვაზე დადებითად მოქმედებს	
	PI3	მაღაზიაში მიღებული სენსორული გამოცდილება ჩემს მყიდველობით გადაწყვეტილებას აძლიერებს	

წყარო: *ავტორები*

კვლევის შედეგები და დისკუსია. თითოეული საზომი დებულების მიხედვით რესპონდენტთა პასუხების აღწერითი სტატისტიკა (საშუალო მაჩვენებლები, დისპერსია და სტანდარტული გადახრა (SD)) წარმოდგენილია პირველ ცხრილში. ყველა ცვლადისთვის მონაცემები სრულია, გამოტოვებული პასუხები არ დაფიქსირდა. საშუალო მაჩვნებლების ანალიზიდან გამომდინარე, დებულებების მნიშვნელობები მერყეობს 3.13-4.30 დიაპაზონში, რაც მიუთითებს იმას, რომ საცალო ვაჭრობაში სენსორული სტიმულების გამოყენების მიმართ რესპონდენტები ზომიერად პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ. ლიკერტის 5 ბალიან სკალაზე 3-ზე მეტი საშუალო მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, ინტერპრეტირდება, როგორც პოზიტიური ტენდენცია. ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლები ფიქსირდება გემოს და ვიზუალურ სენსორულ სტიმულებში, ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებლები - შეხების და სმენით სტიმულებში.

ცხრილი 2. აღწერითი სტატისტიკა

	N	VIS 1	VIS 2	VIS 3	AUD 1	AUD 2	AUD 3
საშუალო მაჩვენებელი	723	4.02	3.88	3.97	3.47	3.54	3.32
დისპერსია	723	1.16	1.2	1.27	1.14	1.16	1.48

SD	723	1.08	1.1	1.13	1.07	1.08	1.22
	N	**TAC 1**	**TAC 2**	**TAC 3**	**OLF 1**	**OLF 2**	**OLF 3**
საშუალო მაჩვენებელი	723	3.72	3.61	3.68	3.75	3.86	3.93
დისპერსია	723	1.26	1.24	1.34	1.12	1.11	1.18
SD	723	1.12	1.11	1.16	1.06	1.05	1.09
	N	**GUS 1**	**GUS 2**	**GUS 3**	**EMO 1**	**EMO 2**	**EMO 3**
საშუალო მაჩვენებელი	723	4.3	4.27	3.63	3.60	3.48	3.40
დისპერსია	723	1.17	1.06	1.48	1.09	1.10	1.16
SD	723	1.08	1.03	1.22	1.05	1.05	1.08
	N	**PI 1**	**PI 2**	**PI 3**			
საშუალო მაჩვენებელი	723	3.42	3.51	3.44			
დისპერსია	723	1.16	1.06	1.1			
SD	723	1.08	1.03	1.05			

წყარო: ავტორები

დისპერსიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელობები, ძირითადად, 1.06-1.48 დიაპაზონში მერყეობს, რაც მონაცემების საკმარის გაფანტულობაზე მეტყველებს. პირველ ცხრილში მოცემული დისპერსიის საშუალო დონე მიუთითებს იმას, რომ მონაცემები ერთ კონკრეტულ მნიშვნელობაზე კონცენტრირებული არაა. ამასთან, ცალკეულ დებულებებს შორის განსხვავებული დისპერსიული მაჩვენებლები მიანიშნებს, რომ რესპონდენტთა პასუხები ერთგვაროვანი არაა და განსხვავებული შეფასებები ფიქსირდება. სტანდარტული გადახრა ყველა დებულებაში მერყეობს 1.03-1.22 დიაპაზონში, რაც შეესაბამება სოციალურ კვლევებში მიღებულ ნორმას. კერძოდ, SD ითვლება მისაღებად, თუ 0.8-1.5 შუალედში მერყეობს [Malhotra, 2020]. პირველი ცხრილის ანალიზი საკმარის ვარიაციაზე მიუთითებს და აჩვენებს, რომ პასუხები ზედმეტად ერთგვაროვანი არაა. შესაბამისად, ზედა და ქვედა ზღვრებზე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ფიქსირდება. აღნიშნული შედეგები კი შემდგომი რეგრესიული და სტრუქტურული ანალიზების სანდოობას უზრუნველყოფს.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია კვლევის კონსტრუქტების სანდოობისა და ვალიდურობის მაჩვენებლები, მათ შორის თითოეული დებულების ფაქტორული დატვირთვები, ამორჩევის საშუალო დისპერსია (AVE), კრონბახის ალფა (α) და კომპოზიციური სანდოობა (CR). ფაქტორული დატვირთვების 0.536-დან 0.979-მდე მერყეობს. საზომი დებულებების უმრავლესობის ფაქტორული დატვირთვა აღემატება 0.70-ს, AUD3=0.536 და GUS3=0.545 შედარებით დაბალი დატვირთვების მიუხედავად, შესაბამისი კონსტრუქტების AVE და სანდოობის მაჩვენებლები მისაღებ დონეზე რჩება [Malhotra, 2020]. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საზომი დებულებები შესაბამის კონსტრუქტებს სათანადოდ ასახავს. ამასთან, შედარებით დაბალია AUD3-ის და GUS3-ის დებულებების ფაქტორული დატვირთვა (შესაბამისად, 0.536 და 0.545), თუმცა, შესაბამისი კონსტრუქტების AVE-ს მნიშვნელობები მისაღებ დონეზე რჩება. სანდოობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრონბახის ალფა კოეფიციენტი და კომპოზიციური სანდოობა. ითვლება, რომ საზომი სანდოა, თუ კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.60-ს აღემატება [Malhotra, 2020]. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა ცვლადისათვის კრონბახის ალფას და CR-ის მნიშვნელობები 0.80-ზე მეტია, რაც კვლევაში გამოყენებული საზომების მაღალ სანდოობაზე მიუთითებს.

ცხრილი 3. კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდურობის სტატისტიკა

Items	Factor loading	AVE	Cronbach's α	CR
VIS 1	0.885	0.70015	0.872	0.87456
VIS 2	0.866			
VIS 3	0.754			
AUD 1	0.894	0.65999	0.817	0.84689
AUD 2	0.945			
AUD 3	0.536			
TAC 1	0.786	0.78462	0.913	0.91569
TAC 2	0.942			
TAC 3	0.921			
OLF 1	0.881	0.80953	0.927	0.92722
OLF 2	0.935			
OLF 3	0.882			
GUS 1	0.908	0.67133	0.822	0.85359
GUS 2	0.945			
GUS 3	0.545			
EMO 1	0.852	0.838	0.937	0.939
EMO 2	0.979			
EMO 3	0.910			
PI 1	0.912	0.85072	0.945	0.94474
PI 2	0.926			
PI 3	0.929			

წყარო: *ავტორები*

პირსონის კორელაციის კოეფიციენტების ინტერპრეტაცია განხორციელდა მიღებული სტანდარტების მიხედვით, სადაც 0.10 ითვლება სუსტად, 0.30 საშუალოდ და 0.50 და მეტი ძლიერ კავშირად [Malhotra, 2020]. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ცვლადებს შორის კავშირები მერყეობს საშუალოდან ძლიერამდე, რაც მათ შორის არსებულ მნიშვნელოვან ურთიერთობაზე მიუთითებს. მე-4 ცხრილში წარმოდგენილია კორელაცია სენსორული სტიმულებს (ვიზუალური, სმენითი, შეხებითი, ყნოსვითი, გემოს შეგრძნების), ემოციურ რეაქციებს მყიდველობით განზრახვას შორის (N=723). ყველა კორელაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p<0.01$ დონეზე. ყველაზე ძლიერი კავშირი დაფიქსირდა ემოციურ რეაქციებსა და მყიდველობით განზრახვას შორის (r=0.736), ყნოსვითი და გემოს შეგრძნებას შორის (r=0.662), ვიზუალურ და ყნოსვით სტიმულებს შორის (r=0.639), აგრეთვე გემოს შეგრძნებას და ვიზუალურ სტიმულებს შორის (r=0.604). მაღალი კორელაციები მიუთითებს მრავალსენსორულ შესაბამისობასაც. ასევე, მაღალი კოეფიციენტები ადასტურებს S-O-R მოდელის ლოგიკას: სენსორული სტიმულები მნიშვნელოვნადაა დააკავშირებული ემოციურ რეაქციებთან, ემოციური რეაქციები კი მყიდველობით განზრახვასთან.

ცხრილი 4. საკვლევ ცვლადებს შორის კორელაციური კავშირი

Variables		VIS	AUD	TAC	OLF	GUS	EMO	PI
VIS	პირსონის კორელაცია	1	.485**	.484**	.639**	.604**	.562**	.539**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)		.000	.000	.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723
AUD	პირსონის კორელაცია	.485**	1	.367**	.510**	.355**	.484**	.447**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000		.000	.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723
TAC	პირსონის კორელაცია	.484**	.367**	1	.511**	.516**	.443**	.408**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000		.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723
OLF	პირსონის კორელაცია	.639**	.510**	.511**	1	.662**	.568**	.552**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000		.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723
GUS	პირსონის კორელაცია	.604**	.355**	.516**	.662**	1	.601 **	.505**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000		.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723
EMO	პირსონის კორელაცია	.562**	.484**	.443**	.601**	.549**	1	.736**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000	.000		.000
	N	723	723	723	723	723	723	723
PI	პირსონის კორელაცია	.539**	.447**	.408**	.552**	.505**	.736**	1
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000	.000	.000	
	N	723	723	723	723	723	723	723

**კორელაცია მნიშვნელოვანია 0,01 დონეზე

წყარო: ავტორები

ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვანია სენსორული სტიმულებისა და მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა, რათა განვსაზღვროთ, თუ როგორ გავლენას ახდენს სენსორული გარემო მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე სენსორული სტიმულების ემოციურ რეაქციებზე გავლენის დასადგენად და ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიული ანალიზი (იხ. ცხრილი 4). მე-5 ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული 1-5 რეგრესიული მოდელები სანდოა ($P<0.001$), ვინაიდან თითოეული მოდელის F-სტატისტიკა აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას $F_{кр}(3.84)$. აქედან გამომდინარე, H1, H2, H3, H4 და H5 ჰიპოთეზები დადასტურდა. ვიზუალური სტიმულები დადებითად მოქმედებს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.315$, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე 31.5% გამოწვეულია ვიზუალური სტიმულებით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით). ასევე, სმენითი სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე, თუმცა, მისი ეფექტი, ვიზუალურ სტიმულებთან შედარებით, სუსტია (დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.234$, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა ემოციური რეაქციების 23.4% გამოწვეულია სმენითი სტიმულებით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით).

ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე შედარებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს შეხებითი სტიმულები (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.196, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა ემოციური რეაქციები 19.6% გამოწვეულია შეხებითი სტიმულებით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყნოსვითი სტიმულები აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი პროგნოზირებადი ფაქტორი ემოციურ რეაქციებთან მიმართებით (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.361, რაც იმას გულისხმობს, რომ მომხმარებელთა ემოციური რეაქციები 36.1% გამოწვეულია ყნოსვითი სტიმულით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). გემოს შეგრძნების სტიმულებმა, ასევე აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.301, რაც იმას მოიაზრებს, რომ გემოს შეგრძნების სტიმულები ხსნის მომხმარებელთა ემოციური რეაქციების ვარიაციის 30.1%-ს, ხოლო დანარჩენს - სხვა ფაქტორები).

ცხრილი 5. ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე სენსორული სტიმულების გავლენის რეგრესიული ანალიზი

ჰიპოთეზა	დამოკიდებულება	β	R^2	F	p	შედეგი
H1	VIS → EMO	0.562	0.315	332.13	<0.001	დადასტურდა
H2	AUD → EMO	0.484	0.234	220.33	<0.001	დადასტურდა
H3	TAC → EMO	0.443	0.196	176.23	<0.001	დადასტურდა
H4	OLF → EMO	0.601	0.361	407.13	<0.001	დადასტურდა
H5	GUS → EMO	0.549	0.301	311.08	<0.001	დადასტურდა

წყარო: ავტორები

მე-6 ცხრილში ნაჩვენებია, რომ მომხმარებელთა ემოციური რეაქციები დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე. შესაბამისად, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-6 მოდელი სანდოა (P<0.001); F(850.424)>Fკრ(3.84) და H6 ჰიპოთეზა გამართლდა. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.541. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მომხმარებელთა მყიდველობითი განზრახვის 54,1% ახსნილია ყიდვის პროცესში მათი ემოციური რეაქციები, ხოლო დანარჩენი განპირობებულია სხვა ფაქტორებით, რომლებიც მოცემულ მოდელში არ არის გათვალისწინებული.

ცხრილი 6. მომხმარებელთა ემოციური რეაქციების მყიდველობით განზრახვაზე გავლენის რეგრესიული ანალიზი

ჰიპოთეზა	დამოკიდებულება	β	R^2	F	p	შედეგი
H6	EMO → PI	0.736	0.541	850.42	<0.001	დადასტურდა


წყარო: ავტორები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აგებულია კვლევის სტრუქტურული მოდელის სქემა (იხ. ნახაზი 2), რომელიც ასახავს კვლევის კონსტრუქტებს შორის გამოვლენილ კავშირებსა და მათ სტანდარტიზებულ β-კოეფიციენტებს.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ყველა სენსორული სტიმული მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებზე დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა მათი გავლენის სიძლიერე განსხვავებულია. ყველაზე ძლიერი გავლენა გამოვლინდა ყნოსვითი (β=0.601) და ვიზუალური (β=0.562) სტიმულების შემთხვევაში, ხოლო შედარებით სუსტი შეხებითი (β=0.443) და სმენითი (β=0.484) სტიმულების

შემთხვევაში. მომხმარებელთა ემოციური რეაქციები თავის მხრივ, მნიშვნელოვნად და ძლიერად მოქმედებს მყიდველობით განზრახვაზე (β=0.736). აღნიშნული შედეგები შეესაბამება S-O-R მოდელის ლოგიკას და მიუთითებს, რომ გარემოს სენსორული სტიმულები დაკავშირებულია მომხმარებელთა შინაგან რეაქციებთან და, საბოლოოდ, მათ ქცევით შედეგებთან.

ნახაზი 2. სტრუქტურული განტოლების მოდელი (კვლევის შედეგების მიხედვით)



წყარო: ავტორები

დასკვნები და რეკომენდაციები. წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს საცალო ვაჭრობაში სენსორული სტიმულები შესამჩნევ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სენსორული სტიმულები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ქცევის ფორმირებაში. კერძოდ, მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ვიზუალური, სმენითი, შეხების, ყნოსვითი და გემოს შეგრძნებასთან დაკავშირებული სტიმულები დადებითად უკავშირდება მომხმარებელთა ემოციურ რეაქციებს რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე. ამასთან, კვლევის ერთ-ერთ შედეგად გამოიკვეთა ის, რომ ყველა სენსორულ სტიმულს თანაბარი ძალა არ აქვს. განსაკუთრებით ძლიერი ეფექტი დაფიქსირდა ყნოსვით და ვიზუალურ სტიმულებთან მიმართებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საცალო ვაჭრობაში მომხმარებელთა ემოციური რეაქციების ფორმირებისათვის, სწორედ, ეს ორი ფაქტორი შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტიანი. აღნიშნული შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომხმარებელთა ქცევითი რეაქცია არა მხოლოდ რაციონალური შეფასებით, არამედ გარემოს არაცნობიერი აღქმითაც ყალიბდება.

თეორიული თვალსაზრისით, კვლევა რამდენიმე მიმართულებით აფართოებს არსებულ ლიტერატურას. ერთ-ერთ მთავარ წვლილს წარმოადგენს მომხმარებელთა ემოციური რეაქციების, როგორც მედიატორული მექანიზმის, როლის დადასტურება სენსორულ სტიმულებსა და ქცევით შედეგებს შორის. S–O–R მოდელის ფარგლებში დადასტურდა, რომ სენსორული სტიმულები გავლენას ახდენს მომხმარებელთა ემოციურ რექციებზე, რომლებიც შემდგომში მათ ქცევით რეაქციებს განსაზღვრავს. აღნიშნული შედეგები აფართოებს სენსორული მარკეტინგის შესახებ ლიტერატურას განვითარებადი ბაზრების კონტექსტში და ამტკიცებს სენსორული მარკეტინგის მიდგომის ეფექტიანობას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები მნიშვნელოვან რეკომენდაციებს სთავაზობს საცალო ვაჭრობის კომპანიებს. მარკეტოლოგებმა, მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, უნდა დანერგონ ინტეგრირებული მრავალსენსორული სტრატეგიები. განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება იყოს ყნოსვითი და ვიზუალური სტიმულების გამოყენება. შეზღუდული რესურსების შემთხვევაში, უპირატესად, რეკომენდებულია საცალო ვაჭრობის ობიექტებში სასიამოვნო არომატების გამოყენება, ოპტიმალური განათებისა და ფერთა კომბინაციების შერჩევა, აგრეთვე გარემოს ისეთი დიზაინის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა კომფორტს და მაღაზიაში გატარებული დროის გახანგრძლივებას.

კვლევის მნიშვნელობის მიუხედავად, მას აქვს გარკვეული შეზღუდვები. კვლევა ეფუძნება კროსსექციურ დიზაინს, რაც ზღუდავს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სრული სიზუსტით დადგენას. მონაცემები დაფუძნებულია თვითადმინისტრირებად პასუხებზე, რაც საერთო მეთოდური მიკერძოების რისკს ზრდის. ასევე, დასაშვებია, რომ მიღებული შედეგები საქართველოს ბაზარზე სპეციფიკური აღმოჩნდეს და მათი გენერალიზაცია სხვა კულტურულ კონტექსტში შეიზღუდოს. მომავალო კვლევები შეიძლება ფოკუსირდეს სხვადასხვა სექტორსა და განსხვავებულ დემოგრაფიულ ჯგუფებზე სენსორული მარკეტინგის ეფექტის შესწავლაზე, აგრეთვე მომხმარებელთა ქცევაზე ამ ეფექტის გრძელვადიან გავლენაზე. ასევე რეკომენდებულია ექსპერტული დიზაინის გამოყენება და ქვეყნებს შორის შედარებითი კვლევების განხორციელება, რაც შედეგების ვალიდურობას გააძლიერებს.

საერთო ჯამში, კვლევა ადასტურებს სენსორული მარკეტინგის ეფექტიანობას საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორში და ქმნის მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს მომხმარებელთა ქცევის უკეთ გაგებისა და ბიზნესის სტრატეგიული განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abdolmohamad Sagha, M., Seyyedamiri, N., Foroudi, P., & Akbari, M. (2022). The one thing you need to change is emotions: The effect of multi-sensory marketing on consumer behavior. *Sustainability, 14*(4), 2334.
2. Ajzen, I. (1991). The theory of planned behavior. *Organizational behavior and human decision processes, 50*(2), 179-211.
3. Belwal, R., Belwal, S., Morgan, Z., & Al Badi, L. H. (2025). Profiling consumers for their shopping motivations in modern retail formats in Oman. *International Journal of Retail & Distribution Management, 53*(1), 74-93.
4. Chen, H. T., & Lin, Y. T. (2018). A study of the relationships among sensory experience, emotion, and buying behavior in coffeehouse chains. *Service Business, 12*(3), 551-573.
5. Duarte, P., Silva, S. C., Roza, A. S., & Dias, J. C. (2024). Enhancing consumer purchase intentions for sustainable packaging products: An in-depth analysis of key determinants and strategic insights. Sustainable Futures, 100193.
6. Florea, N. V., Croitoru, G., Coman, D. M., & Coman, M. D. (2025). The influence of fashion retailers on customer psychology using visual merchandising and store layout to improve shopping decision. Journal of Theoretical and Applied Electronic Commerce Research, 20(1), 40.
7. Goel, P., Garg, A., Sharma, A., & Rana, N. P. (2024). Impact of sensory perceptions on the urge to buy impulsively. *Journal of Computer Information Systems, 64*(4), 469-485.
8. Guimarães, P., & Rodrigues, N. (2026). Transformations in Retail in the Digital Age: Dark Stores, Brick-and-Mortar Retailers, and Emerging Logistics Dynamics. *The Wiley Blackwell Companion to the City, Retail, and Consumption*, 376-394.

9. Haase, J., Wiedmann, K. P., & Labenz, F. (2018). Effects of consumer sensory perception on brand performance. *Journal of Consumer Marketing, 35*(6), 565-576.

10. Herz, R. S. (2016). The role of odor-evoked memory in psychological and physiological health. *Brain Sciences, 6*(3), 22.

11. Jang, H. W., & Lee, S. B. (2019). Applying effective sensory marketing to sustainable coffee shop business management. *Sustainability, 11*(22).

12. Jeong, J., Kim, D., Li, X., Li, Q., Choi, I., & Kim, J. (2022). An empirical investigation of personalized recommendation and reward effect on customer behavior: a stimulus–organism–response (SOR) model perspective. *Sustainability, 14*(22), 15369.

13. Karangi, S. W., & Lowe, B. (2021). Haptics and brands: The effect of touch on product evaluation of branded products. Journal of Consumer Behaviour, 20(6), 1480-1496.

14. Krejcie, R. V., & Morgan, D. W. (1970). Determining sample size. *Educational and Psychological Measurement, 30*(3), 607–610.

15. Krishna, A. (2012). An integrative review of sensory marketing: Engaging the senses to affect perception, judgment and behavior. Journal of Consumer Psychology, 22(3), 332–351.

16. Krishna, A., & Schwarz, N. (2014). Sensory marketing, embodiment, and grounded cognition. *Journal of Consumer Psychology, 24*(2), 159–168.

17. Krishna, A., Cian, L., & Aydınoğlu, N. Z. (2017). Sensory aspects of package design. *Journal of Retailing, 93*(1), 43-54.

18. Malhotra, N. (2020). *Marketing research: An applied orientation*. 7th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.

19. Martins, O. M., Bucea-Manea-Țoniș, R., Coelho, A. S., & Simion, V. E. (2022). Sensory perception nudge: Insect-based food consumer behavior. *Sustainability, 14*(18), 11541.

20. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The impact of social media influencers on brand awareness, image and trust in their sponsored content: An empirical study from Georgian social media users. *International Journal of Marketing, Communication and New Media, 10*(18).

21. Mehrabian, A., & Russell, J. A. (1974). *An approach to environmental psychology*. MIT Press.

22. Papanagnou, C., Seiler, A., Spanaki, K., Papadopoulos, T., & Bourlakis, M. (2022). Data-driven digital transformation for emergency situations: The case of the UK retail sector. *International Journal of Production Economics, 250*, 108628.

23. Piqueras-Fiszman, B., & Spence, C. (2015). Sensory expectations based on product-extrinsic food cues: An interdisciplinary review of the empirical evidence and theoretical accounts. *Food quality and preference, 40,* 165-179.

24. Silaban, P. H., Chen, W. K., Eunike, I. J., & Silalahi, A. D. K. (2023). Traditional restaurant managers' use of sensory marketing to maintain customer satisfaction: Findings from PLS-SEM and fsQCA. *Cogent Business & Management, 1*0(1), 2196788.

25. Todua, N., & Danelia, L. (2025). Examining the Influence of Social Media Marketing Awareness, Information Quality, and Trust on Tourist Behavior: Evidence from Georgia. *Journal of Business and Management Review, 6*(7), 782-799.

26. Todua, N., & Ghvaladze, G. (2026). The Effect of Sensory Marketing on Retail Consumer Behavior (Research Extending the „Stimulus-Organism-Response" Model). *The New Economist, 21*(2), 10-27.

27. Todua, N., & Gogitidze, N. (2026). Exploring the Factors Affecting Consumer Behaviour in Using Digital Banking Services (Empirical Evidence from Georgia). *Baltic Journal of Economic Studies, 12*(1), 1-11.

28. Todua, N., & Kartsivadze, G. (2025). Students'perceptions of Chatgpt Integration in Higher Education. *The New Economist, 20*(4), 36-49.

29. Wang, J., Shahzad, F., & Ashraf, S. F. (2023). Elements of information ecosystems stimulating the online consumer behavior: A mediating role of cognitive and affective trust. *Telematics and Informatics, 80,* 101970.

30. Zha, D., Foroudi, P., Melewar, T. C., & Jin, Z. (2024). Examining the impact of sensory brand experience on brand loyalty. *Corporate Reputation Review*, 1-29.

Nugzar Todua
Giorgi Ghvaladze

The Mediating Role of Emotional Responses in the Influence of Sensory Marketing on Consumers' Purchase Intention

Summary

The purpose of this study is to examine the influence of sensory marketing on consumers' purchase intention in the retail sector in Georgia and to identify the mediating role of consumers' emotional responses in this process. The theoretical foundation of the study is the Stimulus–Organism–Response (S-O-R) model, according to which environmental sensory stimuli influence consumers' internal states, which, in turn, are associated with behavioral responses. The study examines five types of sensory stimuli—visual, auditory, tactile, olfactory, and gustatory—and their effects on consumers' emotional responses and purchase intention. The study is based on data collected from 723 respondents and analyzed using SPSS 31. Descriptive statistics, correlation and regression analyses were employed, while the measurement instrument was assessed using factor loadings, average variance extracted (AVE), Cronbach's alpha, and composite reliability (CR). The results demonstrate that all five sensory stimuli have positive and statistically significant effects on consumers' emotional responses. The strongest effects were observed for olfactory stimuli (β=0.601) and visual stimuli (β=0.562), while comparatively weaker effects were found for tactile stimuli (β=0.443) and auditory stimuli (β=0.484). Furthermore, consumers' emotional responses have a strong and statistically significant relationship with purchase intention (β=0.736; R^2=0.541). The mediation analysis indicates that sensory stimuli influence purchase intention through consumers' emotional responses. The findings support the applicability of the S-O-R model in the context of the Georgian retail sector and highlight the importance of emotional responses in the sensory marketing process.

Keywords: *sensory stimuli, S-O-R model, consumer emotional responses, purchase intention.*

ეთერი კაკულია
ნანა გიბილაშვილი
თამარ თაფლაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები

ანოტაცია. *წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ის საკითხები, რომლებიც აფერხებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ხელს უშლის მათ დაფინანსების მოპოვებაში.*

ამ ფაქტორების დეტალურად განსახილველად ჩავატარეთ კვლევა, ერთეულ მცირე და საშუალო ბიზნესში ქართლის და კახეთის რეგიონებში. კვლევის მონაცემები მოპოვებულია რესპონდენტებთან პირდაპირი ინტერვიუების გზით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფირმის მოცულობა (სიდიდე) და ასაკი, მათი მფლობელების განათლება და უნარები, არახელსაყრელი საკრედიტო პირობები, როგორიცაა მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გირაოს უზრუნველყოფის შეუძლებლობა, ბანკის ოფიციალური პირების პირადი დამოკიდებულება და ა.შ. წარმოადგენს ყველაზე დიდ დაბრკოლებას, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება საქართველოში.

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევა ქვეყნის ორ რეგიონში ჩატარდა მხოლოდ. არცთუ ისე დიდი რაოდენობის ბიზნეს ერთეულებში. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კვლევას შეიძლება სხვა შედეგი ეჩვენებინა,

მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ის მნიშვნელოვნად არ იქნებოდა განსხვავებული ამჟამად მიღებული შედეგიდან.

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესები, განსხვავებით დიდი ბიზნესებისგან, აწყდებიან დაფინანსების დაბრკოლებებს და გარკვეულწილად თითქმის დისკრიმინირებულნი არიან ფინანსური ინსტიტუტების მიერ სესხების გაცემისას.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო საწარმოები, ფინანსები, გირაო, საპროცენტო განაკვეთები, სამეწარმეო უნარები, კორუფცია, ბიუროკრატია.*

* * *

მცირე და საშუალო ბიზნესი ყველაზე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ფაქტობრივად, განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესი არის არა მხოლოდ ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ძალა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნების სტაბილური ეკონომიკური განვითარება, არამედ, ამ სფეროში დასაქმებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, მცირე ბიზნესი არის ის ხერხემალი, რომელსაც, პირველ რიგში, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილურობა ეფუძნება. ეს, არსებითად, არის საშუალო კლასი, რომლის გარეშეც, როგორც ვიცით, შეუძლებელია საზოგადოებაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის როლის შესახებ სრული სურათი, მოვიტანოთ შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 1

განვითარებულ ქვეყანებში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში (%) და დასაქმებაში (%) 2023 წ.[6]

ქვეყნები	მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში (%)	დასაქმებულთა ხვედრითი წილი მცირე ბიზნესში (%)
აშშ	56	52
გერმანია	43	47
ჩინეთი	60	83
იაპონია	55	72
ისრაელი	62	69

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით 2022 წელს ქვეყანაში წარმოებულია 71778,3 მლნ. ლარის პროდუქცია, აქედან საშუალო საწარმოებში წარმოებულია 17030,8 მლნ. ლარის და მცირე საწარმოებში 19885,3 მლნ ლარის, რაც პროცენტულ გამოხატულებაში ასე გამოიყურება, საშუალო საწარმოებში წარმოებულია მთლიანი პროდუქციის 23,7% და მცირე საწარმოებში კი 27,7%. ორივე მავენებლის ჯამი აჭარბებს მსხვილ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მოცულობას, რომელიც პროცენტულად 48,7%-ია. იმავე მონაცემებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია შემდეგი: დარიცხული მოგება 2022 წელს საქართველოში არის 22316,5 მლნ. ლარი, შესაბამისად, აქედან საშუალო და მცირე საწარმოებზე მოდის 5708,8 და 6655,0 მლნ.ლარი. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 779418 კაცს, აქედან საშუალო ბიზნესში დასაქმებული იყო 158002 კაცი, ანუ მთლიანი

[6] https://mspmo.ru/vse-o-malom-biznese/znachenie-malogo-biznesa/ გადამოწმებულია 01.08.24

დასაქმებულების 23,3% და მცირე საწარმოებში 310409 კაცი, ანუ მთლიანი დასაქმებულების 39,8 %. [7]

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ ჩვენს ქვეყანაში რა დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. ამიტომ საქართველოში მთელი რიგი რეფორმები და სხვადასხვა სახის ფინანსური და საკანონმდებლო ღონისძიებები დაიგეგმა და განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის დაწყების პირველივე დღიდან დღემდე, შედეგიც სახეზეა, მაგრამ უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდება ამ ზომის ბიზნესებს სხვადასხვა კუთხით გასაძლიერებლად.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, გულისხმობდა აგრეთვე თანამედროვე ბიზნესის ლეგალურ განვითარებას. ეკონომიკური სისტემის შეცვლის გარდამავალი ეტაპი მეტად რთული და ქაოსური პერიოდი აღმოჩნდა. ამ ეტაპზე სახელმწიფო საჭიროდ არ მიიჩნევდა ბიზნესის განვითარების დამატებითი სტრატეგიული ხაზი შეემუშავებინა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ მუშაობდა საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც მოაგვარებდა და თავის ადგილზე დააყენებდა კერძო სექტორის და, შესაბამისად, ბიზნესის განვითარებას. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სწორედ ბიზნესის დამსახურებად ითვლება ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ფიზიკურად გადარჩენა და ეკონომიკური აქტივობის გარკვეული ზომით განვითარება მოახერხა. ამ მძიმე (გარდამავალ) პერიოდში ბიზნესი არსებობას ახერხებდა პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე, საგარეო ურთიერთობების კუთხით თითქმის სრულიად მოიშალა ადრე არსებული ეკონომიკური კავშირები. ახალი კავშირები კი მხოლოდ მაშინ ყალიბდებოდა. ამას თან ერთვოდა ძველი, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; საწარმოების რეგისტრაციისათვის მთელი რიგი ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ბარიერები, მძვინვარებდა კორუფცია, მექრთამეობა, ეროვნული ვალუტა არამყარი და არასტაბილური იყო, ადგილი ჰქონდა ინფლაციის მაღალ ტემპებს, გაუმჭვირვალე და ხშირად ძნელად გასაგები იყო გადასახადების რაოდენობა და სიდიდე.

ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად შემდგომ 90-იანი წლებში (შუა და დასასრულს) მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. პირველ რიგში შემცირდა ბიზნესის დაწყების და მისი რეგისტრაციის თანხები, გადაიხედა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სამართლებრივი ბაზა და გამარტივდა პროცედურები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საგადასახადო კანონმდებლობამაც. მასში 90-იანი წლებიდან დღემდე მრავალი შესწორება იქნა შეტანილი. მნიშვნელოვანია ცვლილება, რომელიც 2018 წლიდან შევიდა ძალაში და ეხება დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის შემოღებას მცირე ბიზნესისთვის; აგრეთვე საექსპორტო პროცედურები შედარებით გამარტივდა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მცირე ბიზნესისათვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქცია გაიტანონ ქვეყნის გარეთ. ამის მაგალითად მრავალი შეიძლება დასახელდეს, უპირველესად კი ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა სახელმწიფოს დახმარების პროგრამები ევროპის ქვეყნებში, ასევე ქართული თხილის, თაფლის, სანელებლების და სხვა ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალზე ზრუნვა.

სახელმწიფო ფლობს ინსტიტუციურ მექანიზმებსა და სპეციალურ პროგრამებს ახორციელებს, რათა მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების

[7] https://www.geostat.ge/media/58575/Business-sector-in-Georgia-2023.pdf გადამოწმებულია 01.08.24

მოგვარებას შეუწყოს ხელი. საქართველოში ამ მიზნების განსახორციელებლად შექმნილია შემდეგი ინსტიტუციები: სავაჭრო სამრეწველო პალატა, დამსაქმებელთა ასოციაცია, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, მეწარმეობის სააგენტო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

საქართველოში, მიუხედავად ზემოთ აღწერილი სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის კვლავაც რჩება გადაუჭრელი მთელი რიგი პრობლემები, რომელთა შორის უმთავრესია ფინანსურ რესურსებზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული - მაღალი საპროცენტო განაკვეთები, კრედიტების მიღების სირთულე; ფინანსური ვალდებულებების მიმართ მცირე ბიზნესის არასაიმედოდ ცნობა ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, გირაოს მოთხოვნა და სხვა. ფინანსურ რესურსებზე წვდომის დაბალი დონე კი მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას ამუხრუჭებს და ხშირად საერთოდაც აჩერებს მათ ეკონომიკურ საქმიანობას.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ასეთი ზომის საწარმოებს საშუალება ნაკლებად აქვთ ისეთი მნიშვნელოვანი ბიზნეს-აქტივობების დასაფინანსებლად, როგორიც არის კვლევა და განვითარება (R&D), უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და სხვ. საკმარისი ფინანსები კი მეწარმეობის განვითარების და ინოვაციების დანერგვის მთავარი ფაქტორია. აღიარებული ფაქტია, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს მრავალი ახალი იდეის და სტარტაპის წყაროს, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის მთავარი ელემენტია. მცირე და საშუალო საწარმოები ფინანსური კაპიტალის გარეშე თანამედროვე დინამიკურ გარემოში ვერ მიაღწევს და ვერც შეინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას. ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში მაღალ რისკს ხედავენ ფინანსური ინსტიტუციები, ბანკებს ასეთი ბიზნესის ღირებულების შეფასება უძნელდებათ . [8]

მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციურ SME-ად კვალიფიცირება ხდება მაშინ, როდესაც ასეთ საწარმოს ჰქონდა განსაკუთრებული ინოვაციური მიდგომა ერთ-ერთი მიმართულებით მაინც: პროდუქცია, მომსახურება, მარკეტინგი, წარმოება ან მენეჯმენტი. ახალგაზრდა, ინოვაციური კომპანიები ფინანსურ შეზღუდვებს აწყდებიან, რაც მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია SME-ებისთვის, განახორციელონ მათ ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში. ერთი პრობლემა იწვევს მეორეს, მეორე კი - პირველს.

მსოფლიო ბანკის კვლევის მონაცემების მიხედვით 2023 წელს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ინოვაციური მიდგომები გამოყენებულია შესაბამისად, 15% და 18% მიერ, ამავე პერიოდში რეგიონში (ევროპა & ცენტრალური აზია) ეს მაჩვენებლები შეადგენდა 18.4%-სა და 26.2%-ს. საშუალო ზომის საწარმოები, რომლებიც კვლევას და განვითარებას (R&D) აინვესტირებს საქართველოში, შეადგენს 10.8%-ს, რეგიონში კი 17.6%-ს, საშუალოდ მსოფლიოში კი 16.9%-ს. მსოფლიო ბანკის მიერ მოპოვებული აღნიშნული მონაცემების საფუძველზე აშკარა ხდება, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები საკმაოდ ჩამორჩება ამ მხრივ.

8 მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA მარტი, 2024 წელი

სასურველ რაოდენობის ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობას მისცემს დაძლიოს ეკონომიკური გაურკვევლობა და გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომლებიც გაუთვალისწინებლად, სპონტანურად აღმოცენდება. ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერ კრიზისს, მისი წარმოშობის მიუხედავად, ძლიერი და უსწრაფესი გავლენის მოხდენა შეუძლია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. რეაქცია კი ასეთია - ხდება კრედიტის მიწოდების შეკვეცა და იზრდება დაფინანსების ხარჯი, რომელიც აისახება მყისიერად რეალურ ეკონომიკაზე. მცირე და საშუალო ბიზნესები ამ დროს კაპიტალზე წვდომის თვალსაზრისით, მეტად სპეციფიკურ პრობლემებს აწყდებიან. ეს პრობლემები ძირითადად უკავშირდება კრიზისების დროს არსებულ ინფორმაციულ გაუმჭვირვალობას. პრობლემების სიაშია აგრეთვე ფიზიკური თუ მატერიალური აქტივების ნაკლებობაც, რომლებიც სესხის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება იყოს გამოყენებული. ეს მოცემულობა კი აიძულებს ბევრ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ ოპერაციების დასაფინანსებლად, აგრეთვე ყოველდღიური საქმიანობისთვის და საჭირო ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოიყენოს შიდა სახსრები. COVID-19-ით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ლოქდაუნმა ეს პროცესები ნათლად დაგვანახა და ისინი საკუთარი სახსრების ამოწურვის სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ჩაატარა კვლევა ამ საკითხების ირგვლივ. კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 2020 წლის ივნისში ჩატარდა, გამოკითხული იყო მცირე და საშუალო საწარმოების მფლობელები. მათმა მხოლოდ 14%-მა აღნიშნა, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ, ფინანსური ვალდებულებები შეესრულებინა საქართველოს მთავრობის მხარდამჭერი ღონისძიებების გარეშე.[9]

მსოფლიო ბანკმაც ჩაატარა კვლევა ამ პერიოდის მდგომარეობის გამოსავლენად. მისი კვლევისას შესწავლილი იქნა პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები, რომელიც ეხებოდა გადახდების გადავადებას და სახელფასო სუბსიდიებას. ამ შეთავაზებული ღონისძიებებით ისარგებლა მსხვილმა კომპანიებმა (გადავადებული გადახდები 26%, სახელფასო სუბსიდიები 18%). მცირე და საშუალო ბიზნესების COVID-19-ის ევროპის რეგიონული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საშეღავათო ზომებით ისარგებლა ბიზნესის მესაკუთრეთა 67%-მა. ყველაზე პოპულარულ სამთავრობო პოლიტიკად აღიარეს გადასახადების შემცირება ან გადავადება. ეს შეთავაზება კომპანიების 48%-მა გამოიყენა, ხოლო კომპანიების 29%-მა უპროცენტო სესხები მიიღო, 17%-მა — თანამშრომელთა ანაზღაურების სუბსიდია.[10] ამავე პერიოდში მოხდა საკრედიტო-საგარანტიო სქემის განახლებული პროგრამის ფარგლებში 330 მლნ. ლარის გამოყოფა საკრედიტო უზრუნველყოფის მიზნით; მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებში „აწარმოე საქართველოში“ შეტანილი იქნა ცვლილებები, რის შედეგადაც მოხდა კრედიტით სარგებლობის თანადაფინანსების განაკვეთის გაზრდა, გაცემულ სესხებზე შემცირდა მინიმალური მოთხოვნები და თანადაფინანსების პერიოდი კი გაიზარდა.

ცნობილია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს ინკლუზიურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის III კვარტლის მონაცემებიც, რომელზე დაყრდნობითაც აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულია

[9] იხ. სქოლიო 3. გვ.3

[10] EEZE Assessment of MSME trends and policies in Gorgia , https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_emp/@emp_ent/@ifp_seed/documents/publication/wcms_838001.pdf

მთლიანი დასაქმებულების 57%. ფინანსებზე თავისუფალი წვდომა საშუალებას მისცემს ასეთ საწარმოებს დაიქირაონ პროფესიონალი მუშახელი, კვალიფიკაცია აუმაღლონ თანამშრომლებს. ყოველი ეს ღონისძიება კი სიღარიბის დაძლევის აუცილებელი ფაქტორია.

მსოფლიო ბანკის 2023 წლის გამოკითხვის მონაცემების თანახმად, სიმძლავრეების ათვისების კუთხითაც მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დიდ საწარმოებს. შესაბამისად, მათი მაჩვენებლებია 66.5% და 69.7%. ევროპის მასშტაბით კი იმავე საწარმოებში საშუალოდ შესაბამისად 74.2% და 77.5%-ია. ჩვენს ქვეყანაში მაღალია დასაქმების წლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი - მცირე საწარმოებისათვის – 8.9%, საშუალო საწარმოებისათვის – 11.3%. ამ მხრივ მნიშვნელოვნად პოზიტიური ვითარებაა, რადგან ზრდის ასეთი პროცენტი მაღალი მაჩვენებელია ევროპის რეგიონთან შედარებით. ასევე მაღალია ქვეყანაში შრომის პროდუქტიულობის წლიური ზრდის მაჩვენებელი. მცირე საწარმოებში -6.2 % და საშუალო საწარმოებში -3.6% . მსხვილ საწარმოების მაჩვენებელს კი ჩამორჩება, მაგრამ მნიშვნელოვნად აჭარბებს ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს, აქ ზრდა შესაბამისად 0.4% და -0.3% -ია. [11]

მცირე და საშუალო საწარმოების როლი ხშირად მიწოდების ჯაჭვში მნიშვნელოვანია და სასიცოცხლო რგოლსაც კი ადარებენ. მათი მეშვეობით უკავშირდებიან მსხვილი საწარმოები ადგილობრივ მომწოდებლებსა და დისტრიბუტორებს. ცხადია, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ხელშეწყობით მოხდება მიწოდების ჯაჭვების ეფექტურობის და მათი მდგრადობის გაუმჯობესება, რაც, საბოლოო ჯამში, არის საერთო ეკონომიკურ ზრდის და სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამრიგად, ფინანსებზე თავისუფლად წვდომა წარმოადგენს ფუნდამენტურ აუცილებლობას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რომელიც საფუძველია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მოწესრიგებისათვის. საჭირო რაოდენობის ფინანსური რესურსები ხელს შეუწყობს ამ ზომის ბიზნესების სრული პოტენციალის გამოვლენას, რაც თავისთავად მოიცავს ინოვაციების დანერგვას, კვლევების განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საზოგადოების ინკლუზიურ განვითარებას.

განვიხილოთ ის გამოწვევები, რომლებსაც მცირე და საშუალო მეწარმეები აწყდებიან. როგორც აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე შეზღუდული წვდომა მრავალწახნაგოვანია და მათი საქმიანობის და ზრდის პოტენციალზე მეტად მგრძნობიარედ მოქმედებს. 2023 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული საწარმოების კვლევის მონაცემების რიგითობის მიხედვით ფინანსებზე წვდომა დასახელებულია მესამე მნიშვნელობის პრობლემად. პირველ პრობლემად სახელდება პოლიტიკური არასტაბილურობა, მეორე რიგის პრობლემა კი არის სამუშაო ძალის განათლების, ანუ სამუშაოს შესრულებისადმი შეუსაბამობის პრობლემა. ამ გამოკითხვის მიხედვით მცირე ზომის კომპანიების 9.6%, ხოლო საშუალო ზომის — 16% მთავარ შემზღუდავ ფაქტორად ასახელებს ფინანსებზე წვდომას. დიდი კომპანიებისთვის კი ეს რიცხვი მეტად მცირეა 1.3%.[12]

[11] თევდორაძე ლ. ბურდული ა. პაპავა გ. პოლიტიკის დოკუმენტი გამოწვევები და პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით კი ქალთა ბიზნესებისთვის, COVID-19-ისა და პოსტ COVID-19-ის პერიოდში, კვლევითი ნაშრომი, თბ. 2020

[12] Georgia-2023.pdf (enterprisesurveys.org)
https://www.enterprisesurveys.org/content/dam/enterprisesurveys/documents/country/Georgia-2023.pdf

ჩვენი ქვეყნის რეალობაში ისიც აღსანიშნავია, რომ ბანკებს უკავიათ დომინანტური პოზიცია სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან შედარებით. ბანკები ფლობენ საფინანსო ბაზრის 90%-ზე მეტს. შესაბამისად, ქვეყანაში დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარება საწყის ეტაპზე, ან საერთოდ, არ არსებობს. ასეთი შეზღუდული შესაძლებლობების ფონზე, მცირე და საშუალო ბიზნესები დაფინანსების მისაღებად ბანკებს მიმართავენ.

დღეისათვის ბევრ მცირე და საშუალო ბიზნესს არსებული დაკრედიტების კრიტერიუმების და რისკის შეფასების რთული პროცედურების გამო ხშირად უჭირს ბანკებისაგან სესხის აღება და საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფა. ქვეყანაში მაღალია აგრეთვე გირაოს მოთხოვნები - მცირე ბიზნესის სესხების 79%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოების 96.3%-ს მოეთხოვებათ გირაოთ უზრუნველყოფა, რომელიც ძალიან მაღალი პროცენტია და საშუალოდ შეადგენს მცირე ზომის საწარმოებისთვის სესხის ოდენობის 200.9%, საშუალო ზომის საწარმოებისთვის კი – 229.9%. მსხვილი საწარმოების შემთხვევაში კრედიტის გაცემის პროცედურაც გამარტივებულია და გირაოს პროცენტი 143.6%-ს შეადგენს.

დაკრედიტების პროცესის სირთულეს წარმოადგენს მცირე ბიზნესისათვის საკრედიტო ისტორიის არქონა, რაც ართულებს რისკების პროგნოზირებას და მართვას. ასევე პრობლემურია კრედიტორების მიერ მოთხოვნილი საჭირო ფინანსური დოკუმენტები და ბიზნეს-გეგმების არქონა ან მისი დაბალი ხარისხი. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ სათანადო დონეზე მოთხოვნილ საბანკო კრედიტზე უარის თქმის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია. მცირე საწარმოებისათვის შეადგენს 2.8%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებისთვის 4.4%-ს. ეს მაჩვენებელი მსხვილ საწარმოებში 1.6%-ია. ევროპის რეგიონს თუ შევადარებთ, საშუალოდ ეს ციფრები ასეთია - მცირე საწარმოებისათვის - 10.2%, საშუალო საწარმოებისათვის - 5.3% და მსხვილი საწარმოებისათვის - 2.8% . [13]

გირაოს მაღალი მოთხოვნების საფუძვლად შეიძლება მცირე და საშუალო მეწარმეების მენეჯერული უნარების ნაკლებობაც სახელდებოდეს, რაც ვლინდება ბიზნესის განვითარების დონესა და ფინანსებზე წვდომის დაბალ ინიციატივებზე. საფინანსო ინსტიტუციები შეისწავლიან მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური რესურსების მართვის საკითხებს და არაეფექტიანად მართვის შემთხვევაში ასეთი საწარმოები მიიჩნევიან რისკიან კომპანიებად და, რა თქმა უნდა, მათთვის მაღალი საგირავნო მოთხოვნები თუ საპროცენტო განაკვეთები წესდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბოლო წლებში სავალდებულო გახდა, რასაც მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა მათი სანდოობა საფინანსო ინსტიტუციების მხრიდან. შედეგი კი სავალალო აჩვენა მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა. იმ ფირმათა წილი, რომლებიც წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას გარე აუდიტორებს ამოწმებინებენ და აზუსტებინებენ, საგრძნობლად დაბალია და მეტად განსხვავდება ევროპული მაჩვენებლისგან. საქართველოში მცირე ბიზნესის ეს მაჩვენებელი 20.7%-ია, ხოლო ევროპის რეგიონში საშუალოდ 33.8%. საშუალო საწარმოების მაჩვენებელი 31.4%, ევროპის რეგიონში — 47.4%. [14]

საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოები სესხს უზრუნველყოფენ გირაოთი, მაგრამ მაინც საპროცენტო განაკვეთები მაინც მეტად მაღალია. ეს კი ზრდის საოპერაციო ხარჯებს და ამცირებს მოგებას. მცირე და საშუალო ბიზნესის

[13] Explore Economies (enterprisesurveys.org) https://www.enterprisesurveys.org/en/data/exploreeconomies
[14] Explore Economies (enterprisesurveys.org) https://www.enterprisesurveys.org/en/data/exploreeconomies

მეპატრონეებს ხშირად აკლიათ ფინანსური განათლება, რომელიც საჭიროა რთულ ფინანსური გარემოში სწორი ორიენტაციისათვის, რაც იწვევს არაეფექტურ ფინანსურ გადაწყვეტილებებს და რესურსების არასწორად განაწილებას. მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები ბიზნესის მართვისას იღებენ მრავალ ფინანსური გადაწყვეტილებას. ამ დროს ფინანსური განათლება აუცილებელი და მნიშვნელოვანია მათი წარმატებული საქმიანობისათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს ფინანსური განათლება ნაკლებად აქვთ, მსხვილი ბიზნესის მფლობელებისაგან განსხვავებით. ასეთი სურათია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში. ეს პრობლემა კი მეტად მნიშვნელოვანია.

მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსურ რესურსებზე წვდომის კიდევ ერთ გამოწვევად სახელდება სამთავრობო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ნაკლებობა. საქართველოს მთავრობა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად სხვადასხვა პროგრამა ახორციელებს, თუმც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამოვლინდა, რომ ზოგიერთ მცირე ბიზნესის მფლობელს არ აქვს ოფიციალური ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები ხორციელდება „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით. ეს პროგრამა გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას სესხებზე და ლიზინგის დროს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, ესენია წარმოება და ტურიზმი. ასევე კონკრეტული ბიზნესებისათვის გამოყოფს გრანტებს. ჩემი რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ამ ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ. ზოგიერთი კი გვპასუხობს, რომ ინფორმაციას არასანდოდ მიიჩნევს და უგულებელყოფს, რადგან ერთხელ სცადა და უშედეგოდ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდანაც ჩანს, რომ მცირე ბიზნესების წარმომადგენლებისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად არის ცნობილი. ჩემს მიერ გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების მფლობელებმა საერთოდ არ იცოდნენ დაფინანსების ისეთი ალტერნატიული წყაროები, როგორებიც არის ვენჩურული კაპიტალი, ბიზნეს-ანგელოზები, ქრაუდფანდინგი (crowdfunding). სახელმწიფო გრანტების შესახებაც კი მცირე ინფორმაცია აქვთ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მოულოდნელმა, კონსულტაციების გარეშე მიღებულმა სახელმწიფო რეგულაციებმაც შეიძლება მძიმე ნეგატიური გავლენა იქონიოს მცირე ზომის ბიზნესების განვითარებაზე, კიდევ უფრო მეტად შეაფერხოს მათი ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა.

ზემოთ აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროა შემუშავდეს მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სპეციალური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სადაც მცირე და საშუალო საწარმოებს აუცილებლად სჭირდებათ ფინანსებზე თავისუფალი წვდომა საკუთარი საქმიანობის დივერსიფიცირებისა და გაფართოებისათვის. საჭიროა დაფინანსების ხარვეზების ძირეული შესწავლა და მათი აღმოფხვრა, სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მცირე ზომის საწარმოების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. აუცილებელია აგრეთვე ინოვაციების წახალისება, რათა შეძლონ მათ გაზარდონ კონკურენტუნარიანობა. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, მოხდება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური რესურსების მიწოდებით, რომელიც გამოიყენება მათ მიერ კვლევასა და განვითარებაში ინვესტირებისათვის. ეს კი

გამოიწვევს თავის მხრივ ბიზნეს-ოპერაციების გაფართოებას და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს იმ ბარიერების შემცირებაზე ზრუნვა, რომლებსაც აწყდებიან მცირე და საშუალო ბიზნესები ფინანსებზე წვდომის დროს. ეს პროცესი გულისხმობს საფინანსო ოპერაციების (დაკრედიტების) მარეგულირებელი რთული პროცესების გამარტივებას, ფინანსური განათლების პრიორიტეტულობის ამაღლებას და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების შეთავაზებას და მათ შესახებ მცირე და საშუალო ბიზნესების მფლობელთა დროული ინფორმირებულობისთვის ხელშეწყობას.

დაბოლოს, ამ პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ის მითითება და სწავლება, რომელიც ფინანსებზე წვდომის ზრდის მიზნით მცირე და საშუალო საწარმოებს საკუთარ თავზე აღარ ააღებინებს გადაჭარბებულ რისკებს და არ დააგროვებენ უმოქმედო სესხებს.

საკითხის უკეთ განსახილველად ჩავატარეთ მცირე თვისობრივი კვლევა. კვლევა ჩავატარეთ პირისპირ ინტერვიუების ფორმით. კერძოდ კახეთის და შიდა ქართლის (გორის და ქარელის რაიონში) რეგიონში შერჩეული იქნა მცირე და საშუალო საწარმოები. ინტერვიუებზე დაგვთანხმდნენ ბიზნესის მფლობელები - კახეთის რეგიონში 4 მცირე საწარმოს მფლობელი და გორსა და ქარელში 5 საწარმოს მფლობელი. ესენი ძირითადად არიან აგროფირმების მფლობელები.

რესპოდენტები ფინანსებზე წვდომის პრობლემის მთავარ ფაქტორად ასახელებენ ფირმის ზომას, მისი არსებობის ასაკს, ხშირად იმ უნარების ნაკლებობას, რომელიც ფინანსური კუთხით მათ წარმოექმნებათ, ბანკების მიერ შეთავაზებული არახელსაყრელი საკრედიტო პირობები, მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, გირაოს ზომას, ბანკის მენეჯმენტის მიკერძოებულ დამოკიდებულებას.

ფირმის მფლობელები აღნიშნავენ, რომ მათ ბანკში მისვლისას კრედიტის აღების მიზნით, მრავალი საბუთის შევსება და წარდგენა უხდებათ, ხშირად სწორედ ეს საბუთები ხდება კრედიტზე უარის თქმის მიზეზი, რადგან არის შემთხვევა, დოკუმენტალურად წარდგენა ყველა მოთხოვნილი საბუთის ვერ ხერხდება ან დროში იწელება და შედეგად უარის მიზეზი ხდება, დოკუმენტების შევსებისას საჭიროა ფინანსური განათლების მაღალი დონე, რომელიც მუდმივად განახლებას საჭიროებს. ხშირად, ახალი რეგულაციების ან შესწორებების გამო, ვერ ვახერხებთ საკითხში დროულ გარკვევას და საჭირო ხდება პროფესიონალი კონსულტანტის დახმარება, რომელიც, რა თქმა უნდა, მომსახურების მაღალ საფასურს ითხოვს და ამის საშუალება არ გვაქვს.

კრედიტის მოთხოვნისას ბანკი შეისწავლის ჩვენს საკრედიტო ისტორიას, თუ ეს ისტორია მწირია ან ახალ დაარსებულ ფირმებს საერთოდ არ გვაქვს, ბანკი თავს იკავებს ასეთ შემთხვევაში კრედიტის გაცემაზე.

ბანკი აგრეთვე განიხილავს ჩვენს აქტივებს. ჩვენი ძირითადი აქტივი არის ის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელსაც ვფლობთ. შესაძლოა დღეს ეს სავარგული მცირეა, მაგრამ სწორედ ამის გამო გვსურს კრედიტის აღება, მაგრამ უძრავი ქონების შეფასების შემდეგ მცირე კრედიტზე გვთანხმდებიან ან საერთოდ უარს გვეუბნებიან. ჩვენ ხშირად ვსარგებლობთ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული იაფი აგროკრედიტით, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სესხის პროცენტის თანადაფინანსებას. შეღავათიან აგროკრედიტს კი გასცემენ მხოლოდ პროექტში ჩართული ბანკები. სხვა ბანკებთან ურთიერთობისას კი აღნიშნულ პრობლემებს ვაწყდებით. ბანკები, რომლებიც ამ პროექტში არ არიან ჩართული, თვითონ ადგენენ საკრედიტო პირობებს

კონკრეტული ბიზნესის მიმართ, რაც ხშირად მიუღებელი ხდება ჩვენთვის, გადახდის არახელსაყრელი ვადისა და პირობების გამო.

ბანკები კრედიტის მოთხოვნისას და ჩვენი ფინანსური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ხშირად გვთავაზობენ კრედიტის უზრუნველყოფას, გირავნობის ფორმით, სადაც ჩვენი უძრავი ქონების გამოყენება შეგვიძლია. ხშირია შემთხვევა, როდესაც საკრედიტო ოფიცრები ჩვენი ქონების შეფასებისას ძალიან კრიტიკულები არიან, ჩვენი ქონების შეფასებას ძალიან დაბალ ფასად ახდენენ და შემოთავაზებული კრედიტიც, შესაბამისად, ძალიან დაბალია. ჩვენ ხშირად უარს ვამბობთ ასეთ კრედიტზე, ან კრიტიკულ შემთხვევაში ვთანხმდებით და ვცდილობთ ასეთი კრედიტის მოკლე ვადაში გადაფარვას, რადგან ჩვენი უძრავი ქონება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგას. იმ სახსრებს, რომლებიც ბიზნესის გაფართოებას შეიძლებოდა მოხმარებოდა, ჩვენ კრედიტის მომსახურების და ძირითადი თანხის გადახდისთვის ვიყენებთ, ანუ გვიმცირდება საკუთარი შემოსავლები, რომლებიც სხვა მიზნით შეგვეძლო გამოგვეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის გაცემის სხვა პირობები იქნებოდა შემოთავაზებული.

ასევე ხშირად ვაწყდებით ბანკების მხრიდან სუბიექტურ დამოკიდებულებას, რაც ჩვენი საქმიანობისათვის ნამდვილად არ არის კარგი, ჩვენ ბანკების მიმართ ნდობას ვკარგავთ და უიმედო დაფინანსების წყაროდ განვიხილავთ ამ ინსტიტუტს. ეს ფაქტი დაასახელა 2-მა რესპოდენტმა, მაგრამ რადგან აღნიშნული იქნა ეს მიზეზიც, ჩვენ ამის შესახებაც ვიმსჯელეთ. ჩვენს შეკითხვაზე, იციან თუ არა რამე დაფინანსების სხვა ალტერნატიულ წყაროებზე ბანკების გარდა, მათ ასეთი პასუხები დააფიქსირეს: კი, იციან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ, უსარგებლიათ კიდეც. 9-ვე რესპოდენტი ამ პროგრამის ბენეფიციარი აღმოჩნდა და დიდი კმაყოფილებაც გამოთქვეს. რაც შეეხება „ვენჩერულ“ დაფინანსებას, „ბიზნესანგელოზებს“, ეს მათ არც გაუგიათ და არც უსარგებლია მათ გარშემო არავის მსგავსი დაფინანსებით.

როგორც ჩვენი მცირე კვლევით, ასევე მსოფლიო ბანკის და საქართველოს სავაჭრო პალატის კვლევების ანალიზიდან დავინახეთ მცირე და საშუალო ბიზნესს ფინანსებზე წვდომა მეტად რთულად და მრავალმხრივი ბარიერის გადალახვის შედეგად უხდება, რაც მათ განვითარებას ამუხრუჭებს და ხშირად საერთოდ აჩერებენ ისინი ფუნქციონირებას. საჭიროა შემუშავებული იქნეს ყოვლისმომცველი პოლიტიკა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და მათი მოგვარების გზები უნდა იქნეს მოძებნილი. ამ პრობლემის მოგვარება თავისთავად ნიშნავს ეკონომიკური ზრდის წახალისებას, ინოვაციების ხელშეწყობას, ბარიერების შემცირებას და ფინანსურ სტაბილურობას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანად მიგვაჩნია სახელმწიფო საბანკო მარეგულირებელი ბარიერების შემცირება, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტზე წვდომისათვის ხელსაყრელ გარემოს შექმნის. საჭიროდ მიგვაჩნია უშუალოდ ამ რეგულაციების შემცირება ეხებოდეს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას, შესაბამისად კი მოხდება ხარჯების შემცირება და ბანკების წახალისებაც. ახალი რეგულაციების შემოღებისთვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მცირე და საშუალო ბიზნესიდან წამოსული წინადადებები, მოხდეს მათი შეჯერება, გაიმართოს წინასწარი კონსულტაციები, რაც გაზრდის მარეგულირებელი გარემოს მიმღებლობას და მომავლის გაურკვევლობას შეამცირებს. მნიშვნლოვანია აგრეთვე დადგინდეს რეგულაციის ზეგავლენის შეფასება ტესტების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესსექტორისთვის. ეს ტესტირება გამოავლენს დისპროპორციებს მცირე და საშუალო საწარმოების დიდ საწარმოებთან

შედარებით. ეს კი საჭიროა იმისათვის, რომ შემუშავდეს შემარბილებელი ზომები. პოლონეთში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში, ფინეთში, შვედეთში, ლიეტუაში, თურქეთსა და ინდოეთში მოქმედებს ადრეული გაფრთხილების სისტემა. ეს სისტემა საქართველოშიც საუკეთესო იქნება. სისტემა საშუალებას მისცემს მეწარმეებს გაკოტრების რისკები განჭვრიტონ წინასწარ და მიიღონ შესაბამისი ზომები.[15] სისტემის მიზანს წარმოადგენს აგრეთვე მცირე და საშუალო მეწარმეების წახალისება. მთავარ ელემენტს კი უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ენტრეპრენერებისთვის შეიქმნას ძლიერი ჩარჩო პირობები, რაც დაეხმარება მათ გაუძლონ და წარმატებით გადაჭრან დაბრკოლებები. ეს სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია პრობლემურ კომპანიებზე, მათ უზრუნველყოფს კონკრეტული რჩევებითა და მხარდაჭერით.

ტერმინი „დროის მენეჯმენტი“ პირველად XX საუკუნის 70-იან წლებში გაჟღერდა. დანიელი ბიზნესმენი კლაუს მელერი ირწმუნება, რომ ამ ტერმინის ავტორი თავადაა. 1975 წელს მან დააფუძნა კომპანია Time Management International (TMI) და შექმნა ჟურნალი (ბლოკნოტი) Time Manager-ი (დროის მენეჯერი), რაც ორგანაიზერის პროტოტიპად იქცა. მანვე შემოიღო ტრენინგ-პრეზენტაციები, რომლებიც ასწავლიდა, როგორ და რომელი გვერდები უნდა შეევსოთ ამ ჟურნალში რომელიც დაეხმარებოდა ხალხს დროის სწორად მართვაში. პროდუქტის პირველი მომხმარებლები ავიაკომპანიების – SAS, Lufthansa, British Airways და Jail-ის თანამშრომლები გახდნენ, თუმცა დროის მართვის მეთოდები ბიზნესმენებს აქამდეც აინტერესებდათ.

სხვა ვერსიით, დროის მენეჯმენტის, როგორც მეცნიერებისა და პრაქტიკის ცალკეული მიმართულების ჩამოყალიბება ჰოლანდიაში მოხდა, სადაც საქმიანი ადამიანებისთვის სპეციალური კურსები გაიხსნა. მალევე ამავე თემაზე მუშაობა დაიწყეს გერმანიაში, აშშ-ში, ფინეთსა და სხვა ქვეყნებში.

ამერიკელმა მეცნიერმა სტივენ კოვიმ (ბესტსელერების - First Things First და „მაღალეფექტური ადამიანების შვიდი უნარის“ ავტორი) დროის მენეჯმენტის განვითარების ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 4 თაობად დაყო:

პირველი თაობა – „საქმეების ფიქსაცია“. დროის მართვის პრინციპები დაფუძნებულია ტრადიციულ და პრიმიტიულ მიდგომებზე, მაგალითად, შეხსენებებზე. განვითარების ამ ეტაპისთვის წესრიგისა და სხვადასხვა საქმეებისთვის დროის გონივრულად განაწილების მიზნით, დამახასიათებელია შესასრულებელი საქმეების სიის შედგენა. ამ მიდგომით დრო ნაწილდება იმის მიხედვით, როგორც საქმე მოითხოვს შესრულებას დროის მცირე მონაკვეთში.

მეორე თაობა – „კალენდარული დაგეგმვა“. მზადდება მოვლენების განრიგი, მიზნის მიღწევა მკაცრად განისაზღვრება დროით. ფიქსირდება წინდახედულობის მცდელობა, ხდება წინასწარ მომზადება კონკრეტული მომენტისთვის. ამ ეტაპზე ფართო გავრცელება ჰქონდა კალენდრებს და საქმიანი შეხვედრებისათვის განკუთვნილ ჟურნალებს. საქმეები ნაწილდება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გათვლით, მაგრამ ამასთან, არ გამოიყენება პრიორიტეტების პრინციპი. თუ რომელიმე საქმე ვერ ესწრება, მაშინ ის მარტივად გადაიწევს სხვა დროისთვის, მისი მნიშვნელობის მიუხედავად.

მესამე თაობა – „პრიორიტეტების განსაზღვრა“. წინა ორი სისტემის პარამეტრებს ემატება საქმეების განაწილება მნიშვნელობისა და მათი გადაუდებლობის მიხედვით, ასევე მიზნები იყოფა მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან და შორსმიმავალ მიზნებად. იბადება ყოველდღიური დაგეგმვის კონცეფცია, რომელიც ისევ საქმიან ჟურნალებში იწერება, თუმცა სქემა რთულდება: ჯერ იწერება საქმეების სია, შემდეგ კი ისინი ლაგდება და სრულდება მნიშვნელობისა და იმის მიხედვით, თუ შესასრულებლად რამდენად სასწრაფოა თითოეული მათგანი.

მეოთხე თაობა – „თანამედროვე დროის მენეჯმენტი“. დროის ორგანიზება პირდაპირ და მჭიდრო კავშირშია პიროვნების ცხოვრებისეულ პოზიციასთან. ის ხდება ადამიანის პოტენციალის რეალიზაციის ინსტრუმენტი მისი ცხოვრებისეული ღირებულებისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინებით. ადამიანის ღირებულებები მისი თვითგანვითარების პროცესის საფუძველს და ძირითად მოტივატორს წარმოადგენს. ამ პროცესში გამოიყენება დროის მართვის სხვადასხვა მეთოდები.

საყურადღებოა, რომ დროის მენეჯმენტის ახალი მიდგომის თანახმად, იკვეთება მნიშვნელოვანი საქმეების უპირატესობა სასწრაფო საქმებზე. ჩნდება ახალი ელემენტი – „კაიროსი“, ანუ ხარისხიანი დრო, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რაოდენობრივ დროს – „ხრონოსომს“.

ახალ მიდგომაში უდიდესი ყურადღება ეთმობა თითოეული პიროვნების მიერ დროის ორგანიზების ფსიქოლოგიურ პრინციპებს. ეს ხასიათის მაჩვენებლებიც შეიძლება იყოს და ასევე სამყაროს ხედვაც. გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ცნება, როგორიცაა „დროის ხაზი“, რომელიც ნეიროფსიქოლოგებმა დაამკვიდრეს. თვითორგანიზების პროცესების გაგებაში ამგვარი დიდი ნახტომი მოითხოვს საკუთარი თავის სიღრმისეულ შეცნობას, თითდისციპლინასა და პრინციპულობას. ამასთან, აღნიშნული მიდგომის შედეგები უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე დროის უბრალოდ განაწილება.

ყოფილ სსრკ-ში დროის მართვის საფუძვლების გათავისება და მისი პრაქტიკაში გამოყენება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. თუმცა კონცეფციას არა „დროის მენეჯმენტი“, არამედ НОТ (научная организация труда), ანუ „დროის მეცნიერული ორგანიზება“ ეწოდა. დროის მართვის მეთოდები პირველად საკუთარ თავზე „ვნეშტორგის“ თანამშრომლებმა გამოსცადეს – მათ მოუწიათ სამუშაო საათების გამოყენება რაციონალურად და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად გაჩნდა ტერმინი „დროის მენეჯმენტი“ და დაიწყო შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. ჟღერადმა უცხოურმა ტერმინმა და ამბიციურმა იდეამ, რაც გულისხმობდა საკუთარი ცხოვრების დროში ოპტიმალური მართვის შესაძლებლობას, დიდი ყურადღება მიიქცია. ბიზნესმენები დროის ეკონომიის აუცილებლობის წინაშე დადგნენ და საჭირო გახდა თანამშრომელთა სამუშაოს დროის ეფექტური განაწილება.

მაგალისთვის, ეფექტური დროის მენეჯმენტის პიონერად თანამედროვე რუსეთში გლებ არხანგელსკი ითვლება, რომელიც სათავეში ჩაუდგა საკონსულტაციო კომპანიას სახელწოდებით „დროის ორგანიზაცია“. მას ვერ ვუწოდებთ ნოვატორს, თუმცა სწორედ არხანგელსკი გახდა პირველი რუსულენოვანი წიგნებისა და ნაშრომების ავტორი ამ თემაზე. მარტივად გასაგები ტექსტებისა და რუსეთის პრაქტიკიდან თვალსაჩინო მაგალითების მეშვეობით, მრავალმა ბიზნესმენმა გ. არხანგელსკი დროის მენეჯმენტის გურუდ მიიჩნია. საქართველოში დროის მენეჯმენტზე პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები შექმნილი აქვთ პროფესორებს მ. ხარხელს და ლ. გეჩბაიას.

დასკვნა

დღესდღეობით, ისეთი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას უკავშირდება, არსებობს უამრავი მეთოდიკა, რომელთაც საერთო სახელი აქვს - დროის მენეჯმეტი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დროის მენეჯმენტი მკაცრად განსაზღვრული წესების ერთობლიობაა, რომელთა დაცვის შემთხვევაში ადამიანი შეძლებს საკუთარი და თანამშრომლების სამუშაო დროის მაქსიმალურად რაციონალიზებას. დროის მენეჯმენტი ესაა საერთო მეთოდებისა და რეკომენდაციების ერთობლიობა, ხოლო თითოეულ ადამიანსა თუ ორგანიზაციას უწევს შეარჩიოს მასზე ინდივიდუალურად მორგებული მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარხელი მ., დროის მენეჯმენტი. თბ., 2013.
2. გეჩბაია ლ., დროის მართვა (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 2012.
3. Архангельский Г. А. Корпоративный тайм-менеджмент. М.: Аль- пина Паблишер, 2010.
4. Брэнсон Р. К черту все! Берись и делай. М.: Манн, Иванов Фербер, обер, 2014. Режим доступа http://artemmelnik.ru/books/ branson1.pdf.
5. Генкин Б. М. Экономика и социология труда. М.: Норма, 2009. 10. Егоршин А.П. Основы организации труда: Учебник для вузов. 2-е изд., перераб. и доп. Н. Новгород: НИМБ, НШЭУ, 2014.
6. Рофе А. И. Экономика труда. М.: КноРус, 2010.

Ketevan Kitsmarishvili

History of the development of time management
Summary

Effective time management is one of the most essential conditions for the successful professional activity of a modern businessman, startupper or manager. The exact date of the "birth" of time management is unknown. There was no one who would publicly proclaim: "Today I have formulated the foundations of time management".

For the first time, the written mention of time management attempts is associated with the name of the Roman philosopher and statesman, Lucius Annaeus Seneca. Seneca formulated his own methods of time management in one of his "Moral Letters". The letter was addressed to the Roman patrician and poet Lucilius. Seneca's recommendations were as follows: keeping records of time; dividing time into several parts: well-spent and poorly-spent time and time lost through inactivity; evaluating life according to how busy the past period was.

ილია (აზიკო) სისვაძე

ცოდნა, როგორც ეკონომიკის კატეგორია და საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის საფუძველი

ანოტაცია. *ნაშრომში სისტემურადაა გამოკვლეული ცოდნის კატეგორიის ეკონომიკური ასპექტები: მისი, როგორც ეკონომიკის კატეგორიის ბუნება და არსებითი ნიშნები, დამოკიდებულება მონათესავე ეკონომიკურ მოვლენებთან და კატეგორიებთან, კლასიფიცირებულია ცოდნის ფორმები და სპეციფიკური ფუნქციები, დადგენილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ეკონომიკის კანონებისა და კატეგორიების სისტემასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცოდნის განვითარების დიალექტიკურ კანონზომიერებებს, როგორც ინდივიდის დონეზე, ისე საზოგადოების მასშტაბით.*

ამ საფუძველზე წარმოჩენილია ცოდნის უნიკალური როლი ცივილიზაციის, მათ შორის ეკონომიკის განვითარების პროცესში. საბუთდება, რომ თუ წარმოების სხვა ფაქტორები - შრომა მიწა და კაპიტალი, კლებადი უკუგების კანონის ზემოქმედებას ემორჩილებიან, ცოდნის მიმართ ეს არ ვრცელდება. არ არსებობს ობიექტური ეკონომიკური პირობები, რომლებიც ცოდნის რაოდენობრივი ზრდისა და თვისებრივი სრულყოფის პირობებში მის საზღვრით უკუგებას შეამცირებდნენ. კვლევის შედეგები აჩვენებს რომ: ეკონომიკაში მოქმედებს ცოდნის საზღვრითი უკუგების ზრდის კანონი, რომელიც კომპენსაციას უკეთებს წარმოების ფაქტორთა კლებადი საზღვრითი უკუგებით გამოწვეულ დანაკარგებს და მდგრად ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს. ეს კანონი რომ არ მოქმედებდეს, კაცობრიობა დიდი ხნის წინათ ეკონომიკურ ჩიხში აღმოჩნდებოდა და შესაბამისად, ცივილიზაციური პროცესებიც შეწყდებოდა.

პრობლემის ასეთმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა ჩამოყალიბებულიყო ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის უფრო სრულყოფილი განმარტება.

საკვანძო სიტყვები. *ცოდნა, როგორც ეკონომიკის კატეგორია; ცოდნის ზრდადი საზღვრითი უკუგების ეკონომიკური კანონი; ცოდნის სარგებლიანობა, ხარჯიანობა და ღირებულება; ცოდნის მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოება; ცოდნის ჰიპერსარგებლიანობა.*

1. არსებული შეხედულებები ცოდნის კატეგორიის შესახებ და მათი კრიტიკული ანალიზი

ეკონომიკის თანამედროვე მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებით სიმდიდრის დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს ცოდნა წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ ამჟამინდელი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შესატყვისი ცნებებია „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ და „ინოვაციური ეკონომიკა“, სადაც ცოდნა წარმოების ფაქტორთა ორგანულ შემადგენელ ელემენტად და ეკონომიკის დამოუკიდებელ კატეგორიად გვევლინება. უფრო მეტიც, ჩამოყალიბების პროცესშია ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმართულება - „ცოდნის ეკონომიკა“.

თავისთავად ცოდნა, როგორც მრავალწახნაგოვანი, მულტიდისციპლინარული პრობლემა, იმდენად მასშტაბურია, რომ მეცნიერების შესაბამის დარგებში მას დამოუკიდებელი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები ეძღვნება. მაგრამ, რამდენადაც ცოდნის შედეგების პრაქტიკული გამოყენება საბოლოოდ სამეურნეო ცხოვრებაში ხორციელდება, ამდენად, ეკონომიკის მეცნიერებამ ამ მიმარულებით თავისი პრინციპული სიტყვა უნდა თქვას.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორის კვლევის საგანს შეადგენს ცოდნის კატეგორიის ეკონომიკური ბუნების გარკვევა მის სხვა ასპექტებთან მჭიდრო კავშირში.

ცოდნას, როგორც ზოგად კატეგორიას, ტრადიციულად, თავიანთი სპეციფიკის შესაბამისად, ფუნდამენტურად შეისწავლის ფილოსოფია, პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებაში კი იგი ნაკლებადაა გამოკვლეული. ქართულ ენციკლოპედიაში მოცემული განმარტებით, „ცოდნა არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით შემოწმებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ჭეშმარიტი, ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობებისა და თეორიების სახით“ **[ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, 1987, გვ. 240].**

ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, „ცოდნა არის სინამდვილის შემეცნების პრაქტიკულად შემოწმებული შედეგი. იგი წარმოადგენს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური თვალსაზრისით ამ სინამდვილის სწორ ასახვას ადამიანის აზროვნებაში, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მსჯელობების აგება და დასკვნების მიღება“ **[ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, გვ. 166].**

ცოდნის ანალოგიური ზოგადი განმარტებაა მოცემული ქართულენოვან ფსიქოლოგიურ ენციკლოპედიაშიც: „ცოდნა არის თეორიულად განზოგადებული საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება, რომელიც ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის შედეგს წარმოადგენს“ **[ს. თეზელიშვილი. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, 2007. გვ. 771].**

აკადემიკოს ლ. ჩიქავას განმარტებით, „ცოდნა არის ადამიანში, ადამიანთა ჯგუფებსა და მთლიანად საზოგადოებაში სამყაროს (ბუნებისა და კაცობრიობის) განვითარების კანონებისა და კანონზომიერებების შემეცნების საფუძველზე თანდათანობით დაგროვილი მეცნიერული ინფორმაციის მარაგი“ **[ლ. ჩიქავა, 2006. გვ. 442].** ამასთან, ცივილიზაციურ პროგრესში ცოდნის მნიშვნელობის შეფასებისას იგი აღნიშნავს, რომ თუ კაცობრიობის განვითარების ადრინდელ, აგრარულ სტადიაზე მთავარ სიმდიდრედ მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები მიიჩნეოდა, ინდუსტრიული განვითარების პერიოდში ასეთად ადამიანთა მიერ შექმნილი წარმოების საშუალებები — კაპიტალი იქცა, ხოლო თანამედროვე პოსტინდუსტრიულ სტადიაზე მთავარ სიმდიდრედ ცოდნაა მიჩნეული **[ლ. ჩიქავა. იქვე. გვ. 5].**

სწავლული ეკონომისტების გ. ჯოლიასა და დ. სეხნიაშვილის განმარტებით, „ცოდნა არის გამოცდილების, ფასეულობებისა და კონტექსტური ინფორმაციის ისეთი ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა შორის ეფექტიანი ურთიერთქმედების შესაძლებლობას განაპირობებს“ **[გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, 2010, გვ. 19].**

თუ მოვახდენთ აღნიშნულ განმარტებათა განზოგადებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცოდნა არის ადამიანის აზროვნებაში ასახული ინფორმაცია გარემომცველი სამყაროს შესახებ. თუმცა ასეთი განსაზღვრება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ცოდნად უნდა მივიჩნიოთ არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ მოწესრიგებული და სისტემატიზებული ინფორმაცია, რომელიც ლოგიკურად დასაბუთებულია და დასტურდება ფაქტებით. ამასთან, განხილული განმარტებები ცოდნის ფენომენის შესახებ მხოლოდ ზედაპირულ წარმოდგენას ქმნიან და მისი არსობრივი ბუნების სათანადო დასაბუთებას ვერ უზრუნველყოფენ. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი უშუალო მიზანია აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ცოდნის ეკონომიკური კატეგორიის სისტემური გამოკვლევა, კერძოდ: მისი არსის და როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის, ეკონომიკური სისტემის ორგანული ელემენტის, პროდუქტისა და წარმოებით ურთიერთობათა ობიექტის ამსახველი კატეგორიის ანალიზი.

საამისოდ გთავაზობთ ეკონომიკური კატეგორიების კვლევის ავტორისეულ მეთოდიკას, რომლის შესაბამისად ცოდნის კატეგორია შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილება **[ა. სისვაძე, 2006. გვ. 61]:**

პირველი, ცოდნის წარმოშობის მიზეზების დადგენა;

მეორე, ცოდნის კატეგორიის არსებითი ნიშნების განსაზღვრა;

მესამე, ეკონომიკის კანონებთან და სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან ცოდნის ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციური კავშირების დადგენა;

მეოთხე, ცოდნის კატეგორიის ფორმების გამოკვლევა;

მეხუთე, ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ცოდნის სპეციფიკური ფუნქციების განსაზღვრა;

მეექვსე, ცოდნის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, ფორმალურ-ლოგიკური ჩამოყალიბება.

2. ცოდნის წარმოშობის ეკონომიკური მიზეზები

გარემოს გაცნობიერება და ცოდნის შეძენის უნარი არაა მხოლოდ თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება. საქმე ისაა, რომ მარტივი ცოდნის საკმაო მარაგს პირველყოფილი ადამიანებიც ფლობდნენ, რომლის ტრანსფორმაცია რთულ, განვითარებად ცოდნად ფაქტორთა მთელმა კომპლექსმა განაპირობა. მათ შორის უმთავრესია:

პირველი, პირველყოფილი ადამიანის ევოლუციურმა და ბიოლოგიურმა თავისებურებებმა წარმოშვა პრიმიტიული შრომის უნარი, ხოლო ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო აზროვნებისა და ცოდნის განვითარებას;

მეორე, აღნიშნულ გარემოებას პირველყოფილი ადამიანი უნდა დაეფიქრებინა საკუთარ მძიმე ყოფაზე და მისი გაუმჯობესების პერმანენტული სურვილი გაეჩინა, რაც, ერთი მხრივ, ახალ, უფრო სრულყოფილ ცოდნას მოითხოვდა, ხოლო, მეორე მხრივ, მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების წარმოშობის მიზეზად იქცა.

ცხადია, რომ განვითარების ყოველი ეტაპისთვის დამახასიათებელი შემოსაზღვრული ცოდნის პირობებში ადამიანთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები

სრულად ვერასოდეს კმაყოფილდება, რაც ადამიანებს აიძულებდა ეზრუნათ ახალი ცოდნის შეძენის გზით საკუთარი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

ეკონომიკის ზოგად თეორიაში ადამიანთა უსაზღვრო და მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უპირველეს საშუალებად მიჩნეულია წარმოების რესურსების - შრომის, მიწისა და კაპიტალის შესაბამისი ზრდა. ამასთან, მათი შემოსაზღვრულობა ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კანონად ითვლება, რაც, ავტორის აზრით, დასაზუსტებელია. დროის ყოველ კონკრეტულ მომენტში აღნიშნული რესურსები მხოლოდ რაოდენობრივადაა შეზღუდული. სწორედ ამიტომ თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნები გადადიან რესურს- და კაპიტალდამზოგველ ტექნოლოგიებზე, როდესაც ეკონომიკური ზრდა მიიღწევა რაოდენობრივად უცვლელი (ან ღირებულებით უფრო მცირე მოცულობის), მაგრამ ტექნოლოგიურად სრულყოფილი და პროდუქტიული კაპიტალის გამოყენებით.

აღნიშნული საწარმოო რესურსების რაოდენობრივი შემოსაზღვრულობა სულაც არ ნიშნავს, რომ ეს გარემოება ცივილიზაციის განვითარებასა და, შესაბამისად, ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ზრდას ზღვარს დაუდებს. საქმე ისაა, რომ საწარმოო რესურსების უნარი დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილებები მათი თვისებრივი სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების გზით, შეზღუდული არაა. მათი არსებული ნაყოფიერება კი მხოლოდ ცოდნის მიღწეული დონითაა განსაზღვრული. ცნობილი ფაქტია, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით ერთი და იმავე მოცულობის საწარმოო რესურსების მქონე ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებას ძირითადად დაგროვილი ეკონომიკური, სამეურნეო და ტექნიკური ცოდნის მარაგი განსაზღვრავს.

ეს გარემოება ადამიანებს ყოველთვის აიძულებთ ცოდნის დაგროვებისა და განვითარების გზით უწყვეტად გაზარდონ საწარმოო რესურსების ეფექტიანობა. უფრო მეტიც, მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე, მაგრამ განათლებული ქვეყნები მათი რაციონალური გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად უსწრებენ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებს, რომლებმაც ცოდნის დაბალი დონის გამო მათი ეფექტიანი გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს.

ამდენად, ცოდნის წარმოშობისა და მისი უწყვეტი განვითარების წმინდა ეკონომიკური მიზეზია წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ადამიანთა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებსა და, მეორე მხრივ, დაგროვილი შეზღუდული ცოდნით განსაზღვრულ საწარმოო რესურსების შეზღუდულ ეფექტიანობას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცოდნის დაგროვება და მისი უწყვეტი განვითარება საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე სხვა საწარმოო რესურსები. ამიტომ ეკონომიკური სარგებლიანობით მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენებს. **ცოდნის სარგებლიანობა გამოიხატება მის უნარში, შექმნას როგორც მატერიალური, ისე სულიერი ღირებულებები.**

3. ცოდნის კატეგორიის ძირითადი ნიშნები.

რამდენადაც ცოდნის ზოგადსამეცნიერო კატეგორია სისტემური თვალსაზრისით ნაკლებადაა გამოკვლეული, მისი ბუნების განმსაზღვრელი საერთო ნიშნებიც შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

ავტორის აზრით, ცოდნა, როგორც კატეგორია, მათ შორის ეკონომიკის მეცნიერებებში, შეიძლება შემდეგი არსებითი ნიშნებით დახასიათდეს: **სისტემურობა, ადეკვატურობა, მდგრადობა, წინააღმდეგობრიობა, დილემურობა, სარგებლიანობა, ხარჯიანობა და ღირებულება.**

ცოდნის სისტემურობა გულისხმობს მის ისეთ შინაგან სტრუქტურულ მთლიანობას, რომელიც **განპირობებულია** შემადგენელ ელემენტებს შორის არსებული ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი, ფუნქციური და სხვა სახის კავშირებით, რაც თავის მხრივ, თვით რეალური სამყაროს ერთიანობიდან გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისით დაზუსტებას მოითხოვს ცოდნის განმარტება, როგორც დაგროვილი ინფორმაციის უბრალო მარაგისა.

ცოდნის ადეკვატურობა მიუთითებს სამყაროს ობიექტებთან, მოვლენებსა და პროცესებთან მის შესაბამისობაზე, რაც ცოდნას დამაჯერებლობას ანიჭებს. თუმცა ეს შესაბამისობა აბსოლუტური კი არა, შეფარდებითია, რადგან, ერთი მხრივ, შემეცნება ჭეშმარიტებასთან უსასრულო მიახლოების პროცესია, ხოლო, მეორე მხრივ, ცოდნა ერთდროულად ობიექტურიცაა და სუბიექტურიც. ობიექტურობა გულისხმობს რეალობის აღქმას ისეთად, როგორიცაა იგი თავისთავად, ადამიანთა შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად. სუბიექტურობა დაკავშირებულია რეალობის შეფასებასთან ადამიანთა მსოფლმხედველობის, მენტალობისა და ღირებულებითი ორიენტაციების შესაბამისად. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის მეცნიერებებში, სადაც მოვლენათა არსი და შინაგანი კანონზომიერებები ხშირად რადიკალურად განსხვავდება მათ შესახებ ყოველდღიური წარმოდგენებისაგან. ასეთ მცდარ შეხედულებებზე დაფუძნებულ სამეურნეო გადაწყვეტილებებს კი შეუძლია არა მხოლოდ ცალკეული სამეურნეო სუბიექტების, არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკის კრახიც კი გამოიწვიოს.

ცოდნის მდგრადობა განპირობებულია რეალობისადმი მისი ადეკვატურობითა. თუმცა ეს მდგრადობაც შეფარდებითია, რადგან ადამიანთა აზროვნების უნარისა და მასშტაბების გაფართოებასთან ერთად ცოდნაც ვითარდება. ამიტომ იგი მხოლოდ დროის მოკლევადიან მონაკვეთში შეიძლება ჩაითვალოს მდგრადად. ხანგრძლივ დინამიკაში ცოდნა იმყოფება მუდმივი აღმავალი, ციკლური განვითარების პროცესში, რომლის დროსაც ერთმანეთს ენაცვლება თანდათანობითი - ევოლუციური და ნახტომისებური - რევოლუციური განვითარების ეტაპები.

ევოლუციური განვითარების დროს მიმდინარეობს ცოდნის შეუმჩნეველი რაოდენობრივი ზრდა, რომელიც გარკვეულ მომენტში კრიტიკულ ზღვარს აღწევს და ნახტომის ფორმით თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადადის. მაგრამ ცოდნის ყოველი ახალი სისტემა ძველს მთლიანად კი არ უარყოფს, არამედ საკუთარ შემადგენელ ნაწილად აქცევს და რეალობას უფრო ღრმად და მასშტაბურად ასახავს.

ცოდნის წინააღმდეგობრიობა განსაზღვრულია ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგობრივი ბუნებით, მონაწილე სუბიექტთა ინტერესების მრავალ-ფეროვნებითა და განსხვავებული მსოფლმხედველობით. ამიტომ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ყოველ ეტაპზე ერთსა და იმავე ფუნდამენტურ მოვლენებზე ხშირად ურთიერთგამომრიცხავი კონცეფციები ყალიბდება, რომლებიც შემდგომ, განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, ინტეგრირდება და უფრო სრულყოფილ თეორიულ სისტემას ქმნის. ამის თვალსაჩინო მაგალითებია: ადრე შეურიგებელი ღირებულების დანახარჯობრივი და სარგებლიანობის კონცეფციების სინთეზი; ასევე, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ თეორიებში სახელმწიფო ცენტრალიზებული რეგულირებისა და საბაზრო მექანიზმების შერწყმის ტენდენცია.

ცოდნის დილემური ბუნება განპირობებულია იმით, რომ მისი დაგროვებისა და განვითარების პარალელურად ფართოვდება შეუცნობელის საზღვრებიც. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა სოკრატეს: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი.“ იგი ამით,

სავარაუდოდ, გამოხატავდა აზრს, რომ მხოლოდ ცოდნისა და აზროვნების მაღალი დონიდან ხდება ხილული შეუცნობელის უსაზღვროობა.

ცოდნის დილემური ბუნების ერთ-ერთი შედეგია მისი ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მკვლევარზე. ყოველი მნიშვნელოვანი გარღვევა შეუცნობელის სფეროში ხშირად საფუძვლიანად ცვლის წინა თაობების მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ სისტემებს და მეცნიერებს აიძულებს, განსხვავებული პარადიგმების საფუძველზე თავიდან ააგონ პრინციპულად ახალი ცოდნის კონცეპტუალური ჩარჩო. ეს კი უდიდეს ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს და ამდენად ყველას, ვინც ამ გზას ირჩევს, განსაკუთრებული გამბედაობა, გამძლეობა და შეუპოვრობა სჭირდება.

ცოდნის სარგებლიანობა, ხარჯიანობა და ღირებულება. ცოდნის ზოგად კატეგორიას წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ახასიათებენ. სარგებლიანობა ორი მიმართულებით გამოვლინდება: **პირველი,** ცოდნა, როგორც ადამიანთა ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი მოთხოვნილების - სამყაროს შემეცნების დაუკმაყოფილებელი სურვილის დაკმაყოფილების საშუალება; **მეორე,** ცოდნა, როგორც პრაქტიკული ყოფითი და სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტი, რომლის დაუფლება სოლიდურ ინვესტიციებსა და დანახარჯებს მოითხოვს. სარგებლიანობა და ხარჯები კი მას ღირებულების თვისებას ანიჭებენ (**ცოდნის ღირებულების შეფასების დანახარჯობრივი კონცეფცია ჩამოყალიბებული გვაქვს ნაშრომში [ა სისვაძე, ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VIII, 2015, გვ. 457]).**

4. ცოდნის ფორმების კლასიფიკაცია

თანამედროვე ავტორთა დიდი ნაწილი ცოდნის ფორმების კლასიფიკაციის პრობლემას ფრაგმენტულად, სათანადო დასაბუთების გარეშე უსისტემოდ განიხილავს, რაც მისი არსის გარკვევას და დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას ართულებს. კერძოდ, ცალკეული ავტორები ცოდნის მხოლოდ ორ ფორმას განასხვავებენ: მარტივსა და რთულს. სხვანი ფორმალური და არაფორმალური ცოდნის გამიჯვნით კმაყოფილდებიან, ხოლო ავტორთა მესამე ჯგუფი განასხვავებს ფუნდამენტურ და გამოყენებით, სპეციალურ და ზოგად, სამეცნიერო და რელიგიურ ცოდნას და სხვა.

ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო ცხოვრების განვითარების თანამედროვე დონეზე ცოდნის ფორმათა ასეთი კლასიფიკაცია მოძველებული და არასრულია. ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ პრობლემის სისტემური კლასიფიკაციის შემდეგ ავტორისეულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ცოდნის ძირითადი ფორმები შემდეგი ნიშნებით ჯგუფდება:

- ცოდნის მასშტაბი და ხარისხი;
- ცოდნის დასაბუთების თავისებურებები;
- ცოდნის ასახვის თავისებურებები;
- ცოდნის გამოყენების მიმართულებები;
- პიროვნების ინტელექტუალური განვითარების დონეები;
- სამყაროს შემეცნების მიმართულებები;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროები.

ცოდნის მასშტაბისა და ხარისხის მიხედვით უპირველესად განასხვავებენ მარტივ და რთულ ინტელექტუალურ ცოდნას.

მარტივი ცოდნის ორი სახე უნდა გამოიყოს: პირველი, ფიზიკური შრომისათვის შესატყვისი მარტივი ცოდნა; მეორე გონებრივი შრომისათვის აუცილებელი მარტივი თეორიული ცოდნა.

მარტივი, არაკვალიფიციური ფიზიკური ცოდნის დაუფლება განსაკუთრებულ მომზადებას არ საჭიროებს. იგი არსებული ცოდნის გამოყენებით ხორციელდება და მიზნად არ ისახავს რაიმე სიახლის შექმნას. მარტივი გონებრივი ცოდნა თავისი ბუნებით უკვე კვალიფიციურია, რომლის ათვისება შესაბამის ინტელექტს, ენერგიისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან დანახარჯს საჭიროებს. მის მფლობელს შემოქმედებით პრობლემების გადაწყვეტის უნარი არ მოეთხოვება.

რთული ინტელექტუალური ცოდნა შემოქმედებითი ბუნებისაა და მიმართულია სიახლეთა ძიების, ახალი ცოდნის შექმნისა და არაორდინარულ სიტუაციებში ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღებაზე. მისი ძირითადი სახეობებია: სამეცნიერო-ტექნიკური, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სამეწარმეო-მმართველობითი, სახელოვნებო ცოდნა.

მარტივი ცოდნა ძირითადად განათლების სისტემაში ყალიბდება, ხოლო რთული ინტელექტუალური ცოდნა - მეცნიერებაში. ამ მიმართულებით მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ:

პირველი, ქვეყნები, რომლებიც უპირატესად განათლების სისტემაზე არიან ორიენტირებულნი, როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების დონეს ვერ სცდებიან;

მეორე, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნებიც კი, რომლებმაც განათლებასთან ერთად მეცნიერების პრიორიტეტული დაფინანსება სახელმწიფოს განვითარების მთავარ მიმართულებად აქციეს, შედარებით მოკლე პერიოდში ეკონომიკური განვითარების, ტექნოლოგიური პროგრესისა და ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

ცოდნის დასაბუთების თავისებურებების მიხედვით სამეცნიერო და ინტუიციური ცოდნის ფორმები არსებობს. სამეცნიერო ცოდნის საფუძველია თეორიულ-ლოგიკური და ექსპერიმენტული დასაბუთება, ხოლო ინტუიციური ცოდნა ემყარება დასკვნების გამოტანას ინტელექტუალური პიროვნების მიერ მოვლენათა **გაუცნობიერებელი აღქმის საფუძველზე.** მისი გამოყენება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მოკლე დროში თეორიული დასკვნისა თუ გადაწყვეტილების საკმარისი არგუმენტირება ვერ ხერხდება.

გასათვალისწინებელია, ის გარემოება რომ არაკვალიფიციურ ადამიანთა ცხოვრებისეული წარმოდგენები ეკონომიკის შესახებ **მისი** რეალური შინაგანი კანონზომიერებებისგან რადიკალურად განსხვავდება. ამიტომ ინტუიციური ცოდნის საფუძველზე მათ მიერ გაკეთებული დასკვნები შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს. რეალობის მიმართ ინტუიციური ცოდნის ადეკვატურობა პიროვნების ინტელექტზე, განათლებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ცოდნის ეს ფორმა გადამწყვეტ როლს ასრულებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ახალი იდეების ფორმირებაში.

ცოდნის ასახვის თავისებურებების შესაბამისად განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ცოდნას. ფორმალური ცოდნა დოკუმენტურადაა დაფიქსირებული, ცხადი ფორმითაა წარმოდგენილი და ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიძინება. არაფორმალური ცოდნა ადამიანთა პრაქტიკული გამოცდილების შედეგია, რომელიც მხოლოდ მათ ცნობიერებაში **არსებობს და** დოკუმენტური ფორმა არა აქვს.

ცოდნის გამოყენების მიმართულების მიხედვით ფუნდამენტურ და გამოყენებით ცოდნას განასხვავებენ . ფუნდამენტური ცოდნა ასახავს სამყაროსა და მისი ცალკეული სფეროების ფუნქციონირებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, **წარმოდგენილია ჰ**იპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების სახით და შემეცნებითი

ფუნქცია აკისრია. მისი ერთი ნაწილი კვლავ ფუნდამენტური მეცნიერებების შემდგომ განვითარებას ემსახურება, ხოლო მეორე - ახალი იდეებით კვებავს გამოყენებით მეცნიერებებს. გამოყენებითი ცოდნა ემყარება ფუნდამენტურ მეცნიერებებს და მათი შედეგების **სამეურნეო-პრაქტიკულ** გამოყენებას უზრუნველყოფს.

პიროვნების ინტელექტუალური განვითარების დონეების მიხედვით ცოდნის კლასიფიკაციის საკითხს არა მარტო შემეცნებითი, არამედ გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს, **რადგან** იგი შემოქმედებითი ბუნების პიროვნების ინტელექტუალური ზრდის ორიენტირებს განსაზღვრავს. ჩვენი აზრით იმის მიხედვით, **თუ** როგორი თანმიმდევრობით იცვლება ცოდნა ადამიანის ინტელექტუალური განვითარების პროცესში, უნდა გამოვყოთ მისი შემდეგი ფორმები: ტრადიციული ცოდნა; ინოვაციური ცოდნა; კრიტიკული ცოდნა; შემოქმედებითი-ნოვატორული ცოდნა.

ტრადიციული ცოდნა ადამიანთა წინანდელი თაობების მიერ დაგროვილ და შემონახულ სისტემატიზებულ ინფორმაციასა და მრავალგზის გამოცდილ უნარ-ჩვევებს მოიცავს.

ინოვაციური ცოდნა ტრადიციულთან ერთად სხვა ადამიანების მიერ შექმნილ უახლეს ცოდნასაც აერთიანებს, თუმცა მისი მატარებელი პიროვნება ახალი ცოდნის შექმნის უნარს ჯერ კიდევ ვერ ფლობს.

კრიტიკული ცოდნა ინტელექტუალური პიროვნების მიერ დაგროვილი ცოდნის გადაფასების შედეგია, რომლის მფლობელს უნარი შესწევს, ერთმანეთს შეუდაროს და კრიტიკულად შეაფასოს განსხვავებული შეხედულებები და კონცეფციები, დაადგინოს მათი შესაბამისობა რეალურ პირობებთან და ამ საფუძველზე შეარჩიოს პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზები.

შემოქმედებითი-ნოვატორული ცოდნა პიროვნების მიერ ახალი ცოდნის გენერირების შედეგია, რომელსაც ფლობენ ანალიტიკური აზროვნების მქონე, მაძიებელი ბუნების ადამიანები. ისინი თავიანთი საქმიანობის სფეროში არა მარტო ტრადიციული და ინოვაციური ცოდნის მთელ მარაგს ითვისებენ და კრიტიკულად აფასებენ, არამედ საკუთარ, პრინციპულად ახალ ცოდნასაც ქმნიან.

ნოვატორული ცოდნის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, **ერთი მხრივ,** ბუნებრივი ნიჭი და, **მეორე მხრივ,** ცოდნის იმდენად დიდი მარაგის ფლობა, რომელიც შესაძლებელს გახდის მის კრიტიკულ გადაფასებას და უზრუნველყოფს შემეცნების პროცესში თვისებრივ შემოქმედებით ნახტომს. ასეთი უნარის მისაღწევად პიროვნება თანმიმდევრულად უნდა დაეუფლოს ტრადიციულ, ინოვაციურ და კრიტიკულ ცოდნას.

არსებითი განსხვავება შემოქმედებითი-ნოვატორული და დაბალი დონის ცოდნის მატარებელ პიროვნებებს შორის იმაში გამოიხატება, რომ იქ, სადაც შემოქმედებითად მოაზროვნენი გენიალურ აღმოჩენებს აკეთებენ, სხვები მხოლოდ არაფრისმთქმელ ფაქტებს ხედავენ და ზედაპირულ დასკვნებზე შორს ვერ მიდიან.

ნოვატორული ცოდნისა და აზროვნების საფუძველია რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის ზოგადფილოსოფიური კანონი, რომლის შესაბამისად, პრობლემების შესახებ დაგროვილი ცოდნის დაუფლების შედეგად იგი ისეთ კრიტიკულ დონეს აღწევს, რომლის შემდეგ აზროვნების პროცესი თვისებრივად ახალ მდგომარეობაში გადადის და უახლესი ცოდნის შექმნას ედება საფუძვლად.

ცოდნის რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი ასახავს არა მარტო პიროვნების **ინტელექტუალური** ზრდის კანონზომიერებებს, არამედ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების პროცესს და მისი შესაძლებლობების

ზრდას. კერძოდ, ნოვატორულად მოაზროვნე მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა რაოდენობის და ცოდნის მარაგის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო მაღალი ტემპით აძლიერებს უახლესი ცოდნის წარმოების პოტენციალს, რაც შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული:

პირველი: მრავალრიცხოვან მეცნიერთა შორის შემოქმედებითი ურთიერთობა ურთიერთგამამაძლიერებელ სინერგიულ ეფექტს წარმოშობს;

მეორე: მკვლევართა საკმარისი რაოდენობა სამეცნიერო შრომის სპეციალიზაციასა და კოოპერირებას უწყობს ხელს, რაც არსებითად ზრდის ამ პროცესის ეფექტიანობას, მაშინ როდესაც მათი შეზღუდული რაოდენობის პირობებში ასეთი **შესაძლებლობა** ნაკლებია;

მესამე: მომიჯნავე მეცნიერებების განვითარებისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად მათ გადაკვეთაზე თვისებრივად ახალი ცოდნა იბადება;

მეოთხე: ყოველი ახალი ნოვატორული ცოდნა თავადვე ქმნის თვისებრივად უფრო მაღალი დონის ცოდნის წარმოშობის წინაპირობას, რაც მასშტაბის აღმავალ, უწყვეტ ეფექტს განაპირობებს და კიდევ უფრო აძლიერებს ცოდნის ზრდადი უკუგების ეკონომიკური კანონის მოქმედებას. უფრო მეტიც, კვალიფიციურ მეცნიერთა რაოდენობისა და, შესაბამისად, ცოდნის მარაგის არითმეტიკული პროგრესიით ზრდის პირობებში ნოვატორული ცოდნის წარმოშობის შესაძლებლობა გეომეტრიული პროგრესიით მატულობს.

ცოდნის მარაგის თანდათანობითი რაოდენობრივი ზრდის ახალ თვისებრიობაში გადასვლის კანონიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი პრინციპული დასკვნა:

ქვეყანაში მეცნიერებასა და უშუალოდ ეკონომიკაში პრინციპული ნახტომის მისაღწევად აუცილებელია, რომ მეცნიერების ყოველ დარგში მოღვაწეობდეს მკვლევართა ისეთი კრიტიკული რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება ცოდნის საერთო დონის ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასაყვანად.

ცხადია, ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ყველა დარგში მკვლევართა კრიტიკული რაოდენობის ფორმირება და მათი სათანადო დაფინანსება ვერ მოხერხდება. ამიტომ აუცილებელია საწყის ეტაპზე განისაზღვროს მეცნიერების ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ ეკონომიკურ და სამეცნიერო პროგრესს. შესაბამისი ფინანსური პოტენციალის მიღწევის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება პრიორიტეტული თანმიმდევრობით მეცნიერების სხვა დარგების დაფინანსების ზრდაც.

5. ცოდნის ფუნქციები ეკონომიკაში

ცოდნის მრავალწახნაგოვანი კატეგორიის არსში წვდომისათვის, სხვა ასპექტების ერთად, აუცილებელია გამოიკვეთოს მისი ფუნქციური დანიშნულება კაცობრიობის ცივილიზაციური განვითარების პროცესში, მათ შორის - ეკონომიკურ სისტემაში. ჩვენი მიდგომით, ცოდნა შემდეგ ძირითად ფუნქციებს ასრულებს:

- ინფორმაციის დაგროვების, სისტემატიზაციის და მომავალი თაობებისთვის გადაცემის ფუნქცია;
- თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია;
- გამოყენებითი ფუნქცია;
- მეთოდოლოგიური და მეთოდური ფუნქცია;
- ნორმატიული ფუნქცია;
- მომავლის განჭვრეტისა და პროგნოზირების ფუნქცია;
- კაცობრიობის მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი პროგრესის ფუნქცია.

ინფორმაციის დაგროვებისა და სისტემატიზაციის ფუნქციის საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემა უკვე შექმნილი, მოწესრიგებული და სისტემატიზებული ცოდნა. ამასთანავე, ყოველი ახალი თაობა არსებულ ცოდნას ამდიდრებს საკუთარი მიგნებებით, ახდენს მის განზოგადებას და, თავის მხრივ, თვისებრივად ახალ ცოდნას ქმნის. აქედან გამომდინარე, ძნელია დავეთანხმოთ გავრცელებულ აფორიზმს: „ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო.“

თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია უზრუნველყოფს ეკონომიკის ობიექტური სტატიკური და დინამიკური კანონზომიერებების შესახებ ცოდნის მიღებას. ამ ეკონომიკა აღიქმება ისეთი, როგორადაც იგი ობიექტურად არსებობს ჩვენი სურვილებისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. ასეთ ცოდნას ფუნდამენტური მეცნიერებები ქმნიან.

გამოყენებითი ფუნქცია დაგროვილი ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას გულისხმობს. იგი შესაძლებელს ხდის თეორიული ცოდნის მიღწეული დონის შესაბამისად გავაფართოოთ ადამიანის თავისუფლების საარსებო სივრცე. ცნობილია, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით გარემომცველი სამყარო, მათ შორის ეკონომიკური, აუცილებლობისა და თავისუფლების სივრცეებად იყოფა. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ადამიანისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ თავისუფლების ის სივრცე, რომლის შესახებაც მას საკმარისი ცოდნა აქვს და, შესაბამისად, მასზე ზემოქმედების საშუალებებს ფლობს. აუცილებლობის სივრცეში კი მოქმედებენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური, შეცნობილი ან შეუცნობელი ისეთი კანონები, რომელთა წინაშეც ადამიანი ჯერ კიდევ უძლურია.

შესაბამისად, როგორც კაცობრიობის, ისე ცალკეული ინდივიდის თავისუფლების საზღვარი დაგროვილი ცოდნის მიჯნაზე გადის.

დაგროვილი ცოდნა ადამიანებს ეხმარება თანდათანობით შეიცნონ უცნობი ეკონომიკური რეალობის ბუნება და განსაზღვრონ მისი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების გზები, რითაც თავისუფლების სივრცე მუდმივად ფართოვდება. ამ თვალსაზრისით, ცოდნის გამოყენებითი ფუნქციის ეფექტიანობა დამოკიდებულია ფუნდამენტურ და გამოყენებითი მეცნიერებები მეცნიერებებში დაგროვილ ცოდნაზე.

მეთოდოლოგიური და მეთოდური ფუნქცია ცოდნის თეორიულ-შემეცნებითი და გამოყენებითი ფუნქციების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. მისი საშუალებით, ერთი მხრივ, მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ხორციელდება ახალი ცოდნის შექმნის მეთოდების განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, მუშავდება უკვე დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ხერხები, საშუალებები და პრინციპები. ამ კონტექსტში ცოდნა **ნორმატიულ ფუნქციასაც** ასრულებს.

მომავლის განჭვრეტისა და პროგნოზირების ფუნქცია შესაძლებელს ხდის განისაზღვროს მოვლენების სავარაუდო განვითარების სამომავლო ტენდენციები, გამოვლინდეს ნეგატიური პროცესების გამომწვევი მიზეზები და მოხდეს მათი პრევენცია. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, ცოდნა მათ წინააღმდეგ უკეთესი მომზადების შესაძლებლობას ქმნის. ამავე დროს, პროგნოზირება ხელს უწყობს განვითარების სასურველი ტენდენციების მიზანმიმართულ გაძლიერებას.

ცოდნა კაცობრიობის მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი პროგრესის ფუნქციას ასრულებს, რადგან იგი სხვა საწარმოო რესურსების მსგავსად ხასიათდება ეკონომიკური სარგებლიანობითა და შემოსავლიანობით, რის შედეგადაც საზოგადოებრივი სიმდიდრე იზრდება. მისი მეშვეობით იქმნება ისეთი

ტექნოლოგიები, ტექნიკა და ორგანიზაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც ნაკლები ადამიანური, მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით უფრო მაღალი შედეგების მიღების შესაძლებლობებს ქმნის. მეორე მხრივ, ცოდნის დაგროვებასთან ერთად კაცობრიობა უკეთ აცნობიერებს საკუთარ ისტორიულ და თანადროულ ზნეობრივ შეცდომებს, რაც ყოველი ახალი თაობის სულიერ თვითსრულყოფასა და ჰუმანიზაციის გაღრმავებას უწყობს ხელს.

შესაბამისად, ცოდნა ცივილიზაციის უწყვეტი სულიერ-ზნეობრივი პროგრესის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ გვევლინება.

6. ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის ცნებების მიმართება

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს დოგმად მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის თანახმად სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ცოდნა `ადამიანურ კაპიტალს,~ "ადამიანისეულ კაპიტალს" ან კიდევ სხვა ტერმინით "ინტელექტუალურ კაპიტალს" წარმოადგენს და შესაბამისად, იგი მხოლოდ კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის შემადგენელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.

ადამიანური კაპიტალის ცნება ხმარებაში პირველად ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. გელბრეიტმა შემოიტანა 1968 წელს და მას აქეთ კრიტიკული ანალიზის გარეშე სხვადასხვა მოდიფიკაციით, მაგრამ უცვლელი შინაარსით გამოიყენება, მათ შორის ქართველი ეკონომისტების მიერაც **[ვ. სართანია, 2001, გვ. 11-41]; [გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, 2010, გვ. 88-125].**

ამ მოსაზრების ძირითად არგუმენტად ის გარემოება მიიჩნევა, რომ კაპიტალის მსგავსად ცოდნის დასაუფლებლად განსაზღვრული ინვესტიციებია საჭირო, რომელიც შემდეგ იგი მფლობელისათვის შემოსავალის წყაროდ იქცევა. ეს დასაბუთება ერთი შეხედვით თითქოს საკმაოდ მყარია, მაგრამ პრობლემის არსში ჩაღრმავება სრულიად განსხვავებულ შედეგს გვაძლევს (მოცემული პრობლემა დეტალურად გვაქვს გამოკვლეული **ნაშრომში: [ა.სისვაძე, ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი IV, 2011, გვ. 80].** საქმე ისაა, რომ წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის - სამუშაო ძალის, კაპიტალის და მიწის შესაძენად ან შესაქმნელად ასევე განსაზღვრული ოდენობის ფულადი სახსრების ინვესტირებაა საჭირო. ამ უკანასკნელს კი ლიკვიდობისა და ფორმამონაცვლეობის უნიკალური თვისება ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წარმოების სხვა ფაქტორებადაც - სამუშაო ძალად (შრომად), მიწად ან კაპიტალად იქცევა. შესაბამისად, ასეთი ლოგიკით მათში მატერიალიზებული ცოდნა მსგავსი ტერმინებით უნდა მოვიხსენიოთ და ამ ფორმით წარმოების ცალკე ფაქტორად გამოვყოთ. შესაბამისად, ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გაიგივების იდეა საფუძველსაა მოკლებული - იგი კრისტალიზდება წარმოების ყველა ფაქტორში, მათ განუყოფელ ნაწილად იქცევა და დამოუკიდებელ ფაქტორად არ არსებობს. ასევე, თვითონ ნივთობრივი ფორმის კაპიტალიც წარსულში მატერიალიზებული ცოდნაა, რაც მათ იგივეობას არ გულისხმობს.

თუმცა სამეწარმეო პრაქტიკაში რეალურად ფუნქციონირებს მატერიალიზებული ცოდნის ფორმით არსებული **არამატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი**, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შედეგად მიღებულ და დოკუმენტურად გაფორმებულ სამეცნიერო ინფორმაციას, "ნოუ-ჰაუს," საავტორო უფლებებსა და პატენტებს. სწორედ ესაა ინტელექტუალური და არა ადამიანური კაპიტალი, რომელიც შემდეგ მატერიალურ კაპიტალში - ახალ ტექნიკად, ტექნოლოგიებად და საბოლოოდ ინოვაციურ საქონლად განივთდება.

წარმოების პროცესში ცოდნისა და მისი შედეგების მატარებლები ან მესაკუთრეები შეიძლება იყონ:

– კვალიფიციური სამუშაო ძალა, მათ შორის ინტელექტუალური კაპიტალის უშუალო შემქმნელი ინდივიდები;

– ბიზნესმენები ნოვატორული სამეწარმეო უნარით;

– სახელმწიფო თავისი ეკონომიკური უნარით;

– ინტელექტუალური არამატერიალური კაპიტალი;

– ინოვაციური მატერიალური კაპიტალი;

– სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირების ინოვაციური უნარით.

თითოეული მფლობელისათვის ცოდნას შესაბამისი სპეციფიკური შემოსავალი მოაქვს იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტორშია მოქცეული. კერძოდ, დაქირავებულ მუშაკს მისი ცოდნის გამოყენებისათვის ხელფასს უხდიან, ბიზნესმენი იღებს მოგებას, მიწის მესაკუთრე - რენტას, ინტელექტუალური და ინოვაციური მატერიალური კაპიტალის მფლობელი _ სარგებელს, ხოლო სახელმწიფო გადასახადებს ამოიღებს.

ამდენად, ინტელექტუალურ კაპიტალთან, როგორც ცალკე აღებულ რესურსთან, ცოდნის გაიგივების მცდელობა საფუძველსაა მოკლებული და ეს არც ისე უმნიშვნელო ფაქტია. რამდენადაც ეკონომიკის მეცნიერება სპეციფიკური ცნებებისა და კატეგორიების მოწესრიგებულ სისტემას წარმოადგენს, მათ აღრევას შეუძლია მისი ქაოსური მდგომარეობა და განვითარების შეფერხება გამოიწვიოს.

რამდენადაც რეალურად არსებობენ ცოდნის პიროვნული თუ ნივთობრივი მატარებლები, მიზანშეწონილია მოიძებნოს ისეთი ზოგადი ცნება, რომელიც აბსტრაქტული და მატერიალიზებული ცოდნის ყველა ფორმას ასახავდა. ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, ასეთ ტერმინად შეიძლება მივიჩნიოთ **"ინტელექტუალური რესურსის"** ცნება.

წარმოების ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურა. წარმოების ფაქტორების შემადგენლობაში ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურული ელემენტების იდენტიფიკაციისათვის საჭიროა მოიძებნოს მათი საერთო ნიშნები ანუ **კრიტერიუმები**. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ:

_ ობიექტი ან მოვლენა უნდა იყოს ინოვაციური და ნოვატორული ცოდნის მატარებელი ან მათი შედეგი;

_ ექვემდებარებოდეს ღირებულებით შეფასებას;

_ ტრადიციულ ანალოგებთან შედარებით ხასიათდებოდეს უფრო მაღალი სარგებლიანობით;


_ წარმოადგენდეს დამატებითი საგანმანათლებლო ინვესტიციებისა და ხარჯების შედეგს;

_ იძლეოდეს ზემოგების მიღების საშუალებას;

_ თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს ფირმის გუდვილის ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ბიზნესის ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურული ელემენტები შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით დავაჯგუფოდ (იხ. სქემა):

ბიზნესის ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურა



- ადამიანური სამეურნეო ცოდნა;
- არამატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი;
- მატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი.

ადამიანური სამეურნეო ცოდნა ორ ელემენტს მოიცავს: კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც დაბანდებულია და ხმარდება ინოვაციური ცოდნის მატარებელი და ნოვატორულად მოაზროვნე მაღალკვალიფიციური პერსონალის შრომის ანაზღაურებას. ამ თვალსაზრისით ასეთი ხარჯები "ინტელექტუალურ ინვესტიციებად" შეიძლება განვიხილოთ; თანამშრომლების და თვითონ ბიზნესმენის კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ინვესტიციები.

არამატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი წარმოდგენილია ინოვაციური და ნოვატორული ტექნიკური დოკუმენტაციის, ნოუ-ჰაუს, პატენტების და საავტორო უფლებების სახით.

მატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქრორო სამუშაოების განსახორციელებლად; სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილი და სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ახალი საწარმოო მეთოდები, ნოვატორული მენეჯმენტი და მარკეტინგი, ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები.

ინტელექტუალური რესურსების სარგებლიანობა საბოლოო შეფასებას ჰპოვებს წარმოების ისეთ არამატერიალურ აქტივში, როგორიცაა **გუდვილი**. იგი წარმოადგენს ფირმის ქონების ღირებულების იმ ნამატს, რომელიც წარმოიშობა ინოვაციური საქმიანობის შედეგად მისი იმიჯის და საბაზრო ღირებულების ამაღლებით.

ამრიგად, ცოდნა წარმოების ცალკე დამოუკიდებელ ფაქტორს ან მხოლოდ კაპიტალის შემადგენელ ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ **ინტელექტუალური**

რესურსის ფორმით შედის ყველა სხვა ფაქტორის შემადგენლობაში მათი განუყოფელი ელემენტის ფორმით. მისი ხვედრითი წილი ცოდნის გაღრმავება-განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდება.

7. ცოდნის ადგილი ეკონომიკის კატეგორიებისა და კანონების სისტემაში

რამდენადაც ცოდნის არსი ეკონომიკური თვალსაზრისით უპირველესად სარგებლიანობით ხასიათდება, მისი მონათესავე მოვლენებიც ამავე თვისებას უნდა ფლობდნენ. საქონელსა და მომსახურებასთან ერთად ასეთია წარმოების პროცესში გამოყენებული წარმოების ფაქტორები - შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, რადგან ამ ფაქტორების მფლობელებს საკუთარი ფუნქციების განხორციელება მხოლოდ სათანადო ცოდნის ფლობის პირობებში შეუძლიათ.

ამ კატეგორიების მსგავსად ცოდნა შემდეგი არსებითი ნიშნებით ხასიათდება: კონკრეტული სასარგებლო მატერიალური და სულიერი შედეგის მიღების შესაძლებლობა; კვლავწარმოებადობა და განახლებადობა; შესაქმნელად შესაბამისი ხარჯების გაწევის აუცილებლობა.

განსაკუთრებით მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს ცოდნასა და საქონელს შორის, რაც შემდეგში გამოიხატება:

პირველი, ორივე კატეგორია განსაზღვრული სამეურნეო პროცესების პროდუქტებია, საქონელი - წარმოებისა, ხოლო ცოდნა - განათლებისა და მეცნიერებისა;

მეორე, ორივე შედეგობრივი მოვლენა ხასიათდება სარგებლიანობით - ისინი ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარს ფლობენ, რაც ორი მიმართულებით გამოვლინდება: საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება, რაც, ცოდნას სამომხმარებლო საქონლად აქცევს; სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილება, როდესაც ცოდნა კაპიტალური საქონლის ფორმას იღებს. მოცემულ შემთხვევაში, ცოდნის გამოყენება ორი გზითაა შესაძლებელი:

–მატერიალური საქონლისა და მომსახურების წარმოება, ცოდნის ერთჯერადი გაყიდვა (რაიმე პროექტის დამუშავება), ცოდნის ტირაჟირებული გაყიდვა (მაგალითად წიგნების);

–ცოდნის გასხვისება სწავლების გზით.

ამ პირობებში ცოდნა, როგორც კაპიტალური საქონლი, იქცევა არა მხოლოდ კაპიტალის, არამედ წარმოების სხვა ფაქტორთა განუყოფელ ნაწილადაც.

მესამე, საქონლის მსგავსად ცოდნასაც სხვა საქონელზე, მომსახურებაზე და განსხვავებულ ცოდნაზე გაცვლის უნარი და შესაბამისად, ღირებულება აქვს;

მეოთხე, საქონლის მსგავსად ცოდნაც კვლავწარმოებადი პროდუქტია, რაც ორი ფორმით ხორციელდება: მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოება. მარტივ კვლავწარმოებას - განახლებას უცვლელი ოდენობით ახდენს განათლება, ხოლო გაფართოებულ კვლავწარმოებას ემსახურება მეცნიერება, რომელიც ზრდის მის მარაგს თვისებრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით.

მეხუთე, როგორც საქონლის, ისე ცოდნის შექმნის პროცესში წარმოების ყველა ტრადიციული ფაქტორი მონაწილეობს;

მეექვსე, საქონლის მსგავსად ცოდნაც მორალურ ცვეთას განიცდის;

მეშვიდე, ცოდნის, ისევე როგორც საქონლის, წონასწორული ფასი ცოდნის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება.

აღნიშნული მსგავსების მიუხედავად **ცოდნა საქონლისაგან შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება:**

პირველი, საქონელთა სამართლიანი ეკვივალენტური გაცვლის პროცესში ორივე მხარის ქონება ღირებულების თვალსაზრისით უწინდელ დონეზე რჩება, ხოლო თანაბარი ღირებულების ცოდნის გაცვლის შედეგად მხარეთა ცოდნა ორმაგდება. ცოდნის ამ უნიკალურ თვისებას ის გარემოება განაპირობებს, რომ თუ საქონლთა გაცვლის შედეგად მხარეები მასზე საკუთრების უფლებას კარგავენ, ცოდნის გაცვლის შემდეგ ისინი ამ უფლებას ინარჩუნებს. ამასთან, ურთიერთსწავლების პროცესში თითოეული მხარის გაზრდილი ცოდნა ახალ ნამატ ცოდნასაც წარმოშობს, რადგან ამ დროს თვითონ ცოდნის გამცემებიც დამოუკიდებლად ზრდიან საკუთარ მარაგს. აქედან გამომდინარეობს ცოდნის ერთ-ერთი უნიკალური თვისება: **თუ საქონელთა გაცვლის პროცესში ქვეყნის მასშტაბით ახალი ნატურალური სიმდიდრე არ იქმნება, ცოდნის გაცვლა ეროვნული სიმდიდრის ზრდის პროგრესირებად წყაროს წარმოადგენს**;

მეორე, ჩვეულებრივი კაპიტალური საქონლისაგან განსხვავებით ცოდნა ფიზიკური ცვეთამადეგობის თვისებით ხასიათდება. იგი გამოყენების პროცესში კი არ ცვდება, არამედ მისი მფლობელის გამოცდილების დაგროვების კვალობაზე რაოდენობრივად იზრდება და თვისებრივად სრულყოფილი ხდება. აღნიშნულის მიუხედავად, ცოდნა ემორჩილება მორალურ ცვეთას და ამდენად, ფიზიკურ ცვეთას მთლიანად ანაცვლებს. ამიტომ:

ცოდნის მორალური ცვეთის ღირებულება მის დანახარჯებში და შესაბამისად, ხელფასშიც უნდა აისახოს, რათა მფლობელმა ამ ფორმით გაცვეთილი ცოდნის განახლება შეძლოს;

მესამე, საქონლის ყოველი ახალი ეგზემპლიარის შექმნისა და რეალიზაციისათვის მწარმოებელმა შესაბამისი ხარჯი უნდა გაიღოს. ცოდნის მისაღებად და მის მრავალგზის გამოსაყენებლად საწყისი ერთჯერადი მატერიალური ხარჯიც საკმარისია. ამასთან, იმის გამო, რომ ცოდნის გაყიდვის ნებისმიერი რაოდენობის აქტის მიუხედავად მესაკუთრე მასზე უფლებას არ ჰკარგავს, იგი ცოდნის წარმოების მრავალჯერადი ხარჯისაგან თავისუფალია;

მეოთხე, მოხმარების ერთი სრული ციკლის შემდეგ საქონელი არსებობას წყვეტს, ხოლო ფიზიკური ცვეთის უქონლობის გამო ცოდნის მრავალჯერადი გაცვლა-გამოყენების შედეგად საზოგადოებაში ერთი და იგივე ცოდნის რაოდენობა დროში გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. ამ უნიკალური თვისების გამო ცოდნა განსაკუთრებულად ღირებულ დოვლათად გვევლინება;

მეხუთე, საქონლისაგან განსხვავებით ცოდნის დაკარგვა, მოპარვა, საკუთრების უფლების ჩამორთმევა, გაჩუქება ან ანდერძით დატოვება შეუძლებელია. შესაბამისად. იგი მფლობელს მუდამ თან ახლავს. გარდაცვალების შემდეგ კი, სიცოცხლეში მისი გაცემის ან პუბლიკაციის შემთხვევაშიც, ცოდნა ავტორისაგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას. სწორედ მისი ეს თვისებაა კაცობრიობის უწყვეტი ინტელექტუალური პროგრესის უმთავრესი მიზეზი და წყარო;

მეექვსე, თუ ნებისმიერი საქონლის უპრობლემოდ ყიდვა-გაყიდვაა შესაძლებელი, კვალიფიციური შემოქმედებითი ცოდნის შეძენა შესაბამისი ინტელექტუის გარეშე შეუძლებელია;

მეშვიდე, თუ საქონლით ვაჭრობა მხარეთა მხრიდან რაიმე მნიშვნელოვან ძალისხმევას არ საჭიროებს და ფაქტობრივად მყისიერად ხორციელდება, ცოდნის სწავლების ფორმით ყიდვა-გაყიდვა გარიგებაში მონაწილე მხარეებისათვის დროის, მატერიალურ და ადამიანური ენერგიის საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული;

მერვე, თუ საქონელი ცალკეული ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების უპირატესად მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, ცოდნა მიმართულია კულტურის, განათლების, სულიერების და ზნეობის დონის ამაღლებაზე.

არსებითი ფუნდამენტური განსხვავებაა ცოდნასა და წარმოების ფაქტორებს - შრომას, მიწასა და კაპიტალს შორის უკუგების დინამიკის თვალსაზრისითაც. კერძოდ, სამივე მათგანი ემორჩილება კლებადი საზღვრითი უკუგების კანონის ზემოქმედებას, რომლის თანახმად, წარმოების სხვა დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში, მოცემული ფაქტორის რაოდენობრივი ზრდა მისი საზღვრითი უკუგების ანუ საზღვრითი ეფექტიანობის გარდაუვალ შემცირებას იწვევს. გამონაკლისს წარმოადგენს ცოდნაში ინვესტირებული კაპიტალი, რომლის მიმართ აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება. არ არსებობს ობიექტური ეკონომიკური პირობები, რომლებიც ცოდნის რაოდენობრივი ზრდისა და თვისებრივი სრულყოფის პირობებში მის საზღვრით უკუგებას შეამცირებდნენ. ეს საფუძველს ქმნის დავუშვათ, რომ:

ეკონომიკაში მოქმედებს ცოდნის ზრდადი უკუგების კანონი, რომელიც ასახავს მჭიდრო პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, უყვეტ განვითარებაში მყოფ ცოდნასა, ხოლო მეორე მხრივ, მისი გამოყენების მატებად სამეურნეო შედეგებს შორის, რაც კომპენსაციას უკეთებს წარმოების ფაქტორთა კლებადი უკუგებით გამოწვეულ დანაკარგებს.

რომ არ არსებობდეს ეს კანონი, კაცობრიობა დიდი ხნის წინათ ეკონომიკურ ჩიხში აღმოჩნდებოდა და შესაბამისად, ცივილიზაციური პროცესებიც სამუდამოდ შეწყდებოდა.

მაკროეკონომიკურ პროცესებზე ამ კანონის ზემოქმედების შესწავლის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მისი შედეგების ტრაექტორია გამოისახება არა მოსწორებული მრუდით, არამედ მკაფიო კიბისებური ტრენდით, ცოდნის განვითარებაში ევოლუციური და რევოლუციური ეტაპების მონაცვლეობის შესაბამისად.

ცოდნის ზრდადი უკუგების ეკონომიკური კანონი აკმაყოფილებს მისადმი წამოყენებულ ყველა მოთხოვნას, როგორიცაა - არსებითობა, ობიექტურობა, აუცილებლობა, მდგრადობა, განმეორებადობა და მოქმედების საყოველთაო ხასიათი (მომავალში გათვალისწინებული გვაქვს ამ კანონის გაღრმავებული კვლევა და ყოველმხრივი დასაბუთება).

ამრიგად, **დოვლათის ძირითადი სახეობების და ცოდნის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების შესწავლა აჩვენებს, რომ ჯერ ერთი, იგი წარმოადგენს სპეციფიკური სახის არამატერიალურ ინტელექტუალურ საქონელს, რომელიც წარმოების პროცესში მატერიალიზდება მის ფაქტორებში: კაპიტალში, სამუშაო ძალაში (შრომაში), მიწაში, სამეწარმეო უნარსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარში და მეორე, ხასიათდება უწყვეტად ზრდადი უკუგებით და შესაბამისად, უნიკალური ჰიპერსარგებლიანობით. მას არა მარტო ძალუძს ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნები ზესახელმწიფოებად გადააქციოს, არამედ განვითარებულები იხსნას წარმოების ფაქტორთა კლებადი უკუგების კანონონის მოქმედების კატასტროფული შედეგებისაგან და მათი მდგრადი ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოს.** ამიტომ ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც თავისი მომავლისათვის ზრუნავს და ამბიციური სტრატეგიული მიზნები გააჩნია, მეცნიერებისა და განათლების სისტემის რადიკალური სრულყოფა და პრიორიტეტული დაფინანსება უპირველეს საზრუნავად უნდა იქცეს.

8. ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის, ფორმალურ-ლოგიკური ჩამოყალიბება

ცოდნის კატეგორიის ზოგადსამეცნიერო და ეკონომიკური ასპექტების სისტემური შესწავლა მისი შემდეგი არსებითი მახასიათებლების გამოყოფის შესაძლებლობას ქმნის:

პირველი, ცოდნა გვევლინება, როგორც შესასწავლი მოვლენის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციის, ლოგიკური გააზრების, ანალიზის და განზოგადების შედეგების ასახვა რაიმე ფორმით, სადაც გამოვლენილია მისი არსი, შინაგანი და გარეგანი მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციური კავშირები, კანონზომიერებები და განვითარების ტენდენციები. იგი აფართოებს ადამიანთა საქმიანობის თავისუფლების საზღვრებს და კაცობრიობის მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი პროგრესის ფუნქციას ასრულებს. ცოდნა ის პირველწყაროა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევთ შრომის და სხვა შემოსაზღვრული რესურსების მინიმალურური დანახარჯებით აუზრუნველყონ მაქსიმალურად შესაძლო მატერიალურ-სულიერი კეთილდღეობა და მისი ზრდა;

მეორე, ცოდნის წარმოშობის და მისი უწყვეტი განვითარების ეკონომიკური მიზეზია პერმანენტული წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ადამიანთა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებსა და მეორე მხრივ, დაგროვილი შეზღუდული ცოდნით განპირობებულ საწარმოო რესურსების შემოსაზღვრულ ეფექტიანობას შორის;

მესამე, ცოდნის კატეგორიის არსებითი ნიშნებია: სისტემურობა, ადექვატურობა, მდგრადობა, წინააღმდეგობრიობა, დილემურობა, სარგებლიანობა, ხარჯიანობა და ღირებულება;

მეოთხე, საბაზრო ეკონომიკაში ცოდნა ეროვნული მეურნეობის სპეციფიკური დარგების - განათლებისა და მეცნიერების პროდუქტია და შესაბამისად, არამატერიალური ინტელექტუალური საქონლის ფორმას იღებს, რომელიც სამეურნეო გამოყენების პროცესში წარმოების ფაქტორების განუყოფელ სტრუქტურულ ელემენტად იქცევა. ამ პირობებში, ცოდნა, მისი სპეციფიკური ნიშნების მიუხედავად, ხასიათდება ეკონომიკის სხვა ობიექტების, მოვლენების და პროცესებისათვის ნიშანდობლივი თვისებებით, თავისებურებებით და კანონზომიერებებით. ესაა სახმარი და საცვლელი ღირებულება, ხარჯიანობა და სარგებლიანობა, ცვეთადობა, კვლავწარმოებადობა, განახლებადობა და სხვა.

მეხუთე, წარმოების სხვა ფაქტორებთან და საქონელთან გენეტიკური ნათესაობის მიუხედავად, ცოდნა მრავალი უნიკალური თავისებურებით გამოირჩევა, რაც მის განსაკუთრებულ სარგებლიანობას განაპირობებს: კერძოდ:

_ მფლობელთა მიერ ცოდნის გაყიდვის (გაცვლის) შემთხვევაში მასზე საკუთრების უფლება შენარჩუნდება, რის გამოც, ცოდნის გაცვლა ეროვნული სიმდიდრის ზრდის წყაროდ გვევლინება;

_ ერთი და იგივე ცოდნის მრავალგზის გაყიდვის მიუხედავად, მისი დაუფლება მხოლოდ ერთჯერად მატერიალურ და ფინანსურ ხარჯებს საჭიროებს, რაც ცოდნას განსაკუთრებით ეფექტიან რესურსად ხდის;

_ ცოდნა, როგორც ინტელექტუალური რესურსი, წარმოების სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით, არა თუ არ ექვემდებარება კლებადი საზღვრითი უკუგების კანონის მოქმედებას, არამედ პირიქით, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ არსებობს ცოდნის ზრდადი უკუგების ეკონომიკური კანონი. მისი მოქმედება ისეთი ზომის დამატებით სამეურნეო შედეგების მიღებას უზრუნველყოფს, რომელიც არა მარტო აკომპენსირებს ზემოაღნიშნული კანონის მოქმედებით გამოწვეულ დანაკარგებს, არამედ მდგრად

ეკონომიკურ ზრდასაც უზრუნველყოფს. რომ არ არსებულიყო ცოდნის ეს ეფექტი, კაცობრიობა სამრეწველო რევოლუციის დასაწყისშივე გამოუვალ სოციალურ-ეკონომიკურ ჩიხში აღმოჩნდებოდა და ცივილიზაციის ბორბალიც უკან, ქვის საუკუნეებისაკენ შებრუნდებოდა;

მეექვსე, ადამიანური ცოდნის მწვერვალია შემოქმედებითი ნოვატორული ცოდნა, რომლის შექმნის უნარს ფლობენ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მაძიებელი ბუნების მებრძოლი ინდივიდები, რომლებიც თავისი საქმიანობის სფეროში არა მარტო ტრადიციული და სხვათა მიერ შექმნილ უახლესი ცოდნის მთელ მარაგს ითვისებენ, არამედ კრიტიკულად გადააფასებენ მას და პრინციპულად ახალ ცოდნასაც ქმნიან.

ცოდნის მრავალწახნაგოვანი კატეგორიის შინაგანი ბუნების განმსაზღვრელი ზოგადსამეცნიერო და ეკონომიკური მახასიათებლების შესწავლის შემდეგ შესაძლებლობა გვაქვს ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის, უფრო სრული განმარტება ჩამოვაყალიბოთ:

ცოდნა ესაა ადამიანთა წინანდელი და ახლანდელი თაობების სულიერი და სამეურნეო საქმიანობის ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც ასახავს ადამიანთა აზროვნებაში დაგროვილ ობიექტური რეალობის ადექვატურ, მოწესრიგებულ და სისტემატიზებულ ინფორმაციას, როგორც საწარმოო რესურსი ხასიათდება უნიკალური სარგებლიანობით და ზრდადი უკუგებით, ანეიტრალებს წარმოების ფაქტორთა კლებადი საზღვრითი უკუგების კანონის ნეგატიურ შედეგებს და ამდენად, ცივილიზაციის მატერიალური, სულიერი, ზნეობრივი და ჰუმანური პროგრესის უმთავრეს წყაროდ გვევლინება.

ცოდნის, როგორც გამორჩეული საწარმოო რესურსის შესახებ მოძღვრება ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა და ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირველობის ამბიციები აქვს, მის შეწავლას, ნოვატორულული ცოდნის შექმნას და პრაქტიკულ გამოყენებას თავის პრიორიტეტთა შორის უპირველესი ადგილი უნდა მიუჩინოს. ქვეყანას, რომლისთვისაც მეცნიერება და განათლება უპირველესი პრიორიტეტი არაა, ღირსეული და წარმატებული მომავალი არ გააჩნია. ამ ფონზე განსაკუთრებით მიუღებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეცნიერების უპირატესი დაფინანსება და განვითარება პატარა ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველოსთვის) მეტისმეტად ,,ძვირადღირებული სიამოვნებაა'' და ამდენად, მასზე უარი უნდა ვთქვათ. ამ დოგმატის უსაფუძვლობა დიდი ხანია დაამტკიცა მსოფლიოს ბევრმა ბუნებრივი რესურსებით ღარიბმა და გეოგრაფიულად მცირე ზომის ქვეყანამ, რომლებმაც შეძლეს განათლებისა და მეცნიერების უპირატესი განვითარებით ,,ეკონომიკურ ვეფხვებად'' გადაქცეულიყვნენ.

ეროვნული მეცნიერებისადმი ასეთი უკიდურესად ცდარი მიდგომის პირობებში სამუდამო ჩამორჩენისათვის გავწირავთ საკუთარ ქვეყანას და მოწინავე ერების რიგში ვერასოდეს ჩავდგებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. თეზელიშვილი, ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი, 2007.
2. ვ. სართანია, განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივები), თბილისი, 2001.
3. ა. სისვაძე, ეკონომიკური თეორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 61.

4. ა. სისვაძე, ცოდნა როგორც ბიზნესის ინტელექტუალური რესურსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი IV, 2011.

5. ა სისვაძე, ცოდნის ღირებულების შეფასების დანახარჯობრივი კონცეფცია, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VIII, 2015.

6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბილისი, 1987.

7. ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი (რუსულ ენაზე), ე. ფ. გუბსკისა და სხვათა რედაქციით, მოსკოვი, 2000.

8. ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, 2006.

9. გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და მართვა, თბილისი, 2010.

Ilia (Aziko) Sisvadze

Knowledge as an economic category and the basis of socio-economic progress

Summary

This paper presents a systematic investigation of the economic aspects of the category of knowledge, including its nature and essential characteristics as an economic category, its relationship with related economic phenomena and categories, the classification of the forms and specific functions of knowledge, and the establishment of its cause-and-effect relationships within the system of economic laws and categories. Particular attention is devoted to the dialectical laws governing the development of knowledge, both at the level of the individual and across society as a whole.

On this basis, the study demonstrates the unique role of knowledge in the development of civilization, including economic development. It argues that, whereas the traditional factors of production—labour, land, and capital—are subject to the law of diminishing returns, this principle does not apply to knowledge. There are no objective economic conditions that would reduce the marginal returns to knowledge as its quantitative accumulation and qualitative improvement continue. The findings indicate that the economy is governed by the **Law of Increasing Marginal Returns to Knowledge**, which offsets the losses resulting from the diminishing marginal returns of the traditional factors of production and thereby ensures sustainable economic growth. Without the operation of this law, humanity would have reached an economic deadlock long ago, and the process of civilizational development would consequently have come to a halt.

This analysis has made it possible to formulate a more comprehensive definition of knowledge as an economic category.

Keywords: *knowledge as an economic category; the Law of Increasing Marginal Returns to Knowledge; the utility, cost, and value of knowledge; simple and expanded reproduction of knowledge; hyper-utility of knowledge.*

ფატი შენგელია

ემოციური ინტელექტი და ლიდერობა

ანოტაცია. *სტატია განიხილავს ემოციური ინტელექტის როლს ლიდერის საქმიანობაში. დანიელ გოლემანის თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ემოციური ინტელექტის ხუთი ძირითადი კომპონენტი – თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, თვითმოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარი, მათი გავლენა გუნდის მართვაზე, კონფლიქტების მოგვარებასა და თანამშრომელთა შენარჩუნებაზე. ცალკეა განხილული ჯგუფური ემოციური ინტელექტის ცნება ვანესა ურხ დრუსკატისა*

და სტივენ ბ. უოლფის კვლევის მიხედვით. სტატია ეფუძნება არსებული კვლევების მიმოხილვას და აჩვენებს, რომ კომპანიის წარმატებაში ემოციურ ინტელექტს დიდი წვლილი მიუძღვის ზოგად ინტელექტსა და ტექნიკურ უნარებთან ერთად. დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ ემოციური ინტელექტი შეძენადი და განვითარებადი უნარია, რომელიც კრიზისისა და გაურკვევლობის პირობებში ლიდერისთვის სტრატეგიულ უპირატესობას წარმოადგენს.

შესავალი

თანამედროვე დინამიკურ ბიზნესგარემოში ლიდერები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, მაგრამ მათი მთავარი როლი – რესურსების ეფექტიანად მართვა და შედეგზე ორიენტირება – უცვლელი რჩება. კომპანიის ორგანიზაციული კულტურის განსაზღვრა, თანამშრომელთა ჩართულობა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა ძირითადად დამოკიდებულია მენეჯერის ემოციურ ინტელექტზე, სტრატეგიულ ხედვასა და ადაპტაციის უნარზე.დღეს ციფრული ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ლიდერის როლი უფრო კომპლექსური და საპასუხისმგებლოა. სწრაფად ცვალებად ბაზარზე მან უნდა უზრუნველყოს გუნდის სწრაფი ადაპტაცია, სტრატეგიული მოქნილობა და გაურკვეველ სიტუაციაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. ლიდერი ეხმარება გუნდს ახალ ტექნოლოგიებთან, ბაზრის ტენდენციებსა და პროცესებთან სტრესის გარეშე შეგუებაში. დინამიკურ გარემოში ის იღებს პასუხისმგებლობას დაუყოვნებლივ გადაწყვეტილებებზე, როდესაც გრძელვადიანი გეგმები მყისიერად იცვლება. გაურკვევლობის დროს ლიდერი ინარჩუნებს თანამშრომლების ერთიანობას, რწმენასა და ფსიქოლოგიურ სტაბილურობას. პრიორიტეტების მუდმივი ცვლილებების ფონზე, ის ზუსტად ანაწილებს დროს, ფინანსებს და ადამიანურ რესურსებს.

თანამედროვე ლიდერისთვის ემოციური ინტელექტი ის უმნიშვნელოვანესი უნარია, რომლითაც ეფექტურად შეძლებს ადამიანური რესურსის მართვას კრიზისისა და ცვლილებების დროს. ემოციური ინტელექტის მამა დანიელ გოლემანი აღნიშნავდა, რომ ემოციური ინტელექტი ორჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადი ინტელექტი და ტექნიკური უნარები ყველა დონის მართვის პროცესში. არსებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ემოციური ინტელექტი გვეხმარება გავიგოთ და სწორად ვმართოთ სხვისი ემოციები, დადებითი გავლენა მოვახდინოთ მათ გადაწყვეტილებებზე. ემოციური ინტელექტი ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვისა და მართვის უნარია, როცა ადამიანს შეუძლია თვითანალიზი და თვითგამოკვლევა. ამ უნარის მატარებელი პიროვნება უფრო ემპათიური ხდება სხვების მიმართ და შეუძლია მათივე მოცემულობიდან დაინახოს და შეაფასოს ისინი; ეს კი ნიშნავს სწორ კომუნიკაციას, ეფექტურ სოციალურ ურთიერთობებს და პოზიტიურ დამოკიდებულებას, რაც სჭირდება ყველას, მაგრამ განსაკუთრებით ლიდერებს. ის გავლენას ახდენს ჩვენს ქცევასა და გადაწყვეტილებებზე. ფსიქოლოგთა უმრავლესობა იზიარებს დანიელ გოლემანის თეორიას და თვლის, რომ ემოციური ინტელექტი არ არის თანდაყოლილი უნარი, ის ისწავლება და მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება შეძენილი გამოცდილების საფუძველზე. გოლემანის აზრით, ემოციური და ზოგადი ინტელექტი თანაბრად მნიშვნელოვანია პიროვნების ფორმირებისთვის, თუმცა მათ შორის კორელაცია არ არის. ადამიანს დაბადებიდანვე აქვს ემოციური ინტელექტის გარკვეული უნარები, მაგრამ მისი მუდმივი გაუმჯობესება შესაძლებელია ვარჯიშის, კოლეგებისა და კომპეტენტური პიროვნებების მხრიდან უკუკავშირის გზით.

ემოციური ინტელექტის კომპონენტებია: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, თვითმოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარი.

თვითცნობიერება, ანუ საკუთარი ემოციების ამოცნობის უნარი, ემოციური ინტელექტის ყველაზე არსებითი კომპეტენციაა. ის ადამიანებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეცნობის საშუალებას აძლევს და თავდაჯერებულად აგრძნობინებს თავს, რომ რაღაც ღირებულს წარმოადგენს. რეზონანსული ლიდერები თვითცნობიერებას თავიანთი გუნება-განწყობის რეგულირებისთვის იყენებენ და ინტუიციურად იციან, როგორ ზემოქმედებენ სხვებზე [1 . გვ.39].

თვითრეგულაცია საკუთარი ემოციების გაკონტროლებისა და სანდოდ და ადაპტურად მოქმედების უნარია, როდესაც ადამიანი ამავდროულად გულწრფელობისა და ინტეგრირებულობის შენარჩუნებასაც ახერხებს. რეზონანსული ლიდერები არ აძლევენ თავს უფლებას ცუდმა გუნება-განწყობამ მთელი დღე გაუფუჭოთ. ისინი თვითმართვის მეშვეობით ოფისის გარეთ ტოვებენ ცუდ გუნებას, ან გარშემომყოფებს მართებული ფორმით უხსნიან, რატომ არიან ასე უხასიათოდ და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს.

სოციალური ცნობიერება ისეთ ძირითად უნარებს მოიცავს, როგორიცაა ემპათია და ორგანიზაციული ინტუიცია. სოციალური ცნობიერების მქონე მენეჯერებს იმაზე მეტი შეუძლიათ, ვიდრე სხვა ადამიანების ემოციების შეგრძნებაა. მათ შეუძლიათ იმის ჩვენება, რომ მართლაც ზრუნავენ სხვებზე. გარდა ამისა მათ ოსტატურად გამოსდით კომპანიაში მიმდინარე პროცესების ამოცნობა.

ურთიერთობების მართვა ემოციური ინტელექტის კომპეტენციების ისეთი კომპონენტია, რომელიც გასაგებად, ცხადად და დამაჯერებლად კომუნიკაციის, კონფლიქტების განმუხტვისა და მტკიცე პიროვნული კავშირების დამყარების უნარს მოიცავს. რეზონანსული ლიდერები ამ უნარებს საკუთარი ენთუზიაზმის გავრცელებისა და უთანხმოებების მოსაგვარებლად იყენებენ, ამას ხშირად იუმორითა და კეთილგანწყობით აკეთებენ. მაღალი თვითშეგნების მქონე ლიდერები აცნობიერებენ როგორ მოქმედებს მათი გრძნობები მათი სამუშაოს შესრულებაზე და სხვა ადამიანებზე; თვითცნობიერება პიროვნების მიერ საკუთარი ღირებულებებისა და მიზნების გაგებასაც გულისხმობს; თვითცნობიერება ვლინდება გულწრფელობით და საკუთარი თავის რეალისტურად შეფასების უნარით, მაღალი თვითშეგნების ადამიანებს დალაგებულად და ღიად შეუძლიათ საუბარი საკუთარ ემოციებსა და შესრულებულ სამუშაოებზე.

ემოციურად ინტელექტუალ ლიდერს თვითცნობიერების საშუალებით შეუძლია საკუთარი გუნება-განწყობილებისთვის თვალის მიდევნება, თვითმართვის მეშვეობით – უკეთესობისკენ შეცვლა, ემპათიის წყალობით – მისი გავლენის გაგება და ურთიერთობების მართვის მეშვეობით – სხვების გუნება-განწყობილების გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება. მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ ერთი აუცილებელი პირობა: სხვების დახმარების გარეშე ვერ გავიუმჯობესებთ ემოციურ ინტელექტს და ვერც ლიდერობის სტილს შევიცვლით. ჩვენ გვჭირდება უკუკავშირი იმის შესახებ თუ როგორ აისახება ჩვენი ქმედებები სხვებზე და რამდენად მივიწევთ წინ დასახული მიზნის შესაბამისად.

დენიელ გოლემანის კვლევების მიხედვით, კომპანიის საბოლოო შედეგებზე ყველაზე დიდ გავლენას ლიდერის გუნება-განწყობილება ახდენს, ვინაიდან ლიდერის განწყობას გადამდები ეფექტი აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემოციური ინტელექტი თანამედროვე ლიდერის უმნიშვნელოვანესი უნარია, რადგან ტექნიკური ცოდნისგან

განსხვავებით, სწორედ ის განსაზღვრავს თუ რამდენად ეფექტურადაა შესაძლებელი ადამიანური რესურსების მართვა კრიზისისა და ცვლილებების დროს.

ემოციური ინტელექტი ეხმარება ლიდერს შემდეგი საკვანძო ასპექტების პირობებში:

- **კონფლიქტების ეფექტური მართვა:** მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერი არეგულირებს დაძაბულობას გუნდში, ესმის დაპირისპირებული მხარეების ემოციური მოტივები და ღებულობს კომპრომისულ გადაწყვეტილებებს;

•თანამშრომელთა შენარჩუნება: ემპათიური მიდგომა ზრდის თანამშრომელთა ლოიალობას – ზოგადად, ადამიანები ტოვებენ არა კომპანიას, არამედ ცუდ მენეჯერებს;

•სტრესმედეგობა კრიზისის დროს: ლიდერი, რომელიც მართავს საკუთარ ემოციებს, ინარჩუნებს სიმშვიდეს ფორსმაჟორულ სიტუაციებში და გუნდს უქმნის უსაფრთხოების შეგრძნებას.

•მოტივაცია და შთაგონება: ემოციური ინტელექტი ეხმარება მენეჯერს ინდივიდუალური მიდგომა მოუძებნოს თითოეულ თანამშრომელს, რაც ზრდის მათ ჩართულობას და პროდუქტიულობას.

•ღია კომუნიკაცია: იქმნება ფსიქოლოგიურად ისეთი უსაფრთხო გარემო, სადაც გუნდის წევრებს არ ეშინიათ იდეების გაზიარების ან შეცდომების აღიარების.

მაღალი ემოციური ინტელექტი ისეთ ატმოსფეროს ქმნის, რომელშიც წახალისებულია გაზიარება, ნდობა, გააზრებულ რისკზე წასვლა და სწავლა.

1999 წელს კორნელის უნივერსიტეტში ელის აისენის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ოპტიმისტური გარემო ხელს უწყობს მენტალურ ეფექტურობას, ადამიანები უკეთ იგებენ და იღებენ ინფორმაციას, კომპლექსური მსჯელობისას უკეთ იყენებენ გადაწყვეტილების მიღების წესებს და მათი აზროვნებაც მეტად მოქნილი ხდება [1, გვ. 33].

ემოციური ინტელექტი ხშირად მხოლოდ ინდივიდის კომპეტენციად მიიჩნეოდა, მაგრამ სინამდვილეში სამუშაოების დიდ ნაწილს გუნდები ასრულებენ, ამიტომ მენეჯერების წინაშე დადგა ამოცანა გუნდის მუშაობის გაუმჯობესების გზების მოძიებაზე. ვანესა ურხ დრუსკატისა და სტივენ ბ. უოლფის კვლევებით დადგინდა, რომ ,,ინდივიდის ემოციურ ინტელექტს ჯგუფური ანალოგი გააჩნია და ის ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფის ეფექტურობისთვის; გუნდებს შეუძლიათ ემოციური ინტელექტის განვითარება და ამით შედეგების გაუმჯობესება.'' [7. 54] კვლევის მიხედვით არსებობს სამი პირობა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის ეფექტურობისთვის. ეს პირობებია: **ჯგუფის წევრებს შორის ნდობა, ჯგუფური იდენტობის განცდა** და **ჯგუფის ეფექტურობის შეგრძნება**. ჯგუფის ემოციური ინტელექტის ნორმები ჭეშმარიტი თანამშრომლობის საფუძველს ქმნის და სხვა მხრივ გამოცდილ გუნდებს მაქსიმალური შესაძლებლობის გამოვლენის შესაძლებლობებს აძლევს. თავიანთ კონცეფციაში ,,ჯგუფების ემოციური ინტელექტის შესახებ'', მათ აღწერეს თუ როგორ უნდა იმართოს და განვითარდეს ემოციები გუნდურ მუშაობაში. ჯგუფური ემოციური ინტელექტი არ არის მხოლოდ ცალკეული წევრების ემოციური უნარების ჯამი, არამედ ის ჯგუფში არსებული ნორმები და წესებია, რომლებიც ემოციების მართვასა და ჰარმონიას უწყობს ხელს. ეფექტიან გუნდებში ყალიბდება ისეთი შინაგანი კულტურა , რომელიც საშუალებას აძლევს წევრებს ღიად ისაუბრონ პრობლემებზე და აკონტროლონ სტრესი. ასეთი ჯგუფები უკეთ უმკლავდებიან კონფლიქტებს და აღწევენ მაღალ პროდუქტიულობას. უფრო და უფრო მეტი კვლევა აჩვენებს, რომ გუნდები უფრო კრეატიულები და ნაყოფიერნი არიან მაშინ, როცა ჯგუფის წევრებს აქვთ განცდა, რომ ისინი უნიკალურ და ღირებულ ჯგუფს

წარმოადგენენ. მათ აქვთ რწმენა, რომ გუნდს შეუძლია ერთობლივად საქმის კარგად კეთება და ჯგუფის წევრები ერთობლივად უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე ცალ-ცალკე. ჯგუფის ემოციური ინტელექტი შეეხება ემოციების მიზანმიმართულ მართვას, მათ გამოაშკარავებას, ზედაპირზე გამოტანას და იმის გაგებას, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი გუნდის მუშაობაზე. ემოციური ინტელექტი ნიშნავს კვლევას, ჩართვას და შედეგად მუშაობისას ემოციაზე დაყრდნობას. ის ხელს უწყობს გუნდის შიგნით და გარეთ ურთიერთობების დამყარებას და გამოწვევებთან გამკლავების უნარის გაძლიერებას.

ინტერპერსონალური გაგება და **სხვისი პოზიციიდან დანახვა** ის ორი მეთოდია, რომლითაც ჯგუფები მეტად აცნობიერებენ თავიანთი წევრების პოზიციებსა და გრძნობებს, მაგრამ ამ ემოციების რეგულაციაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი გაცნობიერება. ამ შემთხვევაში ემოციების რეგულაცია ნიშნავს დადებით ზემოქმედებას იმაზე, თუ როგორ გამოიხატება ეს ემოციები და როგორ გრძნობენ თავს ჯგუფის წევრები, გუნდის წევრების რეგულაციის კონსტრუქციულ გზას წარმოადგენს ჯგუფში კონფრონტაციისა და ზრუნვის ნორმების დადგენა. თუ ჯგუფის წევრები გრძნობენ რომ მათზე ზრუნავენ და მათ ემოციურ მდგომარეობას ანგარიშს უწევენ, ისინი უფრო მოტივირებული და პროდუქტიულები არიან. გუნდები ორგანიზაციის საფუძველს ქმნიან და ისინი ეფექტურად ვერ იმუშავებენ ურთიერთნდობისა და დასახული მიზნებისადმი ერთგულების გარეშე, ამიტომ კომპანიის ლიდერებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ ახალი ნორმების დასადგენად ჯგუფებში. ლიდერი რამდენადაც კარგად იცნობს გუნდს, იმის მიხედვით შეუძლია მოქმედება. მზა რეცეპტი ალბათ არ არსებობს, თუ რომელ გუნდს კონკრეტულად რა ნორმები უნდა დავუწესოთ, მაგრამ კვლევევის საფუძველზე შეგვიძლია გარკვეულ დასკვნამდე მივიდეთ – ნებისმიერ გუნდს უბრალოდ დადებითი, წამახალისებელი გარემო სჭირდება შესაძლებლობების გამოსავლენად. ყველაზე წარმატებულები გამოწვევების დროს რეაგირებენ დამოკიდებულებით: ,,შეგვიძლია ამის გაკეთება!''. როდესაც გარეგანი ფაქტორები უარყოფითი ფონის ციკლს ქმნიან ჯგუფის წევრებს შორის, ემოციური ინტელექტის უნარის მქონე ლიდერს შეუძლია ჯგუფში შექმნილი ატმოსფეროს შეცვლა. ამისთვის ის ეწინააღმდეგება ცნობიერს არ დაადანაშაულოს სხვები და ცდილობს დადებითი და კონსტრუქციული განწყობისკენ შემოაბრუნოს ნეგატივის ციკლი.

ემოციურად რთულ სიტუაციაზე ჯგუფის რეაგირების უნარის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ნორმას პრობლემების პროაქტიულ გადაჭრაზე ხაზგასმა წარმოადგენს. გუნდი თვითონ აკონტროლებს საკუთარ ემოციებს, ის უარს ამბობს უმწეობის განცდაზე და ცდილობს პასუხისმგებლობის აღებას. გუნდს შეიძლება ჰყავდეს მაღალკვალიფიციური წევრები, საჭირო რესურსები, მკაფიოდ ფორმუ-ლირებული მისია, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწიოს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯგუფს ემოციური ინტელექტი არ გააჩნია.

ნორმები, რომლებიც ნდობას, ჯგუფის იდენტობას და ჯგუფის ეფექტურობას ქმნის, გუნდის შეკავშირების გასაღებია. ისინი საშუალებას აძლევენ დახვეწილი უნარებისა და რესურსების მქონე გუნდს სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი, ასევე ეხმარებიან გამოწვევების წინაშე მდგარ გუნდს წარმატებების მიღწევაში. მძლავრი ნორმების წყარო შეიძლება იყვნენ გუნდის ფორმალური ლიდერები, არაფორმალური ლიდერები, ტრენინგები ან ორგანიზაციული კულტურა.

ამრიგად, დღეს გამოწვევებით სავსე მსოფლიოში საკუთარი თავის და კომპანიის მართვის საუკეთესო იარაღი ემოციური ინტელექტია, რომლის განვითარებაც და შეძენაც საბედნიეროდ შესაძლებელია. მე შევეცადე მომეძიებინა უახლოესი კვლევები

და წარმატებული კომპანიების ლიდერთა გამოკითხვის შედეგები. მათი განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგად ინტელექტს და ტექნიკურ უნარებს კომპანიის წარმატების მიღწევაში მხოლოდ 20 პროცენტი უჭირავს მაშინ, როცა ემოციურ ინტელექტზე 80 პროცენტი მოდის.

დასკვნა

ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ემოციური ინტელექტი თანამედროვე მენეჯერისთვის აღარ არის დამატებითი, „სასურველი“ თვისება, არამედ ლიდერობის ერთ-ერთი ცენტრალური კომპეტენციაა. დანიელ გოლემანისა და სხვა მკვლევართა შედეგები ცხადყოფს, რომ ტექნიკურ ცოდნასა და ზოგად ინტელექტთან ერთად, სწორედ ემოციური ინტელექტია ის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად შეძლებს ლიდერი გუნდის მართვას კრიზისისა და გაურკვევლობის პირობებში. თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთობლივად უზრუნველყოფს ნდობაზე დაფუძნებულ, ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს, სადაც თანამშრომლები თავისუფლად გამოხატავენ იდეებს და აღიარებენ შეცდომებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ემოციური ინტელექტი ვლინდება არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ დონეზეც – გუნდის საერთო ნორმები, ნდობა და იდენტობის განცდა პირდაპირ განაპირობებს გუნდის პროდუქტიულობასა და გამძლეობას გამოწვევების წინაშე. შესაბამისად, კომპანიებმა, რომლებსაც სურთ გრძელვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა, უნდა იზრუნონ ემოციური ინტელექტის განვითარებაზე, როგორც მუდმივ, სისტემურ პროცესზე – ლიდერების, გუნდებისა და ორგანიზაციული კულტურის დონეზე ერთდროულად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დენიელ გოლმენი, ემოციური ინტელექტი, 2023.
2. https://www.insource.ge/ge/node/518
3. Researchgate.net
4. https://ru.scribd.com/document
5. htttps://www./brightime.com/us/resourses/talent-management/
6. https://www.hbsp.harvard.edu/product/R0103E-PDF-ENG
7. Vanessa Urch Druskat and Stiven B. Wolff , Building the Emotional Intelligent of Groups,2001
8. Goleman, D. (1995). Emotional Intelligence: Why It Can Matter More Than IQ. Bantam Books.
9. Goleman, D. (1998). Working with Emotional Intelligence. Bantam Books.
10. Goleman, D., Boyatzis, R., & McKee, A. (2002). Primal Leadership: Realizing the Power of Emotional Intelligence. Harvard Business School Press.
11. Bar-On, R., & Parker, J. D. A. (Eds.) (2000). The Handbook of Emotional Intelligence. Jossey-Bass/Wiley.
12. Salovey, P., & Mayer, J. D. (1990). Emotional intelligence. Imagination, Cognition and Personality, 9(3), 185–211.
13. Mayer, J. D., & Salovey, P. (1997). What is emotional intelligence? In P. Salovey & D. Sluyter (Eds.), Emotional Development and Emotional Intelligence. Basic Books.
14. Bar-On, R. (2006). The Bar-On model of emotional-social intelligence (ESI). Psicothema, 18, 13–25.
15. Polychroniou, P. V. (2009). Relationship between emotional intelligence and transformational leadership of supervisors. Team Performance Management, 15(7/8).

16. Tang, H.-W. V., Yin, M.-S., & Nelson, D. B. (2010). The relationship between emotional intelligence and leadership practices. Journal of Managerial Psychology, 25(8), 899–926.
17. Boyatzis, R. E., Goleman, D., & Rhee, K. (2000). Clustering competence in emotional intelligence: Insights from the Emotional Competence Inventory.
18. Emerald.com/books/monograph
19. Leadership Alchemy, By Darcia Ann-MarieRoache; Keith D. Walker,2026
20. Emotional Intelligence and Practical Strategies to Enhance Human Skills in aDigital World, By Joanne Irving-Walton, 2026

Fati Shengelia

Emotional Intelligence and Leadership
Summary

This article examines the role of emotional intelligence in leadership. Drawing on Daniel Goleman's theory, it analyzes the five core components of emotional intelligence — self-awareness, self-regulation, self-motivation, empathy, and social skill — and their influence on team management, conflict resolution, and employee retention. The concept of group emotional intelligence is discussed separately, based on the research of Vanessa Urch Druskat and Steven B. Wolff. The article is based on a review of existing research and shows that, alongside general intelligence and technical skills, emotional intelligence makes a significant contribution to a company's success. In conclusion, it is emphasized that emotional intelligence is an acquirable and developable skill that represents a strategic advantage for leaders under conditions of crisis and uncertainty.

Based on the review conducted, it can be said that emotional intelligence is no longer an additional, "desirable" trait for the modern manager, but one of the central competencies of leadership. The findings of Daniel Goleman and other researchers make clear that, alongside technical knowledge and general intelligence, it is precisely emotional intelligence that determines how effectively a leader will be able to manage a team under conditions of crisis and uncertainty. Self-awareness, self-regulation, motivation, empathy, and social skill are closely interconnected and together ensure a trust-based, psychologically safe environment in which employees freely express ideas and acknowledge mistakes. It is also important that emotional intelligence manifests not only at the individual level but also at the group level — a team's shared norms, trust, and sense of identity directly determine the team's productivity and resilience in the face of challenges. Accordingly, companies that wish to maintain competitiveness in the long term must invest in the development of emotional intelligence as a continuous, systemic process — simultaneously at the level of leaders, teams, and organizational culture.

მარინე ცუცქირიძე

მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაში თანამედროვე ეტაპზე

ანოტაცია. *თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცება საქართველოში დამოკიდებულია მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობებზე, ძირითადად მისი საწარმოო და საბაზრო რესურსების არსებობაზე, მეწარმეობის სისტემების ჩამოყალიბება საქართველოში მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელ წინაპირობას და ინტეგრაციული ურთიერთკავშირების გაფართოების საფუძველსაც წარმოადგენს. მეწარმეობის სისტემის განვითარებაში ძირითადი ადგილი უკავია მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოო და მომსახურების ობიექტების წარმოქმნასა და მათი*

ფუნქციონირების შედეგად ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების მიღწევას, რომელიც საბაზრო ურთიერთობების ამ მიმართულებით გარდაქმნის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმეობა, უსაფრთხოება, რესურსები, ინტეგრაცია, საბაზრო, სისტემა, გარდაქმნა.*

შესავალი. საქართველოში ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების განმტკიცებისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან წინაპირობას ბიზნესის სისტემის ინოვაციური განვითარება და მცირე და საშუალო მეწარმეობის როლის გაძლიერება წარმოადგენს.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ძირითადად განაპირობებს საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევას მისი საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისა და მსოფლიო ინტეგრაციული ურთიერთობების დამყარების საფუძველზე. ამავე დროს იგი უკავშირდება ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და მასში ეროვნული ეკონომიკის მონაწილეობის შესაძლებლობას, ასევე საერთაშორისო და ევროკავშირის საბაზრო სივრცეში მონაწილეობისა და ბიზნესის უსაფრთხოების საშუალებათა გამოყენებას საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებისათვის, რაც თანამედროვე საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებისათვის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს.

შინაარსი. მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში საქართველოს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს მეწარმეობის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად ძირითადი როლი მცირე და საშუალო მეწარმეობის ჩამოყალიბებასა და არსებულის გაფართოებას მიეკუთვნება, რომელიც შიდასაბაზრო ურთიერთობების მოწესრიგებისათვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

თანამედროვე ეტაპზე წარმოქმნილი მეწარმეობის საქმიანობა წარმოადგენს საქართველოში არსებული საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე შექმნილი სამეურნეო, საწარმოო და მომსახურების ობიექტების (ფირმების, კომპანიების და ერთობლივი გაერთიანებების), საწარმოო და საბაზრო სამეწარმეო სფეროებისა და დარგების გაერთიანებას მეწარმეობის მცირე, საშუალო და დიდ სისტემებად. ამასთან ერთად მეწარმეობის განვითარება საქართველოში ძირეულად უკავშირდება მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოო ობიექტების წარმოქმნისა და მათ საბაზრო ელემენტებად ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ევროინტეგრაციული ურთიერთობების დამყარების პერიოდისათვის წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელ საფუძველს.

მეწარმეობის პროცესების თანამედროვე პერიოდში განხორციელებისათვის ძირითად საჭიროებას წარმოადგენს მათი საწარმოების ევროინტეგრაციულ და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობა, რომელიც მთავარია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისათვის აუცილებელ საშუალებათა შორის. ამ მიმართულებით არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა აერთიანებს ისეთ ძირეულ ელემენტებს, როგორებიცაა მეწარმეობის მსხვილი ობიექტების, მსხვილი საწარმოო და მომსახურების სისტემების სტიმულირებას საქართველოში მეწარმეობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მიღწევისათვის; მცირე და საშუალო მეწარმეობის საბაზრო ინტეგრაციას, საქართველოს

ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებასა და პერიოდულად წარმოქმნილი ეკონომიკური და სოციალური საფრთხეების დაძლევის მიზნით მათი საწარმოო და საბაზრო სივრცის მოწესრიგებას; მცირე და საშუალო საწარმოთა საშუალებით სახელმწიფოს საბაზრო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობასა და ეკონომიკური გამოწვევების რეალიზების პროცესში მნიშვნელოვანი შედეგებისა და სიახლეების მიღწევას.

აღნიშნულთან ერთად მთავარ პრობლემას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის სისტემის ორგანიზებულობა საწარმოთა თანამედროვე, ინტეგრაციული და ამ პერიოდისათვის აუცილებელი მსოფლიო საბაზრო ურთიერთობების დასამყარებლად. მცირე და საშუალო მეწარმეობის ახალ წარმოებათა ჩამოყალიბების პროცესების განსახორციელებლად საქართველოში ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: ინოვაციური ბიზნესის განვითარებისა და მეწარმეობაში ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა; მეწარმეობის პოტენციალის შესაბამისი უახლესი ინოვაციების წარმოების ათვისება; მცირე და საშუალო ფირმების ფუნქციონირებისათვის საჭირო საწარმოო და ინფორმაციულ, საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება, მათი ინოვაციური საშუალებების გაფართოება და ამ მიზნით ბიზნესგარემოსა და მეწარმეობისათვის აუცილებელი სამეწარმეო და ტექნოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის გამოწვევების ძირეულ საკითხს მეწარმეობის ორგანიზებულობასთან ერთად წარმოადგენს ინოვაციური მეწარმეობის განვითარება და ამ მიზნით მცირე და საშუალო ფირმების სამეწარმეო სისტემების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, მისი საბაზრო არეების წარმოქმნა ერთიან საბაზრო სივრცესთან ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. ამისათვის მიზანშეწონილია მცირე და საშუალო სიდიდის ფირმებისა და ინდივიდუალური სამეწარმეო სისტემების საწარმოო და საბაზრო საქმიანობის გაფართოება, ეროვნული ეკონომიკის აქტიური მდგომარეობის მიღწევისა და საბაზრო გამოწვევების რეალიზებისათვის მათი ორგანიზებულობის ამაღლება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს: 1. ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებისათვის წინაპირობებისა და საწარმოო შესაძლებლობათა წარმოქმნა; 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის სისტემების დანიშნულებათა შორის ძირითადის – ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო მდგომარეობის მიღწევა და მსოფლიო საბაზრო გამოწვევების რეალიზება საქართველოს ეკონომიკის საშუალებით; 3. თანამედროვე ეტაპზე მეწარმეობის მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციონირების შედეგად ეკონომიკის ეფექტიანი საბაზრო ინტეგრაციის შესაძლებლობათა გაფართოება საქართველოში

მეწარმეობის მცირე და საშუალო სისტემების ჩამოყალიბება თანამედროვე ეტაპზე აქტიურად უკავშირდება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას. მათ შორის ძირითადია: მცირე და საშუალო სისტემების საწარმოო და ინფორმაციული უსაფრთხოება; ამ სისტემებში დასაქმებულთა სოციალური უსაფრთხოება, მეწარმეობის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობა, მისი პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების აქტიურ როლზე მიანიშნებს მისი სამეწარმეო კაპიტალისა და შრომითი რესურსების არსებობა, საწარმოო და საბაზრო სივრცისა და გარემოს გამოყენების შესაძლებლობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვის, ასევე ინფორმაციული გარემოსა და

საკონტაქტო სისტემის შექმნის მიზანშეწონილობა და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი ინოვაციების წარმოებისა და სახელმწიფოს სოციალური მიზნების შესრულებისთვის, რომლებიც საქართველოს სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარეობს მეწარმეობის განვითარების აუცილებლობა საქართველოში. ამის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინოვაციური ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების წარმოების ათვისება, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემის მომსახურება, სოციალური თავდაცვისათვის საჭირო პროდუქციის საბაზრო მიწოდების გადიდება და სხვ. აღნიშნულის მიზნით მცირე და საშუალო მეწარმეობის საწარმოო სისტემის წარმოქმნა და ფუნქციონირება, საქართველოს რეგიონებსა და არსებულ საბაზრო სივრცესთან საკომუნიკაციო სისტემის მოწესრიგება საბაზრო გარდაქმნების ერთ-ერთ ძირეულ მიზანს წარმოადგენს.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია: საბაზრო ურთიერთკავშირების დამყარებისათვის საჭირო პროდუქციის მიწოდების გაფართოება, რის შესაძლებლობასაც მცირე და საშუალო მეწარმეობის სისტემები განაპირობებენ. იგი საქართველოს ეკონომიკის განვითარების უფრო მაღალი დონის მისაღწევი და მისი მსოფლიო ინტეგრაციის ერთ-ერთი საფუძველია, ამავე დროს საბაზრო ურთიერთობათა გაფართოებისათვის საჭირო წინაპირობას წარმოადგენს, ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნეს: 1. ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი მდგომარეობა და მისი შენარჩუნება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის; 2. მისი მსოფლიო გამოწვევების რეალიზაცია ეროვნულ ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველზე; 3. ახალი ბიზნესის სისტემების ჩამოყალიბება და არსებულის სამეწარმეო, ორგანიზაციული და მმართველობითი საფუძვლების გაუმჯობესება; 4. მცირე და საშუალო მეწარმეობის რესურსებისა და საწარმოო-ტექნოლოგიური სისტემის ეფექტიანად გამოყენება, საერთაშორისო საბაზრო პროცესებთან მისი დაკავშირება და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და სოციალური დაცვის საშუალებათა მოქმედებაში მოყვანა; 5. ეროვნული ეკონომიკის ძირითადი საბაზრო გამოწვევის-ინოვაციური პროდუქციის წარმოებისათვის ახალი სამეწარმეო სისტემის ჩამოყალიბება და ამით მეწარმეობისათვის აუცილებელ მსოფლიო საბაზრო სივრცეში წარმატებით მონაწილეობა.

მსოფლიო გამოწვევების რეალიზების საფუძვლად მცირე და საშუალო მეწარმეობის სისტემების გამოყენება ძირითადად დაკავშირებულია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნებთან, მისი ძირითადი საბაზრო გამოწვევების, მათ შორის ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საწარმოო და საბაზრო შესაძლებლობებთან, ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და სოციალური განვითარების ტემპების ამაღლებასთან, მცირე და საშუალო მეწარმეობის საწარმოო, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გაუმჯობესების შესაძლებლობასთან.

გლობალიზაციის პროცესში წარმატებით მონაწილეობა და მიზნების განხორციელება შესაძლებელია საქართველოში მეწარმეობის განვითარების, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების საფუძველზე. იგი თანამედროვე ეროვნული ეკონომიკის საბაზრო გამოწვევების რეალიზების დროს ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და მისი მნიშვნელოვანი როლია საქართველოში ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების განმტკიცება თანამედროვე ეტაპზე.

დასკვნა. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მისაღწევ ერთ-ერთ მთავარ საშუალებას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს, რომელიც ეროვნული ეკონომიკის ძირითადი მსოფლიო და საბაზრო გამოწვევათაგანია თანამედროვე ვითარებაში;

მცირე და საშუალო მეწარმეობის აქტიური როლი საქართველოში ძირითადად განპირობებულია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების აუცილებლობით, ასევე საწარმოო და მომსახურების სისტემების ეფექტიანობის ამაღლებისა და სოციალური მიზნების რეალიზების შესაძლებლობით;

მეწარმეობის საბაზრო სისტემის გაფართოების პროცესთან ურთიერთშესაბამისი მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოო სისტემების წარმოქმნა საქართველოში მისი ევრო და მსოფლიო ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, იგი ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების მისაღწევ საშუალებას და ერთ-ერთ ეფექტიან წინამძღვარს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო გამოწვევების თანამედროვე ეტაპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები-ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. პაპავა ვლ., მაღალი ტექნოლოგიური ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი. 2018.
3. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2000.
4. ბერულავა გ., ცუცქირიძე მ., ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022.
5. მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2014.

Marine Tsutskiridze

The role of small and medium-sized enterprises (SMEs) in Georgia's economic security at the current stage

Summary

The paper discusses the role and significance of small and medium enterprise systems in achieving Georgia's economic security at the current stage of national economic development; it explores the development of small and medium entrepreneurship, the utilization of its productive and market potential, the opportunities for global entrepreneurial integration, and the pathways to achieving economic security in Georgia.

ზურაბ წერეთელი

ეკონომიკური ეფექტიანობის გამოწვევა: მიკროეკონომიკური პრობლემები და საბაზრო ჩავარდნების დაძლევის მექანიზმები ქართულ რეალობაში

ანოტაცია. *წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში დეტალურად არის განხილული და გაანალიზებული თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური მიკროეკონომიკური პრობლემები, რომელთა იგნორირებაც იწვევს რესურსების არაეფექტურ განაწილებას და, შესაბამისად, ე.წ. „საბაზრო ჩავარდნებს“ (Market Failures).*

*ასევე დეტალურად არის გაანალიზებული საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული გამოწვევები და მათი გავლენა რესურსების ოპტიმალურ, პარეტო-ეფექტიან განაწილებაზე. შესწავლილია ოთხი ძირითადი მიკროეკონომიკური პრობლემა: **ნეგატიური** და **პოზიტიური** გარე ეფექტები (ექსტერნალიები),*

საზოგადოებრივი სიკეთეების ბუნება, არასრულყოფილი კონკურენციით გამოწვეული მკვდარი დანაკარგები და ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში წარმოქმნილი მორალური საფრთხე და არასასურველი შერჩევა.

განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული აღნიშნული გამოწვევების ტრანსფორმაციაზე თანამედროვე საქართველოს რეალობაში და აანალიზებს ისეთ პრაქტიკულ ქეისებს, როგორიცაა თბილისის ეკოლოგიური პრობლემები, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მორალური საფრთხეები, სავალდებულო პერიოდული ტექინსპექტირება (PTI) და კონკურენციის ეროვნული სააგენტოს როლი საწვავისა და ფარმაცევტულ ბაზრებზე. სტატიაში განხილულია პრობლემების დაძლევის სახელმწიფოებრივი და საბაზრო-ინსტიტუციონალური ინსტრუმენტები, ამავდროულად, გათვალისწინებულია. „სახელმწიფო ჩავარდნის“(Government Failure) რისკები.

თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე დაყრდნობით, ნაშრომში დასაბუთებულია, რომ აბსოლუტურად თავისუფალი და თვითრეგულირებადი ბაზარი ვერ უზრუნველყოფს სოციალურ ოპტიმუმს, რის გამოც აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მიზანმიმართული ეკონომიკური ინტერვენცია. ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია კომპლექსური რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამკაცრებას, პიგუს გადასახადების ოპტიმიზაციას და ინფორმაციული გამჭვირვალობის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: *მიკროეკონომიკა, საბაზრო ჩავარდნა, სახელმწიფოს რეგულირება. ექსტერნალიები, საზოგადოებრივი სიკეთეები, ასიმეტრიული ინფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა, პარეტო-ეფექტიანობა, მონოპოლიური ძალაუფლება,*

შესავალი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური სისტემები დიდწილად ეყრდნობა საბაზრო კაპიტალიზმს, სადაც მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკური ურთიერთქმედება, ფასების სიგნალების მეშვეობით, ახდენს შეზღუდული რესურსების განაწილებას. ადამ სმიტის კლასიკური თეორია „უხილავი ხელის“ (Invisible Hand) შესახებ ამტკიცებს, რომ ინდივიდების მიერ საკუთარი ეგოისტური ინტერესების მაქსიმიზაცია, კონკურენტულ გარემოში, ავტომატურად იწვევს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის უმაღლეს დონეს. კეთილდღეობის

ეკონომიკის პირველი ფუნდამენტური თეორემა სწორედ ამ იდეას აფორმებს მოდელში, სადაც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბაზარი აღწევს პარეტო-ეფექტიანობას — მდგომარეობას, როდესაც შეუძლებელია რომელიმე სუბიექტის მდგომარეობის გაუმჯობესება სხვისი მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

თუმცა, ნეოკლასიკური თეორიის ეს იდეალური მოდელი ეყრდნობა მკაცრ და ხშირად არარეალისტურ დაშვებებს: სრულყოფილ ინფორმაციას, ტრანზაქციული დანახარჯების არარსებობას, აბსოლუტურ კონკურენციასა და საკუთრების უფლებების სრულყოფილ დეფინიციას. რეალურ ეკონომიკაში ეს პირობები ირღვევა, რასაც მიკროეკონომიკურ თეორიაში „საბაზრო ჩავარდნა“ (Market Failure) ეწოდება. როდესაც ბაზარი ვერ ახერხებს სოციალურად ოპტიმალური პროდუქტის წარმოებას, კეთილდღეობის დონე მცირდება და ჩნდება ეფექტიანობის დანაკარგები.

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი (ტრანზიტული) ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, საბაზრო ჩავარდნების იდენტიფიცირება და მათი მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საბაზრო ინსტიტუტების სიმყიფე და სუსტი მარეგულირებელი ჩარჩო ხშირად აძლიერებს მიკროეკონომიკური პრობლემების უარყოფით გავლენას. წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს ამ ჩავარდნების ანატომიის შესწავლა, მათი გრაფიკულ-თეორიული გააზრება და ქართულ პრაქტიკაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების კრიტიკული ანალიზი.

მიკროეკონომიკური პრობლემები ეხება ცალკეული აგენტების (მომხმარებლების, ფირმების) დონეზე არსებულ გამოწვევებს. მათი გადასაჭრელად საჭიროა რესურსების ოპტიმალური განაწილება, კონკურენციის ხელშეწყობა და საბაზრო მექანიზმების (მიწოდება-მოთხოვნის) სწორად გამოყენება. ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები შემდეგია: [1]

მთავარი მიკროეკონომიკური პრობლემები

- **მონოპოლია და არასაკმარისი კონკურენცია:** როდესაც ბაზარზე ერთი დომინანტი მოთამაშეა, ის ზრდის ფასს და ამცირებს ხარისხს.
- **ინფორმაციული ასიმეტრია:** სიტუაცია, როდესაც მყიდველს ან გამყიდველს სრულყოფილ ინფორმაცია არ აქვს პროდუქტზე (მაგ: ფარული დეფექტები).
- **გარე ეფექტები (ექსტერნალიები):** როდესაც წარმოება ან მოხმარება ზიანს აყენებს მესამე პირს (მაგ: გარემოს დაბინძურება ქარხნის მიერ).
- **საზოგადოებრივი სიკეთეების ნაკლებობა:** ისეთი სერვისები, როგორიცაა ქუჩის განათება ან თავდაცვა, რომელთა დაფინანსებაც კერძო სექტორს არ უღირს.

პრობლემების გადაჭრის გზები

- **ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა:** მთავრობა არეგულირებს ან შლის მონოპოლიებს და ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას, რათა ფასები დარჩეს ადეკვატურ ნიშნულზე.
- **გამჭვირვალობის სტანდარტები:** კანონების მიღება, რომელიც ავალდებულებს კომპანიებს პროდუქტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას (ეტიკეტირება, ფინანსური ანგარიშგება), რითაც აღმოფხვრილია ინფორმაციული ასიმეტრია.
- **გადასახადები და სუბსიდიები (გარე ეფექტებისთვის):** „დააბინძურე და გადაიხადე“ პრინციპით სპეციალური გადასახადების დაწესება (მაგ: ემისიებზე) ან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის სუბსიდირება.
- **სახელმწიფოს ჩარევა:** მთავრობა საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს საზოგადოებრივ სიკეთეებს, რათა მოსახლეობამ ისინი უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასად მიიღოს. [1]

დამატებითი რესურსებისა და ცნებებისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ ხანის აკადემიის მიკროეკონომიკის კურსს, სადაც უფრო სიღრმისეულად არის განხილული საბაზრო მექანიზმები. [1]

თემის აქტუალობა: თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მიკროეკონო-მიკური მეცნიერების როლი სცილდება უბრალო აკადემიურ ჩარჩოებს და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების უმთავრეს კომპასად გვევლინება. მიკროეკონომიკა თავისი არსით შეისწავლის ცალკეული სუბიექტების — მომხმარებლების, შინამეურნეობებისა და კონკრეტული ფირმების — ქცევის მოდელებს, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების რაციონალურობასა და ამ გადაწყვეტილებების ურთიერთქმედებას სხვადასხვა ტიპის საბაზრო სტრუქტურებში. კლასიკური და ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლების წარმომადგენლები, ადამ სმითის პერიოდიდან მოყოლებული, ამტკიცებდნენ, რომ თავისუფალი კონკურენციისა და ფასების მოქნილი მექანიზმის პირობებში, ბაზარი „უხილავი ხელის“ (Invisible Hand) მეშვეობით თავად ახდენს რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ განაწილებას, რასაც ეკონომიკურ თეორიაში პარეტო-ეფექტიანობა ეწოდება. თუმცა, რეალური პრაქტიკა, ისტორიული კრიზისები და ემპირიული დაკვირვებები აჩვენებს, რომ იდეალური, აბსოლუტურად სრულყოფილი კონკურენციის პირობები ბუნებაში თითქმის არ არსებობს. შესაბამისად, საბაზრო მექანიზმები ხშირად განიცდიან კრახს, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ოპტიმალურ დონეს და ბადებენ მწვავე სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას. სწორედ ამიტომ, საბაზრო ჩავარდნების მიზეზების კვლევა და მათი იდენტიფიცირება უაღრესად აქტუალურია მყარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში.

კვლევის მიზანი და ამოცანები: წინამდებარე ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი მიკროეკონომიკური პრობლემების სისტემური და მრავალმხრივი ანალიზი, რომლებიც აფერხებენ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას. დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში დასმულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. მონოპოლიური და ოლიგოპოლიური სტრუქტურების ჩამოყალიბების მიზეზების შესწავლა და მათი გავლენის შეფასება ფასწარმოქმნასა და გამოშვების მოცულობაზე.
2. პოზიტიური და ნეგატიური ექსტერნალიების გრაფიკულ-თეორიული გააზრება და იმის ჩვენება, თუ როგორ აშორებს კერძო ოპტიმუმი ბაზარს სოციალური ოპტიმუმისგან.
3. ინფორმაციული ასიმეტრიის ფენომენის, მისი თანმდევი „არასასურველი შერჩევისა“ და „მორალური საფრთხის“ რისკების კვლევა სხვადასხვა სექტორში (განსაკუთრებით სადაზღვევო და საფინანსო ბაზრებზე).
4. საზოგადოებრივი სიკეთეების თვისებრივი მახასიათებლების დადგენა და ე.წ. „უფასოდ მგზავრის“ (Free-rider) პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.
5. მიღებული შედეგების საფუძველზე, სახელმწიფოს ჩარევის დასაბუთებული საზღვრებისა და კონკრეტული ეკონომიკური რეკომენდაციების შემუშავება.

* * *

მონოპოლიზაცია, საბაზრო ძალაუფლება და კონკურენციის დეგრადაცია

სრულყოფილი კონკურენციის იდეალურ თეორიულ მოდელში ბაზარზე წარმოდგენილია მრავალი მცირე ზომის ფირმა, რომელთაგან არცერთს არ გააჩნია

ფასზე გავლენის მოხდენის ბერკეტი, ანუ ისინი არიან „ფასის მიმღებნი“ (Price Takers) და წონასწორობის წერტილში პროდუქტის საბაზრო ფასი უტოლდება მის ზღვრულ დანახარჯს (\(P = MC\)). თუმცა, რეალურ ეკონომიკურ გარემოში კომპანიები მიისწრაფვიან მასშტაბის ეფექტის (Economies of Scale) მიღწევისკენ, რაც ხშირად იწვევს ბაზრების კონცენტრაციას და მონოპოლიების ან ოლიგოპოლიების ჩამოყალიბებას.

როდესაც ბაზარზე ჩნდება დომინანტი სუბიექტი, ის ხდება „ფასის დამდგენი“. მონოპოლიური ძალაუფლების მქონე ფირმა მაქსიმალური მოგების მისაღებად ხელოვნურად ზღუდავს წარმოებისა და გამოშვების მოცულობას იმ ნიშნულამდე, სადაც მისი ზღვრული შემოსავალი ტოლია ზღვრული დანახარჯის (\(MR = MC\)). ვინაიდან მონოპოლისტის მოთხოვნის მრუდი დაღმავალია, ფასი ყოველთვის აჭარბებს ზღვრულ დანახარჯს (\(P > MC\)).

მომხმარებლის დანაზოგის ტრანსფორმაცია: მომხმარებლის კეთილდღეობის ნაწილი იძულებით გადადის მწარმოებლის ზემოგებაში.

წმინდა საზოგადოებრივი დანაკარგი: ფასის ზრდისა და მიწოდების შემცირების გამო, ბაზრიდან გადის მომხმარებელთა ის ნაწილი, რომელიც მზად იყო პროდუქტი რეალურ თვითღირებულებად (MC) შეეძინა. ეს არის დაკარგული ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც არცერთ სუბიექტს არ ხმარდება და პირდაპირ აზიანებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს. გარდა ამისა, კონკურენციის არარსებობა კლავს ინოვაციების მოტივაციას და იწვევს X-არაეფექტიანობას (ფირმის შიდა ხარჯების უსისტემო ზრდას).

გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თეორია და კოაზის თეორემა

მიკროეკონომიკური წონასწორობის კიდევ ერთი მასშტაბური დარღვევა უკავშირდება ექსტერნალიებს — სიტუაციებს, როდესაც წარმოების ან მოხმარების პროცესში გარკვეული დანახარჯები ან სარგებელი გადაეცემა მესამე პირებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ საბაზრო ტრანზაქციაში. განასხვავებენ ნეგატიურ და პოზიტიურ ექსტერნალიებს.

- **ნეგატიური ექსტერნალია:** ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მძიმე მრეწველობის ქარხანა, რომელიც პროდუქციის წარმოებისას აბინძურებს ატმოსფეროს. ქარხნის მფლობელი საკუთარ ბუღალტერიაში ითვალისწინებს მხოლოდ კერძო დანახარჯებს (Private Costs — ნედლეული, ხელფასები, ენერგია). თუმცა, არსებობს გარეშე დანახარჯებიც (External Costs) — მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, ეკოლოგიური ზიანი. როდესაც ამ ორს ვაჯამებთ, ვიღებთ სოციალურ დანახარჯს (\(Social\ Cost = Private\ Cost + External\ Cost\)). ვინაიდან ბაზარი თავისით არ აიძულებს ქარხანას გადაიხადოს გარეშე დანახარჯები, პროდუქტის საბაზრო ფასი ხელოვნურად დაბალია, ხოლო გამოშვების მოცულობა — იმაზე მეტი, ვიდრე საზოგადოებისთვისაა მისაღები. ადგილი აქვს რესურსების ჭარბ განაწილებას მავნე წარმოებებში.
- **პოზიტიური ექსტერნალია:** აღნიშნული პროცესი საპირისპიროდ მუშაობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მეცნიერება ან მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია. მაგალითად, განათლებული ადამიანი სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ საკუთარ თავს (მაღალი ხელფასით), არამედ მთელ საზოგადოებას (ინოვაციებით, კრიმინალის შემცირებით). თუმცა, ვინაიდან ინდივიდები გადაწყვეტილებას მხოლოდ კერძო სარგებლის საფუძველზე იღებენ, ბაზარი აწარმოებს იმაზე ნაკლებ განათლებას ან ჯანდაცვას, ვიდრე ეს სოციალურად ოპტიმალური იქნებოდა (ხდება რესურსების არასაკმარისი განაწილება).

ნეობეკერიანული და ინსტიტუციური ეკონომიკის მიხედვით, ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობაა რონალდ კოაზის თეორემა (Coase Theorem), რომელიც ამტკიცებს, რომ თუ ტრანზაქციული დანახარჯები ნულის ტოლია და საკუთრების უფლებები მკაფიოდ არის დეფინირებული, კერძო მხარეები თავად შეძლებენ მოლაპარაკებას და ექსტერნალიების ინტერნალიზაციას სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე. თუმცა, რეალურ სამყაროში მაღალი ტრანზაქციული ხარჯების გამო კოაზის მოდელი ხშირად ვერ მუშაობს.

ინფორმაციული ასიმეტრია: ასერლოფის მოდელი, არასასურველი შერჩევა და მორალური საფრთხე

კლასიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი დაშვება არის ბაზრის მონაწილეთა სრული ინფორმირებულობა. რეალობაში ინფორმაცია დეფექტური და ასიმეტრიულია — გარიგების ერთ მხარეს ყოველთვის გააჩნია ისეთი ექსკლუზიური ცოდნა ობიექტის შესახებ, რაც მეორე მხარისთვის ხელმიუწვდომელია. ამ ფენომენის ფუნდამენტური კვლევა ეკუთვნის ჯორჯ აკერლოფს თავის ნაშრომში „ლიმონების ბაზარი“ (The Market for Lemons). ინფორმაციული ასიმეტრია ბადებს ორ ქრონიკულ მიკროეკონომიკურ პრობლემას:

1. **არასასურველი შერჩევა (Adverse Selection):** ეს არის გარიგების დადებამდე არსებული (Ex-ante) პრობლემა. მეორადი ავტომობილების ბაზარზე გამყიდველმა იცის, მანქანა ხარისხიანია თუ ე.წ. „ლიმონი“ (დეფექტური). მყიდველმა ეს არ იცის და რისკის დასაზღვევად მზად არის გადაიხადოს მხოლოდ საშუალო ფასი. საშუალო ფასად კარგი მანქანების პატრონები აღარ ყიდიან თავიანთ ქონებას და გადიან ბაზრიდან. შედეგად, ბაზარზე რჩებიან მხოლოდ დეფექტური მანქანები — ხდება ბაზრის თვითდეგრადაცია და კრახი. მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზეც: დაზღვევას ყველაზე აქტიურად ყიდულობენ ფარული ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, რაც ზრდის პოლისის ფასს და ბაზრიდან დევნის ჯანმრთელ ადამიანებს.
2. **მორალური საფრთხე (Moral Hazard):** ეს არის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომი (Ex-post) პრობლემა. როდესაც ადამიანი სრულად აზღვევს საკუთარ ქონებას (მაგალითად, ავტომობილს ქურდობისგან), მისი ქცევის მოდელი იცვლება. ის ხდება ნაკლებად ფრთხილი, ტოვებს მანქანას ღია ან გაუნათებელ ადგილებში, ვინაიდან იცის, რომ შესაძლო ზარალს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს. საფინანსო სექტორში მორალური საფრთხის კლასიკური გამოვლინებაა პრინციპი „ზედმეტად დიდია საიმისოდ, რომ გაკოტრდეს“, როდესაც მსხვილი ბანკები შეგნებულად მიდიან მაღალრისკიან ოპერაციებზე ზემოგების მისაღებად, იმ იმედით, რომ კრიზისის შემთხვევაში სახელმწიფო მათ ბიუჯეტის ხარჯზე გადაარჩენს.[3]

საზოგადოებრივი სიკეთეები და „უფასოდ მგზავრის“ დილემა

წმინდა საბაზრო ეკონომიკა აბსოლუტურად უძლურია ისეთი პროდუქტებისა და სერვისების წარმოებაში, რომლებსაც ეწოდება საზოგადოებრივი სიკეთეები (Public Goods). კერძო სიკეთისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი სიკეთე ხასიათდება ორი განუყოფელი თვისებით:

- **გამოურიცხაობა:** შეუძლებელია ტექნიკურად ან ეკონომიკურად რომელიმე ინდივიდის გამორიცხვა ამ სიკეთის მოხმარებიდან, მიუხედავად იმისა, იხდის თუ არა ის ამაში ფულს. მაგალითად, თუ ქალაქში ფუნქციონირებს გარე განათება

ან შუქნიშნები, კერძო კომპანია ვერ აუკრძალავს მათით სარგებლობას არაგადამხდელ მოქალაქეს.

- **არაკონკურენტულობა:** ერთი დამატებითი ადამიანის მიერ ამ სიკეთის მოხმარება არ ამცირებს სხვა ადამიანების მიერ მისი მოხმარების ხარისხსა და მოცულობას. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ერთი მოქალაქე სუნთქავს სუფთა ჰაერით ან სარგებლობს ქვეყნის თავდაცვის სისტემით, არ აკლებს ამ სიკეთეს სხვა მოქალაქეებს (ზღვრული დანახარჯი დამატებით მომხმარებელზე ნულის ტოლია:

\(MC = 0\)).

ეს თვისებები წარმოშობს ე.წ. „უფასოდ მგზავრის“ ანუ ფრირაიდერის (Free-Rider) პრობლემას.

რაციონალური მომხმარებელი ეკონომიკურად აზრიანად მიიჩნევს, არ გადაიხადოს ფული იმაში, რასაც უფასოდაც მიიღებს, თუ ამას სხვები დააფინანსებენ. ვინაიდან ყველა ინდივიდი ასე ფიქრობს, კერძო ბაზარზე ამ სერვისებზე მოთხოვნა ნულოვანი ხდება. შესაბამისად, კერძო ბიზნესი, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე, არასოდეს დაიწყებს გზების, შუქნიშნების, ქუჩების განათებისა თუ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, რაც იწვევს ამ სტრატეგიული სიკეთეების ტოტალურ დეფიციტს.[4]

მიკროეკონომიკური პრობლემების ანალიზი

ა) გარე ეფექტები (ექსტერნალიები) და ეფექტიანობის დაკარგვა

გარე ეფექტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი სუბიექტის საწარმოო ან სამომხმარებლო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სხვა, გარიგებაში მონაწილეობის არმქონე პირების კეთილდღეობაზე, ისე, რომ ეს გავლენა არ აისახება საბაზრო ფასებში. განასხვავებენ ორ ტიპს:

1. **ნეგატიური ექსტერნალია:** წარმოების ან მოხმარების დროს იქმნება გარე დანახარჯი (MEC). სოციალური ზღვრული დანახარჯი (MSC) არის კერძო (MPC) და გარე დანახარჯების ჯამი:

\(MSC=MPC+MEC\)[8]

ვინაიდან ბაზარი აწარმოებს იქ, სადაც მოთხოვნა (ზღვრული სოციალური სარგებელი — MSB) უტოლდება MPC-ს, მიიღება იმაზე მეტი პროდუქტი, ვიდრე სოციალურად ოპტიმალურია (MSC = MSB). ეს იწვევს ჭარბწარმოებას და მკვდარ დანაკარგს (Deadweight Loss).

2. **პოზიტიური ექსტერნალია:** ვლინდება მაშინ, როდესაც კერძო საქმიანობას მოაქვს დამატებითი სოციალური სარგებელი (MEB). აქ სოციალური სარგებელი (MSB) მეტია კერძო სარგებელზე (MPB):\(MSB=MPB+MEB\) თავისუფალი ბაზარი აწარმოებს წონასწორობაში MPB = MPC, რაც იწვევს არასაკმარის წარმოებასა და მოხმარებას (Underproduction).

ქართული რეალობის ანალიზი:
თბილისის ჰაერის დაბინძურება და სამშენებლო სექტორი

საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ნეგატიური ექსტერნალიის კლასიკური გამოვლინებაა **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ურბანული ქაოსი**. წლების განმავლობაში, სამშენებლო კომპანიები მაქსიმალურად ზრდიდნენ საცხოვრებელი ფართების წარმოებას, რადგან მათი კერძო დანახარჯი (MPC) მოიცავდა მხოლოდ მასალებისა და მუშახელის ხარჯებს. თუმცა, მწვანე ზონების განადგურება,

ინფრასტრუქტურის გადატვირთვა და სამშენებლო მტვერი ქმნიდა უდიდეს გარე დანახარჯს (MEC) თბილისის მოსახლეობისთვის (ჯანმრთელობის გაუარესება, საცობები). ბაზარმა მოახდინა საცხოვრებელი სახლების ჭარბწარმოება სოციალურად ოპტიმალურ რაოდენობაზე მეტად.

მოხმარების ნეგატიური ექსტერნალიის კიდევ ერთი მაგალითია **გაუმართავი ავტოტრანსპორტი**. ინდივიდუალური მძღოლი იღებს გადაწყვეტილებას მართოს კატალიზატორის გარეშე მყოფი ან გამონაბოლქვის მქონე მანქანა, რადგან მისი პირადი დანახარჯი მცირეა, თუმცა სოციალური დანახარჯი (მოსახლეობის მიერ დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა) კატასტროფულია.

საზოგადოებრივი სიკეთეები და „უფასო მგზავრის“ პრობლემა

წმინდა საზოგადოებრივი სიკეთე ხასიათდება ორი თვისებით: **არაგამორიცხვადობითა** (შეუძლებელია ვინმეს მოხმარება აუკრძალო) და **არაკონკურენტულობით** (ერთის მიერ მოხმარება არ ამცირებს სხვის შესაძლებლობებს). ეს იწვევს **„უფასო მგზავრის“ (Free-rider) პრობლემას** — ადამიანები სარგებლობენ სიკეთით, თუმცა მისი დაფინანსებისგან თავს იკავებენ.

ქართული რეალობის ანალიზი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და საზოგადოებრივი სივრცეები

საქართველოში „უფასო მგზავრის“ პრობლემა თვალსაჩინოა **მრავალბინიანი კორპუსების საერთო სივრცეების (სადარბაზოები, ლიფტები, სახურავები) მართვისას**. კორპუსის სახურავის შეკეთება ან ლიფტის რეაბილიტაცია წარმოადგენს ლოკალურ საზოგადოებრივ სიკეთეს ამხანაგობისთვის. ხშირად, პირველი ან მეორე სართულის მაცხოვრებლები უარს აცხადებენ სახურავის ან ლიფტის შეკეთების თანაინვესტირებაზე (ფიქრობენ, რომ მათ ეს არ ეხებათ), თუმცა რეალურად კორპუსის საერთო მდგრადობის გაუმჯობესებით სარგებელს ისინიც იღებენ. კერძო ინიციატივით ამ სიკეთის შექმნა ვერ ხერხდება, რის გამოც თბილისის მუნიციპალიტეტს უწევს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით“ პროექტების 70-90%-იანი თანადაფინანსება, რაც არსებითად საჯარო ინტერვენციაა საბაზრო ჩავარდნის აღმოსაფხვრელად.

არასრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლიური ძალაუფლება

სრულყოფილ ბაზარზე ფასი ზღვრული დანახარჯის ტოლია (P = MC). მონოპოლისტი ან ოლიგოპოლისტი კი აწესებს ფასს P > MC, ზღუდავს გამოშვებას, რითაც ქმნის მკვდარ დანაკარგს (Deadweight Loss) და ამცირებს საერთო კეთილდღეობას.

ქართული რეალობის ანალიზი: ფარმაცევტული ბაზარი და საწვავის კარტელური გარიგებები

საქართველოს მცირე და იზოლირებული ბაზარი ბუნებრივად არის მიდრეკილი მაღალი კონცენტრაციისკენ. ამის მკაფიო მაგალითია **ფარმაცევტული ბაზარი**. წლების განმავლობაში, ბაზარზე დომინირებდა რამდენიმე მსხვილი ჰოლდინგი, რომლებიც ერთდროულად ახდენდნენ მედიკამენტების იმპორტს, საბითუმო და საცალო გაყიდვებს (ვერტიკალური ინტეგრაცია). კონკურენციის ნაკლებობამ გამოიწვია მედიკამენტებზე ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ასტრონომიულად მაღალი ფასების დაწესება.

ანალოგიური პრობლემა იკვეთებოდა **ავტოგასამართი სადგურების (ნავთობ-პროდუქტების) ბაზარზე**, სადაც კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ არაერთხელ გამოიძია და დააჯარიმა მსხვილი კომპანიები შეთანხმებული ფასწარმოქმნისა და კარტელური ნიშნების გამო, რაც მომხმარებლის ხარჯზე ზემოგების მიღების კლასიკური მცდელობაა.

ასიმეტრიული ინფორმაცია: არასასურველი შერჩევა და მორალური საფრთხე

ინფორმაციის ასიმეტრია იწვევს ორ პრობლემას: **არასასურველ შერჩევას** (გარიგებამდე არსებული ფარული ინფორმაცია) და **მორალურ საფრთხეს** (გარიგების შემდგომი ფარული ქცევა).

ქართული რეალობის ანალიზი:
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და მეორადი ავტომობილები

1. **საყოველთაო ჯანდაცვა და მორალური საფრთხე (Moral Hazard):** 2013 წელს საქართველოში „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (UHC) ამოქმედებამ, სადაც სახელმწიფო თითქმის სრულად აფინანსებდა სამედიცინო ხარჯებს, წარმოშვა ძლიერი მორალური საფრთხე როგორც პაციენტების, ისე კლინიკების მხრიდან. პაციენტებს დაეკარგათ სტიმული, ეწარმოებინათ პრევენციული მედიცინა ან ეზრუნათ ჯანმრთელობაზე, რადგან მკურნალობა უფასო გახდა. თავის მხრივ, კლინიკებმა (ინფორმაციული უპირატესობის გამოყენებით) დაიწყეს პროცედურების ხელოვნური გაძვირება და პაციენტებისთვის არასაჭირო გამოკვლევების დანიშვნა (ე.წ. მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა), რამაც სახელმწიფო ბიუჯეტის გადახარჯვა და არაეფექტიანობა გამოიწვია.
2. **მეორადი მანქანების ბაზარი და არასასურველი შერჩევა (Adverse Selection):** საქართველო რეგიონში ავტომობილების რეექსპორტის ჰაბია, თუმცა შიდა ბაზარი ინფორმაციული ასიმეტრიის კლასიკური მაგალითია. გამყიდველებმა იციან მანქანის რეალური ისტორია (ავარიები, აირბაგების არარსებობა), ხოლო მყიდველისთვის ეს დამალულია. ეს იწვევდა ბაზარზე ხარისხიანი მანქანების ფასის დაცემას და უხარისხო, საფრთხის შემცველი მანქანების დომინირებას.

საბაზრო ჩავარდნების დაძლევის მექანიზმები და ქართული რეფორმები

სახელმწიფო ინტერვენცია ეკონომიკური ინსტრუმენტებით მიზნად ისახავს საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრას. ბოლო წლებში საქართველომ ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა.

ა) ფისკალური და ადმინისტრაციული ინსტრუმენტები ექსტერნალიების წინააღმდეგ

- **სავალდებულო პერიოდული ტექინსპექტირება (PTI):** ავტოტრანსპორტის მოხმარების ნეგატიური ექსტერნალიის შესამცირებლად საქართველომ აამოქმედა PTI სისტემა. ეს არის ადმინისტრაციული რეგულაცია (Command-and-Control), რომელიც აიძულებს მძღოლებს მოახდინონ გამონაბოლქვის შიგაინტეგრირება (ინვესტიცია განახორციელონ გამართულ სისტემებში), წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბაზრიდან გადიან.
- **აქციზის გადასახადი:** ნავთობპროდუქტებსა და თამბაქოზე აქციზის მაღალი განაკვეთი მოქმედებს როგორც **პიგუს გადასახადი**. ის ზრდის მავნე პროდუქტების კერძო ფასს, რითაც ამცირებს მათ მოხმარებას სოციალურად მისაღებ დონემდე.

ბ) ანტიმონოპოლიური რეგულირება და რეფერენტული ფასწარმოქმნა

- **თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნა:** 2022 წელს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება თურქეთის ბაზრიდან მედიკამენტების პარალელური იმპორტის დაშვების შესახებ. ამ ნაბიჯმა დაარღვია ადგილობრივი მსხვილი ჰოლდინგების ოლიგოპოლიური ძალაუფლება, გაზარდა კონკურენცია და წამლების ფასი მკვეთრად (ზოგ შემთხვევაში 70-80%-ით) შეამცირა.
- **რეფერენტული ფასების დაწესება:** სახელმწიფომ შემოიღო წამლების მაქსიმალური ფასის ზედა ზღვარი (Price Ceiling). ეს არის პირდაპირი ინტერვენცია ბაზარზე, რათა მონოპოლიური მარჟები შეიზღუდოს და პროდუქტი ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის.

გ) ასიმეტრიის დაძლევა: DRG მოდელი ჯანდაცვაში

- **DRG (დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების) სისტემა:** საყოველთაო ჯანდაცვაში მორალური საფრთხისა და ფასების ხელოვნური ზრდის დასაძლევად, 2022 წლის ბოლოდან საქართველომ შემოიღო DRG მოდელი. ამ სისტემით, სახელმწიფო კლინიკას უხდის არა მათ მიერ დაწერილი ინვოისის მიხედვით, არამედ წინასწარ განსაზღვრულ ფიქსირებულ ფასს კონკრეტულ დიაგნოზზე. ამან კლინიკებს დაუკარგა სტიმული, ხელოვნურად გაზარდონ პროცედურების რაოდენობა, რითაც აღმოიფხვრა ინფორმაციის ასიმეტრიით გამოწვეული საბაზრო ჩავარდნა.

დ) კოუზის თეორემის ლიმიტები საქართველოში

საქართველოში კოუზისეული მიდგომა (მხარეების მიერ მოლაპარაკება სახელმწიფოს გარეშე) ნაკლებად მუშაობს, რადგან **საკუთრების უფლებების დაცვის სასამართლო მექანიზმები** ხანგრძლივი და ძვირია, რაც ზრდის ტრანზაქციულ დანახარჯებს. მაგალითად, თუ მეზობლის ხმაური ან მიშენება აზიანებს მეორე მოქალაქეს, ტრანზაქციული ხარჯების (სასამართლო დავა, ექსპერტიზა) სიმაღლის გამო მხარეები ვერ აღწევენ ოპტიმალურ შეთანხმებას, რაც კვლავაც სახელმწიფოს (მუნიციპალური ინსპექციის) უხეშ ჩარევას მოითხოვს.

დასკვნა და რეკომენდაციები


ზემოაღნიშნული კომპლექსური მიკროეკონომიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად თავისუფალი ბაზრის უდავო უპირატესობებისა ინოვაციებისა და მოტივაციის სტიმულირებაში, იგი დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკურ ოპტიმუმს. საბაზრო ჩავარდნები წარმოადგენს სისტემურ ხარვეზებს, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ, მეცნიერულად დასაბუთებულ და დაბალანსებულ ინტერვენციას.

რესურსების განაწილების ეფექტიანობის ასამაღლებლად და მიკროეკონომიკური კრიზისების პრევენციისთვის შემუშავებულია შემდეგი პოლიტიკური და ინსტიტუციური რეკომენდაციები:

- **ანტიმონოპოლიური ჩარჩოების მოდერნიზაცია:** სახელმწიფო ინსტიტუტებმა (მაგალითად, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტოებმა) მკაცრად უნდა გააკონტროლონ ბაზრების კონცენტრაციის ინდექსები (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი — HHI). საჭიროა კარტელური გარიგებების, ფასების დემპინგისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა. პარალელურად, უნდა გამარტივდეს ბაზარზე შესვლის ბარიერები (ბიუროკრატიის შემცირება, ლიცენზიების ოპტიმიზაცია) ახალი კონკურენტების სტიმულირებისთვის.

- **პიგუს გადასახადებისა და სუბსიდიების ოპტიმიზაცია:** ნეგატიური ექსტერნალიების მქონე სექტორებისთვის (ნახშირბადის ემისიები, ქიმიური ნარჩენები) უნდა დაწესდეს ე.წ. პიგუს გადასახადები (Pigouvian Taxes), რომლებიც ზუსტად გაუტოლდება მიყენებულ გარეშე ზიანს. ეს აიძულებს ფირმებს, მოახდინონ ხარჯების ინტერნალიზაცია. საპირისპიროდ, პოზიტიური ექსტერნალიების მქონე სფეროებს (მწვანე ტექნოლოგიები, განათლება, კვლევა და განვითარება — R&D) უნდა მიეცეთ პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები და საგადასახადო შეღავათები.
- **ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირება ინსტიტუციური გარანტიებით:** სახელმწიფომ კანონმდებლობით უნდა აიძულოს კომპანიები სრული გამჭვირვალობისკენ. ეს მოიცავს პროდუქციის სავალდებულო და დეტალურ ეტიკეტირებას, ფინანსური სექტორისთვის მკაცრი აუდიტორული სტანდარტების (IFRS) დაწესებას და მომხმარებელთა უფლებების დამცველი მექანიზმების შექმნას (მაგ. გარანტიის მინიმალური ვადების კანონით განსაზღვრა), რაც შეამცირებს „არასასურველი შერჩევის“ რისკებს.
- **საზოგადოებრივი სიკეთეების პირდაპირი საბიუჯეტო უზრუნველყოფა:** ვინაიდან კერძო ბაზარი უფასოდ მგზავრის დილემის გამო ვერ აწარმოებს საზოგადოებრივ სიკეთეებს, მათი შექმნა და შენახვა სახელმწიფომ სრულად უნდა აიღოს საკუთარ თავზე. ეს უნდა განხორციელდეს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალური და გამჭვირვალე გადანაწილების გზით, რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური სოციალური სამართლიანობა.

საქართველოს პრაქტიკული მაგალითები ადასტურებს მიკროეკონომიკური თეორიის აქსიომას: თავისუფალი ბაზარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სოციალურ კეთილდღეობას. ტექინსპექტირება, რეფერენტული ფასები და DRG მოდელი იყო სახელმწიფოს აუცილებელი პასუხი საბაზრო ჩავარდნებზე.



ნახ.1.

თუმცა, ქართულ რეალობაში ინტერვენციისას ყოველთვის დგას **„სახელმწიფო ჩავარდნის“ (Government Failure)** რისკი. სახელმწიფო ჩავარდნა სახეზეა მაშინ, როდესაც ბიუროკრატიული კორუფციის, არასაკმარისი კვალიფიკაციის ან არასწორი

სტიმულების გამო, რეგულაცია უფრო დიდ ზიანს აყენებს ეკონომიკას, ვიდრე თავად საბაზრო ჩავარდნა. მაგალითად, წამლებზე ფასების ზედა ზღვრის (რეფერენტული ფასების) არასწორად, ზედმეტად დაბალ დონეზე დაწესებამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული მედიკამენტების ბაზრიდან საერთოდ გაქრობა და დეფიციტი (Shortage).

აქედან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა ბაზრის ადმინისტრაციული ჩანაცვლებისკენ, არამედ გონივრული ინსტიტუციური ჩარჩოების შექმნისკენ, რომლებიც გააძლიერებენ კონკურენციას, შეამცირებენ საინფორმაციო ასიმეტრიას და აიძულებენ კერძო აგენტებს, სოციალური პასუხისმგებლობა საკუთარ ხარჯებში ასახონ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მენქიუ, ნ. გრეგორი(2016). *ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი: თსუ გამომცემლობა (ქართული თარგმანი);
2. ჩიქავა, ლ. (2018). *ეკონომიკური თეორიის პრინციპები (მიკროეკონომიკა).* თბილისი: თსუ გამომცემლობა;
3. ასათიანი, რ. (2021). *თანამედროვე მიკროეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა.* თბილისი: ინოვაცია;
4. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (გასაჯაროებული ანგარიშები ფარმაცევტული და საწვავის ბაზრების მონიტორინგის შესახებ);
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ანგარიშები DRG სისტემისა და საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის შესახებ);
6. Akerlof, George A. (1970). "The Market for 'Lemons': Quality Uncertainty and the Market Mechanism". *The Quarterly Journal of Economics*, 84(3), 488-500;
7. Coase, Ronald H. (1960). "The Problem of Social Cost". *Journal of Law and Economics*, 3, 1-44;
8. Stiglitz, Joseph E., & Rosengard, Jay K. (2015). *Economics of the Public Sector* (4th ed.). W. W. Norton & Company;
9. Mankiw, N. G. (2020). *Principles of Microeconomics* (9th ed.). Cengage Learning;
10. Pindyck, R. S., & Rubinfeld, D. L. (2018). *Microeconomics* (9th ed.). Pearson;
11. Вэриан, Х. Р. (2010). *Микроэкономика. Промежуточный уровень. Современный подход*. Москва: ЮНИТИ;
12. Пиндайк, Р. С., Рубинфельд, Д. Л. (2012). *Микроэкономика*. Москва: Дело;
13. Тарасевич, Л. С., Гребенников, П. И., Леусский, А. И. (2015). *Микроэкономика: Учебник для бакалавров*. Москва: Юрайт.

Zurab Tsereteli

The Challenge of Economic Efficiency: Microeconomic Problems and Mechanisms for Overcoming Market Failures in Georgian Reality

Summary

This scientific paper provides a comprehensive and in-depth analysis of the fundamental microeconomic problems inherent in modern market economic systems, which disrupt the optimal allocation of scarce resources and lead to the phenomenon of "market failures." The research thoroughly examines four critical destabilizing factors: market monopolization, information asymmetry, positive and negative externalities, and the systemic undersupply of public goods. The paper evaluates the profound socio-economic impacts of these inefficiencies on individual consumer welfare as well as overall macroeconomic stability. Drawing upon established theoretical frameworks and empirical

observations, this study demonstrates that an entirely unregulated, laissez-faire market economy cannot inherently achieve social optimum, thereby necessitating strategic government intervention. Ultimately, the paper formulates a complex set of structural recommendations, including the stringent reinforcement of antitrust frameworks, the optimization of Pigouvian taxation, and the institutional promotion of informational transparency.

Keywords: *Microeconomics, Market Failure, Pareto Efficiency, Monopoly Power, Externalities, Information Asymmetry, State Regulation.*

ქეთევან ჭიაბრიშვილი
შალვა კვეზერელი
რუსუდან დალაქიშვილი

ESG მენეჯმენტი საქართველოში: მდგრადი განვითარებიდან მდგრად კონკურენტუნარიანობამდე

ანოტაცია. *თანამედროვე ორგანიზაციების საქმიანობაში მდგრადი განვითარების, სოციალური პასუხისმგებლობის, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და ეფექტიანი კორპორაციული მმართველობის საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. აღნიშნული ცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ESG-ის, - გარემოსდაცვითი (Environmental), სოციალური (Social) და მმართველობითი (Governance) ფაქტორების ინტეგრირება ორგანიზაციის მართვაში. ESG მენეჯმენტი გულისხმობს ორგანიზაციის სტრატეგიულ, ფინანსურ, ოპერაციულ და რისკების მართვის პროცესებში ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც ორგანიზაციის ფინანსურ მდგრადობაზე, ისე მის სოციალურ და გარემოსდაცვით შედეგებზე.*

ნაშრომის მიზანია, საქართველოს ორგანიზაციებში ESG მენეჯმენტის განვითარების შესაძლებლობებისა და ძირითადი გამოწვევების ანალიზი. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ფინანსურ სექტორში მიმდინარე პროცესებს, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს, ESG-ის ანგარიშგების პრაქტიკას, მდგრადი ფინანსების ტაქსონომიასა და ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოებს. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული Sustainable Finance Roadmap მიზნად ისახავს ESG საკითხების ინტეგრირებას ფინანსური ინსტიტუტების გადაწყვეტილების მიღებისა და რისკების შეფასების პროცესებში, ასევე გამჭვირვალობისა და ანგარიშგების გაუმჯობესებას.

ნაშრომში განხილულია ESG მენეჯმენტის ძირითადი შესაძლებლობები: ინვესტიციებსა და ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება, რისკების უფრო ეფექტიანი მართვა, ორგანიზაციის რეპუტაციის გაძლიერება, ინოვაციების ხელშეწყობა, თანამშრომელთა ჩართულობის ზრდა და საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის შესაძლებლობა. ამასთანავე, გამოვლენილია რიგი გამოწვევები, მათ შორის ESG მონაცემების არასაკმარისი ხარისხი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ანგარიშგების ხარჯები, მცირე და საშუალო ორგანიზაციებისთვის შესაბამისობის სირთულე, ESG-ის ფორმალურ პრაქტიკად ქცევის საფრთხე და ორგანიზაციული კულტურის ცვლილების აუცილებლობა.

დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აშშ-ის ESG სისტემის ძირითადი მახასიათებლები, გამოწვევები და საქართველოს ამავე სისტემასთან შედარება წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ESG მენეჯმენტი, საქართველოს ორგანიზაციებისთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც ანგარიშგების ან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინსტრუმენტი, ასევე გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის, რისკების მართვისა და ორგანიზაციული მდგრადობის სტრატეგიული მექანიზმი.

საკვანძო სიტყვები: *ESG, მდგრადი განვითარება, ESG მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა, მდგრადი ფინანსები, სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოსდაცვითი მართვა, რისკების მართვა, საქართველო.*

შესავალი

XXI საუკუნის მეორე ათწლეულიდან ორგანიზაციების წარმატების შეფასების კრიტერიუმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ტრადიციული მენეჯმენტის პირობებში ორგანიზაციის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი ძირითადად მოგება, შემოსავალი, ბაზრის წილი და აქტივების ზრდა იყო, თანამედროვე ბიზნესგარემო ორგანიზაციებისგან გაცილებით ფართო პასუხისმგებლობას მოითხოვს. კომპანიის წარმატება სულ უფრო მეტად უკავშირდება შემდეგ გარემოებებსაც: პასუხისმგებლობის რა ხარისხით იყენებს საწარმო ბუნებრივ რესურსებს, როგორი ურთიერთობა და ქცევა ვლინდება თანამშრომლების მიმართ, რამდენად გამჭვირვალეა გადაწყვეტილებები და რამდენად ეფექტიანად იმართება სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი რისკები.

ამ ცვლილებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიც და შედეგიც ESG კონცეფციის განვითარებაა. ESG სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ESG-ის ცალკეული ელემენტები ბიზნესის პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, მათი ერთიან სისტემად ჩამოყალიბებამ ორგანიზაციების მენეჯმენტში ახალი მიდგომები წარმოქმნა.

ESG-ის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გლობალური კლიმატური ცვლილებების, რესურსების დეფიციტის, სოციალური უთანასწორობის, კორპორაციული სკანდალების, კიბერუსაფრთხოების, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებისა და ინვესტორების მზარდი მოთხოვნების ფონზე. ინვესტორებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რა მოგებას გამოიმუშავებს კომპანია, არამედ ისიც, თუ რა რისკების წინაშე დგას ორგანიზაცია და რამდენად მდგრადია მისი ბიზნესმოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში.

საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულების ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) მიერ მდგრადობასა და კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ახალი სტანდარტების − IFRS S1-ისა (ზოგადი მდგრადობის სტანდარტები) და IFRS S2-ის (გარემოს დაცვითი მდგრადობის სტანდარტები) − შემუშავება და მიღება (IFRS Foundation, 2023). IFRS S1 მოითხოვს მდგრადობასთან დაკავშირებული ისეთი რისკებისა და შესაძლებლობების გამჟღავნებას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ფულად ნაკადებზე, ფინანსებზე ან კაპიტალის ღირებულებაზე. სტანდარტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოთხ სფეროს: მმართველობას, სტრატეგიას, რისკების მართვას, მაჩვენებლებსა და მიზნებს.

ESG-ის განვითარება ასევე მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირის რეგულირების ცვლილებებს; ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სისტემა კომპანიებს ავალდებულებს გაამჟღავნონ ინფორმაცია გარემოსდაცვით და სოციალურ

რისკებზე და თავიანთი საქმიანობის გავლენებზე, რომელიც ადამიანებსა და გარემოს ეხება. 2026 წლის ივლისში ევროკომისიამ ასევე მიიღო გადამოწმებული ESRS სტანდარტები (European Commission, 2026), რომელიც ანგარიშგების პროცესის გამარტივებასა და ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას ისახავს მიზნად.

ზემოაღნიშნული პროცესების ფონზე ESG-ის საკითხი აქტუალური ხდება საქართველოსთვისაც. საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია საერთაშორისო ფინანსურ და სავაჭრო სისტემებში, ევროკავშირთან დაახლოება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა და ფინანსური სექტორის განვითარების ახალი მოთხოვნები, ზრდის ქართული ორგანიზაციების ინტერესს ESG-ის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს. ეროვნული ბანკი 2019 წლიდან მისდევს მდგრადი ფინანსების განვითარების გზამკვლევს (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019), რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ESG ფაქტორების ინტეგრირებაა, ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2025 წელს ეროვნული ბანკის მიერ მეორე მდგრადი ფინანსური ჩარჩო/გზამკვლევის ამოქმედებამ, აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა. ახალი ჩარჩო 2025–2028 წლების პერიოდს მოიცავს და ESG-ის, კლიმატთან და ბუნებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების გაძლიერებას, ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას ითვალისწინებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის კვლევის ძირითადი საკითხია: რა შესაძლებლობებს ქმნის ESG მენეჯმენტი საქართველოს ორგანიზაციებისთვის და რა გამოწვევებმა შეიძლება შეაფერხოს მისი ეფექტიანი დანერგვა?

ნაშრომის მიზანია, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გავცეთ, ESG მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების, საქართველოში არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო ტენდენციების ანალიზის საფუძველზე.

* * *

ESG წარმოადგენს ორგანიზაციის შეფასებისა და მართვის მიდგომას, რომელიც სამ ძირითად განზომილებას აერთიანებს:

Environmental, ანუ, გარემოსდაცვითი მიმართულება – მოიცავს ორგანიზაციის გავლენას გარემოზე. მასში შეიძლება შედიოდეს ენერგიისა და წყლის მოხმარება, ნახშირბადის ემისიები, ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნება, რესურსების ეფექტიანი გამოყენება და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

Social, ანუ, სოციალური მიმართულება – დაკავშირებულია ადამიანებთან და საზოგადოებასთან. აქ შედის შრომითი პირობები, თანამშრომელთა უფლებები, თანასწორობა და მრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მომხმარებელთა დაცვა, ადამიანის უფლებები, ადგილობრივ საზოგადოებებთან ურთიერთობა და სოციალური გავლენა.

Governance, ანუ, მმართველობითი მიმართულება – მოიცავს ორგანიზაციის მართვის ხარისხს. ამ კომპონენტში შედის დირექტორთა საბჭოსა და მენეჯმენტის პასუხისმგებლობა, კორპორაციული გამჭვირვალობა, ეთიკა, ანტიკორუფციული პოლიტიკა, ინტერესთა კონფლიქტების მართვა, შიდა კონტროლი, აუდიტი და რისკების მართვა.

ESG-ის არსი სწორედ ამ სამი მიმართულების ერთმანეთთან დაკავშირებაშია. მაგალითად, გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრებამ შეიძლება ორგანი-

ზაციისთვის ფინანსური რისკი შექმნას; თანამშრომელთა მაღალი დენადობა შეიძლება, სოციალური პრობლემის გარდა, პირდაპირ ფინანსურ დანაკარგადაც იქცეს; სუსტი კორპორაციული მმართველობა კი ზრდის თაღლითობისა და რეპუტაციული რისკების ალბათობას.

ამგვარად, ESG აღარ შეიძლება განიხილებოდეს როგორც, მხოლოდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა. იგი ორგანიზაციის რისკების, სტრატეგიისა და ფინანსური მდგრადობის მართვის სისტემის ნაწილად უნდა იქცეს.

IFRS S1-ის მიდგომაც სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება: ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს მდგრადობასთან დაკავშირებული ის რისკები და შესაძლებლობები, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ფინანსურ პერსპექტივებზე.

ESG-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ისიც არის, რომ იგი, სტრატეგიული მენეჯმენტისგან იზოლირებულად ვერ ფუნქციონირებს.

ორგანიზაციის სტრატეგიაში ESG ფაქტორების ინტეგრირება ნიშნავს, რომ მენეჯმენტმა რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას უნდა უპასუხოს:

- რა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები ემუქრება ორგანიზაციას?
- როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა მოახდინოს ფინანსურ შედეგებზე?
- რა ESG შესაძლებლობები შეიძლება გარდაიქმნას კონკურენტულ უპირატესობად?
- რა რესურსებია საჭირო ESG მიზნების მისაღწევად?
- როგორ უნდა გაიზომოს მიღწეული შედეგი?

ამ თვალსაზრისით, ESG მენეჯმენტი ტრადიციული სტრატეგიული დაგეგმვის გაგრძელებაა, თუმცა უფრო ფართო პერსპექტივით. ორგანიზაციას შეუძლია ESG მიზნები დააკავშიროს ისეთ სტრატეგიულ მაჩვენებლებთან, როგორიცაა ხარჯების შემცირება, პროდუქტიულობის ზრდა, ახალი ბაზრების ათვისება, ინვესტიციების მოზიდვა, მომხმარებელთა ლოიალობა და თანამშრომელთა შენარჩუნება.

მაგალითად, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც გარემოსდაცვითი, ისე ფინანსური მიზანი. ენერგიის მოხმარების შემცირება ამცირებს ზეწოლას გარემოზე და პარალელურად ამცირებს ორგანიზაციის საოპერაციო ხარჯებს; ანალოგიურად, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამა შეიძლება განიხილებოდეს როგორც სოციალური ინიციატივა, მაგრამ მას შეუძლია შეამციროს კადრების გადინება და გაზარდოს პროდუქტიულობა.

ESG-ის ეფექტიანი მენეჯმენტის მთავარი პრინციპი **სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების ბიზნესსტრატეგიასთან დაკავშირებაა**.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საქართველოში ESG-ის ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი ფინანსური სექტორია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მდგრადი ფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე 2017 წლიდან მუშაობს, ხოლო 2019 წელს მდგრადი ფინანსების გზამკვლევის (Sustainable Finance Roadmap) დატვირთვაც შეიძინა, რომლის მიზანსაც მდგრად ფინანსებზე გადასასვლელად ბაზრის მომზადება წარმოადგენს. გზამკვლევის მიმართულებებია: ფინანსური ცნობიერების ამაღლება, მდგრად სექტორებში კაპიტალის მიმართვა, ESG-ის ინტეგრირება რისკების მართვაში და ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. საქართველოს ფინანსურ სექტორში ESG-ის ინტეგრირება კორპორაციული მართვის მოთხოვნებშიც აისახა. კომერციული ბანკებისთვის ESG საკითხების გათვალისწინება სტრატეგიული მართვის ნაწილია და ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ ESG საკითხები თავიანთ საქმიანობაში.

რაც შეეხება კომერციული ბანკებს, მათთვის ESG ანგარიშგების მოთხოვნები მოქმედებს და ბანკები ESG ფორმებს 2021 წლიდან ავსებენ. ეროვნული ბანკის მონაცემებით, აღნიშნული ფორმების გამოყენება ანგარიშგების გამჭვირვალობისა და შედარებითობის გაუმჯობესებას ემსახურება. საქართველოში ასევე შემუშავებულია **მდგრადი ფინანსების ტაქსონომია**, რომლის მიზანია მდგრადი, მწვანე და სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიცირება. ტაქსონომია ორგანიზაციებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს ეხმარება განსაზღვრონ, რომელი ეკონომიკური საქმიანობა აკმაყოფილებს მდგრადობის შესაბამის კრიტერიუმებს.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა ESG რეკომენდაციებიც გამოაქვეყნა. აღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავებულია „ორმაგი მატერიალურობის“ პერსპექტივით და მიზნად ისახავს ფინანსურ ინსტიტუტებში ESG რისკებისა და შესაძლებლობების უკეთეს ინტეგრირებას.

2025 წელს მიღებული მეორე, მდგრადი ფინანსების გზამკვლევი (Sustainable Finance Roadmap) კი უკვე შემდეგ ეტაპზე გადასვლას გულისხმობს. ის ორიენტირებულია არსებული რეგულაციებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებაზე, შესრულების მონიტორინგზე, ხარვეზების გამოვლენასა და ორგანიზაციების ESG შესაძლებლობების გაძლიერებაზე. შესაბამისად, საქართველოში ESG თანდათან ყალიბდება არა როგორც ცალკეული კორპორაციული ინიციატივა, არამედ როგორც ორგანიზაციული მართვის სისტემის ნაწილი.

ESG მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და ინვესტორები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ორგანიზაციის მდგრადობის პროფილს. შესაბამისად, ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს ESG რისკების ეფექტიანი მართვა, მდგრად დაფინანსებაზე შესაძლოა გაცილებით ფართო წვდომა ჰქონდეს. საქართველოს მდგრადი ფინანსების ტაქსონომია სწორედ ასეთი შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს. იგი ქმნის საერთო კლასიფიკაციის სისტემას და ხელს უწყობს მდგრადი ფინანსების ბაზრის განვითარებას.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ESG მენეჯმენტის მეორე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რისკების მართვის გაუმჯობესებაა.

ტრადიციული რისკების მართვის სისტემა შესაძლოა ვერ ითვალისწინებდეს ისეთ გრძელვადიან ფაქტორებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რესურსების დეფიციტი, სოციალური დაძაბულობა ან რეპუტაციული რისკი. ESG მიდგომა ამ ფაქტორებს ორგანიზაციის რისკების მართვის სისტემაში აერთიანებს.

მაგალითად, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტურიზმისა და სხვა სექტორების საქმიანობაზე. შესაბამისად, ESG ფაქტორების შეფასება ორგანიზაციას ეხმარება არა მხოლოდ არსებული რისკების იდენტიფიცირებაში, არამედ მომავალი სცენარებისთვის მომზადებაში.

ESG-მიდგომა შესაძლოა ორგანიზაციისთვის კონკურენტული უპირატესობის წყაროდ იქცეს. მომხმარებლები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან პროდუქტისა და მომსახურების წარმოების პირობებით. შესაბამისად, ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებლობით იქცევა თანამშრომლების, მომხმარებლებისა და გარემოს მიმართ, ბუნებრივია, უფრო მაღალი ნდობით ისარგებლებს.

ESG-ის ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდულ მომხმარებელთა ჯგუფებში, რომელთა ნაწილისთვის კომპანიის ღირებულებები პროდუქტის არჩევის პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თანამედროვე ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებში ორგანიზაციის რეპუტაცია მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივია. კორპორაციული ეთიკისა და თანამშრომელთა უფლებების დარღვევა ან გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეიძლება ორგანიზაციისთვის ფინანსურ დანაკარგშიც გადაიზარდოს; შესაბამისად, ESG მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც რეპუტაციული რისკის მართვის ინსტრუმენტიც. ცალსახაა, რომ ESG მენეჯმენტი ორგანიზაციებს ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების განვითარებისკენაც უბიძგებს, რადგან, ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, ნარჩენების შემცირება, ციფრული პროცესები, რესურსების ოპტიმიზაცია და სოციალური ინოვაციები შეიძლება ერთდროულად ამცირებდეს გარემოზე ზეწოლას და ზრდიდეს ბიზნესის ეფექტიანობას.

საერთაშორისო გამოცდილება და შედარებითი ანალიზი. საქართველოში მიმდინარე პროცესების უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია მათი შედარება საერთაშორისო პრაქტიკასთან. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებით ჩანს, რომ რეგიონების მიხედვით ESG მენეჯმენტის განვითარების ტემპი, მარეგულირებელი მიდგომა და კორპორაციული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. 2025-2026 წლებში განსხვავებები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა: ევროკავშირმა აირჩია თანდათანობითი გამარტივებით მარეგულირებელი ლიდერობის გზა; აშშ-ში ESG-სთან დაკავშირებული ინიციატივები პოლიტიკურად პოლარიზებული და ცვალებადი გახდა, ხოლო აზიის ქვეყნების ნაწილი, სავალდებულო რეგულაციების დანერგვას აჩქარებდა (Morrison Foerster, 2026; Freshfields, 2026).

რას ნიშნავს ევროკავშირის მარეგულირებელი ლიდერობა და მისი კორექტირება?

ევროკავშირს მსოფლიოში ყველაზე ყოვლისმომცველი ESG მარეგულირებელი ჩარჩო აქვს. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივამ (CSRD) ანგარიშგების ვალდებულება თანდათანობით რამდენიმე ათეულ ათასამდე კომპანიაზე გაავრცელა და მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის რეგულაციასთან ერთად, გარემოსდაცვითი მდგრადობის განსაზღვრის პირველი ერთიანი სტანდარტი ჩამოაყალიბა (Kim, 2026). ამასთანავე 2025-2026 წლებში ევროკომისიის ეგრეთ წოდებულმა „ომნიბუს" პაკეტმა ანგარიშგების მოცულობისა და ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებაზე მიმართული ცვლილებები შემოიტანა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ევროპულ დონეზეც პროპორციულობისა და პრაქტიკულობის საკითხი აქტუალურია (ESGsource, 2026).

ევროპული კომპანიების პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია დანიური ენერგეტიკული კომპანია Ørsted-ის (ყოფილი DONG Energy) ტრანსფორმაცია. 2000-იანი წლების (რომელი პერიოდი მოიახრება − XXI საუკუნის დასაწყისი ?????? ეგებ ასე დავწეროთ) ბოლოს, კომპანია ერთ-ერთი ყველაზე ნახშირბადტევადი ენერგოკომპანია იყო ევროპაში, თუმცა შემდგომში მენეჯმენტმა გადაწყვიტა ბიზნესმოდელის რადიკალური გარდაქმნა და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული საქმიანობა განახლებადი ენერგიის მიმართულებით შეცვალა (UN Global Compact, 2023). ეს პროცესი ორგანულად უკავშირდებოდა კომპანიის მმართველობის სისტემასაც: მენეჯერების პასუხისმგებლობა და მიზნები უშუალოდ დაუკავშირდა დეკარბონიზაციის მაჩვენებლებს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭომ მუდმივი ზედამხედველობა დაამყარა კლიმატთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე (ESG News, 2025). Ørsted-ის მაგალითი ცხადყოფს, რომ ESG შეიძლება იქცეს არა მხოლოდ რისკის შემცირების, არამედ ბიზნესმოდელის ტრანსფორმაციისა და ახალი ბაზრის ათვისების ინსტრუმენტად.

რაც შეეხება სინგაპურის DBS ბანკს: საქართველოსთვის, სადაც ESG-ის ინსტიტუციონალიზაცია პირველ რიგში საბანკო სექტორში მიმდინარეობს, განსაკუთრებით საინტერესოა აზიური საბანკო სექტორის მაგალითები. სინგაპურის უმსხვილესი ბანკი DBS ერთ-ერთი პირველი ფინანსური ინსტიტუტია აზიაში, რომელმაც მდგრადი და გარდამავალი დაფინანსების ჩარჩო და ტაქსონომია გამოაქვეყნა და ყველაზე შემოსავალტევადი დარგებისთვის ემისიების შემცირების კონკრეტული სამიზნეები დაადგინა (DBS Bank, 2025). ამასთან, ბანკმა შეიმუშავა მცირე და საშუალო ბიზნესზე მორგებული, ეტაპობრივი „ESG Ready" პროგრამა, რომელსაც კომპანიები, მათი მზაობის დონის შესაბამისად, სწავლებიდან და ნახშირბადის აღრიცხვიდან მდგრადი დაფინანსების პროდუქტებამდე მიჰყავს (OECD, 2025). აღნიშნული მიდგომა პრაქტიკულად განასახიერებს პროპორციულობის იმ პრინციპს, რომელსაც ნაშრომში საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოვიაზრებთ.

აშშ-ის პოლიტიზებული და არაერთგვაროვანი მიდგომა. ბოლო წლებში, ევროპული და აზიური ESG სისტემისგან განსხვავებით, აშშ-ში ESG დღის წესრიგი პოლიტიკურად პოლარიზებული გახდა. ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გამჭვირვალობის წესების ამოქმედება შეაჩერა, ხოლო ფედერალურ დონეზე ESG-სთან დაკავშირებული ინიციატივებისადმი მზარდი სკეპტიციზმი შეინიშნება (KEY ESG, 2026; Morrison Foerster, 2026). ამასთან აშშ-ის ბაზარზე მოქმედი ინსტიტუციური ინვესტორები კვლავ ყურადღებას აქცევენ მდგრადობის რისკებს, თუმცა უფრო შერჩევითი, ბიზნესის ღირებულებასთან პირდაპირ დაკავშირებული სტრატეგიით (Morrison Foerster, 2026). აშშ-ის მაგალითით ჩანს, რომ ESG-ის განვითარება ხისტად წრფივი პროცესი არ არის და მასზე მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკური კონტექსტიც ახდენს.

საქართველოსთვის ყველაზე მეტად რელევანტური შესაძლოა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნების გამოცდილება იყოს, რომლებიც ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის მსგავს ეტაპზე იმყოფებიან. მაგალითად, პოლონეთში CSRD-ის ტრანსპოზიციის შედეგად ანგარიშგების ვალდებულება ეტაპობრივად, უმსხვილესი კომპანიებით (All for One Poland, 2024) დაწყებული, ათასობით კომპანიაზე გავრცელდა. ამასთანავე პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მაგალითით ჩანს, რომ „ომნიბუს" პაკეტის ფარგლებში ევროკომისიამ მცირე და საშუალო ბიზნესზე დაწესებული ანგარიშგების ვადები გადაავადა, ამით კომპანიებს მონაცემთა შეგროვებისა და შიდა შესაძლებლობების გაძლიერებისთვის დამატებითი დრო მიეცათ (BPiON, 2025). ეს გამოცდილება პირდაპირ თანხვედრაშია ნაშრომში აღწერილ საქართველოს გამოწვევებთან, კერძოდ, მონაცემთა ხარისხისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტთან.

ცხრილი 1

ESG მენეჯმენტის მიდგომების შედარება რეგიონების მიხედვით

რეგიონი/ქვეყანა	მარეგულირებელი მიდგომა	წამყვანი მაგალითი	მთავარი გამოწვევა
ევროკავშირი	სავალდებულო, ორმაგი მატერიალურობა (CSRD/ESRS); 2025–2026 წლებში გამარტივების ტენდენცია	Ørsted (დანია) — ბიზნესმოდელის ტრანსფორმაცია განახლებად ენერგეტიკაზე	ადმინისტრაციული ტვირთი და ხარჯები, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისთვის
აზია (სინგაპური)	ეტაპობრივი	DBS Bank — მდგრადი და	ბაზრის სწრაფი

	სავალდებულო გამჟღავნება მსხვილი კომპანიებისთვის + ნებაყოფლობითი, პროპორციული მხარდაჭერა SME-სთვის	გარდამავალი დაფინანსების ჩარჩო	ზრდის ტემპთან რეგულაციური ინფრასტრუქტურის შესაბამისობა
აშშ	ძირითადად ნებაყოფლობითი და საბაზრო, პოლიტიკურად პოლარიზებული	კორპორაციული კლიმატის ვალდებულებები, არაერთგვაროვანი ფედერალური პოლიტიკის ფონზე	რეგულაციური განუსაზღვრელობა და პოლიტიკური რისკი
ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპა	CSRD-ის ეტაპობრივი ტრანსპოზიცია, SME-სთვის ვადების გადავადება	პოლონეთის მსხვილი კომპანიები (ანგარიშგება 2024–2025 წლებიდან)	კომპლექსურობა და ხარჯები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის
საქართველო	ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობით, ძირითადად ფინანსური სექტორის ჩარჩო და ტაქსონომია	კომერციული ბანკები (ESG ანგარიშგების ფორმები 2021 წლიდან)	კვალიფიციური კადრებისა და მონაცემების დეფიციტი, ფორმალიზაციის რისკი

წყარო: საავტორო.

ცხრილში წარმოდგენილი შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოს გამოცდილება ბევრად ჰგავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის განვითარებადი ბაზრების მიდგომას, ვიდრე დასავლეთ ევროპის მოწიფულ მოდელს: მარეგულირებელი პროცესი ძირითადად ფინანსური სექტორიდან იწყება, სავალდებულო მოთხოვნები ეტაპობრივად ფართოვდება და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს. ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს ორ მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორს: პირველი, ESG-ის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ რეგულაციაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად არის იგი ინტეგრირებული კომპანიის ბიზნესმოდელსა და მმართველობის სისტემაში, როგორც ეს Ørsted-ის მაგალითზე ჩანს; მეორე, გადაჭარბებულმა და არაპროპორციულმა მოთხოვნებმა შეიძლება გამოიწვიოს რეგულაციური დაღლილობა და პოლიტიკური წინააღმდეგობა, როგორც ეს ევროკავშირისა და აშშ-ის მაგალითებით ვნახეთ. შესაბამისად, საქართველოსთვის, სავარაუდოდ, ყველაზე მდგრადი გზა სინგაპურის მსგავსი, ეტაპობრივი და პროპორციული მოდელია, რომელიც სავალდებულო მოთხოვნებს მსხვილი, სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტებით იწყებს და დროთა განმავლობაში ეკონომიკის სხვა სექტორებსაც თანდათანობით მოიცავს.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, საქართველოში ESG მენეჯმენტის ფართოდ დანერგვას რამდენიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება ახლავს.

რამდენადაც ESG მენეჯმენტი ინტერდისციპლინური სფეროა, იმდენად, მას სჭირდება მენეჯმენტის, ფინანსების, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, შრომითი ურთიერთობების, რისკების მართვისა და ანგარიშგების პროფესიული ცოდნა. ამ მხრივ, საქართველოს ორგანიზაციებში ამ სფეროს სპეციალიზებული კადრების ნაკლებობა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება. გამოსავალი ორგანიზაციებისთვის თანამშრომელთა გადამზადება და ESG კომპეტენციების განვითარებაა.

ESG-ის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია ხარისხიანი მონაცემების გარეშეც, ამიტომ ნებისმიერმა ორგანიზაციამ უნდა შეძლოს და გაზომოს: ენერგიის მოხმარება, ნახშირბადის ემისიები, ნარჩენების მოცულობა, თანამშრომელთა დენადობა, ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობა მენეჯმენტში, შრომითი უსაფრთხოების მაჩვენებლები, მომხმარებელთა საჩივრები, კორპორაციული მართვის მაჩვენებლები. სამწუხაროდ, საქართველოში ორგანიზაციებში ასეთი მონაცემები ჯერ სისტემატურად არ გროვდება. გაზომვადი ხარჯების აღრიცხვის შემდეგ, აუცილებელია, ESG ანგარიშგების მომზადება, რომელიც ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთანაა დაკავშირებული.

მონაცემთა შეგროვება, აუდიტი, კონსულტანტების მომსახურება, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა და თანამშრომელთა გადამზადება განსაკუთრებით მძიმე ტვირთი და ვალდებულება შეიძლება იყოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ჩვენი აზრით, ამიტომაა მნიშვნელოვანი სრული საწარმოო პროცესისადმი პროპორციული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციის ზომისა და შესაძლებლობების შესაბამისად ESG-ის მოთხოვნების მასშტაბი წინასწარ განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ანგარიშგების გამარტივების ტენდენცია საერთაშორისო პრაქტიკაშიც შეინიშნება. 2026 წლის ივლისში, ევროკომისიამ გადახედილი ESRS სტანდარტები მიიღო, რომელთა ერთ-ერთი მიზანი ანგარიშგების ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებაა, თუმცა ESG-ის ფორმალურ პროცედურად ქცევა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რისკია. ნებისმიერმა ორგანიზაციამ შეიძლება მოამზადოს გამართული ESG ანგარიში ისე, რომ რეალურად არც შეეხოს მართვის სისტემაში განსახორციელებელ ცვლილებებს.

ამ შემთხვევაში ESG გადაიქცევა ე.წ. „greenwashing“-ის ან უფრო ფართოდ „ESG-washing“-ის ინსტრუმენტად, როდესაც ორგანიზაცია საკუთარ პასუხისმგებლიანობას რეალურ შედეგებზე მეტად წარმოაჩენს.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ESG მაჩვენებლების დაკავშირება რეალურ შედეგებთან და მათი დამოუკიდებელი შემოწმების მექანიზმების განვითარება.

მნიშვნელოვანია, ვთვათ, რომ ESG-ის დანერგვა მხოლოდ ახალი დოკუმენტის ან პოლიტიკის მიღებას არ ნიშნავს; ის ორგანიზაციული კულტურის ცვლილებას მოითხოვს. თუ მენეჯმენტი ESG-ს აღიქვამს მხოლოდ ანგარიშგების ვალდებულებად, თანამშრომლებიც ვერ აღიქვამენ მას ორგანიზაციის საერთო ღირებულებად.

ამდენად, ESG უნდა გახდეს ორგანიზაციის ყოველდღიური გადაწყვეტილებების ნაწილი, დაწყებული შესყიდვებიდან და ადამიანური რესურსების მართვიდან, დასრულებული ინვესტიციებითა და პროდუქტის განვითარებით. ამგვარი პოლიტიკის გატარება კი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

საქართველოს ორგანიზაციებისთვის ESG მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემა შეიძლება რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპად ჩამოყალიბდეს.

პირველი ეტაპია ESG დიაგნოსტიკა – ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს არსებული მდგომარეობა: რა ESG პოლიტიკა აქვს, რა მონაცემები გროვდება, რა რისკები არსებობს და სად არის ძირითადი ხარვეზები.

მეორე ეტაპია მატერიალური საკითხების განსაზღვრა – ESG-ის მიმართულებები, ყველა ორგანიზაციისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის. მაგალითად, საწარმოო კომპანიისთვის გარემოსდაცვითი საკითხები შეიძლება განსაკუთრებული

მნიშვნელობის მქონე იყოს, ხოლო ტექნოლოგიური კომპანიისთვის – მონაცემთა დაცვა, თანამშრომელთა განვითარება და კორპორაციული მმართველობა.

მესამე ეტაპია ESG-ის სტრატეგიასთან დაკავშირება – ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და მასზე პასუხისმგებელი პირები.

მეოთხე ეტაპი, ანუ KPI-ების განსაზღვრა ნიშნავს, რომ ESG მიზნები გაზომვადი იყოს. მაგალითად:

- ენერგიის მოხმარების 10%-ით შემცირება;
- თანამშრომელთა გადინების შემცირება;
- ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა მენეჯერულ პოზიციებზე;
- შრომითი უსაფრთხოების ინციდენტების შემცირება;
- ნარჩენების გადამუშავების წილის ზრდა.

მეხუთე ეტაპია ანგარიშგება და მონიტორინგი – ორგანიზაციამ რეგულარულად უნდა შეაფასოს მიღწეული შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს სტრატეგია.

მეექვსე ეტაპი, ანუ მუდმივი გაუმჯობესება, ნიშნავს, რომ ESG მენეჯმენტი არ უნდა იყოს ერთჯერადი პროექტი. გარემო, რეგულაციები, ტექნოლოგიები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები იცვლება, ამიტომ ორგანიზაციამ საკუთარი ESG პოლიტიკა მუდმივად უნდა განაახლოს.

საქართველოს ორგანიზაციებში ESG მენეჯმენტის განვითარებისათვის მიზანშეწონილია რამდენიმე მიმართულების გაძლიერება.

პირველ რიგში, აუცილებელია ESG კომპეტენციების განვითარება – უნივერსიტეტებმა, პროფესიულმა საგანმანათლებლო ცენტრებმა და ბიზნესორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ESG მენეჯმენტის, მდგრადი ფინანსების, კლიმატური რისკებისა და მდგრადი ანგარიშგების მიმართულებები.

მეორე მიმართულებაა ციფრული ESG მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება – ორგანიზაციებმა უნდა შექმნან ისეთი საინფორმაციო სისტემები, რომლებიც ESG მონაცემების ავტომატურ ან ნახევრად ავტომატურ შეგროვებასა და ანალიზს უზრუნველყოფს.

მესამე რეკომენდაციაა ESG-ის ინტეგრირება რისკების მართვის სისტემაში – ESG საკითხები არ უნდა არსებობდეს ცალკე, მენეჯმენტის სხვა პროცესებისგან მოწყვეტილ გარემოებებად.

მეოთხე მიმართულებაა *მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა* – ESG-ის საერთაშორისო მოთხოვნების სრულად დანერგვა მცირე ორგანიზაციებისთვის შესაძლოა რთული იყოს, ამიტომ საჭიროა მარტივი, *პროპორციული* და პრაქტიკული ინსტრუმენტების შემუშავება.

მეხუთე რეკომენდაციაა, გამჭვირვალობის გაზრდა – ორგანიზაციებმა თავიდან უნდა აიცილონ მხოლოდ დადებითი ინფორმაციის გამოქვეყნება. მდგრადობის ანგარიშგება სანდო იქნება მაშინ, როდესაც იგი ორგანიზაციის მიღწევებთან ერთად არსებულ პრობლემებსა და რისკებსაც ასახავს.

მეექვსე მიმართულებაა ESG-ის დაკავშირება მენეჯერთა პასუხისმგებლობასთან – თუ ESG მიზნების შესრულებაზე კონკრეტული მენეჯერები და სტრუქტურული ერთეულები არ არიან პასუხისმგებელი, მათი განხორციელება ხშირად ფორმალურ ხასიათს მიიღებს.

ESG მენეჯმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის მხოლოდ რეგულაციების შესრულებით არ შემოიფარგლება.

საქართველოს ეკონომიკის მცირე ზომისა და საერთაშორისო კაპიტალზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობა, შესაძლოა, ქვეყნის ორგანიზაციებისთვის კონკურენტული უპირატესობის წყარო გახდეს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზართან დაახლოების პროცესი. ევროკავშირის კომპანიებისთვის მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობის ზრდა ავტომატურად ზრდის ESG მოთხოვნების მნიშვნელობას იმ კომპანიებისთვისაც, რომლებიც ევროპულ კომპანიებთან ღირებულების ჯაჭვში არიან ჩართული. ევროკავშირის მდგრადობის ანგარიშგების სისტემა სწორედ რისკების, შესაძლებლობებისა და ორგანიზაციის გავლენის გამჭვირვალობის გაზრდას ემსახურება.

ამიტომ ESG შეიძლება გახდეს ქართული კომპანიების საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი; ამასთან, ESG-ის განვითარება ხელს უწყობს საქართველოში მენეჯმენტის ხარისხის ზოგად გაუმჯობესებას. როდესაც ორგანიზაცია იწყებს საკუთარი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი შედეგების სისტემურ *გაზომვას*, იგი იძულებული ხდება უფრო მკაფიოდ განსაზღვროს პასუხისმგებლობები, პროცესები და სტრატეგიული მიზნები. ამ თვალსაზრისით ESG შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც მდგრადობის ინსტრუმენტი, არამედ როგორც თანამედროვე მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი.

დასკვნა

ESG მენეჯმენტი თანამედროვე ორგანიზაციების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისა და მართვის პროცესში ფინანსურ შედეგებთან ერთად გათვალისწინებული იყოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორები.

ნაშრომის ანალიზში ჩანს, რომ ESG-ის მნიშვნელობა განპირობებულია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის ზრდით, არამედ მისი პირდაპირი კავშირით ორგანიზაციის ფინანსურ მდგრადობასთან, რისკების მართვასთან, რეპუტაციასა და კონკურენტუნარიანობასთან.

საქართველოს შემთხვევაში, ESG მენეჯმენტის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობები უკვე შექმნილია ფინანსურ სექტორში. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განავითარა მდგრადი ფინანსების ჩარჩო (Sustainable Finance Roadmap), ESG ანგარიშგების მექანიზმები, მდგრადი ფინანსების ტაქსონომია და ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოები. 2025 წელს მიღებული მეორე გზამკვლევი/ჩარჩო კიდევ უფრო აძლიერებს ESG-ის ინტეგრირების მიმართულებას.

ფინანსურ სექტორში მიღწეული პროგრესის პარალელურად, მნიშვნელოვანია ESG მენეჯმენტის გავრცელება ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებშიც.

საქართველოს ორგანიზაციებისთვის, ESG ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს: ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესებას, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გამარტივებას, რისკების უკეთ მართვას, რეპუტაციის გაძლიერებას, ინოვაციების ხელშეწყობასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ამავე დროს, არსებობს სერიოზული გამოწვევები: ESG კომპეტენციების ნაკლებობა, მონაცემთა არასაკმარისი ხარისხი, ანგარიშგების დაუზუსტებელი ხარჯები, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაბამისობის სირთულე და ESG-ის ფორმალურ პრაქტიკად ქცევის საფრთხე; შესაბამისად, საქართველოს ორგანიზაციებისთვის

მთავარი ამოცანა ESG-ის უბრალოდ „დანერგვა“ კი არ უნდა იყოს, არამედ მისი ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილად გარდაქმნა.

ESG-ის წარმატებული მენეჯმენტი გულისხმობს არა მხოლოდ ანგარიშის მომზადებას, არამედ გადაწყვეტილებების მიღების სისტემურ ცვლილებას: რა საქმიანობაში აბანდებს ორგანიზაცია რესურსებს, როგორ მართავს თანამშრომლებს, როგორ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, როგორ იცავს მომხმარებელთა ინტერესებს და რამდენად გამჭვირვალედ მოქმედებს.

საბოლოოდ, ESG შეიძლება განვიხილოთ როგორც საქართველოს ორგანიზაციებისათვის არა მხოლოდ ახალი რეგულაციური მოთხოვნა, არამედ გრძელვადიანი განვითარების, მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული შესაძლებლობა, რადგან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ESG-ს მხოლოდ ფორმალურ ანგარიშგებად აღიქვამენ, შესაძლოა გაუჭირდეთ ახალი ეკონომიკური გარემოს მოთხოვნებთან ადაპტაცია. ხოლო ორგანიზაციებს, რომლებიც ESG-ის რეალურად დააკავშირებენ სტრატეგიულ მენეჯმენტთან, რისკების მართვასთან და ორგანიზაციულ კულტურასთან, შესაძლებლობა ექნებათ შექმნან უფრო მდგრადი, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ბიზნესმოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხოფერია ლ., "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო"; თბილისი, 2012, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი — CSRDG.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი (2018). *კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი*. თბილისი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი (2019). *მდგრადი ფინანსების გზამკვლევი (Sustainable Finance Roadmap for Georgia)*. თბილისი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი (2023). *ESG რეკომენდაციები (ESG Guidelines)*. თბილისი.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი (2025). *მდგრადი ფინანსების გზამკვლევი, II ფაზა, 2025–2028 (Sustainable Finance Roadmap for Georgia – Phase II)*. თბილისი.
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. *მდგრადი ფინანსების ტაქსონომია (Sustainable Finance Taxonomy for Georgia)*. თბილისი.
7. Sneiderienė, A., & Legenzova, R. (2025). *Greenwashing Prevention in Environmental, Social, and Governance (ESG) Disclosures: A Bibliometric Analysis*. Research in International Business and Finance, 74.
8. Ruggeri, M., Vinci, G., Ruggieri, R., & Savastano, M. (2025). *Facing the Risk of Greenwashing in the ESG Report of Global Companies: The Importance of Life Cycle Thinking*. Corporate Social Responsibility and Environmental Management, 32(6), 4216–4234.
9. IFRS Foundation. (2023). *IFRS S1 General Requirements for Disclosure of Sustainability-related Financial Information*. International Sustainability Standards Board.
10. IFRS Foundation. (2023). *IFRS S2 Climate-related Disclosures*. International Sustainability Standards Board.
11. European Commission. (2026). *Commission Adopts Revised Sustainability Reporting Standards*. European Commission.
12. United Nations. (2015). *Transforming our World: The 2030 Agenda for Sustainable Development*. New York: United Nations.
13. UN Global Compact. (2023). *How Ørsted Shifted to 90 Per Cent Renewables, Redefining Energy Business Models*. UN Global Compact Academy Case Library.

14. ESG News. (2025). *Ørsted Becomes First Energy Major to Complete Full Green Transition*. ESG News.

15. OECD. (2025). *DBS Bank – ESG Ready Programme in Singapore*. Organisation for Economic Co-operation and Development.

16. Morrison Foerster. (2026). *2026 Trends & Predictions: Sustainability + Corporate Responsibility*. Morrison & Foerster LLP.

17. Freshfields. (2026). *7 ESG Trends to Watch in 2026*. Freshfields Bruckhaus Deringer.

18. KEY ESG. (2026). *ESG Reporting Examples: Top Insights in 2025*. KEY ESG.

19. Kim, S. (2026). *Environmental, Social, and Governance (ESG) Research: A Systematic Review of Recent Trends (2020–2024)*. Sustainable Development, Wiley Online Library.

20. ESGsource. (2026). *Global ESG Regulations by Country 2026*. ESGsource.

21. All for One Poland. (2024). *ESG Reporting Coming Soon*. All for One Poland.

22. BPiON. (2025). *ESG Reporting Delayed: What Businesses in CEE Need to Know*. BPiON Services.

23. GRI (Global Reporting Initiative). (2025). *GRI Standards*. Global Reporting Initiative, Amsterdam.

24. European Commission. (2024). *Directive (EU) 2024/1760 on Corporate Sustainability Due Diligence (CSDDD)*. Official Journal of the European Union.

Ketevan Chiabrishvili
Shalva Kvezereli
Rusudan Dalakishvili

ESG Management in Georgia:
From Sustainable Development to Sustainable Competitiveness
Summary

Issues of sustainable development, social responsibility, environmental safety, and effective corporate governance are occupying an increasingly important place in the activities of modern organizations. One of the significant manifestations of this shift is the integration of ESG—Environmental, Social, and Governance—factors into organizational management. ESG management involves incorporating factors into an organization's strategic, financial, operational, and risk management processes that influence both its financial sustainability and its social and environmental outcomes.

The purpose of this paper is to analyze the development opportunities and key challenges of ESG management in Georgian organizations. The study pays particular attention to ongoing processes in the financial sector of Georgia, the Sustainable Finance Framework developed by the National Bank, ESG reporting practices, the Sustainable Finance Taxonomy, and ESG risk management guidelines. The Sustainable Finance Roadmap, developed by the National Bank, aims to integrate ESG issues into the decision-making and risk assessment processes of financial institutions, as well as to improve transparency and reporting.

The paper discusses the primary opportunities of ESG management: improved access to investments and financial resources, more effective risk management, enhanced organizational reputation, fostering innovation, increased employee engagement, and opportunities for integration with international markets. Concurrently, a number of challenges are identified, including the insufficient quality of ESG data, a shortage of qualified personnel, reporting costs, compliance difficulties for small and medium-sized organizations, the risk of ESG becoming a purely formal practice, and the necessity for a shift in organizational culture.

The main characteristics and challenges of the ESG systems in Western Europe, Eastern Europe, Asia, and the USA, along with a comparison of Georgia's system to these regions, constitute an important part of this paper.

The paper emphasizes that for Georgian organizations, ESG management should be viewed not only as a reporting or corporate social responsibility tool but also as a strategic mechanism for long-term competitiveness, risk management, and organizational sustainability.

Keywords: *ESG, Sustainable Development, ESG Management, Corporate Governance, Sustainable Finance, Social Responsibility, Environmental Management, Risk Management, Georgia.*

გიორგი ხარშილაძე

სტრატეგიული პარადოქსები პლატფორმულ ეკონომიკაში: იძულებითი კოოპეტიცია და ორგანიზაციული ტრანსფორმაცია

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს გლობალური ციფრული პლატფორმების ჰეგემონიის პირობებში წარმოშობილ სტრატეგიულ პარადოქსებს, კერძოდ — იძულებითი კოოპეტიციის ფენომენს. კვლევის ფარგლებში ხდება სტრატეგიული მენეჯმენტის კლასიკური თეორიების (მაიკლ პორტერის ხუთი კონკურენტული ძალის მოდელი და რესურსებზე დაფუძნებული ხედვა - RBV) დეკონსტრუქცია და მათი შეზღუდვების ჩვენება პლატფორმული ეკოსისტემების პირობებში. სტატიაში შემოთავაზებულია ორიგინალური თეორიული ჩარჩო — რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორია (Recursive Institutional Translation Theory — RITT), რომელიც ხსნის, თუ როგორ გარდაიქმნება მაკრო-დონის პლატფორმული არქიტექტურა და ალგორითმული იძულება მიკრო-დონის საორგანიზაციო რეალობად და ჰიბრიდულ ადაპტაციურ მოდელებად. კვლევა ეფუძნება ინტერპრეტაციულ ეპისტემოლოგიურ ორიენტაციასა და თვისებრივ ნარატიულ სინთეზს, რაც შესაძლებლობას იძლევა დეტალურად იქნას შესწავლილი მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ტრაექტორიები განვითარებადი გაზრებისა და მკაცრი ეკოსისტემური წნეხის კონტექსტში*

საკვანძო სიტყვები: *ციფრული პლატფორმები, იძულებითი კოოპეტიცია, RITT, ორგანიზაციული ადაპტაცია, სტრატეგიული პარადოქსი.*

შესავალი

გლობალური ციფრული ეკოსისტემების ტრანსფორმაციულმა ევოლუციამ და პლატფორმული ბიზნეს-მოდელების დომინირებამ ფუნდამენტურად შეცვალა თანამედროვე ეკონომიკური ლანდშაფტი. ტრადიციული ინდუსტრიული ეპოქისგან განსხვავებით, სადაც საბაზრო საზღვრები მკაფიოდ იყო დიფერენცირებული, ხოლო კონკურენცია ხაზოვან, ნულოვანი ჯამის თამაშს წარმოადგენდა, ციფრული არქიტექტურა აუქმებს ორგანიზაციებს შორის არსებულ სტრუქტურულ ბარიერებს. ამ ქსელურ რეალობაში კომპანიების გადარჩენა აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ შიდა რესურსებსა თუ იზოლირებულ აქტივებზე — ის პირდაპირ უკავშირდება ორგანიზაციის უნარს, მოახდინოს საკუთარი თავის ეფექტიანი ინტეგრირება გლობალურ ციფრულ პლატფორმებში. აღნიშნული ტექნო-ეკონომიკური რეკონფიგურაცია წარმოშობს ღრმა საორგანიზაციო პარადოქსებს და დღის წესრიგში აყენებს სტრატეგიული მენეჯმენტის კლასიკური თეორიების გადააზრების აუცილებლობას. წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირდება ამ გარდაქმნის ეპიცენტრზე — კოოპეტიციის ფენომენზე, რომელიც გულისხმობს რადიკალური მეტოქეობისა და სტრატეგიული სიმბიოზის ერთდროულ, პარადოქსულ თანაარსებობას.

კლასიკური სტრატეგიული მენეჯმენტის პარადიგმა, რომლის საყრდენსაც კონკურენტული ძალების მოდელი და რესურსული ხედვა წარმოადგენს, პოსტულირებს, რომ ბაზარზე ლიდერობის მოპოვება მხოლოდ საკუთარი აქტივების დაცვითა და სტრატეგიული პოზიციონირებით არის შესაძლებელი. თუმცა, პლატფორმულ ეკონომიკაში, სადაც საბაზისო ინფრასტრუქტურას გლობალური ტექნოლოგიური კონგლომერატები აკონტროლებენ, ეს მიდგომა კარგავს ვალიდურობას. ვინაიდან ციფრული ეკოსისტემების ეფექტიანობა ქსელურ ეფექტებზეა დამოკიდებული, ბაზრის დამოუკიდებელი მონაწილეები, ხშირად სტრატეგიული ალტერნატივის არარსებობის გამო, მჭიდრო კავშირებს ამყარებენ უშუალო კონკურენტებთან, რათა არ აღმოჩნდნენ იზოლირებულნი მომხმარებელთა მასივებისა და კრიტიკული პლატფორმებისგან. ამგვარად, ხაზოვანი დაპირისპირებების ადგილს ასიმეტრიული ქსელური სიმბიოზი იკავებს, სადაც კონკურენტული უპირატესობა შიდა რესურსების მენეჯმენტიდან ეკოსისტემების შიგნით პოზიციონირებისა და ორკესტრირების უნარზე გადადის.

ციფრული ტრანსფორმაციის ტემპი აიძულებს კომპანიებს, გადახედონ ღირებულების შექმნის ტრადიციულ ლოგიკას. ძველი ეკონომიკური მოდელები ეყრდნობოდა მიწოდების ხაზოვან ჯაჭვს, სადაც ნედლეული თანმიმდევრულად გარდაიქმნებოდა მზა პროდუქტად. პლატფორმულ არქიტექტურაში კი ღირებულება იქმნება არა ცალკეული ორგანიზაციის შიგნით, არამედ მრავალმხრივი მოდულური ქსელების ინტეგრაციით **[Adner, 2017, გვ. 42]**. ეს ნიშნავს, რომ კომპანიები ვეღარ იფუნქციონირებენ როგორც იზოლირებული ერთეულები — ისინი ხდებიან უფრო ფართო, დინამიკური ეკოსისტემის ნაწილნი, სადაც წესებსა და სტანდარტებს ადგენს პლატფორმის მფლობელი **[Gawer და Cusumano, 2014, გვ. 420]**. ასეთ პირობებში ფირმებს შორის საზღვრები ბუნდოვანი ხდება, რაც იწვევს სტრატეგიული ავტონომიის მნიშვნელოვან შეზღუდვას და წარმოშობს ახალ ორგანიზაციულ რისკებს.

ამ პროცესის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა ,,კოოპეტიციის“ (Coopetition) დინამიკის რადიკალიზაცია. კოოპეტიცია, რომელიც თავდაპირველად განიხილებოდა როგორც ორმხრივი სარგებლის მისაღებად შექმნილი ნებაყოფლობითი სტრატეგიული ალიანსი, პლატფორმულ სივრცეში ხშირად სტრუქტურულად იძულებულ ხასიათს იძენს **[Ritala და სხვ., 2013, გვ. 250]**. მაგალითად, ისეთი კონკურენტები, რომლებიც სხვადასხვა ბაზარზე ერთმანეთს უპირისპირდებიან, იძულებულნი არიან თანაარსებობდნენ Apple-ის iOS-ის ან Google-ის Android-ის ეკოსისტემებში, რათა საერთოდ შეინარჩუნონ წვდომა ციფრულ მომხმარებელთან. ეს რეალობა აყალიბებს სისტემურ პარადოქსს: კომპანიებმა ერთდროულად უნდა განახორციელონ ღირებულების ერთობლივი შექმნა ეკოსისტემის შიგნით და აგრესიული კონკურენცია ამავე ღირებულების საკუთარი წილის მოსაპოვებლად.

წინამდებარე კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ თეორიული და პრაქტიკული ვაკუუმით, რომელიც არსებობს თანამედროვე სტრატეგიულ მენეჯმენტში. აკადემიური ლიტერატურის დიდი ნაწილი კვლავაც ცდილობს ციფრული ფენომენის ახსნას სტატიკური მოდელებით, რომლებიც ვერ აღიქვამენ პლატფორმული ძალაუფლების ასიმეტრიას და იმ სტრატეგიულ დაძაბულობებს, რომლებსაც მცირე და საშუალო აქტორები განიცდიან **[Hannah და Eisenhardt, 2018, გვ. 3164]**. შესაბამისად, კონკურენტული უპირატესობის დეკონსტრუქცია და კოოპეტიციური პარადოქსის ხელახალი ფორმულირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული პარადიგმის განახლებისთვის, ისე პრაქტიკოსი მენეჯერებისთვის,

რომლებიც ყოველდღიურად უმკლავდებიან ციფრული ეკოსისტემების თავსმოხვეულ იმპერატივებს.

ამრიგად, კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ სტრატეგიული პარადოქსების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომლებიც წარმოიშობა პლატფორმულ ეკონომიკაში კოოპეტიციური ურთიერთობების დროს. წინამდებარე ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული კონტრიბუცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი სცილდება ხაზოვანი კონკურენციის ტრადიციულ გაგებას და სთავაზობს აკადემიურ წრეებს ახალ პერსპექტივას ციფრული ეკოსისტემების შიგნით არსებული ძალაუფლების ასიმეტრიის შესაფასებლად. დასახული ამოცანების გადასაჭრელად, ნაშრომი პასუხობს სამ ფუნდამენტურ საკვლევ კითხვას:

- როგორ ახდენს პლატფორმული არქიტექტურა კლასიკური კონკურენტული უპირატესობის თეორიების დეკონსტრუქციას?
- რა მექანიზმებით იმართება საორგანიზაციო დაძაბულობა ერთდროულად კონკურენციისა და თანამშრომლობის პირობებში?
- რა სახის სტრუქტურულ და საორგანიზაციო რისკებს აწყდებიან ფირმები პლატფორმული ჰეგემონიის გარემოში?

მეთოდოლოგიური მიდგომა: სტრუქტურირებული მიმოხილვა და თეორიული კონსტრუირება

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო მიზნებიდან გამომდინარე, კვლევა მეთოდოლოგიურად ეფუძნება ინტერპრეტაციულ ეპისტემოლოგიურ ორიენტაციას. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, რომ შესწავლილ იქნას არა იზოლირებული ობიექტური ფაქტები, არამედ ორგანიზაციული კონტექსტი, მნიშვნელობათა მინიჭების პროცესები და ძალაუფლებრივი ასიმეტრიები ციფრულ ეკოსისტემებში, რაც გამორიცხავს ტრადიციულ პოზიტივისტურ პარადიგმებსა და ემპირიულ-რაოდენობრივ გაზომვებს, რომლებიც ხშირად ვერ ახერხებენ პლატფორმულ ეკონომიკაში არსებული სტრატეგიული პარადოქსების არაწრფივი დინამიკის ასახვას. წინამდებარე თვისებრივი ძიება არ იყენებს პირველად ემპირიულ მონაცემებს, საველე გამოკითხვებს ან ინტერვიუებს, რადგან კვლავაც კონცეპტუალურ ახსნაზე ორიენტირებული ძიების ძირითადი ამოცანაა არა კონკრეტული ორგანიზაციული კაზუსების იზოლირებული აღწერა, არამედ ფუნდამენტური თეორიული ჩარჩოს — რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორიის (RITT) — ფორმულირება და კონსტრუირება.

შესაბამისად, კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მულტიდისციპლინური ლიტერატურული ნაკადების სინთეზური ანალიზი, რაც უზრუნველყოფს ფენომენის მრავალგანზომილებიან ანალიზს სამი დამოუკიდებელი, თუმცა თავსებადი სამეცნიერო მიმართულების ინტეგრირებით. კერძოდ, ნეოინსტიტუციონალიზმი გამოიყენება იმის ასახსნელად, თუ როგორ ფუნქციონირებენ გლობალური ციფრული პლატფორმები, როგორც ახალი ტიპის დე-ფაქტო მარეგულირებელი ინსტიტუტები, რომლებიც აწესებენ ფორმალურ და არაფორმალურ თამაშის წესებსა და ალგორითმულ იძულებას. საორგანიზაციო კოგნიცია გვეხმარება იმის გაანალიზებაში, თუ როგორ აღიქვამენ მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირები პლატფორმულ წნეხს და როგორ ახდენენ მენეჯერული რესურსების მობილიზებას, ხოლო სენსმეიქინგი გამოიყენება, როგორც ანალიტიკური ლინზა იმ პროცესის დასანახად, რომლის დროსაც

ორგანიზაციები ახდენენ პლატფორმული პარადოქსების იდენტიფიცირებას, ინტერპრეტაციას და მათზე საპასუხო მოქმედებების შემუშავებას.

ამასთანავე, კვლევაში გამოყენებულია აბსტრაქტული თეორიული კატეგორიების ლოგიკური დედუქცია, სადაც RITT მოდელის ფორმულირებისთვის გამოყენებული თეორიული კონსტრუირების მეთოდით, აბსტრაქტული მაკრო-ფენომენებიდან — როგორიცაა პლატფორმული არქიტექტურა და ასიმეტრიული ქსელური სიმბიოზი — ლოგიკური დედუქციის გზით გამოჰყავს მიკრო-დონის საორგანიზაციო ქცევის მოდელები. თეორიული კატეგორიების გენერირება ხდება არსებული აკადემიური ლიტერატურის კრიტიკული დეკონსტრუქციისა და კონცეპტუალური მატრიცების აგების საფუძველზე, რაც გამორიცხავს ზედაპირულ ემპირიზმს და აქცენტს გადაიტანს სტრატეგიული ქცევის ღრმა თეორიულ ახსნაზე. ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა უზრუნველყოფს მაღალ თეორიულ სიმკაცრეს და ქმნის მყარ ანალიტიკურ ბაზისს პლატფორმულ ეკონომიკაში მიმდინარე იძულებითი კოოპეტიციის სტრატეგიული პარადოქსების კომპლექსური გაგებისთვის.

თეორიული ჩარჩო: კლასიკური პარადიგმების კრიზისი

მაიკლ პორტერის ხუთი კონკურენტული ძალის მოდელი ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა კორპორაციული სტრატეგიისა და ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორიის უალტერნატივო ანალიტიკურ ბურჯს. პორტერისეული კონცეპტუალური ჩარჩო ფუნდამენტურად ეყრდნობა ორ სტრუქტურულ დაშვებას: პირველი, ინდუსტრიის საზღვრები არის მკაფიო, სტაბილური, ეგზოგენურად მოცემული და წინასწარ იდენტიფიცირებადი; მეორე, კომპანიის სტრატეგიული მიზანია ამ საზღვრების შიგნით დაიკავოს დამცავი პოზიცია, აღმართოს მაღალი სტრუქტურული და ეკონომიკური საბაზრო ბარიერები და მაქსიმალურად შეამციროს გარე აქტორების, მათ შორის მომწოდებლების, მყიდველების, პოტენციური ახალი მონაწილეებისა თუ შემცვლელი პროდუქტების ძალაუფლება, რათა თავიდან აიცილოს ფირმის მიერ გენერირებული ეკონომიკური რენტის ეროზია **[Porter, 2008, გვ. 81-82]**. პორტერის ლოგიკით, სტრატეგია არის სტატიკური პოზიციონირების ხელოვნება, სადაც გარე ძალები აღქმულია როგორც მუდმივი საფრთხე, ხოლო ფირმის წარმატება იზომება მისი უნარით, მოახდინოს საკუთარი თავის იზოლირება საბაზრო წნეხისგან და დაამყაროს დომინირება ღირებულების მიწოდების ხაზოვან ჯაჭვში.

თუმცა, გლობალური ციფრული პლატფორმების ექსპონენციალური ზრდისა და ეკოსისტემური არქიტექტურის დომინირების ეპოქაში, ეს ორივე ფუნდამენტური დაშვება რადიკალურ თეორიულ დეკონსტრუქციას განიცდის. პლატფორმული მოდელები ახდენენ სხვადასხვა, მანამდე სრულიად იზოლირებული ინდუსტრიების ტოტალურ ტექნოლოგიურ, ფუნქციულ და სტრუქტურულ კონვერგენციას, რაც ტრადიციული საბაზრო მიჯნების სრულ წაშლას იწვევს. ციფრული ეკოსისტემების პირობებში ფირმები აღარ ოპერირებენ ვიწროდ სპეციალიზებული დარგების შიგნით; ისინი ხდებიან მრავალმხრივი ბაზრებისა და ურთიერთგადაჯაჭვული ციფრული ქსელების ნაწილი, სადაც ღირებულების შექმნა ინდუსტრიათაშორის სივრცეში მიმდინარეობს.

როდესაც ინდუსტრიული საზღვრები დიფუზური და მუდმივად ცვალებადია, პორტერის ხუთი ძალის მოდელი კარგავს თავის მთავარ ანალიტიკურ ორიენტირს. ორგანიზაციისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება იმის მკაფიოდ დიფერენცირება, თუ ვინ წარმოადგენს მის პირდაპირ, დარგობრივ კონკურენტს და ვინ — გარე შემცვლელ აქტორს, ვინაიდან ციფრული კონგლომერატები ახორციელებენ ე.წ.

„პლატფორმულ კონვერტაციას“. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი პლატფორმა იყენებს საკუთარ მომხმარებელთა ბაზას და ფუნქციონალს მეორე, მომიჯნავე პლატფორმის ბაზრისა და ინდუსტრიის შთანთქმის მიზნით **[Eisenmann და სხვ., 2011, გვ. 1275]**.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (SMEs) ეს ფენომენი ორმაგ სტრატეგიულ საფრთხედ გარდაიქმნება. ისინი არა მხოლოდ კარგავენ კონტროლს საკუთარ ნიშურ ბაზარზე, არამედ იძულებულნი ხდებიან გახდნენ გლობალური ჰეგემონების ტექნოლოგიური ომების უნებლიე თანამონაწილენი. ასეთ გარემოში ერთი პლატფორმული ეკოსისტემის არჩევა ავტომატურად ბლოკავს მომიჯნავე ციფრულ სივრცეში ოპერირების შესაძლებლობას.

ამ თეორიულ რეალობაში ტრადიციული მიმწოდებლისა და მყიდველის ძალაუფლების ორმხრივი, ხაზოვანი ბალანსი სრულად იცვლება მრავალმხრივი ბაზრების რთული შიდა დინამიკით. კლასიკურ სტრატეგიულ მენეჯმენტში მომწოდებელი და ფირმა ანტაგონისტურ პოზიციებზე დგანან და ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპით ებრძვიან ერთმანეთს მოგების მარჟის მოსაპოვებლად. პლატფორმულ ეკონომიკაში კი, მესამე მხარის დეველოპერები, აპლიკაციების შემქმნელები და ციფრული სერვისის პროვაიდერები წარმოადგენენ არა ფირმის ოპონენტებს, არამედ კრიტიკულად მნიშვნელოვან კომპლემენტორებს (შემავსებლებს). მათი აქტივობა პირდაპირპროპორციულად ზრდის თავად პლატფორმის მიზიდულობასა და ჯვარედინ ქსელურ ეფექტებს. ტრადიციული კლიენტი აღარ არის უბრალოდ პროდუქტის პასიური მომხმარებელი, არამედ ის გარდაიქმნება პროდუსერად, რომელიც საკუთარი მონაცემებით, რეიტინგებითა და აქტივობით თავადვე ქმნის პლატფორმის ღირებულებას. შესაბამისად, საბაზრო ძალაუფლების ცნება სცილდება პორტერისეულ გამარტივებულ მოლაპარაკების ჩარჩოებს და გადადის ქსელის სიმკვრივისა და მონაცემთა მონოპოლიზაციის განზომილებაში.

ეს ტრანსფორმაცია წარმოშობს ფუნდამენტურ სტრატეგიულ პარადოქსს, რომელსაც პორტერისეული ხედვა ვერ პასუხობს. კლასიკური მოდელი ფირმებს მოუწოდებს შიდა აქტივების ჰერმეტული იზოლაციისა და ექსკლუზიური საბაზრო ბარიერების შენარჩუნებისკენ, მაშინ როდესაც პლატფორმულ ეკონომიკაში გადარჩენისა და ზრდის მთავარი იმპერატივი სწორედ ღია, მოდულური არქიტექტურისა და პროგრამული ინტერფეისების (APIs) შეექმნაა. ეს ღიაობა აუცილებელია იმისათვის, რომ გარე აქტორებს მიეცეთ ეკოსისტემაში შეუფერხებელი, ავტონომიური ინტეგრირებისა და ინოვაციების გენერირების საშუალება. რაც უფრო ხელმისაწვდომია პლატფორმა გარე პარტნიორებისთვის, მით უფრო სწრაფად იზრდება მასზე მიბმული მომხმარებლებისა და სერვისების მასშტაბი, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ეკოსისტემის საერთო კონკურენტუნარიანობას.

წინააღმდეგობრივია ისიც, რომ პორტერის ხუთი ძალა ფირმას კარნახობს კონკურენტებისგან დისტანცირებას, ხოლო პლატფორმული არქიტექტურა მას აიძულებს რადიკალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იმავე კონკურენტებზე. მცირე ფირმები, რათა საერთოდ შევიდნენ ციფრულ ბაზარზე, იძულებულნი ხდებიან გამოიყენონ თავიანთი უშუალო კონკურენტების — დიდი პლატფორმების — ლოგისტიკური, საგადახდო თუ საინფორმაციო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, ხუთი ძალის მოდელი ვერ ახდენს ციფრული სიმბიოზის პრედიქციას, რადგან იგი გარემოს აღიქვამს როგორც სტატიკურ საომარ ველს. პლატფორმული რეალობა კი მოითხოვს დინამიკური კოოპეტიციური ბალანსის თეორიულ გააზრებას, სადაც პირდაპირი კონკურენტები იძულებულნი არიან თანაარსებობდნენ, გაცვალონ მონაცემები და ითანამშრომლონ ერთი და იმავე ციფრული ინფრასტრუქტურის ფარგლებში.

პორტერის მოდელის მსგავსად, სერიოზულ კონცეპტუალურ კრიზისს განიცდის სტრატეგიული მენეჯმენტის მეორე წამყვანი თეორიული სკოლა - რესურსებზე დაფუძნებული ხედვა (RBV). კლასიკური RBV მოდელი და მისი ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტი, VRIO ჩარჩო, პოსტულირებს, რომ მდგრადი კონკურენტული უპირატესობის ერთადერთ ენდოგენურ წყაროს წარმოადგენს ფირმის შიდა, ორგანიზაციულ-სპეციფიკური, იშვიათი, ფასეული და რთულად იმიტირებადი რესურსები, რომელთა სრული კონტროლიც ექსკლუზიურად ორგანიზაციის შიგნით ხდება [**Barney, 1991, გვ. 105-106]**. ეს თეორია ფოკუსირებულია ფირმის იურიდიული საზღვრების მკაცრ დაცვაზე და მიიჩნევს, რომ სტრატეგიული აქტივები უნდა იყოს დაცული გარე სამყაროსგან. ბარნისეული ლოგიკით, წარმატება მიიღწევა მაშინ, როდესაც ფირმა ფლობს უნიკალურ „რესურსულ საგანძურს“.

ციფრული და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პირობებში კი აღნიშნული ვიწრო შიდაორგანიზაციული ფოკუსი არაადეკვატური აღმოჩნდება. უპირატესობის ფორმირების ფუნდამენტური მექანიზმი ფირმის შიდა გარემოდან გადაინაცვლებს ინტერ-ორგანიზაციულ და ეკოსისტემურ დონეზე. სტატიკური აქტივების ფლობა კარგავს თავის პირვანდელ სტრატეგიულ წონას, თუ ორგანიზაციას არ გააჩნია ამ აქტივების გარე ციფრულ არქიტექტურებთან სწრაფი სინქრონიზაციის უნარი.

ამ კონტექსტში, VRIO ჩარჩოს ფუნდამენტური მოდერნიზაცია სჭირდება. რესურსის ფასეულობა და იშვიათობა კი არ კარგავს ძალას, არამედ რადიკალურ ცვლილებას განიცდის საორგანიზაციო მოწყობისა და ინტეგრაციის კომპონენტი (Organization — O). ფირმის შიდა სტრუქტურა უნდა მოეწყოს არა აქტივების იზოლაციისა და დამალვისთვის, არამედ გარე პლატფორმულ ინტერფეისებთან თავსებადობისა და მოდულურობის პრინციპით. ეს მიდგომა რესურსების ექსკლუზიურ საკუთრებას ქსელური კავშირების მართვის უნარით ანაცვლებს.

პლატფორმულ ეკონომიკაში კრიტიკული და სტრატეგიული აქტივები ხშირად საერთოდ არ ეკუთვნის თავად ორგანიზაციას იურიდიული საკუთრების უფლებით. გლობალური ციფრული ჰეგემონები ხშირად არ ფლობენ იმ ფიზიკურ აქტივებს ან კაპიტალს, რომლებითაც ბაზარზე ოპერირებენ, არამედ ისინი ახდენენ გარე, დამოუკიდებელი მოთამაშეების მიერ გენერირებული რესურსებისა და საინფორმაციო ნაკადების სინქრონულ ორკესტრირებას. ტრადიციული VRIO ჩარჩო ვერ აფასებს ასეთ „უსაკუთრებო უპირატესობას“. როდესაც მცირე ან საშუალო საწარმო ცდილობს ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელებას, მისი შიდა VRIO რესურსები (მაგალითად, ლოკალური რეპუტაცია) ხშირად უფასურდება, თუ ისინი თავსებადად არ ჩაეწერებიან წამყვანი პლატფორმების გლობალურ სტანდარტებში. შესაბამისად, VRIO მოდელის ტრადიციული მიდგომა ვეღარ ხსნის იმას, თუ როგორ აღწევენ კომპანიები უპირატესობას გარე აქტორების აქტივების დინამიკური მობილიზებით.

ამ კონცეპტუალური ჩავარდნის დასაძლევად, თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში აქტიურად მკვიდრდება რესურსების ორკესტრირებისა და დინამიკური შესაძლებლობების თეორია. ციფრულ ეკოსისტემებში ფირმის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება არა იმით, თუ რა მოცულობის სტატიკურ შიდა აქტივებს ფლობს იგი, არამედ მისი უნარით — მოახდინოს გარე რესურსების სწრაფი ათვისება, მუდმივი რეკონფიგურაცია და კოორდინაცია მაღალი ტურბულენტობის პირობებში **[Eisenhardt და Martin, 2000, გვ. 1107]**. სტრატეგიული ლიდერობა გადადის „აქტივების ფლობიდან“ „აქტივების ხელმისაწვდომობაზე“ **[Sirmon და სხვ., 2007, გვ. 274]**.

ფირმის საორგანიზაციო საზღვრები ხდება სრულად გამტარი, რაც ნიშნავს, რომ საოპერაციო მოდელები ადაპტირებული უნდა იყოს მუდმივ გარე თანამშრომლობაზე. სტრატეგიული წარმატების მთავარი წინაპირობა ხდება არა რესურსების მონოპოლიზება, არამედ მათი ქსელური გაზიარება, ღია არქიტექტურაში ჩართვა და კომპლემენტარული სტრატეგიული კავშირების დამყარება უშუალო მეტოქეებთანაც კი. იზოლირებული ფირმა ციფრულ ეპოქაში საბაზრო მარგინალიზაციისთვის არის განწირული.

აქედან გამომდინარე, კოოპეტიცია პლატფორმულ სივრცეში ტრანსფორმირდება არა უბრალოდ ორგანიზაციის ერთჯერად ტაქტიკურ არჩევნად, არამედ უმაღლესი დონის ფუნდამენტურ სტრატეგიულ იმპერატივად. იგი ფირმებს აიძულებს, უარი თქვან შიდა აქტივების ექსკლუზიურობაზე და ჩაერთონ ღირებულების ერთობლივი შექმნისა და განაწილების ასიმეტრიულ პროცესში. ეს რეალობა სრულად ცვლის კლასიკური რესურსული ხედვის ნარატივს: რესურსი მხოლოდ მაშინ ხდება ფასეული, როდესაც ის მოძრაობს და კაპიტალიზდება ეკოსისტემის შიგნით.

თუმცა, აღნიშნული დინამიკური ღირებულების შექმნა ყოველთვის შეიცავს მცირე და საშუალო აქტორების მხრიდან ღირებულების ასიმეტრიული ექსპროპრიაციის რისკს. ეკოსისტემის ცენტრში მყოფი ჰეგემონი პლატფორმა, მონაცემთა მონოპოლიური კონტროლის წყალობით, ახდენს გენერირებული ეკონომიკური რენტის უდიდესი ნაწილის მითვისებას. აღნიშნული პარადიგმული ცვლილება მოითხოვს ისეთი ახალი თეორიული ჩარჩოების ინტეგრირებას, რომლებიც ნათლად ასახავენ პლატფორმული ძალაუფლების ასიმეტრიას, სტრატეგიულ პარადოქსებს და იმ საორგანიზაციო დაძაბულობებს, რომლებსაც აქტორები განიცდიან ამ ახალ ეკონომიკურ რეალობაში თავის დამკვიდრების მცდელობისას.

კოოპეტიციური პარადოქსი ციფრულ ეკოსისტემებში

სტრატეგიული მენეჯმენტისა და ორგანიზაციული ქცევის კლასიკური თეორიების ხელახალი გააზრება გარდუვალად მიგვიყვანს იმ რთული ფენომენის ხელახალ ფორმულირებამდე, რომელიც თანამედროვე ციფრული ეკოსისტემის ფუნქციონირების ბირთვს წარმოადგენს. ეს არის კოოპეტიციის ინტენსიფიკაციის დინამიკა, რომელიც პლატფორმულ არქიტექტურაში აღარ განიხილება როგორც ფირმების კონკრეტული ოპერაციული მიზნებისთვის მიღებული ნებაყოფლობითი, დროებითი ან ტაქტიკური გადაწყვეტილება. ტრადიციულ ბიზნეს-გარემოში კოოპეტიცია აღიქმებოდა როგორც მკაცრად შეზღუდული, ფორმალური ალიანსი, რომლის დროსაც ორი კონკურენტი კომპანია აერთიანებდა რესურსებს ვიწროდ სპეციალიზებულ საწარმოო სეგმენტში, თუმცა დანარჩენ საბაზრო სივრცეში დამოუკიდებელ, ტრადიციულ მეტოქეობას აგრძელებდა. ციფრულ ეკოსისტემებში ეს ფენომენი ტრანსფორმირდება მუდმივ, სტრუქტურულ და სისტემურ პარადოქსად, სადაც რადიკალური საბაზრო კონკურენცია და ღრმა სტრატეგიული სიმბიოზი არა მხოლოდ თანაარსებობენ, არამედ ურთიერთგანაპირობებენ კიდეც ერთმანეთს.

ეს სისტემური მოცემულობა ფუნდამენტურად ცვლის ინდივიდუალური აქტორების სტრატეგიულ ნარატივს, ვინაიდან გარე ეკოსისტემური პარადოქსი გარდუვალად პროეცირდება ორგანიზაციის შიდა სტრუქტურებსა და მენეჯერულ რუტინებში. შედეგად, მაკრო-დონის ეკონომიკური წნეხი პირდაპირ აისახება ფირმების ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაზე, რაც მათ აიძულებს არსებობის ახალ, თვისებრივად უფრო რთულ რეჟიმზე გადასვლას.

სწორედ ამ გარემოებათა გამო, ფირმები აღმოჩნდებიან მუდმივი ორგანიზაციული ამბივალენტობისა და სტრატეგიული დისონანსის მდგომარეობაში. ისინი იძულებულნი არიან ყოველდღიურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მომხმარებლის ყურადღების, მონაცემთა ნაკადებისა და მოგების მარჟის მოსაპოვებლად, მაგრამ, ამავდროულად, ვალდებულნი არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ. კომპანიებმა უნდა გაცვალონ პრაქტიკული ინფორმაცია და შეინარჩუნონ ტექნოლოგიური თავსებადობა იმავე ციფრული ინფრასტრუქტურის ფარგლებში, რომელიც საერთოდ უზრუნველყოფს მათ ბაზარზე ყოფნასა და ფუნქციონირებას. როგორც ბენგსტონი და კოკი **[Bengtsson და Kock, 2000, გვ. 411-426]** აღნიშნავენ, ეს მწვავე საორგანიზაციო დაძაბულობა განპირობებულია იმით, რომ თანამშრომლობა და კონკურენცია მიმდინარეობს არა სხვადასხვა დროში ან იზოლირებულ სეგმენტში, არამედ ერთსა და იმავე ვირტუალურ სივრცეში. ეს რეალობა მენეჯმენტისგან მოითხოვს ერთმანეთთან შეუთავსებელი, წინააღმდეგობრივი საოპერაციო ლოგიკების მუდმივ კონცეპტუალურ და პრაქტიკულ დაბალანსებას.

ეს რადიკალიზებული საორგანიზაციო პარადოქსი განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ღირებულების კოლექტიური თანაშემოქმედებისა და მისი ინდივიდუალური მითვისების ღრმად ასიმეტრიულ პროცესში, რაც აიძულებს მკვლევარებს, გადახედონ ღირებულების გენერირების ტრადიციულ მოდელს **[Lepak და სხვ., 2007, გვ. 186]**. ციფრული პლატფორმების ეკონომიკური ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა ფუნდამენტალურად არის დამოკიდებული ჯვარედინ ქსელურ ეფექტებზე. ეს გულისხმობს, რომ პლატფორმის ჯამური სტრატეგიული ღირებულება ექსპონენციალურად იზრდება მასში ჩართული დამოუკიდებელი მესამე მხარის აქტორებისა და მომხმარებლების მასშტაბის მატებასთან ერთად. ამ ეკონომიკურ რეალობაში პირდაპირი კონკურენტები, რომლებიც ოპერირებენ ჰეგემონი პლატფორმების შიგნით, იქნება ეს აპლიკაციის დამოუკიდებელი დეველოპერები, ციფრული სერვისების პროვაიდერები თუ ელექტრონული კომერციის სუბიექტები - ერთობლივი ეკონომიკური აქტივობითა და შემავსებელი პროდუქტებისა და სერვისების შექმნით აყალიბებენ და აძლიერებენ თავად ეკოსისტემის საერთო სტანდარტს და გლობალურ მიმზიდველობას.

თუმცა, როგორც კი საქმე მიდგება ამ ერთობლივად გენერირებული სიმდიდრისა და ღირებულებების წილების განაწილებაზე, სიმბიოზი მომენტალურად იცვლება აგრესიული ნულოვანი ჯამის თამაშის მკაცრი ლოგიკით. ფირმები იძულებულნი ხდებიან ყოველმხრივ იბრძოლონ პლატფორმული იერარქიის ზედა საფეხურების დასაკავებლად, ალგორითმული ხილვადობის მოსაპოვებლად და მომხმარებლის პირველადი მონაცემების კონტროლისთვის.

ეს მუდმივი დაძაბულობა ღირებულების კოლექტიურ შექმნასა და მის ეგოისტურ მითვისებას შორის წარმოშობს სტრატეგიულ არასტაბილურობას. აქ არცერთ მოთამაშეს არ შეუძლია სრული იზოლაცია ან ეკოსისტემიდან გამოსვლა, რადგან გასვლა ავტომატურად ნიშნავს წვდომის დაკარგვას ბაზრის მთლიან მასივთან და მომხმარებელთა ბაზასთან **[Jacobides....., 2018, გვ. 2264]**. ამდენად, ციფრული გადარჩენა მოითხოვს ფირმებისგან არა კონკურენტის საბოლოო განადგურებას, არამედ მასთან ერთად ისეთი რთული სიმბიოზური ურთიერთობის შენარჩუნებას, სადაც ინოვაციების გაზიარება და საბაზრო მეტოქეობა ერთმანეთს დინამიკურად ენაცვლება.

ამ სტრუქტურული პარადოქსის მიღმა ძალაუფლების ღრმა დისბალანსი იმალება, რომელიც კვლავაც კვლევის ძირითად განზომილებად გვევლინება. ეს ასიმეტრია მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან პლატფორმის უზენაეს მფლობელებსა და იმ მცირე

თუ საშუალო საწარმოებს, რომელთა ბიზნესის არსებობა სრულად არის დამოკიდებული მოცემულ ციფრულ არქიტექტურაზე. კლასიკური ორგანიზაციული თეორიები კოოპერაციასა და ალიანსებს ხშირად განიხილავს როგორც თანასწორუფლებიან, ავტონომიურ აქტორებს შორის ორმხრივი ინტერესების საფუძველზე მიღწეულ კონსენსუსს. პლატფორმულ კაპიტალიზმში კი თანამშრომლობა ხშირად იღებს სტრუქტურული, თავსმოხვეული იძულების ხასიათს, სადაც არქიტექტორი ცალმხრივად განსაზღვრავს ეკოსისტემის ევოლუციურ მიმართულებას **[Tiwana, 2014, გვ. 120]**. გლობალური ტექნოლოგიური ჰეგემონები სრულიად დამოუკიდებლად ადგენენ, ცვლიან და აკონტროლებენ არქიტექტურის წესებს, პროგრამულ ინტერფეისებს, მონეტიზაციის მკაცრ პოლიტიკასა და ფინანსურ საკომისიო გადასახადებს.

თანამედროვე მკვლევარები ამ სპეციფიკურ პროცესს „ალგორითმულ მმართველობას“ უწოდებენ. აქ კონტროლი ხორციელდება არა პირდაპირი ბიუროკრატიული ბრძანებით ან იურიდიული ხელშეკრულებებით, არამედ ციფრული ინფრასტრუქტურის ავტომატიზებული კოდირებით, რეიტინგული სისტემებით და ფილტრაციით. დამოუკიდებელ ფირმებს არ გააჩნიათ არანაირი ინსტიტუციური თუ სტრატეგიული ბერკეტი ამ უზენაესი წესების ფორმირებაზე გავლენის მოსახდენად. ისინი დგანან მკაცრი ეგზისტენციალური დილემის წინაშე: ან უპირობოდ მიიღონ პლატფორმის მესაკუთრის მიერ ცალმხრივად დადგენილი რეგულაციები და დათმონ საკუთარი სტრატეგიული ავტონომიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ან საერთოდ აღმოჩნდნენ ციფრული ინფრასტრუქტურის მიღმა, რაც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში გარდაუვალი გაქრობის ტოლფასია.

ეს ასიმეტრია განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს მცირე და საშუალო საწარმოებზე. ისინი მოკლებულნი არიან ალტერნატიული, დამოუკიდებელი ციფრული არხების საკუთარი სახსრებით განვითარების ფინანსურ, კოგნიტურ და ტექნოლოგიურ რესურსს და სრულად ხდებიან პლატფორმული იერარქიის მორჩილი და მოწყვლადი სუბიექტები.

სწორედ ამ მზარდი სტრუქტურული წნეხისა და ძალაუფლების ასიმეტრიის საპასუხოდ, დღის წესრიგში დგება ორგანიზაციული ქცევისა და სტრატეგიული ადაპტაციის ხელახალი თეორიული გააზრება, რაც წინამდებარე ნაშრომში ფორმულირებულია როგორც რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორია (RITT). RITT-ის კონცეპტუალური პერსპექტივიდან, პლატფორმული კოოპეტიცია და თავსმოხვეული იძულება არ უნდა აღვიქვათ როგორც ფირმის სრული პარალიზების, სტრატეგიული სუბიექტობის დაკარგვის ან გარე წესების ბრმა, მექანიკური კოპირების პასიური პროცესი. ციფრული ეკოსისტემები წარმოადგენენ არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ქსელებს, არამედ მძლავრ და ყოვლისმომცველ ინსტიტუციურ გარემოს, რომელიც მოქმედ აქტორებს კარნახობს ლეგიტიმაციის საკუთარ ნორმებს, კოგნიტურ ჩარჩოებსა და თამაშის პრინციპებს. აღნიშნული თეორიული ჩარჩო პოსტულირებს, რომ როდესაც პლატფორმაზე დამოკიდებული ფირმა აწყდება გლობალური ეკოსისტემის მხრიდან წამოსულ სტრატეგიულ წნეხსა და ამბივალენტურ მოთხოვნებს, იგი არ გადის ერთჯერად ხაზოვან რეაქციას, არამედ ჩართულია საორგანიზაციო ტრანსფორმაციის უწყვეტ, დინამიკურ და რეკურსიულ სპირალში.

ეს რთული პროცესუალური დინამიკა იწყება პირველი, ინსტიტუციური დეკოდირების ფაზით. ამ დროს ორგანიზაცია ახდენს პლატფორმის ტექნოლოგიური, სამართლებრივი თუ ალგორითმული იმპერატივების იდენტიფიცირებას და მათ სიღრმისეულ ინტერპრეტაციას საკუთარი შიდა საოპერაციო ლოგიკისა და

ორგანიზაციული კულტურის ფარგლებში. ამ საწყის ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ფილტრსა და მედიატორს წარმოადგენს მენეჯერული კოგნიცია. ეს არის პროცესი, თუ როგორ აღიქვამს და ახდენს ფირმის ხელმძღვანელობა გარე ინსტიტუციური წნეხის კონცეპტუალიზაციას — როგორც ეგზისტენციალურ საფრთხეს, რომელიც საჭიროებს თავდაცვით რეაქციებს, თუ როგორც ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობას ინოვაციების წამოსაწყებად.

დეკოდირების პროცესის პარალელურად და მის ბაზაზე, საორგანიზაციო ციკლი გადადის მეორე, ლოკალური კონტექსტუალიზაციის ფაზაში, ვინაიდან გლობალური, აბსტრაქტული და უნივერსალური პლატფორმული წესები პირდაპირ, პირვანდელი სახით ვერ ჩაეწერება კონკრეტული ფირმის ყოველდღიურობაში. იდეებისა და რეგულაციების გადაადგილება სივრცეში არასოდეს არის იდენტური გადატანა; იგი ყოველთვის იწვევს მათი პირვანდელი ფორმალური სტრუქტურის მოდიფიკაციას და ჰიბრიდიზაციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პლატფორმული იძულების პირობებშიც კი, დამოუკიდებელი ფირმის სტრატეგიული სუბიექტობა არ ქდება: შემოქმედებითი მისადაგება ვლინდება არა პლატფორმის გლობალური არქიტექტურის ცვლილებაში, არამედ შიდა ლოკალური რესურსების ორკესტრირებასა და მრავალპლატფორმულობის სტრატეგიულ მანევრებში. თუმცა, გარდამავალი და მცირე მასშტაბის ბაზრებზე, სადაც ალტერნატიული ციფრული ეკოსისტემების არჩევანი ობიექტურად შეზღუდულია, მრავალპლატფორმულობა ხშირად იღებს ჰიბრიდული მანევრის ხასიათს: ფირმები აკომბინირებენ გლობალურ პლატფორმულ იმპერატივებს ლოკალურ, ტრადიციულ (ოფლაინ) საოპერაციო არხებთან, რითაც აღწევენ რისკების დივერსიფიკაციას და ინარჩუნებენ მინიმალურ სტრატეგიულ ავტონომიას.

ეს ახალი პრაქტიკა, თავის მხრივ, ააქტიურებს მესამე, რეკურსიული უკუკავშირის ფაზას, სადაც დანერგილი ქცევა ახდენს თავად ორგანიზაციული არქიტექტურის შიდა, ინსტიტუციონალიზებულ მოდიფიცირებას. გრძელვადიან სტრატეგიულ პერსპექტივაში ეს პროცესი ფუნდამენტურად გარდაქმნის ფირმის დინამიკურ კომპეტენციებს, კოგნიტურ უნარებსა და მომავალი პლატფორმული ტრანსფორმაციებისადმი მედეგობას. აქვე იკვრება ევოლუციური სპირალი: ამ ფაზაში მიღებული გამოცდილება და გარდაქმნილი შიდა რუტინები აყალიბებენ ახალ, გაფართოებულ მენეჯერულ კოგნიციას. შესაბამისად, როდესაც ფირმა მომავალში შეეჯახება პლატფორმის მხრიდან წამოსულ მომდევნო ალგორითმულ თუ რეგულატორულ წნეხს, მისი პირველი ფაზის „დეკოდირების ფილტრი“ უკვე თვისებრივად უფრო ადაპტირებული და მზადმყოფი იქნება, ვიდრე წინა ციკლში.

რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორიის (RITT) ანალიტიკური ჩარჩო განსაკუთრებულ აქტუალობასა და მეთოდოლოგიურ ღირებულებას იძენს გარდამავალი ტიპისა და მცირე მასშტაბის ეკონომიკური სტრუქტურების — როგორიც არის, მაგალითად, საქართველოს თანამედროვე ბიზნეს-გარემო — კვლევისას. მოცემულ სივრცეში მოქმედი მცირე და საშუალო კომპანიები აპრიორი მოკლებულნი არიან რეალურ შესაძლებლობას, თავად მოგვევლინონ ციფრული ეკოსისტემების გლობალურ, წესების განმსაზღვრელ არქიტექტორებად. ისინი წარმოადგენენ ტიპურ, მაღალი სტრუქტურული მოწყვლადობის მქონე, პლატფორმაზე დამოკიდებულ აქტორებს. მათთვის იძულებითი კოოპეტიცია გარე, თავსმოხვეულ პლატფორმულ სივრცეებში — იქნება ეს ციფრული საგადახდო სისტემები, საერთაშორისო მარკეტპლეისები, სოციალური მედიის სარეკლამო არხები თუ ლოგისტიკური აგრეგატორები —

წარმოადგენს არა ნებაყოფლობით ბიზნეს-არჩევანს, არამედ საბაზრო გადაგარჩენის ერთადერთ იმპერატივს.

RITT მკვლევარს აიარაღებს თეორიული ოპტიკით, რათა აღწეროს, თუ როგორ გარდაიქმნება გლობალური ციფრული კაპიტალიზმის წნეხი ლოკალური ფირმების შიდა მიკრო-სტრუქტურებში. ვინაიდან ეს ჩარჩო ფუნდამენტურად ეყრდნობა სუბიექტურ მენეჯერულ აღქმებსა და პრაქტიკების დროში მიმდინარე ტრანსფორმაციას, ამ მოდელის ემპირიული ვალიდაცია მოითხოვს სიღრმისეულ თვისებრივ კვლევას (Qualitative Inquiry), რაც მყარ საფუძველს უყრის ნაშრომის მომდევნო ნაწილებში წარმოდგენილ ანალიზს.

სტრატეგიული მოქმედების რეკურსიული პარადიგმა ციფრულ ეკოსისტემებში

ციფრული ეკოსისტემებისა და ალგორითმული მმართველობის თანამედროვე ეპოქაში, კლასიკური კონკურენტული უპირატესობის თეორიები ფუნდამენტურ სტრუქტურულ და კონცეპტუალურ დეკონსტრუქციას განიცდის, რაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების (მაგალითად, საქართველო) მცირე და საშუალო საწარმოებისგან (SME) სტრატეგიული მოქმედების სრულიად ახალი, ჰიბრიდული პარადიგმის გააზრებას მოითხოვს. ტრადიციული საორგანიზაციო ონტოლოგია ათწლეულების განმავლობაში ეყრდნობოდა ფირმის მკაცრად დიფერენცირებულ, იზოლირებულ რესურსებსა და სტატიკურ უპირატესობებს, სადაც ორგანიზაციული საზღვრები წარმოადგენდა მკაფიო, გაუმტარ დამცავ ბარიერს გარე საბაზრო რყევებისა და ეგზოგენური წნეხის წინააღმდეგ. რონალდ კოაზისა და ოლივერ უილიამსონის კლასიკური მიდგომით, ფირმის არსებობის არსი და მისი საზღვრები განისაზღვრებოდა ტრანზაქციული დანახარჯების მარტივი ბალანსით — ორგანიზაცია მთავრდებოდა იქ, სადაც შიდა ბიუროკრატიული კოორდინაციის ხარჯი აჭარბებდა გარე საბაზრო ტრანზაქციის განხორციელების ფასს. თუმცა, თანამედროვე უწყვეტი ქსელური ინტეგრაციისა და პლატფორმული კაპიტალიზმის პირობებში, ეს მყარი იურიდიული, ფიზიკური და სტრუქტურული კედლები სრულად ინგრევა. შედეგად, მიმდინარეობს საორგანიზაციო საზღვრების რადიკალური ეროზია, რაც ფირმის შიდა საოპერაციო გარემოსა და გარე ეკოსისტემას შორის ზღვარს მთლიანად თხევადსა და გამტარს ხდის. როდესაც ლოკალური მცირე საწარმო ახდენს თავისი საოპერაციო სისტემების ინტეგრირებას გლობალურ ციფრულ პლატფორმაში API-ს მეშვეობით, აქტივების, მონაცემთა ნაკადებისა და კონტროლის ფილტრაცია მთლიანად ეგზოგენური, პლატფორმული არქიტექტურის ხელში გადადის. ფირმა ინარჩუნებს ნომინალურ იურიდიულ ავტონომიას, მაგრამ სრულად კარგავს ეკონომიკურ და სტრატეგიულ იზოლაციას, ხდება რა მეტა-ორგანიზაციის მოდულურ, ჩანაცვლებად ნაწილად.

ამგვარი ღრმა სტრუქტურული ტრანსფორმაციის პირობებში, ფირმის შიდა რუტინები, პროდუქტების განვითარების ციკლები და საფასო პოლიტიკა კარგავს ავტონომიურობას. პლატფორმის მფლობელი აქტორი, რომელიც აკონტროლებს მონაცემთა მონოპოლიურ ფილტრაციას, ცალმხრივად განსაზღვრავს ოპერირების წესებს. ეს იწვევს უნიკალურ ეკონომიკურ ეფექტს, როდესაც ერთი დამოუკიდებელი კომპანიის სუბიექტობა იხსნება მეორე, გაცილებით მძლავრი სტრუქტურის შიგნით. კონკურენტული უპირატესობა, რომელიც ჯეი ბარნის რესურსული ხედვის (RBV) მიხედვით იშვიათ აქტივებს უკავშირდებოდა, ახლა გადაინაცვლებს ეგზოგენური ალგორითმების სწრაფი დეკოდირების და პლატფორმის მასშტაბის ეფექტის ათვისების დინამიკურ უნარზე. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბაზრებზე, სადაც მცირე აქტორებს არ გააჩნიათ საკმარისი კაპიტალი ალტერნატიული ინფრასტრუქტურის

შესაქმნელად, ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია. ისინი იძულებულნი არიან მიიღონ პლატფორმული არქიტექტურის ნებისმიერი პირობა, რაც ქმნის საორგანიზაციო საზღვრების ალგორითმულ გამტარობას (Algorithmic\Permeability). ფირმა აღმოჩნდება სტრუქტურულ ხაფანგში, სადაც ქსელური კავშირების გაწყვეტა ნიშნავს ბაზრიდან მომენტალურ გაქრობას, ხოლო კავშირების შენარჩუნება — საკუთარი უნიკალური რესურსების მუდმივ, უკონტროლო გაზიარებას პლატფორმისა და კონკურენტებისთვის.

ასეთ გარემოში ოპერირება მენეჯმენტისგან მოითხოვს არა სტანდარტულ, ხაზოვან დაგეგმვას, არამედ სპეციფიკურ საორგანიზაციო ამბიდექსტრიას — უნარს, მართოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიული ორიენტაცია: ნდობა (ეკოსისტემის ინფრასტრუქტურისადმი) და მეტოქეობა (მარჟის განაწილებისა და მონაცემთა კონტროლისთვის). მენეჯერული ამბიდექსტრია აქ სცილდება მის კლასიკურ გაგებას და ყალიბდება როგორც "გარე ორიენტაციის ამბიდექსტრია", სადაც ნდობის ლოგიკა მიმართულია კოლექტიური ფასეულობის შექმნისკენ, ხოლო მეტოქეობის ლოგიკა — ამ ფასეულობის საკუთარი წილის აგრესიული მითვისებისკენ. პლატფორმულ ეკოსისტემაში ეს უკანასკნელი ხორციელდება არა მარტივი საფასო ომებით, არამედ პლატფორმული ინფორმაციული ასიმეტრიის აქტიური ნიველირებითა და მომხმარებელთან ურთიერთობის ავტონომიური, პარალელური არხების მართვით, რაც მეტა-ორგანიზაციას ართმევს ცოდნის აბსოლუტურ მონოპოლიას. ეს დინამიკური პროცესი წარმოშობს უპრეცედენტო სტრუქტურულ რისკებს, რომელთა კლასიფიკაცია და მართვა აუცილებელია მცირე ბიზნესის გადარჩენისთვის. ამ რისკების იერარქია მოიცავს სამ ფუნდამენტურ განზომილებას: პირველი, ეს არის არქიტექტურული რისკი, როდესაც პლატფორმის მფლობელი ცალმხრივად ცვლის ალგორითმებს, რაც მყისიერად ანგრევს ფირმის ხილვადობას; მეორე, საოპერაციო ამბივალენტობის რისკი, რომელიც იბადება შიდაორგანიზაციულ დონეზე, როდესაც თანამშრომლები მუდმივად ლავირებენ ღიაობასა და იზოლაციას შორის, რაც იწვევს კრიტიკული ცოდნის გაჟონვას; და მესამე, ყველაზე საშიში — რესურსული რენტის ექსპროპრიაცია, როდესაც პლატფორმა, მომხმარებელთა მონაცემების მონოპოლიზებით, ახდენს საუკეთესო ნიშების იდენტიფიცირებას და დროთა განმავლობაში თავად ანაცვლებს ლოკალურ აქტორს.

წინამდებარე ნაშრომში შემუშავებული "რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორია" (RITT) გთავაზობთ ამ რისკების პრევენციის მექანიზმს, რომელიც ეფუძნება არა იზოლაციას, არამედ კონტექსტუალურ ტრანსლაციას. რეკურსიული ტრანსლაციის პროცესი შედგება სამი თანმიმდევრული ფაზისგან, რაც ფირმას საშუალებას აძლევს ციფრული მონობის ნაცვლად, მოიპოვოს სტრატეგიული მედეგობა. პირველი ფაზაა "ინსტიტუციური დეკოდირება" — მენეჯერთა მიერ პლატფორმის ფარული ალგორითმული წესების ანალიზი და მათი რეალური სტრატეგიული მიზნების გააზრება, რაც ამცირებს ასიმეტრიულ დამოკიდებულებას. მეორე ფაზაა "შიდა სტრუქტურული ჰიბრიდული ადაპტაცია", როდესაც ფირმა პლატფორმის უნიფიცირებულ სტანდარტებს აერთიანებს საკუთარ ლოკალურ, ოფლაინ უპირატესობებთან. ამ ფაზაში ტრადიციული სოციალური კაპიტალი და ქსელური რეპუტაცია კონვერტირდება ალგორითმებისგან დამოუკიდებელ ბრენდულ ლოიალობაში, რითაც იქმნება უნიკალური, რთულად კოპირებად საოპერაციო მოდელი, რომელიც გარე ფილტრების გვერდის ავლით ინარჩუნებს მომხმარებელთა ნაკადს. მესამე, ფინალური ფაზაა "რეკურსიული სტაბილიზაცია" — მიღებული გამოცდილების ორგანიზაციულ მეხსიერებაში ინტეგრაცია ახალი დინამიკური

კომპეტენციების სახით. ამრიგად, RITT მოდელი არ არის მხოლოდ პასიური დაცვის საშუალება; იგი არის აქტიური, შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც გლობალური, ხისტი ციფრული წესები ლოკალურ, მოქნილ და გამძლე ბიზნეს-პრაქტიკებად გარდაიქმნება.

პლატფორმული ეკონომიკის პირობებში კონკურენტული უპირატესობის დეკონსტრუქცია საბოლოოდ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ ტრადიციული სტრატეგიული აზროვნება, რომელიც მიმართული იყო იზოლირებული მონოპოლიური პოზიციის მოპოვებაზე, ციფრულ რეალობაში სრულ ფიასკოს განიცდის. ახალი სტრატეგიული იმპერატივი მოითხოვს ეკოსისტემური აზროვნების განვითარებას, სადაც წარმატება იზომება არა ფირმის დამოუკიდებელი ზომით, არამედ მისი ქსელური კავშირების ხარისხითა და ორგანიზაციული გამტარობის ეფექტური კონტროლით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების SME-სთვის პლატფორმა წარმოადგენს ერთდროულად როგორც ეგზისტენციალურ საფრთხეს, ისე მასშტაბირების უპრეცედენტო შესაძლებლობას. მთავარი სტრატეგიული გამოწვევა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოახერხებს ფირმა ამ მასშტაბის ათვისებას საკუთარი სუვერენიტეტის სრული ანულირების გარეშე. სწორედ მენეჯერული ამბიდექსტრია, სტრუქტურული რისკების გააზრებული კლასიფიკაცია და RITT მოდელის პრინციპების პრაქტიკული იმპლემენტაცია წარმოადგენს იმ ანალიტიკურ იარაღს, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოს საშუალებას აძლევს წარმატებით მართოს ციფრული კოოპეტიციის პარადოქსები და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა ტრანსფორმირებად გლობალურ ეკონომიკაში. ეს არის კვლევითი ხედვა, რომელიც რეალობას გარდაქმნის სტრატეგიულ უპირატესობად.

დასკვნა და სტრატეგიული პერსპექტივები

წინამდებარე კვლევაში განხორციელებული თეორიული და კონცეპტუალური ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ პლატფორმული ეკონომიკის ექსპანსია გარდამავალი ტიპის ბაზრებზე იწვევს ფუნდამენტურ სტრუქტურულ გარდატეხას, რომელიც მთლიანად ცვლის მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიულ ონტოლოგიას. ტრადიციული საორგანიზაციო საზღვრების რღვევა ფირმებს აყენებს ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე, სადაც იზოლაციონისტური სტრატეგიები წინასწარვე განწირულია მარცხისთვის, ხოლო ნაშრომში შემუშავებული რეკურსიული ინსტიტუციური ტრანსფორმაციის თეორია (RITT) გვევლინება სწორედ იმ ანალიტიკურ და პრაქტიკულ ჩარჩოდ, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებს აძლევს საშუალებას, მართონ ციფრული კოოპეტიციის პარადოქსები.

RITT მოდელის პრაქტიკული იმპლემენტაციის გრძელვადიანი ეფექტების შეფასება აჩვენებს, რომ სტრატეგიული მედეგობის მიღწევა პირდაპირკავშირშია ტრანსლაციის სამივე ფაზის თანმიმდევრულ რეალიზაციასთან, სადაც ნათლად გამოიკვეთა შიდა ორგანიზაციული კულტურისა და ლოკალური სოციალური კაპიტალის როლი, რომელიც მოქმედებს როგორც ადაპტაციური ფილტრი. ციფრული არხების ეფექტური გამოყენება ოფლაინ ნდობის რესურსებისა და ორგანიზაციული ფასადების შენარჩუნების ფონზე უზრუნველყოფს პლატფორმული ინფორმაციული ასიმეტრიის ნიველირებას.

ეს პროცესი პლატფორმას ართმევს შესაძლებლობას, სრულად მოახდინოს ლოკალური აქტორის ეკონომიკური იზოლაცია, რაც აყალიბებს ახალ სტრატეგიულ იმპერატივს და მოითხოვს ეკოსისტემური აზროვნების განვითარებას, სადაც წარმატება დამოკიდებულია მენეჯერული ამბიდექსტრიის ხარისხზე — უნარზე, ენდო

პლატფორმის ინფრასტრუქტურას, მაგრამ მუდმივად ებრძოლო მას ფასეულობის მითვისების სამართლიანი წილისთვის.

ნაშრომში განვითარებული თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს კონკრეტული სტრატეგიული პროგნოზი საქართველოს მსგავსი გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნების საწარმოთა მდგრადობის შესახებ. ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) სიცოცხლისუნარიანობა უახლოეს მომავალში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოახერხებენ ისინი ნავიგაციას ორი მძლავრი, მაგრამ ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ძალის გადაკვეთაზე:

- **გლობალური პლატფორმული წნეხი:** ტექნოლოგიური გიგანტების მკაცრი ალგორითმული იძულება.
- **ევროპული სარეგულაციო ტალღა:** ევროკავშირის ციფრული რეგულაციების (*EU Digital Legal Framework*) ეტაპობრივი ლოკალური იმპლემენტაცია.

თეორიული პროგნოზის თანახმად, ფირმები, რომლებიც აირჩევენ მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობას ან ტექნოლოგიურ იზოლაციონიზმს, დაკარგავენ კონკურენტუნარიანობას და ეკოსისტემიდან განიდევნებიან. პირიქით, საწარმოთა გრძელვადიანი მდგრადობა მიიღწევა RITT მოდელით გათვალისწინებული თვისებრივი საორგანიზაციო ტრანსფორმაციით. ეს გულისხმობს ისეთი შიდა სტრატეგიული მოქნილობის გამომუშავებას, სადაც ქართული საწარმოები ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებს გამოიყენებენ როგორც ბერკეტს გლობალურ პლატფორმებთან ასიმეტრიული ძალაუფლების დასაბალანსებლად, ხოლო საკუთარ საორგანიზაციო კულტურასა და მენეჯერულ კოგნიციას ჰიბრიდული, კოოპეტიციური მოდელების შესაქმნელად გადააწყობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Adner, R. (2017). *Ecosystem as structure: An actionable construct for strategy*. Journal of Management, 43(1); https://doi.org/10.1177/0149206316678451
2. Barney, J. (1991). *Firm resources and sustained competitive advantage*. Journal of Management, 17(1), 99-120. https://doi.org/10.1177/014920639101700108
3. Bengtsson, M., & Kock, S. (2000). "Coopetition in business networks—To cooperate and compete simultaneously". *Industrial Marketing Management*, 29(5), 411-426. https://doi.org/10.1016/S0019-8501(99)00067-X
4. Eisenmann, T., Parker, G., & Van Alstyne, M. W. (2011). *Platform envelopment*. Strategic Management Journal, 32(12), 1270-1285. https://doi.org/10.1002/smj.935
5. Gawer, A., & Cusumano, M. A. (2014). *Industry platforms and ecosystem innovation*. Journal of Product Innovation Management, 31(3), 417-433. DOI: 10.1111/jpim.12105
6. Hannah, D. P., & Eisenhardt, K. M. (2018). *How firms navigate ecosystems: The corporate strategy of ecosystem partners*. Strategic Management Journal, 39(12), 3163-3192. https://doi.org/10.1002/smj.2750
7. Jacobides, M. G., Cennamo, C., & Gawer, A. (2018). Towards a theory of ecosystems. *Strategic Management Journal*. 39(8); https://doi.org/10.1002/smj.2904
8. Lepak, D. P., Smith, K. G., & Taylor, S. (2007). Value creation and value capture: A multilevel perspective. *Academy of Management Review*. 32(1) https://doi.org/10.5465/amr.2007.23464011
9. Porter, M. E. (2008). *The five competitive forces that shape strategy*. Harvard Business Review, 86(1), 78-93. https://hbr.org/2008/01/the-five-competitive-forces-that-shape-strategy
10. Ritala, P., Agouridas, V., Assimakopoulos, D., & Gies, O. (2013). *Value creation and capture mechanisms in innovation ecosystems: A coopetition perspective*. International Journal of Technology Management; 63 (3/4) 244-267. https://doi.org/10.1504/IJTM.2013.056900

11. Tiwana, A. (2014). *Platform ecosystems: Aligning architecture, governance, and strategy*. Morgan Kaufmann; ISBN: 978-0-12-408066-9

Giorgi Kharshiladze

Strategic Paradoxes in the Platform Economy:
Forced Co-Op and Organizational Transformation
Summary

This paper analyzes the strategic paradoxes emerging under the hegemony of global digital platforms, specifically focusing on the phenomenon of coerced coopetition. The study deconstructs classical strategic management theories—namely, Michael Porter's Five Forces and the Resource-Based View (RBV)—demonstrating their analytical limitations within platform ecosystems. The paper introduces an original conceptual framework: Recursive Institutional Translation Theory (RITT), which elucidates how macro-level platform architectures and algorithmic pressures are translated into micro-level organizational realities and hybrid adaptive models. Grounded in an interpretivist epistemological orientation and qualitative narrative synthesis, this research explores the digital transformation trajectories of small and medium-sized enterprises (SMEs) within the context of emerging economies and rigid ecosystem constraints.

Keywords: *Digital Platforms, Coerced Coopetition, RITT, Organizational Adaptation, Strategic Paradox.*

მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარების, ფინანსებისა და საბანკო საქმის სექცია
SECTOR OF MACROECONOMICS, SUSTAINABLE DEVELOPMENT, FINANCE AND BANKING

გიორგი ბრეგვაძე
ლინა დათუნაშვილი

უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საქართველოს შრომის ბაზრის მდგომარეობა 2026 წლის პირველი კვარტლის მონაცემების საფუძველზე, შედარებული 2021–2025 წლების შესაბამის მაჩვენებლებთან. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოში უმუშევრობის დონემ ბოლო ხუთწლიან პერიოდში თანმიმდევრული კლება განიცადა — 2021 წლის 20,6 პროცენტიდან 2026 წლის პირველი კვარტლისთვის 14,4 პროცენტამდე — რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პოლიტიკის ეფექტურობის ნათელი დასტურია. სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე საშუალო ხელფასების ინფლაციაზე სწრაფი ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი ტემპით ზრდა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინიციატივები ახალგაზრდების დასაქმებისა და პროფესიული განათლების ხელშესაწყობად. დასკვნის სახით წარმოდგენილია შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები.*

საკვანძო სიტყვები: *დასაქმება, უმუშევრობის შემცირება, შრომის ბაზარი, საქართველო, საქსტატი, ეკონომიკური ზრდა, ხელფასების ზრდა.*

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხი წარმოადგენს — სწორედ ის ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის რეალურ შედეგებს. შრომის ბაზარმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მეტი სიმდგრადე და დინამიურობა შეიძინა, ამასთანავე დაფიქსირდა უმუშევრობის დონის მკვეთრი და თანმიმდევრული კლებაც. ეს დადებითი ტენდენცია, 2026 წლის მონაცემების მიხედვით, გრძელდება.

2026 წლის მონაცემების ჭრილში საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობის შესწავლას, ამ მაჩვენებლების წინა წლების (2021–2025) მონაცემებთან შედარებასა და მიღწეული პროგრესის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას ისახავს მიზნად წინამდებარე სტატია. კვლევის საფუძველს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ოფიციალური მონაცემები და 2026 წელს გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალები წარმოადგენს.

* * *

ეკონომიკური განვითარების დონეს, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხარისხსა და ადამიანური კაპიტალის გამოყენების ეფექტურობას სწორედ შრომის ბაზარი ასახავს, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს მიერ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა ზრდამ პირდაპირი გავლენა შრომის ბაზარზეც

მოახდინა — დასაქმებულთა რაოდენობა და ხელფასების დონე იზრდება, ხოლო უმუშევრობის დონე თანმიმდევრულად იკლებს.

პირველი კვარტლის სრული მონაცემების ხელმისაწვდომობის გამო, რაც წინა წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებისა და მიღწეული პროგრესის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, 2026 წელი საქართველოს შრომის ბაზრისთვის განსაკუთრებით საინტერესო პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. შრომის ბაზრის გაჯანსაღებას დამატებით შეუწყო ხელი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალმა ტემპმა და სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ინიციატივებმა — მათ შორის საჯარო სექტორის ხელფასების ზრდამ და პროფესიული განათლების ხელშეწყობამ.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ, კვარტალურ და წლიურ ჭრილში ჩატარებული შრომის ძალის კვლევის საქსტატისეულ ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა სტატია. დამატებით გამოყენებულია 2026 წელს გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალებიც, რომლებიც საქსტატის მონაცემებზეა აგებული და სტატისტიკურ სურათს დამატებით კონტექსტს სძენენ. მიღწეული პროგრესის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად ანალიზში შედარებითი მეთოდია გამოყენებული — 2026 წლის მაჩვენებლები 2021–2025 წლების მონაცემებთანაა დაპირისპირებული.

მკვეთრი და თანმიმდევრული კლება განიცადა საქართველოში უმუშევრობის დონემ ბოლო ხუთწლიან პერიოდში საქსტატის მონაცემების თანახმად. 20,6 პროცენტიდან (2021 წელი) 17,3 პროცენტამდე (2022 წელი) და შემდგომ 16,4 პროცენტამდე (2023 წელი) დაეცა მაჩვენებელი, ხოლო 2024 და 2025 წლებში ისტორიულად დაბალ, 13,9-პროცენტიან ნიშნულზე დასტაბილურდა. ეს დინამიკა ცხადყოფს, რომ პანდემიის შემდგომი აღდგენის პერიოდში გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებამ შრომის ბაზარზე დადებითი და მდგრადი შედეგი გამოიღო.

14,4 პროცენტი შეადგინა უმუშევრობის დონემ 2026 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, რაც 2025 წლის შესაბამის პერიოდის 14,7%-ს 0,3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება — დადებითი ტენდენციის გაგრძელების კიდევ ერთი დასტური. წლის განმავლობაში მაჩვენებელი თანდათან უმჯობესდებოდა კიდეც: 14,3 პროცენტი 2025 წლის მეორე კვარტალში, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტლებში — შესაბამისად 13,3 პროცენტამდე კლება, რასაც წლის თბილ სეზონში სოფლის მეურნეობასა და ტურიზმში დასაქმების ზრდა განაპირობებს და რაც კარგად აჩვენებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ჩართულობას დასაქმების ზრდის პროცესში.

1 599,2 ათასი კაცი შეადგინა 2026 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) მოცულობამ, საიდანაც 1 369,2 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. 2022 წელთან შედარებით თითქმის 86 ათასი ადამიანით მეტია ეს მაჩვენებელი, რაც ცხადყოფს, რომ შრომის ბაზარმა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მეტი ადამიანისთვის შექმნა დასაქმების შესაძლებლობა.

დამატებით საყურადღებოა, რომ 2026 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაახლოებით 9 პროცენტით მოიმატა, რაც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპია. ეკონომიკური ზრდის ასეთი მაღალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია დასაქმების ზრდასთან და შრომის ბაზრის გაჯანსაღებასთან, კერძოდ ვაჭრობის, უძრავი ქონების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ტურიზმის სექტორებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით.

2026 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ დასაქმების პოზიტიური დინამიკა ორივე სქესის წარმომადგენლებს შეეხო, თუმცა განსხვავებული ტემპით. 2026 წლის პირველ კვარტალში მამაკაცებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 16,2 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0,8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია — საგრძნობი გაუმჯობესება. ქალებში მაჩვენებელი 12,1 პროცენტს შეადგენდა, რომელიც ტრადიციულადვე მამაკაცების მაჩვენებელზე დაბალია, რაც ასევე დადებით სურათს ქმნის ქალთა დასაქმების თვალსაზრისით.

ტერიტორიული ჭრილით, უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც ქალაქის ტიპის დასახლებებში, ისე სოფლად. 2026 წლის პირველ კვარტალში ქალაქად უმუშევრობის მაჩვენებელმა 15,5 პროცენტი შეადგინა (0,3 პროცენტული პუნქტით ნაკლები წინა წელთან შედარებით), ხოლო სოფლად — 12,8 პროცენტი (0,2 პროცენტული პუნქტით ნაკლები). ეს თანაბარზომიერი გაუმჯობესება მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდის სარგებელი თანდათან თანაბრად ნაწილდება ქვეყნის მასშტაბით, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ახალგაზრდების დასაქმება წარმოადგენს, რომლის ხელშეწყობაშიც მნიშვნელოვან როლს პროფესიული განათლების პროგრამების აქტიური გაფართოება ასრულებს — 2026 წელს ფართო მასშტაბით წარიმართა რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც ახალგაზრდებს პრაქტიკული უნარების შეძენისა და შრომის ბაზარზე უფრო სწრაფად ინტეგრირების საშუალებას აძლევს. იმისკენ არის მიმართული საგანმანათლებლო და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივები, მათ შორის უნარებისა და ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამები, რომ განათლების სისტემამ შრომის ბაზრის მოთხოვნებს უკეთ უპასუხოს.

ხელმისაწვდომი მონაცემებით, საქართველოში ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, რაც კარგი წინაპირობაა მომავალში მათი წარმატებული დასაქმებისთვის, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფინანსებისა და მომსახურების სექტორებში, სადაც კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავების კურსი მომავალში კიდევ უფრო შეამცირებს ახალგაზრდების უმუშევრობას.

დასაქმების ხარისხობრივი მხარის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ხელფასების დინამიკის განხილვაც, რომელმაც ბოლო წლებში საგრძნობი ზრდა აჩვენა. საქსტატის მონაცემებით, 2026 წლის პირველ კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,9 პროცენტით გაიზარდა და 2 364 ლარი შეადგინა. ეს ზრდის ტემპი აჭარბებს ინფლაციის მაჩვენებელს, რაც პირდაპირ დადებითად აისახება დასაქმებულთა რეალურ შემოსავალსა და მსყიდველობითუნარიანობაზე.

დამატებით, 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საჯარო მოხელეთა ხელფასების 10-პროცენტიანი ზრდა, რაც კანონმდებლობის შესაბამისად დაკავშირებულია კერძო სექტორში ხელფასების წლიურ ზრდასთან და მიზნად ისახავს საჯარო სამსახურის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას შრომის ბაზარზე. ხელფასების თანმიმდევრული ზრდა ცალსახად მეტყველებს შრომის ბაზარზე მოთხოვნის გაზრდაზე და ეკონომიკის საერთო გაჯანსაღებაზე.

საქართველოს მთავრობა შრომის ბაზრის შემდგომი გაუმჯობესებისთვის რამდენიმე მიმართულებით აქტიურად მუშაობს: პროფესიული განათლების პროგრამების განვითარება, დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო სერვისების

გაფართოება და საჯარო სექტორის ხელფასების რეგულირება ბაზრის ტენდენციების შესაბამისად. ამასთან, გრძელდება მუშაობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის სრულყოფაზეც, რომელიც ხელს უწყობს ფორმალურ დასაქმებას და შრომითი ურთიერთობების გამჭვირვალობის ზრდას.

მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპისა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს პირობებში, საქართველოს შრომის ბაზარს კარგი წინაპირობები აქვს შემდგომი განვითარებისთვის. საქართველო რჩება რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ და მეწარმისთვის მიმზიდველ იურისდიქციად, რაც ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

2026 წლის მონაცემების ანალიზი ცალსახად აჩვენებს, რომ საქართველოს შრომის ბაზარი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მდგრადი და თანმიმდევრული გაუმჯობესების ტენდენციას ინარჩუნებს — უმუშევრობის დონე 2021 წლის 20,6 პროცენტიდან 2026 წლის პირველი კვარტლისთვის 14,4 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2024–2025 წლებში მიღწეული 13,9-პროცენტიანი მაჩვენებელი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ნიშნულია. ამას ემატება მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, ხელფასების ინფლაციაზე სწრაფი ზრდა და სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ინიციატივები.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შრომის ბაზარი დინამიურად და დადებითი ტრაექტორიით ვითარდება. ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, პროფესიული განათლების შემდგომი განვითარება და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება რეგიონებში კიდევ უფრო განამტკიცებს ამ დადებით ტენდენციას და უზრუნველყოფს, რომ მომდევნო წლებში საქართველოში დასაქმების მაჩვენებელი კვლავ გაუმჯობესდეს, ხოლო უმუშევრობის დონემ ისტორიულ მინიმუმებს მიაღწიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) – Geostat.ge
2. Commersant.ge
3. 1TV.ge
4. Businessformula.ge

George Bregvadze
Lina Datunashvili

Unemployment and Employment in Georgia

Summary

The article examines the state of Georgia’s labor market based on data from the first quarter of 2026, comparing it with the corresponding indicators from 2021–2025. The study shows that the unemployment rate in Georgia has declined consistently over the last five years — from 20.6 percent in 2021 to 14.4 percent in the first quarter of 2026 — which clearly demonstrates the positive impact of economic growth and employment policy. The article also highlights the increase in average wages above the inflation rate, the high growth rate of gross domestic product, and state initiatives aimed at supporting youth employment and vocational education. In conclusion, the paper presents the prospects for further labor market development.

მაია გოგოხია

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია. *მიკროდაფინანსების პოტენციური შესაძლებლობების ადეკვატური განსაზღვრა და ფუნქციონირების ეფექტიანი მიმართულებების დადგენა, დიდადაა დამოკიდებული ფინანსური მომსახურების მომხმარებლებისა და გამყიდველების ქცევაზე.*

2006 წლიდან, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მიკროსაფინანსო სექტორი დინამიკურად ვითარდება საქართველოშიც. ის ხასიათდება სახელმწიფო რეგულირების მაღალი დონით. ნიშანდობლივია საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური როლი, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორის რეგულატორის ფუნქციასაც ასრულებს. აღნიშნული ეტაპი ხასიათდება მოსახლეობის მხრიდან ნდობის გაზრდით და მიკროსესხების გაცემის გამჭვირვალე პრაქტიკით. დაწესდა მკაფიო მოთხოვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საინფორმაციო ღიაობის მიმართ, რაც ავალდებულებს მათ სრულად და გასაგებად მოახდინონ კლიენტების ინფორმირება სესხის პირობების შესახებ.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ძირითადი ასპექტების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე, როგორც საქართველოში, ასევე, ზოგადად მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: *მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირების პრინციპები, მიკროდაფინანსების მოდელები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის თანამედროვე პრაქტიკა, მიკრობანკები.*

შესავალი

მიკროდაფინანსების კონცეფცია 1970-იან წლებში აღმოცენდა და დაკავშირებულია მუჰამედ იუნუსის სახელთან (ეკონომისტი ბანგლადეშიდან), რომელიც ითვლება თანამედროვე მიკროდაფინანსების ფუძემდებლად. მან ჩამოაყალიბა მსოფლიოში პირველი მიკროსაფინანსო ინსტიტუტი - Grameen Bank. მიკროდაფინანსების იდეა მცირე სესხების გაცემაა იმ პირებზე, რომელთაც ტრადიციულად არ აქვთ წვდომა საბანკო კრედიტებზე, ძირითადად, ღარიბ მოსახლეობაზე, რომ დაეხმაროს მას საკუთარი საქმის წამოწყებასა ან მცირე ბიზნესის გაფართოებაში. მიკროდაკრედიტების კონცეფცია სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში და ფართო აღიარება მოიპოვა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის ეფექტიანმა ინსტრუმენტმა. მუჰამედ იუნუსსა და Grameen Bank-ს 2006 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისთვის.

მიკროდაფინანსების იდეაა ის, რომ მცირე ფინანსურ რესურსებსაც კი შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ღარიბი ადამიანების ცხოვრებაზე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად გაიუმჯობესონ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა. დღემდე მუშავდება ნოვატორული მიდგომები და ტექნოლოგიები დაბალ და საშუალოშემოსავლიანი მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით, ამლევს რა მათ საკუთარი მცირე ბიზნესის განვითარების, საცხოვრებელი პირობების თუ განათლების გაუმჯობესების შესაძლებლობას. მიკროდაფინანსების ძირითადი ამოცანა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაა მათთვის, ვინც ტრადიციულად

მოკლებულია საბანკო დაკრედიტებას გირაოს, სტაბილური შემოსავლის ან კარგი საკრედიტო ისტორიის არქონის გამო.

საკანონდებლო ცვლილებებმა საქართველოში არსებითი როლი შეასრულა მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებაში, შექმნა მისი ჯანსაღი და მდგრადი გაფართოების პირობები.

მიკროსაფინანსო სექტორის მოდელები და ტექნოლოგიები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპები საფუძვლად უდევს მათ მიერ მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის ფინანსური მომსახურების გაწევას. ამ პრინციპებს შორისაა:

- ინკლუზიურობის პრინციპი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მიზნად ისახავენ წვდომას ფინანსურ მომსახურებაზე პირებისათვის, რომელთაც ტრადიციულად არ ემსახურებიან ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები (სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა, ქალები, მოშორებული რეგიონების მცხოვრებნი, მცირე საწარმოები);
- სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი - ისინი ეწევიან მომსახურებას სამართლიანი პირობებით და შეიმუშავებენ პროგრამებს, რაც მიმართულია ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისაკენ;
- მდგრადობის პრინციპი - მოიცავს რისკ-მენეჯმენტს, ფინანსურ დაგეგმვას, ეფექტიანობის მონიტორინგს და მიმართულია გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;
- მოქნილობისა და ინოვაციურობის პრინციპი - მიკროსაფინანსოების ადაპტაციის უნარსა და სიახლეების დანერგვას გულისხმობს დინამიკური ცვლილებების საპასუხოდ;
- გამჭვირვალობის პრინციპი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოქმედებენ ღიად, აწვდიან რა კლიენტებს სრულ ინფორმაციას სესხების პირობებსა და შესაძლო რისკებზე;
- თანამშრომლობისა და პარტნიორობის პრინციპი - სტრატეგიული ურთიერთქმედება სამთავრობო დაწესებულებებთან, კომერციულ ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან.

მიკროდაფინანსების მიზანია ისეთი საკრედიტო სისტემის შექმნა, რომელიც გაზრდის მცირე და საშუალო საწარმოების რენტაბელობასა და მდგრადობას, სამუშაო ადგილების რაოდენობას, გააუმჯობესებს მწარმოებლურობას. ბევრ ქვეყანას აქვს საკუთარი მიკროდაფინანსების მოდიფიცირებული, ეროვნულ თავისებურებებთან ადაპტირებული მოდელი და ტექნოლოგიები, რაც მიზნად ისახავს ფინანსურ მხარდაჭერას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის სესხების სახით სამეწარმეო საქმიანობისათვის, რაც ადგილობრივი ბაზრის შექმნასა და შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს. საინტერესოა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა.

მიკროდაფინანსების ამერიკული მოდელი ეფუძნება სახელმწიფო ორგანოებისა (მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია - SBA) და შუამავალი ორგანიზაციების ურთიერთქმედებას. მიკროსესხებს აქვს მიზნობრივი ხასიათი: საბრუნავი კაპიტალისთვის, ორგტექნიკისა და მოწყობილობის შესაძენად (სესხის დახარჯვა არ შეიძლება უძრავი ქონების შესაძენად და მასზე საავანსო გადასახდელებზე). გაიცემა

თანხით 35 ათას დოლარამდე დაბრუნების ვადით მაქსიმუმ 3 წლამდე. ამასთან, თითოეულ სესხს ახლავს ტექნიკური დახმარების გრანტი.

მიკროდაფინანსების გერმანული მოდელის თავისებურებაა მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მჭიდრო ინტეგრაცია ტრადიციულ საბანკო სისტემასთან - აქცენტით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, გერმანიაში მიკროსაფინანსო მომსახურება მჭიდროდაა ინტეგრირებული ტრადიციულ საბანკო სისტემასთან. მიკროდაფინანსების გერმანული მოდელი მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს სახელმწიფოს მხრიდან, რაც მოიცავს გარანტიებს კრედიტებზე და საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას. გერმანიაში დიდი ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მხარდაჭერას.

მიკროდაფინანსების იაპონური მოდელი ეფუძნება ქვეყნის შრომის ბაზრის თავისებურებებს, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70% მცირე მეწარმეობის სფეროშია დასაქმებული (საკუთრების ფორმის მიხედვით ინდივიდუალური და საოჯახო საწარმოები სჭარბობს). ისინი ფუნქციონირებენ სახელმწიფო და კერძო სპეციალიზებული ორგანიზაციების საფუძველზე, როგორიცაა: იაპონიის სახელმწიფო კორპორაცია, დაფინანსების სახელმწიფო კორპორაცია, მცირე ბიზნესის დაფინანსებისა და კრედიტების დაზღვევის სახელმწიფო კორპორაცია (სესხების დაფარვის გარანტიები).

ფონდი - ,,ფუნდუშ მიკრო“ პოლონეთში, წარმოადგენს ყველაზე წარმატებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც აერთიანებს დაკრედიტებას შემნახველ მომსახურებასთან, სწავლებასა და კონსულტირებასთან. ,,ფუნდუშ მიკრო“ - არასახელმწიფო ორგანიზაციაა, რომლის დაკრედიტების პრინციპები აგებულია ინდივიდუალურ, ჯგუფურ და როტაციულ მოდელებზე: კრედიტი გაიცემა ვადით 3 თვემდე, მისი საშუალო სიდიდეა - 1,5 ათასი დოლარი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 35%, სესხების დაბრუნებითობის დონე - 98%, ყველა მსესხებლის 55% ქალია.

უნგრეთში მოქმედებს მეწარმეობის მხარდაჭერის ფონდი (HFEP დაფუძნებული 1990 წელს), რომლის მიკროდაკრედიტების პროგრამის საკრედიტო პორტფელი შეადგენს 9 მლნ დოლარს, 20 ფილიალით უნგრეთის მთელ ტერიტორიაზე, ჰყავს მიზნობრივი კლიენტები - მცირე და მიკროსაწარმოები შემდეგი მახასიათებლებით: შტატი არაუმეტეს 10 ადამიანისა, საწარმოები ფუნქციონირებენ ბაზარზე არაუმეტეს 2 წლისა, გაყიდვათა საერთო წლიური მოცულობა არ აღემატება 60 ათას აშშ დოლარს.

მიკროდაფინანსების მოდელები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არსებითად განსხვავდება ანალოგიურისგან განვითარებად ქვეყნებში. ის არ არის იმდენად მასშტაბური და მათი ძირითადი მიზანია არა სიღარიბესთან ბრძოლა და საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა, არამედ, მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური კატეგორიის სამეწარმეო ინიციატივის მხარდაჭერა, ლოკალური ბაზრების განვითარება და, საბოლოო ანგარიშით, ,,საშუალო კლასის“ ფორმირება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ტიპების დიაპაზონი დღეისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა არასაბანკო და არასამთავრობო ფინანსურ ორგანიზაციებს, ტრადიციულად დომინირებადს მოცემულ სექტორში. შედეგად, კანონმდებლებმა და მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებმა გააცნობიერეს, რომ მიკროდაფინანსების განხილვა აუცილებელია მთელი ნაციონალური ფინანსური სისტემის მასშტაბით. რეგულირების და ზედამხედველობის პრუდენციული და

არაპრუდენციული ფორმები სინქრონიზებულ უნდა იქნეს მოცემული სექტორის შემდგომ განვითარებასთან ერთად.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიკროდაფინანსების სპეციალისტები, ხელმძღვანელობენ რა მემორანდუმით - ,,მიკროსაფინანსო საქმიანობა და ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის საკვანძო პრინციპები“ (Microfinance Activities and the Core Principles for Effective Banking Supervision), მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეგულირება და ზედამხედველობა ევროკავშირის ქვეყნების ოფიციალური ორგანოების მხრიდან აფართოვებს წვდომას ფინანსურ მომსახურებაზე მოსახლეობის ნდობის ამაღლების შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისადმი, სრულყოფს მათ საოპერაციო სტანდარტებს და ქმნის თანაბარ პირობებს ბანკებისა და არასაბანკო ინსტიტუტებისთვის (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, 2010).

მიკროდაფინანსების სფეროში ეროვნული მოდელის შემუშავებისასყველა ქვეყანა იყენებს სხვადასხვა მიდგომას, რაც ითვალისწინებს მიკროდაფინანსების, როგორც საქმიანობის ცალკე მიმართულების რეგულირების სისტემის კონცეპტუალური საფუძვლის შექმნას, მიკროდაფინანსების ამოცანებს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი, ამ ამოცანებს შორისაა: მეანაბრეთა ინტერესების დაცვა და ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური სისტემის მდგრადობის შენარჩუნება; მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, მიკროდაფინანსების სოციალური მისიის შენარჩუნება. აღნიშნულის მიღწევა კი არცთუ იოლია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: თანამედროვე საზღვარგარეთული და ადგილობრივი პრაქტიკა

მიკროდაფინანსება განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში განსხვავდება მისი ანალოგისგან განვითარებად ქვეყნებში. ევროკავშირის ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობის დიდ უმრავლესობას აქვს ანგარიში ფორმალურ ფინანსურ დაწესებულებაში. მსოფლიო განვითარების მაჩვენებლების მონაცემთა ბაზის თანახმად, საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირში შეადგენს 89%-ს ზრდასრული მოსახლეობისა, ვისაც აქვს საბანკო ანგარიში, ამასთან, რუმინეთში ეს მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს, დანიაში კი - 100%.

ამგვარად, ევროპული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მისიაა მიკროსესხების გაცემა ინდივიდუალურ მეწარმეებზე (ან მათ კომპანიებზე), რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გამორიცხული არიან ტრადიციული საბანკო მომსახურების სფეროდან. ამგვარი გამორიცხვა განიხილება არამხოლოდ როგორც ფინანსური ბაზრის ფენომენი, არამედ, როგორც სოციალური გამორიცხვის ასპექტი. სიღარიბესთან ბრძოლის ევროპული ქსელის თანახმად, ტერმინი - ,,სოციალური გამორიცხვა“, მიეკუთვნება პროცესებს, რაც ზღუდავს წვდომას რესურსებსა და შესაძლებლობებზე. სოციალური გამორიცხვა ძირითადი საზოგადოებრივი პრობლემაა ევროპაში და მიიჩნევა, რომ სიღარიბე მისი შედეგია. სოციალურად გამორიცხულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: დედები დეკრეტულ შვებულებაში და მის შემდგომ, ხანდაზმული ადამიანები, ვინც ეძებს ახალ სამუშაო შესაძლებლობებს, ახალგაზრდა ან დაბალკვალიფიციური კურსდამთავრებულები, ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები. ამავდროულად, მათ შორის არიან ადამიანები, ვისაც სურს საკუთარი ბიზნესის დაწყება ან განვითარება (მიკრო საწარმოებისა და თვითდასაქმების საშუალებით), ფორმალური დასაქმების ძიების ნაცვლად.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აღმოსავლეთ ევროპაში უფრო მეტად გასცემენ აგრარულ, სამომხმარებლო და იპოთეკურ კრედიტებს; დასავლეთ ევროპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი - კრედიტებს მიკროსაწარმოებზე, ეწევიან რა ისეთ ფინანსურ მომსახურებას, როგორიცაა დაზღვევა, ანგარიშები - საგადახდო.

მიკროკრედიტები აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პოპულარულია კონტინენტურ ნაწილთან შედარებით; გერმანიაში მიკროსესხების წილი მშპ-ში მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს მხოლოდ 6%-ს, საფრანგეთში - 11%-ს, შვეიცარიაში - 12%-ს, დიდ ბრიტანეთში - 16%-ს, მაშინ როცა პოლონეთსა და უნგრეთში, ეს მაჩვენებელი შეიძლება 100%-ს აღწევდეს, ამასთან, მიკროსაკრედიტო პორტფელების დაახლოებით 70% მოდის კრედიტებზე ბიზნესისათვის.

ევროპაში, განსახილველი მიმართულებით, შეიძლება გამოვყოთ პოლონეთი და ესპანეთი. 2009 წლის ეკონომიკური დაცემის შედეგად, ამ ქვეყნებში გაიზარდა უმუშევრობა და მიკროსესხები იქცა ეფექტიან ინსტრუმენტად დროებითი ფინანსური სიძნელეების დასაძლევად, როგორიცაა იპოთეკის გადახდა და ბიზნესის მხარდაჭერა. ესპანეთში გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც სთავაზობენ გადარიცხვებს საბანკო ბარათებზე და PayPal სისტემას. ამ პროცესში ხშირად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი გადაწყვეტილების მიღებისას სესხის გაცემის თაობაზე. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება პოლონეთში, სადაც მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად აქტიურად გამოიყენება ტექნოლოგიური და ციფრული მიდგომა. ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, პოლონეთში არ არის დაწესებული მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის მკაცრი შეზღუდვები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირება კი ნაკლებად მკაცრია.

გერმანიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, მიკროსესხები გამოიყენება არამხოლოდ, როგორც ფინანსური სირთულეებიდან გამოსავალი. თანხის მინიმალური მოცულობა იწყება 100 ევროდან, მსესხებელს მოეთხოვება სტაბილური შემოსავლის მტკიცებულება, მოქმედი პასპორტის არსებობა და გფრ-ის რეზიდენტის სტატუსი ადგილობრივ ბანკში გახსნილი ანგარიშით. გარდა ამისა, ფინანსურ დაწესებულებებს შეუძლიათ მოითხოვონ მონაცემები კომუნალური გადასახადების გადახდის შესახებ, რაც წარმოადგენს დამატებით ზომას კლიენტის ფინანსური პასუხისმგებლიანობის დასადასტურებლად.

მიკროსესხები ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ-ში. ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც მიკროსესხების განაკვეთები რეგულირდება ეროვნულ დონეზე, აშშ-ში ეს პირობები ყველა შტატში ვარირებს. ქვეყანაში შეინიშნება ფინანსური ტექნოლოგიების და მიკროსესხების მობილური დამატებების აქტიური განვითარება.

აზიის რეგიონი, რომელმაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგები განიცადა COVID-19 პანდემიის პერიოდში აჩვენებს აღდგენის ტენდენციებს და კვლავ იკავებს პოზიციებს მსოფლიოს ყველაზე დინამიკურად განვითარებად ეკონომიკებს შორის. აზიის მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა მიკროდაფინანსების სექტორის აქტიური განვითარება, რაც მხარდაჭერილია ფინანსურ მომსახურებაზე მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინიციატივებით.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, აზიის რიგი ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არასაკმარისადაა ინტეგრირებული ტრადიციულ საბანკო სისტემაში. მაგ., ინდონეზიაში მცხოვრებთა 50%-ზე ნაკლები ფლობს საბანკო ანგარიშებს, ფილიპინებსა და ვიეტნამში ეს მაჩვენებელი 35%-ს არ აღემატება, კამბოჯაში კი - 22%-ს. ყოველივე აღნიშნული ქმნის ხელსაყრელ პირობებს ფინტექ-

კომპანიების განვითარებისათვის, რომლებიც სთავაზობენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს მიკროდაფინანსების სფეროში, ხელს უწყობენ რა ამით მოსახლეობის ფინანსურ ინკლუზიას.

ჩინეთი და ინდოეთი, რომელთა მოსახლეობა ჩვენი პლანეტის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 35%-ს შეადგენს, რჩებიან ლიდერებად ფინანსური მომსახურების მოხმარებაში, მ.შ. - მიკროდაფინანსების, თუმცა ჩინეთში შეინიშნება მარეგულირებელი მოთხოვნების გამკაცრება ონლაინ სესხებისადმი, რაც მოიცავს გეგმებს მიკროსესხებთან წვდომის შეზღუდვისა სტუდენტებისა და პენსიონრებისათვის. აგრეთვე მოთხოვნების შემოღებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისადმი, რომლის თანახმადაც მათ უნდა დააფინანსონ კრედიტის მოცულობის არანაკლებ მესამედი ბანკებთან ერთად. მიუხედავად ამ შეზღუდვების შემოღებისა, მიკროსაკრდიტო მომსახურება რჩება 20 ყველაზე პოპულარულ ფინანსურ მომსახურებას შორის ქვეყანაში.

მიკროსაფინანსო სექტორის განვითარება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკური აქტიურობისა და ფინანსური წვდომის გამყარებას მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, მეორე მხრივ კი, საჭიროებს ბალანსის დაცვას ინოვაციურ განვითარებასა და შედეგობრივი კონტროლის აუცილებლობას შორის.

ჩინეთის ტექნოლოგიური ლიდერობა აზიის რეგიონში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიკროდაფინანსებისა და ინტერნეტ-ბანკინგის სეგმენტის განვითარებაზე. შეინიშნება აღნიშნული მომსახურების განვითარების სწრაფი დინამიკა, განსაკუთრებით, მობილური ინტერნეტ-ბანკინგის მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით, რომელზეც მოდის ფინანსურ მომსახურებაზე ყველა განაცხადის 95%.

ამასთანავე, მსესხებლების საკრედიტო ისტორიებით დაფარვის დონე აზიის რეგიონში ძალზე დაბალია - 10%-ს არ აღემატება, რაც სერიოზული ნაკლოვანებაა. არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები ინფორმაციის გაცვლისას სხვადასხვა სახელმწიფო და საფინანსო დაწესებულებას შორის, ასევე - წვდომაში არასაკრედიტო მონაცემებთან, როგორიცაა ინფორმაცია საგადასახადო ორგანოებიდან. აღნიშნული ფაქტი მძიმდება მონაცემთა ინტეგრაციისა და წვდომის არარსებობით, რაც დაკრედიტების პროცესს უფრო რთულსა და რისკიანს ხდის.

აფრიკის კონტინენტზე შეინიშნება უნიკალური მდგომარეობა მიკროდაფინანსების სფეროში, რაც განპირობებულია ცხოვრების დაბალი დონით და შეზღუდული წვდომით ტრადიციულ საბანკო პროდუქტებთან, მოსახლეობის 25%-ზე ნაკლებს აქვს წვდომა საბანკო ანგარიშებზე, მაშინ როცა დაახლოებით 70% იყენებს საკრედიტო პროდუქტებს. ეს კონტრასტული დინამიკა აიხსნება მობილური ინტერნეტის ფართო გავრცელებით, რაც ხელს უწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხოვნობის ზრდას, რომლებიც სთავაზობენ ფინანსურ მომსახურებას ონლაინ. კენია გამოირჩევა მნიშვნელოვანი პროგრესით ციფრული მომსახურების სფეროში კონტინენტზე. ეს ქვეყანა ახდენს მაღალი შედეგების დემონსტრირებას მიკროსაფინანსო სექტორის გაციფრულებაში. მიკროსესხების მისაღებად კენიელებს უნდა ჰქონდეთ მობილურით ანგარიში M-Pesa, რომელიც გახდა ფინანსური ოპერაციების უნივერსალური ინსტრუმენტი.

დღეისათვის საქართველოს დაახლოებით ნახევარ მილიონამდე მოქალაქე რეგულარულად სარგებლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით, როგორიცაა: სესხები 100 ათას ლარამდე, ფულადი გზავნილები, ვალუტის გაცვლა, კომუნალური გადახდების სერვისი, საყოფაცხოვრებო ნივთების განვადებით შეძენა, სალომბარდე მომსახურება და ა.შ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომხმარებელთა

უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობები და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ან თვითდასაქმებული პირებია, ვინც თავის საქმიანობას მცირე მასშტაბის სოფლის მეურნეობის, მომსახურებისა და ვაჭრობის სფროებში ეწევა. ტრადიციულად, მიკროდაფინანსებაზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია რეგიონებსა და სასოფლო დასახლებებში, რაც იმითაა განპირობებული, რომ ბანკების მხრიდან ადრეულ ეტაპზე ნაკლებად ხდებოდა ამ მაღალრისკიანი სეგმენტის აქტიური მოცვა (ძაძუა მ., 2022).

საქართველოს ფინანსური სექტორის სტრუქტურაში დაახლოებით 90% კომერციულ ბანკებს უკავიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპი ისტორიულად უფრო მაღალი იყო, ვიდრე დიდ კომპანიებზე გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპი. ამ ტენდენციებიდან განსხვავებული სურათი ბოლო 10 წლის განმავლობაში 2019-2020 და შემდგომ 2023-2024 წლებში გამოიკვეთა (უტიაშვილი დ., ხარაიშვილი მ., 2025; 64).

საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის ბიუროდან ხელმისაწვდომია მონაცემები 2,4 მლნ პირზე, რომლებსაც აქვთ საკრედიტო ისტორია. ბუნებრივია, მსესხებლების ნაწილს აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება. 2024 წელს დაახლოებით 2 მლნ პირს ჰქონდა აქტიური სესხი, და იხდიდა ვალს. ეკონომიკაში შემოსავლების მაღალი უთანასწორობის მსგავსად, მსესხებლებს შორისაც დიდია განსხვავებები, სესხების დიდი რაოდენობა მცირე შემოსავლების მქონე მსესხებლებზეა გაცემული, მაშინ როცა თანხობრივად მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობების კრედიტები მთლიანი პორტფელის უდიდეს ნაწილს შეადგენს (უტიაშვილი დ., 2025; 59).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არ არიან მიკროსაფინანსო სერვისის ერთადერთი მიმწოდებლები ბაზარზე. ამ სეგმენტზე უკვე აქტიურად არიან წარმოდგენილი კომერციული ბანკები. 2025 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უკვე შეუძლიათ 200 ათას ლარამდე სესხის გაცემა, თუ ასეთი სესხების წილი მათი საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს არ აღემატება. ამასთან, ბაზარზე შემოდის სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტი - მიკრობანკი.

Scope Ratings-ის შეფასებით, საქართველოში მიკრობანკების სექტორი 2026 წლისათვის სწრაფად გაიზრდება და, შესაძლოა, 1 მლრდ ლარის მოცულობის წლიური ზრდა აჩვენოს. ამავე სააგენტოს შეფასებით ,,მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი საფინანსო სექტორში კონკურენტუნარიანობას გაზრდის, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეებისა და თვითდასაქმებულების მხარდაჭერას და ეკონომიკურ ზრდას. მიკრობანკი არის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სააქციო საზოგადოების სახით. ის გასცემს სესხებს ერთ პირზე ან პირთა ჯგუფზე არაუმეტეს 1 მლნ ლარის ოდენობით, მოიზიდავს დეპოზიტებს, ხსნის და ემსახურება საკორესპონდენტო ანგარიშებს, გააჩნია საკუთარი საბანკო ბარათები (საქართველოს კანონი ,,მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“, matsne.gov.ge). 2024 წელს სებ-მა სს ,,მიკრო ბიზნეს კაპიტალზე“ (MBC) მიკრობანკის საქმიანობის პირველი ლიცენზია გასცა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან და სესხის გამცემ სუბიექტებთან შედარებით მიკრობანკების უპირატესობა, პირველ რიგში, სესხის გაცემის გარზდილი ლიმიტია. სებ-მა MBC-ის შემდეგ მიკრობანკის ლიცენზია სს ,,კრისტალზეც“ გასცა. აღსანისნავია, რომ დეპოზიტორის სხვადასხვა კომერციულ ბანკსა და მიკრობანკში არსებული დეპოზიტები დადგენილი ზღვრის ფარგლებში თითოეული კომერციული ბანკისა და მიკრობანკისათვის ცალ-ცალკეა დაზღვეული (საქართველოს კანონი ,,დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, 2017წ.).

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა. ძირითად ფაქტორებს, რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პოზიციას ბაზარზე, მიეკუთვნება:

- მომსახურების პაკეტის განსაზღვრა, რაც მოიცავს არამხოლოდ დაფინანსებას, არამედ კონსულტაციებს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სფეროში;
- მცირე საწარმოების რეგიონულ-დარგობრივი სპეციფიკის გაგება და რისკის შეფასების ადეკვატური სისტემის შემუშავება;
- საკმარისად მომზადებული პერსონალის არსებობა კლიენტების მოზიდვის და მომსახურებისათვის;
- მიკროდაფინანსების სფეროში მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების მიკროსაფინანსო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზეგავლენა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის გამოცდილების ანალიზი საკვანძო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, კერძოდ:

- განსხვავება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიზნებსა და მისიაში. ეკონომიკურად განვითარებულ ევროპის ქვეყნებში აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ მეწარმეობასა და მიკროსაწარმოების მხარდაჭერაზე, მაშინ როცა განვითარებად ქვეყნებში - ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფაზე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის;
- ინოვაციური მიდგომა მიკროდაფინანსებისადმი. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და მობილური ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენება მნიშვნელოვნად აფართოებს წვდომას მიკროსაფინანსო მომსახურებაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული საბანკო მომსახურება არ მოიცავს მთელ მოსახლეობას, მიკროდაფინანსების სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება, მიკროფინანსები თამაშობს საკვანძო როლს სიღარიბესთან და სოციალურ გამორიცხვასთან ბრძოლაში, ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას და მეწარმეობას;
- რეგულატორული რეჟიმების განსხვავება. არსებობს მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირებაში სხვადასხვა ქვეყანაში, მკაცრი რეგულირების არარსებობიდან სპეციალიზებული ნორმებისა და მოთხოვნების შემუშავებამდე.

მთლიანობაში, მიკროდაფინანსების წარმატების მიუხედავად, ეს სექტორი აწყდება რიგ პრობლემას. ჩვენი აზრით, საქართველოში მიკროსაფინანსო სექტორის საქმიანობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს: მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირება-დარეგულირება, ჭარბი დაკრედიტების რისკის მართვა და მსესხებელთა უფლებების მეტი დაცულობის უზრუნველყოფა. აგრეთვე, თანამშრომლობის გააქტიურება კომერციულ ბანკებთან ფონდირების კოოპერაციის, რისკის მართვის და ახალი ფინანსური პრიდუქტების შემუშავების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ'', 2006, www.nbg.gov.ge.
2. საქართველოს კანონი ,,მიკრობანკების საქმიანობის შესახებ‘‘, https://matsne.gov.ge/document/view5225664?publication=2.
3. საქართველოს კანონი ,,დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ‘‘, 2017, diagency.ge/uploads/files/64eee2c0262ea-matsne-3679200-3pdf.

4. უტიაშვილი დ., ხარაიშვილი მ. 2025. ბიზნეს სესხების ზრდის წვლილი ეკონომიკურ აქტივობაში, სამეცნ. ანალიტიკ. ჟურნ. ,,მონეტარული ეკონომიკა“, ტ. 1, #1, გვ. 53-72.

5. უტიაშვილი დ., შინამეურნეობების ფორმალური და არაფორმალური შემოსავლების შეფასება საქართველოში. nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/კვლევითი ნაშრომები/მონეტარული ეკონომიკა/2025/n3/n3-geo.pdf?v=ceh6c.

6. ძაძუა მ., 2022. რას შეცვლის ახალი კანონი მიკრობანკების შესახებ საქართველოს ფინანსურ ბაზარზე, ,,ეკონომიკური პროფილი“ ტ. 17, 2(24).

7. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი. 2010. Microfinance activities and the Core Principles for Effective Banking Supervision. ბაზელი: საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი https://www.Bis.org/publ/bebs/75.pdf.

8. Eriksson P.E., Kraemer-Eis H. and Con-forti A., 2011. Microfinance in Europe. In: Delia, E.P. Microcredit as a tools of ethical financing for sustainable development, APS Bank, 49-86.

9. Fila Joanna, 2018. Microfinance Institutions in Poland: Towards preventing social and financial exclusion, Economic and Environmental Studies (E&ES), Opole University, Faculty of Economics, Opole, Vol. 18 pp. 531-549 https://doi.org/10.25167/ees.2018.46.4.

10. Microfinance in Asia: A mosaic future outlook https://www.pwe.in/assets/pol fs/publications/2017/microfinance-in-asia-mosaic-future-outlook pdf.

Maya Gogokhia

Modern Trends in the Development of Microfinance Organizations

Summary

The microfinance sector in Georgia has been developing dynamically over the last decade.The adequate assessment of the potential opportunities of microfinance and the determination of effective directions for its operation largely depend on the behavior of both consumers and providers of financial services.

Notably, the National Bank of Georgia plays an important role, as it acts as the regulator of the microfinance sector.Transparent practices in the issuance of microloans contribute to increasing public trust in microfinance organizations.

The article identifies the main aspects of the development of microfinance organizations at the modern stage, both in Georgia and worldwide. The primary objective of microfinance is to ensure access to financial resources for individuals who are traditionally excluded from bank lending due to the lack of collateral, stable income, or a reliable credit history. Innovative approaches and technologies are being developed to meet the needs of low and middleincome populations,thereby providing them with opportunities to develop their own small businesses and improve their living conditions and educational prospects.

Legislative changes have played a significant role in the development of the microfinance sector in Georgia, creating conditions for its healthy and sustainable growth.

A new financial institution — the microbank, oriented toward supporting the financing of entrepreneurial and agricultural activities — is gradually entering the market. The Law on the Activities of Microbanks will increase competitiveness in the financial sector, which will support entrepreneurs and self-employed individuals and contribute to economic growth.

Despite its success, the microfinance sector faces a number of challenges. The article notes that the activities of the microfinance sector in Georgia would be significantly supported by reducing and regulating high interest rates, managing the risk of over-indebtedness, and ensuring greater protection of borrowers' rights, as well as by strengthening cooperation with commercial banks in the development of new financial products.

Keywords: Principles of microfinance organization operations, microfinance models, modern practices of microfinance institutions, microbanks.

Наталия Давлашеридзе
Шота Тваури

Рост в эпоху геоэкономической трансформации: состояние и вызовы мировой и национальных экономик

Аннотация. *Статья рассматривает современную трансформацию мировой и национальных экономик как результат одновременного действия трех процессов: геоэкономической перестройки, ускорения технологических изменений и усиления климатических, демографических и социальных ограничений. В отличие от подхода, при котором эти факторы анализируются раздельно, предлагается рассматривать их как единую систему взаимосвязанных ограничений, структурных сдвигов и возможностей роста. Теоретической основой выступают идеи лауреатов Нобелевской премии по экономике 2025 года Джоэла Мокира, Филиппа Агьона и Питера Хауита об инновационно обусловленном росте и созидательном разрушении, а также институциональный подход Дарона Аджемоглу, Саймона Джонсона и Джеймса Робинсона и климатическая экономика Уильяма Нордхауса. Новые данные 2026 года показывают, что мировая экономика сохраняет рост, но становится все более неоднородной: технологический цикл на основе искусственного интеллекта поддерживает страны, включенные в соответствующие цепочки стоимости, тогда как энергетические шоки, торговые барьеры и слабая институциональная адаптивность усиливают уязвимость других экономик. Особое внимание уделено Грузии как малой открытой экономике, которая одновременно обладает преимуществами высокой динамики, человеческого капитала, транзитного положения и цифровизации и сталкивается с рисками инфляции, внешней зависимости, демографических ограничений и недостаточной глубины технологической специализации. Сформулированы направления экономической политики, ориентированные не только на сохранение темпов роста, но и на повышение его качества, производительности и устойчивости.*

Ключевые слова: *мировая экономика; геоэкономическая перестройка; инновационный рост; искусственный интеллект; созидательное разрушение; институты; климатическая экономика; демография; производительность*.

Введение

Мировая экономика вступила в период, в котором привычное разделение на циклические и структурные факторы роста становится все менее продуктивным. Геополитические конфликты непосредственно воздействуют на энергию, торговлю и инвестиции; технологический прорыв меняет производительность и структуру занятости; климатические ограничения перестраивают энергетические системы; старение населения ограничивает предложение труда. Поэтому экономическая политика сталкивается не с одной кризисной переменной, а с системой взаимно усиливающих друг друга шоков.

Июльский прогноз Международного валютного фонда 2026 года особенно наглядно фиксирует эту новую конфигурацию. Мировой рост оценивается в 3,0% в 2026 году и 3,4% в 2027 году, а глобальная инфляция, напротив, повышается с 4,1% в 2025 году до 4,7% в 2026 году. Мировая торговля, по прогнозу МВФ, замедляется с 5,0% в 2025 году до 3,5% в 2026 году. При этом технологический цикл, связанный с искусственным интеллектом, уже создает заметно разные результаты для стран в зависимости от их включенности в технологические цепочки. [16]

Эта картина позволяет по-новому прочитать экономические идеи последних нобелевских лауреатов. Работы Мокира, Агьона и Хауита объясняют, почему технологическое обновление является источником устойчивого роста, но одновременно порождает сопротивление со стороны тех, чьи позиции оно разрушает. Институциональный

[16] International Monetary Fund. World Economic Outlook Update, July 2026: Global Economy in Crosscurrents of War and Technology. Washington, DC, p.1-4, 2026.

подход Аджемоглу, Джонсона и Робинсона позволяет понять, почему одни общества способны перераспределять выгоды и издержки перемен конструктивно, а другие блокируют инновации. Подход Нордхауса показывает, что климатический переход также является задачей координации ценовых сигналов, инвестиций и технологической политики.

*** * ***

Мировая экономика: рост сохраняется, но становится неоднородным. Современная мировая экономика демонстрирует своеобразную «хрупкую устойчивость». Сам факт сохранения положительных темпов роста уже нельзя интерпретировать как возвращение к прежней модели глобализации. МВФ характеризует 2026 год сочетанием двух разнонаправленных сил: энергетического и геополитического шока и технологического инвестиционного цикла. Их воздействие распределяется крайне неравномерно.[17]

Важным новым фактором становится различие между странами, включенными в технологическую цепочку искусственного интеллекта, и странами, которые остаются преимущественно потребителями импортируемых технологий. По оценке МВФ, четыре ведущих нетто-экспортера оборудования, связанного с ИИ, — Тайвань, Республика Корея, Таиланд и Малайзия — в первом квартале 2026 года имели в среднем положительный сюрприз роста на 4,4 процентного пункта, тогда как для остальных стран показатель составлял - 0,3 пункта. Это уже не просто различие в уровне цифровизации: технологическая специализация становится самостоятельным фактором макроэкономической динамики. [18]

Одновременно глобальная торговля перестает быть нейтральной инфраструктурой роста. Тарифы, санкции, экспортный контроль и перестройка цепочек поставок увеличивают стоимость доступа к рынкам и технологиям. Но перестройка не означает полного распада глобализации. Скорее формируется более сложная система перекрывающихся региональных цепочек, в которой страны конкурируют за положение в технологических и логистических узлах. Следовательно, главный макроэкономический вопрос меняется. Речь идет уже не только о том, каким будет темп мирового ВВП, а о том, какая часть стран сможет участвовать в тех сегментах мировой экономики, где рост производительности остается высоким. Для малых открытых экономик это вопрос стратегического выбора.

Инновации и созидательное разрушение: главный механизм долгосрочного роста. Нобелевская премия по экономике 2025 года присуждена Джоэлу Мокиру, Филиппу Агьону и Питеру Хауиту «за объяснение инновационно обусловленного экономического роста». Мокир получил половину премии за выявление предпосылок устойчивого роста через технологический прогресс, а Агьон и Хауит — совместно вторую половину за теорию устойчивого роста через созидательное разрушение. [19]

Для современного этапа особенно важен вывод Мокира о взаимодействии научного объяснения и практического знания. Инновационная экономика воспроизводит рост тогда, когда общество способно не только использовать отдельные изобретения, но и накапливать знания, объясняющие, почему и при каких условиях они работают. Поэтому университеты, исследовательские организации, инженерные компетенции и открытость к новым идеям являются не вспомогательными, а производственными факторами.

Агьон и Хауит дополняют эту картину микроэкономическим механизмом. Новая технология создает рост именно потому, что вытесняет менее эффективные решения. Поэтому инновационная политика неизбежно затрагивает интересы существующих компаний, работников и отраслей. Если государство пытается сохранить каждую существующую структуру, оно рискует сохранить и низкую производительность. Если же оно игнорирует социальные последствия технологического обновления, возникает

[17] Там же

[18] Там.же

[19] Nobel Prize. Prize in Economic Sciences 2025: Press Release. Royal Swedish Academy of Sciences, p. 1-2, 13 October 2025.

сопротивление инновациям. Оптимальная политика должна одновременно поддерживать вход новых технологий и снижать социальную стоимость перехода.

Искусственный интеллект делает этот вывод особенно актуальным. Его отличие от многих предыдущих технологий состоит в том, что он затрагивает не только отдельные отрасли, но и процессы производства знаний, управления, аналитики и принятия решений. Поэтому эффект ИИ может распространяться значительно быстрее, чем классические инновации. Одновременно возрастает риск концентрации доходов и технологических возможностей у ограниченного числа компаний и стран.

В этой связи инновационная политика не должна сводиться к закупке оборудования или стимулированию отдельных стартапов. Необходима целая цепочка «наука — образование — технология — предпринимательство — рынок». Разрыв хотя бы одного звена снижает отдачу от остальных.

Институты: почему одинаковые технологии дают разные результаты. Инновационный механизм не работает в институциональном вакууме. Нобелевские лауреаты 2024 года Дарон Аджемоглу, Саймон Джонсон и Джеймс Робинсон показали значение институтов для формирования долгосрочного процветания. В центре их подхода — различие между институтами, создающими широкие возможности для участия в экономике, и институтами, позволяющими узким группам извлекать выгоды и блокировать изменения.

Для периода фрагментации это приобретает новое значение. Когда внешняя среда становится менее предсказуемой, инвестор и предприниматель оценивают не только размер рынка и стоимость труда, но и качество правил: защиту собственности, независимость регулирования, предсказуемость налоговой и судебной системы, способность государства быстро и одинаково применять нормы.

Таким образом, институциональная устойчивость становится частью конкурентоспособности. Для малой экономики это особенно важно: она не может компенсировать слабость институтов масштабом внутреннего рынка. Напротив, ее преимущество может состоять в способности быстрее принимать и реализовывать качественные правила.

Цифровизация государственных услуг сама по себе не заменяет институциональную реформу. Цифровая процедура, построенная на неясном правиле, лишь ускоряет применение неясного правила. Поэтому цифровая трансформация должна сопровождаться повышением прозрачности, качества данных, ответственности институтов и возможности независимой оценки решений.

Климат, энергия и новая экономика устойчивости. Климатическая политика переходит из сферы долгосрочных экологических целей в область текущей макроэкономики. Подход Уильяма Нордхауса показывает, что климатическая проблема является задачей межвременной оптимизации: отсрочка решений снижает сегодняшние политические издержки, но увеличивает будущие экономические издержки.

События 2026 года усиливают этот вывод. Энергетический шок одновременно влияет на инфляцию, торговый баланс, государственные бюджеты и инвестиционные решения. МВФ отмечает, что рост мировых цен на энергию стал одним из факторов повышения глобальной инфляции, тогда как более высокая доля возобновляемой энергии и снижение энергоемкости помогли ряду стран смягчить последствия шока. [20]

Поэтому энергетический переход следует рассматривать не только как экологическую политику, но и как политику снижения макроэкономической уязвимости. Для малых импортеров энергии инвестиции в энергоэффективность, возобновляемую генерацию, накопители и модернизацию сетей могут одновременно снижать внешнюю зависимость, поддерживать инвестиции и создавать новые отраслевые компетенции.

Климатическая политика также должна быть связана с инновационной. В противном случае она может восприниматься как дополнительный налог на производство. Если же

[20] International Monetary Fund. World Economic Outlook Update, July 2026: Global Economy in Crosscurrents of War and Technology. Washington, DC, p.1-4, 2026.

экологические требования сопровождаются инвестициями в технологии, государственными закупками, инфраструктурой и доступом к финансированию, они способны стать источником нового инвестиционного цикла.

Геоэкономическая перестройка и международные экономические отношения. Одним из наиболее существенных изменений последних лет является превращение внешнеэкономической политики в инструмент стратегической безопасности. Торговые отношения все чаще оцениваются не только по критерию эффективности, но и по критериям надежности поставок, технологической автономии и устойчивости критической инфраструктуры. Это означает переход от прежней модели максимизации глобальной связанности к более сложной модели диверсифицированных и частично регионализированных экономических связей.

Это создает парадокс. С одной стороны, геоэкономическая перестройка уменьшает преимущества максимально свободной глобальной торговли. С другой — она повышает ценность стран, способных быть надежными связующими звеньями между различными экономическими центрами. Возникает спрос на логистические, финансовые, цифровые и институциональные «мосты», обеспечивающие устойчивость международных потоков даже при изменении конфигурации мировой экономики.

Для Грузии это особенно важно. Ее географическое положение позволяет рассматривать Средний коридор, порты, железнодорожную и цифровую инфраструктуру не только как транспортные активы, но и как часть новой системы экономической устойчивости Евразии. Однако транзит сам по себе не гарантирует высокого эффекта для национальной экономики. Необходим переход от модели «пропускать через территорию» к модели «создавать добавленную стоимость вокруг потоков»: логистика, переработка, цифровые сервисы, страхование, финансы, ремонт, инженерные услуги и технологическое сопровождение.

Международная экономическая стратегия малой страны должна быть диверсифицированной. Задача состоит не в выборе одного внешнего центра, а в максимизации числа устойчивых экономических связей при сохранении внутренней способности адаптироваться к изменению внешней конъюнктуры.

Демография, занятость и человеческий капитал. Демографические изменения становятся одним из наиболее недооцененных ограничений экономического роста. Старение населения и сокращение трудоспособного населения одновременно уменьшают предложение труда и увеличивают нагрузку на системы здравоохранения и социальной защиты. Технологии способны компенсировать часть дефицита труда, но только при наличии работников, способных использовать новые технологии.

В этом смысле демографическая политика и инновационная политика становятся двумя сторонами одной задачи. Стране необходимо не просто увеличивать численность занятых, а повышать производительность каждого работника. Это требует непрерывного переобучения, развития профессионального образования, мобильности труда и более активного включения в экономику групп населения, которые ранее участвовали в ней ограниченно.

Для Грузии этот вопрос имеет двойное измерение. С одной стороны, страна располагает сильным человеческим капиталом и высокой долей услуг в экономике. С другой — ограниченный внутренний рынок труда и миграционные процессы повышают значение производительности, дистанционной занятости и привлечения квалифицированных специалистов извне.

Искусственный интеллект в этой ситуации должен рассматриваться не как замена человеческого капитала, а как инструмент его масштабирования. Наиболее перспективна модель, при которой ИИ дополняет специалиста, сокращая затраты на рутинную обработку информации и высвобождая время для сложных задач.

Грузия: высокая динамика как возможность для структурного перехода. Грузинская экономика входит в 2026 год с высокой динамикой. По данным Geostat, реальный ВВП в 2025 году вырос на 7,5%, а в первом квартале 2026 года рост составил 9,0%

в годовом выражении. [21] Национальный банк Грузии в июле 2026 года сохранял прогноз роста на 2026 год на уровне 6,5%, отмечая устойчивость экономической активности и значительный вклад производительных сервисных отраслей. [22]

При этом высокая динамика не отменяет макроэкономических рисков. В июле 2026 года годовая инфляция составляла 5,5%, а в августе — 5,6%, заметно выше целевого уровня 3%. Национальный банк в июле сохранял ставку денежно-кредитной политики на уровне 8,25% и указывал на энергетические и геополитические риски как на важные источники инфляционного давления. [23]

Сочетание быстрого роста и повышенной инфляции означает, что перед Грузией стоит не задача простого ускорения спроса, а задача повышения потенциального выпуска. Чем выше производительность и меньше зависимость от импортируемых ресурсов, тем меньше риск того, что рост будет сопровождаться устойчивым инфляционным давлением.

Особенно перспективным направлением является технологическая специализация. Грузии нецелесообразно пытаться конкурировать со всеми странами по всему спектру высоких технологий. Более реалистична стратегия выбора ниш, где география, человеческий капитал, энергетика, инфраструктура и внешние связи создают комбинацию преимуществ.

К таким направлениям могут относиться цифровые и финансовые услуги, логистика и управление цепочками поставок, энергетические технологии, агротехнологии, туризм нового поколения, медицинские и образовательные услуги, а также применение искусственного интеллекта в государственном управлении и бизнесе.

От макроэкономической стабильности к экономике производительности. Опыт Грузии показывает важность макроэкономической устойчивости, однако следующий этап развития требует смещения центра тяжести экономической политики. При устойчивом росте главной задачей становится не поддержка спроса любой ценой, а увеличение производительности предложения.

В этом контексте можно выделить пять взаимосвязанных направлений.

Первое — формирование национальной системы накопления и коммерциализации знаний: более тесная связь университетов, исследовательских организаций, технологических компаний и инвесторов.

Второе — развитие человеческого капитала: профессиональное образование, переобучение взрослых, подготовка специалистов по данным, ИИ, инженерии и управлению технологиями.

Третье — институциональная предсказуемость: защита собственности, прозрачность регулирования, качество данных, независимость ключевых институтов и снижение транзакционных издержек.

Четвертое — энергетическая и климатическая устойчивость: повышение энергоэффективности, развитие возобновляемой энергетики и технологическое обновление инфраструктуры.

Пятое — превращение международной интеграции в источник внутренней добавленной стоимости: развитие логистики, сервисов, экспорта знаний и технологических услуг, а не только транзита.

Практические выводы для экономической политики Грузии. Синтез рассмотренных подходов позволяет сформулировать несколько приоритетов.

Во-первых, инновационная политика должна перейти от поддержки отдельных проектов к созданию непрерывной инфраструктуры превращения знаний в бизнес. Важны не

---

[21] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), განახლებული მონაცემები 2026 წ.

[22] საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება, 2026 წლის 29 ივლისი.

[23] საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება, 2026 წლის 29 ივლისი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). ინფლაციის დონე საქართველოში, 2026 წლის აგვისტო.

только гранты, но и венчурный капитал, технологический трансфер, интеллектуальная собственность, государственные закупки инноваций и доступ к международным рынкам.

Во-вторых, необходимо сочетать поддержку ИИ с политикой конкуренции. Если новая технологическая инфраструктура становится доступной только крупным компаниям, эффект производительности может сопровождаться чрезмерной концентрацией рынков. Поэтому необходимо обеспечивать доступ малого и среднего бизнеса к вычислительным ресурсам, данным, образованию и цифровым сервисам.

В-третьих, инфраструктурная политика должна оцениваться по способности создавать добавленную стоимость. Для Грузии это означает переход от оценки количества транзитных потоков к оценке того, какая часть стоимости этих потоков остается в стране.

В-четвертых, демографическая стратегия должна стать частью экономической стратегии. В условиях ограниченного трудового ресурса ключевым показателем становится производительность труда, а не только количество рабочих мест.

В-пятых, климатическая политика должна быть встроена в промышленную и инвестиционную стратегию. Энергетический переход способен стать не только затратой, но и источником новой специализации — при условии развития собственных компетенций и производственных цепочек.

Наконец, важнейшим ресурсом Грузии может стать институциональная гибкость. В период, когда крупные экономики сталкиваются с высокой стоимостью перестройки, небольшая страна способна быстрее менять регулирование, тестировать новые решения и концентрировать ресурсы на перспективных нишах. Но это преимущество возникает только при наличии предсказуемых правил и доверия к институтам.

Заключение

Современная мировая экономика находится не столько в обычном циклическом кризисе, сколько в переходе между двумя моделями глобального развития. Первая строилась на расширении глобальных рынков, относительно дешевой энергии и постепенной технологической диффузии. Вторая формируется под воздействием геополитической фрагментации, искусственного интеллекта, энергетического перехода и демографических ограничений.

В этой новой среде экономический рост становится более неоднородным. Одни страны получают ускорение благодаря технологическим цепочкам и инвестициям в ИИ, другие несут издержки энергетических и торговых шоков. Поэтому главным фактором конкурентоспособности становится способность экономики к адаптации.

Теории нобелевских лауреатов дают для этого перехода взаимодополняющую систему координат. Мокир показывает значение культуры знания и взаимодействия науки с технологией; Агьон и Хауит — механизм созидательного разрушения и необходимость управлять конфликтами, возникающими при технологическом обновлении; Аджемоглу, Джонсон и Робинсон — решающую роль институтов; Нордхаус — необходимость согласовать долгосрочную климатическую цель с экономическими стимулами.

Для Грузии это означает, что следующий этап развития должен быть связан не столько с поддержанием высоких темпов роста, сколько с повышением его качества. Страна располагает важными преимуществами — динамичной экономикой, географическим положением, человеческим капиталом, энергетическим потенциалом и возможностью быть связующим звеном между рынками. Но превращение этих преимуществ в устойчивое процветание требует институциональной предсказуемости, технологической специализации, роста производительности и инвестиций в человеческий капитал.

Таким образом, ответ на глобальную геоэкономическую перестройку не должен заключаться в изоляции. Для малой открытой экономики более рациональна стратегия диверсифицированной интеграции: максимальное число устойчивых внешних связей при одновременном укреплении внутренних технологических и институциональных возможностей.

Использованная литература

1. International Monetary Fund. World Economic Outlook Update, July 2026: Global Economy in Crosscurrents of War and Technology. Washington, DC, 2026.
2. Nobel Prize. Prize in Economic Sciences 2025: Press Release. Royal Swedish Academy of Sciences, 13 October 2025.
3. Nobel Prize. Joel Mokyr – Facts – 2025.
4. Nobel Prize. Philippe Aghion – Facts – 2025; Peter Howitt – Facts – 2025.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), განახლებული მონაცემები 2026 წ.
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება, 2026 წლის 29 ივლისი.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). ინფლაციის დონე საქართველოში, 2026 წლის აგვისტო.
8. Acemoglu, D., Johnson, S., Robinson, J. A. The Colonial Origins of Comparative Development. American Economic Review, 2001, 91(5), 1369–1401.
9. Acemoglu, D., Robinson, J. A. Why Nations Fail. Crown Business, 2012.
10. Aghion, P., Howitt, P. A Model of Growth Through Creative Destruction. Econometrica, 1992, 60(2), 323–351.
11. Mokyr, J. A Culture of Growth. Princeton University Press, 2016.
12. Nordhaus, W. The Climate Casino. Yale University Press, 2013.
13. Romer, P. Endogenous Technological Change. Journal of Political Economy, 1990, 98(5), S71–S102.
14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული და კლიმატის გეგმა (NECP).
15. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიშები და ანალიტიკური მასალები, 2026 წ.

Natalia Davlasheridze
Shota Tvauri

Growth in the Age of Geo-Economic Transformation:
State and Challenges of Global and National Economies

Summary

The article examines the contemporary transformation of the global and national economies as the result of the simultaneous interaction of three processes: geoeconomic restructuring, accelerating technological change, and intensifying climate, demographic, and social constraints. Unlike approaches that analyze these factors separately, the article proposes viewing them as a unified system of interconnected constraints, structural shifts, and growth opportunities. The theoretical framework is based on the ideas of the 2025 Nobel laureates in Economic Sciences Joel Mokyr, Philippe Aghion, and Peter Howitt concerning innovation-driven growth and creative destruction, as well as the institutional approach of Daron Acemoglu, Simon Johnson, and James Robinson and William Nordhaus's economics of climate change. New data from 2026 show that the global economy continues to grow but is becoming increasingly heterogeneous: the artificial intelligence-driven technological cycle supports countries integrated into the corresponding value chains, while energy shocks, trade barriers, and weak institutional adaptability increase the vulnerability of other economies. Particular attention is paid to Georgia as a small open economy that simultaneously benefits from strong economic momentum, human capital, its strategic transit position, and digitalization, while facing risks related to inflation, external dependence, demographic constraints, and insufficient depth of technological specialization. The article formulates economic policy priorities aimed not only at maintaining growth rates but also at improving the quality, productivity, and resilience of growth.

Keywords: *global economy; geoeconomic restructuring; innovation-driven growth; artificial intelligence; creative destruction; institutions; climate economics; demography; productivity.*

ლია დვალიშვილი
სოფიო დავითაშვილი

სასურსათო უზრუნველყოფა - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი

ანოტაცია. *ნაშრომი ვრცლად ეხება ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს – სასურსათო უზრუნველყოფასა და სასურსათო უსაფრთხოებას, თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების ფონზე აღნიშნული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად, გლობალური გამოწვევების (მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, კლიმატის ცვლილება), ინფლაციის, ეკონომიკური კრიზისებისა და სიღარიბის გათვალისწინებით.*

გამოკვეთილია სასურსათო უზრუნველყოფის პირდაპირი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხთან, ჯანმრთელობასა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან.

საქართველოს მაგალითზე ნაშრომი აჩვენებს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე, რაც ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკებს. პრობლემად რჩება ადგილობრივი წარმოების სუსტი განვითარება და სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის დაბალი დონე.

ნაშრომი მიუთითებს, რომ სასურსათო უზრუნველყოფა და უსაფრთხოება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში – იგი გლობალური უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტია. საქართველოსთვის პრიორიტეტია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო უზრუნველყოფა, სასურსათო უსაფრთხოება, ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, სურსათის ფასები, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა.*

სასურსათო უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტური საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის როგორც დემოგრაფიულ მდგრადობას, ისე პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სასიცოცხლო მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდა თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს.

მოსახლეობისთვის ადეკვატური რაოდენობით მაღალი კვებითი ღირებულების მქონე სურსათით უზრუნველყოფას დამატებით გამოწვევებს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები უქმნის. ეს ტენდენციები მოიცავს არაეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური ცვლილებები და გეოპოლიტიკური რისკები, ქვეყნებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, რაც მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრესულ დონეს და მოქნილ მექანიზმებს ახალ საფრთხეებთან. დროთა განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეები მუდმივად იცვლება და დიდწილად დამოკიდებულია მიმდინარე ეკონომიკურ

ვითარებაზე, გატარებულ რეფორმებზე, ქვეყანაში გეოპოლიტიკურ სიტუაციასა და სხვა გარემოებებზე.

კვების პროდუქტების დეფიციტი ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა. ამ დროიდან მიიღო სასურსათო პრობლემამ გლობალური პრობლემის „სტატუსი“. სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვამ, გაუდაბნოებამ, ნიადაგების დეგრადაციამ, ტყეების არასწორმა გამოხშირვამ და ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მტაცებლურმა ხარჯვამ გააღრმავა სასურსათო პრობლემა. სასურსათო პრობლემის გამწვავების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ავტორიტეტული ჟურნალი თუ სასურსათო პრობლემატიკასთან ახლომდგომი ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი აფრთხილებდა მთელ მსოფლიოს. კერძოდ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2015-2020 წლებში პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდებოდა, რაც უმწვავეს სასურსათო კრიზისს განაპირობებდა (6).

ამავე ორგანიზაციის მიერ გაკეთდა პროგნოზი მსოფლიო მოსახლეობის მკვეთრი ზრდის შესახებაც, კერძოდ, დღეს არსებული მონაცემებით − 7.7 მილიარდიდან 9.8 მილიარდამდე (2050 წლისთვის), რაც სურსათსა და სურსათის უსაფრთხოებაზე გაზრდილ მოთხოვნას მიანიშნებს.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სასურსათო უზრუნველყოფა და უსაფრთხოება არაერთგვაროვანია. დღე-ღამეში, თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5-2 ლიტრ წყალს და 800-900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის სადღეღამისო რაციონი დღეისათვის 6,5 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვების დეფიციტს (5).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2025 წლის მონაცემების საფუძველზე, მსოფლიოს მოსახლეობის 7.8 % (დაახლოებით 645 მილიონი ადამიანი) შიმშილის ზღვარზე იყო, ხოლო ჯანსაღ საკვებზე დაახლოებით 2.7 მილიარდ ადამიანს ფინანსურად ხელი არ მიუწვდებოდა (10).

თავდაპირველად დედამიწის მზარდი მოსახლეობისთვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა დააყენა ინგლისელმა მღვდელმა, რობერტ მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით მაშინ, როცა სურსათის წარმოება იმავე პროპორციით არ ხდება (4).

ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 1,1%-ით (წელიწადში დაახლოებით 83 მილიონი ადამიანი) იზრდება, რესურსები კი, რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისთვისაა საჭირო, პირიქით, მცირდება. ამგვარად, პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში მსოფლიოში სურსათზე გლობალური მოთხოვნა და მოხმარება დაახლოებით 3-ჯერ (200%-ით) გაიზარდა, რასაც ცხოვრების დონისა და კვების რაციონის გლობალური ცვლილებით ხსნიან.

სასურსათო უზრუნველყოფასთან მიმართებით აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ნორმან ბორლოუგის იდეა. ამ იდეამ „მწვანე რევოლუციის“ წყალობით მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყო სურსათის წარმოების ზრდას, ღატაკი ქვეყნების სურსათით მომარაგების დრამატულად

გაუმჯობესებას, ათასობით ადამიანის გადარჩენას შიმშილით სიკვდილისგან. მეცნიერის აზრით, „მწვანე რევოლუცია“ აუცილებელი საშუალება იყო მოსახლეობის დრამატულად ზრდის შედეგებთან გასამკლავებლად. სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართო და მასობრივი დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალი გამძლეობისა და მაღალმოსავლიანი მცენარეული კულტურების გამოყვანა. ახალმა ჯიშებმა შესაძლებელი გახადა განვითარებად ქვეყნებში სურსათის დეფიციტის დაძლევა და საკვების წარმოების საგრძნობლად გაზრდა (12).

„მწვანე რევოლუციის“ იდეამ მართალია დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მან ეჭვის ქვეშ დააყენა ამ გზით მიღებული პროდუქტების კვებითი ღირებულება.

ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო პროგრამის მთავარი მიზანი, ქვეყნის მზარდი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით, მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის სურსათის ყველა სახეობით უზრუნველყოფასა და ადამიანის კვების სტრუქტურის გაუმჯობესებაზე მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების ხარჯზე. კვების სტრუქტურის გაუმჯობესება კი შეუძლებელია რაციონალური კვების შესახებ მეცნიერების ძირითადი დებულებების გამოყენების გარეშე, რომლებიც ემყარება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საკვებ ნივთიერებებზე (8).

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მათი კეთილდღეობის პირამიდის საძირკველია. სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის მარადიულ პირობად.

დღეს სურსათის უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, სასურსათო და კვების უსაფრთხოება არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი სურსათზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარიულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის. სასურსათო უსაფრთხოება არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისთვის. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჭიროა არსებობდეს მისი ათვისების ეკონომიკური შესაძლებლობა (9).

თანამედროვე რეალობაში მთავარი გამოწვევა მხოლოდ სურსათის არსებობა არ არის, პრობლემა სურსათზე წვდომაა. ეს საკითხი დღეს ძალიან აქტუალურია როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისები და სიღარიბე. სურსათზე ფასების რეკორდული ზრდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სერიოზულ გამოწვევებს უქმნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა შემოსავალიც ვერ ეწევა ბაზარზე არსებულ ფასებს. სურსათის მიწოდების ჯაჭვში გაჩენილი ყველა შეფერხება ხელს უწყობს სურსათზე ფასების ზრდას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დაბალშემოსავლიანი ოჯახების სურსათით უზრუნველყოფას. მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სურსათზე ქვეყანაში არსებული ფასების დონე. ინფლაცია პოპულარული მაკროეკონომიკური ფენომენი, ამასთანავე უარყოფითი გავლენის მქონე ეკონომიკური მოვლენა, რომლის შედეგებიც ყველაზე მძიმედ ქვეყნის დაბალშემოსავლიან ოჯახებზე აისახება.

ასეთი ოჯახების მიერ სურსათზე დახარჯული შემოსავლის წილი მნიშვნელოვნად მაღალია, შესაბამისად, სურსათზე მათი ეკონომიკური მისაწვდომობა – დაბალი. შედეგად, ეკონომიკური მისაწვდომობა იქცევა ქვეყნის სოციალური სტაბილურობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად, ადამიანის ცხოვრების ხარისხისა და ეროვნული უსაფრთხოების განმაპირობებელ მაჩვენებლად.

სასურსათო უზრუნველყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, სურსათის იმპორტის და ექსპორტის მოცულობა, კვების დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმები და ასორტიმენტი, მოსახლეობის ეკონომიკური წვდომის უნარი საჭირო სურსათთან, სასურსათო კალათის შემადგენლობა, ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონე, ინფლაციის სიდიდე და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მასშტაბის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არსებული აგროსასურსათო პროდუქტის რესურსული პოტენციალის ათვისებისა და მისი ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით.

ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნისთვის და რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის არის: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი (9).

სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში დაბალია აუცილებელი პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე. „FAO“-ს კვლევით, საქართველო 50%-ზე მეტად იმპორტზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი მარცვლეულ კულტურებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2025 წლის მონაცემებით იმპორტი ექსპორტს 2.5-ჯერ აღემატებოდა (ექსპორტი იყო 7.3 მილიარდი დოლარი, ხოლო იმპორტი – 18.5 მილიარდი დოლარი) (11).

ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე ნათელ სურათს სურსათის უსაფრთხოების ოთხი განზომილება (არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება, სტაბილურობა) და ეკონომიკური მისაწვდომლობის ინდიკატორები (სურსათის ფასები, შემოსავალი, შესყიდვითი უნარი) იძლევა.

საქართველოს მთავარი გამოწვევა სასურსათო პროდუქციის არსებობაში არის ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე ძირითადი სასურსათო პროდუქტების მიმართ. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (თუ რა დონეზე უზრუნველყოფს ქვეყანა მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნებს საკუთარი რესურსით და რამდენად არის დამოკიდებული იმპორტზე) ბევრი ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტისთვის (ხორბალი, სიმინდი, რძის პროდუქტები, ხორცი) 90%-ზე დაბალია. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტებს შორის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტებსა და ზოგიერთ სეზონურ ბოსტნეულზე. თვითუზრუნველყოფის 100%-იანი მაჩვენებელი მხოლოდ რამდენიმე პოზიციაზე გვხვდება. მაგალითად: ყურძენი – 158%; კარტოფილი – 139%. საქართველოში ბოსტნეული კულტურების (მაგალითად: პომიდორი, კიტრი, ხახვი, ნიორი) 100%-იან თვითუზრუნველყოფას ძირითადად **სეზონურობა, თანამედროვე სასათბურე მეურნეობების ნაკლებობა და გამართული სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობა** უშლის ხელს, რის გამოც თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების ზრდა აქ

ნელა მიმდინარეობს. პრობლემებია მეცხოველეობის ნაწილშიც. ამით აიხსნება ქვეყნის საგარეო ბაზრებზე მაღალი დამოკიდებულება და სასურსათო დამოუკიდებლობის არქონა.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქციის მოხმარებაში მნიშვნელოვანია იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების პროცენტული წილის თანაფარდობა:

პროდუქტის სახეობა	იმპორტის სავარაუდო წილი მოხმარებაში	ადგილობრივი წარმოების წილი (თვითუზრუნველყოფა)
შაქარი	100%	0-1%
მცენარეული ზეთი	90-95%	5-10%
ხორბალი	78-81%	19-22%
ფრინველის ხორცი	65-68 %	32-35%
ღორის ხორცი	50-55%	45-50%
საქონლის ხორცი	35-40%	65-70%
ბოსტნეული	50-52%	48-50 %
რძე და რძის პროდუქტები	15-20%	80-85%
კვერცხი	2-5%	95-98%
კარტოფილი	10-15%	85-90%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკური ბალანსები. **წელი: 2024-2025 წლები** (დაზუსტებული მონაცემები და მიმდინარე საპროგნოზო ტენდენციები).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში იმპორტდამოკიდებული სურსათის პროცენტული წილი პროდუქტის ტიპის მიხედვით ცვალებადი სიდიდეა. ქვეყანა სურსათზე მოთხოვნის 20-30%-ს ადგილობრივი წარმოებით ფარავს, ხოლო ძირითადი პროდუქტების ნაწილში (მაგალითად, ხორბალი) იმპორტის წილი 78-81%-ს აღწევს. იგი ძირითადი სტრატეგიული პროდუქტი და ყველაზე მოწყვლადი სეგმენტია ქვეყანაში. საქართველო თითქმის სრულად არის დამოკიდებული შაქრისა და სამზარეულო ზეთის იმპორტზე, ამასთან პრაქტიკულად სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას კარტოფილზე, ყურძენსა და კვერცხზე.

იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკასა და უსაფრთხოებას დიდ რისკებს უქმნის, ზრდის ქვეყნის სასურსათო დაუცველობას და ფასების არასტაბილურობის რისკებს, რაც გლობალური ფასებისა და ლოგისტიკური რყევების მიმართ მგრძნობიარეს ხდის ადგილობრივ ბაზარს. თანამედროვე პირობებში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად და სხვა სახელმწიფოებისაგან იზოლირებულად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული წარმოებით, ამიტომაცაა, იმპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ჯამურ აგროიპორტში (თანხობრივ გამოსახულებაში) ევროკავშირის ქვეყნების წილი დაახლოებით **29%-ს შეადგენს.** (11)

საქართველოში სურსათზე მისაწვდომლობა-ფიზიკური და ეკონომიკური წვდომა, ქვეყნისთვის ყველაზე მწვავე გამოწვევაა. იგი უკავშირდება მოსახლეობის დაბალ მსყიდველობით უნარს და მაღალ ხარჯებს. საქართველოს მოსახლეობის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი (ბოლო წლების მონაცემებით დაახლოებით 44%-47%) იხარჯება მხოლოდ სურსათის შეძენაზე. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, 10%-ს არ აღემატება (მაგ., აშშ-ში 8.6%). მაღალი წილი პირდაპირ მიუთითებს მოსახლეობის დაბალ ეკონომიკურ მისაწვდომობაზე. საქართველოში სურსათზე ფასები ხასიათდება ზრდადი

ტენდენციით, შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა კი ხშირად ჩამორჩება სურსათზე ფასების ზრდას (3).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2026 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 5.5% შეადგინა, საიდანაც „სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების“ ჯგუფში ფასები წლიურად 4.9%-ით გაიზარდა. ამ ზრდამ დიდი გავლენა იქონია დაბალშემოსავლიანი ოჯახების სურსათით უზრუნველყოფაზე.

ინფლაცია, სამომხმარებლო კალათის ერთგვარი საფუძველია. ეს კალათა ყველა იმ საქონლის და მომსახურების ნაკრებია, რომელიც ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. რაც უფრო მდიდარია ერი, მით უფრო მეტი პროდუქტი შედის სამომხმარებლო კალათაში და პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვანია კალათა ქვეყნისთვის, მით უფრო მაღალია ქვეყნაში ცხოვრების დონე. საქართველოში სამომხმარებლო კალათაში შეტანილია 305-მდე საქონელი და მომსახურება, ის საქონელი და მომსახურება, რაზეც ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს მოსახლეობა (14).

სამომხმარებლო კალათის ძირითადი კომპონენტი სასურსათო საქონლის ჯგუფია, რომელსაც ფასების ინდექსში 1/3-ზე მეტი წონა აქვს (15).

საქართველოს საქსტატის საარსებო მინიმუმის მინიმალურ სასურსათო კალათაში შეტანილია ფიზიოლოგიურად აუცილებელი 40 დასახელების კვების პროდუქტი, რაც გათვლილია დღეში ზრდასრული (შრომისუნარიანი ასაკის) მამაკაცისთვის 2300 კილოკალორიის მისაღებად (მსოფლიოში ზრდასრული ადამიანისთვის კალორიების დღიური სტანდარტული ნორმა საშუალოდ 2000-დან 2500 კალორიამდეა. ქალებისთვის ზოგადი ნორმა შეადგენს დაახლოებით 2000 კალორიას, ხოლო მამაკაცებისთვის – 2500 კალორიას) (11).

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფა და უსაფრთხოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. დარგის მთავარი მისიაა ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოების სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური სექტორი, საჭიროებს რეაბილიტაციას და რეფორმირებას და ამ პროცესში აუცილებელია კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ აგროსასურსათო პროდუქტების ადგილობრივ წარმოებაზე მოქმედებს ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობები, მოსავლიანობა, ასევე პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. ამასთან, წარმოების მაჩვენებელზე მოქმედებს სხვა გარე ფაქტორებიც, მაგალითად, ამინდის ცვალებადობა, სტიქიური უბედურებები და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას ნიშნავს, რაც ქვეყანაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებითაა შესაძლებელი.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობით მოტანილი სარგებელი პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას – მცენარეულობის კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას (საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებამ საშუალება მოგვცა არ ვიყოთ დამოკიდებული გარემო პირობებზე და მოვიყვანოთ არასეზონური პროდუქტი, მიწების ხელოვნურად რწყვის ღონისძიებათა სისტემა-

ირიგაცია საუკეთესო საშუალებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, ლანდშაფტების შენარჩუნებისა და გამომშრალი ნიადაგის ვარგისიანად გადაქცევისთვის, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა ფერმერებისთვის დიდი შეღავათია სეტყვისაგან მოსავლის დასაცავად) (3).

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური გამოწვევების (კლიმატის ცვლილება, წყლის დეფიციტი, ბიოლოგიური საწვავის წარმოების ზრდა) წინაშე მყოფი ქვეყნები სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილების უზრუნველმყოფი გზების, სიახლეების ძიებაშია. შესაბამისად, საფრთხის წინაშე დგება ამ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი. ახალი გამოწვევების არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც. FAO-ს შეფასებით, 2050 წელს დაგვჭირდება 60%-ით მეტი საკვები, ვიდრე დედამიწის მოსახლეობა მოიხმარს დღეს (13).

თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, რაც მას დაუცველს ტოვებს გარე საფრთხეების მიმართ. ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ის იცავს მას შესაძლო საფრთხეებისაგან და ქმნის საფუძველს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ეკონომიკური უსაფრთხოების კომპონენტებს შორის აღსანიშნავია სოციალური მდგრადობა და სასურსათო დამოუკიდებლობა. ამ კომპონენტების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად (7).

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს ქვეყნის მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ასპექტით საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება უშუალო მეზობელ ქვეყნებს, რომლებსაც ჩვენ ქვეყანასთან შედარებით ნამდვილად არ აქვთ უკეთესი ბიოგეოკლიმატური პირობები და სავარგულები, მაგრამ ახერხებენ ჩვენთან შედარებით მარცვლეულით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის გაცილებით მაღალი დონის მიღწევას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტის იმ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციით ჩანაცვლებას, რომლის წარმოების პირობები, რესურსები, ისტორიული და პროფესიული გამოცდილება არსებობს საქართველოში (1).

ქვეყნის მოქალაქეების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს მიზანმიმართულ, ეფექტიან საშინაო პოლიტიკის გატარებას, წარმოების ორგანიზების, მართვის, აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობისა და სუბსიდირების სისტემის მეშვეობით. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ძირითად ზომებს შორის უმნიშვნელოვანესია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) რეკომენდაციების გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილი დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 2025.

2. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი. 2014.

3. დვალიშვილი ლ., ქავთარეძე თ., სასურსათო უსაფრთხოების გლობალური გამოწვევები და ხარისხის უზრუნველყოფის გზები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს მაგალითი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 2025.

4. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი. 2008.

5. კოღუაშვილი პ., გახოკიძე რ., ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. ჟურნალი „ეკონომისტი“, ტომი XVIII, 2022.

6. კოღუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., სასურსათო დამოუკიდებლობა სახელმწიფო-ებრივი ამოცანაა. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019.

7. ლობჯანიძე გ., სოციალ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები და საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 2025.

8. მიქელაძე გ., მეფურიშვილი ლ., კვების ფიზიოლოგია. თბილისი. 1988.

9. ტალიკაძე ნ., სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა − უახლოესი ტენდენციები ციფრებში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. თბილისი. 2022.

10. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), IFAD, UNICEF, WFP და WHO (2025). *სურსათის უვნებლობისა და კვების მდგომარეობა მსოფლიოში. 2025.*

11.https://www.geostat.ge

12.https://www.radiotavisufleba. ge

13.https://agronews.ge

14.https://www.geli.org.ge

15.https://gromonwize.org.ge

Lia Dvalishvili
Sofio Davitashvili

Food supply - one of the factors determining the country's food security

Summary

The paper examines the role of food provision and food security in the country's socio-economic sustainability and national security. Against the backdrop of global challenges—such as climate change, population growth, and economic instability—the four core dimensions of food security are analyzed.

Using the example of Georgia, critical issues are highlighted, including high import dependence on strategic agrifood products, low purchasing power of the population, and limited economic accessibility to food.

The study discusses the significant reliance of Georgia's food provision and security on the development of agriculture—one of the key sectors of the national economy.

The paper emphasizes that mitigating existing risks and achieving food independence are achievable through strengthening local production, adopting climate-smart agriculture, and implementing effective state subsidies and management policies.

ციცინო თეთრაული

ტექნოლოგიების გავლენა ღარიბი ქვეყნების ეკონომიკაზე

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა, გაშუქებულია საყოველთაოდ აღიარებული ის თეორიები და ჰიპოთეზები რაც დამახასიათებელია ღარიბი ქვეყნებისთვის, განხილული თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ეკონომიკის განვითარებაში და მოსალოდნელი გამოწვევები, დახასიათებულია მდიდარი და ღარიბი ქვეყნების დამოკიდებულება ტექნოლოგიების ათვისებაზე.*

საკვანძო სიტყვები: *გეოგრაფიული იპოთეზა, ხელოვნური ინტელექტი, უმუშევრობა, ტექნოლოგიები, სიღარიბე და იმპორტდამოკიდებულება.*

შესავალი: მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშეა. უკვე აღიარებული გლობალური პრობლემების გრძელი სიას დაემატა ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა პანდემია, ომები, აღნიშნული პრობლემები პირდაპირ აისახა მსოფლიო ეკონომიკაზე, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებზე, საქართველომ უნდა გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა რომ შეძლოს თავის გადარჩენა და გონივრულად გამოიყენოს ის ბუნებრივი რესურსები რომელიც ქვეყანას გააჩნია.

მდიდარი ქვეყნები მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ა.შ. შემოსავლებისა და ცხოვრების ხარისხით, მკვეთრად განსხვავდება სუბსაჰარული აფრიკის და სამხრეთ აზიის ღარიბი ქვეყნებისგან.დღეს რიგითი ეგვიპტელის წლიური შემოსავალი აშშ-ში არსებული ანალოგიური მაჩვენებლის 12%-ს შეადგენს, ხოლო ეგვიბტეში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 10 წლით ნაკლებია ვიდრე აშშ-ში. ისმის კითხვა რატომაა ეგვიპტე აშშ-თან შედარებით ასეთი ღარიბი? რა უშლის ხელს (რიერა - ლეონი, ზიმბაბვე) ამ ქვეყნის მცხოვრები კეთილდღეობის მოპოვებაში. ეგვიპტისთვის სიღატაკე სამუდამო განაჩენია თუ მისი აღმოფხვრა შესაძლებელია? მეცნიერები და დამკვირვლებლები ეგვიპტის სიღარიბის მიზეზებზე მსჯელობისას სრულიად განსხვავებულ ფაქტორებს წარმოაჩენენ. ზოგი მიიჩნევს რომ ამ სახელმწიფოს სიღარიბე მისი გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული. რადგან ქვეყნის დიდი ნაწილი უდაბნოა და იქ მცირე ნალექი მოდის, ხოლო ნიადაგი და კლიმატი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობას არ იძლევა. სხვები ეგვიპტელთა სიღარიბეს მათივე კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებს აბრალებენ და აცხადებენ რომ ადგილობრივები ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისადმი, დადებით განწყობას არ ავლენენ. რომ მათ აკლიათ შრომისმოყვარეობა და არ გააჩნიათ კულტურული ჩვევები, რომელთა წყალობითაც სხვა ქვეყნების მოქალაქეები გამდიდრდნენ.სხვა მოსაზრებით ქვეყნის მმართველებმა არ იციან რა არის საჭირო მათი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის და წარსულში დადგენილ არასწორ პოლიტიკურ გეზს მიჰყვებიან. ჩვენ უთანასწორო მსოფლიოში ვცხოვრობთ. ღარიბ ქვეყნებში ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ საკვებზე, ჯანდაცვაზე, ტელევიზიაზე, გარკვეულმა ნაწილმა წერა-კითხვაც კი არ იცის.

განსხვავებები აშშ-სა და მექსიკას შორის ძალიან მცირეა, რაც დანარჩენ მსოფლიოში არსებობს. მაგალითად, აშშ-ის რიგითი მოქალაქე 7-ჯერ მდიდარია, ვიდრე მექსიკის და 10-ჯერ მდიდარი ვიდრე პერუს მოქალაქე ასევე 20-ჯერ მდიდარია ვიდრე საჰარას უდაბნოს სამხრეთით მდებარე ე.წ. სუბსაჰარული აფრიკის მცხოვრები და 40-

ჯერ მდიდარი ვიდრე აფრიკის უღარიბესი ქვეყნების: მალის, ეთიოპიისა და სიერა-ლეონეს რიგითი მოქალაქე. მსოფლიოში აშშ-ს გარდა არსებობის მდიდარი ქვეყნების ჯგუფი - მას ქმნიან ძირითადად ევროპისა და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოები, რომლებსაც შეუერთდნენ ავსტრალია, იაპონია, ახალი ზელანდია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, მათი მოქალაქეები მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების მოსახლეობასთან შედარებით ბევრად უკეთესად ცხოვრობენ.

ინგლისში დაწყებულ ინდუსტრიალიზაციას მალევე მოჰყვა იგივე პროცესი დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს დიდ ნაწილში. ინგლისური კეთილდღეობა სწრაფად გავრცელდა ბრიტანეთის "ახალ მოსახლეთა კოლონიებში", რომლებიც არსებობდა კანადაში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, ისინი დღესაც მსოფლიოს 30 უმდიდრეს ქვეყანათა ჩამონათვალში იკავებენ ადგილს იაპონიასთან, სინგაპურთან და სამხრეთ კორეასთან ერთად. აღმოსავლეთ აზიის ბევრმა სახელმწიფომ ტაივანისა და ჩინეთის ჩათვლით ბოლო პერიოდში სწრაფი ეკონომიკური ზრდა განიცადა. მსოფლიოს შემოსავლების განაწილების სურათი, უღარიბეს ქვეყნებშიც ისეთივე მკაფიო და ნათელია, როგორიც უმდიდრეს სახელმწიფოებში, ნავთობით მდიდარი ქვეყნები. მაგ. საუდის არაბეთი და ქუვეითი, რომელთაც მაღალი შემოსავლები აქვთ და მდიდარ ქვეყნებს უტოლდებიან, როცა ნავთობის ფასი ეცემოდა, ისინი მალევე უბრუნდებოდნენ მანამდე დაკავებული პოზიციას. ახლო აღმოსავლეთის ყველა უნავთობო ქვეყანა ღარიბია. თუმცა არც ისეთი ღატაკი როგორც სუბსაჰარული სამხრეთ აფრიკის ქვეყნები. დღესდღეობით არსებული კეთილდღეობის ფორმულა უკვე დიდი ხანია არ იცვლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ისინი მყარი ან ურღვევია. მსოფლიო უთანასწორობა ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოს, სამრეწველო რევოლუციის შემდგომ წარმოიშვა. მაგ. აშშ-ს კონტინენტზე ბოლო 150 წლის განმავლობაში არსებული გრადაცია სრულიად სხვაგვარია, ვიდრე 500 წლის წინანდელი. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბევრმა სახელმწიფომ მსოფლიოში სწრაფი ეკონომიკური ზრდა განიცადა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომს აღმოსავლეთ აზიის დიდი ნაწილი, ახლო წარსულიდან კი ჩინეთი.

მსოფლიო ეკონომიკური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების თეორიებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია სამი ჰიპოთეზა: 1) გეოგრაფიული, 2) კულტურული, 3) უცოდინარობის.

1. გეოგრაფიული ჰიპოთეზა ამტკიცებს რომ ღარიბ და მდიდარ ქვეყნად სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას სწორედ გეოგრაფიული განსხვავება განაპირობებს. ბევრი ღარიბი ქვეყანა როგორიცაა აფრიკის, ცენტრალური ამერიკა და სამხრეთ აზიის სახელმწიფოები კირჩხიბისა და თხის რქის ტროპიკებს შორის მდებარეობას. მდიდარი ქვეყნები კი ზომიერ სარტყელებში არიან მოქცეულები, გეოგრაფიული ჰიპოთეზა ბევრი სოციოლოგისა და ექსპერტის თეორიებისა და შეხედულებების ამოსავალი წერტილია. XVIII საუკუნის ბოლომდე კეთილდღეობასა და სიღარიბის ამგვარი დანაწილების შესახებ დიდი ფრანგი პოლიტიკური ფილოსოფოსი მონტესკიეც მიუთითებდა, ის ამტკიცებდა რომ ტროპიკულ ქვეყნებში. უმეტესად ზარმაცი და ნაკლებად ცნობისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, ისინი არ მუშაობენ ბევრს და არც ინოვაციების ხორცშესხმაზე ფიქრობენ, ამიტომაც არიან ღარიბებიო. ამასთანავე მონტესკიე ფიქრობდა რომ ზარმაც ადამიანებს დესპოტური მმართველობის რეჟიმში ხშირად უწევდათ ცხოვრება, ასე რომ ტროპიკული ადგილმდებარეობა მხოლოდ სიღარიბეს კი არ მოასწავებს არამედ ერთგვარ პოლიტიკურ ფენომენს - დიქტატურის არსებობასაც, რომელიც ეკონომიკის მარცხს განაპირობებს. უუახლეს წარსულში სინგაპურის, მალაიზიისა და ბოტსტვენის სწრაფი ეკონომიკური პროგორესის მიუხედავად,

თეორიას იმის შესახებ რომ ცხელი კლიმატის ქვეყნები ჩვეულებრივ ღარიბები არიან კვლავ ჰყავს მხურვალე მხარდამჭერები (მაგ. ეკონომისტი ჯ. საქსი) ამ შეხედულების თანამედროვე მხარდამჭერები (მაგ. ეკონომისტი ჯ. საქსი) ამ შეხედულების თანამედროვე ევროპაში გამოკვეთილია არა უშუალოდ კლიმატის გავლენა შრომის ან აზროვნების პროცესზე, არამედ ორი დამატებითი არგუმენტიც როგორიცაა: 1) ტროპიკული დაავადებები განსაკუთრებით მალარია, რომელიც უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე და 2) ტროპიკული ნიადაგი, რომელიც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და უხვი მოსავლის მიღებას აქედან გამომდინარე ზომიერ კლიმატს მეტი უპირატესობას ახასიათებს, არასწორია შეხედულება თითქოს ტროპიკული ქვეყნები ყოველთვის უფრო ღარიბები იყვნენ ვიდრე ზომიერი სარტყლის ქვეყნები. თუ გავიხსენებთ სადაც დღევანდელი მექსიკა ცენტრალური ამერიკა პერუ და ბოლივია მდებარეობს, აცტეკებისა და ინკების დიდი ცივილიზაციები არსებობდა. ეს იმპერიები პოლიტიკურად ცენტრალიზებული და კომპლექსური იყო. ისინი აგებდნენ გზებს, არიგებდნენ საკვებს. აცატეკებს თავიანთი ფულიც ქონდათ და დამწერლობაც, ინკებმა დიდი რაოდენობით ინფორმაცია კვანძებიან თოკებზე კაპუებზე შესაბამისი ნიშნებით გადაიტანეს. დღეს რიგითი ესპანელი რიგით პერუელზე 7-ჯერ მდიდარია. შემოსავლებს შორის ამგვარი სხვაობა უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიების არათანაბარ გავრცელებას. მაშინ როდესაც ესპანეთმა ჩამორჩენის მიუხედავად აითვისა ორთქლის ძალის გამოყენების რკინიგზების, ელექტრობის, მექანიზაციების და ქარხნული წარმოების ტექნოლოგიები, პერუს ეს არ გაუკეთებია ანდა თუ გააკეთა - ძალიან ნელა და უხარისხოდ ამგვარი ტექნოლოგიური სხვაობა დღესაც არსებობას და უფრო დიდი მასშტაბით. ახალი ტექნოლოგიები განსაკუთრებით კი ინფორმაციული, ეკონომიკურ ზრდას ბევრ განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოში უწყობს ხელს. ზუსტად შეიძლება ითქვას რომ ჩრდილოეთ ამერიკა იმიტომ გამდიდრდა რომ მან დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით აიტაცა ახალი ტექნოლოგიები და სამრეწველო რევოლუციის პროგრესი. მოსახლეობამ მიიღო სათანადო განათლება. რკინიგზის ფართო ქსელი გადაიჭიმა დიდ დაბლობებზე და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიო უთანასწორობა, უმეტესწილად ტექნოლოგიების არათანაბარი გავრცელებისა და ათვისების შედეგია. 2) მეორე ფართოდ გავრცელებულ და აღიარებული თეორია კულტურის ზეგავლენის ჰიპოთეზას ემყარება. რომლის მიხედვითაც საზოგადოების კეთილდღეობას მისი კულტურა განსაზღვრავს. გეოგრაფიული ჰიპოთეზის მსგავსად, კულტურის ჰიპოთეზასაც თავისი წარმოშობის ისტორია აქვს. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი დიდი გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი იყო, იგი ამტკიცებდა რომ პროტესტანტულობა რეფორმებმა და ეთიკამ დასავლეთ ევროპაში თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების აღზევებისათვის სასურველი პირობები შეექმნა. კულტურის ჰიპოთეზა ადრინდელივით მხოლოდ რელიგიას აღარ ეყრდნობა, ის ეფუძნება სხვა სახის ცნებებსაც, ღირებულებებს და ეთიკას. საზოგადოების ნაწილი კვლავ იზიარებს იმ აზრს რომ აფრიკელების სიღარიბის მიზეზი ქმედითი შრომის ეთიკის უქონლობაა, თურმე ამ კონტინენტის მცხოვრებთ ჯადოქრობის და მაგიის ჯერ კიდევ სჯერათ და ახალ დასავლურ ტექნოლოგიებსაც არად დაგიდებ ბევრი ადამიანი იმაშიცაა დარწმუნებული, რომ ლათინური ამერიკა ვერასოდეს გახდება მდიდარი რადგან იქაური ხალხი ბუნებით უყაირათო და უქონლობისკენ მიდრეკილია. იყვნენ ისეთები ვისაც მიაჩნდა რომ ჩინეთის კულტურა და კონფიციალური ფასეულობები ხელს შეუშლიდა ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ამჟამად ჩინელების შრომის ეთიკა, როგორც ამ ქვეყანაში ჰონგ-კონგსა და სინგაპურში

ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა. აქვე უნდა გავიხსენოთ კონფუციის ცნობილი სიტყვები: "კარგად მართავენ ქვეყანას რომელსაც სცხვენია ღარიბების და ცუდად მართავენ ქვეყანას, რომელსაც სცხვენია მდიდრების".

არსებობის კულტურის ჰიპოთეზის კიდევ ერთი ვერსია შეიძლება ზემოხსენებულ განსხვავებათა მიზეზი არა მხოლოდ ინგლისური, არამედ ზოგადად ევროპულ ცივილიზაციის უპირატესობა იყოს, დავუშვათ ევროპელები მსოფლიოს სხვა მოქალაქეებზე აღმატებულნი არიან თავიანთი შრომის ეთიკის, ცხოვრებისეული შეხედულებების, ქრისტიანული ფასეულობების ან რომაული მემკვიდრეობის გამო. ფაქტობრივად ძირითადად ევროპული წარმოშობის ხალხით დასახლებული დასავლეთი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა მართლაც მსოფლიოს უმდიდრეს ნაწილს შეადგენს. შესაძლოა კეთილდღეობის საწინდარი ნამდვილად წარმატებული ევროპული კულტურული მემკვიდრეობაა და ამასთან ესაა კულტურის ჰიპოთეზის ბოლო დასაყრდენი არგუმენტიც. ამავე დროს უნდა აღნიშნოს რომ იაპონიასა და სინგაპურში არ უცხოვრიათ ევროპული წარმოშობის ხალხებს მაგრამ ეს სახელმწიფოები სიმდიდრით დასავლეთ ევროპის ბევრ სახელმწიფოს არ ჩამოუვარდებიან. გეოგრაფიული ჰიპოთეზის მსგავსად ვერც კულტურის თეორიით აიხსნება დღეს ჩვენს გარშემო არსებული მსოფლიო კონფიგურაციის დანარჩენი ასპექტები. 3) მესამე პოპულარი თეორია იმის შესახებ თუ რატომაა ზოგი ქვეყანა ღარიბი და ზოგი მდიდარი უცოდინარობის ჰიპოთეზაა, რომელსაც ამტკიცებს რომ მსოფლიო უთანასწორობის მიზეზი ჩვენი მმართველობის და თვით ჩვენი უცოდინარობაა. ე.ი. მოსახლეობამ არ იცის როგორ განავითაროს და გაამდიდროს საკუთარი ქვეყანა. ამ იდეას ბევრი ეკონომისტი ემხრობა. ისინი არგუმენტად იშველიებენ ინგლისელი ეკონომისტის ლაიონელ რობინსის განმარტებით "ეკონომიკა მეცნიერებაა რომელიც სწავლობს ადამიანების ქცევას როგორც კავშირს მიზნებსა და იმ მწირ საშუალებებს შორის რომელთა გამოყენებაც ალტერნატიული გზებით შეიქმნა". საბაზრო ეკონომიკა ერთგვარი განუსაზღვრელი სფეროა და ისეთი ვითარების შექმნას გულისხმობს რომელშიც ყველა ფირმასა თუ ინდივიდუალურ მოსაქმეს შეეძლება თავისუფლად აწარმოოს, იყიდოს და გაყიდოს სასურველი პროდუქტი ან მომსახურება, ასეთი პირობების არარსებობას "ბაზრის ჩავარდნას" უწოდებენ. სწორედ ასეთი პირობები ქმნის მსოფლიო უთანასწორობის თეორიის საფუძველს. "ბაზრის ჩავარდნა" რაც მეტჯერ დარჩება ყურადღების მიღმა, მით უფრო გაღარიბდება ქვეყანა, უცოდინარობის ჰიპოთეზის მიხედვით ზოგიერთი სახელმწიფო იმიტომ არის ღარიბი, რომს ბაზრის ჩავარდნა იქ ხშირად ხდება, ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა კი არ იციან ამას თავის როგორ აარიდონ, მათთვის სწორი რჩევაც არავის მიუცია. ზოგიერთი ქვეყანა კი იმიტომაა მდიდარი რომ მათ უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა შეიმუშავეს და წარმატებით აღმოფხვრეს ასეთი ჩავარდნები მაგ., კონგოს თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ ღარიბია. მისი მოქალაქეები ახლაც განიცდიან ისეთი ეკონომიკური ინსტიტუტის ნაკლებობას რომლებიც საზოგადოების გამდიდრებისათვის წამახალისებელი ფაქტორებს ქმნიან. კონგოს სიღატაკის მიზეზი გეოგრაფიული მდებარეობა, კულტურის ან მოქალაქეების თუ პოლიტიკოსების უცოდინარობა კი არაა, არამედ მისი ექსტრაქციული ეკონომიკური ინსტიტუტები. საუკუნეების განმავლობაში მდგომარეობა უცვლელი რჩება რადგან პოლიტიკური ძალაუფლება კვლავ ელიტური ერთეულების ხელშია მოქცეული. მათი მიზანი კი საკუთარი შემოსავლების გაზრდა ძალაუფლების შენარჩუნებაა.

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიები, თითქმის გეომეტრიული სისწრაფით ვითარდება. ადამიანთა სულიერი განვითარება ვერ ეწევა მათ განვითარებას, რასაც

ჩვენი კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი, აწ გარდაცვლილი ილია მეორე ხშირად აღნიშნავდა. სიტყვა ტექნოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან ტექნე ("ხელობა") და ლოგია ("ლაპარაკი, თქმა") რაც ხელობის სისტემების შესწავლას გულისხმობს. ტექნოლოგია არამარტო მატერიალური საქონლის წარმოებაში ახალი მეთოდების გამოყენებას ნიშნავს, იგი აღნიშნავს ყველაფერს რასაც ჩვენი გარემოს გარდასაქმნელად და წარმოების ორგანიზაციებისთვის ვაკეთებთ ტექნოგია - ეს არის ადამიანთა კოლექტიური ცოდნის გამოყენება კომფორტის, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, თუმცა ხშირად სხვა მიზნებითაც გამოიყენება. მაგ., თვალთვალი, ომის საწარმოებად და ა.შ. "ტექნოლოგიური უმუშევრები" ეს ტერმინი პირველად უდიდესმა ეკონომისტმა (რომელსაც "ეკონომიკის" მესიასაც კი უწოდებენ) ჯონ მეინარ კეინზმა შემოიღო როცა წარმოების ახალმა მეთოდმა შეიძლება შეამციროს ადამიანური მუშახელის საჭიროება და გამოიწვიოს მასობრივი უმუშევრობა. ჯ. კეინზს ესმოდა რომ საწარმოო მეთოდების სწრაფ გაუმჯობესებას ვერაფერი შეაჩერებს. მას მიაჩნია რომ "თუ მუშახელის დაზოგვის საშუალებით გამოგონებამ ამ მუშახელის დასაქმების ახალი ფორმების მოძიებას გადაასწრო, უმუშევრობას მივიღებთ", კეინზის აზრს იზიარებდა აგრეთვე დევიდ რიკარდო. ციფრულმა ტექნოლოგიებმა უკვე მოახდინა რევოლუცია სამეცნიერო პროცესში. კაცობრიობას დაგროვილ ცოდნაზე დღეს მართლაც ერთ ღილაკზე დაჭერით მიგვიწვდება ხელი, ხელოვნური ინტელექტის სისტემა ისეთ პროგრამულო უზრუნველყოფითაა დაფუძნებული, როგორიცაა ჩატ-ბიტები და ბიზნესის ვირტუალური თანაშემწეები, რომლებიც დაფუძნებულია ბუნებრივი ენის დამუშავებაზე, კომპიუტერული მხედველობის ან ხმის ამომცნობ სისტემებზე დაფუძნებული სახის ამომცნობი სისტემები, მონაცემთა ანალიზი და ა.შ. ხელოვნური ინტელექტი ხალხს ხშირად აფრთხობს. რადგან ადამიანებს არ სჯერათ მისი მუდმივი მორჩილებით. მიიჩნევა რომ რობოტტექნიკა თითქმის ყველა სფეროში არსებული პროფესიებს შეცვლის. 2050 წლისთვის მსოფლიომ შეიძლება მიიღოს უმუშევართა მთელი არმია. ტექნოლოგიები ბევრ პროფესიას ჩაანაცვლებენ და წარმოიშვება უსარგებლო, უფუნქციო ადამიანთა მასები. ხელოვნური ინტელექტი ისეთი ტრაექტორიით ვითარდება რომელიც უთანასწორობას გაამწვავებს მთელ მსოფლიოში. ტექნოლოგიები კომპანიებსაც და ავტორიტარულ მთავრობების მიერ მონათემთა მასობრივი შეგროვება, დემოკრატიის ჩახშობისა და ავტოკრატიის გაძლიერებას გამოიწვევს, არავინ იცის როგორი იქნება შრომის ბაზარი 2050 წლისთვის.

მაღალი ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად გლობალიზაციის პირობებში, რაც "ახალი მსოფლიო წესრიგის" გულისხმობს, მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, ცოტა ხნის წინ თავს დაგვატყდა პანდემია რამაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ომები რომელიც XXI საუკუნეში თითქმის წარმოუდგენელი იყო. ტექნოკრატიული საზოგადოება რომელიც თავს იწონებს თავისი ტექნიკური მიღწევებით უარს მაინც ვერ ამბობს ისეთ საშინელებებზე როგორიც ომი და სისხლისღვრაა. ადამიანის ბუნება დიდად არ შეცვლილაა, პირიქით ტექნოლოგიების წყალობით ომი კიდევ უფრო სისხლისმღვრელი და მასშტაბური გახდა. ტექნოლოგიური მიღწევები კი საყოველთაოდ ცნობილია რომ პირველ რიგში სამრეწველო სფერო ითვისებს. მსოფლიომ დაივიწყა პაციფიზმი და დგას ატომური ომის საშიშროების წინაშე. დიდი ხანია მსოფლიომ გადაკვეთა ეკოლური წითელი ხაზები. მეცნიერთა აზრით 2050 წლისთვის დედამიწის გარკვეული ტერიტორიები შეიძლება საცხოვრებლად უვარგისი გახდეს და მივიღოთ ეკომიგრანტების დიდი ნაკადები.

ყოველივე ამის ფონზე ღიმილის მომგვრელია ის შეფასება რომელთაც ამ საუკუნეს

მოიხსენიებენ ინოვაციების საუკუნე, კეთილდღეობის საუკუნე და ა.შ.

მსოფლიო ერთ დიდ ციფრულ ბანაკს დაემსგავსა დამთავრდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს მყიფე სიამტკბილობაც ახალი გეოპოლიტიკური ვითარება რა კონფიგურაციას მიიღებს არავინ იცის. ისეთ გლობალურ პრობლემებზე როგორიცაა: გლობალური დათბობა, გაუდაბნოება, მიწის ეროზია, ჰაერისა და წყლის დაბინძურება ბიომრავალფეროვნების შემცირება, სასურსათო უსაფრთხოება, ნარჩენები, წიაღისეულის შემცირება, დაემატა პანდემია და ომი. უდიდესი მეცნიერი აინშტაინი ჯერ კიდევ ატომის გახლეჩამდე (რომელზეც მეცნიერები მუშაობდნენ) ვარაუდობდა რომ ატომის გახლეჩას შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღად ყოფილიყო გამოყენებული, ამის თაობაზე მან წერილიც მისწერა პრეზიდენტს თუმცა მისი ეს გაფრთხილება დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". სანამ მსოფლიო უარს არ იტყვის და თვითონვე არ გაანადგურებს ატომურ და ბირთვულ იარაღს, არ გაატარებს ქამრების შემოჭერის პოლიტიკას, არ დაადგება მდგრადი განვითარების გზას ("მწვანე და ლურჯი ეკონომიკა"), არ გაატარებს "ნულოვანი ნაგვის კონცეფციას" და უარს არ იტყვის ეკონომიკური ზრდის კონცეფციაზე რაც "მწვანეებს" სლოგანია და თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა ღამის რელიგიის დონეზე აქვს აყვანილი ვერ ვიტყვით რომ ჰუმანურ მსოფლიოში ვცხოვრობთ ბიზნესინტერესებს ეწირება ამაზონის ჯუნგლები. რომელიც დედამიწის ფილტვებადაა მიჩნეული. იჩეხება და ხელოვნური ხანძრების სამიზნეა. მსოფლიოში ყოველწლიურად მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს და ბევრი მათგანი იღუპება. მხოლოდ ტექნოლოგიები ვერ გადაწყვეტს ადამიანთა ღირსეულ და უზრუნველყოფილ ცხოვრებას.

ტექნოლოგია საშუალებაა და არა თვითმიზანი, რაც არ უნდა დავივწყოთ. იგი შეიძლება ხშირად ბოროტად იყოს გამოყენებული. საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე ეკონომიკის, იმპორტდამოკიდებული, სამწუხაროდ გაეროს მონაცემები მომაკვდავი ერების სიაში ვართ შეყვანილი. მილიონზე მეტი ქართული ემიგრაციაშია წასული. FAO-ს მონაცემებით 2050 წლისთვის შეიძლება ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ. საჭიროა აგრარული სფეროს აღორძინება და ხელშეწყობა, მხოლოდ ტურიზმის განვითარება არაა საკმარისი, პანდემიის დროს პირველი ტურიზმის სფერო ჩამოიშალა. იმპორტდამოკიდებულობის შემცირება, განსაკუთრებით ხორბალზე, გვახსოვს დრო როდესაც გლეხებს ვაზი ააჩეხინეს და საზამთრო დაათესინეს. ჩვენი სიმდიდრეა ბუნებრივად ნაყოფიერი მიწები, ჰიდრორესურსები, ჩვენი სამყოფი თითქმის ყველაფერი გვაქვს. გლობალიზაციამ და ახალმა გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა, ჩვენი ამოცანაა თავი გადავირჩინოთ ამ ახალ ვითარებაში მულტივექტორული მსოფლიო ხვალ კიდევ რა ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენებს ძნელი სათქმელია როგორც წმინდა გრიგოლ ღვთის მეტყველი ამბობდა სუყველა ერთობა როდია სასარგებლო ერთობა, არსებობს დამღუპველი ერთობა და არსებობს მშვენიერი უთანხმოება".

დასკვნა: ხელოვნური ინტელექტი მსოფლიოს უდიდესი გამოწვევების წინაშე აყენებს, ტექნოლოგიებს ჩაანაცვლებიან ბევრ პროფესიას და შესაძლოა მივიღოთ უმუშევართა მთელი არმია. უფუნქციო ადამიანები. 2050 წლისთვის როგორი იქნება შრომის ბაზარი ბნელი სათქმელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. მიწის რესურსების დაცვის ეკონომიმკური პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. 12. თსუც პაატა გუგუშვილის სახლობის ეკონომიკის

ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2020.

2. ი.ნ. ჰარარაი. საპიენსი - კაცობრიობის მოკლე ისტორია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2020.

3. დ. აჯემოღლუ, ჯეიმს რობინსონი. რატომ ვერ აღწევენ წარმატებას სახელმწიფოები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2024.

Tsitsino Tetrauli

The impact of technologies on the economy of poor countries

Summary

Under the conditions of globalization, achieving universal welfare has proven impossible. Very rich and very poor countries still coexist in the world, and the gap between them is widening further in the wake of new geopolitical transformations and technological developments. The rich are getting richer, while the poor are getting poorer—a dilemma that became particularly evident during the periods of pandemics and wars, which significantly damaged the global economy. As a country with limited agricultural land and a small economy, Georgia faces these major challenges with a pressing need to ensure its food security, specifically by increasing wheat cultivation and reducing its import dependence on wheat.

დალი მაგრაქველიძე

საქართველოს და მსოფლიოს ეკონომიკა: რეალობა და გამოწვევები

ანოტაცია. *თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესით, გლობალიზაციის ახალი ტენდენციებით, რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებითა და გეოპოლიტიკური ცვლილებებით. აღნიშნულ პროცესებში საქართველოს ადგილი განისაზღვრება როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო ქვეყნის, ასევე განვითარებადი ღია ეკონომიკის სტატუსით. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, განხილულია ქვეყნის ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობის, უცხოური ინვესტიციების, ლოჯისტიკური დერეფნების, ციფრული ეკონომიკისა და ინოვაციური განვითარების მნიშვნელობას.*

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო ეკონომიკა, საქართველო, გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება, ინვესტიციები, ტრანზიტი, ინოვაციები.*

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკა XXI საუკუნეში გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე, რომლის განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, მწვანე ეკონომიკა, მიწოდების ჯაჭვების გადანაწილება და რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოსთვის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ ეროვნული უსაფრთხოების, კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი მდგრადობის საფუძველს. ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა, შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი

სატრანზიტო ფუნქცია და მრავალმხრივი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად.

* * *

საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს მცირე და ღია ეკონომიკურ სისტემას, რომლის განვითარება და მდგრადობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე — საერთაშორისო ვაჭრობაზე, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე, ტურიზმზე, ფულად გზავნილებზე, სატრანსპორტო ნაკადებსა და საერთაშორისო ფინანსურ გარემოზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპები აჩვენა, მხოლოდ ზრდის მაჩვენებლები ვერ იქნება ქვეყნის ეკონომიკური წარმატების საკმარისი ინდიკატორი. მთავარი საკითხია არა ის, რამდენად სწრაფად იზრდება ეკონომიკა, არამედ რა ქმნის ამ ზრდას, რამდენად მდგრადია იგი და რამდენად გარდაიქმნება ეკონომიკური ზრდა პროდუქტიულობის, დასაქმების ხარისხისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდად.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელი მნიშვნელოვანწილად ეფუძნება მომსახურების სექტორის გაფართოებას, მოხმარების ზრდას, ტურიზმს, უძრავ ქონებასა და საგარეო შემოსავლებს. ასეთი მოდელი მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ეფექტიანი იყოს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მისი მდგრადობა სერიოზულ კითხვებს აჩენს. ეკონომიკა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარე მოთხოვნაზე, ტურისტულ ნაკადებზე, კაპიტალის შემოდინებასა და რეგიონულ პროცესებზე, განსაკუთრებით მოწყვლადია გლობალური კრიზისების, გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და საერთაშორისო ფინანსური პირობების ცვლილების მიმართ.

ამიტომ საქართველოს მთავარი პრობლემა დღეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპი. მთავარი პრობლემა ზრდის ხარისხია. თუ ეკონომიკური ზრდა საკმარისად არ ეფუძნება ადგილობრივ წარმოებას, ტექნოლოგიურ განვითარებას, ექსპორტის დივერსიფიკაციასა და პროდუქტიულობის ზრდას, მაღალი ზრდის მაჩვენებლები შესაძლოა მხოლოდ დროებითი წარმატება აღმოჩნდეს და ვერ ჩამოყალიბდეს გრძელვადიან ეკონომიკურ საფუძვლად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებები საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური მდგრადობის შესახებ მნიშვნელოვანია, თუმცა მაკროეკონომიკური სტაბილურობა არ უნდა იქნეს გაიგივებული ეკონომიკის სტრუქტურულ სიძლიერესთან. დაბალი ინფლაცია, ფისკალური დისციპლინა და ეკონომიკური ზრდა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია. თუ ქვეყანა ვერ ქმნის მაღალი დამატებითი ღირებულების წარმოებას, ინოვაციურ კომპანიებსა და კონკურენტულ საექსპორტო სექტორებს, მაკროეკონომიკური სტაბილურობა ვერ გადაფარავს ეკონომიკის სტრუქტურულ სისუსტეებს.

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ უპირატესობად ხშირად განიხილება მისი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სივრცეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა შუა დერეფნის (Middle Corridor) განვითარება და ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების მნიშვნელობის ზრდა.

თუმცა აქაც აუცილებელია კრიტიკული მიდგომა. გეოგრაფიული მდებარეობა თავისთავად ეკონომიკურ უპირატესობას არ ქმნის. მდებარეობა მხოლოდ პოტენციალია, რომლის რეალურ ეკონომიკურ ღირებულებად გარდაქმნას სჭირდება ეფექტიანი ინფრასტრუქტურა, კონკურენტუნარიანი ლოჯისტიკური მომსახურება,

სწრაფი საბაჟო პროცედურები, კვალიფიციური ადამიანური რესურსი, ტექნოლოგიური შესაძლებლობები და სტაბილური ინსტიტუტები.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რისკია, რომ ქვეყანა დარჩეს მხოლოდ სატრანზიტო დერეფნის მომსახურე ეკონომიკად. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება შეზღუდული იქნება, ხოლო გაცილებით დიდი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მიიღონ იმ ქვეყნებმა და კომპანიებმა, რომლებიც ტრანსპორტირებულ საქონელს ამუშავებენ, ინახავენ, აფინანსებენ და საბოლოო პროდუქტად გარდაქმნიან.

ამიტომ საქართველოს სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ტვირთების გატარება, არამედ ტვირთის გარშემო ეკონომიკური ეკოსისტემის შექმნა — ლოჯისტიკური ცენტრების, გადამამუშავებელი მრეწველობის, საწყობების, ციფრული საბაჟო სისტემების, ფინანსური მომსახურების, ტექნოლოგიური კომპანიებისა და რეგიონული ბიზნესცენტრების განვითარება.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან და სხვა პარტნიორებთან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. თუმცა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თავისთავად არ ქმნის კონკურენტუნარიან ექსპორტს.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა კვლავ ექსპორტის დაბალი დივერსიფიკაცია და შედარებით დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის მაღალი წილია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ხშირად ვერ იყენებს საერთაშორისო ბაზრებზე ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს სრულად.

პრობლემა მხოლოდ ბაზრების რაოდენობაში არ მდგომარეობს. საქართველოს სჭირდება არა მხოლოდ მეტი ექსპორტი, არამედ უკეთესი ექსპორტი — ტექნოლოგიურად უფრო რთული, მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე და ცოდნაზე დაფუძნებული პროდუქცია და მომსახურება.

თუ საქართველო საერთაშორისო ბაზრებზე ძირითადად ნედლეულის, პირველადი გადამუშავების პროდუქციისა და დაბალი ტექნოლოგიური სირთულის საქონლის მიმწოდებლად დარჩება, ქვეყნის ექსპორტის ზრდა ვერ უზრუნველყოფს საკმარის პროდუქტიულობასა და მაღალშემოსავლიან დასაქმებას.

ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსთვის ერთდროულად წარმოადგენს შესაძლებლობასაც და რისკსაც. ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკური და სავაჭრო ძალაა და მის ბაზარზე წვდომა საქართველოსთვის ექსპორტის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქმნის ქართული პროდუქციისთვის შეღავათიან პირობებს. თუმცა აქაც კრიტიკული კითხვა უნდა დაისვას: იყენებს თუ არა საქართველო ამ შესაძლებლობას იმისთვის, რომ ჩინეთში საკუთარი ექსპორტი გაზარდოს, თუ საბოლოოდ მხოლოდ ჩინური პროდუქციის იმპორტის ბაზრად ყალიბდება?

ვაჭრობის ზრდა თავისთავად წარმატებას არ ნიშნავს. თუ სავაჭრო ურთიერთობაში იმპორტის ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება ქართული ექსპორტის ზრდას, საქართველო ვერ მიიღებს იმ სტრუქტურულ სარგებელს, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება პოტენციურად ქმნის.

ჩინურ კომპანიებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი გამოცდილება ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მათ შორის სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და ლოჯისტიკურ სექტორებში. საქართველოსთვის ეს შეიძლება მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყოს, განსაკუთრებით შუა დერეფნის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის

თვალსაზრისით. მაგრამ ინვესტიციის მოცულობა არ უნდა იქცეს საინვესტიციო პოლიტიკის ერთადერთ საზომად. მნიშვნელოვანია, რას იღებს საქართველო კონკრეტული ინვესტიციის სანაცვლოდ: იქმნება თუ არა ადგილობრივი სამუშაო ადგილები, ხდება თუ არა ტექნოლოგიისა და ცოდნის გადაცემა, იზრდება თუ არა ადგილობრივი კომპანიების მონაწილეობა და რამდენად რჩება შექმნილი დამატებითი ღირებულება ქვეყანაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე თავად ჩინეთთან თანამშრომლობა კი არა, ზედმეტი დამოკიდებულებაა რომელიმე ერთ ძლიერ ეკონომიკურ პარტნიორზე. თუ კრიტიკული ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული აქტივები ან მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სისტემები ზედმეტად კონცენტრირდება ერთი ქვეყნის კომპანიების ან კაპიტალის გავლენის ქვეშ, საქართველოს შეიძლება შეუმცირდეს ეკონომიკური და პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციფრულ ინფრასტრუქტურას, მონაცემთა სისტემებს, სატელეკომუნიკაციო ქსელებსა და კიბერუსაფრთხოებას. თანამედროვე მსოფლიოში ინფრასტრუქტურა აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური აქტივი — ის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილია. ამიტომ ნებისმიერი მსხვილი უცხოური ინვესტიცია, განსაკუთრებით სტრატეგიულ სექტორებში, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის, არამედ ტექნოლოგიური, კიბერუსაფრთხოების, კონკურენციისა და გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით.

შესაბამისად, ჩინეთთან თანამშრომლობის სწორი პოლიტიკა არ უნდა იყოს არც იზოლაცია და არც უპირობო გახსნა. საქართველოსთვის გაცილებით გონივრულია დივერსიფიცირებული პარტნიორობის პოლიტიკა, რომლის პირობებშიც ჩინეთი იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი, მაგრამ არა ისეთი პარტნიორი, რომელზეც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა ან საინვესტიციო გარემო გადაჭარბებულად იქნება დამოკიდებული.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად კვლავ რჩება დივერსიფიკაციის დაბალი დონე. ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია მომსახურების, ვაჭრობის, ტურიზმის, უძრავი ქონებისა და სხვა სექტორებში, მაშინ როდესაც მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და კვლევაზე დაფუძნებული ბიზნესის წილი ჯერ კიდევ შეზღუდულია.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე ხდება გლობალური ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში. ქვეყნები, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს, ავტომატიზაციას, რობოტიკას, ბიოტექნოლოგიებს, მონაცემთა მეცნიერებასა და ციფრულ წარმოებას სწრაფად ითვისებენ, მნიშვნელოვნად ზრდიან პროდუქტიულობას. საქართველო კი რისკავს, რომ დარჩეს ტექნოლოგიების მომხმარებლად და არა მათი შემქმნელისა და ექსპორტიორის როლში.

საქართველოს ეკონომიკური მოდელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სისუსტე კვლევასა და განვითარებაში (R&D) არასაკმარისი ინვესტიციაა. უნივერსიტეტებს, კვლევით დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა ჯერ კიდევ ვერ აღწევს იმ დონეს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებას უზრუნველყოფს.

პრობლემა მხოლოდ ფინანსების ნაკლებობა არ არის. საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ცოდნის კომერციალიზაციის, ტექნოლოგიური ტრანსფერისა და უნივერსიტეტიდან ბიზნესში ინოვაციის გადატანის მექანიზმები.

თუ ეს მდგომარეობა არ შეიცვალა, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება შესაძლოა საქართველოსთვის ძირითადად

იმპორტირებული ტექნოლოგიების მოხმარებას ნიშნავდეს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა ტექნოლოგიური პროგრესის მონაწილე კი არა, მისი მომხმარებელი გახდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევა ადამიანური კაპიტალის ხარისხია. საინჟინრო, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მონაცემთა მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიური მიმართულებების განვითარებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები სჭირდება.

თუ განათლების სისტემა ვერ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაცია პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

ამასთანავე, კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია საქართველოსთვის ორმაგ პრობლემას ქმნის: ქვეყანა კარგავს როგორც ადამიანურ კაპიტალს, ისე იმ ინვესტიციას, რომელიც ამ ადამიანების განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში ჩაიდო.

ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ სამუშაო ადგილების რაოდენობაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნაზე, რომლებიც კვალიფიციურ სპეციალისტებს ქვეყანაში დარჩენის რეალურ ეკონომიკურ მოტივაციას მისცემს.

მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების მიგრაცია და რეგიონული განვითარების უთანაბრობა საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიან მდგრადობას დამატებით საფრთხეს უქმნის.

დემოგრაფიული შემცირება ნიშნავს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, არამედ შრომითი რესურსის, მომხმარებელთა ბაზრისა და საგადასახადო ბაზის პოტენციურ შემცირებას. განსაკუთრებით პრობლემურია ეკონომიკური აქტივობის მაღალი კონცენტრაცია თბილისში, მაშინ როდესაც რეგიონების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ქმნის საკმარისად ძლიერ ეკონომიკურ ბაზას.

ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის საკითხი არ არის. რეგიონული განვითარება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხიცაა. აუცილებელია რეგიონებში თანამედროვე ინფრასტრუქტურის, განათლების, ტექნოლოგიური ცენტრებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გადავიდეს რაოდენობრივი ზრდის მიღწევის ლოგიკიდან ხარისხობრივი ტრანსფორმაციის ლოგიკაზე.

პირველ რიგში, აუცილებელია ექსპორტის სტრუქტურული დივერსიფიკაცია და ისეთი სექტორების მხარდაჭერა, რომელთაც მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნა შეუძლიათ.

მეორე მიმართულებაა ციფრული ეკონომიკისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარება. AI-ის გამოყენება უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ კომპანიებში, არამედ ფინანსებში, სოფლის მეურნეობაში, ლოჯისტიკაში, ჯანდაცვაში, სახელმწიფო მმართველობასა და წარმოებაში.

მესამე მიმართულებაა R&D-ის (Research and Development) დაფინანსების ზრდა და უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის რეალური თანამშრომლობის შექმნა.

მეოთხე - ადამიანური კაპიტალის განვითარება. განათლების სისტემა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ეკონომიკის მომავალ მოთხოვნებს.

მეხუთე - უცხოური ინვესტიციების ხარისხობრივი შეფასება. საქართველო არ უნდა ცდილობდეს უბრალოდ რაც შეიძლება მეტი უცხოური კაპიტალის მოზიდვას. მნიშვნელოვანია ისეთი ინვესტიციის მოზიდვა, რომელიც ქმნის ტექნოლოგიას, ცოდნას, ადგილობრივ წარმოებას, ექსპორტსა და მაღალპროდუქტიულ დასაქმებას.

ცხრილი 1. პრიდაპირი უცხოური ინვესიტიციების ნაკადი საქართველოში 2021-2025 წ.წ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
(საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის BPM6 მიხედვით)

მლნ. აშშ დოლარი

	სალდო[1]	აქტივები	პასივები
2021	**-942.9**	**347.3**	**1,290.2**
I კვ. 2022	**-467.7**	120.8	588.5
II კვ. 2022	**-327.3**	68.2	395.5
III კვ. 2022	**-904.4**	72.2	976.6
IV კვ. 2022	**-193.2**	103.9	297.1
2022	**-1,892.6**	**365.2**	**2,257.7**
I კვ. 2023	**-516.9**	143.5	660.4
II კვ. 2023	**-511.6**	34.4	546.0
III კვ. 2023	**-360.8**	141.4	502.2
IV კვ 2023	**-250.2**	153.2	403.4
2023	**-1,639.4**	**472.5**	**2,112.0**
I კვ. 2024	**-111.6**	95.0	206.6
II კვ 2024	**-571.2**	107.9	679.1
III კვ 2024	**-147.0**	119.3	266.3
IV კვ 2024	**-311.3**	139.6	450.9
2024	**-1,141.1**	**461.9**	**1,602.9**
I კვ. 2025*	**-78.4**	67.7	146.1
II კვ. 2025*	**-506.3**	51.1	557.4
III კვ. 2025*	**-430.0**	85.4	515.4
IV კვ. 2025*	**-374.4**	61.9	436.4
2025*	**-1,389.2**	**266.1**	**1,655.3**
I კვ. 2026*	**-160.9**	120.3	281.1

*წინასწარი მონაცემები.

ბოლო განახლება:
30.06.2026

წყარო: საქსტატი

მეექვსე — სტრატეგიული ინფრასტრუქტურის დაცვა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, სატრანსპორტო ქსელები, ენერგეტიკული ობიექტები და ციფრული ინფრასტრუქტურა უნდა განიხილებოდეს როგორც ქვეყნის ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთიანი სისტემის ნაწილი.

დასკვნა

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში არსებული პოზიცია ერთდროულად არის შესაძლებლობაც და სერიოზული გამოწვევაც. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, შუა დერეფნის პოტენციალი და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაცია ქმნის განვითარების რეალურ შესაძლებლობებს. თუმცა ამ შესაძლებლობების ავტომატურად რეალურ ეკონომიკურ წარმატებად გარდაქმნის მოლოდინი მცდარია.

საქართველოს ეკონომიკის მთავარი სისუსტე დღეს არა ზრდის შესაძლებლობის არქონა, არამედ ზრდის არსებული მოდელის სტრუქტურული შეზღუდულობაა. ტურიზმზე, მოხმარებაზე, იმპორტზე, უძრავ ქონებაზე და საგარეო შემოსავლების ცვალებადობაზე დამოკიდებული ეკონომიკა ვერ გახდება გრძელვადიანად მაღალპროდუქტიული და მდგრადი.

ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავება ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს პრაგმატულად და არა ემოციურად. ჩინეთი საქართველოსთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი სავაჭრო, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პარტნიორი, მაგრამ თანამშრომლობა არ უნდა გადაიზარდოს სტრატეგიულ დამოკიდებულებაში. საქართველოს ინტერესს წარმოადგენს არა ჩინეთის არჩევა სხვა პარტნიორების ნაცვლად, არამედ რაც შეიძლება ფართო და დაბალანსებული ეკონომიკური პარტნიორობის სისტემის შექმნა.

საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა არის საკუთარი ეკონომიკური როლის შეცვლა: ქვეყანა არ უნდა დარჩეს მხოლოდ სატრანზიტო სივრცედ, იაფი სამუშაო ძალის ბაზრად ან იმპორტის მომხმარებლად. მისი მიზანი უნდა იყოს ისეთი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელშიც გეოგრაფიული მდებარეობა, ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი და ტექნოლოგიები ერთიან ეკონომიკურ სისტემად გარდაიქმნება.

გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, რამდენი უცხოური ინვესტიცია შევა ქვეყანაში, არამედ იმით, რამდენ ცოდნას, ტექნოლოგიას, ადგილობრივ წარმოებას, ექსპორტს და მაღალპროდუქტიულ სამუშაო ადგილს შექმნის ეს ინვესტიცია.

ამიტომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა უბრალოდ „ზრდა“, არამედ ეკონომიკის ხარისხობრივი გარდაქმნა — დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე საქმიანობიდან ცოდნაზე, ინოვაციაზე, ტექნოლოგიებზე, პროდუქტიულობასა და მაღალ დამატებით ღირებულებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლა.

სწორედ ამ გარდაქმნის უნარი და არა მხოლოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა საქართველო თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში რეალურად ძლიერი, დამოუკიდებელი და კონკურენტუნარიანი პოზიციის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. International Monetary Fund. (2025). *Georgia: 2025 Article IV Consultation—Staff Report*.
2. World Bank. (2026). *Georgia Overview*.
3. International Monetary Fund. (2026). *Article IV Consultation with Georgia*.
4. Geostat. *Statistical Yearbook of Georgia*.
5. National Bank of Georgia. *Annual Report*.
6. Gondauri, D., & Moistsrapishvili, M. (2025). *Development of Railway Silk Road as a Platform for Promoting Georgia's Economic Growth*.

Dali Magrakvelidze

Georgia's Place in the Modern World Economy: Reality and Challenges

Summary

The modern global economy is characterized by rapid technological progress, new trends in globalization, deepening regional integration, and geopolitical transformations. Within these processes, Georgia’s role is determined by its status as a transit country connecting Europe and Asia, as well as by its position as a developing open economy. The paper analyzes Georgia’s economic position in the contemporary global economy, discusses the country’s competitive advantages, key challenges, and development prospects. Particular attention is paid to the importance of international trade, foreign direct investment, logistics corridors, the digital economy, and innovative development.

Vagif Mammadzada

DEMOGRAPHIC OPPORTUNITY AND EMPLOYMENT ABSORPTION IN POST-SOVIET ECONOMIES

Annotation. *Post-Soviet economies with expanding working-age populations did not always convert demographic opportunity into measured domestic employment. Using United Nations population data and World Bank indicators for 1991–2024, real GDP per capita growth is decomposed into productivity, employment per working-age person and the working-age share. During the 1999–2008 boom, the expanding-workforce group received the strongest demographic contribution but was the only group with a negative employment contribution. Absorption improved after 2010 in Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan, after the direct demographic contribution had begun to weaken.*

Keywords: *demographic dividend; employment absorption; working-age population; post-Soviet economies; growth accounting*

1. Introduction

Population age structure can affect economic performance because the relative numbers of potential workers and dependants change over the demographic transition. When fertility declines, the share of children falls before population ageing becomes dominant, temporarily raising the working-age share. [Bloom D. E., Williamson J. G., 1998: 419] linked this shift to part of East Asia's rapid growth, while [Bloom D. E. et al., 2003: xiii] describe the demographic dividend as an opportunity rather than an automatic return: additional potential workers must enter productive employment, and the gain depends on the surrounding policy and institutional environment.

Subsequent research has made the conditional nature of the dividend increasingly explicit. [Bloom D. E. et al., 2009: 79] show that fertility decline operates partly through female labour-force participation. [Lee R., Mason A., 2010: 160] describe the temporary increase in income per capita generated by a higher support ratio as the first demographic dividend, while a second dividend may arise through increased saving and capital accumulation [Lee R., Mason A., 2010: 161]. [Ashraf Q. H. et al., 2013: 97] similarly show that fertility reduction affects income per person through channels that emerge at different times, including age structure, labour supply, schooling and capital dilution. The common implication is that a larger working-age population is potential labour supply, not employment. The economic return depends on whether jobs expand sufficiently and whether those employed become more productive.

That distinction is especially relevant in the post-Soviet economies. Independence combined a common systemic rupture with sharply different demographic trajectories. The transition from plan to market involved output collapse, job destruction, sectoral reallocation and movements from employment into unemployment or inactivity; the scale and timing differed markedly between Central and Eastern Europe and the former Soviet Union [Boeri T., Terrell K., 2002: 51]. Labour-market institutions subsequently diverged across Eastern Europe and Central Asia, contributing to heterogeneous employment outcomes [Lehmann H., Muravyev A., 2012: 235]. At the same time, the working-age population contracted in the Baltic states and several Eastern European and South Caucasus economies, remained broadly stable in a smaller set, and expanded rapidly in Azerbaijan and Central Asia. Migration further separates potential workers counted in the resident population from jobs recorded in the domestic economy, particularly in labour-exporting countries [World Bank, 2024].

Existing demographic-dividend research establishes that employment is a necessary link, and transition research documents large labour-market adjustments. Less attention has been paid to whether the post-Soviet economies that continued to receive large cohorts of working-age people absorbed them into measured domestic employment while the age-structure contribution was strongest. This paper addresses that narrower question for all fifteen former Soviet republics from 1991 to 2024. It classifies countries by long-run growth of the population aged 15-64 and decom-

poses per-capita output growth exactly into output per worker, employment per working-age person and the working-age share. The exercise is accounting rather than causal: it locates the margin at which demographic potential was realised or lost and compares its timing across countries and periods.

The main finding is a problem of sequence. Over the full period, the expanding-workforce group was the only group with a negative average contribution from employment per working-age person. During the 1999-2008 boom it received the strongest working-age-share contribution, 1.07 percentage points annually, but was also the only group with a negative employment contribution, -0.83 points. Absorption improved after 2010 in Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan, just as their working-age shares reached their maxima and the direct demographic contribution began to fade. The contribution of the paper is therefore not the general claim that employment matters, but the evidence that demographic opportunity and measured domestic employment absorption were poorly synchronised during the post-Soviet transition.

2. Data and accounting framework

The sample contains Azerbaijan, Armenia, Belarus, Estonia, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Latvia, Lithuania, Moldova, the Russian Federation, Tajikistan, Turkmenistan, Ukraine and Uzbekistan. Population by age is taken from the United Nations World Population Prospects 2024 [United Nations, 2024]. Both-sex populations aged 15-64 are summed from the underlying age groups. Economic indicators come from the World Bank's World Development Indicators [World Bank, 2025]: GDP per person employed in constant 2021 purchasing-power-parity dollars, total employment, real GDP per capita, labour-force participation, natural-resource rents and net migration. The principal period is 1991-2024. Ukraine's productivity and employment series end in 2021, and its long-run decomposition therefore uses 1991-2021.

Let Y denote output, E total domestic employment, W the population aged 15-64 and N total population. Per-capita output can be written as:

$$Y/N = (Y/E) \times (E/W) \times (W/N).$$

Taking log differences decomposes annualised real GDP per capita growth into three additive contributions: productivity growth, the change in employment per working-age person, and the change in the working-age share. Real GDP per capita is output per resident (Y/N), whereas productivity is output per employed person (Y/E); per-capita growth can therefore differ from productivity when employment relative to the working-age population or the working-age share changes. Because this is an identity, the components sum exactly and no coefficient is estimated. The middle term is labelled employment per working-age person rather than an employment rate because the WDI numerator covers workers aged 15 and over, including a small number above 64, while W stops at 64. Section 4 reports a sensitivity check.

Countries are classified by annualised working-age-population growth over the full period. Expansion is defined as growth of at least 0.5 percent per year; broadly stable as growth between -0.5 and +0.5 percent; and contraction as -0.5 percent or less. Kazakhstan lies at the expansion boundary. The group comparison is descriptive and does not treat demographic classification as an exogenous intervention. The 1999-2008 interval is examined separately because it was the one sustained period in which all fifteen economies recorded rapid growth, allowing employment absorption to be compared under broadly favourable macroeconomic conditions.

Two data limitations should be kept in view. The United Nations marks the Uzbekistan demographic series as projection-based across the period and flags Georgia, Moldova and Ukraine as projections from 2015; the Ukrainian population series therefore does not fully capture post-2022 displacement. Employment and productivity indicators are harmonised international estimates rather than national microdata, and informal or cross-border work may be incompletely recorded. These limitations matter for interpreting individual country magnitudes, but the main expanding-group result is not driven by the ageing economies for which the age boundary is most problematic.

3. Results

3.1 Demographic regimes

Every country has passed the maximum working-age share observed in the data. The maxima cluster between 2005 and 2016: Estonia and Latvia peaked first, Lithuania followed in 2009, and most Eastern European and South Caucasus economies reached their maxima between 2010 and 2012; Tajikistan peaked last in 2016. The direct contribution from changes in the working-age share has therefore begun to weaken across the region.

The underlying labour-supply paths nevertheless differ sharply. In Estonia, Latvia, Lithuania, Georgia, Moldova and Ukraine, the absolute working-age population peaked between 1988 and 1992 and has fallen for more than three decades. In Azerbaijan and all five Central Asian states it remained at its highest observed level in 2024. In the latter group, the working-age share can fall because child cohorts grow faster than the working-age population, even while the number of potential workers continues rising. Armenia, Belarus and Russia occupy an intermediate position with broadly stable working-age populations. The economic question is whether the countries still receiving workers made proportionately greater use of them.

3.2 Long-run decomposition

Table 1. Decomposition of real GDP per capita growth, 1991-2024

Country	WAP growth	GDP per capita growth	Productivity growth	Employment / WAP	WAP share
Expanding workforce					
Azerbaijan	+1.41	+2.24	+2.14	-0.26	+0.36
Kazakhstan	+0.50	+2.68	+2.69	+0.01	-0.03
Kyrgyzstan	+1.63	+0.81	+0.80	-0.22	+0.23
Tajikistan	+2.36	+0.70	+1.57	-1.27	+0.40
Turkmenistan	+2.46	+2.81	+2.85	-0.49	+0.45
Uzbekistan	+2.00	+2.98	+2.60	+0.04	+0.33
Group mean		*+2.03*	*+2.11*	*-0.36*	*+0.29*
Broadly stable					
Armenia	-0.46	+4.02	+4.20	-0.31	+0.13
Belarus	-0.36	+2.64	+2.27	+0.37	0.00
Russian Federation	-0.16	+1.27	+1.21	+0.12	-0.06
Group mean		*+2.64*	*+2.56*	*+0.06*	*+0.02*
Contracting workforce					
Estonia	-0.57	+2.56	+2.57	+0.13	-0.14
Georgia	-1.13	+2.64	+3.27	-0.55	-0.08
Latvia	-1.22	+2.71	+2.61	+0.27	-0.17
Lithuania	-0.84	+2.71	+2.75	+0.03	-0.06
Moldova	-1.16	+0.62	-0.32	+0.93	+0.01
Ukraine	-0.93	-0.70	-0.41	-0.35	+0.06
Group mean, excl. Ukraine		*+2.25*	*+2.17*	*+0.16*	*-0.09*

Notes: *WAP = working-age population aged 15-64. Entries are annualised log changes, expressed as average percentage-point contributions per year. WAP growth is growth in the number of people aged 15-64 and is used for country classification. GDP per capita growth is growth in real output per resident (Y/N). Productivity growth is growth in real output per employed person (Y/E), measured by World Bank GDP per person employed in constant 2021 PPP dollars. Employment/WAP is the change in total domestic employment relative to WAP (E/W); employment covers ages 15+ and thus includes some workers over 64. WAP share is the change in WAP as a share of total population (W/N). By identity, GDP per capita growth equals productivity growth plus the Employment/WAP and WAP-share contributions. Ukraine is classified using 1991-2024 WAP growth, but its decomposition ends in 2021; the contracting-group mean excludes Ukraine. Sources: UN World Population Prospects 2024; World Bank World Development Indicators.*

The direct working-age-share contribution is modest. Across the fourteen countries with complete series, it ranges from -0.17 percentage points annually in Latvia to +0.45 in Turkmenistan, a spread of 0.62 points. Productivity ranges from -0.32 in Moldova to +4.20 in Armenia, a spread more than seven times wider. The direct accounting contribution of age structure therefore cannot explain most of the cross-country variation in per-capita performance.

The employment margin is more revealing. The expanding group is the only group with a negative average contribution, -0.36 points annually, compared with +0.06 in the stable group and +0.16 in the unadjusted contracting group. Employment per working-age person fell in Azerbaijan, Kyrgyzstan, Tajikistan and Turkmenistan and was nearly unchanged in Kazakhstan and Uzbekistan. Tajikistan's employment drag, -1.27 points, was more than three times its demographic gain. The contracting-group average is not robust to employment above age 64, so the paper makes no claim that contracting economies generally improved labour utilisation.

3.3 The 1999-2008 boom

The contrast is sharpest during the region's sustained growth boom. All fifteen economies expanded rapidly, and the expanding-workforce group received the largest working-age-share contribution. It was also the only group with a negative employment contribution.

Table 2. Decomposition during the growth boom, 1999-2008

Group	Per-capita growth	Productivity	Employment / WAP	WAP share
Expanding workforce (6)	+7.10	+6.85	-0.83	+1.07
Broadly stable (3)	+8.73	+7.52	+0.55	+0.67
Contracting workforce (6)	+7.28	+6.23	+0.67	+0.38

Note: *Group means in annual percentage points. Ukraine is included because its series is complete for this period.*

The expanding group received a 1.07-point annual demographic contribution, against 0.67 and 0.38 in the other groups, but lost 0.83 points through employment per working-age person. Almost four-fifths of the direct demographic contribution was offset at the employment margin. Azerbaijan provides the clearest case: between 1999 and 2008 its working-age population grew by 1.18 million, while recorded employment rose by about 63,000; employment per working-age person fell from 75.5 to 62.4 percent and subtracted 2.11 points annually from per-capita growth. Tajikistan lost 2.51 points, Kyrgyzstan 1.22 and Turkmenistan 0.47. Kazakhstan and Uzbekistan were exceptions, with positive employment contributions. The result is therefore a group tendency rather than a uniform country rule.

3.4 Sensitivity checks

Three checks delimit the finding. First, the WDI employment series includes workers above 64. Approximating their employment from the gap between the 15+ and 15-64 participation series, scaled by the economy-wide employment-to-labour-force ratio, leaves the expanding-group contribution unchanged at -0.36; workers above 64 account for only 0.3-2.7 percent of employment in that group. The adjustment is material in ageing economies and moves the contracting-group contribution from +0.16 to approximately zero. Because the correction assumes the same unemployment rate above 64 as in the total labour force, it is treated only as a sensitivity check.

Second, using the population aged 15 and over as the denominator gives an expanding-group employment contribution of -0.43 rather than -0.36, while the ranking of the groups remains unchanged. Third, changing the initial year shows that the shortfall is historical rather than permanent: the expanding-group contribution is -0.52 from 1995 and -0.39 from 2000, but only -0.03 from 2010. After 2010 Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan turn positive, while Kyrgyzstan, Tajikistan and Turkmenistan remain negative.

4. Discussion

Simplified policy accounts of the demographic dividend often move quickly from a larger working-age population to higher employment and output. The literature itself is more conditional: productive employment and participation are part of the mechanism rather than automatic consequences [Bloom D. E. et al., 2003: xiii; Bloom D. E. et al., 2009: 79]. The post-Soviet evidence shows why the link deserves separate measurement. Before 2010, the additional potential workforce in the expanding economies was not proportionately reflected in measured domestic employment.

The more consequential result is the sequence. Employment per working-age person stopped falling after 2010 and became clearly positive in Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan. Their working-age shares, however, reached their observed maxima between 2009 and 2013, while the remaining expanding economies peaked by 2016. Demographic opportunity and employment absorption were therefore poorly synchronised. Delayed absorption does not make earlier entrants permanently unemployable, but years in which potential labour was not employed cannot be recovered; the cumulative return from the favourable age structure is consequently lower. This timing interpretation is consistent with the finding that demographic channels unfold at different speeds [Ashraf Q. H. et al., 2013: 98].

The small direct working-age-share contribution should not be read as evidence that demography was economically irrelevant. The accounting identity isolates only the immediate support-ratio channel. The first dividend operates through changes in that support ratio [Lee R., Mason A., 2010: 160], while a second may arise through saving and capital accumulation [Lee R., Mason A., 2010: 161]. The present comparison shows that indirect responses, particularly productivity, differed much more across countries than the direct share effect; it does not attribute those differences causally to demography.

Azerbaijan illustrates both the shortfall and its reversibility. Its working-age population grew 2.3 percent annually during the boom, yet employment rose little and the employment contribution was strongly negative. A capital-intensive oil expansion is an obvious hypothesis, and natural-resource rents averaged about 32 percent of GDP. The cross-country comparison, however, does not support resource intensity as a sufficient explanation: Kazakhstan had similarly high rents but positive absorption, while Tajikistan had very low rents and the largest shortfall. The post-2010 reversal in Azerbaijan, from -2.11 points during the boom to +0.61 thereafter, indicates that the pattern was not a fixed consequence of demography or resource wealth.

The wider transition literature points to several plausible mechanisms without settling the country differences. The move from plan to market produced unusually large output and employment adjustments, while institutions influenced reallocation, participation and the balance between formal and informal work [Boeri T., Terrell K., 2002: 51; Lehmann H., Muravyev A., 2012: 235]. Migration creates an additional measurement and policy complication. Citizens working abroad remain connected to the home population but are not counted in domestic employment, a distinction particularly relevant to Central Asian labour exporters; recent World Bank analysis treats mobility as a central adjustment mechanism in Europe and Central Asia [World Bank, 2024]. Rising enrolment, informal work, voluntary inactivity and changing statistical coverage may also depress the measured ratio without representing a simple failure of labour demand.

The decomposition therefore identifies the size and timing of the employment shortfall, not its cause. Its policy implication is correspondingly narrow. A rising working-age share measures potential; it does not show how many people work domestically. The employment contribution was negative in four of the six expanding economies, and in Tajikistan and Turkmenistan its absolute magnitude exceeded the entire positive working-age-share contribution over the full period. The next cohort is already visible: the population under 15 in Azerbaijan and Central Asia was 36 percent larger in 2024 than in 2010 and will enter working age mainly between 2025 and 2039. It arrives after measured absorption has improved in part of the region but after the demographic tailwind has begun to fade. Whether those improvements are broad and durable enough is the question left open by the accounting evidence.

5. Conclusion

This paper decomposes per-capita output growth in the fifteen post-Soviet economies into productivity, employment per working-age person and the working-age share. The main result is a timing mismatch. Countries with expanding working-age populations received the strongest direct demographic contribution, but employment lagged before 2010 and during the 1999-2008 boom. After 2010, Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan recorded positive employment contributions, while Kyrgyzstan, Tajikistan and Turkmenistan did not. The shortfall was therefore historically concentrated rather than permanent. Productivity explains most cross-country variation, but the employment margin determined how much of the temporary demographic opportunity became domestic work. The accounting design cannot separate labour demand from migration, enrolment, informality or measurement change. It nevertheless locates the break in the demographic-to-growth chain: in several expanding post-Soviet economies, employment absorption improved only after the direct demographic contribution had weakened

References

1. Ashraf Q. H., Weil D. N., Wilde J., 2013. The effect of fertility reduction on economic growth. J.: Population and Development Review, vol. 39, No. 1, pp. 97–130.
2. Bloom D. E., Canning D., Fink G., Finlay J. E., 2009. Fertility, female labor force participation, and the demographic dividend. J.: Journal of Economic Growth, vol. 14, No. 2, pp. 79–101.
3. Bloom D. E., Canning D., Sevilla J., 2003. The Demographic Dividend: A New Perspective on the Economic Consequences of Population Change. Santa Monica, RAND Corporation.
4. Bloom D. E., Williamson J. G., 1998. Demographic transitions and economic miracles in emerging Asia. J.: World Bank Economic Review, vol. 12, No. 3, pp. 419–455.
5. Boeri T., Terrell K., 2002. Institutional determinants of labor reallocation in transition. J.: Journal of Economic Perspectives, vol. 16, No. 1, pp. 51–76.
6. Lee R., Mason A., 2010. Fertility, human capital, and economic growth over the demographic transition. J.: European Journal of Population, vol. 26, No. 2, pp. 159–182.
7. Lehmann H., Muravyev A., 2012. Labour market institutions and labour market performance: What can we learn from transition countries? J.: Economics of Transition, vol. 20, No. 2, pp. 235–269.
8. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division, 2024. World Population Prospects 2024. New York, United Nations.
9. World Bank, 2024. The Journey Ahead: Supporting Successful Migration in Europe and Central Asia. Washington, DC, World Bank.
10. World Bank, 2025. World Development Indicators [Database]. Washington, DC, World Bank.

Vagif Mammadzada

DEMOGRAPHIC OPPORTUNITY AND EMPLOYMENT ABSORPTION IN POST-SOVIET ECONOMIES

Summary

This paper investigates whether the demographic opportunity created by an expanding working-age population was converted into measured domestic employment across the fifteen post-Soviet economies between 1991 and 2024. The countries entered independence after a shared institutional and economic rupture, yet their demographic paths soon diverged. Working-age populations contracted in the Baltic states and in several Eastern European and South Caucasus economies, remained broadly stable in Armenia, Belarus and the Russian Federation, and expanded strongly in Azerbaijan and Central Asia. These contrasting trajectories provide a useful setting for distinguishing the potential labour supply created by demographic change from the employment that domestic economies actually generated.

The analysis combines population-by-age data from the United Nations World Population Prospects 2024 with output and labour-market indicators from the World Bank's World Development Indicators. Countries are classified according to annualised growth of the population aged 15–64 over the full period. Per-capita output growth is then decomposed through an exact accounting identity into three components: output per worker, employment per working-age person, and the working-age share of total population. The approach is descriptive rather than causal. It does not estimate the effect of demography on growth; instead, it identifies the accounting margin through which demographic opportunity was converted into income growth or remained unused.

The main result is a mismatch in timing. Over 1991–2024, the expanding-workforce group was the only group with a negative average contribution from employment per working-age person. The contrast was strongest during the 1999–2008 regional boom. Expanding-workforce economies received the largest positive contribution from the working-age share, equal to 1.07 percentage points per year, but were also the only group with a negative employment contribution, equal to 0.83 points. Almost four-fifths of the direct demographic contribution was therefore offset at the employment margin. Azerbaijan offers the clearest illustration: its working-age population increased by about 1.18 million during the boom, while measured employment increased by only about 63,000. Employment per working-age person also declined substantially in Tajikistan, Kyrgyzstan and Turkmenistan, whereas Kazakhstan and Uzbekistan were important exceptions.

The long-run decomposition also shows that the direct accounting contribution of the working-age share was modest relative to the variation in productivity. This does not mean that demography was unimportant, because age structure may influence participation, saving, investment and productivity through additional channels. It does show that favourable demographic conditions did not by themselves determine which post-Soviet economies achieved stronger per-capita performance. The employment link therefore deserves separate attention rather than being treated as an automatic consequence of workforce growth.

Employment absorption improved after 2010 in Azerbaijan, Kazakhstan and Uzbekistan, while remaining weak in Kyrgyzstan, Tajikistan and Turkmenistan. This improvement occurred as the direct contribution from the working-age share was already beginning to fade. The evidence therefore suggests that demographic opportunity and employment absorption were poorly synchronised during much of the post-Soviet transition. The decomposition cannot identify the causes of the shortfall. Education enrolment, labour migration, informal employment, voluntary inactivity and changes in statistical coverage remain plausible explanations. The policy implication is accordingly narrow but important: a favourable working-age structure represents potential rather than a guaranteed dividend. Its economic value depends on whether sufficient domestic employment is created while the demographic opportunity is still present. The next large youth cohort in Azerbaijan and Central Asia will test whether the improvement in employment absorption since 2010 is broad and durable enough to avoid repeating the earlier timing mismatch.

ზურაბ ნოზაძე

ეკონომიკური პრობლემები მსოფლიო და ეროვნულ დონეზე და მისი გაუმჯობესების საკითხები

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ეკონომიკის განვითარების არსებული მდგომარეობას. ეროვნულ და გლობალურ მასშტაბში.*

მოცემულია კონკრეტული წინადადებების და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უფრო გაუმჯობესებს ეკონომიკურ განვითარებას და ხელს შეუწყობს ადამიანთა ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას და კეთილდღეობას.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური ეკონომიკური დონეები, ეკონომიკური პოლიტიკა, ახალი გამოწვევები და რისკები, იდეოლოგია და განვითარების მოდელი,*

სტრატეგიული დაგეგმვა, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინტეგრაცია, ინოვაციური ღონისძიებები, შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები, საკანონმდებლო ნორმებისა და რეგულაციების სისტემა, ეროვნული ეკონომიკურიდაგეგმვა, ლიცენზირება და სახელმწიფო კონტროლი.

ეკონომიკური ერთეულები კლასიფიცირდება მცირე, საშუალო და დიდებად, მათ მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით. მცირე ეკონომიკური ერთეულები მოიცავს ბიზნესებსა და ოჯახებს, ანუ ოჯახებს და პირებს, რომლებიც მართავენ თავიანთ ოჯახებს. ბიზნესები აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო ოჯახები მოიხმარენ მათ, სანაცვლოდ კი აწვდიან შრომას.

საშუალო ზომის ეკონომიკური ერთეულები მოიცავს ეკონომიკურ სექტორებს (მექანიკური ინჟინერია, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და სხვა) და ეკონომიკურ რეგიონებს. თითოეული სექტორი შედგება მრავალი საწარმოსგან და მისი ამოცანაა დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები ამ საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის სრულ ასორტიმენტზე და უზრუნველყოს მათი ყოვლისმომცველი განვითარება. მაგალითად, ჯანდაცვა, როგორც ეკონომიკის სექტორი, უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ ავადმყოფთა მკურნალობას, არამედ დაავადებათა პრევენციას, სამედიცინო მეცნიერების განვითარებას, სამედიცინო მუშაკების მომზადებას, სამედიცინო დაწესებულებების ლოჯისტიკურ მხარდაჭერას და ა.შ. ეკონომიკურმა რეგიონებმა, რომლებიც მოიცავს მრავალ საწარმოსა და შინამეურნეობას, ასევე უნდა უზრუნველყონ მათი ჰარმონიული ურთიერთქმედება და განვითარება, შექმნან პირობები მათი წარმატებული ფუნქციონირებისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის (გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება, ინფრასტრუქტურა და ა.შ.). ამრიგად საშუალო ზომის სუბიექტების ფუნქციები გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე მცირე ეკონომიკური სუბიექტების. დიდი ეკონომიკური სუბიექტი (ეკონომიკის მაკრო დონე) არის ქვეყნის ეკონომიკა, როგორც მთლიანობა. მის ამოცანებს შორისაა ყველა საშუალო და მცირე სუბიექტის დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა, ფულადი მიმოქცევის, საბანკო სისტემის, მატერიალური და არამატერიალური წარმოების სექტორების კომპლექსის, ტრანსპორტის, თავდაცვის, პოლიციის და ა.შ. ფორმირება. მეოთხე ტიპის ეკონომიკური სუბიექტი არის გლობალური ეკონომიკა. მთელი მსოფლიოს ეკონომიკა, როგორც ერთიანი მთლიანობა, რომელიც დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე, გლობალურ ბაზარზე და საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა ფორმებზე.

ეკონომიკური ერთეულები ორ გარემოებაში არსებობენ: შეუზღუდავი მოტხოვნილებები და შეზღუდული რესურსები მათ დასაკმაყოფილებლად . შეუძლებელია ყველა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. ამიტომ, ჩვენ მუდმივად იძულებულნი ვართ ავირჩიოთ, თუ როგორ და რაზე დავხარჯოთ რესურსები, რათა მინიმალური დანახარჯებით მივაღწიოთ საუკეთესო შედეგს. არჩევანის პრობლემა ეკონომიკის ცენტრალური პრობლემაა და მოიცავს კითხვების სამეულს:

1. რა ვაწარმოოთ (და რა რაოდენობით);
2. როგორ ვაწარმოოთ (რა ფასად);

3. ვისთვის ვაწარმოოთ. სწორი არჩევანის კრიტერიუმია წარმოების ეფექტურობის ინდიკატორი, რომელიც ასახვას წარმოების შედეგების თანაფარდობას მისი

განხორციელების ხარჯებთან. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად მიზნებს არმოადგენს ზრდის ტემპის გლობალურ საშუალოზე მაღალი დონის უზრუნველყოფას მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებით, არარესურსული და არაენერგეტიკული ექსპორტის გაზრდით, მეწარმეობის განვითარებით, სიღარიბის შემცირებით, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესებით, განათლების გაუმჯობესებით და რიგი წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის გაუმჯობესებით განმარტავს განვითარების იდეოლოგიას, ასახავს სამიზნე სტანდარტებისა და ინდიკატორების ცვლილებებს ტოვებს გარკვეულ ადგილს მათი განხორციელების მეთოდებისა და ახალი განვითარების მოდელისადმი მიდგომის შემდგომი დამუშავებისათვის. უნდა შემუშავდეს ერთიანი სტრატეტგია, იმის აღიარებით, რომ დასახული მიზნების მიღწევა და საშუალოვადიანი და გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწევების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრაციის გაღრმავების გზით, ეს შესაძლებელია ძირითადი პროექტების განხორციელების, სამეცნიერო მიღწევების კომერციალიზაციისა და სამეცნიერო ტექნოლოგიური განვითარების პროგრესის გარეშე.

ეკონომიკური ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება მოითხოვს კოორდინაციისა და დაგეგმვის გაძლიერებას. ამ მიზნების მიღწევაში უფრო მიზანშეწონილია სტარატეგიული დაგეგმვის გამოყენება.

ეკონომიკის სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს, როგორც ინდიკატიური, ასევე დირექტიული გეგმების შემუშავების შესაძლებლობას. ეკონომიკურმა სისტემამ უნდა გააერთიანოს სახელმწიფო დაგეგმვა და ბაზრის თვითრეგულირება, სამუშაოს კონკრეტულ ეტაპებზე ბაზრის მექანიზმსა და დირექტიულ მართვას შორის კონკრეტული თანაფრდობის გამოყენებით. ეს მოითხოვს საერთო სტრატეგიული მიზნების შემუშავებას და სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების კოორდინირებული ურთიერთპოლიტიკის განხორციელებას მათ მისაღწევად. სრული კოორდინაციის მიღწევა რთულია, მაგრამ არსებითში ერთიანობა უნდა იყოს წარმოდგენილი, განსაკუთრებით ეროვნული მმართველოსბი სისტემის პრინციპების, ფუნქციების, ბუნებისა და შინაარსის ფორმულირებაში, ასევე სტაბილური მახასიათებლებისა და ინდიკატორების მუდმიბი ერთობლიობა, რომელიც ამომწურავად აღწერს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებას ეკონომიკური მოდელის ფარგლებში.

განვითარებადი ეკონომიკური მოდელი უნდა მოიცავდეს ეროვნული ეკონომიკური მართვის სისტემაში ყველა ცვლილებას, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკის რეალური სექტორის გაძლიერებისა და განვითარებისაკენ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ, ინოვაციური და საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისა და ახალი ტექნოლოგიურ პარადიგმაზე გადასვლისაკენ, ფინანსური სისტემის როლის გაძლიერებისაკენ ეკონომიკურ ზრდის ამაღლებაში, მაკროეკონომიკური სტაბილურობის ოპტიმალური დონის შენარჩუნებით.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიური და გლობალური სისტემების განვითარებაზე და შესაბამისად, რთობლივი ინოვაციური პროექტების განხორციელების შესაძლებლობების გაზრდაზე, იძევა ინტეგრაციული პროცესების რეორგანიზაციის შესაძლებლობას საქმიანობის ძირითდ სპფეროებში, თუმცა ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კოორდინირებული ეროვნული სტრატეგიები და პროგრამები.

ახალი ეკონომიკური და სოციალური რეალობის ფორმირების ყველაზე გრძელვადიან და ფუნდამენტურ გლობალურ ტენდენციებს შორის, ბაზრის ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად, არის უფრო მაღალი ტექნოლოგიურ წესრიგზე გადასვლას, ინოვაციური სისტემის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს:

ეროვნულ კვლევით ცენტრებზე, უნივერსიტეტებზე, სამრეწველო და ინოვაციურ პარკებსა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებზე დაფუძნებულ სამეცნიერო და მაღალტექნოლოგიურ ცენტრებს. ეს ცენტრები უნდა მოიცავდეს ინოვაციების სრულ ციკლს - მაღალი ტექნოლოგიების ერთობლივი კვლევიდან და განვითარებიდან მატ კონკრეტულ წარმოებაში დანერგვამდე, მაღალი დამატებითი ღირებულების მიწოდებით და ასევე პერსონალის გადამზადებით. ამ ცენტრების შემქნა ხელს შეუწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, პერსონალის გადამზადებას და სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების გაცვლას. ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმის ძირითადი ელემენტია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საკანონმდებლო დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია ერთობლივი კვლევისა და განვითარების სფეროში სამართალდამცავი პრაქტიკის მონიტორინგი. ამ პროექტებისთვის უნდა განხორციელდეს მიზნობრივი კრედიტების გაცემა და უფრო პრაქტიკული საინვესტიციო პროექტების აუზის ფორმალიზება კერძო - სახელმწიფო პარტნიორობის მექანიზმების მეშვეობით, სპეციალური საინვესტიციო კონტრაქტების გამოყენებით, რომელშიც კერძო ინვესტორი იღებს ვალდებულებებს წარმოების მოდერნიზაციისა გაყიდვების გაზრდის შესახებ, ხოლო სახელმწიფო იღებს ვალდებულებებს უზრუნველყოს საგადასახადო შეღავათები, გრძელვადიანი სესხები და სტაბილური მაკროეკონომიკური პირობები. ყოველივე ამის განხორციელებისათვის აუცილებელია ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების რაციონალურად გამოყენების პრაქტიკის გაფართოებას. ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი შეფასება ძირითადად ეფუძნება მეცნიერების მარეგულირებელ არსებულ რეგულაციებს.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების სამი ჯგუფი არსებობს: ა) იურიდიული; ბ) ადმინისტრაციული; გ) ეკონომიკურ სამართლებრივი მეთოდები გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, ეკონომიკური სუბიექტებისათვის ერთგვარ ,,თამაშის წესებს“, ეს მოიცავს საკანოპნმდებლო ნორმებისა და რეგულაციების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს საკუთრების ფორმებს, სამეწარმეო საქმიანობის სახეებს, ხელშეკრულების პრიობებს, უფლევბებსა და ვალდებულებებს შრომით ურთიერთობებში და ა. შ.

ადმინისტრაციული მეთოდები მოიცავს სხვადასხვა სახის საქმიანობის (სამედიცინო, კომერციული და ა. შ.) ლიცენზირებას და სახელმწფო კონტროლს პროდუქციის ხარისხზე.

ეკონომიკური მეთოდები შექმნილია ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობის ბუნებაზე გავლენის მოხდენისათვის. ეკონომიკური მეთოდების მაგალითებია: გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული ფასების დაწესება, საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები. სახელმწიფო საკუთრების დამყარება სოციალურად მნიშვნელოვან სექტორებში რომლებიც საკმარისად მომგებიანი არ არის (საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მუზეუმები, ნაკრძალები, მეცნიერება, განათლება).

ეროვნული ეკონომიკური დაგეგმვა კონკრეტული სექტორებისათვის (მაგალითად სოფლის მეურნეობა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და

განვითარების პროგრამების შემუშავება. ფისკალური პოლიტიკა - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ორი ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებით: გადასადები და სახელმწიფო ხარჯები. სავალუტო პოლიტიკა - მთავრობის ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ფულის მასის შეცვლის ეკონომიკური ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ურთიერთობები არის ის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე მიზნობრივი ფულადი სახსრების ფორმირებასა და გამოყენებასთან. ფინანსური სისტემა მოიცავს ფიზიკური პირების, საწარმოებისა და სახელმწიფოს ფინანსებს. ფინანსური სისტემის ყველა ნაწილი ასრულებს თავის სპეციფიკურ ფუნქციებს და ავსებს ერთმანეთს. სახელმწიფო ფინანსები მოიცავს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს და ბიუჯეტგარეშე სახსრებს. ბიუჯეტგარეშე სახსრები არის მკაცრად მიზნობრივი დანიშნულების სახსრები, რომლებიც განკუთვნილია მოქალაქეთა რიგი კონსტიტუციური უფლებების უზრუნველსაყოფად: საპენსიო ფონდი და სოციალური დაზღვევის ფონდი. ფინანსური სისტემის მთავარი ელემენტია სახელმწიფო ბიუჯეტი - სახელმწიფოს ცენტრალური ფულადი ფონდის ფულადი შემოსავლები წარმოიქმნება გადასახადებიდან (შემოსავლების სახელმწიფო ქონებიდან. აქციების დივიდენდები, სახელმწიფო საკუEრებაში არსებული საწარმოების მოგება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Борисов Е. Ф. «Глобальная экономика» М-2019 г.
2. Войтович А.Г. «Глобальные проблемы мира » М-2018 г.
3. Загорулько В. ,,Экономические аспекты глобальных проблемю Основы экономической теории и практики ».
4. Ленчук Е.Б. ,,Стратегическое планирование. проблемы и пути решения иновации» –М-2020 г.
5. Бодрунов С.Д. ,,Государство и техническая революция. политэкономический взгляд» –М-2017 г.
6. Ушкалова Д.И. «Эффекты экономичесской интеграции » М-2018 г.

Zurab Nozadze

Economic Problems at the Global and National Levels and Issues for Improvement

Summary

The article discusses the current state of economic development at both national and global scales. It presents a comprehensive set of specific proposals and measures aimed at further improving economic development and fostering the steady rise of human living standards and well-being.

Lasha Tabatadze

Problems and Challenges in the Georgian Economy –
Trade Deficit and Structural Economic Vulnerabilities

Annotation. *The Georgian economy has demonstrated significant growth during the post-pandemic period however, structural weaknesses continue to create substantial economic vulnerabilities. One of the most persistent and critical problems is the country's chronic trade defi-*

cit, which reflects Georgia's dependence on imports, limited export diversification, and weak industrial capacity. This article examines the major economic challenges facing Georgia between 2022 and 2025, with particular emphasis on the trade deficit, inflationary pressures, unemployment, external dependence, and sectoral imbalances. The research analyzes statistical data from the National Statistics Office of Georgia (GeoStat), the National Bank of Georgia, the International Monetary Fund (IMF), and other international institutions. The paper argues that although Georgia has experienced high economic growth rates in recent years, this growth remains fragile because it relies heavily on tourism, remittances, imports, and external financial inflows. The study concludes that long-term economic sustainability requires export-oriented industrial development, technological modernization, investment in human capital, and diversification of the national economy.

Keywords: *Georgian economy; trade deficit; economic policy; macroeconomic stability*

Introduction

Since gaining independence after the dissolution of the Soviet Union, Georgia has undergone a difficult process of economic transformation from a centrally planned economy to a market-oriented economic system. During the last two decades, Georgia implemented numerous liberal economic reforms aimed at improving the business environment, attracting foreign investment, and integrating into the global economy. These reforms contributed to relatively high economic growth rates and improved international rankings concerning economic freedom and ease of doing business. Despite these achievements, the Georgian economy continues to face several structural and macroeconomic challenges. Among the most important issues are a persistent trade deficit, high dependence on imports, unemployment, inflationary pressures, regional inequality, labor migration, and excessive dependence on tourism and foreign remittances. These problems became particularly visible during the global economic instability caused by the COVID-19 pandemic and the geopolitical consequences of the Russia–Ukraine war. Between 2022 and 2025, Georgia experienced strong economic growth. According to the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), Georgia's economy grew by approximately 9.5% in 2024 after 7.8% growth in 2023. Nevertheless, strong economic growth did not eliminate structural vulnerabilities within the economy. The country still experiences a large merchandise trade deficit, reflecting an imbalance between imports and exports. The trade deficit remains one of the primary contributors to the current account deficit and demonstrates the limited competitiveness of domestic production. This article examines the major economic challenges facing Georgia, focusing primarily on the trade deficit and related macroeconomic vulnerabilities. The study also analyzes the causes and consequences of Georgia's external imbalance and discusses possible policy solutions for achieving long-term economic sustainability.

Research Methodology

The research uses a qualitative and quantitative methodology based on secondary statistical data and analytical reports published between 2022 and 2025. The main sources include: National Statistics Office of Georgia (GeoStat); National Bank of Georgia (NBG); International Monetary Fund (IMF); European Bank for Reconstruction and Development (EBRD); Academic publications and economic reports. The study applies comparative and descriptive analysis methods to evaluate recent macroeconomic trends in Georgia. Statistical indicators such as GDP growth, export-import dynamics, inflation, current account deficit, and trade balance are analyzed to identify structural weaknesses within the Georgian economy. The article also incorporates elements of policy analysis in order to assess the effectiveness of current economic policies and identify possible reforms aimed at reducing the trade deficit and improving economic resilience.

General Overview of the Georgian Economy

Georgia's economy has shown relatively strong resilience during recent years despite global economic uncertainty. After the severe economic contraction caused by the COVID-19 pandemic in 2020, the country experienced rapid economic recovery. Several factors contributed to this recovery, including tourism growth, increased financial inflows, remittances, foreign direct investment,

and regional trade dynamics associated with geopolitical developments. According to the EBRD, Georgia's economy grew by approximately 9.5% in 2024, exceeding expectations. Inflation remained relatively low during 2024, averaging approximately 1.1%, significantly below the National Bank of Georgia's target level of 3%. Economic growth was primarily driven by trade, construction, ICT services, education, and tourism sectors. However, macroeconomic growth alone does not guarantee sustainable economic development. Many indicators reveal the existence of deep structural imbalances. Economic growth remains concentrated in several sectors and is heavily dependent on external demand and foreign inflows. Such dependence increases the vulnerability of the economy to international shocks and geopolitical instability. [1]

The Trade Deficit as a Structural Economic Problem

The trade deficit represents one of the most significant long-term economic problems in Georgia. A trade deficit occurs when the value of imports exceeds the value of exports. Georgia imports substantially more goods than it exports, resulting in chronic external imbalance. According to GeoStat data, Georgia's external merchandise trade in 2025 amounted to more than USD 25.8 billion. Exports reached approximately USD 7.3 billion, while imports exceeded USD 18.5 billion. Consequently, the trade deficit amounted to more than USD 11.2 billion, representing approximately 43.5% of total trade turnover. The National Bank of Georgia identifies the balance of goods as the major contributor to the current account deficit. In the first quarter of 2025 alone, the trade deficit reached approximately USD 1.7 billion. Imports increased more rapidly than exports, demonstrating the continuing dependence of the Georgian economy on imported products.[3]

Table 1. Georgia's External Trade Indicators (2022–2025)

Year	Exports (USD Billion)	Imports (USD Billion)	Trade Deficit (USD Billion)	GDP Growth (%)
2022	5.6	13.5	-7.9	10.4
2023	6.1	15.4	-9.3	7.8
2024	6.8	17.2	-10.4	9.5
2025	7.3	18.5	-11.2	6.7

Source: GeoStat (2025); National Bank of Georgia (2025).

Causes of the Trade Deficit

Several structural factors explain the persistence of Georgia's trade deficit:

- ✓ **Weak Industrial Base -** Georgia possesses limited industrial and manufacturing capacity. The domestic economy produces relatively few high-value industrial goods capable of competing in international markets. As a result, the country depends heavily on imported machinery, technology, fuel, pharmaceuticals, and consumer products.
- ✓ **Import Dependence -** The Georgian market relies extensively on imported products for domestic consumption. Food products, energy resources, vehicles, electronics, medicines, and industrial materials are largely imported. This import dependence increases pressure on the national currency and contributes to trade imbalance.
- ✓ **Limited Export Diversification -** Georgia's exports remain concentrated in a small number of commodities and sectors, including ferroalloys, wine, mineral water, re-exported vehicles, and agricultural products. Such concentration limits export stability and makes the country vulnerable to fluctuations in international demand and prices.
- ✓ **Low Technological Development** - The country still experiences insufficient technological modernization and weak innovation capacity. Limited investment in research and development restricts productivity growth and reduces international competitiveness.

- ✓ Small Domestic Market - Georgia's relatively small population and limited domestic market reduce economies of scale for local producers. Many firms struggle to achieve productivity levels necessary for international competitiveness.[7]

Current Account Deficit and External Vulnerability

The trade deficit directly contributes to Georgia's current account deficit. Although tourism revenues, remittances, and service exports partially compensate for merchandise trade imbalance, the economy remains vulnerable to external shocks. According to the National Bank of Georgia, the current account deficit amounted to approximately 8.5% of GDP during the first quarter of 2025. However, the deficit improved significantly during later quarters due to stronger service exports and tourism revenues. Tourism has become one of the major stabilizing sectors for the Georgian economy. In 2024, the country attracted approximately 7.4 million international visitors. Tourism revenues and ICT services significantly improved the service account balance and reduced pressure on the current account deficit. Nevertheless, excessive dependence on tourism creates another vulnerability. External shocks such as pandemics, geopolitical tensions, or regional conflicts can rapidly reduce tourism revenues and destabilize economic growth.[8]

Inflation and Monetary Challenges

Inflation remains another important macroeconomic challenge for Georgia. During 2022, inflation increased significantly because of global supply chain disruptions, rising food and energy prices, and regional geopolitical instability associated with the Russia–Ukraine war. The National Bank of Georgia implemented a relatively strict monetary policy through higher refinancing rates in order to control inflationary pressures. By 2024, inflation declined substantially and averaged approximately 1.1%. Despite this achievement, inflationary risks remain present because Georgia imports a large share of consumer goods and energy resources. Exchange rate volatility can quickly increase domestic prices and reduce purchasing power. Monetary authorities therefore face a complex challenge: maintaining price stability while simultaneously supporting economic growth and financial stability.

Table 2. Inflation and Monetary Indicators in Georgia (2022–2025)

Year	Average Inflation Rate (%)	NBG Refinancing Rate (%)	GEL/USD Average Exchange Rate
2022	11.9	11.0	2.92
2023	2.5	10.0	2.62
2024	1.1	8.0	2.68
2025	3.0	8.0	2.70

Source: National Bank of Georgia (2025); International Monetary Fund (2024); GeoStat (2025).

Dependence on External Factors

Georgia's economy is highly dependent on external economic and geopolitical developments. Several external factors significantly influence economic stability: Tourism Revenues - Tourism contributes substantially to GDP, employment, and foreign currency inflows. However, tourism revenues fluctuate depending on international conditions; Remittances - Remittances from Georgian citizens working abroad represent an important source of household income and foreign currency inflows; Foreign Direct Investment - Georgia relies heavily on foreign investment for infrastructure, banking, energy, and construction sectors. Political instability or geopolitical risks may discourage investors; Geopolitical Risks - Regional conflicts and tensions affect trade routes, investment flows, and economic expectations. Georgia's geographic position creates both economic opportunities and geopolitical vulnerabilities.[12]

Structural Weaknesses of the Georgian Economy

Several deeper structural weaknesses continue to limit sustainable development: Low Productivity - Productivity levels in Georgia remain below European standards. Low productivity reduces competitiveness and limits wage growth; Regional Economic Inequality -Economic activity is concentrated primarily in Tbilisi and several urban areas. Rural regions experience higher poverty rates and fewer employment opportunities; Weak Industrialization -The economy remains heavily service-oriented with limited industrial diversification. Stronger industrial development could improve exports and reduce import dependence; Innovation Deficit - Investment in research, technology, and innovation remains insufficient. Long-term economic competitiveness requires modernization and technological development.

Policy Recommendations

Several policy measures could help reduce Georgia's economic vulnerabilities and improve long-term sustainability:

- **Export Diversification** - The government should encourage export-oriented industries and support high-value production sectors such as technology, manufacturing, and agro-processing;
- **Industrial Policy** - Strategic industrial development could reduce import dependence and improve trade balance;
- **Investment in Human Capital -** Education reform, vocational training, and technological education are essential for improving labor productivity;
- **Infrastructure Development -** Modern transport, logistics, and digital infrastructure can strengthen Georgia's role as a regional trade corridor;
- **Support for Innovation** - Government and private sector cooperation should increase investment in innovation, research, and entrepreneurship;
- **Strengthening Energy Security** - Reducing dependence on imported energy resources would improve macroeconomic stability.

Conclusion

The Georgian economy has demonstrated notable resilience and strong growth during the post-pandemic period between 2022 and 2025. Nevertheless, significant structural challenges continue to threaten long-term economic sustainability. Among these challenges, the persistent trade deficit represents one of the most serious economic vulnerabilities. Georgia's heavy dependence on imports, limited industrial capacity, insufficient export diversification, and external dependence create macroeconomic risks and weaken economic resilience. Although tourism, remittances, and service exports partially compensate for trade imbalances, the economy remains vulnerable to external shocks and geopolitical instability. Addressing these challenges requires comprehensive structural reforms aimed at industrial development, export diversification, technological modernization, human capital investment, and innovation. Sustainable economic development cannot rely solely on short-term growth indicators; it requires long-term improvements in productivity, competitiveness, and economic diversification. If Georgia successfully implements these reforms, the country may gradually reduce its external vulnerabilities and establish a more balanced and sustainable economic model.

References

1. European Bank for Reconstruction and Development. (2025). *Georgia's economy grows by 9.5 per cent in 2024 but downside risks remain elevated* https://eu4business.ge/en/news/georgias-economy-grows-by-95-per-cent-in-2024-but-downside-risks-remain-elevated-ebrd-says/

2. International Monetary Fund. (2024). *IMF Executive Board concludes 2024 Article IV consultation with Georgia*. https://www.imf.org/en/News/Articles/2024/05/24/pr-24181-georgia-imf-executive-board-concludes-2024-article-iv-consultation

3. National Bank of Georgia. (2023). *Balance of Payments of Georgia (IV Quarter 2022)*. https://nbg.gov.ge/en/media/news/balance-of-payments-of-georgia-iv-quarter-2022
4. National Bank of Georgia. (2025). *Balance of Payments of Georgia (I Quarter 2025)*. https://nbg.gov.ge/en/media/news/balance-of-payments-of-georgia-i-quarter-2025
5. National Bank of Georgia. (2025). *Balance of Payments of Georgia (II Quarter 2025)*. https://nbg.gov.ge/media/news/balance-of-payments-of-georgia-ii-quarter-2025
6. National Statistics Office of Georgia. (2025). *External Merchandise Trade of Georgia*. https://www.geostat.ge
7. GBC. (2025). *The trade deficit made up 43.5%*. https://www.gbc.ge/en/news/Economics-news/the-trade-deficit-made-up-435
8. GBC. (2025). *Foreign trade deficit remains close to 50%*. https://www.gbc.ge/public/en/news/Economics-news/foreign-trade-deficit-remains-close-to-50
9. European Bank for Reconstruction and Development. (2025). *Georgia's economy grows by 9.5 per cent in 2024 but downside risks remain elevated*. https://eu4business.ge/en/news/georgias-economy-grows-by-95-per-cent-in-2024-but-downside-risks-remain-elevated-ebrd-says/
10. International Monetary Fund. (2024). *IMF Executive Board concludes 2024 Article IV consultation with Georgia*. https://www.imf.org/en/News/Articles/2024/05/24/pr-24181-georgia-imf-executive-board-concludes-2024-article-iv-consultation
11. Kakulia, M. (2022). Macroeconomic challenges and economic policy in Georgia. *Caucasus Journal of Social Sciences, 15*(2), 45–61.
12. Mekvabishvili, E. (2021). Structural transformation and economic development problems in Georgia. *Tbilisi State University Economic Review, 14*(3), 21–39.
13. National Bank of Georgia. (2023). *Balance of payments of Georgia (IV quarter 2022)*. https://nbg.gov.ge/en/media/news/balance-of-payments-of-georgia-iv-quarter-2022
14. National Bank of Georgia. (2025a). *Balance of payments of Georgia (I quarter 2025)*. https://nbg.gov.ge/en/media/news/balance-of-payments-of-georgia-i-quarter-2025
15. National Bank of Georgia. (2025b). *Balance of payments of Georgia (II quarter 2025)*. https://nbg.gov.ge/media/news/balance-of-payments-of-georgia-ii-quarter-2025
16. National Statistics Office of Georgia. (2025). *External merchandise trade of Georgia*. https://www.geostat.ge
17. Papava, V. (2023). Economic consequences of geopolitical instability for small open economies: The case of Georgia. *Economics and Business, 37*(1), 5–18.
18. Transparency International Georgia. (2024). *Economic policy and governance challenges in Georgia*. https://transparency.ge
19. World Bank. (2024). *Georgia economic update: Navigating uncertainty*. https://www.worldbank.org
20. World Economic Forum. (2024). *Global competitiveness report 2024*. https://www.weforum.org

მარიამ ქეშელაშვილი

აკვაკულტურა, როგორც წყალზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობა

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია წყლის რესურსებისა და წყალსაცავების მრავალფუნქციური გამოყენების ეკონომიკური, ეკოლოგიური და მმართველობითი მნიშვნელობა. გაანალიზებულია წყალსაცავების ენერგეტიკული, ირიგაციული, წყალმომარაგების, გარემოსდაცვითი, აკვაკულტურული, ტურისტული და რეკრეაციული ფუნქციები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციებს შორის სინერგიებსა და კონფლიქტებს, ასევე ადაპტაციური მართვისა და წყლის განაწილების*

პრინციპებს. ნაშრომში შეფასებულია მრავალფუნქციური წყალსაცავების ეკონომიკური სარგებელი, გარემოსდაცვითი დანახარჯები და მმართველობის შესაძლო მოდელები. ცალკე არის განხილული საქართველოს წყალსაცავების არსებული პრაქტიკა და მათი მრავალფუნქციური განვითარების შესაძლებლობები. კვლევა გვთავაზობს წყალსაცავების ფუნქციურ ინვენტარიზაციას, კლასიფიკაციასა და საპილოტე მრავალფუნქციური მართვის მოდელების დანერგვას. დასკვნის მიხედვით, წყალსაცავების მდგრადი გამოყენება საჭიროებს ფუნქციების კოორდინაციას, გამჭვირვალე მმართველობასა და საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების დაბალანსებას.

საკვანძო სიტყვები: *წყლის რესურსები; წყალსაცავები; მრავალფუნქციური მართვა; ჰიდროენერგეტიკა; მდგრადი განვითარება*

აქტუალურობა

წყლის რესურსების მდგრადი მართვა განსაკუთრებით აქტუალურია კლიმატის ცვლილების, წყლის მოთხოვნის ზრდისა და ეკოლოგიური რისკების ფონზე.

საქართველოში არსებული 43 ხელოვნური წყალსაცავი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკაში, ირიგაციასა და წყალმომარაგებაში.

ამასთან, წყალსაცავების მრავალფუნქციური გამოყენების პოტენციალი სრულად ათვისებული არ არის.

აქტუალურობას ზრდის საქართველოს წყლის რესურსების მართვის ახალი, საარუზო და ინტეგრირებული მართვის პრინციპებზე გადასვლაც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია წყალსაცავების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფუნქციების დაბალანსებული მართვის მოდელების კვლევა.

წყლის რესურსების როლი და მნიშვნელობა

წყალი ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება, რადგან იგი ერთდროულად ასრულებს სასიცოცხლო, ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სტრატეგიულ ფუნქციებს. იგი აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, სასურსათო წარმოებისთვის, ეკოსისტემების ფუნქციონირებისთვის, ენერგიის გამომუშავებისა და მრავალი ეკონომიკური პროცესის უწყვეტობისთვის [IPCC, 2022: 41]. ამ ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება წყალს განასხვავებს ჩვეულებრივი საწარმოო აქტივებისგან და მის მართვას განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, წყალი ერთდროულად შეიძლება განიხილებოდეს როგორც უშუალო მოხმარების ობიექტი, წარმოების ფაქტორი და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სისტემის ფუნქციონირების წინაპირობა. სოფლის მეურნეობაში წყლის ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს მოსავლიანობასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე; ენერგეტიკაში - ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებასა და ენერგოსისტემის მოქნილობაზე; მრეწველობაში - ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობაზე; ტურიზმსა და რეკრეაციაში კი - ტერიტორიის ეკონომიკურ მიმზიდველობაზე. ამასთანავე, წყლის ეკოლოგიური ფუნქციების გაუარესება შეიძლება გადაიზარდოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებში, რადგან წყლის ეკოსისტემების მდგომარეობა უშუალოდ უკავშირდება წყალმომარაგებას, წყალდიდობის რეგულირებას, რეკრეაციას, საკვების წარმოებასა და სხვა ეკოსისტემურ მომსახურებებს [United Nations et al., 2021: 1-2].

წყლის ეკონომიკურ რესურსად განხილვა არ გულისხმობს მის მხოლოდ საბაზრო საქონლად აღქმას. წყლის სხვადასხვა გამოყენების ფორმას განსხვავებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიკეთის მახასიათებლები აქვს. გარკვეული სერვისები შეიძლება ექვემდებარებოდეს ფასის განსაზღვრას, მომხმარებელთა წვდომის რეგულირებასა და ხარჯების ანაზღაურების მექანიზმებს, მაშინ როდესაც ეკოსისტემური, სანიტარიული და სოციალური ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი საბაზრო ფასებში სრულად არ აისახება [Costanza et al., 1992: 37-46; United Nations et al., 2021: 1-2]. შესაბამისად, წყლის ღირებულების შეფასება უნდა გასცდეს უშუალო ფინანსურ შემოსავალს და გაითვალისწინოს მისი სოციალური, გარემოსდაცვითი და გრძელვადიანი სტრატეგიული სარგებელიც.

წყლის სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება კლიმატის ცვლილების, ურბანიზაციის, მოსახლეობისა და ეკონომიკური მოთხოვნის ზრდისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე. IPCC-ის შეფასებით, ანთროპოგენური კლიმატის ცვლილება უკვე ცვლის ჰიდროლოგიურ ციკლს, გავლენას ახდენს წყლის რაოდენობასა და სეზონურ ხელმისაწვდომობაზე და ზრდის გვალვების, წყალდიდობებისა და სხვა წყალთან დაკავშირებული რისკების მნიშვნელობას [IPCC, 2022: 41]. კლიმატური ცვლილებები, მათ შორის ნალექების რეჟიმისა და მყინვარების ცვლილება, შესაბამისად მოქმედებს წყალმომარაგებაზე, ჰიდროენერგეტიკულ წარმოებაზე, სარწყავ სისტემებსა და ეკოსისტემებზე. შედეგად, წყლის მართვა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მიდგომა წყლის, მიწისა და მათთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების ურთიერთდამოკიდებულებას ერთიან სისტემაში განიხილავს. Global Water Partnership-ის კლასიკური განმარტების მიხედვით, ინტეგრირებული მიდგომა წარმოადგენს წყლის, მიწისა და დაკავშირებული რესურსების კოორდინირებული განვითარებისა და მართვის პროცესს, რომლის მიზანია ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის სამართლიანი ზრდა სასიცოცხლო ეკოსისტემების მდგრადობის დაუზიანებლად [Global Water Partnership, 2000: 22]. აღნიშნული მიდგომა აერთიანებს ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალური სამართლიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპებს.

საქართველოს შემთხვევაში წყლის სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით უკავშირდება ქვეყნის ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს. IEA-ის შეფასებით, ჰიდრორესურსები საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსია, ხოლო ჰიდროენერგეტიკა ქვეყნის ელექტროენერგიის წარმოებაში დომინანტურ როლს ასრულებს. ამავე დროს, ჰიდროენერგიის წარმოებას მკვეთრი სეზონურობა ახასიათებს, რაც პირდაპირ აისახება ენერგეტიკული სისტემის მიწოდება-მოთხოვნის ბალანსზე [IEA, 2023]. IEA ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია და მისი შემდგომი რეალიზაცია სათანადო დაგეგმვასა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სრულფასოვან გათვალისწინებას საჭიროებს [IEA, 2023].

ამ კვლევის ფარგლებში წყალი განიხილება როგორც მრავალფუნქციური სტრატეგიული აქტივი, რომლის ღირებულება არ შემოიფარგლება არც ელექტროენერგიის წარმოებით და არც უშუალო წყალმოხმარებით. მისი სრული საზოგადოებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობა ვლინდება მაშინ, როდესაც

ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სოციალური, ეკოლოგიური და სამეწარმეო ფუნქციები ერთიანი მმართველობითი ჩარჩოს ფარგლებში კოორდინირდება.

ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, რესურსის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციას განსაზღვრავს ფორმალური და არაფორმალური წესების ხარისხი, უფლებამოსილებების განაწილება, ტრანზაქციული ხარჯები და რეგულაციების აღსრულების შესაძლებლობა. კოლექტიური მოქმედების თეორია კი მიუთითებს, რომ საერთო სარგებლობის რესურსების მდგრადი მართვა საჭიროებს მომხმარებელთა მონაწილეობას, კოორდინირებულ წესებს, მონიტორინგსა და კონფლიქტების მოგვარების მექანიზმებს.

ბუნებრივი კაპიტალის მიდგომამ შესაძლებელი გახადა წყლისა და ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განხილვა მრავალფუნქციურ აქტივად, რომელიც ქმნის ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ენერგეტიკულ სარგებელს. რესურსული სიმდიდრისა და ინსტიტუციური ხარისხის ურთიერთკავშირის ანალიზმა კი აჩვენა, რომ ბუნებრივი პოტენციალი მდგრად განვითარებად მხოლოდ სათანადო მმართველობით და ინსტიტუციურ პირობებში გარდაიქმნება.

ჩამოყალიბებული თეორიული საფუძვლები ქმნის კვლევის შემდგომი ეტაპების კონცეპტუალურ ჩარჩოს. მეორე თავში აღნიშნული მიდგომები გამოყენებული იქნება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, მდგრადი ჰიდროენერგეტიკის, წყალსაცავების მრავალფუნქციური გამოყენების, წყლის ეკონომიკური ღირებულებისა და წყალზე დაფუძნებული სამეწარმეო შესაძლებლობების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისთვის.

აკვაკულტურა, როგორც წყალზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობა

წყალსაცავი წარმოადგენს ადამიანის მიერ შექმნილ ან ბუნებრივად არსებული წყლის ობიექტის რეგულირების შედეგად ჩამოყალიბებულ ინფრასტრუქტურულ სისტემას, რომელიც წყლის დაგროვების, დროითი გადანაწილებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური მიზნისთვის გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. ტრადიციულად წყალსაცავები იგეგმებოდა ერთი დომინანტური ფუნქციისთვის, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკული წარმოება, ირიგაცია, სასმელი წყალმომარაგება ან წყალდიდობის მართვა. თანამედროვე მიდგომა კი წყალსაცავს მრავალფუნქციურ სოციალურ-ეკოლოგიურ სისტემად განიხილავს, რომელშიც ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, წყალმომარაგების, გარემოსდაცვითი, ტურისტული და სამეწარმეო ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია.

მრავალფუნქციური გამოყენების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება წყლის სეზონური დეფიციტის, კლიმატის ცვლილების, ეკონომიკური მოთხოვნების ზრდისა და ახალი წყალსაცავების მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური შეზღუდვების პირობებში. უკვე არსებული ინფრასტრუქტურის უკეთ გამოყენებამ შეიძლება დამატებითი ეკონომიკური და საზოგადოებრივი სარგებელი შექმნას ახალი ფართომასშტაბიანი ჰიდროტექნიკური ჩარევის გარეშე. თუმცა მრავალფუნქციურობა ავტომატურად არ ნიშნავს მდგრადობას. სხვადასხვა ფუნქციის ერთ წყალსაცავში თავმოყრამ შეიძლება შექმნას როგორც მნიშვნელოვანი სინერგია, ისე წყლის განაწილებასთან, დონეების მართვასთან, უსაფრთხოებასა და ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფლიქტები.

წყალსაცავის მრავალფუნქციური მართვა ამიტომ არ უნდა შემოიფარგლოს დამატებითი საქმიანობების სპონტანური დაშვებით. საჭიროა წყალსაცავის პირველადი დანიშნულების, ტექნიკური შესაძლებლობების, წყლის ხარისხის, ეკოლოგიური

ტევადობის, ოპერირების რეჟიმის, უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს ერთობლივი შეფასება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს, რომელი დამატებითი ფუნქციებია ტექნიკურად შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი, ეკოლოგიურად მისაღები და სოციალურად სამართლიანი.

მრავალფუნქციური წყალსაცავის კონცეფცია და ძირითადი ფუნქციები

მრავალფუნქციური წყალსაცავი არის წყლის ინფრასტრუქტურა, რომელიც ერთდროულად ან კოორდინირებულად ემსახურება რამდენიმე ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიზანს. ამ კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს მოსაზრება, რომ წყალსაცავის ღირებულება მხოლოდ მისი პირველადი დანიშნულებით ვერ განისაზღვრება. მაგალითად, ჰიდროენერგეტიკული წყალსაცავი ელექტროენერგიის წარმოებასთან ერთად შეიძლება გამოიყენებოდეს წყალდიდობის რეგულირებისთვის, ირიგაციისთვის, წყლის რეზერვის შესაქმნელად, რეკრეაციისთვის, თევზჭერისა და შესაბამისი პირობების არსებობისას აკვაკულტურისთვის.

წყალსაცავის ენერგეტიკული ფუნქცია წყლის პოტენციური ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნასა და გამომუშავების დროით მართვას მოიცავს. წყალსაცავიანი ჰესი წყლის დაგროვების შესაძლებლობის გამო დერივაციულ ჰესთან შედარებით უფრო მოქნილია. მას შეუძლია გამომუშავების გაზრდა პიკური მოთხოვნის პერიოდში, სისტემური რეზერვის მიწოდება და მზისა და ქარის ცვალებადი გენერაციის დაბალანსება. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მონაცემებით, ქვეყნის ჰიდროენერგეტიკულ სიმძლავრეში მნიშვნელოვანი წილი რეგულირების შესაძლებლობის მქონე ჰესებზე მოდის, რაც წყალსაცავების სისტემურ მნიშვნელობას ადასტურებს.

ირიგაციული ფუნქცია გულისხმობს წყალუხვ პერიოდში დაგროვილი წყლის სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის მიწოდებას იმ დროს, როდესაც ბუნებრივი ჩამონადენი მოსავლის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს. სარწყავი წყალსაცავი ამცირებს სოფლის მეურნეობის დამოკიდებულებას მოკლევადიან ნალექზე, ზრდის მოსავლიანობის სტაბილურობას და ზოგიერთ შემთხვევაში მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესაძლებლობას ქმნის. ამავე დროს, ირიგაციისთვის ინტენსიურმა წყლის გამოშვებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს წყალსაცავის დონე და სხვა ფუნქციების განხორციელება შეზღუდოს.

სასმელი და სამრეწველო წყალმომარაგების ფუნქცია წყალსაცავში შესაბამისი ხარისხის წყლის საიმედო მარაგის შექმნას უკავშირდება. ასეთი წყალსაცავის მართვისას წყლის ხარისხი და სანიტარიული უსაფრთხოება უპირატეს მოთხოვნად იქცევა. შესაბამისად, ტურისტული, რეკრეაციული, აკვაკულტურული ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს, თუ იგი სასმელი წყლის ხარისხს საფრთხეს არ უქმნის.

წყალდიდობის რეგულირება წყალსაცავის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. თავისუფალი სასარგებლო მოცულობის არსებობის შემთხვევაში წყალსაცავს შეუძლია მაღალი დინების ნაწილის დროებით შეკავება და ქვედა დინებაში წყალდიდობის პიკის შემცირება. თუმცა ეს ფუნქცია პირდაპირ კონკურენციაში შეიძლება მოვიდეს ენერგეტიკულ და წყალმომარაგების ინტერესებთან, რადგან ენერგეტიკული და წყალმომარაგების ოპერატორი ხშირად წყალსაცავის მაღალი დონის შენარჩუნებით არის დაინტერესებული, ხოლო წყალდიდობის უსაფრთხო მართვა გარკვეული თავისუფალი მოცულობის წინასწარ დატოვებას მოითხოვს.

წყალსაცავის გარემოსდაცვითი ფუნქცია შეიძლება მოიცავდეს ქვედა დინებაში გარემოსდაცვითი ნაკადის მხარდაჭერას, გვალვის დროს ეკოსისტემისთვის წყლის მიწოდებას, გარკვეული წყლის ჰაბიტატების შექმნასა და ადგილობრივი მიკროკლიმატის ცვლილებას. ამასთან, ხელოვნური წყალსაცავი ბუნებრივი მდინარის ეკოსისტემის ეკვივალენტი არ არის. მისი შექმნა მდინარის ფრაგმენტაციას, ნატანის შეკავებას, წყლის ტემპერატურის ცვლილებასა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაკარგვასაც შეიძლება იწვევდეს. ამიტომ წყალსაცავის მიერ ახალი წყლის ჰაბიტატის შექმნა პროექტის მიერ დაკარგული მდინარის ეკოსისტემური ღირებულების სრულ კომპენსაციად ვერ ჩაითვლება.

თევზჭერისა და აკვაკულტურის ფუნქციები წყალსაცავის ბიოლოგიური რესურსების ეკონომიკურ გამოყენებას უკავშირდება. წყალსაცავში შესაძლებელია ბუნებრივი თევზის მარაგის მართვა, რეკრეაციული თევზჭერა ან კონტროლირებადი აკვაკულტურული საქმიანობა. თუმცა ასეთი გამოყენება დამოკიდებულია წყლის ხარისხზე, ტემპერატურაზე, ჟანგბადის შემცველობაზე, წყლის დონის ცვლილებაზე, სახეობების შესაბამისობაზე, ეკოლოგიურ ტევადობასა და ბიოუსაფრთხოების მოთხოვნებზე. ინტენსიურმა აკვაკულტურამ საკვების ნარჩენებისა და ორგანული ნივთიერებების დაგროვების შედეგად წყლის ხარისხი შეიძლება გააუარესოს, რის გამოც მისი განვითარება წინასწარ გარემოსდაცვით შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს მოითხოვს.

ტურისტული და რეკრეაციული ფუნქცია შეიძლება მოიცავდეს ნაოსნობას, სპორტულ თევზჭერას, წყლის სპორტს, სანაპირო დასვენებას, ბუნებაზე დაკვირვებასა და წყალსაცავის ირგვლივ მცირე ტურისტული მომსახურებების განვითარებას. ასეთი საქმიანობები ადგილობრივ ეკონომიკაში დამატებით შემოსავალს, დასაქმებასა და მომსახურებების მოთხოვნას ქმნის. თუმცა რეკრეაციული პოტენციალი დამოკიდებულია სანაპიროს უსაფრთხოებაზე, წყლის ხარისხზე, დონის სტაბილურობაზე, გზებსა და სანიტარიულ ინფრასტრუქტურაზე.

წყალსაცავი შეიძლება კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციასაც ასრულებდეს. ჰიდროლოგიური დაკვირვება, წყლის ხარისხის მონიტორინგი, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საგანმანათლებლო ტურები და ეკოლოგიური კვლევები დამატებით საზოგადოებრივ ღირებულებას ქმნის. ასეთი ფუნქციების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წყალსაცავებში, სადაც ინტენსიური კომერციული საქმიანობა უსაფრთხოების ან წყლის დაცვის გამო შეზღუდულია.

მრავალფუნქციური კონცეფციის არსი არ მდგომარეობს იმაში, რომ ყველა წყალსაცავს ყველა შესაძლო ფუნქცია მიენიჭოს. მისი მიზანია თითოეული წყალსაცავისთვის იმ ფუნქციების კომბინაციის განსაზღვრა, რომელიც შეესაბამება ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებს, პირველადი დანიშნულების მოთხოვნებს, აუზის წყლის ბალანსს, გარემოს ეკოლოგიურ ტევადობასა და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს.

ფუნქციებს შორის სინერგიები და კონფლიქტები

წყალსაცავის ფუნქციები ერთმანეთთან შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშემავსებელი, ისე კონკურენტული. სინერგია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ფუნქციისთვის შექმნილი ინფრასტრუქტურა ან მართვის ღონისძიება მეორე ფუნქციის განხორციელებასაც უწყობს ხელს. კონფლიქტი კი მაშინ ჩნდება, როდესაც

ერთი მიზნის მისაღწევად საჭირო წყლის დონე, გამოშვების დრო, წყლის ხარისხი ან ტერიტორიის გამოყენება მეორე მიზანს ზღუდავს.

ენერგეტიკასა და ირიგაციას შორის გარკვეული სინერგია შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჰიდროენერგეტიკული გამომუშავების შემდეგ წყალი სარწყავ სისტემაში მიემართება. ამგვარად, ერთი და იგივე წყალი ჯერ ელექტროენერგიის წარმოებას, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვას ემსახურება. კოორდინირებული ოპერირების პირობებში წყლის გამოშვება შეიძლება ირიგაციის სეზონურ მოთხოვნას დაემთხვეს.

თუმცა ენერგეტიკული და ირიგაციული მოთხოვნები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ელექტროენერგიის მაღალი ფასი ან პიკური მოთხოვნა შეიძლება იმ პერიოდში წარმოიშვას, როდესაც სოფლის მეურნეობას წყალი არ სჭირდება. პირიქით, ირიგაციისთვის წყლის დიდი მოცულობა შეიძლება მაშინ გახდეს საჭირო, როდესაც ენერგეტიკული ოპერატორი წყლის მომავალ პერიოდამდე შენარჩუნებას გეგმავს. ამგვარი კონფლიქტი წინასწარ შეთანხმებულ განაწილების წესებსა და პროგნოზირებად სეზონურ გრაფიკს მოითხოვს.

ენერგეტიკული გამომუშავება და წყალდიდობის მართვა ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციებია. მაღალი დინების წინ წყალსაცავში თავისუფალი მოცულობის არსებობა წყალდიდობის ნაწილის შეკავების საშუალებას იძლევა. ამავე დროს, ენერგეტიკული ოპერატორი შეიძლება დაინტერესებული იყოს წყალსაცავში რაც შეიძლება დიდი წყლის მარაგის შენარჩუნებით, რათა მომავალში მეტი ელექტროენერგია გამოიმუშაოს. თუ წყალსაცავის დონე პროგნოზირებული წყალდიდობის წინ ზედმეტად მაღალია, უსაფრთხოების მიზნით წყლის სწრაფმა გამოშვებამ ქვედა დინების რისკი შეიძლება გაზარდოს.

ენერგეტიკასა და რეკრეაციას შორის სინერგია შესაძლებელია მაშინ, როდესაც წყალსაცავის შექმნა ახალ ლანდშაფტურ და ტურისტულ სივრცეს აყალიბებს. გზები, ელექტროენერგია და სხვა ინფრასტრუქტურა ადგილობრივი ტურისტული მომსახურებების განვითარებას შეიძლება დაეხმაროს. თუმცა ენერგეტიკული ოპერირებით გამოწვეული წყლის დონის ხშირი და მკვეთრი ცვლილება სანაპიროს გამოყენებას, ნაოსნობას, ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და ვიზუალურ ხარისხს ზღუდავს. მაღალი ენერგეტიკული გენერაციისთვის წყლის ინტენსიური გამოშვება შეიძლება სტაბილური რეკრეაციული დონის შენარჩუნებას ეწინააღმდეგებოდეს.

ირიგაციასა და გარემოსდაცვით ნაკადს შორის კონფლიქტი გვალვის პერიოდში განსაკუთრებით მძაფრდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასაცავად წყალსაცავიდან დიდი მოცულობის წყლის გამოშვებამ შესაძლოა ქვედა დინებაში ეკოსისტემისთვის აუცილებელი ნაკადი შეამციროს ან წყალსაცავის დონე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვოს. გარემოსდაცვითი ნაკადი ამიტომ უნდა იყოს წყლის განაწილების სავალდებულო კომპონენტი და არა მხოლოდ იმ წყლის ნარჩენი, რომელიც ეკონომიკური მომხმარებლების დაკმაყოფილების შემდეგ რჩება.

აკვაკულტურასა და წყლის ხარისხს შორის ურთიერთობა ასევე ორმხრივია. სათანადოდ მართვადი აკვაკულტურა ადგილობრივ ეკონომიკურ ღირებულებასა და სურსათის წარმოებას ზრდის. თუმცა თევზის ზედმეტმა სიმჭიდროვემ, საკვების ნარჩენებმა, დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებებმა და ორგანული ნივთიერებების დაგროვებამ შეიძლება ევტროფიკაცია, ჟანგბადის დეფიციტი და წყლის ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წყალსაცავებში, რომლებიც სასმელი წყალმომარაგებისთვისაც გამოიყენება.

სასმელ წყალმომარაგებასა და ინტენსიურ ტურიზმს შორის კონფლიქტი დაკავშირებულია სანიტარიულ უსაფრთხოებასთან. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა, ნარჩენები, ჩამდინარე წყლები, საწვავზე მომუშავე ნავები და სანაპირო მშენებლობა წყლის ხარისხს საფრთხეს უქმნის. სასმელი წყლის წყალსაცავში ტურიზმის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მკაფიო ზონირების, საქმიანობათა შეზღუდვის, ჩამდინარე წყლების მართვისა და მონიტორინგის პირობებში.

წყალდიდობის მართვა და სანაპირო ეკონომიკური საქმიანობები შეიძლება ერთმანეთთან კონფლიქტში აღმოჩნდეს, თუ წყალსაცავის დონის უსაფრთხო მერყეობა ტურისტულ ან აკვაკულტურულ ინფრასტრუქტურას აზიანებს. ამგვარი საქმიანობის ნებართვის გაცემამდე უნდა შეფასდეს წყალსაცავის მაქსიმალური და მინიმალური საოპერაციო დონეები, ტალღური ზემოქმედება და საგანგებო გამოშვების პირობები.

სინერგია შესაძლებელია წყალსაცავის მოვლასა და ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობებს შორისაც. ტურისტული ან აკვაკულტურული საქმიანობიდან მიღებული გადასახადის ნაწილი შეიძლება სანაპიროს დასუფთავებას, წყლის ხარისხის მონიტორინგს, უსაფრთხოების ინფრასტრუქტურასა და ეკოსისტემურ ღონისძიებებს მოხმარდეს. თუმცა ასეთი კავშირი მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ შემოსავლების განაწილება სამართლებრივად არის განსაზღვრული და მისი გამოყენება გამჭვირვალედ კონტროლდება.

ფუნქციებს შორის კონფლიქტების არსებობა არ ნიშნავს, რომ მრავალფუნქციური გამოყენება მიუღებელია. პირიქით, კონფლიქტის წინასწარი გამოვლენა მრავალფუნქციური დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. აუცილებელია დადგინდეს, რომელი ფუნქციაა უპირატესი, რომელი პირობებით შეიძლება დამატებითი საქმიანობის დაშვება და როგორ უნდა შეიცვალოს წყლის განაწილება გვალვის, წყალდიდობის ან სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს.

წყალსაცავის ოპერირების წესები და ადაპტაციური მართვა

წყალსაცავის მრავალფუნქციური გამოყენების პრაქტიკული საფუძველია ოპერირების წესები, რომლებიც განსაზღვრავს წყლის დაგროვების, გამოშვების, მინიმალური და მაქსიმალური დონის, სეზონური რეჟიმის, უსაფრთხოების რეზერვისა და სხვადასხვა მომხმარებლისთვის წყლის განაწილების პირობებს. ოპერირების წესების გარეშე მრავალფუნქციურობა შეიძლება გადაიქცეს ინტერესთა არაკოორდინირებულ კონკურენციად.

ოპერირების წესები უნდა ეფუძნებოდეს წყალსაცავის ტექნიკურ პროექტს, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმს, წყლის ბალანსს, კაშხლის უსაფრთხოებასა და პირველადი დანიშნულების მოთხოვნებს. მათში უნდა განისაზღვროს ნორმალური საოპერაციო დონე, მაქსიმალური უსაფრთხო დონე, მინიმალური ტექნიკური დონე, წყალდიდობისთვის საჭირო თავისუფალი მოცულობა და ქვედა დინებაში სავალდებულო გარემოსდაცვითი ნაკადი.

მრავალფუნქციური წყალსაცავის შემთხვევაში აუცილებელია წყლის განაწილების პრიორიტეტების წინასწარ განსაზღვრა. ჩვეულებრივ, ადამიანის სიცოცხლე, კაშხლის უსაფრთხოება და სასმელი წყალმომარაგება უმაღლესი პრიორიტეტით უნდა იყოს დაცული. შემდეგი პრიორიტეტები დამოკიდებულია წყალსაცავის სამართლებრივ დანიშნულებაზე, ადგილობრივ ეკონომიკასა და აუზის თავისებურებებზე.

ოპერირების წესებში უნდა აისახოს განსხვავება ჩვეულებრივ, მცირეწყლიან და საგანგებო პირობებს შორის. ნორმალური წყალუხვობის დროს შესაძლებელია ენერგეტიკის, ირიგაციის, რეკრეაციისა და გარემოსდაცვითი ფუნქციების შედარებით

სრულად უზრუნველყოფა. გვალვისას კი საჭიროა მოთხოვნების შემცირება, წყლის პრიორიტეტული განაწილება და წინასწარ განსაზღვრული შეზღუდვების ამოქმედება.

წყალდიდობის პერიოდში მთავარი ყურადღება კაშხლისა და ქვედა დინების უსაფრთხოებაზე გადადის. წყალსაგდებიდან დიდი მოცულობის გამოშვება წინასწარ პროგნოზირებას, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციასა და მოსახლეობის დროულ გაფრთხილებას მოითხოვს. ენერგეტიკული შემოსავლის ან წყალსაცავის მაღალი დონის შენარჩუნება უსაფრთხოების მოთხოვნებზე უპირატესად ვერ განიხილება.

მრავალფუნქციური მართვისთვის მნიშვნელოვანია წყლის დონის სეზონური გრაფიკის მომზადება. გრაფიკმა უნდა ასახოს მოსალოდნელი ჩამონადენი, ენერგეტიკული მოთხოვნა, ირიგაციის სეზონი, გარემოსდაცვითი ნაკადი, თევზის გამრავლების პერიოდები, ტურისტული სეზონი და წყალდიდობის რისკი. თუმცა ფიქსირებული გრაფიკი საკმარისი არ არის, რადგან რეალური ჰიდროლოგიური პირობები წლიდან წლამდე იცვლება.

ამ მიზეზით საჭიროა ადაპტაციური მართვა, რომლის დროსაც ოპერირების რეჟიმი მონიტორინგის, ამინდის პროგნოზის, წყლის მოთხოვნისა და ეკოლოგიური შედეგების მიხედვით პერიოდულად კორექტირდება. ადაპტაციური მართვა არ ნიშნავს ოპერატორის შეუზღუდავ დისკრეციას. ცვლილების დასაშვები ფარგლები, პასუხისმგებელი ორგანოები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

ოპერირების მხარდაჭერისთვის აუცილებელია ჰიდრომეტეოროლოგიური და წყლის ხარისხის მონაცემები. საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო ზედაპირულ წყლებზე, მათ შორის მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე ჰიდროლოგიურ დაკვირვებებს, მონაცემთა დამუშავებასა და ხარისხის კონტროლს ახორციელებს. სააგენტოს ფუნქციებში შედის ასევე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობის მონიტორინგისა და მონაცემების გავრცელების სისტემების განვითარება.

წყალსაცავის ოპერირებისთვის საჭიროა შემომავალი წყლის, წყალსაცავის დონის, გამოშვების, ნალექის, თოვლის, ტემპერატურის, ნატანისა და წყლის ხარისხის უწყვეტი ან რეგულარული მონიტორინგი. დამატებითი ეკონომიკური ფუნქციების არსებობისას მონაცემთა სისტემა უნდა მოიცავდეს ტურისტულ დატვირთვას, აკვაკულტურის მოცულობას, ირიგაციისთვის მიწოდებულ წყალს, უსაფრთხოების ინციდენტებსა და სანაპირო ზოლის მდგომარეობასაც.

გარემოსდაცვითი მონიტორინგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წყლის ქიმიური მაჩვენებლებით. საჭიროა ბიოლოგიური და ჰიდრომორფოლოგიური მდგომარეობის, თევზის რესურსების, სანაპირო ჰაბიტატებისა და ქვედა დინებაში გარემოსდაცვითი ნაკადის შეფასებაც. თუ მონიტორინგი აჩვენებს, რომ არსებული ოპერირების რეჟიმი ეკოლოგიურ ან სოციალურ მიზნებს ვერ აღწევს, წესები უნდა გადაიხედოს.

ოპერირების გამჭვირვალობა მრავალფუნქციური მართვის მნიშვნელოვან პირობად უნდა იქნეს მიჩნეული. სხვადასხვა მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია წყალსაცავის არსებული მდგომარეობის, წყლის განაწილების, დაგეგმილი გამოშვებისა და განსაკუთრებული შეზღუდვების შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის, ტურისტული ბიზნესისთვის, აკვაკულტურის ოპერატორებისა და ქვედა დინების მოსახლეობისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხისმგებლობის საკითხს. აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, ვინ არის პასუხისმგებელი კაშხლის

უსაფრთხოებაზე, წყლის განაწილებაზე, გარემოსდაცვით ნაკადზე, ხარისხის მონიტორინგზე, ტურისტულ უსაფრთხოებაზე, აკვაკულტურის კონტროლსა და საგანგებო კომუნიკაციაზე. ფუნქციების მრავალფეროვნება პასუხისმგებლობის გაურკვევლობის საფუძველი არ უნდა გახდეს.

ეკონომიკური შეფასება და მმართველობის მოდელები

მრავალფუნქციური წყალსაცავის ეკონომიკური შეფასება მხოლოდ ელექტროენერგიის გამომუშავებიდან, სარწყავი წყლის საფასურიდან ან ტურისტული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შეჯამებას არ გულისხმობს. სრულყოფილი შეფასება უნდა მოიცავდეს წყალსაცავის მიერ შექმნილ პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს, გარემოსდაცვით და სოციალურ დანახარჯებს, ინფრასტრუქტურის მოვლას, უსაფრთხოებასა და ფუნქციებს შორის შესაძლო კომპრომისებს.

პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება გამოიხატოს ელექტროენერგიის გაყიდვაში, ირიგაციის შედეგად გაზრდილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, წყალმომარაგების მომსახურებაში, აკვაკულტურის პროდუქციაში, ტურისტულ შემოსავალსა და ადგილობრივ დასაქმებაში. ასეთი სარგებელი საბაზრო მონაცემებით შედარებით მარტივად შეიძლება შეფასდეს, თუმცა აუცილებელია მასთან დაკავშირებული კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გამოკლება.

არაპირდაპირი სარგებელი მოიცავს წყალდიდობისგან თავიდან აცილებულ ზიანს, გვალვის დროს წყლის საიმედოობას, ენერგოსისტემის მოქნილობას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, ეკოსისტემურ მომსახურებებსა და რეგიონული ეკონომიკის სტაბილურობას. აღნიშნული სარგებლის ნაწილი საბაზრო ფასით პირდაპირ არ გამოიხატება და თავიდან აცილებული ზიანის, ჩანაცვლების ღირებულების ან მრავალკრიტერიუმიანი შეფასების მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.

წყალსაცავის ეკონომიკურ ღირებულებაში არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ დამატებითი ფუნქციებით მიღებული შემოსავალი. შეფასებაში უნდა აისახოს წყლის ხარისხის გაუარესების, ნატანის დაგროვების, სანაპიროს ეროზიის, ბიომრავალფეროვნების ცვლილების, უსაფრთხოების, ნარჩენების მართვისა და შესაძლო სოციალური კონფლიქტის ხარჯებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალფუნქციური გამოყენების წმინდა ეკონომიკური სარგებელი გადაჭარბებულად იქნება წარმოდგენილი.

განსაკუთრებით რთულია ფუნქციებს შორის წყლის ალტერნატიული ღირებულების შეფასება. ენერგეტიკული გამომუშავებისთვის გამოყენებული წყალი შეიძლება იმავე პერიოდში ირიგაციის, სასმელი წყალმომარაგების ან რეკრეაციული დონის შენარჩუნებისთვის ყოფილიყო საჭირო. ამიტომ თითოეული ფუნქციის სარგებელი იზოლირებულად კი არ უნდა შეფასდეს, არამედ იმ სარგებელთან შედარებით, რომელიც ალტერნატიული გამოყენების შემთხვევაში მიიღებოდა.

მრავალფუნქციური წყალსაცავის შეფასებისთვის მიზანშეწონილია მრავალკრიტერიუმიანი მიდგომის გამოყენება. იგი საშუალებას იძლევა ერთ გადაწყვეტილებით ჩარჩოში გაერთიანდეს ენერგეტიკული გამომუშავება, ირიგაციით მიღებული სარგებელი, წყლის საიმედოობა, სამუშაო ადგილები, ეკოლოგიური მდგომარეობა, წყლის ხარისხი, უსაფრთხოება და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება. კრიტერიუმების წონა გამჭვირვალედ და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით უნდა განისაზღვროს.

ეკონომიკური შეფასების შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მმართველობის მოდელზე. თუ წყალსაცავს ერთი ოპერატორი მართავს მხოლოდ დომინანტური ფუნქციისთვის, დამატებითი საქმიანობები შეიძლება დროებითი ნებართვებითა და ოპერატორის შეხედულებით განვითარდეს. ასეთი მოდელი გადაწყვეტილების სისწრაფეს უზრუნველყოფს, თუმცა სხვა მომხმარებლების ინტერესებისა და საზოგადოებრივი სარგებლის არასაკმარისი გათვალისწინების რისკს ქმნის.

ცენტრალიზებული საჯარო მმართველობის მოდელში სახელმწიფო ორგანო ან საჯარო კომპანია პასუხისმგებელია წყალსაცავის ძირითად ფუნქციებზე, უსაფრთხოებასა და წყლის განაწილებაზე. ამ მოდელის უპირატესობა ფართო საზოგადოებრივი მიზნების გათვალისწინების შესაძლებლობაა. მისი სისუსტე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სირთულე, პოლიტიკური გავლენა, არასაკმარისი ფინანსური მოქნილობა და მომხმარებელთა საჭიროებებზე დაგვიანებული რეაგირება.

კერძო ოპერატორის მოდელი შეიძლება უფრო მაღალი ტექნიკური და ფინანსური ეფექტიანობით ხასიათდებოდეს, განსაკუთრებით ენერგეტიკულ ან ტურისტულ საქმიანობაში. თუმცა კერძო ოპერატორის მთავარი მოტივაცია შემოსავლისა და ინვესტიციის უკუგებაა, რის გამოც საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლების ინტერესების დასაცავად მკაფიო რეგულირება და კონტროლია საჭირო.

შერეული ან საჯარო-კერძო მართვის მოდელი საჯარო კონტროლსა და კერძო ინვესტიციას აერთიანებს. სახელმწიფო შეიძლება ინარჩუნებდეს წყალსაცავისა და წყლის რესურსის სტრატეგიულ კონტროლს, ხოლო კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა, მაგალითად ტურისტული ინფრასტრუქტურა ან აკვაკულტურა, კონკურენტული და პირობითი ნებართვით კერძო ოპერატორს გადაეცეს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს წყლის ხარისხის, უსაფრთხოების, მონიტორინგის, ადგილობრივი დასაქმებისა და შემოსავლების განაწილების მოთხოვნები.

საუზო ან მრავალაქტორული მმართველობის მოდელი გადაწყვეტილების მიღებაში სახელმწიფო უწყებებს, მუნიციპალიტეტებს, წყალსაცავის ოპერატორს, წყლის მომხმარებლებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნესს აერთიანებს. ასეთი მოდელი განსაკუთრებით შეესაბამება მრავალფუნქციურ წყალსაცავს, თუმცა მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნაზე. მხოლოდ საკონსულტაციო შეხვედრები ვერ უზრუნველყოფს კოორდინირებულ მართვას, თუ გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები განსაზღვრული არ არის.

წყალსაცავის მმართველობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობა აუცილებელია სივრცითი დაგეგმვის, სანაპირო ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, ნარჩენების, ადგილობრივი ბიზნესისა და მოსახლეობის ინტერესების გამო. მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ადგილობრივი ცოდნა, თუმცა ჰიდროლოგიური, უსაფრთხოების და წყლის ხარისხის საკითხებისთვის ცენტრალური ტექნიკური მხარდაჭერა დასჭირდეს.

შემოსავლების განაწილება მმართველობის მოდელის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ენერგეტიკული, ტურისტული ან სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სარგებელი შეიძლება მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ან კერძო ოპერატორთან დარჩეს, მაშინ როდესაც სანაპირო ინფრასტრუქტურის, ნარჩენების, უსაფრთხოებისა და ადგილობრივი ზემოქმედების მართვის ხარჯს მუნიციპალიტეტი

იღებდეს. ასეთი დისბალანსი მრავალფუნქციური გამოყენების საზოგადოებრივ მხარდაჭერას ამცირებს.

შესაძლებელია სპეციალური წყალსაცავის მართვის ფონდის შექმნა, რომელშიც შესაბამისი გადასახადების, ნებართვის საფასურის ან ოპერატორთა შენატანების ნაწილი დაგროვდება. ფონდის რესურსი შეიძლება მოხმარდეს მონიტორინგს, სანაპიროს მოვლას, ნარჩენების მართვას, უსაფრთხოებას, ეკოსისტემურ აღდგენასა და ადგილობრივ საზოგადოებრივ პროექტებს. თუმცა ასეთი მექანიზმი მხოლოდ მკაფიო სამართლებრივი საფუძვლის, დამოუკიდებელი აუდიტისა და საჯარო ანგარიშგების პირობებში იქნება სანდო.

მრავალფუნქციური მმართველობისთვის ოპტიმალური მოდელი უნივერსალური არ არის. იგი დამოკიდებულია წყალსაცავის პირველადი დანიშნულების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, საკუთრებაზე, უსაფრთხოების რისკზე, ეკონომიკური ფუნქციების მასშტაბსა და ადგილობრივი ინსტიტუტების შესაძლებლობებზე. მთავარია, მართვის სისტემა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ შემოსავლების შექმნას, არამედ წყლის რესურსის დაცვას, პასუხისმგებლობის გამჭვირვალობასა და სარგებლის სამართლიან განაწილებას.

საქართველოს წყალსაცავების გამოყენების არსებული პრაქტიკა და განვითარების მიმართულებები

საქართველო მდიდარია ზედაპირული წყლის რესურსებით. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყანაში 43 ხელოვნური წყალსაცავია, რომლებიც განსხვავებული მასშტაბითა და დანიშნულებით გამოიყენება. მათი ნაწილი ჰიდროენერგეტიკული წარმოებისა და ენერგოსისტემის რეგულირებისთვის არის შექმნილი, ნაწილი -ირიგაციისა და წყალმომარაგებისთვის, ხოლო ზოგიერთ მათგანში დამატებით განვითარებულია თევზჭერა, რეკრეაცია, ადგილობრივი ტურიზმი ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა. [გარემოს ეროვნული სააგენტო, 2026]

საქართველოს წყალსაცავების პრაქტიკაში, როგორც წესი, ერთი დომინანტური ფუნქცია იკვეთება. ჰიდროენერგეტიკული წყალსაცავების მართვა ძირითადად ელექტროენერგიის წარმოებასა და ენერგოსისტემის საჭიროებებზეა ორიენტირებული, ხოლო სარწყავი წყალსაცავები სოფლის მეურნეობის სეზონურ მოთხოვნას ემსახურება. ნაშრომის საწყის მასალაშიც აღნიშნულია, რომ მრავალფუნქციური გამოყენების პოტენციალის მიუხედავად, ენერგეტიკული ფუნქცია ხშირად დომინირებს და წყალსაცავების მრავალფუნქციური ეკონომიკური გამოყენების ერთიანი მოდელი ჩამოყალიბებული არ არის. [გარემოს ეროვნული სააგენტო, 2026]

ჰიდროენერგეტიკული წყალსაცავების მნიშვნელოვანი ფუნქცია წყლის სეზონური და წლიური რეგულირებაა. სახელმწიფო ელექტროსისტემის მონაცემებით, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის მნიშვნელოვანი ნაწილი წლიური, დღიური ან სეზონური რეგულირების მქონე ჰესებზე მოდის. ეს ინფრასტრუქტურა ქვეყნის ენერგოსისტემას წყლის დროითი გადანაწილებისა და ცვალებადი მოთხოვნის დაბალანსების შესაძლებლობას აძლევს. [საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, 2023].

საქართველოს ენერგოსისტემის სეზონურობა აჩვენებს წყალსაცავების მრავალფუნქციური მართვის საჭიროებას. ჰიდროენერგეტიკული გამომუშავება ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში იზრდება, ხოლო ზამთარში ელექტროენერგიის იმპორტის საჭიროება ჩნდება. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა აღნიშნავს, რომ ჰიდროენერგეტიკის მაღალი წილის გამო ქვეყანას

ზაფხულში ექსპორტის, ზამთარში კი იმპორტის ტენდენცია ახასიათებს. ამ პირობებში წყალსაცავების ოპერირება უნდა უკავშირდებოდეს არა მხოლოდ წლიური გენერაციის ზრდას, არამედ სეზონური ენერგეტიკული უსაფრთხოების, ირიგაციისა და სხვა წყლის მოთხოვნების კოორდინაციას. [საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, 2023]

ირიგაციული წყალსაცავები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალ რეგიონებში, სადაც ნალექი და მდინარის ბუნებრივი ჩამონადენი სოფლის მეურნეობის სეზონურ მოთხოვნას ყოველთვის არ ემთხვევა. ასეთი წყალსაცავების დამატებითი გამოყენება შესაძლებელია ტურიზმის, რეკრეაციის ან თევზის მეურნეობისთვის, თუმცა ირიგაციის სეზონზე წყლის დონის მნიშვნელოვანი შემცირება შესაბამისი ბიზნესმოდელების სტაბილურობას ზღუდავს.

სასმელი წყალმომარაგების წყალსაცავებში მრავალფუნქციური გამოყენების შესაძლებლობა უფრო მკაცრად უნდა შეფასდეს. წყლის ხარისხისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა უპირატეს მიზანს წარმოადგენს, რის გამოც ინტენსიური ტურიზმი, საწვავზე მომუშავე ნავები, მაღალი სიმჭიდროვის აკვაკულტურა ან სანაპიროს განაშენიანება შეიძლება შეზღუდული ან აკრძალული იყოს.

საქართველოს წყალსაცავებში რეკრეაციული საქმიანობები ხშირად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე შესაბამისი მართვისა და მონიტორინგის სისტემა. ტურისტული ვიზიტების ზრდა შეიძლება ადგილობრივი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყოს, თუმცა სანიტარიული ინფრასტრუქტურის, ნარჩენების შეგროვების, სანაპირო ზონირების, მაშველთა მომსახურებისა და წყლის ხარისხის მონიტორინგის გარეშე ეკოლოგიურ და უსაფრთხოების პრობლემებს ქმნის.

აკვაკულტურის განვითარების შესაძლებლობაც წყალსაცავის კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული. საწყის მასალაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში აკვაკულტურა წყალსაცავების მართვასთან ინტეგრირებულად გამოიყენება, ხოლო საქართველოში მისი ჰიდროინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პოტენციალი ნაკლებადაა შესწავლილი. აღნიშნული მიმართულების განვითარებამდე საჭიროა წყალსაცავების ეკოლოგიური ტევადობის, წყლის ხარისხის, სახეობების შერჩევის, დაავადებების, დონის მერყეობისა და ბაზრის შესაძლებლობების შეფასება.

საქართველოს არსებული პრაქტიკის ერთ-ერთი შეზღუდვა წყალსაცავების ფუნქციების შესახებ მონაცემთა ფრაგმენტაციაა. ენერგეტიკული, ირიგაციული, გარემოსდაცვითი, ტურისტული და თევზის რესურსების მონაცემები სხვადასხვა უწყებასა და ოპერატორთან შეიძლება იყოს განაწილებული. გარემოს ეროვნული სააგენტო წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონიტორინგსა და წყალმოსარგებლეთა სახელმწიფო აღრიცხვას ახორციელებს, თუმცა მრავალფუნქციური ეკონომიკური შეფასებისთვის საჭიროა ამ მონაცემების მუნიციპალურ, ენერგეტიკულ, სასოფლო-სამეურნეო და ბიზნესის მონაცემებთან დაკავშირება.

მრავალფუნქციური გამოყენების განვითარებამდე მიზანშეწონილია საქართველოს წყალსაცავების ეროვნული ინვენტარიზაცია, რომელიც მხოლოდ მათი რაოდენობისა და მოცულობის აღწერით არ შემოიფარგლება. ინვენტარიზაციაში უნდა აისახოს პირველადი დანიშნულება, საკუთრება და ოპერატორი, წყლის დონეების რეჟიმი, უსაფრთხოების სტატუსი, წყლის ხარისხი, ნატანის მდგომარეობა, მოქმედი ეკონომიკური საქმიანობები, სანაპირო მიწათსარგებლობა და დამატებითი ფუნქციების პოტენციალი.

წყალსაცავები შეიძლება დაჯგუფდეს მათი მრავალფუნქციური განვითარების შესაძლებლობის მიხედვით. ერთი ჯგუფი შეიძლება მოიცავდეს სტრატეგიული სასმელი წყალმომარაგების ობიექტებს, სადაც დამატებითი გამოყენება მკაცრად

შეზღუდული უნდა იყოს. მეორე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს ენერგეტიკული წყალსაცავები, სადაც შესაძლებელია გარკვეული რეკრეაციული ან აკვაკულტურული საქმიანობა უსაფრთხოებისა და ოპერირების პირობების დაცვით. მესამე ჯგუფი შეიძლება მოიცავდეს სარწყავ წყალსაცავებს, სადაც განვითარების მთავარი გამოწვევა სეზონური დონის მკვეთრი ცვლილებაა.

საქართველოსთვის მიზანშეწონილი არ იქნება ყველა წყალსაცავზე ერთიანი ბიზნესმოდელის გავრცელება. თითოეულ ობიექტს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური მრავალფუნქციური მართვის გეგმა, რომელიც მისი პირველადი დანიშნულების, უსაფრთხოების, წყლის ხარისხის, ეკოლოგიური ტევადობისა და ადგილობრივი ეკონომიკის საფუძველზე მომზადდება.

პილოტური მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე განსხვავებული ტიპის წყალსაცავში. პილოტის ფარგლებში შეფასდება ტურიზმის, აკვაკულტურის, ირიგაციის, ენერგეტიკისა და ეკოსისტემური ფუნქციების თავსებადობა, შემუშავდება ოპერირების კოორდინირებული წესები და გამოიცდება შემოსავლების ადგილობრივად განაწილების მექანიზმი. შედეგების შეფასების შემდეგ შესაძლებელი იქნება მოდელის სხვა წყალსაცავებზე ადაპტირება.

მრავალფუნქციური მართვის განვითარება უნდა დაუკავშირდეს მდინარის აუზის მართვის გეგმებს. წყალსაცავი იზოლირებულ ობიექტად არ უნდა განიხილებოდეს, რადგან მისი ოპერირება ზედა და ქვედა დინებებზე, წყლის ხარისხზე, ნატანზე, ეკოსისტემებსა და სხვა მომხმარებლებზე მოქმედებს. საარუზო გეგმა უნდა განსაზღვრავდეს, როგორ შეესაბამება კონკრეტული წყალსაცავის ფუნქციები აუზის საერთო გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანაპირო სივრცის დაგეგმვის, ნარჩენების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, მცირე ბიზნესისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვაში. ამასთან, მუნიციპალიტეტს შეიძლება არ ჰქონდეს წყალსაცავის ჰიდროლოგიური, ეკოლოგიური ან კაშხლის უსაფრთხოების შეფასებისთვის საკმარისი რესურსი. ამიტომ ადგილობრივ ინიციატივებს ცენტრალური უწყებების, ოპერატორისა და დამოუკიდებელი სპეციალისტების მხარდაჭერა უნდა ახლდეს.

კერძო სექტორის მონაწილეობა შესაძლებელია აკვაკულტურის, ტურიზმის, რეკრეაციის, კვების, ტრანსპორტისა და სხვა მომსახურებების განვითარებაში. საქმიანობის ნებართვა კონკურენტულ და გამჭვირვალე წესს უნდა ეფუძნებოდეს და მოიცავდეს წყლის ხარისხის, ნარჩენების, უსაფრთხოების, ადგილობრივი დასაქმებისა და მონიტორინგის ვალდებულებებს.

მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი წყალსაცავისა და მიმდებარე ტერიტორიის მართვაში დაბრუნდეს. მხოლოდ კერძო შემოსავლის შექმნა, მაშინ როდესაც სანაპიროს დასუფთავებას, უსაფრთხოებასა და ეკოლოგიურ ზიანს საზოგადოება აფინანსებს, მდგრად მრავალფუნქციურ მოდელს ვერ შექმნის.

საქართველოს წყალსაცავების მრავალფუნქციური გამოყენების განვითარების მთავარი წინაპირობებია მონაცემთა ინტეგრაცია, ფუნქციების სამართლებრივი გამიჯვნა, წყალსაცავის ინდივიდუალური მართვის გეგმა, წყლის ხარისხისა და ეკოლოგიური ტევადობის შეფასება, უსაფრთხოების მოთხოვნები, მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და შემოსავლების გამჭვირვალე განაწილება.

შეჯამება

მრავალფუნქციური წყალსაცავი წარმოადგენს კომპლექსურ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ-ეკოლოგიურ სისტემას, რომლის ღირებულება ერთ კონკრეტულ ფუნქციაზე არ დაიყვანება. ელექტროენერგიის წარმოება, ირიგაცია, წყალმომარაგება, წყალდიდობის მართვა, აკვაკულტურა, ტურიზმი, რეკრეაცია და ეკოსისტემური ფუნქციები ერთი და იმავე წყლის რესურსთან არის დაკავშირებული და კოორდინირებულ მართვას საჭიროებს.

ფუნქციების ერთობლიობამ შეიძლება მნიშვნელოვანი სინერგია შექმნას. ენერგეტიკული გამოშვების შემდეგ წყალი შეიძლება ირიგაციისთვის იქნეს გამოყენებული, წყალსაცავის ინფრასტრუქტურამ ტურიზმის განვითარებას შეუწყოს ხელი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებულმა შემოსავალმა მონიტორინგისა და ეკოსისტემური ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოს.

ამავე დროს, ფუნქციებს შორის რეალური კონფლიქტებიც არსებობს. მაღალი ენერგეტიკული გამომუშავება შეიძლება რეკრეაციული დონის სტაბილურობას ეწინააღმდეგებოდეს, ირიგაციამ გარემოსდაცვითი ნაკადი შეზღუდოს, აკვაკულტურამ წყლის ხარისხი გააუარესოს, ხოლო ინტენსიურმა ტურიზმმა სასმელი წყლის უსაფრთხოებას შეუქმნას საფრთხე.

მრავალფუნქციური მართვის საფუძველი უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული ოპერირების წესები, რომლებშიც აისახება წყლის განაწილების პრიორიტეტები, სეზონური რეჟიმი, უსაფრთხოების მოთხოვნები, გარემოსდაცვითი ნაკადი და განსაკუთრებული პირობების მართვა. ოპერირება უნდა იყოს ადაპტაციური და რეგულარულ ჰიდროლოგიურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მონიტორინგს ეფუძნებოდეს.

წყალსაცავის ეკონომიკური შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც პირდაპირ საბაზრო შემოსავლებს, ისე თავიდან აცილებულ ზიანს, წყლის საიმედოობას, სისტემურ მოქნილობას, გარემოსდაცვით და სოციალურ დანახარჯებსა და ალტერნატიული გამოყენების ღირებულებას. ყველა ფუნქციის ფულად გამოხატვა შესაძლებელი არ არის, რის გამოც მიზანშეწონილია მრავალკრიტერიუმიანი შეფასების გამოყენება.

საქართველოს წყალსაცავების მართვაში დომინანტური პირველადი ფუნქცია კვლავ მნიშვნელოვანი რჩება, ხოლო მრავალფუნქციური გამოყენება ხშირად ერთიანი ეკონომიკური და მმართველობითი მოდელის გარეშე ვითარდება. ეს გარემოება ქმნის დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობების დაკარგვის, ფუნქციებს შორის კონფლიქტისა და ეკოლოგიური ზეწოლის რისკს.

საქართველოსთვის მიზანშეწონილია წყალსაცავების ფუნქციური ინვენტარიზაცია, მათი განვითარების შესაძლებლობის მიხედვით კლასიფიკაცია და შერჩეულ ობიექტებში მრავალფუნქციური მართვის პილოტური მოდელების განხორციელება. თითოეული მოდელი უნდა შეესაბამებოდეს წყალსაცავის პირველ დანიშნულებას, უსაფრთხოებას, წყლის ხარისხს, ეკოლოგიურ ტევადობასა და ადგილობრივი ეკონომიკის მოთხოვნებს.

ამრიგად, წყალსაცავების მრავალფუნქციური გამოყენება არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ დამატებითი კომერციული საქმიანობების განვითარებად. იგი წარმოადგენს წყლის, ენერგიის, ეკოსისტემებისა და ადგილობრივი ეკონომიკის ინტეგრირებული მართვის მოდელს, რომლის წარმატება დამოკიდებულია ფუნქციების კოორდინაციაზე, გამჭვირვალე მმართველობაზე, პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებასა და საზოგადოებრივი და კერძო სარგებლის დაბალანსებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გარემოს ეროვნული სააგენტო, 2026. წყლის რესურსები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
2. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, 2023. Annual Report 2023. თბილისი.
3. Costanza R., Daly H. E., 1992. Natural Capital and Sustainable Development. ჟ.: Conservation Biology, ტომი 6, № 1, გვ. 37-46. DOI: 10.1046/j.1523-1739.1992.610037.x
4. Global Water Partnership Technical Advisory Committee, 2000. Integrated Water Resources Management. TAC Background Paper No. 4, Stockholm, 71 გვ.
5. International Energy Agency, 2023. Georgia Energy Profile. Paris, IEA.
6. Intergovernmental Panel on Climate Change, 2022. Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Cambridge University Press.
7. United Nations et al., 2021. The United Nations World Water Development Report 2021: Valuing Water. UNESCO World Water Assessment Programme, Paris.

Mariam Keshelashvili

Aquaculture as a water-based economic activity

Summary

This study examines the economic, environmental, and governance significance of the multifunctional use of water resources and reservoirs. It analyses the key functions of reservoirs, including hydropower generation, irrigation, water supply, environmental protection, aquaculture, tourism, and recreation, with particular emphasis on synergies and potential conflicts among competing uses. The study further explores adaptive management approaches, water allocation principles, economic benefits, environmental costs, and governance models for multifunctional reservoirs. Special attention is given to the current practices and development opportunities of reservoirs in Georgia. Based on the analysis, the study proposes a framework for functional inventory and classification of reservoirs, as well as the introduction of pilot models for multifunctional reservoir management. The findings indicate that sustainable reservoir management requires effective coordination of multiple functions, transparent and adaptive governance, and a balanced approach to public and private interests.

Keywords: *water resources; reservoirs; multifunctional management; hydropower; sustainable development.*

მალხაზ ჩიქობავა

საკრედიტო ფული და ეკონომიკური კრიზისები

ანოტაცია. *კაპიტალიზმის თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტის მოგებას და სასესხო საბანკო პროცენტს მიმოქცევიდან ამოაქვს ფულადი მასის ნაწილი, რასაც მივყავართ მომხმარებლებისათვის ფულის ქრონიკულ უკმარისობასთან. ფული უგროვდებათ წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს და ბანკირებს, რაც იწვევს მომხმარებლებისთვის ფულის დეფიციტს და სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებას. ეს როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, კაპიტალისტისათვის დღეს არსებული მოგება იწვევს კაპიტალისტისათვის მოგების არარსებობას ხვალ. სწორედ ამაშია კაპიტალიზმის პარადოქსი. საბაზრო სისტემის ბალანსისათვის აუცილებელია, რომ ფულადი მასა მიმოიქცეოდეს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის დანაკარგების*

გარეშე, ანუ, კაპიტალისტის მოგებისა და მევახშის სასესხო პროცენტის გარეშე. ამ ბალანსის აღსადგენად აუცილებელია კაპიტალისტებისა და მევახშეების პირადი შემოსავლებიდან ამოღებული უნდა იქნეს ის ნაწილი, რომელიც მიედინება კაპიტალის დაგროვებაზე და ის უნდა დაბრუნდეს მიმოქცევაში მომხმარებელთა დამატებითი შემოსავლის სახით.

იბადება ბუნებრივი შეკითხვა: ეხება თუ არა კრიზისი კრედიტორებს, წარმოიქმნება თუ არა „დომინოს ეფექტი“, როცა კრედიტის გაკოტრებული მიმღები ითრევს ბანკირს? არაფერი მსგავსი არ ხდება! ბანკირებს არ უყვართ გარისკვა, ხოლო მსგავსი სიტუაციისგან დასაცავად მათ ნაცადი ინსტრუმენტი გააჩნიათ - გირაო. უფრო მეტიც: ბანკირებს სურვილიც კი აქვთ იმისა, რომ მათი კლიენტები გაკოტრდნენ. რატომ? იმიტომ, რომ გირაოს ღირებულება (მისი შესაძლო გაუფასურების გათვალისწინებითაც კი), როგორც წესი, გევრად აჭარბებს ვალის ოდენობას.

„ფულის წყურვილით“ იტანჯება არა მხოლოდ „პროფესიონალი“ კომერსანტები და სხვა საქმოსნები, არამედ მთელი საზოგადოება. აკი ფული ფორმირდება საზოგადოების ყველა წევრის - მეწარმეების (კომპანიების), კერძო პირებისა (ე.წ. „შინამეურნეობის“), და სახელმწიფოს ვალის ზრდის ხარჯზე. თუ ვისაუბრებთ სახელმწიფოზე, ის დღეს უმნიშვნელოვანესი მოვალე ხდება, რომელიც უშვებს ობლიგაციებს, ხოლო ამ ობლიგაციების საფუძველზე ბანკები ახდენენ კანონიერი საგადახდო საშუალების (ბანკნოტების) ემისიას. სწორედ ამგვარადაა ორგანიზებული „ნამდვილი“ ფულის ემისია განვითარებულ ქვეყნებში. საზოგადოების ყველა წევრი, როგორც გადასახადის გადამხდელი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ხდება მევახშეების მოვალე. ყოველწლიურად ე. წ. „საპროცენტო“ დანახარჯების (ე. ი. სახელმწიფო ვალზე მომსახურების დანახარჯების) წილი სახელმწიფო ბიუჯეტში იზრდება. ზოგიერთ ქვეყანაში ის უკვე შეადგენს ნახევარს და უფრო მეტსაც.

საკვანძო ტერმინები: *წარმოების ფაქტორები, წონასწორობა, ზედმეტი ღირებულება, მოგება, წარმოების წრებრუნვა, არასაკმარისი ერთობლივი მოთხოვნა, ჭარბი წარმოების კრიზისები.*

* * *

ფრანგმა მოაზროვნემ *ჟან ბატისტ სეიმ* თავის ნაშრომში *„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“* ჩამოაყალიბა რამდენიმე დებულება, რომელიც დღეს ეკონომიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოში შეიძლება ვიპოვოთ. უპირველეს ყოვლისა, ესაა *წარმოების სამი ფაქტორის თეორია,* რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულების ფორმირებაში მონაწილეობს შრომა, მიწა (უფრო ფართო გაგებით - ნებისმიერი ბუნებრივი რესურსი) და კაპიტალი. წარმოების ეს ფაქტორები წარმოადგენს საზოგადოების შემოსავლების წყაროს. მეორე მნიშვნელოვანი დებულება: საქონლის მიწოდება ნორმალურ საბაზრო გაცვლის პირობებში ავტომატურად ქმნის გადახდისუნარიან მოთხოვნას, მიწოდება ყოველთვის მოთხოვნის ტოლია. ამ დებულებას უწოდებენ *სეის კანონს,* ან *სეის დოგმას.* სეის თანახმად, „საბაზრო ეკონომიკაში“ ჭარბწარმოების ან ნაკლწარმოების არავითარი კრიზისი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. სეი მოესწრო 1825 წლის პირველ მსხვილ ჭარბწარმოების კრიზისს, მაგრამ მან ჩათვალა, რომ მოცემული კრიზისი წარმოადგენდა სამწუხარო გაუგებრობას, „წესისგან გამონაკლისს“, რომელიც განპირობებული იყო ისეთი სუბიექტური მიზეზით, როგორიცაა ბანკირების „არასწორი“ ქცევა. სეის ლოგიკა, რომელმაც ჩამოაყალიბა კანონი, ძალიან მარტივი იყო: საქონლის წარმოების დანახარჯები ფულის იმ რაოდენობის ტოლია, რომელსაც ღებულობს წარმოების

თითოეული ფაქტორის მფლობელი. მუშაკი ღებულობს ფულს ხელფასის სახით, მიწის (ბუნებრივი რესურსის) მფლობელი - რენტის სახით, კაპიტალის მფლობელი - ანაზღაურების სახით მიწოდებული კაპიტალისათვის. *ამგვარად, წარმოების დანახარჯების თანხა უტოლდება ფულის ოდენობას, რომლებიც აღმოჩნდა წარმოების ფაქტორების თითოეული მფლობელის ხელში* (Сэй, 2000).

მაგრამ, მოცემულ სქემაში არსებობს კითხვები, რომლებიც მოითხოვს დამატებით გააზრებას.

1. თუ წარმოების ფაქტორების მფლობელები არ იყენებენ მათ მიერ მიღებულ ფულს სრულად საქონლის საყიდლად იმ მიზეზით, რომ რომელიღაც საქონელი მათთვის არასაჭირო აღმოჩნდება? ანუ, გადახდისუნარიანი მოთხოვნა სასაქონლო მიწოდებაზე მაღალი აღმოჩნდება? ასეთი ნამდვილად შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს „ტექნიკური“ დარღვევაა, რომელიც იწვევს საქონლის „ნაკლწარმოების“ და არა „ჭარბწარმოების“ კრიზისს. მკაცრად რომ ვთქვათ, ეს უბრალოდ „შრომის პროდუქტებია“, რომლებიც ვერ იქცა „საქონლად“, ანუ, ვერ მოიპოვა საზოგადოებრივი აღიარება ბაზარზე. კაპიტალისტი-მეწარმეები დროთა განმავლობაში ახდენენ ბიზნესის წარმართვაში თავიანთი უნარჩვევების სრულყოფას და აწარმოებენ სინამდვილეში იმას, რაც ჭირდება მომხმარებლებს. ამის მტკიცებულებად გვევლინება ის, რომ კაპიტალიზმი თითქმის მხოლოდ და მხოლოდ „ჭარბწარმოების“ კრიზისებს აწყდება. კაპიტალისტები მომენტალურად რეაგირებენ ნებისმიერ „ნაკლწარმოებაზე“ და მომენტალურად ახდენენ მის ლიკვიდაციას.

2. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობა შეიძლება დაირღვეს იმის გამო, რომ წარმოების ფაქტორების მფლობელების ფული სრულად არ იქნება დახარჯული საქონელზე. ფულის ნაწილს ისინი ზოგავენ. მაგრამ მოცემული ეჭვი იხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „საბაზრო ეკონომიკაში“ ადგილი აქვს კონკურენციას და საქონლის წარმოება ისწრაფვის მინიმალურ დონემდე დანახარჯების შემცირებისკენ. ეს მინიმალური დონე განისაზღვრება წარმოების ნებისმიერი ფაქტორის მფლობელის მინიმალური მოთხოვნილებებით.

3. მაგრამ აქვე იბადება მესამე შეკითხვა: საეჭვოა, რომ კაპიტალისტებმა მოინდომონ ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობდნენ „პურიტანები“ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების წლებში, როცა უარს ამბობდნენ ყველაზე აუცილებელზეც კი. საეჭვოა კაპიტალისტებმა მოინდომონ იცხოვრონ ისე, როგორც ცხოვრობენ მათი დაქირავებული მუშაკები. კაპიტალისტი სწორედ იმიტომ ხდება კაპიტალისტი, რათა იცხოვროს ხელგაშლილად და ყოველთვის ჰქონდეს ბევრი ფული. მაგრამ ამ ფულს ის ღებულობს არა როგორც კომპენსაციას დანახარჯებზე, რომელიც გაწეული აქვს კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის მიწოდებაზე. ის თავის მილიონებს ღებულობს მოგების სახით. მოგება კი არის გაყიდული საქონლის ფასსა და წარმოების დანახარჯებს შორის სხვაობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალიზმს, ანუ „საბაზრო ეკონომიკას“ არსებობა შეუძლია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კაპიტალისტი ღებულობს მოგებას. მოგება „საბაზრო ეკონომიკის“ მიზანი და მამოძრავებელი ძალაა. როგორც საბჭოთა პერიოდში გვასწავლიდნენ, „კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი კაპიტალისტების მიერ მოგების მიღებაა“. თუ არ არსებობს მოგება, კაპიტალისტებისათვის წარმოება აზრს კარგავს. წარმოება ასეთ შემთხვევაში ჩერდება და დგება კრიზისი. კაპიტალიზმი მოგების გარეშე - ეს რაღაც ნონსენსია! ის იმიტომაც იწოდება კაპიტალიზმად, რომ მთელი „ეკონომიკა“ მიმართულია კაპიტალის გაფართოებაზე, ხოლო კაპიტალის გაფართოება კი მხოლოდ მოგებითაა შესაძლებელი. მარქსი „კაპიტალში“, მართალია, საუბრობს კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე

მოგების ნორმის შემცირების კანონზე - ტენდენციაზე. კრიზისის პირობებში შეიძლება წარმოიშვას მასობრივი ზარალიც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმი მოგების გარეშე ვერ შეძლებს არსებობას, როგორც თევზი - წყლის გარეშე.

მაშასადამე, მთავარი სეის სქემაში ნაკლი ისაა, რომ მას „დაავიწყდა“ მოგება. მოცემული სქემა განეკუთვნება არა კაპიტალიზმს, არამედ ეკონომიკის რომელიღაც სხვა მოდელს. მაგალითად, *მარტივ სასაქონლო წარმოებას,* როცა ცალკეული საქონელმწარმოებლები ყიდიან თავიანთ შექმნილ საქონელს არა მოგების მისაღებად, არამედ წარმოების დანახარჯების ასანაზღაურებლად და მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად. როგორც ჩანს, სეიმ თავისი თეორია შეიმუშავა ისე, რომ თვალწინ ედგა არა კაპიტალიზმი, არამედ მარტივი სასაქონლო წარმოება, რომელიც მის დროში ჯერ კიდევ არ იყო სრულად განადგურებული.

კაპიტალისტურ წარმოებაში საიდან მოდის მოგება? კაპიტალისტების სამეურნეო ქცევის უმთავრესი მოტივაცია მოგების მიღებაა. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როცა დანაკარგებსაც აქვს ადგილი. ქრონიკული ზარალის შემთხვევაში კაპიტალისტი სოციალური აზრით „კვდება“: ადგილი აქვს ბანკროტობას და ის აგრძელებს ცხოვრებას უკვე სხვა ამპლუაში - არა როგორც კაპიტალისტი. მთავარია არა ფაქტობრივი მდგომარეობა ცალკე აღებული მეწარმისა, არამედ ის, რომ მთელი საზოგადოება „დაპროგრამებულია“ წარმოებაზე და მოგების მიღებაზე, რომელიც კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონია. გარკვეული დროის მანძილზე, კაპიტალისტური საზოგადოების მთელ „ეკონომიკას“ შეიძლება გააჩნდეს უარყოფითი ფინანსური შედეგი, ე.ი. დანაკარგები. მაგრამ, ეს კაპიტალიზმისათვის „საგანგებო მდგომარეობაა“, ამას ეწოდება „კრიზისი“. ეს შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს.

ისმის შეკითხვა: საიდან მოდის ცალკე აღებული კაპიტალისტისა და, მთლიანობაში, კაპიტალისტების მთელი კლასის მოგება? მარქსი თავს არიდებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, სამაგიეროდ „კაპიტალში“ გვიყვება ზედმეტი ღირებულების ფორმირების „საიდუმლოზე“. კლასიკოსი სკრუპულოზურად (ათეულობით გვერდზე) გვიყვება, რომ ესაა საქონლის საერთო ღირებულებასა და მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის (დანახარჯები ნედლეულზე, აღჭურვილობაზე, სამუშაო ძალაზე და ა. შ.) სხვაობა და რომ ზედმეტი ღირებულება წილად ხვდება კაპიტალისტს, წარმოების მეპატრონეს. მართალია, შემდეგ კაპიტალისტს უწევს გაუნაწილოს ზედმეტი ღირებულება სავაჭრო და ფულად კაპიტალისტებს, რომლებიც მოითხოვენ თავიანთ წილებს „მომსახურების“ გაწევაზე. ზედმეტი ღირებულება „დანაწევრების“ შემდეგ ღებულობს სახელწოდებებს: საწარმოო მოგება, სავაჭრო მოგება, სასესხო პროცენტი (საბანკო მოგება).

თუ მარქსის დებულებას გამოვხატავთ ფორმულის სახით, მივიღებთ:

ზედმეტი ღირებულება = კაპიტალისტების ყველა ჯგუფის მოგება = საქონლის ფასი - წარმოების დანახარჯები.

„კაპიტალში“ ზედმეტი ღირებულების შექმნისა და „დანაწილების“ პროცესების გრძელი და საკმაოდ მოსაწყენი აღწერის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვერ ვღებულობთ პასუხს კითხვაზე: რის გამოა, რომ საქონლის ფასი (მისი ღირებულება) წარმოების დანახარჯებზე მეტი ხდება? გავიხსენოთ, რომ სეის თანახმად უნდა იყოს:

საქონლის ფასი = წარმოების დანახარჯები = წარმოების ფაქტორების მფლობელთა ფულადი დაჯილდოვება (დაქირავებული მუშაკების, მიწის მფლობელების, კაპიტალისტების)

მაშასადამე, სახეზეა შეუსაბამობა. მარქსი სეისგან განსხვავებით საერთოდ არ არის „რომანტიკოსი“. მით უფრო, რომ ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფრანგთან შედარებით ნახევარი საუკუნით გვიან, როცა კაპიტალიზმი უკვე საბოლოოდ იყო ჩამოყალიბებული. ვფიქრობთ, რომ მარქსს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ბოლომდე არ თქვა. არ თქვა ის, რომ ფასების გადაჭარბება წარმოების დანახარჯებზე შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მყიდველებს უჩნდებათ გარკვეული დამატებითი ფული, რომლებიც არ შედის წარმოების დანახარჯების შემადგენლობაში. ეს საშუალებას აძლევს საქონელმწარმოებლებს აამაღლონ ფასები დანახარჯების დონეზე ზემოთ და მიიღონ მოგება. საიდან მოდის დამატებითი ფული?

მაგალითად, დამატებითი ფული ქვეყანაში შეიძლება შემოვიდეს გარედან. კერძოდ, საზღვაო ძარცვების, „ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების“, კოლონიების ძარცვის შედეგად და ა. შ.. სხვათა შორის, სწორედ ამან განსაზღვრა წინასწარ ინგლისური კაპიტალიზმის საკმაოდ სწრაფი განვითარება, შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა ჯგუფის კაპიტალისტებს მიეღოთ მოგება და გამხდარიყვნენ „მოდელი“ წარმოების ახალი წესის და „შუქურა“ სხვა ქვეყნებისათვის. ხოლო რუსეთის „ჩამორჩენილობის“ წინააღმდეგ მრავალმა მებრძოლმა, ისე, რომ ვერ ერკვეოდნენ საქმის ვითარებაში, უკვე მე-19 საუკუნეში მოითხოვა ინგლისის მაგალითის აღება, როგორც ყველაზე „მოწინავე“ ქვეყნისა. ანუ, ქვეყანა უნდა დადგომოდა საერთაშორისო ძარცვის გზას.

თუ ავიღებთ „ეკონომიკის“ დახურულ მოდელს, მაშინ ქვეყნის შიგნით ამგვარი დამატებითი ფულის წყარო ერთია - მევახშეების კრედიტები. *სწორედ ამ კრედიტებზე დგას კაპიტალიზმის მთელი ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომლის შესახებაც დაწერა კ. მარქსმა რამდენიმე ათასი გვერდი თავის „კაპიტალში“, მაგრამ მაინც არ გაამჟღავნა „ წარმოების კაპიტალისტური წესის“ მთავარი საიდუმლო.*

კრედიტების გაცემა შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის მსესხებელზე:

ა) ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის კომპანიებზე (საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე და ა.შ.);

ბ) შინამეურნეობებზე (უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ცალკეულ მოქალაქეებზე, ფიზიკურ პირებზე);

გ) სახელმწიფოზე (ცენტრალურ მთავრობაზე, რეგიონალურ ხელისუფლებებზე, მუნიციპალიტეტებზე).

იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი არხიდან იწარმოებს „ეკონომიკაში“ კრედიტების სახით დამატებითი ფულის „გადასროლა“, ისინი ამა თუ იმ გზით მოხდება იმათ ხელში, რომლებიც აყალიბებენ საქონელზე გადახდისუნარიან მოთხოვნას (ხელფასების, პრემიების, ჰონორარების, პენსიების, დახმარებების, სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტების სახით და ა. შ.). *დამატებითი გადახდისუნარიანი მოთხოვნა საშუალებას მისცემს საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებს დააწესონ ფასები წარმოების დანახარჯებზე ზემოთ და მიიღონ სანუკვარი მოგება.* შემდეგ კაპიტალისტ-მეწარმეთა მოგება ნებაყოფლობით ან იძულებით გადაირიცხება კაპიტალისტ-მეწარმეთა მიერ მევახშეების სეიფებში.

ნებაყოფლობით - საშუალებების განთავსების სახით სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე, იძულებით - სხვადასხვა სახის „რეკვიზიციის“ სახით, რომელსაც ბანკირები ატარებენ კრიზისების დროს (ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).

სამწუხაროდ, ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის და ა.შ. თანამედროვე სახელმძღვანელოები არაფერს გასაგებს არ გვეუბნებიან „საბაზრო ეკონომიკაში“ მოგების წარმოშობის შესახებ. მარქსის მსგავსად, ისინი გულდასმით იცავენ „საიდუმლოს“ წარმოების კაპიტალისტურ წესზე (Катасонов, 2011).

მაგრამ *„საბაზრო ეკონომიკის“ „გადავსება“ ზედმეტი (საქონლის წარმოების ორგანიზაციის ამოცანის თვალსაზრისით) ფულით კრედიტების სახით ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან ასეთი „ეკონომიკა“ მივა კრიზისამდე.* რატომ? იმიტომ, რომ ნასესხები ფული უკან უნდა დაბრუნდეს, ეს კი ნიშნავს, რომ დროის რაღაც მომენტში „ეკონომიკიდან“ ფულის გადადინება მევახშეების სეიფებში გადააჭარბებს მევახშეებისაგან „ეკონომიკაში“ ფულის მიდინებას. დროის ამ მომენტში მოგების ნორმა მთლიანობაში მთელ „ეკონომიკაში“ ნულამდე დაეცემა, ხოლო შემდეგ მიიღებს უარყოფით მნიშვნელობას. სწორედ ესაა „ჭარბწარმოების“ კრიზისი, როცა გადახდისუნარიანი მოთხოვნა აღმოჩნდება ნაკლები საქონლის წარმოების დანახარჯებზე. ფაქტობრივად, *საზოგადოება აწყდება კრიზისულ მოვლენას იმ მომენტში, როცა ფული თავისი ძირითადი ფუნქციის - გაცვლისა და გადახდის საშუალების - გარდა იწყებს ასევე შეასრულოს დაგროვების საშუალების ფუნქცია, თანაც ისეთი სპეციფიკური ფორმით, როგორიცაა მოგების ფორმირების საშუალება.* ჩვენს მიერ გამოყენებული სიტყვა „მომენტი“ საკმაოდ პირობითია, რამდენადაც ფულის ფუნქციის „მუტაცია“ ხდებოდა არა ერთ დღეში ან წელიწადში, არამედ იწელებოდა ათწლეულობით და ასწლეულობით. დაავადება მწიფდებოდა ძალიან ნელა და შეუმჩნევლად. პირველად კი გამომზეურდა ჭარბწარმოების მასშტაბური კრიზისის სახით მხოლოდ და მხოლოდ 1825 წელს.

„ეკონომიკაში“ დისბალანსი საკრედიტო გადატუმბვით გარდაუვალია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტები უპროცენტო იქნება. მაგრამ სიტუაცია კიდევ უფრო ღრმავდება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტებზე გადაიხდევინება პროცენტები. მევახშეები კი იმიტომაც იწოდებიან მევახშეებად, რომ ფულს იძლევიან ვახშით, ანუ, პროცენტებში.

დაწვრილებით განვიხილოთ *დისბალანსის წარმოქმნის მექანიზმი პროცენტიანი კრედიტების გაცემის შემთხვევაში.*

ფულის რაოდენობა, რომელიც არსებობს ეკონომიკაში, ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ ნებისმიერი ფორმით ყველა ემიტირებული ფულის რაოდენობის ტოლია. დავუშვათ, რომ ბანკებმა გამოუშვეს საკრედიტო ფული 1000 ერთეულის ოდენობით. სწორედ ამდენივე ფული იქნება მიმოქცევაში და ეკონომიკაში სხვა ფული არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. ამ დროს, ეკონომიკაში წარმოიქმნება სავალო ვალდებულება, რომელიც ტოლია ვალის ძირითად თანხას, ანუ 1000 ერთეულს პლუს პროცენტები ვალზე. დავუშვათ, რომ ვალის დაფარვის საშუალო ვადა ერთ წელს შეადგენს, ხოლო ამ პერიოდში დარიცხული პროცენტების ოდენობა შეადგენს 500 ერთეულს. ამგვარად, სავალო ვალდებულებების საერთო მოცულობა, რომელიც უნდა დაიფაროს პერიოდის ბოლოს, შეადგენს 1500 ერთეულს. მაგრამ, ეკონომიკაში მხოლოდ 1000 ერთეული ფულია! ანუ, ყველა მოვალეზე ფული არასაკმარისია! ამგვარად, საკრამენტალური ფრაზა „ფული არასოდეს არის საკმარისი“, რომელსაც ზოგჯერ წარმოვთქვამთ, ძალიან ღრმა აზრის მატარებელია. საუბარი ეხება, რასაკვირველია, არა იმას, რომ ადამიანს თავისი ბუნებით შეუძლია შეუკავებლად მოახდინოს თავისი მოთხოვნილებების კულტივირება და გაფართოვება, რომელზეც შეიძლება მთელი

მსოფლიოს ფული არ იყოს საკმარისი. საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებაში არსებული საკრედიტო ფული არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დაიფაროს ყველა წარმოშობილი ვალდებულება (Катасонов, 2011).

გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის „ფულადი რევოლუციის“ მომენტში „ფულის წყურვილით“ იტანჯებოდნენ მხოლოდ მცირედნი (მევახშეები), რომელთათვისაც ფული წარმოადგენდა ხელისუფლებისა და ბატონობის უნივერსალურ და ყველაზე ეფექტიან საშუალებას. ახალი დროებისათვის (კაპიტალიზმის ეპოქისათვის) „ფულის წყურვილი“ გახდა საყოველთა დაავადება. მაგრამ ამავდროულად, ამგვარ „მწყურვალთა“ 99 პროცენტისათვის ფულისადმი გამოდევნება კრედიტორ-მევახშეთა სავალო მარყუჟისგან მხოლოდ თავის დაღწევის საშუალება გახდა. ფულზე გამოდევნებამ კონკურენცია ცხოვრების ნორმად აქცია, სწორედ მევახშური პროცენტის ლეგალიზაციამ გადააქცია საზოგადოებრივი ურთიერთობა *„ყველას ომად ყველას წინააღმდეგ“ (თომას ჰობსი)*.

კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს რიცხობრივ მაგალითს:

დავუშვათ, მეწარმეები, რომლებმაც მიიღეს კრედიტები, იმედოვნებენ საქონლის რეალიზაციის შემდეგ მოგების მიღებას, რომელიც 500 ერთეულის ტოლია. შესაბამისად, საქონლის ფასი ტოლი იქნება: 1000 ერთეული კრედიტი (რომელიც დახარჯულ იქნა მუშაკთა ხელფასებზე, ნედლეულზე, ენერგიაზე, მოწყობილობაზე და ა. შ.) პლუს 500 ერთეული პროცენტები (რომელიც უნდა აუნაზღაურდეს კრედიტორს ერთი წლის განმავლობაში), პლუს 500 ერთეული მოსალოდნელი მოგება. გამოდის, რომ საქონლის ფასი (რომელიც ჩართულია მეწარმეების გამოთვლებში) 2000 ერთეულის ტოლია. ჩვენს პირობით მაგალითში მეწარმეების მიერ მოსალოდნელი მოგების ნორმა 33,3%-ის ტოლია (500 ერთეული მოგება გაყოფილი 1500 ერთეულ წარმოების დანახარჯებზე, პროცენტების გადახდის ჩათვლით). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეწარმემ კიდევ უნდა გადაიხადოს მოგების გადასახადი, წმინდა მოგების ნორმა შეიძლება არსებითად დაბალი აღმოჩნდეს (Катасонов, 2011).

ამგვარად, ჩვენი პირობითი მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ყოველ ფულად ერთეულზე, რომელიც მიმოიქცევა ქვეყანაში, 2 ფულადი ერთეულის ღირებულების მქონე საქონელია კონკურენციაში. ესაა მარტივი რიცხობრივი ახსნა იმისა, თუ საიდან მოდის კაპიტალიზმის დროს *კონკურენცია* და „პროფესიონალი ეკონომისტები“ რატომ უწოდებენ „კონკურენციისადმი მიდრეკილებას“ ადამიანის „ბუნებრივ“ (და თვით „მარადიულ“) თვისებას. კონკურენციაზე, როგორც „ფულადი ეკონომიკის“ გარდაუვალ ატრიბუტზე ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ შემდეგ განყოფილებაში.

მაგრამ, საქონელმწარმოებელთა ყველა ხრიკისა და კონკურენციის გამკაცრების მიუხედავად, *საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნა ყოველთვის უფრო ნაკლებია საქონლის მიწოდებაზე,* თანაც სხვაობა ტოლია დარიცხული პროცენტების სიდიდის (ჩვენს მაგალითში - 500 ერთეულის). დაგეგმილი მოგების ნორმის მიღებაზე კი (ჩვენს რიცხობრივ მაგალითში - 33,3%-ის) ოცნებაც კი ზედმეტია! აქედან გამომდინარე, გარდაუვალი ხდება ბანკროტობა და ჭარბწარმოების კრიზისის ყველა დანარჩენი ატრიბუტი.

სამწუხაროდ, კრიზისების წარმოშობის მიზეზების ზემოთ გადმოცემული მარტივი ჭეშმარიტებები არ არის ახსნილი ეკონომიკის სახელმძღვანელოებში. რატომ არ უნდა ავუხსნათ სტუდენტებს რამდენიმე გვერდზე სამი ძალიან მარტივი აზრი? ამის არსი შემდეგში გამოიხატება:

ა) კრიზისების მიზეზს წარმოადგენს მოგება (საბოლოო ჯამში, საბანკო მოგება, პროცენტი);

ბ) თანამედროვე ცივილიზაცია (სახელწოდებით „კაპიტალიზმი“) აგებულია ისეთნაირად, რათა უზრუნველყოს კაპიტალისტების (საბოლოო ჯამში, ბანკირების) მიერ მოგების მიღება;

გ) კრიზისების დასაძლევად საზოგადოებამ აუცილებლად უნდა შეცვალოს თავისი განვითარების მოდელი, უარი უნდა თქვას მოდელზე სახელწოდებით „კაპიტალიზმი“.

მაგრამ, განა იმისათვის იწერება ეკონომიკის სახელმძღვანელოები, რომ ვამხილოთ კაპიტალიზმი, არამედ პირიქით, იმისათვის, რათა დავამტკიცოთ, რომ: „კაპიტალიზმი ყველაზე სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობაა“ (Гэлбрейт, 2009). ანუ, მევახშეებს შევუქმნათ პირობებით იმისათვის, რათა მათ უსასრულოდ დიდხანს შეძლონ თავიანთი სასესხო პროცენტის მიღება.

მადლობა ღმერთს, დღეს სტუდენტებს (და არა მარტო მათ) აქვთ ეკონომიკის სახელმძღვანელოების ალტერნატივა. კერძოდ, ინტერნეტში ბოლო დროს გამოჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობის პუბლიკაცია. აი, მაგალითად, *ანდრეი მაქსონის* სტატია სახელწოდებით *„ანტიკრიზისული გადასახადი“*, რომელშიც ის წერს:

„კაპიტალიზმის თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტის მოგებას და სასესხო საბანკო პროცენტს მიმოქცევიდან ამოაქვს ფულადი მასის ნაწილი, რასაც მივყავართ მომხმარებლებისათვის ფულის ქრონიკულ უკმარისობასთან. ფული უგროვდებათ წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს და ბანკირებს, რაც იწვევს მომხმარებლებისთვის ფულის დეფიციტს და სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებას. ეს როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, კაპიტალისტისათვის დღეს არსებული მოგება იწვევს კაპიტალისტისათვის მოგების არარსებობას ხვალ (აღვნიშნავთ, რომ ეს დებულება არ ვრცელდება მსოფლიო მევახშეებზე, ისინი მოგებას ყოველთვის ღებულობენ). სწორედ ამაშია კაპიტალიზმის პარადოქსი. საბაზრო სისტემის ბალანსისათვის აუცილებელია, რომ ფულადი მასა ცირკულირებდეს ერთობლივ მწარმოებლებსა და ერთობლივ მომხმარებლებს შორის დანაკარგების გარეშე, ანუ, *კაპიტალისტის მოგებისა და მევახშის სასესხო პროცენტის გარეშე.* და ამ ბალანსის აღსადგენად აუცილებელია კაპიტალისტებისა და მევახშეების პირადი შემოსავლებიდან უნდა იქნეს ამოღებული ის ნაწილი, რომელიც მიედინება კაპიტალის დაგროვებაზე და ის უნდა დაბრუნდეს მიმოქცევაში მომხმარებელთა დამატებითი შემოსავლის სახით“ (Максон, 2008).

იბადება ბუნებრივი შეკითხვა: ეხება თუ არა კრიზისი კრედიტორებს, წარმოიქმნება თუ არა „დომინოს ეფექტი“, როცა კრედიტის გაკოტრებული მიმღები ორმოში ითრევს ბანკირს? არაფერი მსგავსი არ ხდება! ბანკირებს არ უყვართ გარისკვა, ხოლო მსგავსი სიტუაციისგან დასაცავად მათ ნაცადი ინსტრუმენტი გააჩნიათ - *გირაო.* უფრო მეტიც: ბანკირებს სურვილიც კი აქვთ იმისა, რომ მათი კლიენტები გაკოტრდნენ. რატომ? იმიტომ, რომ გირაოს ღირებულება (მისი შესაძლო გაუფასურების გათვალისწინებითაც კი), როგორც წესი, ბევრად აჭარბებს ვალის ოდენობას. კლასიკურ ლიტერატურაში გამოყვანილია მევახშის სახე, რომელიც, სხვათა შორის, ოცნებობს არა პროცენტებზე, არამედ გირაოზე! *(„ო. ბალზაკი „გობსეკი“, უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ და სხვ.)* (Катасонов, 2011).

„ფულის წყურვილით“ იტანჯება არა მხოლოდ „პროფესიონალი“ კომერსანტები და სხვა საქმოსნები, არამედ მთელი საზოგადოება. აკი ფული ფორმირდება საზოგადოების ყველა წევრის - მეწარმეების (კომპანიების), კერძო პირებისა (ე.წ.

„შინამეურნეობის“), და სახელმწიფოს ვალის ზრდის ხარჯზე. თუ ვისაუბრებთ *სახელმწიფოზე,* ის დღეს უმნიშვნელოვანესი მოვალე ხდება, რომელიც უშვებს ობლიგაციებს, ხოლო ამ ობლიგაციების საფუძველზე ბანკები ახდენენ კანონიერი საგადახდო საშუალების (ბანკნოტების) ემისიას. სწორედ ამგვარადაა ორგანიზებული „ნამდვილი“ ფულის ემისია განვითარებულ ქვეყნებში. საზოგადოების ყველა წევრი, როგორც გადასახადის გადამხდელი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ხდება მევახშეების მოვალე. ყოველწლიურად ე. წ. „საპროცენტო“ დანახარჯების (ე. ი. სახელმწიფო ვალზე მომსახურების დანახარჯების) წილი სახელმწიფო ბიუჯეტში იზრდება. ზოგიერთ ქვეყანაში ის უკვე შეადგენს ნახევარს და უფრო მეტსაც.

მაგალითად, ადამიანი, რომელიც ხელზე ფლობს დოლარის კუპიურას, ფიქრობს: მე პატიოსნად „გამოვიმუშავე“ ეს ფული, მე არავის არაფერი მმართებს, მე მას არავის მივცემ. ეს ადამიანი ცდება. ამ ფულის „დაბადება“ განპირობებულია კიდევ ვიღაცის ვალის გაჩენით. ჩვეულებისამებრ, სახელმწიფოს ან კერძო ბიზნესს ეს ფული ძალიან ჭირდება თავად ამ ვალის დასაფარავად. და ისინი აკეთებენ ყველაფერ შესაძლებელს იმისათვის, რათა თქვენ იყოთ მოვალე სახელმწიფოს ან კერძო ბიზნესის მიმართ და გამოეთხოვოთ ამ ფულს. და ეს გაკეთდება ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, „კულტურულად“: *ან გადასახადების, ან ფასების ზრდის (ინფლაციის) მექანიზმის მეშვეობით.* ფულის გამომძალვის აშკარა ბანდიტურ მეთოდებზე ჩვენ არ ვსაუბრობთ.

ისმის კიდევ ერთი კითხვა: რატომ წარმოიშობა ჭარბწარმოების კრიზისები გარკვეული პერიოდულობით, თანაც მათ შორის პერიოდები საკმაოდ მაღალია (10-20 და უფრო მეტი წელი)? ალბათ მიმოქცევაში არსებული საკრედიტო ფულის რაოდენობასა და დაფარვას დაქვემდებარებულ ვალდებულებების სიდიდეებს შორის დისპროპორციის გამო კაპიტალისტური ეკონომიკა იქნებოდა პერმანენტული სტაგნაციის მდგომარეობაში. მაგრამ, ბანკირებს აქვთ საშუალება მართონ ფულადი მასის მიწოდება, კერძოდ, გაზარდონ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა *წარმოშობილი ვალების რეფინანსირების გზით.* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი საკრედიტო ვალდებულებების დასაფარავად ბანკირები გასცემენ ახალ კრედიტებს. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მაშინ საქონლისა და მომსახურების შექმნის პროცესი საერთოდ გაჩერდება, ვინაიდან ფული სწრაფად დაიწყებს გასვლას მიმოქცევიდან, მოიყრის რა თავს მევახშეების სეიფებში.

იმისათვის, რომ კლიენტი არ მოწყდეს „ანკესს“, ბანკირებმა გამოიმუშავეს „რკინისებური წესი“: კლიენტმა, რომელსაც არ ყოფნის ფული კრედიტორის წინაშე არსებული ყველა ვალდებულების დასაფარავად, თავდაპირველად უნდა გადაიხადოს პროცენტები, ხოლო ვალის ძირითადი თანხა ამ დროს რჩება დაუფარავი. ეს უზრუნველყოფს კლიენტის კრედიტორზე დამოკიდებულების შენარჩუნებას. ამას ასევე ხელს უწყობს წესი: თუ კლიენტს სურს ვადაზე ადრე დაფაროს თავისი ვალდებულებები კრედიტორის წინაშე, მან უნდა გადაიხადოს ჯარიმა. ზოგჯერ ვადაზე ადრე დაფარვა აკრძალულია. ერთი სიტყვით: *„დოლარი - შესასვლაზე, ათი დოლარი - გასვლაზე“!*

ამგვარად, ხორციელდება სავალო „პირამიდის“ შენებლობა. „ეკონომიკას“ „აჩქარებენ“. ასეთი „დაჩქარებისთვის“ ასევე ძალიან შესაფერისია საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტები, რომლებიც ჩვეულებისამებრ გამოიყენება საინვესტიციოდ წარმოების იმავე ტექნიკური გადაიარაღებისათვის, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგრამ საჭიროა გარკვევა შემდეგში: რომელია პირველადი და რომელი - მეორადი? ტექნიკური პროგრესი მართავს საკრედიტო ფული მიწოდებას (რაც ფაქტობრივად კ. მარქსის პოსტულატია) თუ საკრედიტო ფულის მასის რეგულირება საშუალებას იძლევა

ვმართოდ ტექნიკური პროგრესი? რასაკვირველია, მეორე. ბანკირები არ არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ „ეკონომიკა“ პერმანენტულად იყოს სტაგნაციაში ან მუდმივად „ბორძიკობდეს“ (Бернар, 2007).

ეყრდობიან რა ვალის რეფინანსირების ინსტრუმენტებს და კრედიტების ვადის ზრდას, ბანკირები წელავენ ეკონომიკურ ციკლს 10-20 წლამდე. სწორედ ამ დროისათვის ეკონომიკა ასწრებს აჩვენოს კარგი „ზრდა“, რომლის შემდეგაც შეიძლება *„ცხვრების პარსვით“* დაკავება. დიახ! მსოფლიო ბანკირების სწორედ ასეთ ცინიკურ ენაზე ქვია იმ მოვლენას, რომელიც ეკონომიკის ჭკვიან სახელმძღვანელოებში იწოდება „რეცესიად“. შესაძლოა, მათ შეუძლიათ კიდევ გადაავადონ გარკვეული დროით „პარსვის“ მათთვის ესოდენ სასიხარულო მომენტი, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მატარა „მაგრამ“, რომელიც მათ არ აძლევს საშუალებას გაწელონ „პარსვა“. საუბარია იმაზე, რომ კრედიტების მომდევნო გაცემა შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ არაფერია ახალი კრედიტების უზრუნველსაყოფი. რა რაოდენობის მრავალი ნებისმიერი სახის ქონებაც არ უნდა დააგროვოს საზოგადოებამ, 10-20 წლიანი პერიოდისათვის ყოველივე ფასეულისა და ლიკვიდური ქონების დიდი ნაწილი აღმოჩნდება მევახშეების ხელში გირაოს სახით. ხოლო მევახშეები, როგორც ცნობილია, - ძალიან ფრთხილი ბატონები არიან და ასე უბრალოდ არავის არაფერს აძლევენ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაიწყო ვირტუალური აქტივების სწრაფი ზრდა ფასიანი ქაღალდების სახით. მაგრამ ნამდვილი მევახშეები ასეთ ვირტუალურ ქონებას თავაზობენ სხვებს, თავად კი უპირატესობას ანიჭებენ უფრო ხელშესახებს (ფიზიკურ ქონებას). ასე რომ, ამ ხელშესახებ (ფიზიკურ) ქონებასთან მიმართებაში დღეს ყველაფერი უარესდება: ვირტუალური ქონების სწრაფად მზარდი მასის ფონზე მისი შეფარდებითი მასშტაბები მცირდება; ასევე მცირდება ამგვარი ქონების აბსოლუტური მასშტაბები, რადგანაც საზოგადოება ბოლო წლებში დაკავებულია მისი აქტიური „შთანთქმით“. ამიტომ შეიძლება ველოდოთ, რომ „პარსვებს“ შორის ვადები შემცირდება.

„მოსავალი“, რომელსაც მევახშეები იღებენ კრიზისების დროს, შეუდარებელია იმ შემოსავლებთან, რომელსაც ისინი ღებულობენ „მშვიდობიან დროს“ (ე.ი. კრიზისებს შორის პერიოდებში). ისინი იმკიან, სულ მცირე, ორ „მოსავალს“. ესენია: პირველი - თავიანთი გაკოტრებული კლიენტების გირაოები. მეორე - სხვა რეალური აქტივები (მათ შორის, სამრეწველო საწარმოების აქციები და ა. შ.), რომლებიც თავისუფლად მიმოიქცევიან ბაზარზე და რომლებიც მკვეთრად იაფდება ვარდნის პერიოდებში (ანუ, ადგილი აქვს დეფლაციას). მით უმეტეს, ამისათვის მევახშეებს დაგროვილი აქვთ უზარმაზარი ფულადი კაპიტალი, ამას დამატებული ყოველთვის მზადყოფნაში არსებული ფულის „საბეჭდი მანქანა“.

ასეთი მდიდარი „მოსავალი“ ბანკირებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ხელოვნური კატასტროფების ორგანიზებით, როგორიცაა ომები და რევოლუციები. 2008-2009 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისი ხელს აძლევდა მსხვილ ბანკებს. მრეწველები დეპრესიის პირობებში დარჩნენ მოგების გარეშე და იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ სამრეწველო აქტივები ბანკებისთვის ვალის სანაცვლოდ. ამ კრიზისის ძირითადი შედეგი იყო საკუთრების გადანაწილება ფინანსისტების სასარგებლოდ. კრიზისის „ამოქმედდებისათვის“, უბრალოდ აუცილებელი გახდა ფულადი მიმოქცევის „ვენტილის“ გადაკეტვა. ჩვეულებისამებრ, ეს გააკეთა მევახშეების „გენერალურმა შტაბმა“, რომელსაც ცენტრალური ბანკი ეწოდება. მან გააჩერა რეფინანსირების ოპერაციები და/ან მკვეთრად გაზარდა სააღრიცხვო განაკვეთი, რამაც ფული ხელმიუწვდომელი გახადა. „გენერალური შტაბის“ აქციის კვალდაკვალ დაიწყო ცალკეული მევახშეების მოქმედება. მაგალითად, დაიწყო

მოქმედი კრედიტების დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნები (ხშირად საკრედიტო შეთანხმება არ განსაზღვრავს დაფარვის ზუსტ ვადებს, ასეთ კრედიტებს ეწოდება „ონქოლური“, რომელიც იფარება კრედიტორის პირველივე მოთხოვნისთანავე). არსებობს სხვა „დეტონატორებიც“, რომლებსაც ძალუძთ კრიზისების გამოწვევა, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бернар А. Лиетер. Будущее денег: новый путь к богатству, полноценному труду и более мудрому миру / Пер. с англ. М.: КРПА Олимп; АСТ; Астрель, 2007.
2. Джон Кеннет Гэлбрейт. Великий крах 1929 года / Пер. с англ. Минск: Попурри, 2009.
3. Катасонов В.Ю., (2011). О проценте ссудном, подсудном, безрассудном. Хрестоматия современных проблем «денежной цивилизации». Кн. 1. М.: НИИ школьных технологий, 2011. გვ. 96-106
4. Максон А., (2008). Антикризисный налог //Интернет. Сайт «Мальчиш-Кибальчиш».
5. Маркс К. Денежный кризис в Европе / / New York Daily Tribune. 15.10.1856//Интернет.
6. Сэй Ж.-Б. Трактат по политической экономии. М.: Дело, 2000.

Malkhaz Chikobava

Credit Money and Economic Crises
Summary

The core contradiction of the contemporary capitalist economic system lies in the fact that capitalist profit and bank interest withdraw a portion of the money supply from circulation, leading to a chronic deficiency of liquidity among consumers. Wealth accumulates in the hands of the owners of the means of production and bankers, thereby generating a monetary deficit for consumers and inducing a contraction in consumer demand. Paradoxically, the present profit accrued by capitalists precipitates the absence of profit for them tomorrow, which constitutes the fundamental paradox of capitalism. To maintain equilibrium within the market system, it is essential for the money supply to circulate between producers and consumers without leakage—namely, without capitalist profit and usurious interest. Restoring this balance necessitates extracting the fraction of personal income from capitalists and moneylenders that flows into capital accumulation, and redirecting it back into circulation in the form of supplementary consumer income.

A natural question arises: does the crisis affect creditors, and does a "domino effect" emerge wherein a defaulted borrower drags down the banker? Evidence suggests otherwise. Bankers are intrinsically risk-averse, and they utilize a well-established instrument to mitigate such scenarios: collateral. Furthermore, a structural incentive exists for bankers regarding client defaults; this is because the value of the collateral—even accounting for potential depreciation—typically significantly exceeds the outstanding debt balance.

The liquidity deficit, or the systemic "thirst for money," afflicts not only commercial entities and market participants but society as a whole. This occurs because the money supply expands through the accumulation of debt across all economic agents: enterprises, private individuals (households), and the state. In contemporary economies, the state operates as a primary debtor, issuing sovereign bonds that financial institutions subsequently leverage to emit legal tender. This mechanism constitutes the fundamental framework for fiat currency emission within developed economies. Consequently, all societal members, acting in their capacity as taxpayers, inadvertently become indebted to creditors. Annually, the proportion of interest expenses allocated to servicing public debt within state budgets increases, exceeding fifty percent in several jurisdictions.

Keywords: *Factors of production, Economic equilibrium, Surplus value, Profit, Circular flow of production, Deficient aggregate demand, Crises of overproduction.*

ელენე ჩიქოვანი
გიორგი ევგენიძე

„მწვანე“ ეკონომიკის სტატისტიკური ინდიკატორების დამუშავების შესახებ საქართველოში

ანოტაცია. *სტატია ფოკუსირებულია ,,მწვანე'' ეკონომიკის ინდიკატორების დამუშავების პრობლემებზე საქართველოში. განხილულია ,,მწვანე“ ეკონომიკის არსი და კონცეფცია, ასევე მისი მნიშვნელობა ეკონომიკის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით. მოცემულია ,,მწვანე“ ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები და სექტორები. გაეროს ,,2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაბუთებულია ,,მწვანე“ ეკონომიკის მონიტორინგის ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორების წრის დამუშავების, გაზომვის მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბებისა და ადეკვატური ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების მიმართულებით პრაქტიკულლი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა საქართველოში. განხილულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო ინდიკატორებისა და ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინდიკატორთა ოთხი ჯგუფის (გარემოსდაცვითი და რესურსული მწარმოებლურობა, ბუნებრივი კაპიტალის ბაზა, ცხოვრების ხარისხის გარემოსდაცვითი განზომილება და ეკონომიკის შესაძლებლობები და პოლიტიკის რეაქცია) ამსახველი სტატისტიკური ინდიკატორების დანერგვის სფეროში არსებული გამოწვევები საქართველოში. დასაბუთებულია მათი დამუშავების მნიშვნელობა გარემოს დაცვითი ღონისძიებების, ინოვაციური ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების, ასევე სოციალური ინკლუზიურობის სფეროში მიღწეული პროგრესის შეფასებისა და სამომავლო პოლიტიკის გატარების მიმართულებით.*

დასმულია საკითხი ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემაში კადრების მომზადების სფეროში უკვე მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების მოქცევის შესახებ სტატისტიკური დაკვირვების არეალში, რაც მოითხოვს ,,მწვანე“ ბიზნესის სფეროში შექმნილი სამუშაო ადგილებისა და ,,მწვანე“ სპეციალობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას, რომლებზეც მოთხოვნის მასშტაბური ზრდა პერსპექტივაში გადაუდებლად არის მოსალოდნელი.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა; მწვანე ბიზნესი; მდგრადი ეკონომიკური განვითარება; მწვანე ინდიკატორები; მწვანე სპეციალობები.*

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებამ. ენერგეტიკული რესურსების მოხმარებაზე საზოგადოებისა და წარმოების მოთხოვნილებების ზრდამ, ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზრდის მაღალმა ტემპებმა და მათი მარაგების შემცირებამ, ეკოლოგიურად სუფთა რესურსების გამოყენების აუცილებლობამ, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სფეროში არსებულმა პრობლემებმა, გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა კლიმატურმა ცვლილებებმა და მისგან გამოწვეულმა ეკოლოგიურმა კატასტროფებმა დღის წესრიგში დააყენა თვისებრივად ახალი – “მწვანე“ ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამის განმარტებით, „მწვანე“ ეკონომიკა უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას და უთანაბრობის შემცირებას გრძელვადიან პერიოდში, რათა მომავალ თაობას შესაძლებლობა მისცეს თავიდან აიცილოს გარემოსა და მისი გაღარიბების არსებითი რისკები. „მწვანე“ ეკონომიკა გულისხმობს რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნების კვლავწარმოების პროცესების შენარჩუნების, ცოცხალი ორგანიზმების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მწარმოებლურობის გაზრდის გზით ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 ქვეყანამ ერთხმად მიიღო „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რომელიც მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. მიზნები დაფუძნებულია 3 ძირითად მიმართულებაზე: 1. ეკონომიკური ზრდა; 2. სოციალური ინკლუზია; 3. გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების 17 მიზანი გულისხმობს ეკონომიკური ზრდის, სოციალური ინკლუზიურობისა და გარემოს დაცვის მიღწევას შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით: 1. სიღარიბის გარეშე; 2. ნულოვანი შიმშილობა; 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ხარისხიანი განათლება; 5. გენდერული თანასწორობა; 6 სუფთა წყალი და სანიტარია; 7. სუფთა, ხელმისაწვდომი ენერგია; 8. სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; 9. ინდუსტრია, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა; 10. შემცირებული უთანასწორობა; 11. მდგრადი ქალაქები და თემები; 12. გონივრული წარმოება და მოხმარება; 13. კლიმატის ცვლილება; 14. სიცოცხლე წყალქვეშ; 15. სიცოცხლე ხმელეთზე; 16. მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები; 17. მიზნების მისაღწევად თანამშრომლობა (The Sustainable Development Goals,2015).

„მწვანე“ ეკონომიკის მიზნები ასევე ემსახურება მომავალში რესურსებით უზრუნველყოფის საქმესაც, ვინაიდან არააღდგენადი, მილევადი რესურსების ჩანაცვლება ხდება აღდგენადი, ეკოლოგიურად სუფთა რესურსებით, თუმცა მომავალში რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა უფრო ფართო და გლობალურ ხასიათს იძენს. „ყავისფერი“ ანუ ტრადიციული ეკონომიკისაგან განსხვავებით „მწვანე“ ეკონომიკა ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით. იგი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აღადგენს ბუნებრივ კაპიტალს (აბესაძე, 2022).

„მწვანე“ ეკონომიკის იდეა შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე და მისი განხორციელების ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს. მდგრადი განვითარება თანაბრად მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს, თუმცა აქცენტი გადატანილია რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ბუნების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ადამიანის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრებასა და საქმიანობაზე აწმყოსა და მომავალში.

ამჟამად, მეცნიერულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია „მწვანე“ ეკონომიკის 6 პრიორიტეტული მიმართულება, რაც გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მხრიდან. ეს მიმართულებებია:

1. კლიმატური ცვლილება, რაც გამოწვეულია ნახშირორჟანგის სულ უფრო და უფრო მზარდი გაფრქვევისა და ნახშირბადის შემცველი ყველა სახის საწვავის (ნავთობი და მისი გადამუშავების პროდუქტები, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი, საწვავი ფიქალი და ა. შ.) წვის შედეგად ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის გამო გლობალური დათბობის პროცესების გაღრმავებას;

2. ნიადაგის დეგრადაციის პრობლემა, რაც წარმოადგენს სურსათის, საკვების, საწვავის წარმოების გაუარესებისა და ასევე მრავალი ეკოლოგიური მოვლენის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს;

3. არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების (ბუნებრივი კაპიტალის) გამოფიტვა, რაც ულისხმობს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსებისა და არაგანახლებადი ენერგომატარებლების, ნავთობის, ქვანახშირისა და ენერგიის სხვა წყაროების ამოწურვას;

4. მშპ-ის ენერგოტევადობის შემცირება და ელექტროენერგიის დაზოგვა, რაც აუცილებელია არაგანახლებად ენერგიაზე საზოგადოების მოთხოვნის შესამცირებლად;

5. არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის თავიდან აცილება და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადასვლა, როგორსაც წარმოადგენს ჰიდროენერგია, მზისა და ქარის ენერგია, ხეტყისა და მერქნის უკანონო ჭრის შემცირება და სხვა;

6. საწარმოო და სამომხმარებლო ნარჩენების დაგროვება, ასევე მსოფლიო ოკეანის ქიმიური ნარჩენებით დაბინძურება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე (ბურდული, 2024).

ექსპერტთა აზრით, „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს. ესენია:

1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთრმული, ზღვის, მათ შორის – ტალღებისა და მიქცევა-მოქცევის, ბიოგაზისა და სათბური უჯრედების ენერგია);

2. მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);

3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები);

4. წყლის მენეჯმენტი (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);

5. ნარჩენების მენეჯმენტი (ნარჩენების მართვა, უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენები, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);

6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება (ჭიკაიძე, 2019).

„მწვანე“ ეკონომიკის მიზნების მიღწევა შესაბამისი სამთავრობო პოლიტიკის შემუშავებას და რეალიზაციას მოითხოვს, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში მიღებული შედეგების მონიტორინგისა და შემდგომი სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრას რეფორმის ახალი მიმართულებების შემუშავების მიზნით. ამ მიმართებით აუცილებლობას წარმოადგენს „მწვანე“ ეკონომიკის მონოტორინგის ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორების წრის შემუშავება, შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბება და ადეკვატური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა, უნიფიცირებული და შესაფერისი ინფორმაციის დამუშავება და გავრცელება „მწვანე“ ეკონომიკის ძირითადი მიზნების შესაბამისად. ეს ინდიკატორები უნდა შეიცავდეს საზომებს, რომლითაც აფასებენ გარემოს მდგრადობას, ეკონომიკის მდგომარეობას და სოციალურ თანასწორობას, ამავე დროს საშუალებას უნდა იძლეოდნენ, შეფასდეს მდგრადი ეკონომიკური მოდელის მისაღებად მიღწეული პროგრესი. ამჟამად, მსოფლიო დონეზე გამოყენებული „მწვანე“ ინდიკატორების სისტემა ემყარება ძირითადი, ე. წ „ჩარჩო“ ინდიკატორების წრეს, რომელიც

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებული პროგრესის შეფასებისა და სამომავლო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ეს ინდიკატორებია:
https://search.yahoo.com/search?fr=mcafee&type=E210US91215G0&fr2=p%3As%2Cv%3Aw%2Cm%3Ars

1. „მწვანე“ მშპ;
2. განახლებადი ენერგიის წილი;
3. ნახშირორჟანგის ემისია;
4. „მწვანე“ სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა;
5. ინვესტიციები „მწვანე“ ტექნოლოგიებში;
6. ეკოლოგიური ნაკვალევი;
7. წყლის გამოყენების ეფექტურობა.

„მწვანე“ ინდიკატორების შედარებით ფართო წრეს მოიცავს OECD-ს „მწვანე“ ზრდის ინდიკატორები, რომლებიც „მწვანე“ ზრდის სფეროში მიღწეული პროგრესის მონიტორინგის საშუალებას იძლევიან და ხელს უწყობენ ამ მიმართებით პოლიტიკის შემუშავებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის პროცესების განვითარებას. შესაბამის მონაცემთა ბაზაში სინთეზირებულია მონაცემთა ფართო წრე, რომელიც ფარავს OECD-სა და მის გარეთ არსებულ გარე წყაროებს როგორც წევრი ქვეყნების, ასევე მიერთებული ქვეყნებისა და არაწევრი ძირითადი პარტნიორების (ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიის და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები) ჩათვლით (OECD Green Growth Indicators Database documentation, 2023).

OECD-ს „მწვანე“ ზრდის ინდიკატორები შერჩეულია სპეციფიკური კრიტერიუმების მიხედვით და თავსდება კონცეპტუალურ ჩარჩოებში, რომელიც სტრუქტურირებულია 4 ჯგუფში და ასახავენ ეკონომიკური ზრდის 4 ძირითად თვისებას. ესენია:

1. გარემოსდაცვითი და რესურსული მწარმოებლურობა;
2. ბუნებრივი კაპიტალის ბაზა;
3. ცხოვრების ხარისხის გარემოსაცვითი განზომილება;
4. ეკონომიკის შესაძლებლობები და პოლიტიკის რეაქცია;

სტატისტიკურ ინდიკატორთა წრე ზემოთ მოყვანილი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული.

გარემოსდაცვითი და რესურსული მწარმოებლურობა ასახავს ინდიკატორთა წრეს, რომლებიც მოიცავენ:

- ✓ სათბური აირების ემისიის გავლენას მშპ-ის ზრდაზე;
- ✓ ენერგიის პროდუქტიულობას;
- ✓ მატერიალურ (არა ენერგეტიკულ პროდუქტიულობას, ეკოლოგიურად შესწორებულ მულტიფაქტორულ პროდუქტიულობას).

ბუნებრივი კაპიტალის ბაზა ასახავს:

- ✓ მიწის რესურსების გამოყენებასა და მოსავლის დანაკარგებს;
- ✓ ტყის რესურსებს, მის გამოყენებას და დაცვას;
- ✓ წყლის რესურსებსა და მის დაცვას;
- ✓ ველური ბუნების დაცვას.

ცხოვრების ხარისხის გარემოსდაცვითი განზომილება მოიცავს:

- ✓ წყლისა და ჰაერის დაბინძურების გავლენას ცხოვრების დონეზე;
- ✓ კლიმატის ცვლილების გავლენას სიკვდილიანობასა და დაავადებებზე;

✓ სასმელი წყლისადმი და ჩამდინარე წყლების გასაწმენდი ნაგებობებისადმი მისაწვდომობას.

ეკონომიკის შესაძლებლობები და რეაქცია პოლიტიკის მხრიდან მოიცავს ინდიკატორთა ფართო წრეს, როგორებიცაა:

✓ ინოვაციები და ტექნოლოგიებიR&D;

✓ ინოვაციები და ტექნოლოგიები: პატენტები;

✓ გარემოსდაცვითი საქონელი და მომსახურება;

✓ გარემოსდაცვით გადასახადები და ტრანსფერები;

✓ კომუნალური გადასახადების ფასები და მათ სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან;

✓ დაცული ტერიტორიები;

✓ ეკონომიკურ კონტექსტში მოიაზრება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა ეკონომიკის სექტორების მიხედვით და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები;

✓ სოციალური კონტექსტი მოიცავს მოსახლეობის რიცხოვნობას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, მიგრაციისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი სტატისტიკური მონაცემების მოპოვებას, როგორიცაა ავიატრანსპორტიდან CO_2-ის ემისია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

ზემოთ მოყვანილი ოთხივე მიმართულება მთლიანობაში მოიცავს 70-მდე „მწვანე“ ინდიკატორს, რომელიც საშუალებას იძლევა სრულფასოვნად შეფასდეს არ მარტო გარემოს დაბინძურებით გამოწვეული წარმოებისა და ადამიანური რესურსების დანაკარგები, არამედ შეფასდეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების, მწვანე ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური ინკლუზიურობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით (OECD Green Growth Indicators: 2025).

სადღეისოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: წყლის რესურსები, წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი მაჩვენებლები; წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები; ატმოსფერული ჰაერის დაცვა; ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამფრქვევი სტაციონარული წყაროების რაოდენობა, სტაციონარულ წყაროებში მავნე ნივთიერებების წარმოქმნისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები; სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების დაჭერა და გაფრქვევა (მთლიანად ქვეყანაში და რეგიონების მიხედვით); ცალკეულ ქალაქებში სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი, დაჭერილი და გაფრქვეული მავნე ნივთიერებები; ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები სახეობების მიხედვით; სტიქიური მოვლენები და სამართალდარღვევები; გეოლოგიური მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი) რაოდენობა, ადამიანთა მსხვერპლი და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული ობიექტები (საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა; 2023).

როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს „მწვანე“ ეკონომიკის განმარტებიდან და მისი განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე სტატისტიკურ ინდიკატორთა წრემ უნდა წარმოაჩინოს არა მარტო გარემოს დაცვითი ღონისძიებების, არამედ ინოვაციური ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების, ასევე სოციალური ინკლუზიურობის სფეროში მიღწეული პროგრესი, რათა შესაძლებელი გახდეს შეფასდეს სამომავლო პოლიტიკის გატარების სფეროში არსებული შესაძლო

გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები. ამდენად, აუცილებელია ქვეყანაში დამუშავებული „მწვანე“ სტატისტიკური ინდიკატორების წრე საშუალებას იძლეოდეს ადეკვატურად ასახოს ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის რეგიონების მიხედვით) „მწვანე“ ეკონომიკის კონცეფციაში ჩადებული სამივე მიმართულების – მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სოციალური და გარემოსდაცვითი კომპონენტების მონიტორინგისათვის აუცილებელი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არა მარტო გარემოსდავით სფეროში გატარებული პოლიტიკის გავლენის შეფასება ეკონომიკასა და საზოგადოების მდგრად განვითარებაზე, არამედ ინოვაციური ეკონომიკის განვითარების, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ინკლუზიური სოციალური კეთილდეობის მიღწევის სფეროში არსებული პროგრესი. ამ მიმართებით საქართველოში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამჟამად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამაში შედის პროგრესული ცვლილებები სტატისტიკურ ინდიკატორთა ახალი სისტემის შემუშავებისა და გაანგარიშების მეთოდების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით. თუმცა ქვეყნის სტატისტიკურ პუბლიკაციებში მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია ფარავს მხოლოდ გარემოს მდგომარების შეფასების, გარემოს დაბინძურებისა და სტიქიური მოვლენების, თუ კანონის დარღვევების შედეგად მიყენებული ზარალის მონაცემებს. ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ინფორმაცია „მწვანე“ ბიზნესის ღონისძიებების შედეგად გარემოსდაცვითი და რესურსული მწარმოებლურობის ცვლილებების შესახებ, რომელიც მიუთითებს, ხდება თუ არა ეკონომიკური ზრდა „მწვანე“ ბუნებრივი კაპიტალის უფრო ეფექტიანი ზრდის ხარჯზე. არ არის შეფასებული ბუნებრივი კაპიტალის ბაზა, რაც მიუთითებს რისკების ზრდაზე, რომელიც ბუნებრივი კაპიტალის შემცირების გამო გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე; არ არის შეფასებული ცხოვრების ხარისხის გარემოსდაცვითი განზომილება, რომელიც მიუთითებს თუ როგორ გავლენას ახდენს გარემოს პირობები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაზე; სათანადო სამთავრობო პოლიტიკის დაბალი ეფექტურობის გამო ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებისა და პოლიტიკის რეაქციის თაობაზე, რაც უჩვენებს პოლიტიკის ეფექტურობას „მწვანე“ ზრდის პოლიტიკის გატარების მიმართულებით და აღწერს სამთავრობო პოლიტიკის რეაქციას, რომელიც საჭიროა ბიზნესის დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებისათვის. ხელმიუწვდომელია ინფორმაცია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტური მიდგომების დანერგვის შესახებ მდგრადი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა სექტორებში. ბიზნესსტატისტიკის სფეროში გამოქვეყნებული მონაცემები არ მოიცავს „მწვანე“ ბიზნესის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში მიღწეულ ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები „აწარმოე საქართველოში“ და საპარტნიორო ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ინოვაციური ბიზნესის განვითარებისკენ არის მიმართული. განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ამ მიმართებით ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემაში უკვე მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების მოქცევა სტატისტიკური დაკვირვების არეალში, რაც მოითხოვს „მწვანე“ ბიზნესის სფეროში შექმნილი სამუშაო ადგილებისა და „მწვანე“ სპეციალობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებას, რომლებზეც მოთხოვნის მასშტაბური ზრდა პერსპექტივაში გადაუდებლად არის მოსალოდნელი განსაკუთრებით კი ისეთი სპეციალობების მიხედვით, როგოიცაა მდგრადი განვითარების კონსულტანტი, „მწვანე“ ინჟინერია, გარემოსდაცვითი სამართალი,

ურბანული ფერმერობა, სუფთა ენერგეტიკა, გადამუშავება და ნარჩენების მართვა, კონსერვაციის სპეციალისტი, „მწვანე“ ურბანისტიკა, მდგრადი არქიტექტურა „მწვანე“ ლანდშაფტური დიზაინერი, მდგრადი სოფლის მეურნეობა და კვების ტექნოლოგიები, მეტყევეობა, ეკოტურიზმი და სხვა.

„მწვანე“ ეკონომიკის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სრულყოფა და ასეთი ინფორმაციით მომხმარებელთა ფართო წრეების უზრუნველყოფა ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების აუცილებელ პირობას წარმოადგნს, რაც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური, ინკლუზიური სოციალური და გარემოსდავითი პოლიტიკის შემუშავებასა და რეალზაციას შეუწყობს ხელს პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., „მწვანე“ ეკონომიკა. ეკოლოგია, ეკონომიკა, 23 მაისი, 2022. https://eas.tsu.ge/ეკონომიკა/მწვანე-ეკონომიკა/8479/.

2. ბურდული ვ., მწვანე ეკონომიკის განვითარების იმპერატივები და მისი ურთიერთკავშირი ინოვაციურ ეკონომიკასთან. ეკონომიკა, ივნისი, 2024 https://eas.tsu.ge/ეკონომიკა/მწვანე ეკონომიკის განვით./14097/.

3. ჭიკაიძე ნ., მწვანე ეკონომიკა საქართველოში და მისი გამოწვევები. *ეკონომიკა და ფინანსები, 2019* , 03ttps://scholar.bpengi.com/ ეკონომიკა % 20 და % 20 ფინანსები -/2019/03/ ეკონომიკა % 20 და 20 ფინანსები, 2019.

4. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, 2023. *სტატისტიკური პუბლიკაცია*, თბილისი. 2024. 68 გვ.

5. The Sustainable Development Goals https://www.un.org/sustainabledevelopment/development-goals/

6. https://search.yahoo.com/search?fr=mcafee&type=E210US91215G0&fr2=p%3As%2Cv%3Aw%2Cm%3Ars

7. OECD Green Growth Indicators Database documentation Scientific Data | *(2023) 10:413* | https://doi.org/10.1038/s41597-023-02319-4

8. OECD Green Growth Indicators: 2025. Database documentation Contact: env.stat@oecd.org

9. Samuel A sumadu Sarkodie 1 ✉, Phebe A santewaa Owusu1 ✉ & John Taden Comprehensive green growth indicators across countries and territories *(2023) 10:413* | https://doi.org/10.1038/s41597-023-02319-4

Elene Chikovani
Giorgi Evgenidze

About Working Out “Green” Economy Indicators in Georgia

Summary

Article is focused on the problems of working out “Green” Economy Indicators in Georgia. Considers the essence and concept of the “Green” economy and its importance for the sustainable economic growth and social inclusion taking into the account the measurs for the protection of the environment. The main directions and sectors of the Green Economy are characterized. According to the goals and tasks defined by the UN “2030 Agenda for Sustanable Development “ the necessity of the maiking practical steps in Georgia towards working out of the circle of “Green” economic indicators, establishment of the methodology and data collection and dissemination system are substantiated. Existing challenges in setting up in Georgia of the United Nations frame “Green” Economy Indicators and four groups of OECD Green Growth Indicators (environmental and resource productivity, the natural asset base, environmental dimension of quality of life, economic

opportunities and policy responses) are singled out. The importance of the working out those indicators for the elaboration of measures of environmental protection, innovative economic growth and sustainable development as well as evaluation of progress achieved in the field of social inclusion is grounded.

The issues of the current and expected changes in professional education under the statistical observation is recommended, which requires the collection and processing data on new working places(occupations) and demands on "Green" specialties, wide spread demand on which are expected in perspective.

Key words: *Green Economy; Green Business: Sustainable Economic Development; Green Indicators; Green Specialties.*

სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექცია
SECTOR OF SECTORAL AND REGIONAL ECONOMICS

ვალერი არღუთაშვილი

ცირკულარული ეკონომიკის გამოყენების საზღვრები რეგიონულ ტურიზმში

ანოტაცია. *სტატიაში გაანალიზებულია ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გამოყენების შესაძლებლობები რეგიონულ ტურიზმში. შესწავლილია, თუ როგორ შეიძლება აღნიშნულმა მიდგომამ გააძლიეროს რეგიონების ეკონომიკური მდგრადობა და ტურიზმის ტრადიციული, ხაზოვანი მოდელი თანდათანობით გარდაქმნას და დაუკავშიროს რესურსების ინტენსიური მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნისა და გარე მიწოდების ჯაჭვებზე დამოკიდებულების ალტერნატიულ სისტემურ მოდელს, რომელიც ეფუძნება ნარჩენებისა და დაბინძურების პრევენციას, რესურსების ღირებულების შენარჩუნებას, ხელახალ გამოყენებას და ადგილობრივი მიწოდების ჯაჭვების განვითარებას. ნაშრომში განხილულია ცირკულარული ტურიზმის თეორიული საფუძვლები, მისი კავშირი რეგიონის ეკონომიკურ მდგრადობასთან, დანიშნულების ადგილის მართვასთან და ადგილობრივი დოვლათის შექმნასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებში აღნიშნული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობებს. შემოთავაზებულია ინდიკატორთა სისტემა, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი გახდება ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების შეფასება.*

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ეკონომიკა; რეგიონული ტურიზმი; ცირკულარული ტურიზმი; ეკონომიკური მდგრადობა; ტურისტული დანიშნულების ადგილი.*

შესავალი. ტურიზმი ერთდროულად არის რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი წყარო და რესურსების ინტენსიური მომხმარებელი. იგი ქმნის შემოსავალს, დასაქმებასა და ადგილობრივი პროდუქტის მოთხოვნას, მაგრამ ზრდის წყლის, ენერგიის, საკვების, მიწის, ტრანსპორტისა და ნარჩენების მართვის სისტემებზე დატვირთვას. ცირკულარული ეკონომიკა ამ წინააღმდეგობის შემცირების ერთ-ერთ პერსპექტიულ მოდელად ყალიბდება, რადგანაც ხაზოვანი მოხმარების ნაცვლად პრიორიტეტს ანიჭებს პროდუქტის ხელახალ გამოყენებას, რესურსების აღდგენასა და ბუნებრივი სისტემების რეგენერაციას (Jones & Wynn, 2019).

ტურიზმში ცირკულარული მიდგომის გამოყენება უფრო რთულია, ვიდრე წარმოებაში. ტურისტული პროდუქტი იქმნება მრავალი დამოუკიდებელი დარგის თუ ობიექტის – სასტუმროს, რესტორნის, ტრანსპორტის, კულტურული ობიექტის, ფერმერის, მუნიციპალიტეტის, ტუროპერატორისა და თავად ვიზიტორის – ერთობლივი მოქმედებით.

სორენსენმა და ბერენჰოლდტმა (Sørensen and Bærenholdt 2020,2026) აჩვენეს, რომ ვიზიტორთა რეალური ცირკულარული ქცევა დამოკიდებულია არა მხოლოდ ინფრასტრუქტურაზე, არამედ ცოდნაზე, სოციალურ ნორმებზე, კომფორტსა და დანიშნულების ადგილის პირობებზე.

ტურიზმისა და მასპინძლობის ადრეული პერიოდის ლიტერატურაში ცირკულარული ეკონომიკა ძირითადად სასტუმროს ან ცალკეული ბიზნესის რესურსების ეფექტიანობის შესწავლის კონტექსტში გვხვდება.

პიტერ ჯოუნსი და მარტინ უინი (Peter Jones, Martin Wynn, 2019) ცირკულარულ ეკონომიკას ბუნებრივ კაპიტალსა და მდგრადობას უკავშირებენ და მიუთითებენ, რომ ტურიზმის სექტორში ეს საკითხები საჭიროებს უფრო ფართო სისტემურ ხედვას. შემდგომმა კვლევებმა ცირკულარული ტურიზმი გადაიტანა დანიშნულების ადგილის ეკოსისტემურ დონეზე, სადაც სასტუმროს ნარჩენი, ადგილობრივი საკვები, ტრანსპორტი, წყალი, ენერგია, კულტურული აქტივები და ტურისტის ქცევა ერთიან ქსელად განიხილება.

დასისა და მიშრას (Das and Mishra, 2026) მიხედვით ცირკულარულ ტურიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა დანიშნულების ადგილის რეგენერაციას უკავია. მათი ანალიზი მნიშვნელოვან შეზღუდვას აჩვენებს, ერთი მხრივ, „მწვანე“ ოპერაციების ზრდასა და, მეორე მხრივ, ტურიზმის ფარულ ეკოლოგიურ კვალს შორის, რომელიც განსაკუთრებით ტრანსპორტის, ენერგიის, წყლისა და რესურსების მიმართულებით ყალიბდება.

სვატი ნაიკი, რუბი ს. ჩანდა (Swati Naik and Ruby S. Chanda, 2020) აჩვენებენ, რომ ცირკულარული ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აკეთებს ტურისტი და არა მხოლოდ იმაზე, რას სთავაზობს მას ბიზნესი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის არჩევა, ადგილობრივი საკვების შეძენა, ნარჩენის სეპარაცია ან ნივთის გაზიარება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევებია, რომლებიც მომსახურების მიმწოდებლის კონტროლს ნაწილობრივ სცდება და შესაბამისად, ცირკულარული ტურიზმის საზღვარს ქმნის მომხმარებლის თავისუფალი არჩევანით.

ანჯელისი, რეინოლდსი და სხვანი (De Angelis et al., 2025) ავითარებენ იმ აზრს, რომ ცირკულარული ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ადგილობრივი დოვლათის შექმნისა და შენარჩუნების პერსპექტივიდან. ტურისტული დანიშნულების ადგილზე დაფუძნებული ცირკულარული ეკოსისტემის მიდგომა ხაზს უსვამს სხვადასხვა ადგილობრივი მიწოდების ჯაჭვების სუბიექტების ურთიერთკავშირსა და მრავალგვარი ღირებულების შექმნას, რაც ცირკულარული ტურიზმის ანალიზისას ცალკეული საწარმოს საზღვრებს სცდება. ისინი ასევე ავითარებენ აზრს იმის შესახებ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია დივერსიფიკაცია. ცირკულარული ტურიზმი აჩენს ახალ საქმიანობებს – კომპოსტირებას, შეკეთებას, მეორეული მასალების გამოყენებას, ადგილობრივ დიზაინსა და ხელოსნობას, მწვანე მობილობას, აგროტურიზმს და გამოცდილებაზე დაფუძნებულ ტურისტულ პროდუქტებს. შედეგად რეგიონი ნაკლებად ხდება დამოკიდებული მხოლოდ განთავსებასა და სეზონური ვიზიტების შემოსავალზე. აქვე მნიშვნელოვანია ცირკულარული ეკონომიკის, ბუნებრივი კაპიტალისა და მდგრადობის განხილვა ერთობლიობაში – ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში, რომელიც ხაზგასმით აჩვენებს იმას, რომ ბიზნესისა და ტურისტული დანიშნულების ადგილის რესურსების მართვა და გრძელვადიანი მდგრადობა სტრატეგიულ დაგეგმვასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ცირკულარული ეკონომიკის მდგრადობის მეექვსე გამოცემაში **ჯოუნსი და უინი (Circular Economy and Sustainability, 2026)** აანალიზებენ რეგიონული ეკონომიკური მდგრადობის პოტენციალს. ასაბუთებენ ტერიტორიის უნარს გაუძლოს შოკს, შეინარჩუნოს კრიტიკული ფუნქციები, აღდგეს და საჭიროების შემთხვევაში გარდაქმნას ეკონომიკური სტრუქტურა. ტურიზმისა და მასპინძლობის კვლევაში ცირკულარული

ეკონომიკა, ბუნებრივი კაპიტალი და მდგრადობა, ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციებად განიხილება, რომლებიც სექტორის თანამედროვე გამოწვევებისა და შესაძლებლობების გააზრებას უწყობს ხელს. ავტორთა აზრით, ცირკულარული ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რას აკეთებს ტურისტი და არა მხოლოდ იმაზე, რას სთავაზობს მას ბიზნესი. მრავალჯერადი ბოთლის გამოყენება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არჩევა, ადგილობრივი საკვების შეძენა, ნარჩენის სეპარაცია ის ბუნებრივი პროდუქტებია, რომლებიც მომსახურების მიმწოდებლის კონტროლს ნაწილობრივ სცდება. შესაბამისად, ცირკულარული ტურიზმის საზღვარი იქმნება მომხმარებლის თავისუფალი არჩევანითაც. საკვების ნაწილი იფანტება, ენერგია გარდაიქმნება, წყლის ხარისხი იცვლება, ტექსტილი და სხვა მასალები გამოყენებისას ცვდება. ამიტომ ცირკულარული ეკონომიკის იერარქიაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მოთხოვნის შემცირებას, ხანგრძლივ გამოყენებასა და ხელახალი გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. ნაშრომში ასევე საუბარია ტურიზმის ცირკულარული ეკონომიკის საზღვრებზე, რომელიც მოიცავს ვიზიტორთა გადაადგილებას დანიშნულების ადგილის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ. მაგალითისთვის, ავიაცია, საქალაქთაშორისო ტრანსპორტი და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვები შეიძლება არ მოხვდეს სასტუმროს ან მუნიციპალიტეტის ცირკულარობის ინდიკატორში.

თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტურიზმის სეზონურობის საკითხი, რაც ცირკულარულ ეკონომიკას (CE - Circular Economy) განსაკუთრებით ართულებს. ზაფხულის ან ზამთრის პიკში წყლის, ნარჩენის, კვებისა და ტრანსპორტის სისტემა შეიძლება გადატვირთული იყოს, ხოლო არასეზონზე იგივე ინფრასტრუქტურა არასაკმარისად გამოიყენებოდეს, რაც ინფრასტრუქტურულად ძალიან რთული დასარეგულირებელია. სეზონურობა ამცირებს ინვესტიციის უკუგებას და ზრდის ერთეულ ხარჯს. ამიტომ ცირკულარული რეგიონული ტურიზმი დაკავშირებული უნდა იყოს სეზონურობის დანახარჯების შემცირების პოლიტიკასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან გაზიარებულ ინფრასტრუქტურასთან და მოქნილ სისტემებთან.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რეგიონული ტურიზმი მოიცავს მრავალ ოპერატორს, მცირე ან მიკრობიზნესს. ცირკულარული ტექნოლოგიების, ენერგოეფექტური მოწყობილობის, კომპოსტირების, წყლის ხელახალი გამოყენების ან მონაცემთა სისტემის საწყისი ხარჯი მათთვის შეიძლება მაღალი იყოს. საქართველოს ბიზნესრეგისტრის 2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით რეგისტრირებული იყო 31,222 სუბიექტი და მათგან 9,970 – აქტიური (Geostat, 2026). ეს ფრაგმენტაცია მიუთითებს, რომ ცირკულარული ტრანსფორმაცია მხოლოდ ინდივიდუალური საწარმოს ინვესტიციაზე ვერ იქნება დამოკიდებული; საჭიროა საერთო მომსახურებები, მუნიციპალურ დონეზე კოორდინაცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ტურისტუ-ლი დანიშნულების ადგილი (DMO - Destination Management Organization) ორგანი-ზებულად იყოს მართული. მაგალითისთვის, კონკრეტული რეგიონის მართვის ორგანოების (მუნიციპალიტეტების დონეზე) მიერ ყველა დაინტერესებული მხარის საქმიანობის კოორდინირება ხდება ერთიანი ფინანსური სტიმულების გაერთიანების საფუძველზე.

ტურისტული დანიშნულების ადგილი ერთიანი კომპანია არ არის. მუნიციპალიტეტი მართავს საჯარო ინფრასტრუქტურის ნაწილს, კერძო სექტორი – სასტუმროებსა და კვების ობიექტებს, სხვა ორგანიზაციები – ტრანსპორტს, დაცულ ტერიტორიებს, კულტურულ ობიექტებსა და ნარჩენების დამუშავებას. ამ მრავალაქტორიან სისტემაში ცირკულარული ეკონომიკის ეფექტი დამოკიდებულია

კოორდინაციაზე, საერთო მონაცემებზე, მიზნებსა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე. სწორედ ამიტომ დანიშნულების ადგილის მასშტაბის მიდგომა უფრო რეალისტურია, ვიდრე ცალკეული „მწვანე სასტუმროების“ ჯამი.

ტურისტი ხშირად დროებით იმყოფება რეგიონში და ნაკლებად იცნობს ადგილობრივ სეპარაციის წესებს, ტრანსპორტს ან ინფრასტრუქტურას. გარდა ამისა, დასვენებისას მომხმარებელმა შეიძლება მეტი კომფორტი და ნაკლები ძალისხმევა მოითხოვოს. ამიტომ ცირკულარული ქცევის დიზაინი უნდა იყოს მარტივი: ერთიანი ნიშნები, ხელმისაწვდომი მრავალჯერადი სისტემა, ნაგულისხმევი მდგრადი არჩევანი და ეკონომიკურ-სოციალური სტიმულები.

საქართველოს ტურიზმი 2025 წელს ზრდის მაღალ დინამიკას ინარჩუნებდა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) მონაცემთა მიხედვით, დაფიქსირდა 7,803,239 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი (+5.9% 2024 წელთან შედარებით), 5,521,866 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი (+8.4%) და საერთაშორისო მოგზაურობიდან 4.690 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი (+6%) (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია GNTA, 2026a). ტურიზმის ზრდა ეკონომიკური შესაძლებლობაა, მაგრამ ცირკულარული ეკონომიკისათვის კლასიკური რისკი – ერთ ვიზიტზე რესურსეფექტიანობის გაუმჯობესება შეიძლება მთლიანმა ტურისტულმა მოცულობამ გაანეიტრალოს.

2025 წლის საერთაშორისო ვიზიტორთა მონაცემებით, ვიზიტები განსაკუთრებით კონცენტრირებული იყო თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. Geostat-ის მონაცემების შეჯამებით, თბილისზე მოდიოდა დაახლოებით 3.8 მლნ, ხოლო აჭარაზე 2.7 მლნ ვიზიტი . საშუალო ყოფნის ხანგრძლივობა 5.6 ღამე იყო, ხოლო ვიზიტის საშუალო ხარჯი დაახლოებით 2,187 ლარი (Geostat, 2026a). ასეთი კონცენტრაცია ზრდის წყლის, ნარჩენების, ენერგიისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პიკურ დატვირთვას და აჩვენებს, რომ საქართველოს ცირკულარული ტურიზმის პოლიტიკა რეგიონების მიხედვით განსხვავებული უნდა იყოს.

რეგიონული ტურიზმის ცირკულარობის გაზომვა საჭიროა როგორც ინტენსივობის, ისე აბსოლუტური მაჩვენებლებით, რათა ეფექტიანობის ზრდამ ტურისტული მოცულობის ზრდა არ დამალოს. მთიან რეგიონებში ადგილზე უნდა მოხდეს ნარჩენების ლოჯისტიკა. ასევე აუცილებელია განხორციელდეს კონსოლიდირებული რეგიონთაშორისი შეფასება, არა მხოლოდ მანძილით, არამედ სეზონურობით, წარმოების რესურსული ინტენსივობითა და სასიცოცხლო ციკლის ეფექტით. აუცილებელია ტურისტისთვის ცირკულარული არჩევანის გამარტივება, რომელიც მოიცავს საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების საგზაო რუკისა (Circularity Roadmap) და ტურიზმის პოლიტიკის დაკავშირებას ერთიან რეგიონულ საპილოტე პროგრამებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე პუბლიკაციებისა და საქართველოს მონაცემების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა რეგიონული ტურიზმის შეუსაბამობა ცირკულარული ეკონომიკის მასშტაბებთან. ტურისტული დანიშნულების ადგილის კომპეტენციაა ადგილობრივად მართოს წყალი, ნარჩენი, საკვები და ენერგია, მაგრამ ტურისტის გადაადგილება და პროდუქტის მიწოდების ჯაჭვი სცდება რეგიონის მასშტაბს.

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნაა, ის რომ, რაოდენობრივი ზრდა და ცირკულარობა ყოველთვის თავსებადი არ არის. საქართველოს 2025 წლის ტურისტული ვიზიტების 8.4%-იანი ზრდა ეკონომიკურად პოზიტიურია, მაგრამ თუ რესურსების ერთეული მცირდება, იზრდება საერთო გარემოსდაცვითი დატვირთვა (საქართველოს ტურიზმის

ეროვნული ადმინისტრაცია - GNTA, 2026a). ამიტომ, რეგიონული ტურიზმის წარმატების შეფასებაში ვიზიტორთა რაოდენობასთან და შემოსავალთან ერთად უნდა შევიდეს წყლის, ენერგიის, ნარჩენის, ტრანსპორტისა და ადგილობრივ ბიუჯეტში უკუგების მაჩვენებლები.

როგორც ვხედავთ, ცირკულარული ეკონომიკის გამოყენების საზღვრები რეგიონულ ტურიზმში წარმოიშობა არა ერთი, არამედ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორისგან. ტურიზმის მობილური ბუნება ზღუდავს დანიშნულების ადგილის შესაძლებლობას, აკონტროლოს სრული ეკოლოგიური კვალი. სეზონურობა ართულებს ინფრასტრუქტურის ეკონომიკას, მცირე ბიზნესების ფრაგმენტაცია ზრდის ინვესტიციისა და კოორდინაციის ხარჯს, ტურისტის თავისუფალი არჩევანი კი ტექნიკურად ხელმისაწვდომ ცირკულარულ პრაქტიკას ყოველთვის რეალურ ქცევად არ გარდაქმნის. ამასთან, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდამ შეიძლება ერთეულზე მიღებული ეფექტიანობის სარგებელი ნაწილობრივ ან სრულად გაანეიტრალოს. საქართველოსთვის ცირკულარული ტურიზმის განვითარების მიზანი უნდა იყოს ისეთი მიდგომა, რომელიც ცირკულარულ ტურიზმს გადააქცევს არა მხოლოდ გარემოსდაცვით ინიციატივად, არამედ რეგიონული ეკონომიკური მდგრადობისა და დანიშნულების ადგილის ხარისხის მართვის ინსტრუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Das, A., & Mishra, S. (2026). A destination-scale framework for regenerative tourism integrating circular economy and community resilience. Green Technology, Resilience, and Sustainability, 6, Article 2. https://doi.org/10.1007/s44173-026-00027-x
2. Jones, P., & Wynn, M. G. (2019). The circular economy, natural capital and resilience in tourism and hospitality. International Journal of Contemporary Hospitality Management, 31(6), 2544–2563. https://doi.org/10.1108/IJCHM-05-2018-0370
3. Sørensen, F., & Bærenholdt, J. O. (2020). Tourist practices in the circular economy. Annals of Tourism Research, 85, 103027. https://doi.org/10.1016/j.annals.2020.103027
4. De Angelis, R., Reynolds, L., Koenig-Lewis, N., & Bosangit, C. (2025). Conceptualising Circular Tourism: Taking a Place-Based Eco-System Perspective. Journal of Circular Economy. https://doi.org/10.55845/TVUZ5672
5. Moroz, M., & Labanauskaitė, D. (2026). Developing a Framework for Measuring Circularity in Sustainable Tourism: A GSTC-Aligned Approach. Sustainability, 18(5), 2376. https://doi.org/10.3390/su18052376
6. Strippoli, R. et al. (2026). Multiple Criteria Decision Analysis for the Ranking of Circular Economy Indicators in Tourism Destinations. International Journal of Tourism Research. https://doi.org/10.1002/jtr.70344
7. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2024). Circularity roadmap for Georgia 2024. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia.
8. National Statistics Office of Georgia. (2026a). Inbound tourism statistics: 2025. Geostat.
9. National Statistics Office of Georgia. (2026b). Number of registered and active entities by kind of economic activity and size (1 July 2026). Geostat.
10. Georgian National Tourism Administration. (2026a). Statistical data overview 2025. GNTA.
11. Georgian National Tourism Administration. (2026b). Characteristics of international visitors 2025. GNTA.
12. Tourists' circular behavior and its determinants: Pathways toward sustainable destinations. (2026). Circular Economy and Sustainability, 6, Article 258. https://doi.org/10.1007/s43615-026-00986-0

Valeri Arghutashvili

Limits of Applying the Circular Economy in Regional Tourism

Summary

This article analyzes the potential applications of circular economy principles in regional tourism. It explores how this approach can enhance the economic resilience of regions and gradually transform the traditional, linear model of tourism, which relies heavily on intensive resource consumption, waste generation, and dependence on external supply chains, into an alternative systemic model based on waste and pollution prevention, resource value retention, reuse, and the development of local supply chains.

The paper examines the theoretical foundations of circular tourism and its relationship with regional economic resilience, destination management, and local wealth creation. Particular attention is given to the implementation opportunities for this approach across Georgia's regions. Additionally, a system of indicators is proposed to evaluate the resulting economic, environmental, and social outcomes.

Keywords: *Circular Economy; Regional Tourism; Circular Tourism; Economic Resilience; Tourist Destination.*

Turkan Ahmadova

Development trends of e-economic services in Azerbaijan's healthcare sector

Annotation. *The aim of this study is to examine the current state and development trends of e-services in Azerbaijan's healthcare sector. The study identified the key factors influencing the expansion of e-services in the healthcare sector and examined the sector's current challenges. The findings of the study are important for determining future directions for the development of e-services in the healthcare sector.*

Keywords: *e-services, e-health, digital economy, digital health.*

Introduction

In Azerbaijan, which is rapidly integrating into the global economy, the primary focus is on the swift and effective completion of the digital transformation process. Against the backdrop of policies supporting digitization and digitalization, measures such as expanding digital infrastructure, adopting programs that promote the implementation of digital solutions, and improving digital skills play a key role in enhancing the country's digital environment.

Azerbaijan's main advantage in the field of digital transformation compared to other countries lies in its flexibility regarding the application and use of the latest digital technologies. The adoption of government programs and strategic road maps, the implementation of action plans and economically oriented incentive projects, as well as the promotion of industrial parks, microdistricts, and agroparks contribute to strengthening measures for digitization and digital transformation in the country.

* * *

The state of digitalization in Azerbaijan. The state of digitalization in Azerbaijan. Thanks to the adoption of relevant strategic documents and the implementation of government policy, digitalization has become a political priority in Azerbaijan, and state-owned enterprises have been tasked with carrying it out. It can be said that measures to transition to electronic systems and advance digitalization in Azerbaijan are being implemented in several areas. As a result of these initiatives, the following have attracted attention: the "e-Government" and "mygov.az" portals, the government information oversight system, the "e-Agriculture" information system, the digital trade center, the "etender.gov.az" e-procurement platform, the electronic document management system

for collecting government statistical data, the e-justice system, e-health, e-education, and e-social services, the electronic real estate and land cadaster, etc. [Gasimli et al., 2023:235].

According to UN data, Azerbaijan's "E-Government Development Index" for 2024 was 0.7607 (on a scale of 0 to 1), placing the country 74th out of 193 countries. The fact that the index exceeds the global average (0.6382), as well as the relatively high scores on the index components, demonstrate Azerbaijan's prioritization of e-government development [UN, 2024]. Azerbaijan's main advantage in the field of digital transformation lies in its flexibility in terms of the potential for applying and utilizing the latest digital technologies compared to other countries [Abdullayev et al., 2024:11–12]. The Human Capital Index in 2024 stood at 0.72 (range: 0–1), indicating the presence of significant human capital in the country [UN, 2024; World Bank Group, 2024]. The Telecommunications Infrastructure Index in 2024, at 0.82, also reflects the steady development of the country's ICT infrastructure [UN, 2024]. According to the ITU report, Azerbaijan's ICT Development Index stood at 79 in 2023 and 80.4 in 2024 [ITU, 2024:7]. However, although Azerbaijan ranks above the global average (74.8), it lags the average for CIS countries (87.0) and the scores of other member states.

Despite significant progress in ICT reforms, gaps in digitalization efforts—including weak coordination, regional disparities in infrastructure, insufficient financial support, a lack of digital skills, and so on—are generally slowing down the country's digitalization. Ultimately, this results in Azerbaijan lagging other countries in the region and OECD countries [Abdullayev et al., 2024:11–12; OECD, 2022]. Although more than 65% of Azerbaijan's population possesses basic ICT skills to perform simple digital transactions, this figure lags that of the region and OECD countries. While people with standard and advanced digital skills account for 0.7% of the population, in OECD countries this figure reaches 6.8% [OECD, 2019; 2022]. Although 89.2% of the population uses the internet and 91.3% uses mobile communications, internet access for businesses operating in Azerbaijan remains limited. Despite significant progress, Azerbaijan still lags the region and OECD countries. For example, 90% of businesses in Belarus and Ukraine have internet access, and nearly 100% of businesses in OECD countries do [OECD, 2022].




Figure 1. The growth of Internet and computer use in businesses in Azerbaijan.

Source: Compiled the author based on data from the State Statistics Committee [15].

One of the major obstacles to digitalization in the country is the lack of sufficient financial resources to implement and disseminate new technologies. When drafting the state budget for the implementation of digital technologies, it is necessary to expand funding opportunities for projects in this area, improve existing support programs, and create new ones. It should be noted that Azerbaijan can attract foreign investment, and its appeal as an innovation hub is highly valued.

To emphasize the importance of the above and clearly illustrate the level of development of e-services in the country, one need only look at the "Network Readiness Index." Despite strong

performance in certain sub-indices in the 2023 results, Azerbaijan lags some CIS and Eastern Partnership countries in the overall index (Figure 2).




Figure 2. CIS Countries' "Network Readiness Index" for 2023.

Source: Compiled by the author based on data from the "Network Readiness Index" report [14].

Thus, Azerbaijan has taken several important steps toward digitization and digital transformation, and positive results have been achieved. However, it is also well known that much work remains to be done to fully implement digital transformation. Strengthening infrastructure to meet modern requirements, raising the level of digital knowledge and skills, supporting innovative startups and projects, improving coordination among agencies responsible for digital transformation, refining the legal framework, and increasing financial support will provide the impetus for a flexible, rapid, and efficient implementation of the transformation process in the country.

Trends in the development of e-services in Azerbaijan's healthcare sector. Improving the healthcare system is a priority for our country, and refining the regulatory framework for healthcare and health insurance, enhancing transparency and accountability, and developing digital healthcare are considered key areas of this process. Activities related to digitization and digital transformation in medical institutions within Azerbaijan's public healthcare system are carried out by Medical Territorial Units Management Union (TABIB) and the Ministry of Health (MOH).

Although the acceleration of the process of informatization and digitization coincided with the nationwide rollout of mandatory health insurance (MHI), reforms in this area have been implemented on a regular basis. For instance, the MOH's "E-Health" internet portal has been operational since 2008 [Hajialibayov, 2023]. In addition, as part of the "Azerbaijan-2020: A Vision for the Future" development concept, "various electronic health registries for monitoring the population's health, a system of electronic health records (EHR) for citizens, and a unified medical information system (VSIS)" were created [Mammadova & Jabrayilova, 2019:8–9]. A MHI platform was also developed and integrated into the IT systems of other relevant government agencies. To manage medical facilities, as well as to incorporate the medical data of patients seeking care into the MHI software, the State Agency on Mandatory Health Insurance (SAMHI) acquired and installed a hospital management system called "e-tabib" in public medical facilities [SAMHI, n.d.].

It should be added that a digital quality management system is currently being developed within Azerbaijan's healthcare system. For instance, the Digital Health Center under the MOH implemented approximately 45 digital initiatives in 2024, such as the "Medication Tracking and Monitoring System," the "Electronic Prescription System," the "Electronic Discharge Summary System," and the "Electronic Report System" [Hajialibayov, 2023]. In 2025, the "Intranet" digital workplace system for civil servants was developed, as well as the "Analysis and Monitoring of the Health Status of the Healthcare System and Citizens" system, created using the "Agile"

methodology. The “Intranet” system provides uninterrupted access to the MOH’s internal digital resources, structured storage of working materials and documents, and collaboration and document sharing. The “Analysis and Monitoring of the Health Status of Citizens and the Healthcare System” system enables the retrieval of detailed analytical information based on real-time statistical data collected across 17 healthcare sectors. This information will play a crucial role in determining the current health status of citizens, identifying trends in the healthcare sector, and strategic planning for the sector [MOH, 2025A]. In addition, a “Digital Medical Twin System” has been developed based on the FHIR standard as a centralized platform that collects citizens’ health data through unified electronic registries. In addition to integrating more than 20 digital solutions into a single platform, this system enables the prediction of the population’s health status and the implementation of crisis management using artificial intelligence. Thanks to the implementation of this solution, Azerbaijan has, so to speak, taken a leading position in the field of digital healthcare in the Caucasus and Central Asian regions [MOH, 2026].

Digital Medical Solutions LLC, a subsidiary of TABIB, has implemented significant technological innovations in the healthcare facility’s workflow. Positive results have been achieved in areas such as improving service quality, ensuring patient safety, enhancing the expertise of medical staff, increasing cost-effectiveness, and engaging patients in the treatment process, among others. As a result, for the first time in the South Caucasus, the New Clinic and the Nizami Medical Center received the “EMRAM VI” accreditation certificate from the world-renowned organization HIMSS [TABIB, 2024].

It should be noted that telemedicine is also a key focus in Azerbaijan. Reforms implemented in this area over the years, as well as the experience gained in 2020 through the use of the “VideoDoctor” app—which enabled doctors to conduct remote consultations with COVID-19 patients—are driving new initiatives. In June–August 2023, consultations using telemedicine technologies were organized as part of a pilot project. The results demonstrated the effectiveness and broad potential of this technology [MOH, 2025B].

As is well known, the documents “Vision for Digital Health” and “National Digital Health Strategy for 2024–2028” were developed to improve the healthcare sector in our country. This requires expanding the scope of ICT applications to provide high-quality medical services, as well as organizing programs to improve the digital literacy of healthcare workers, developing regulations and performance standards in this area, and so on. Overall, comprehensive government support, a well-designed plan for implementing the digital health initiative, and the involvement of all stakeholders in the process provide a powerful impetus for accelerating the rollout of digital health services across the country.

Main problems in Azerbaijan’s healthcare sector. As can be seen from the above, the division of healthcare facilities within the public healthcare system between the MOH and TABIB has led to increased fragmentation in the provision of healthcare services. Sometimes a patient with a single condition has to visit several medical facilities. In addition, regional differences in the organization of medical care in public medical facilities have led to an influx of people into urban/district centers. This can be explained by urbanization, socioeconomic factors, as well as existing problems with the material and technical base of public medical institutions located in the regions, a shortage of specialized medical services and personnel, etc.

The implementation of separate information systems (“e-tabib” and “VSIS”) in healthcare facilities within the public healthcare system means that medical information about the country’s citizens is collected in different systems. This ultimately hinders the creation of a unified electronic medical database. The parallel use of separate information systems in healthcare facilities not only creates difficulties for staff but also increases patient wait times and reduces patient satisfaction.

In addition, telemedicine is viewed as an important tool for addressing issues such as regional disparities in the organization of healthcare services in public medical institutions, the concentration of healthcare services primarily in urban/district centers, the state of infrastructure in public medical institutions, staff shortages, and variations within the country in the availability of medical equipment and supplies, etc. Nevertheless, it should be emphasized that, despite the country’s

existing experience with telemedicine, it is important to take a number of measures related to its application and implementation, including updating the regulatory framework, improving the organizational and technical infrastructure of healthcare facilities in accordance with modern requirements, and enhancing the skills and knowledge of healthcare workers in the field of ICT.

Conclusions and recommendations. Overall, Azerbaijan's digitalization policy is multifaceted due to the distribution of government institutions. Despite ongoing reforms to establish and improve ICT infrastructure in line with changing needs, regional disparities persist within the country. Insufficient digital literacy is slowing the adoption of the benefits of digitalization in the country.

The division of healthcare facilities within the public healthcare system between the MOH and TABIB has exacerbated fragmentation in the delivery of healthcare services. Regional differences in the organization of medical care in public healthcare facilities have led to an influx of people into urban/district centers. Despite the introduction of MHI in the country, the share of out-of-pocket healthcare expenditures remains high. The implementation of separate information systems in healthcare facilities within the public healthcare system hinders the creation of a unified electronic medical database.

In light of the above, the following options can be proposed:

- Creating a coordination platform for digitalization can strengthen cooperation among the relevant agencies.
- Promoting the implementation of appropriate support programs can raise the level of digital literacy.
- Ensuring centralized management of healthcare will help eliminate the existing fragmentation in the organization and delivery of medical services.
- Strengthening healthcare infrastructure, taking measures to attract investment, and strengthening public-private partnerships can improve access to healthcare services [Ahmadova, 2023].
- Developing digital healthcare technologies and subsidizing these services can improve access to healthcare services, especially in remote areas.
- Ensuring the integration of information systems used in healthcare facilities will enable the creation of a unified electronic health records database.

Thus, the experience of developed countries shows that the future of healthcare can only be realized through digitalization. With this in mind, studying the models of countries that are leaders in digitalization takes on particular significance. The main goal here is to integrate Azerbaijan's healthcare system into the global geoinformation system in the future. Therefore, studying international experience in healthcare digitalization and analyzing new trends expand the possibilities for planning the next steps for Azerbaijan's healthcare system, which is currently in the process of digitalization.

Summary

The measures currently being implemented can be viewed as a turning point in the digital transformation of Azerbaijan's healthcare system: they are reducing the use of paper documents, centralizing electronic records, and integrating services in real time.

The digitization process has moved from the pilot phase to a stage of systematic, nationwide implementation. The main goal here is to create a Unified Healthcare Ecosystem that consolidates information about citizens' health into a single, secure, and accessible information space.

In addition, over the past few years, more than 20 new digital systems have been launched in the healthcare sector: electronic prescriptions, a system for tracking and monitoring medications, electronic discharge summaries, electronic health bulletins, the Unified State Information System for Donors/Recipients and Donor Organs, and others. The rollout of the electronic health record system has been completed nationwide, contributing to the formation of a unified information ecosystem and the creation of a data-driven management model.

In addition, the Medical Data Twin (MDS) system is a centralized system that integrates more than 20 digital solutions on a single platform, built on the basis of the electronic medical records system created in 2007, and serves to monitor the population's health in real time and eliminate duplicate tests.

Based on the international HL7 FHIR standard, 91 national FHIR profiles have been developed (medical records, diagnoses, medical procedures, laboratory tests, radiological images, immunizations, etc.), ensuring the seamless exchange of medical data. Thanks to these achievements, Azerbaijan has taken a leading position in the Caucasus and Central Asia in terms of national interoperability standards, comparable to those of Western European countries.

However, a number of challenges remain. In particular, special attention should be paid to cybersecurity and data privacy. Healthcare facilities process large volumes of confidential information (including personal and medical data), which requires a high level of information security.

It is also necessary to ensure interoperability between systems and various platforms. Data standardization and full integration across institutions remain pressing issues.

Digital literacy and accessibility are important issues. In some cases, digital tools intended for patients are not fully utilized due to users' lack of relevant ICT skills, which limits the actual value creation of digital services.

Feedback mechanisms need to be improved. Mechanisms through which citizens can effectively express their opinions, suggestions, and complaints regarding digital services must be strengthened.

Thus, Azerbaijan has taken a leading position in the region by advancing digitalization in healthcare from pilot projects to a unified ecosystem based on nationwide FHIR standards. The next phase should focus on strengthening cybersecurity, ensuring full system interoperability, and guaranteeing equal access to digital services for the population.

References

1. Abdullayev K., Aliyeva A., Ibrahimova K., Badalova S., Hajizada S. (2024). Current trends in digital transformation and their impact on the national economy. Scientific Bulletin of Mukachevo State University Series: Economics, 11 (1), - p.9-18.
2. Ahmadova, T. (2023). Charactersitics of Public-Private Partnerships (PPPs) for health care. V International Scientific Conference of Economics and Management Researchers, - Baku, - p.2345-2354.
3. Gasimli, V., Talibova, M., Gulieva, G., et al. (2023). Digital economy. Baku, - 262 p.
4. Hajialibayov, R. (2023). The digitization of the healthcare sector in Azerbaijan will gradually expand, and new technologies will be implemented to improve the quality of medical services for citizens and workers in this sector. URL: https://sehiyye.gov.az/media/xeberler-ve-yenilikler/s-hiyy-nazirinin-musaviri-ruf-t-haci-lib-yov-az-rbaycanda-s-hiyy-sah-sinin-r-q-msallasmasi-t-dric-n-genisl-ndiril-r-k-v-t/
5. International Telecommunication Union (2024). Measuring digital development: ICT Development Index. URL: https://www.itu.int/itu-d/reports/statistics/idi2024/
6. Mammadova, M., Jabrailova, Z. (2019). E-health: Formation and scientific-theoretical issues. Baku: Information Technologies Publishing House. – 350 p.
7. Medical Territorial Units Management Union (TABIB) (2024). The "New Clinic," which operates under TABIB, has become the first facility in Azerbaijan to receive the HIMSS international accreditation certificate. URL: https://tabib.gov.az/medi/xeberler/279
8. Ministry of Health of the Republic of Azerbaijan (2025A). The Ministry of Health has launched new electronic systems for civil servants called "Digital Workplace—Intranet" and "Analysis and Monitoring of the Healthcare System and Citizens' Health." URL: https://www.sehiyye.gov.az/media/xeberler-ve-yenilikler/s-hiyy-nazirliyi-dovl-t-qulluqcusunun-r-q-msal-is-yeri-i-ntranet-v-v-t-ndaslarin-saglamliq-v-ziyy-tinin-v-s-hiyy-nin-analizi-v/

9. Ministry of Health of the Republic of Azerbaijan (2025B). The first practical step has been taken toward organizing and implementing telemedicine services in Azerbaijan. URL: https://www.sehiyye.gov.az/media/xeberler-ve-yenilikler/az-rbaycanda-teletibb-xidm-tinin-t-skili-v-t-tbiqi-istiqam-tind-ilk-praktiki-addim-atildi/

10. Ministry of Health of the Republic of Azerbaijan (2026). The Ministry of Health held a presentation on the topic "Digital Healthcare for Citizens' Well-being: A System of Digital Twins for Medical Devices.". URL: https://sehiyye.gov.az/media/xeberler-ve-yenilikler/s-hiyy-nazirliyi-v-t-ndas-saglamligina-r-q-msal-qaygi-tibbi-r-q-msal-kiz-sisteminin-t-qdimatini-kecirib/

11. State Agency on Mandatory Health Insurance of the Republic of Azerbaijan (n.d.). Annual reports on mandatory health insurance. URL: https://its.gov.az/page/hesabatlar

12. Organization for Economic Co-operation and Development (2019). OECD Skills outlook: Thriving in a digital world. URL: https://www.oecd-ilibrary.org/education/oecd-skills-outlook-2019_df80bc12-en

13. Organization for Economic Co-Operation and Development (2022). Promoting enterprise digitalization in Azerbaijan. URL: https://www.oecd.org/en/publications/promoting-enterprise-digitalisation-in-azerbaijan_6a612a2a-en.html

14. Portulans Institute, University of Oxford (2023). Network Readiness Index: Benchmarking the future of the network economy. URL: https://networkreadinessindex.org/

15. State Statistics Committee of the Republic of Azerbaijan (n.d.). Availability and use of ICT systems in enterprises by type of economic activity. https://www.stat.gov.az/source/digital_development/

16. United Nations (2024). E-Government Development Index. URL: https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Data-Center

17. World Bank Group (2022). Azerbaijan provider payment system: Diagnostics and recommendations. URL:https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099065502202396831/p1756340a8e82807092eb04a1733fa8f83

მადონა გელაშვილი

მწვანე ეკონომიკის პირობებში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ანოტაცია. *საქართველოს განვითარების წინაშე არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სწორედ ინკლუზიური და მწვანე ზრდის პოტენციალის ამოქმედება ქვეყანაში, რომელიც უხვადაა დაჯილდოებული კულტურული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით, და რომელიც, ინოვაციებით გაძლიერების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს მწვანე ეკონომიკის რეგიონალური ცენტრი. მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშე-საძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. იმავდროულად ეს აქტივები უზრუნველყოფს იმ რესურსებისა და მომსახურების მოწოდებას, რასაც ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.*

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რასაც ამ სექტორის წილის მუდმივი ზრდაც მოწმობს. საქართველოსთვის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ინდუსტრიის სწორად განვითარება, რაც მდგრადი ტურიზმის განვითარებას გულისხმობს. ეს არის მცდელობა, აღიარებულ იქნეს ტურიზმის ყველა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენებიც. ძირითადი მიზანია უარყოფითი

ზეგავლენის მინიმიზაცია და დადებითის მაქსიმიზაცია. ტურისტული დანიშნულების ადგილზე უარყოფითი ზეგავლენა მოიცავს როგორც ეკონომიკურ დანაკარგებს, ასევე გარემოსდაცვით ზიანსაც, რაც ხალხმრავლობით არის განპირობებული.

სტატიაში განხილულია თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ტურიზმსა და ინდუსტრიის მთავარ მიმართულებებს ეროვნული ეკონომიკისათვის. რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია „მწვანე ტურიზმის“ განვითარება „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპებიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკისა და მათ შორის ტურიზმის მდგრად განვითარებას გულისხმობს.

კვლევის მეთოდოლოგია. *მოცემული ნაშრომის კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის ფორმის ლიტერატურული მიმოხილვის, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, კვლევებისა და ანგარიშების შესწავლით. კვლევის შედეგები გაანალიზდა ანალიზი-სინთეზის შედარებით-ანალიტიკური კვლევის მეთოდებით, რამაც საშუალება მოგვცა დადგენილიყო მდგრადი ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები.*

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა, მდგრადი ტურიზმი, მწვანე ტურიზმი, კეთილდღეობა.*

შესავალი

საქართველოს განვითარების წინაშე არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სწორედ ინკლუზიური და მწვანე ზრდის პოტენციალის ამოქმედება ქვეყანაში, რომელიც უხვადაა დაჯილდოებული კულტურული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით, და რომელიც, ინოვაციებით გაძლიერების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს მწვანე ეკონომიკის რეგიონალური ცენტრი. საქართველოში **მწვანე ეკონომიკის** განვითარება ბოლო წლებში ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად ყალიბდება, რაც გამოწვეულია როგორც ევროინტეგრაციის პროცესითა და საერთაშორისო ვალდებულებებით (მაგ., ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, პარიზის კლიმატის შეთანხმება), ისე ქვეყნის ბუნებრივი და ეკონომიკური პოტენციალით.

მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და იმავდროულად უზრუნველყოფს, რომ ეს აქტივები არ შეწყვეტენ იმ რესურსებისა და მომსახურების მოწოდებას, რასაც ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.

მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას. მისი განხორციელება მოხდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას, არაპროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არადისკრიმინაციულ მიდგომას. მწვანე ზრდის განხორციელება უნდა მოხდეს არსებულ სახელმწიფო პროგრამებსა და პოლიტიკის ჩარჩოებში. მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფოს და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. საქართველოს მთვარობის როლი ამ პროცესში არის არა მარტო როგორც მარეგულირებელი ან დონორი, არამედ როგორც ამ პროცესების ლიდერი, რომელმაც

უნდა უზრუნველყოს საქართველოს პრიორიტეტული დარგების ჩართვა მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები რამდენიმე საკვანძო სექტორში, როგორებიცაა: განახლებადი ენერგეტიკა; მდგრადი სოფლის მეურნეობა და ტურიზმი; მწვანე ტურიზმი და ეკოტურიზმი; ცირკულარული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა; მწვანე დაფინანსება და ინვესტიციები.

ამ კუთხით საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში გამოვყოფდით ტურიზმს. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, სხვა დარგების განვითარებისა და ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების შესაძლებლობას იძლევა. ის ქმნის სამუშაო ადგილებს, აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას, ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და შეუძლია ხელი შეუწყოს ბუნებრივი გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნებას, ასევე სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირებას. ტურიზმის თანამედროვე როლი განისაზღვრება აგრეთვე იმ ეფექტიანობით, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე თავის ზეგავლენას გამოხატავს. ამის გამო ტურიზმის მეცნიერებაში ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ცნებებთან ერთად ტურიზმის სამედიცინო–ბიოლოგიური ეფექტიანობის ცნებაც გამოიყენება. სამედიცინო–ბიოლოგიური ეფექტიანობა მოსახლეობის დაავადებათა პროფილაქტიკაზე ტურიზმის გავლენის შეფასებას გულისხმობს. ამიტომ, კიდევ უფრო მეტად ყურადსაღებია მისი სტიმულირება სხვადასხვა ღონისძიებით.

მდგრადი ტურიზმის გლობალური კრიტერიუმები

საქართველოს, როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყანას, მდიდარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. სახელმწიფოს მიერ ტურიზმის პრიორიტეტულ სფეროდ აღიარებისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგად უკანასკნელ წლებში მისი განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა და გამოირჩევა ზრდის ტენდენციით. მიუხედავად გარკვეული კორექტივებისა, დღეისათვის ეროვნულ ეკონომიკაზე ამ სფეროს გავლენა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო საჭიროებს ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე გამიზნულ სტრატეგიას, რომლის რეალიზაცია ტურისტული რესურსის რაციონალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

„მწვანე“ ეკონომიკის კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება მდგრად განვითარებას. გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი, გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების ახლებურად აღქმის საჭიროება, რაც ყველასათვის სარგებლის მომტანი იქნება. ამ თვალსაზრისით მდგრადი განვითარება, ანუ დაბალანსებული პროგრესის მიღწევა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებში თანადროულად, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ეკონომიკური ზრდის ახალმა შესაძლებლობებმა, რომელიც ამ ახალმა გარემოებებმა შექმნა, საფუძველი დაუდო მწვანე ეკონომიკის კონცეფციას. ეს კონცეფცია გულისხმობს ისეთ მომგებიან სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც იმავდროულად ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევას.

ბუნებრივი გარემოს დეგრადირებამ და წამოჭრილმა პრობლემებმა განაპირობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მდგრადი განვითარების აუცილებლობის აღქმა. მდგრადი განვითარების ძირითადი მიზანია, დააკმაყოფილოს დღევანდელობის მოთხოვნები იმგვარად, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება. მეტიც, ის წარმოადგენს ე.წ. „მწვანე ეკონომიკის“ საფუძველს. მწვანე

ეკონომიკა გულისხმობს ურთიერთბალანსს გარემოსდაცვით, ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროებს შორის. მწვანე ბიზნესის წარმომადგენელი კომპანიები მეტ ინოვაციურ პროდუქციასა თუ მომსახურებას აწარმოებენ დაბინძურებული გარემოსა და კლიმატის ცვლილებების რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად და ქმნიან ორმხრივ სარგებელს როგორც მათთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ისინი იღებენ პასუხისმგებლობას, იზრუნონ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ეფექტიანად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები და მეტი ინვესტიცია ჩადონ განახლებად რესურსებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მწვანე ეკონომიკის აქტუალობა დღესდღეობით მუდმივად იზრდება და მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების მომავალ ძალას წარმოადგენს.

პრაქტიკულად ყველა კვლევა აჩვენებს, რომ წარმოებისა და მოხმარების ნიმუშები გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადია. იმ შემთხვევაში თუ პლანეტის მთელი მოსახლეობა მოიხმარს იმავე რესურსს ერთ სულ მოსახლეზე, რასაც დღეს საშუალო მოქალაქე განვითარებულ ქვეყანაში, რესურსებზე საერთო მოთხოვნა 4-ჯერ გადააჭარბებს დედამიწის შესაძლებლობებს. შესაბამისად, ნათელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში რესურსების მაჩვენებელსა და სტრუქტურაში რადიკალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რასაც მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკები გამოიყენებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორებითი და უფრო მძიმე კრიზისი საფრთხეს შეუქმნის გლობალური ეკონომიკის მდგრადობას, ერების კეთილდღეობას და გაზრდის რესურსებისთვის ბრძოლის (მათ შორის – შეიარაღებული კონფლიქტის) ალბათობას. მსოფლიო რესურსების არამდგრადი გამოყენების კიდევ ერთი შედეგია მთელი რიგი ეკოლოგიური რისკების ზრდა, დაწყებული გლობალური რისკებიდან (კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის წარმოქმნა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და ა.შ), დამთავრებული ადგილობრივით (ნიადაგის ეროზია, ჰაერის დაბინძურება, წყლის რესურსების დაბინძურება, დეფიციტი და ა.შ).

მწვანე ეკონომიკის თეორია ემყარება სამ ძირითად აქსიომას:

- შეუძლებელია გავლენის სფეროს უსასრულოდ გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;
- შეუძლებელია უსაზღვროდ მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეზღუდული რესურსების პირობებში;
- ყველაფერი დედამიწის ზედაპირზე ურთიერთკავშირია.

აღნიშნული კონცეფციის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.

"მწვანე ეკონომიკის" კონცეფცია, შექმნილია სწორედ იმისთვის, რომ უზრუნველყოს ჰარმონიზაცია სამ – სოციალურ, გარემოსდაცვით, ეკონომიკურ – კომპონენტს შორის ეს მისაღებია ყველა ჯგუფის ქვეყნებისათვის (განვითარებული, განვითარებადი და დაბალ განვითარებული ქვეყნები).

იმისათვის, რომ ტურისტული მიმართულება (დესტინაცია) შეესაბამებოდეს მდგრადი ტურიზმის განმარტებას, მან უნდა გამოიყენოს ინტერდისციპლინური, მთლიანობითი (ჰოლისტიკური) და ინტეგრაციული მიდგომა, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად მიზანს/ინდიკატორს:

1. დესტინაციის მდგრადი მართვის დემონსტრირება.
2. ადგილობრივი თემებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაცია და უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე შემცირება.

3. ადგილობრივი თემებისთვის, ვიზიტორებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის სარგებლის მაქსიმიზაცია მინიმალური ზემოქმედების პირობებში.

4. გარემოსთვის სარგებლის მაქსიმიზაცია და უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.

ეს კრიტერიუმები განკუთვნილია ნებისმიერი ტიპისა და მასშტაბის დესტინაციის მიერ გამოსაყენებლად. წინამდებარე კრიტერიუმები წარმოადგენს ტურისტული საზოგადოების პასუხის ნაწილს იმ გლობალურ გამოწვევებზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ „ათასწლეულის განვითარების მიზნებში“ დასახელდა. სიღარიბესთან ბრძოლა, გენდერული თანასწორობა და ეკოლოგიური მდგრადობა, მათ შორის კლიმატის ცვლილების პრობლემა – ეს არის ის ძირითადი მრავალმხრივი საკითხები, რომლებსაც აღნიშნული კრიტერიუმები აყენებს. კრიტერიუმები და ინდიკატორები შემუშავდა უკვე აღიარებული კრიტერიუმებისა და მეთოდების საფუძველზე, მათ შორის, მაგალითად, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) დესტინაციების კლასიფიკაციის, მდგრადი ტურიზმის გლობალური საბჭოს (GSTC) „სასტუმროებისა და ტუროპერატორების კრიტერიუმებისა“ და სხვა ფართოდ გავრცელებული პრინციპების, მეთოდიკების, სერტიფიცირების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე. ისინი ასახავს სერტიფიცირების სტანდარტებს, ინდიკატორებს, კრიტერიუმებსა და საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა მთელ მსოფლიოში სხვადასხვა კულტურულ და გეოპოლიტიკურ პირობებში როგორც ტურიზმში, ისე სხვა სფეროებში, სადაც ეს პრინციპები გამოიყენება. ინდიკატორები შერჩეულია მნიშვნელობის, პრაქტიკული გამოყენებადობისა და დესტინაციების ტიპების ფართო სპექტრზე მორგების შესაძლებლობის პრინციპით.

„გლობალური მდგრადი ტურიზმის კრიტერიუმები დესტინაციებისთვის“ ჩაფიქრებულია, როგორც საწყისი ეტაპი მდგრადობის პრინციპების სტანდარტულ პრაქტიკად დანერგვისთვის ტურიზმის ყველა ფორმაში. რეკომენდებულია ყველა კრიტერიუმის (რაც შეიძლება) პრაქტიკული გამოყენება, თუმცა შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის კრიტერიუმი მიზეზობრივად მიუსადაგებელია. ასე მაგალითად, კრიტერიუმების გამოყენება შესაძლოა შეიზღუდოს ამა თუ იმ ტურისტული დესტინაციის ან ადგილობრივი მარეგულირებელი ტურისტული ორგანიზაციის სპეციფიკის, მართვის ადგილობრივი თავისებურებების, ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული პირობების გამო.

ტურიზმის გამწვანება და ეკოლოგიური სექტორის განვითარება

მწვანე ეკონომიკის მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ისე, რომ შემცირდეს გარემოსდაცვითი რისკები და რესურსების ექპლუატაცია. მწვანე ეკონომიკის პირობებში ტურიზმის სექტორი გარდამტეხ ფაზაშია: ტრადიციული «მასობრივი ტურიზმიდან» ინდუსტრია გადადის **მდგრად და პასუხისმგებლიან ტურიზმზე**. დღეისათვის მეტად აქტუალურია **ტურიზმის გამწვანებისა** და ტურიზმის ინდუსტრიაში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ერთიანი აზრი „მწვანე ტურიზმის“ დეფინიციასთან დაკავშირებით. ხშირად ამ ცნებას ეკოლოგიურ ტურიზმთან აიგივებენ. „მწვანე ტურიზმი“ და „ეკოტურიზმიც“ მდგრადი ტურიზმის ფორმებია. პირველი ექსკლუზიურად გარემოსდაცვით ასპექტებზეა ორიენტირებული და ეკონომიკურ ან კულტურულ საკითხებს ნაკლებად განიხილავს. ეკოტურიზმი შემოიფარგლება

ბუნებასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული აქტივობებით, უფრო ფართო ურბანული და კულტურული ასპექტების გამოკლებით. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ეს მონათესავე ცნებებია, თუმცა დახასიათებები „მწვანე“ და „ეკოლოგიური“ მიეკუთვნება **ტურისტის ქცევას**, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ მოგზაურობის მიზნებით, არამედ:

- გამოყენებული ტრანსპორტით;
- განთავსების საშუალებით;
- ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების მოხმარებით.

ამასთან დაკავშირებით, მართლზომიერია იმის მტკიცება, რომ ტურისტის მწვანე ქცევა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებებში, არამედ მთელი მოგზაურობის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ყველაზე „მწვანე“ ტურიზმს სწორედ **ეკოლოგიური ტურიზმი** წარმოადგენს.

ამგვარად, ეკოტურიზმი ბუნების შენარჩუნებასა და ეკოსისტემების პატივისცემაზეა ორიენტირებული, ხოლო კლასიკური ტურიზმი – დასვენებასა და ღირსშესანიშნაობების მონახულებაზე.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მდგრად ტურიზმს განსაზღვრავს როგორც „ტურიზმს, რომელიც სრულად ითვალისწინებს მის მიმდინარე და სამომავლო ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოზე ზემოქმედებას, ამავდროულად აკმაყოფილებს ვიზიტორების, ინდუსტრიის, გარემოსა და მასპინძელი თემების საჭიროებებს“. UNWTO-სა და UNEP-ის მიხედვით, არსებობს მდგრადი ტურიზმის განვითარების ხუთი ძირითადი საყრდენი: ა) მიმზიდველობა, ბ) ხელმისაწვდომობა, გ) კეთილმოწყობა, დ) დამატებითი ღირებულების მქონე მომსახურება და ე) საზოგადოების მონაწილეობა. მდგრადი ტურიზმის განვითარების ამ ძირითად საყრდენებზე ჩატარდა რამდენიმე კვლევა. ტურიზმის ყველაზე მდგრადი ტიპი მოიცავს მდგრადი მოგზაურობის სამივე ტიპს: სოციალურს, გარემოსდაცვითს და ეკონომიკურს. მან პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გარემოს შენარჩუნებას, სოციალურ-კულტურული ღირებულებების პატივისცემას და დაცვას და ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი თემებისთვის სამართლიანი ეკონომიკური სარგებლის უზრუნველყოფას. ეს არის სწრაფვა, მოხდეს ტურიზმის ყველა სახის – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი – ზემოქმედების აღიარება. მიზანია უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე შემცირება და დადებითის მაქსიმიზაცია. ტურისტული მიმართულებისთვის უარყოფით შედეგებს მიეკუთვნება, კერძოდ, ეკონომიკური დანაკარგები, გარემოს ზიანი და გადატვირთულობა.

თვით ამ ცნების წარმოშობა განპირობებულია ორი გლობალური ტენდენციით:

- ტურისტული ბიზნესის გლობალიზაციითა და დივერსიფიკაციით.
- ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებით.

მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს ცოდნატევად, მაღალტექნოლოგიურ სექტორს. მწვანე ტექნოლოგიების რეალიზაცია ხელს უწყობს ტურიზმის მწვანე ინდუსტრიის ფორმირებასა და განვითარებას. ამ კონტექსტში ეკოლოგიური ტურიზმი შეიძლება განვიხილოთ არა უბრალოდ დასვენების განსაკუთრებულ სახეობად, არამედ **მწვანე ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზაციულ ფორმად**.

ეკოლოგიური ტურიზმი – ეს არის მოგზაურობა შედარებით ხელუხლებელ ან დაუბინძურებელ ტერიტორიებზე, სადაც უნიკალური ბუნებრივი ობიექტები მდებარეობს. ეს არის ტურიზმი, რომელიც შეისწავლის გარემომცველ ბუნებას და ემსახურება მის გაუმჯობესებას, თუმცა ეკოტურიზმის **მასობრივი ფორმების** განვითარებისას ხელუხლებელ ბუნებრივ ობიექტებში მოგზაურობა თავისთავად იწვევს საფრთხის შემცველობას. ტურისტული პროდუქტის მოცულობა და ხარისხი

პირდაპირ არის დამოკიდებული ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, ეკოლოგიური ტურიზმი მსოფლიოში განვითარების ყველაზე მაღალ ტემპებს აჩვენებს: სეგმენტის ყოველწლიური ზრდა 6%-ია, ხოლო ეკოსისტემის მატება წელიწადში 7–20%-ით განისაზღვრება.

მწვანე ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მწვანე (ეკოლოგიური) ტურიზმი საქართველოში ტურიზმის სექტორისა და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყნის მდიდარი ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიების ფართო ქსელი და ტრადიციული სოფლის მეურნეობა ქმნის იდეალურ ბაზას ეკომეგობრული მოგზაურობის პოპულარიზაციისთვის.

საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი და კულტურული რესურსების იშვიათი სინთეზით, რაც მწვანე ტურიზმის ფუნდამენტს წარმოადგენს:

• **დაცული ტერიტორიების ქსელი:** საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებს (მაგ., ბორჯომ-ხარაგაული, ლაგოდეხი, ყაზბეგი, კინტრიში, კოლხეთის ეროვნული პარკი). ეს ტერიტორიები იდეალურ გარემოს ქმნის ეკოტურიზმის, საფეხმავლო ტურებისა (Trekking) და ფრინველებზე დაკვირვებისთვის (Birdwatching).

• **აგროტურიზი და ეკოსოფლები:** საქართველოს რეგიონებში (კახეთი, იმერეთი, რაჭა, გურია და ა.შ.) აქტიურად ვითარდება საოჯახო ტურიზმი: მარნები, ეკო-ფერმები და სასტუმროები, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ ნატურალურ პროდუქტებსა და ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებასთან ზიარებას.

• **ბიომრავალფეროვნება:** საქართველო კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში (Hotspot) მდებარეობს, რაც იშვიათი ფლორისა და ფაუნის ნახვის მსურველთათვის დიდი მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენს.

მიუხედავად დიდი პოტენციალისა, აღნიშნულ სექტორში არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, ეს ეხება:

➢ **ინფრასტრუქტურას:** რეგიონების ნაწილში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ნარჩენების მართვის სისტემა, წყალმომარაგება და საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

➢ **ცნობიერების დონეს:** ადგილობრივ მოსახლეობასა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებში ხშირად არ არის საკმარისი ინფორმაცია მდგრადი ტურიზმის სტანდარტებისა და ეკოსერტიფიცირების შესახებ.

➢ **სეზონურობასა და გადატვირთულობას:** ზოგიერთი პოპულარული მიმართულება (მაგ., სტეფანწმინდა, ბათუმი) პიკის სეზონზე გადატვირთულია, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე.

➢ **მწვანე ტექნოლოგიების ნაკლებობას:** განახლებადი ენერგიის წყაროების (მზის პანელები, ენერგოეფექტური გათბობა) გამოყენება ტურისტულ ობიექტებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია მწვანე ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად კომპლექსური მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, **ეკო-სერტი-ფიცირების დანერგვა,** რაც გულისხმობს საერთაშორისო და ეროვნული ეკონიშნების (მაგ., Green Key) პოპულარიზაციას და სასტუმროების სტიმულირებას, რათა გამოიყენონ ენერგოეფექტური ტექნოლოგიები; **ადგილობრივი თემების გაძლიერება:** რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გადამზადება ეკოტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით, რაც ხელს შეწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და მიგრაციის შემცირებას; **ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია:** დაცულ ტერიტორიებზე

საფეხმავლო ბილიკების მარკირება, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის (ელექტრობუსები, ველოსიპედები) განვითარება და ნარჩენების სეპარირების დანერგვა; **მარკეტინგული სტრატეგია:** საქართველოს პოზიცირება საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი ტურისტული მიმართულება.

დასკვნა

მსოფლიოში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, ტურიზმის სექტორში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება **მწვანე (ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი) ტურიზმი**. ეს არის მოგზაურობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი გარემოს დაცვას, ადგილობრივი თემების ეკონომიკურ მხარდაჭერასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ტურიზმის გამწვანება ვლინდება პროგრამების ეკოლოგიზაციაში, მწვანე მარშრუტების მოწყობასა და სასტუმრო სექტორში ეკოტექნოლოგიების დანერგვაში. პერსპექტივაში ტრადიციული პროდუქტები ჩანაცვლდება, ხოლო კონკურენტულ უპირატესობას მოიპოვებენ ის საწარმოები, რომლებიც შეძლებენ მომხმარებელს შესთავაზონ დასვენება მისი ეკოლოგიური პრეფერენციების გათვალისწინებით.

საქართველოს გააჩნია უნიკალური პოტენციალი, გახდეს რეგიონული ლიდერი მწვანე ტურიზმის მიმართულებით, რასაც ხელს უწყობს მისი მდიდარი ბიომრავალფეროვნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი და საუკუნოვანი ტრადიციები.

მწვანე ტურიზმი საქართველოსთვის არ არის მხოლოდ ტურიზმის ერთ-ერთი შტო – ეს არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და რეგიონების გაძლიერების ეფექტური სტრატეგია. სწორი სახელმწიფო პოლიტიკის, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თემების თანამშრომლობის პირობებში საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, გახდეს მწვანე ტურიზმის გამორჩეული ცენტრი რეგიონში.

საბოლოოდ, საქართველოში ტურიზმის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა თავისი უნიკალური რესურსების გონივრულად გამოყენებას და თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებას. ეს ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანს ქვეყანას და თან ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს და საქართველოს პოზიციონირებას გლობალურ ტურისტულ რუკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგნიძე, ე., მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპები და გამოწვევები საქართველოში. თბილისი. თსუ-ის გამომცემლობა. 2020 წ.

2. გელაშვილი, მ., ეკონომიკის მწვანე განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. თბილისი, უნივერსალი, 2024 წ.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2022). საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. თბილისი.

4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA) (2025). საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025. თბილისი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

5. ხარაიშვილი, ე., აგროტურიზმი და ეკოტურიზმი საქართველოში: განვითარების პოტენციალი და რეგიონული ასპექტები. თბილისი. უნივერსალი. 2019 წ.

6. Gelashvili, M., „Interrelations between a level of poverty and factors of green economics on the example of the EU countries“ . file:///C:/Users/user/Desktop/Skopus-ukraina/PIRETC-33(07).04.2024.

7. Hall, C. M., Gossling, S., & Scott, D. (2015). *The Routledge Handbook of Tourism and Sustainability*. London: Routledge.

8. OECD. (2021). *Managing Tourism Development for Sustainable and Inclusive Growth*. Paris: OECD Publishing.

9. UNEP & UNWTO. (2012). *Tourism in the Green Economy: Background Report*. Madrid/Nairobi: World Tourism Organization & United Nations Environment Programme.

10. United Nations World Tourism Organization (UNWTO). (2023). *Green Investments for Tourism Transformation*. Madrid: UNWTO.

11. World Travel & Tourism Council (WTTC). (2022). *A Net Zero Roadmap for Travel & Tourism*. London: WTTC.

12. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN) (2015). *მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 2030*. (განსაკუთრებით მიზნები: 8, 12, 13 და 14).

Madona Gelashvili

Opportunities and prospects for tourism development in the context of a green economy

Summary

One of the significant challenges facing Georgia's development is unlocking the potential for inclusive and green growth in a country richly endowed with cultural, human, and natural resources, which, if empowered by innovation, could become a regional hub for the green economy. For Georgia, green growth means opening up its rich natural, cultural, and human capital to new business opportunities that serve as a driving force for economic growth and development, while simultaneously ensuring that these assets continue to provide the resources and services upon which our well-being relies.

Tourism is one of the priority sectors of the country's economy, as evidenced by the steady growth of this sector's share. For Georgia, as an attractive tourist destination, the proper development of this industry is particularly crucial, which implies the development of sustainable tourism. This represents an effort to acknowledge all impacts of tourism—both positive and negative. The goal is to minimize negative impacts while maximizing the positive ones. Negative impacts on a tourist destination encompass both economic losses and environmental damage caused by overcrowding.

The article explores the strategic importance of tourism and the main directions of the industry for the national economy. It highlights how important and necessary the development of "green tourism" is, based on the principles of a "green economy," which in turn implies the sustainable development of the country's economy, including tourism.

Keywords: *Green economy, Green growth, Sustainable tourism, Green tourism, Well-being.*

რევაზ კვატაშიძე
გელა მაჩაიძე
სოფიო გიგაური
გელა ლობჯანიძე

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისების პერსპექტივები გლობალური ტენდენციების, ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და მდგრადი განვითარების პირობებში

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოს ენერგეტიკული რესურსების (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ჰიდროენერგეტიკული რესურსები და განახლებადი ენერგიის წყაროები (ქარი, მზე, ბიომასა, გეოთერმული ენერგია) სამრეწველო პოტენციალი, მათი რაციონალური ათვისების ეკონომიკური-ტექნოლოგიური*

შესაძლებლობები და ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე ძირითადი მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკური ეფექტიანობის, გარემოსდაცვით ურთიერთკავშირს, ბიზნესის მართვის მდგრად და კლასტერულ მოდელებს, რომლებიც ენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის, ინოვაციების დანერგვისა და რეგიონული ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისების სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც ეფუძნება მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და ენერგეტიკული ტრანზიციის გლობალურ ტენდენციებს. ამასთან, შემუშავებულია ინტეგრირებული პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს ენერგეტიკული დივერსიფიკაციის, დეკარბონიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას. შესაბამისად, ნაშრომის შედეგები აჩვენებს, რომ ენერგეტიკული ინდუსტრიის ეფექტიანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული კლასტერული პოლიტიკის, ინვესტიციების მოზიდვის, ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *ენერგეტიკული რესურსები, კლასტერული განვითარება, ბიზნესის მართვა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება.*

შესავალი

XXI საუკუნეში ენერგეტიკული უსაფრთხოება იქცა სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა აღარ განიხილება მხოლოდ საწვავის მარაგების არსებობის კონტექსტში, არამედ მოიცავს ენერგიის წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, დიგიტალიზაციის, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების და ტექნოლოგიური ინოვაციების მთლიან სისტემას. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს: დეკარბონიზაცია, ენერგეტიკული გარდაქმნა (Energy Transition), ჭკვიანი ქსელის (Smart Grid) ტექნოლოგიების განვითარება, წყალბადის ეკონომიკის ფორმირება, ენერგიის დაგროვების სისტემების (Battery Storage) სწრაფი ზრდა, ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების (Big Data) ინტეგრაცია ენერგეტიკაში და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (E-Environmental, S-Social, G-Governance) სტანდარტების გავრცელება; შესაბამისად, ასეთ პირობებში, საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკული რესურსების კომპლექსურ, ეკონომიკურად ეფექტიან და ეკოლოგიურად დაბალანსებულ ათვისებას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი და უმთავრესი საფუძველია. საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი ენერგეტიკული პოტენციალის რეალისტურ შეფასებას და მისი ეფექტიანი გამოყენების გზების შემუშავებას. გლობალური ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც იზრდება განახლებადი ენერგიის წილი და მკაცრდება გარემოსდაცვითი მოთხოვნები, საქართველოს წინაშე დგას ამოცანა – ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისების ოპტიმალური კომბინაციის ჩამოყალიბება.

საქართველო ფლობს მნიშვნელოვან ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, ასევე ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ქვანახშირის, განახლებადი ენერგიის (ქარი, მზე, ბიოენერგია, გეოთერმული წყლები) გარკვეულ რესურსებს და მარაგებს თუმცა, მათი სრულმასშტაბიანი სამრეწველო ათვისება ჯერ კიდევ შეზღუდულია

ინფრასტრუქტურული, საინვესტიციო და ტექნოლოგიური ფაქტორების გამო. მართალია, ქვეყნის ენერგოსექტორი ისტორიულად ეფუძნება ჰიდროენერგეტიკას, თუმცა თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციას, განახლებადი ენერგიის განვითარებასა და ენერგოეფექტიანობის ზრდას. მდგრადი განვითარების პრინციპები მოითხოვს ეკონომიკური ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და გარემოს დაცვის დაბალანსებას, რაც ენერგეტიკული პოლიტიკის სისტემურ ტრანსფორმაციას გულისხმობს. შესაბამისად, გლობალური კლიმატური გამოწვევებისა და დეკარბონიზაციის პროცესების ფონზე, განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება მდგრადი ენერგეტიკის მოდელის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დაცვას შორის ბალანსს.

კვლევის მიზანია საქართველოში ენერგეტიკული რესურსების სამრეწველო პოტენციალის პერსპექტივების შეფასება, მათი რაციონალური ათვისების დასაბუთებული მიმართულებების შემუშავება, სექტორის პერსპექტიული და პროგნოზული (2026-2050 წწ.) განვითარების სცენარების განსაზღვრა სტრატეგიული ძირითადი მახასიათებლების და მაჩვენებლების თვალსაზრისით, ასევე, მდგრადი განვითარების ეფექტიანი კლასტერული მოდელის შემუშავება თანამედროვე გლობალური ტენდენციების, ინოვაციური ინფრასტრუქტურის, ციფრული ტრანსფორმაციისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით. ამიტომ, ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისება, ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება უნდა განიხილებოდეს როგორც ერთიანი სტრატეგიული ამოცანა, რომლის ეფექტიანი გადაწყვეტაც განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის კონკურენტუნარიანობასა და მედეგობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

* * *

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ენერგეტიკული სისტემების მდგრადობასა და რესურსების ეფექტიან მართვაზე. კლიმატის ცვლილება, გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ენერგორესურსების ფასების მერყეობა, მიწოდების ჯაჭვების დარღვევა და ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაცია ენერგეტიკულ უსაფრთხოებას აქცევს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. პარალელურად, განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიური პროგრესი, ხელოვნური ინტელექტის, ციფრული მართვის სისტემებისა და ენერგიის შენახვის ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურასა და ფუნქციონირების პრინციპებს [1, 2, 3, 4].

საქართველო, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური რესურსების გამო, დიდ პოტენციალს ფლობს როგორც ენერგეტიკული განვითარებისთვის, ასევე განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებისთვის. თუმცა მათი გამოყენება კვლავ ფრაგმენტული და არასაკმარისად ინტეგრირებულია. არსებული გამოწვევები მოიცავს ენერგიის იმპორტზე ნაწილობრივ დამოკიდებულებას, არასაკმარის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას, რესურსების დაბალ დამატებულ ღირებულებას, რეგიონული ინდუსტრიული კლასტერების ნაკლებ განვითარებას და ESG სტანდარტების არასრულ ინტეგრაციას. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი განვითარების მოდელის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკურ

ეფექტიანობას, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, სოციალურ ინკლუზიურობასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებს [5, 6, 7].

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების პოტენციალის ანალიზი მოიცავს ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს და განახლებადი ენერგიის წყაროებს (ქარი, მზე, ბიომასა, გეოთერმული ენერგია) (იხ. ცხრილი 1). აღნიშნული რესურსების მრავალფეროვნება ქმნის ენერგეტიკული ბალანსის ოპტიმიზაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვან წინაპირობას. შესაბამისად, რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. რაოდენობრივი შეფასების მიზანია არა მხოლოდ არსებული მარაგებისა და ტექნიკური პოტენციალის განსაზღვრა, არამედ მათი ეკონომიკურად ამოსაღები ნაწილის, ენერგეტიკული ღირებულების, გენერაციის შესაძლებლობებისა და ეროვნული ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებაში მათი წილის კომპლექსური ანალიზი [8, 9, 10, 11].

საერთოდ, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურა არსებითად განსხვავდება მრავალი ქვეყნისგან. ქვეყანა მდიდარია განახლებადი ენერგეტიკული რესურსებით, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით, ხოლო წიაღისეული საწვავის – ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მარაგები შედარებით შეზღუდულია (იხ. ცხრილი 1); ამასთან, აღსანიშნავია რთული სამთო-გეოლოგიური პირობები და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების გამოწვევები ქვანახშირთან მიმართებაში. შესაბამისად, ამ გარემოებებიდან გამომდინარეობს ენერგეტიკული პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება: ადგილობრივი განახლებადი რესურსების მაქსიმალური რაციონალური ათვისება და იმპორტირებული ენერგომატარებლების მიმართ დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება.

ცხრილი 1. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რაოდენობრივი შეფასება

რესურსი	რაოდენობრივი მაჩვენებელი	შეფასების წელი	შენიშვნა, წყარო
ქვანახშირი (დადასტურებული/ ბალანსური მარაგი)	≈400 მლნ ტონა	2012	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს შეფასება (ესს/IEA/ (International Energy Agency)
მურა (ყავისფერი) ნახშირის რესურსი	≈700 მლნ ტონა	2012	რესურსი (არა ეკონომიკურად დადასტურებული მარაგი); სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, UNECE (2023)
ქვანახშირის ისტორიული შეფასება	>400 მლნ ტონა	2000	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; კომპანია ,,საქნახშირი“, British Geological Survey (World Mineral Statistics)
ნავთობის ეკონომიკურად მოპოვებადი მარაგი	≈525 მლნ ტონა	2012	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ესს/IEA
ნავთობის გეოლოგიური	≈1 381 მლნ ტონა	2012	სსიპ გარემოსდაცვითი

(პროგნოზული) რესურსი			ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ესს/IEA
ბუნებრივი გაზის დადასტურებული მარაგი	≈8 მლრდ მ³	2012	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია; BP;ესს/IEA
ბუნებრივი გაზის პროგნოზული რესურსი	≈180 მლრდ მ³	2012	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ესს/IEA
თბილისის მიმდებარე აღმოჩენილი გაზის ახალი საბადოს დადასტურებული მარაგი/ XIB სალიცენზიო ბლოკი	≈16 მლრდ მ³	2022	სსიპ საქართველოს ნავთობისა და გაზის სააგენტო; ესს/IEA
XIB სალიცენზიო ბლოკი - 2P მარაგები	64 MMboe (მათ შორის დაახლოებით 36 მლნ ბარელი ნავთობი და 28 MMboe გაზი), ნავთობის ეკვივალენტი	მოქმედი შეფასება	Block Energy / Bayphase CPR/Competent Person Report/ კომპეტენტური პირის ანგარიში-შეფასება
ჰიდროენერგიის თეორიული პოტენციალი	135.8 მლრდ კვტ·სთ/წელი	მოქმედი შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
ჰიდროენერგიის ტექნიკური პოტენციალი	81 მლრდ კვტ·სთ/წელი	მოქმედი შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
ჰიდროენერგიის ეკონომიკური პოტენციალი	32 მლრდ კვტ·სთ/წელი	მოქმედი შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
მზის გამოსხივება	1 250–1 800/ 1 300-2 500 კვტ·სთ/მ²/წელი	მიმდინარე შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; World Bank Global Solar Atlas; ესს/IEA
მზიანი დღეები	250–280 დღე/წელი	მიმდინარე შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ესს/IEA
ქარის ტექნიკური პოტენციალი	≈4.0-4.5 მლრდ კვტ·სთ/წელი	ეროვნული შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
გეოთერმული წყლების მარაგი	200–250 მლნ მ³/წელი	მიმდინარე შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; ესს/IEA
გეოთერმული წყლების დებიტი	≈160 000 მ³/დღე	მიმდინარე შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; IEA
ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი	≈3-4 ტვტსთ/წელი (ენერგეტიკული პოტენციალი)	მიმდინარე შეფასება	განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტო/IRENA/International Renewable Energy Agency
ბიომასის შესაძლო სიმძლავრე	≈510 მგვტ	ეროვნული შეფასება	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

ცხრილში 1 წარმოდგენილი რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურა ორ განსხვავებულ ჯგუფად იყოფა. პირველი

მოიცავს **არაგანახლებად რესურსებს** (ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი), რომელთა ეკონომიკურად მოპოვებადი მარაგები შედარებით შეზღუდულია, თუმცა მათი ეფექტიანი ათვისება, ღრმა გადამუშავება და მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის წარმოება კვლავ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოტენციალს ინარჩუნებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ბუნებრივი გაზის ახალი აღმოჩენები, რომლებიც დამატებით კვლევასა და დამოუკიდებელ დადასტურებას საჭიროებს. ხოლო, მეორე ჯგუფს წარმოადგენს **განახლებადი რესურსები**, სადაც საქართველოს კონკურენტული უპირატესობა განსაკუთრებით მკაფიოა. ჰიდროენერგიის ეკონომიკური პოტენციალი, მზის მაღალი ინსოლაცია, ქარის მნიშვნელოვანი ტექნიკური რესურსი, გეოთერმული წყლების ფართო გავრცელება და ბიომასის პოტენციალი ქმნის საფუძველს ენერგეტიკული სისტემის დივერსიფიკაციისა და დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლისათვის.

საქართველოში ენერგეტიკული სექტორის განვითარების ეკონომიკური და ტექნოლოგიური გამოწვევებიდან აღსანიშნავია ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, ინვესტიციების დეფიციტი, ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ენერგეტიკული ბაზრის რეგულირების პრობლემები და ენერგოდამოკიდებულება იმპორტზე, რომელთა გადასაჭრელად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. თავის მხრივ, ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკური პოტენციალი (იხ. ცხრილი 2), რომლის შეფასება მოიცავს არა მხოლოდ არსებული მარაგების ღირებულებას, არამედ მათი ეფექტიანი ათვისების, დამატებული ღირებულების შექმნის, ექსპორტის, დასაქმების, რეგიონული განვითარების შესაძლებლობების ანალიზს და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ენერგეტიკული უსაფრთხოების, ინდუსტრიული ზრდისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ცხრილი 2. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკური პოტენციალი

რესურსი	პოტენციალი	ამჟამინდელი გამოყენება	ეკონომიკური მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა
ჰიდროენერგეტიკა	ძალიან მაღალი	საშუალო	ექსპორტისა და ენერგოდამოუკიდებლობის საფუძველი და მაღალი
ქარის ენერგია	მაღალი	დაბალი	ელექტროენერგიის დივერსიფიკაცია და მაღალი
მზის ენერგია	მაღალი	დაბალი	რეგიონული ენერგომომარაგება და ძალიან მაღალი
გეოთერმული რესურსები	საშუალო-მაღალი	დაბალი	გათბობა, სამრეწველო გამოყენება და მაღალი
ბიომასა	საშუალო	დაბალი	სოფლის მეურნეობის, რეგიონების განვითარება და საშუალო-მაღალი
ქვანახშირი	შეზღუდული	დაბალი	ადგილობრივი სამრეწველო გამოყენება, ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და საექსპორტო პროდუქციის წარმოება
ნავთობი	დაბალი	დაბალი	იმპორტის ნაწილობრივი ჩანაცვლება, ახალი გეოლოგიური კვლევები და მცირე ბავთობქიმიური პროდუქციის წარმოება

ბუნებრივი გაზი	შეზღუდული	საშუალო	იმპორტის ნაწილობრივი ჩანაცვლება და მიწოდების დივერსიფიკაცია

ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ე. წ. ,,SWOT“ და ,,PESTLE“ ანალიზი ანუ ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, გარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების სისტემურ შეფასება (იხ. ცხრილი 3 და 4) [15], სადაც ნიშანდობლივია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისებისა და რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციის გაძლიერების თვალსაზრისით, ხოლო ძირითადი გამოწვევებია ენერგოიმპორტზე დამოკიდებულება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საჭიროება.

ცხრილი 3. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ,,SWOT“ ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strengths)	**სუსტი მხარეები (Weaknesses)**
მდიდარი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი	იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე მაღალი დამოკიდებულება
მზის, ქარისა და გეოთერმული რესურსების მრავალფეროვნება	მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ნაწილი
სტრატეგიული სატრანზიტო მდებარეობა	შეზღუდული საინვესტიციო რესურსები
ევროკავშირთან ენერგეტიკული ინტეგრაციის პერსპექტივა	ადგილობრივი ნავთობისა და გაზის მცირე მარაგები
შესაძლებლობები (Opportunities)	**საფრთხეები (Threats)**
განახლებადი ენერგიის სწრაფი განვითარება	გლობალური ენერგეტიკული კრიზისები
უცხოური ინვესტიციების მოზიდვა	კლიმატის ცვლილების ზემოქმედება
ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია	რეგიონული გეოპოლიტიკური რისკები
ESG და მწვანე დაფინანსების გამოყენება	საერთაშორისო ფასების მერყეობა

ცხრილი 4. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრიის ,,PESTLE“ ანალიზის ინტეგრირებული მატრიცა

კომპონენტი	ძირითადი ფაქტორები	შესაძლებლობები	გამოწვევები
პოლიტიკური / Political	ენერგეტიკული უსაფრთხოება, ევროკავშირთან ინტეგრაცია, რეგიონული თანამშრომლობა	ინვესტიციების ზრდა, ენერგეტიკული ჰაბის ფორმირება	გეოპოლიტიკური რისკები
ეკონომიკური / Economic	ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციები, ენერგომოთხოვნა	ექსპორტი, ახალი ინდუსტრიები	ფასების მერყეობა, კაპიტალის დეფიციტი
სოციალური / Social	დასაქმება, სოციალური პასუხისმგებლობა, ენერგოდაწვდომობა	რეგიონული განვითარება	მოსახლეობის წინააღმდეგობა ცალკეულ პროექტებზე
ტექნოლოგიური / Technological	ციფრული ენერგეტიკა, AI, Smart Grid, ენერგიის დაგროვება	პროდუქტიულობის ზრდა	ტექნოლოგიური ჩამორჩენა
სამართლებრივი / Legal	ენერგეტიკული კანონმდებლობა, ESG, ევროკავშირის დირექტივები	სამართლებრივი ჰარმონიზაცია	რეგულირების სირთულე

გარემოსდაცვითი / Environmental	კლიმატის ცვლილება, დეკარბონიზაცია, ეკოსისტემები	მწვანე ეკონომიკა	ეკოლოგიური რისკები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ენერგეტიკული რესურსების განვითარების საინვესტიციო ეფექტიანობის შესაფასებლად გამოყენებული თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური მეთოდების შეფასება აჩვენებს, რომ ქვეყანაში ყველაზე მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობით გამოირჩევა ჰიდროენერგეტიკის, მზისა და ქარის ენერგეტიკის პროექტები, რომლებიც ხასიათდება ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადით, დაბალი საოპერაციო დანახარჯებითა და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით. ხოლო, ბუნებრივი გაზი გარდამავალი პერიოდისთვის ინარჩუნებს მნიშვნელოვან როლს ენერგოსისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში, ხოლო ქვანახშირისა და ნავთობის გამოყენება საჭიროებს დაბალემისიური ტექნოლოგიებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრაციას.

საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოს აქვს ენერგეტიკული ტრანზიციის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკის, მზის, ქარის, ბიომასისა და გეოთერმული ენერგიის მიმართულებით. აგრეთვე შეზღუდული, თუმცა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქვანახშირისა და ნავთობის რესურსებით. აღნიშნული მრავალფეროვნება ქმნის ენერგეტიკული ბალანსის დივერსიფიკაციის, ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს საერთაშორისო შეფასებების თანახმად, საქართველოს კონკურენტული უპირატესობა განისაზღვრება არა მხოლოდ წიაღისეული რესურსების მოცულობით, არამედ მათი კომპლექსური, ეკონომიკურად ეფექტიანი და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ათვისების შესაძლებლობით. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკული სექტორის განვითარებას კვლავ ზღუდავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე ნაწილობრივი დამოკიდებულება, განახლებადი ენერგიის არასრულად ათვისებული პოტენციალი, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საჭიროება, ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიების შეზღუდული გამოყენება და კერძო ინვესტიციების მოზიდვის გამოწვევები. აქ გაითვალისწინება, განახლებადი ენერგიის, მცირე ნავთობქიმიური წარმოებისა და ენერგეტიკული კლასტერების ინტეგრირებული განვითარება, რაც ქმნის ყველაზე მაღალ ეკონომიკურ ეფექტს გრძელვადიან პერსპექტივაში. შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა დაკავშირებულია ჰიდროენერგეტიკის, მზის, ქარისა და გეოთერმული რესურსების მაღალ ბუნებრივ პოტენციალთან. ამავდროულად, ქვანახშირისა და ნავთობის როლი გლობალური დეკარბონიზაციის პირობებში თანდათან მცირდება, ხოლო ბუნებრივი გაზი კვლავ ინარჩუნებს გარდამავალი საწვავის ფუნქციას [1, 6, 16] (იხ. ცხრილი 5). ამასთან, შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველო საერთაშორისო ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პირობებში ფლობს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს რეგიონულ ენერგეტიკულ ჰაბად ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების, ინოვაციური საინვესტიციო მექანიზმების, ESG სტანდარტების, ეფექტიანი ინსტიტუციური მმართველობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტეგრირებულ გამოყენებას. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, არამედ

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის, კლიმატური ვალდებულებების შესრულებისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებად [5, 14].

ცხრილი 5. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების პოზიცია საერთაშორისო ტენდენციებთან შედარებით

ენერგეტი-კული რესურსი	საქართველო	ევროკავშირი	OECD	მსოფლიო ტენდენცია	საქართველოს განვითარების პერსპექტივა
ქვანახშირი	საშუალო რესურსი, შეზღუდული გამოყენება	ეტაპობრივი შემცირება	მკვეთრი შემცირება	დეკარ-ბონიზაცია და დაბალ-ემისიური ტექნოლოგიები	შეზღუდული, მხოლოდ მაღალ-ეფექტიანი ტექნო-ლოგიებით
ნავთობი	მცირე რესურსები, მაღალი იმპორტდამოკი-დებულება	იმპორტზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება	შემცირების ტენდენცია	ნავთობის წილის თანდათა-ნობითი შემცირება	ახალი კვლევები და შავი ზღვის შელფის პოტენციალის შეფასება
ბუნებრივი გაზი	საშუალო მნიშვნელობა, გარდამავალი საწვავი	მნიშვნელოვანი, მაგრამ მცირდება	მაღალი, გარდამავალი საწვავი	ენერგეტი-კული ტრანზიციის ძირითადი საწვავი	მიწოდების დივერსი-ფიკაცია და რეგიონული ჰაბის ფუნქციის გაძლიერება
ჰიდრო-ენერგია	ძალიან მაღალი პოტენციალი	საშუალო	საშუალო	სტაბილური განვითარება	ერთ-ერთი მთავარი კონკურენ-ტული უპირატესობა
მზის ენერგია	მაღალი ბუნებრივი პოტენციალი, დაბალი ათვისება	სწრაფი ზრდა	სწრაფი ზრდა	ყველაზე სწრაფად მზარდი ტექნოლოგია	ძალიან მაღალი განვითარების შესაძლებლობა
ქარის ენერგია	მაღალი პოტენციალი, განვითარების საწყისი ეტაპი	მაღალი	მაღალი	სწრაფი გაფართოება	მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობა
გეოთერ-მული რესურსები	მნიშვნელოვანი რესურსები, არასაკმარისი გამოყენება	ფართო გამოყენება გათბობასა და ენერგეტიკაში	აქტიური განვითარება	მზარდი ინტერესი	რეგიონული ენერგეტიკის მნიშვნე-ლოვანი მიმართულება
ბიომასა	საშუალო პოტენციალი	ფართოდ გამოყენებული	მაღალი	წრიული ეკონომიკის მნიშვნე-ლოვანი ელემენტი	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ნარჩენების ეფექტიანი გამოყენება

ენერგიის დაგროვების სისტემები (Battery Storage)	განვითარების საწყისი ეტაპი	სწრაფი ზრდა	სწრაფი ზრდა	ენერგეტი-კული ტრანზიციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება	აუცილებელია განახლებადი ენერგიის ინტეგრა-ციისთვის
მწვანე წყალბადი	პოტენციალი არსებობს, პრაქტიკული განვითარება ჯერ შეზღუდულია	აქტიური საინვესტიციო პროგრამები	ინტენსიური განვითარება	2050 წლის ენერგე-ტიკული სისტემის მნიშვნე-ლოვანი კომპონენტი	გრძელვა-დიანი სტრატეგი-ული მიმართუ-ლება

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება ინდუსტრიული განვითარების კლასტერული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდაკავში-რებული საწარმოებისა და ინსტიტუტების ერთიან სისტემაში გაერთიანებას. ენერგეტიკული სექტორის კლასტერული ორგანიზაცია ქმნის პირობებს ტექნოლოგიური სინერგიის, ინოვაციების, ეფექტიანი მენეჯმენტის და რეგიონული განვითარებისათვის. აქ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება წარიმართოს სექტორული მიდგომიდან ინტეგრირებულ, ინოვაციურ-კლასტერულ და მდგრადი განვითარების მოდელზე გადასვლის მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების მოპოვების, გადამუშავების, ენერგიის წარმოების, ლოგისტიკის, კვლევისა და განვითარების (R&D), ციფრული ტექნოლო-გიების, საინვესტიციო მექანიზმებისა და გარემოსდაცვითი მმართველობის ერთიან სისტემაში ფუნქციონირებას (იხ. სურ. 1). შესაბამისად, პირველ სურათზე წარმოდგე-ნილი კონცეპტუალური სქემა ასახავს **საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისების ინტეგრირებულ კლასტერულ მოდელს**, რომელიც აგებულია სისტემური (Systems Thinking), კლასტერული განვითარების (Cluster Development), ინოვაციური ეკოსისტემის (Innovation Ecosystem) და მდგრადი განვითარების (Sustainable Development) თანამედროვე თეორიების საფუძველზე [13, 17-24].

მოდელის არქიტექტურა ეფუძნება ლოგიკურ ჯაჭვს, რომლის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირველად აერთიანებს საქართველოს ენერგეტიკული რესურსების მართვის პროცესში შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

„რესურსები → გლობალური ტენდენციები → ინოვაციური ინფრასტრუქტურა → ენერგეტიკული კლასტერი → მართვის მექანიზმები → მდგრადი შედეგები → უკუკავშირი (Feedback Loop)“ და წარმოადგენს **სტრატეგიული ენერგეტიკული მართვის ინტეგრირებულ ჩარჩოს**, რომელიც თავის მხრივ, აერთიანებს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და ინსტიტუციურ განზომილებებს, სადაც **საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისება** ეფუძნება რესურსული პოტენციალის, გლობალური ენერგეტიკული ტრანზიციის, ინოვაციური ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე მართვის მექანიზმების ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს ენერგოუსაფრთხოების, ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკოლოგიური მდგრადობისა და ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის ზრდას.



სურ. 1. საქართველოს რაციონალური ათვისების ინტეგრირებული კონცეპტუალური მდგრადი განვითარებისა და კლასტერული მოდელი

ეკონომიკური თვალსაზრისით, რესურსების რაციონალური ათვისება ქმნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის, ინვესტიციების ზრდის, ექსპორტზე ორიენტირებული ენერგეტიკული პროდუქციის განვითარების, რეგიონული ინდუსტრიული კლასტერების ფორმირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის რეალურ საფუძველს. ამასთან, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს მრავალკრიტერიუმიან ეკონომიკურ შეფასებას, რომელიც აერთიანებს ფინანსურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ ინდიკატორებს, რისკების რაოდენობრივ შეფასებასა და სცენარულ მოდელირებას.

საბოლოოდ, წარმოდგენილი ინტეგრირებული კონცეპტუალური მოდელი აყალიბებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განვითარების ახალ პარადიგმას, რომლის საფუძველს წარმოადგენს **რესურსების დივერსიფიკაცია, კლასტერული ინტეგრაცია, ინოვაციებზე დაფუძნებული ინდუსტრიული განვითარება, ESG მმართველობა, ეკონომიკური ეფექტიანობა და მდგრადი განვითარების პრინციპები**. ამასთან, აღნიშნული მოდელი წარმოადგენს როგორც მეცნიერულად დასაბუთებულ, ისე პრაქტიკულად გამოყენებად სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც შეიძლება გახდეს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის, რეგიონული განვითარების პროგრამების, საინვესტიციო პროექტების შეფასებისა და საერთაშორისო აკადემიური კვლევების მეთოდოლოგიური საფუძველი.

საერთაშორისო ტენდენციებთან შედარებით, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების პრიორიტეტები უნდა იყოს: განახლებადი ენერგიის დაჩქარებული განვითარება, ენერგიის დაგროვების სისტემების დანერგვა, ენერგოეფექტურობის ზრდა, ESG პრინციპების ინტეგრაცია და რეგიონული ენერგეტიკული

თანამშრომლობის გაძლიერება. ამ მიმართულებების თანმიმდევრული განხორციელება მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, კონკურენტ-უნარიანობასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

ენერგეტიკის სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპები უნდა დაეფუძნოს შემდეგი ინტერესების დაბალანსებას, სახელდობრ: ეკონომიკურ მდგრადობას (რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ინვესტიციების მოზიდვას, კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნას), სოციალურ მდგრადობას (მოსახლეობის ენერგეტიკული ხელმისაწვდომობის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რეგიონების განვითარებას), ეკოლოგიურ მდგრადობას (სათბურის გაზების შემცირებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციას). ხოლო, თავის მხრივ, მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით საკვლევი სექტორის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა: საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა, საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელები, ადგილობრივი წარმოების წახალისება, რეგიონული და სამრეწველო ენერგოკლასტერების ფორმირება. თავის მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ენერგეტიკული სექტორი შეიძლება იქცეს ექსპორტზე ორიენტირებულ მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიად, რაც გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, გაზრდის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, რეგიონული განვითარების შესაძლებლობებს, საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას და ექსპორტის პოტენციალის გაძლიერებას. ცხადია, გრძელვადიან პერსპექტივაში, ენერგეტიკული სექტორი შეიძლება იქცეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად, თუ რესურსების ათვისება განხორციელდება ეკოლოგიური და ეკონომიკური ბალანსის დაცვით [13, 25, 29].

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ეფექტიანი განვითარების სტრატეგიული მიმართულებებიდან აღსანიშნავია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის სრულყოფილი ათვისება, განახლებადი ენერგიის წყაროების ინტენსიური განვითარება, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ენერგოეფექტიანობის გაზრდა, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია, საერთაშორისო ენერგეტიკულ ქსელებში ინტეგრაცია და ენერგეტიკული კლასტერული პოლიტიკის განხორციელება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი ძირითადი და აქტუალური საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა: **ენერგეტიკული დივერსიფიკაცია** (ენერგიის წყაროების მრავალფეროვნება ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და ზრდის სისტემის მდგრადობას. საჭიროა განახლებადი ენერგიის წილის ზრდა საერთო ენერგობალანსში), **ენერგოეფექტიანობის ამაღლება** (ინდუსტრიულ და საყოფაცხოვრებო სექტორებში ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია წარმოადგენს ყველაზე ეკონომიურ და ეკოლოგიურად ეფექტიან გზას რესურსების დაზოგვისთვის, **ტექნოლოგიური მოდერნიზაცია** (ციფრული მართვის სისტემების დანერგვა, ჭკვიანი ქსელების განვითარება და ენერგიის შენახვის ტექნოლოგიები ზრდის ენერგოსისტემის სტაბილურობას), **გარემოსდაცვითი სტანდარტები და დეკარბონიზაცია** (საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კლიმატურ ვალდებულებებს და დაბალნახშირბადიანი განვითარების სტრატეგიას [7, 17, 28].

აღსანიშნავია, რომ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული რესურსია, რომელსაც ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ენერგეტიკულ და სამრეწველო განვითარებაში და დღესაც აღნიშნული საბადო საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და

ენერგეტიკული უსაფრთხოების კონტექსტში კვლავ ინარჩუნებს სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა მისი განვითარება დაკავშირებულია მრავალ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და ეკოლოგიურ გამოწვევასთან. შესაბამისად, „მწვანე სამთო კლასტერის“ მოდელი ტყიბულ-შაორის საბადოსთვის წარმოადგენს რესურსზე დაფუძნებული განვითარების თანამედროვე კონცეფციას, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის სრულყოფა და, რომელიც სცილდება მხოლოდ ქვანახშირის მოპოვებას და ქმნის **მაღალი დამატებული ღირებულების, ინოვაციებზე დაფუძნებულ სამრეწველო ეკოსისტემას**. მისი წარმატება დამოკიდებული იქნება ოთხი ძირითადი პრინციპის სინერგიაზე:

- **ეკონომიკური ეფექტიანობა** – ღრმა გადამუშავება, პროდუქციის დივერსიფიკაცია და ექსპორტზე ორიენტაცია;
- **გარემოსდაცვითი მდგრადობა** – დაბალემისიური ტექნოლოგიები, რეკულტივაცია და ცირკულარული ეკონომიკა;
- **სოციალური პასუხისმგებლობა** – უსაფრთხო სამუშაო გარემო, ადგილობრივი დასაქმება და პროფესიული განათლება;
- **ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა** – Smart Mining, Industry 4.0/5.0, ხელოვნური ინტელექტი, GIS, IoT და უნივერსიტეტ–ინდუსტრიის თანამშრომლობა.

ასეთი მოდელი არა მხოლოდ რეგიონის ეკონომიკურ აღორძინებას შეუწყობს ხელს, არამედ შეიძლება იქცეს **საქართველოს სამთო-გეოლოგიური სექტორის დეკარბონიზაციისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის საპილოტე პლატფორმად**, რომელიც დააბალანსებს ენერგეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების და კლიმატური ვალდებულებების მიზნებს. სამეცნიერო თვალსაზრისით, აღნიშნული კონცეფცია შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ე. წ. **„ქვანახშირის რეგიონებისთვის მწვანე მოპოვების და ტყიბულ-შაორის ქვანახშირის ღრმა ქიმიური გადამუშავების კლასტერული მოდელი-Green Mining Cluster Model for Coal Regions and deep chemical processing of Tkibuli-Shaori coal“** (იხ. სურ. 2.), რომელიც ადაპტირებული იქნება საქართველოს პირობებზე, აერთიანებს სამთო კომპანიებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, კვლევით ინსტიტუტებს და ეკოლოგიური აღდგენის სუბიექტებს, რათა ტრადიციული ქვანახშირის მოპოვების არეალები დაბალნახშირბადიან, წრიულ და მდგრად ეკონომიკურ ეკოსისტემებად გარდაქმნან. ცალკეული მაღაროები იზოლირებულ ოპერაციულ ადგილებად განხილვის ნაცვლად, ეს კლასტერული მოდელი ფოკუსირებულია სასიცოცხლო ციკლით განპირობებულ, რეგიონულ ჩარჩოზე, რომელიც შექმნილია რესურსების მოპოვების ოპტიმიზაციისთვის, ამავდროულად პროაქტიულად მართავს გარემოს დეგრადაციას და ხელს უწყობს ადგილობრივი თემებისთვის „სამართლიან გადასვლას“. ხოლო, კლასტერული განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა და კლასტერული მოდელის დანერგვა უზრუნველყოფს: წარმოების ხარჯების შემცირებას, ინოვაციების ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, რეგიონული განვითარების სტიმულირებას და დასაქმების ზრდას. ამასთან, ეკონომიკური შეფასების მოდელები (NPV, IRR, Cost-Benefit Analysis) ადასტურებს, რომ კლასტერული განვითარება ზრდის ენერგეტიკული პროექტების საინვესტიციო მიმზიდველობას [30-34].



სურ. 2. ქვანახშირის რეგიონებისთვის მწვანე მოპოვების და ტყიბულ-შაორის ქვანახშირის ღრმა ქიმიური გადამუშავების კლასტერული მოდელი [30, 31, 32]

თავის, მხრივ, წარმოდგენილი სქემა (იხ. სურ. 2) ასახავს ქვანახშირის რესურსების მდგრადი გამოყენების თანამედროვე კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მწვანე მოპოვება და ღრმა ქიმიური გადამუშავება ქმნის ერთიან ინდუსტრიულ კლასტერს, ზრდის რესურსის ეკონომიკურ ღირებულებას და ხელს უწყობს ტყიბულის რეგიონის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ პერსპექტივაში (2026–2050 წწ.) ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ათვისება გულისხმობს არსებული რესურსული პოტენციალის ეკონომიკურად ეფექტიან, ტექნოლოგიურად ინოვაციურ და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან გამოყენებას, ენერგეტიკული უსაფრთხოების, დაბალნახშირბადიანი განვითარების, რესურსების ეფექტიანობისა და მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა მოიცავს როგორც ადგილობრივი წიაღისეული რესურსების ოპტიმალურ და ეტაპობრივ გამოყენებას, ისე განახლებადი ენერგიის –ჰიდრო, მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის – პოტენციალის გაფართოებას, ენერგოეფექტიანობის ამაღლებას, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და ციფრულ ტრანსფორმაციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკული დივერსიფიკაციის, ინოვაციური ტექნოლოგიების, ენერგიის შენახვის, მწვანე წყალბადის, Smart Grid-ისა და დეკარბონიზაციის მექანიზმების ინტეგრირებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერებას, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდასა და Net Zero მიზნებთან ეტაპობრივ დაახლოებას. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ქვანახშირის რესურსებს ენერგეტიკული გამოყენების გარდა მნიშვნელოვანი სამრეწველო და ქიმიური პოტენციალი გააჩნია. მისი ღრმა გადამუშავებით შესაძლებელია კოქსის, ნახევარკოქსის, ბრიკეტების, გენერატორული

გაზის, სინთეზური თხევადი საწვავისა და ქვანახშირის ფისის მიღება, აგრეთვე, მაღალი დამატებული ღირებულების ნახშირბადოვანი მასალების, ლიპტობიოლითების და სპეციალური ზეთების წარმოება მეტალურგიის, ნანომასალების, კომპოზიტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინდუსტრიებისთვის. ამასთან, ტყიბულ-შაორის საბადოსთვის პერსპექტიულია ქვანახშირის მეთანის მოპოვება და ნახევარკოქსის წარმოების განვითარება, რომლის პროდუქციის გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივ მეტალურგიულ და ფეროშენადნობთა საწარმოებში. ასევე, მიზანშეწონილია მიწისქვეშა გაზიფიკაციის (UCG/Underground Coal Gasification) ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შესაძლებლობების შეფასება, მ. შ., დიდი ბრიტანეთში შესწავლილი და შეფასებული UCG-ის, მიმართულებითი ბურღვისა (DD/ Directional Drilling) და კონტროლირებადი, უკანდახევადი ინექციის წერტილის (CRIP/ Controlled Retractable Injection Point) ტექნოლოგიური მიდგომების გამოცდილება. თავის მხრივ, UCG-ის დანერგვამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვანახშირის რესურსების უფრო ეფექტიან ათვისებას, ენერგეტიკული წარმოების დივერსიფიკაციას, ზედაპირული სამთო ზემოქმედების შემცირებას და ადგილობრივი რესურსების მაღალი დამატებული ღირებულებით გამოყენებას. შესაბამისად, ტყიბულ-შაორის საბადოს კომპლექსური გადამუშავება და მიწისქვეშა გაზიფიკაციის შესაძლებლობების შესწავლა საქართველოს ენერგეტიკული და სამრეწველო განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება განიხილებოდეს [35, 36, 37].

ტყიბულ-შაორის ქვანახშირის რესურსების ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება განიხილებოდეს 100–150 მგვტ სიმძლავრის თანამედროვე ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის საპროექტო სამუშაოების დაწყება-განხორციელება, რომლის სიმძლავრის შემდგომი გაფართოებაც შესაძლებელი იქნება. პროექტის განხორციელება მოითხოვს ქვანახშირის მომპოვებელი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას ან ახალი, მაღალმწარმოებლური შახტის შექმნას, ასევე მოპოვებისა და გამდიდრების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. სადგურს შეუძლია შექმნას სტაბილური ადგილობრივი ელექტროენერგიის წყარო, შეამციროს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს ქვეყნის სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის განვითარებას, დასაქმებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების ზრდას.

ცნობილია, რომ საქართველოს ქვანახშირის შედარებით დაბალი ხარისხისა და მაღალი თვითღირებულების გათვალისწინებით, მისი ძირითადი გამოყენება მიზანშეწონილია ორიენტირებული იყოს ადგილობრივ ბაზარზე, განსაკუთრებით ენერგეტიკასა და მეტალურგიაზე. დარგის რეაბილიტაციის შემდგომი ეტაპი საჭიროებს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ადამიანური რესურსების განვითარებასა და შესაბამისი საწარმოო-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას. ამ მასშტაბის პროექტები მაღალი საინვესტიციო და საბაზრო რისკებით ხასიათდება, რის გამოც მათი განხორციელება მიზანშეწონილია სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის, საინვესტიციო მექანიზმებისა და წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ენერგეტიკული კვლევების საფუძველზე.

აღინიშნავია, რომ ქვანახშირის თანამედროვე ღრმა გადამუშავების ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, იგი გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ენერგეტიკულ საწვავად, არამედ მაღალი დამატებული ღირებულების ქიმიური, კოქსოქიმიური და ნახშირბადოვანი პროდუქტების ნედლეულად. ამ მიდგომის განვითარება ხელს უწყობს ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე დამოკიდებულების შემცირებას და რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას. ძირითადი მიმართულებებია: **ნახშირის ქიმია** (გაზიფიკაცია და

ქიმიური ნედლეულის მიღება); **კოქსოქიმია** (კოქსი, ნახევარკოქსი, კოქსის გაზი და ფისები); **ნახშირბადოვანი მასალები** (ბოჭკოები, ადსორბენტები, ნანომასალები); **ენერგეტიკული გამოყენება** (ელექტრო- და თბოენერგიის წარმოება, მათ შორის თანამედროვე წვის ტექნოლოგიებითა და მიწისქვეშა გაზიფიკაციით); და **ნარჩენების გადამუშავება**, რაც შესაძლებელს ხდის ნაცრისა და შლამების მეორეულ გამოყენებას სამშენებლო და სხვა პროდუქტების წარმოებაში. დამატებით, მნიშვნელოვანია საბადოებიდან მეთანის მოპოვება შახტური და არაშახტური მეთოდებით. განსაკუთრებული პოტენციალი აქვს ქვანახშირის ნაცრისა და სხვა ტექნოგენური ნარჩენების გადამუშავებას სამშენებლო მასალების წარმოებაში, რაც რესურსების ცირკულარულ გამოყენებასა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას შეუწყობს ხელს. ცხადია, ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების გაფართოებას, ენერგეტიკული დეფიციტის ნაწილობრივ შემცირებას, ქვანახშირის მრეწველობის ტექნოლოგიურ განახლებასა და რეგიონში დამატებითი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის შექმნას [35].

საქართველოს ნავთობის ხარისხობრივი მახასიათებლები, მ. შ. შედარებით დაბალი გოგირდიანობა და პარაფინული ნახშირწყალბადების მაღალი წილი, ქმნის ხელსაყრელ საფუძველს მისი არა მხოლოდ ენერგეტიკული დანიშნულებით, არამედ მაღალი დამატებული ღირებულების ნავთობქიმიურ ნედლეულად გამოყენებისთვის. ამ თვალსაზრისით, ქვეყნისთვის უფრო პერსპექტიულია ნედლი ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებულების შემცირება და მისი ღრმა გადამუშავების საფუძველზე სპეციალიზებული პროდუქციის წარმოების განვითარება. შესაბამისად, ოპტიმალურ მიმართულებად შეიძლება განიხილებოდეს მცირე და საშუალო სიმძლავრის მოდულური ნავთობქიმიური საწარმოების შექმნა, რომლებიც ორიენტირებული იქნება საპოხი და ტექნოლოგიური ზეთების, ჰიდრავლიკური და ტრანსფორმატორული სითხეების, პარაფინის, ბიტუმისა და აგროქიმიური დანიშნულების პროდუქტების წარმოებაზე. ასეთი საწარმოო მოდელი ხელს შეუწყობს ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავებას, დამატებული ღირებულების ზრდას, იმპორტის ჩანაცვლებას, ტექნოლოგიური კომპეტენციების განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოებას. ნავთობქიმიური ინდუსტრიის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მისი განვითარება ESG-ისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე, ციფრულ საწარმოო ტექნოლოგიებზე (Industry 4.0/5.0) და უნივერსიტეტ–ინდუსტრიის თანამშრომლობაზე დაყრდნობით. აღნიშნული მიდგომა შექმნის საფუძველს საქართველოში ინტეგრირებული ნავთობქიმიური კლასტერის ფორმირებისთვის, რომელიც შეძლებს როგორც შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ისე საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტული პროდუქციის მიწოდებას და, შესაბამისად, ქვეყნის სამრეწველო და ენერგეტიკული მდგრადობის გაძლიერებას [38, 39, 40].

აღსანიშნავია, რომ 2026–2050 წლებში გლობალური ენერგეტიკული განვითარების ძირითად მიმართულებად რჩება „წმინდა ნულოვანი“ (Net Zero) ემისიების მიღწევა, რაც ენერგეტიკული სისტემის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას, ელექტრიფიკაციას, ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგიის დაჩქარებულ განვითარებას მოითხოვს. IEA-ის NZE სცენარის მიხედვით, 2050 წლისთვის ელექტროენერგია საბოლოო ენერგომოხმარების დაახლოებით ნახევარს დაიკავებს, ხოლო მზისა და ქარის ენერგიის ერთობლივი წილი ელექტროენერგიის გენერაციაში თითქმის 70 %-ს მიაღწევს. ამასთან, 2023 წელს წიაღისეული საწვავი მსოფლიო ენერგომოთხოვნის დაახლოებით 80 %-ს უზრუნველყოფდა; მისი შემდგომი შემცირების მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ-ტექნოლოგიურ სცენარზე. ენერგეტიკული

ტრანზიციის მნიშვნელოვანი კომპონენტები იქნება ენერგოეფექტურობა, შენობებისა და მრეწველობის მოდერნიზაცია, ჭკვიანი ქსელები, ენერგიის შენახვის სისტემები და დაბალემისიური წყალბადი. განახლებადი ენერგიის ინტეგრაციისთვის აუცილებელი გახდება ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაფართოება და მოდერნიზაცია, ხოლო კრიტიკულ მინერალებზე მზარდი მოთხოვნა მოითხოვს მათი რესურსების მდგრად მართვას [1, 41].

საქართველოს ენერგეტიკული განვითარების 2026–2050 წლების სტრატეგიული ხედვა უნდა დაეფუძნოს ენერგეტიკული სისტემის თანმიმდევრულ ტრანსფორმაციას, რომლის მთავარი მიზანია უსაფრთხო, კონკურენტუნარიანი, დაბალნახშირბადიანი და ინოვაციებზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის ჩამოყალიბება. შესაბამისად, განვითარების პირველი ეტაპი (2025–2030 წწ.) ორიენტირებული იქნება ინსტიტუციურ რეფორმებზე, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და განახლებადი ენერგიის პროექტების გაფართოებაზე. ხოლო, მეორე ეტაპზე (2031–2040 წწ.) აქცენტი გაკეთდება ტექნოლოგიური ინტეგრაციის, ენერგიის დაგროვების სისტემების, Smart Grid-ის, ხელოვნური ინტელექტისა და რეგიონული ენერგეტიკული თანამშრომლობის გაძლიერებაზე. თავის მხრივ, მესამე ეტაპი (2041–2050 წწ.) მიზნად ისახავს სრულად დიგიტალიზებული, კლიმატურად მდგრადი და მაღალეფექტიანი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას (იხ. ცხრილი 6 და 7) [].

სცენარების (ცხრილი 6 და 7) ანალიზი აჩვენებს, რომ **საბაზო სცენარი** ინარჩუნებს მიმდინარე განვითარების ტენდენციებს, თუმცა მისი შესაძლებლობები შეზღუდულია დეკარბონიზაციის ტემპითა და ენერგოიმპორტზე დამოკიდებულების შემცირების სიჩქარით. **მწვანე ტრანსფორმაციის სცენარი** ქმნის ეკონომიკური ზრდის, საინვესტიციო მიმზიდველობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საუკეთესო ბალანსს, რადგან აერთიანებს განახლებადი ენერგიის დაჩქარებულ განვითარებას, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და ინსტიტუციურ რეფორმებს. წმინდა ნულოვანი ემისიების გეგმის (**Net Zero) სცენარი** წარმოადგენს ყველაზე ამბიციურ ალტერნატივას, რომელიც ორიენტირებულია კლიმატური ნეიტრალიტეტის მიღწევაზე, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ფართომასშტაბიან დანერგვაზე.

ცხრილი 6. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების 2026–2050 წლების განვითარების სცენარები სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით [1, 2, 3, 14, 41, 42]

სტრატეგიული მიმართულება	2026–2030 წწ. (ტრანსფორმაციის ეტაპი)	2031–2040 წწ. (დაჩქარებული განვითარების ეტაპი)	2041–2050 წწ. (მდგრადი ლიდერობის ეტაპი)
ენერგეტიკული პოლიტიკა	ევროკავშირის ენერგეტიკულ რეგულაციებთან დაახლოება, ბაზრის ლიბერალიზაცია	რეგიონული ენერგეტიკული ინტეგრაციის გაძლიერება	ევროპულ მწვანე ენერგეტიკულ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია
ჰიდროენერგეტიკა	არსებული ჰესების მოდერნიზაცია და მცირე/საშუალო ჰესების განვითარება	ენერგიის დაგროვების სისტემებთან ინტეგრაცია	მოქნილი და დაბალემისიიანი ჰიდროენერგეტიკული სისტემა
მზის ენერგია	ფართომასშტაბიანი მზის ელექტროსადგურების	განაწილებული გენერაციის განვითარება	მზის ენერგიის რეგიონული

	მშენებლობა		ექსპორტის შესაძლებლობები
ქარის ენერგია	ახალი ქარის პარკების განვითარება	ოფშორული ქარის პოტენციალის შეფასება	რეგიონული ქარის ენერგეტიკული ქსელის ფორმირება
გეოთერმული ენერგია	თერმული წყლების ეფექტიანი გამოყენება	ენერგეტიკულ და სამრეწველო სექტორში ინტეგრაცია	დაბალემისიიანი გათბობის სისტემების გაფართოება
ბიომასა	აგრობიომასისა და მუნიციპალური ნარჩენების გამოყენება	ბიოგაზისა და ბიოენერგიის კომერციალიზაცია	ცირკულარული ბიოეკონომიკის ჩამოყალიბება
ბუნებრივი გაზი	გარდამავალი საწვავის ფუნქციის შენარჩუნება	მოხმარების ეტაპობრივი შემცირება	მხოლოდ სტრატეგიული და სარეზერვო გამოყენება
ქვანახშირი	ეკოლოგიური მოდერნიზაცია და ეფექტიანობის ზრდა	Carbon Capture-ის პილოტური დანერგვა	მინიმალური გამოყენება ან სრული ჩანაცვლება
ჭკვიანი ქსელი (Smart Grid)	ჭკვიანი ქსელების დანერგვის დაწყება	ეროვნული Smart Grid პლატფორმის შექმნა	AI-ზე დაფუძნებული სრულად დიგიტალიზებული ენერგოსისტემა
Digital Twin	საპილოტე პროექტები	ენერგოინფრასტრუქტურის ციფრული მოდელირება	ეროვნული Digital Twin ენერგეტიკული პლატფორმა
ხელოვნური ინტელექტი (AI)	ენერგეტიკული პროგნოზირება და მონიტორინგი	აქტივების ოპტიმიზაცია და მოთხოვნის მართვა	ავტონომიური ენერგეტიკული მენეჯმენტი
წყალბადის ეკონომიკა	კვლევითი და საპილოტე პროექტები	მწვანე წყალბადის წარმოების დაწყება	ექსპორტზე ორიენტირებული წყალბადის სექტორი
ნიშნავს ნახშირორჟანგის (CO_2) მოხსნას, გამოყენებას და შენახვა (Carbon Capture, Utilisation and Storage (CCUS))	ტექნოლოგიური შეფასება	სამრეწველო პილოტები	ინტეგრირებული დაბალემისიიანი სისტემა
ESG და SDGs	ESG სტანდარტების დანერგვა	ESG ანგარიშგების სრულმასშტაბიანი ინტეგრაცია	მდგრადი განვითარების საერთაშორისო ლიდერობის პოზიციონირება
კლასტერული განვითარება	რეგიონული ენერგეტიკული კლასტერების ფორმირება	ენერგეტიკა–მრეწველობა–კვლევის ინტეგრაცია	ინოვაციური მწვანე ენერგეტიკული კლასტერების საერთაშორისო ქსელი
ენერგეტიკული უსაფრთხოება	იმპორტდამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება	რესურსების დივერსიფიკაცია	მაღალი ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია

ცხრილი 7. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების სცენარები მაჩვენებლების მიხედვით, 2026–2050 წწ. [1, 2, 3, 14, 41, 42]

მაჩვენებელი	საბაზო სცენარი (BAU)	მწვანე ტრანსფორმაციის სცენარი (GTS/Green Transformation Scenario)	Net Zero სცენარი
ეკონომიკური ზრდა	ზომიერი	მაღალი	მაღალი და მდგრადი
განახლებადი ენერგიის წილი, %	თანდათანობითი ზრდა, 60–75	სწრაფი ზრდა, 85–95	დომინანტურობა, 95–100
ენერგოიმპორტზე დამოკიდებულება	მცირდება	მნიშვნელოვნად მცირდება	მინიმუმამდე მცირდება
CO_2-ის ემისიები, %	ზომიერი შემცირება, 20-40	მნიშვნელოვანი შემცირება, 60-80	კლიმატური ნეიტრალიტეტისკენ სწრაფი პროგრესი, 90-100
ჭკვიანი ქსელი(Smart Grid) და ხელოვნური ინტელექტი) AI	ეტაპობრივი განვითარება	ფართო ინტეგრაცია	სრულად დიგიტალიზებული ენერგოსისტემა
წყალბადის ეკონომიკა	საპილოტე დონე	კომერციული მასშტაბი	ექსპორტზე ორიენტირებული სექტორი
საინვესტიციო მიმზიდველობა	საშუალო	მაღალი	ძალიან მაღალი
რეგიონული კონკურენტუნარიანობა	იზრდება	მნიშვნელოვნად იზრდება	სამხრეთ კავკასიის ლიდერი მწვანე ენერგეტიკაში

ამრიგად, საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ოპტიმალური მოდელი 2026–2050 წლებში უნდა ეფუძნებოდეს მწვანე ტრანსფორმაციისა და ნულოვანი ემისიის (Net Zero) მიზნების თანმიმდევრულ ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, კლიმატურ მდგრადობას, ინოვაციურ განვითარებას და ქვეყნის პოზიციონირებას სამხრეთ კავკასიის მწვანე ენერგეტიკულ ჰაბად. შესაბამისად, სტრატეგიული შეფასება მიუთითებს, რომ საქართველოს გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობა განისაზღვრება არა ტრადიციული ნახშირწყალბადების მარაგებით, არამედ განახლებადი ენერგიის მდიდარი რესურსებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, რეგიონული ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციითა და ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან ინტეგრაციის შესაძლებლობით. შესაბამისად, ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს რესურსების ინტეგრირებული მართვა, ენერგეტიკული კლასტერების განვითარება, ESG პრინციპების დანერგვა, კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რაც უზრუნველყოფს 2050 წლისთვის საქართველოს ჩამოყალიბებას შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთ მდგრად, ინოვაციურ და კონკურენტუნარიან მწვანე ენერგეტიკულ ჰაბად.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის რაციონალური გამოყენება ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია.

ტრადიციული და არატრადიციული მ. შ. ჰიდრო, მზის, ქარის, ბიომასისა და გეოთერმული რესურსების დაბალანსებული რაციონალური ათვისება, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიურ განახლებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ენერგომომარაგების დივერსიფიკაციასა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. თავის მხრივ, SWOT და PESTEL ანალიზი მიუთითებს როგორც ქვეყნის რესურსულ და სტრატეგიულ უპირატესობებზე, ისე ტექნოლოგიურ, საინვესტიციო, ეკოლოგიურ და გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე, რომელთა მართვა მოითხოვს დეკარბონიზაციის, ენერგოეფექტიანობის, ციფრული ტრანსფორმაციისა და განახლებადი ენერგიის განვითარების გლობალურ პროცესებთან შესაბამისობას. ამ თვალსაზრისით, ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისებისთვის პრიორიტეტულია ჭკვიანი ქსელის, ენერგიის დაგროვების, ციფრული მართვისა და სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირება, ხოლო კლასტერული მიდგომა გააძლიერებს ენერგეტიკის, მეცნიერების, განათლების, ბიზნესისა და საჯარო სექტორის თანამშრომლობას და ხელს შეუწყობს მაღალი დამატებული ღირებულების შექმნას. შესაბამისად, 2026–2050 წლების ენერგრტიკული სექტორის განვითარების სტრატეგია მიზანშეწონილია განიხილებოდეს საბაზისო (BAU), მწვანე ტრანსფორმაციისა და დაჩქარებული დეკარბონიზაციის (Net Zero) სცენარების საფუძველზე, რაც შექმნის ენერგეტიკული პოლიტიკის ადაპტირებისა და გრძელვადიანი რისკების ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას, ხელს შეუწყობს უსაფრთხო, კონკურენტუნარიანი, დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესს და მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. International Energy Agency. (2024). World Energy Outlook 2024.
2. International Renewable Energy Agency. (2024). Renewable Capacity Statistics 2024.
3. International Renewable Energy Agency. (2024). World Energy Transitions Outlook 2024.
4. Intergovernmental Panel on Climate Change. (2023). AR6 Synthesis Report: Climate Change 2023.
5. World Bank. (2024). Georgia Country Climate and Development Report.
6. Organisation for Economic Co-operation and Development. (2023). OECD Green Growth Indicators.
7. Energy Community Secretariat. (2024). Annual Implementation Report – Georgia.
8. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2024). Energy Policy of Georgia.
9. Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC). (2024). Annual Report.
10. Georgian State Electrosystem. (2024). Ten-Year Network Development Plan.
11. Georgian Oil and Gas Corporation. (2024). Annual Report.
12. World Economic Forum. (2024). The Future of Energy Transition.
13. United Nations. (2015). Transforming our World: The 2030 Agenda for Sustainable Development.
14. European Commission. (2024). European Green Deal Progress Report.
15. Porter, M. E. (1998). Clusters and the New Economics of Competition. Harvard Business Review, 76(6), 77–90.
16. Kotler, P., & Keller, K. L. (2022). Marketing Management (16th ed.). Pearson.
17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2024). საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა. თბილისი.

18. European Commission. (2023). European Green Deal: Progress Report 2023.
19. International Energy Agency. (2024). Energy Policies Beyond IEA Countries: Georgia 2024 Review.
20. International Renewable Energy Agency. (2024). Renewable Energy Statistics 2024.
21. Meadows, D. H. (2008). Thinking in Systems: A Primer. Chelsea Green Publishing.
22. OECD. (2023). OECD Science, Technology and Innovation Outlook 2023.
23. Porter, M. E. (1998). Clusters and the New Economics of Competition. Harvard Business Review, 76(6), 77–90.
24. World Bank. (2024). World Development Indicators 2024.
25. IPCC. (2023). AR6 Synthesis Report: Climate Change 2023.
26. Asian Development Bank. (2023). Guidelines for the Economic Analysis of Projects.
27. Energy Community Secretariat. (2024). Annual Implementation Report.
28. European Commission. (2023). The European Green Deal.
29. International Energy Agency. (2024). Energy Policies Beyond IEA Countries: Georgia 2024 Review.
30. Xiong, Y., Kong, D., & Song, G. (2024). Research hotspots and development trends of green coal mining: Exploring the path to sustainable development of coal mines. Resources Policy, 92, 105039.
31. OECD (2019). Mining and Green Growth in the EECCA Region. OECD Publishing.
32. Sartor, O., et al. / Energy Policy literature on Just Transition (2019). Framework development for 'just transition' in coal producing jurisdictions. Energy Policy, 134, 110990.
33. International Labour Organization. (2023). Guidelines for a Just Transition.
34. International Renewable Energy Agency. (2024). Renewable Energy Statistics 2024.
35. კომპანია ,,საქნახშირის" მასალები.
36. Bhutto, A. W., Bazmi, A. A., & Zahedi, G. (2013). Underground coal gasification: From fundamentals to applications. Progress in Energy and Combustion Science, 39(1), 189–214.
37. Shafirovich, E., & Varma, A. (2012). Review of underground coal gasification technologies and carbon capture. International Journal of Energy and Environmental Engineering, 3, 16.
38. გოჩიტაშვილი, თ. (2021). ნავთობის და გაზის მოპოვება, გადამუშავება და ტრანსპორტირება. თბილისი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, საქართველოს უნივერსიტეტი, 288 გვ.
39. გამეზარდაშვილი, დ. (2023). „ნავთობის რესურსები და ნავთობქიმიის განვითარების პერსპექტივა". თბილისი, სტუ, საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები, №1, გვ. 164-175.
40. Speight, J. G. (2014). The Chemistry and Technology of Petroleum (5th ed.). CRC Press.
41. IEA. (2021). Net Zero by 2050: A Roadmap for the Global Energy Sector. Paris: International Energy Agency
42. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2024). საქართველოს ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა (NECP), 2024-2030.

Revaz Kvatashidze
Gela Machaidze
Sofio Gigauri
Gela Lobjanidze

PROSPECTS FOR THE RATIONAL EXPLOITATION OF GEORGIA'S FUEL-ENERGY RESOURSES IN THE CONTEXT OF GLOBAL TRENDS, IMPROVEMENT OF INNOVATIVE INFRASTRUCTURE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

Summary

The present study examines the prospects for the rational utilization of Georgia's fuel and energy resources within the context of global energy transition, innovative infrastructure

development, and sustainable development imperatives. The research is based on the premise that the growing challenges of climate change, energy security, decarbonization, digital transformation, and geopolitical uncertainty require a comprehensive approach to the management of national energy resources. Georgia possesses significant hydro, coal, oil, natural gas, geothermal, wind, solar, and biomass resources, which constitute a substantial foundation for strengthening national energy independence and enhancing regional competitiveness. However, the efficient exploitation of these resources remains constrained by technological, institutional, infrastructural, and investment-related challenges. The study applies a multidisciplinary methodological framework, integrating systems analysis, comparative assessment, SWOT and PESTLE analyses, ESG principles, and economic evaluation methods to identify the strategic priorities for sustainable resource development. Based on the research findings, an integrated conceptual model is proposed that combines innovative infrastructure, digital energy technologies, effective governance, environmental sustainability, and economic efficiency into a unified framework for rational energy resource management. The results indicate that the modernization of energy infrastructure, implementation of smart energy systems, expansion of renewable energy technologies, development of local fuel industries, and integration of ESG-based governance mechanisms can substantially improve Georgia's energy security, investment attractiveness, and long-term economic resilience. The proposed model provides a scientific basis for national energy policy and contributes to the broader discourse on sustainable energy development in transition economies.

მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური
ქეთევან ქველაძე

სოციალური ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ზოგადად და კერძოდ საქართველოსთვის

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია სოციალური ტურიზმის არსი, მისი განვითარების საერთაშორისო გამოცდილება და მნიშვნელობა სოციალური, ეკონომიკური და რეგიონული განვითარებისათვის. კვლევა ეფუძნება 2020–2025 წლების სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს. გაანალიზებულია სოციალური ტურიზმის თანამედროვე მოდელები, ევროპის ქვეყნების (ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი) წარმატებული პრაქტიკა და მათი გავლენა დასაქმებაზე, სეზონურობის შემცირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.*

ცალკე ყურადღება ეთმობა საქართველოში სოციალური ტურიზმის განვითარების არსებულ მდგომარეობას, ძირითად გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. შეფასებულია სოციალური ტურიზმის გავლენა შიდა ტურიზმზე, რეგიონულ განვითარებაზე, სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. წარმოდგენილია სოციალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, მათ შორის ტურისტული ვაუჩერების სისტემის დანერგვა, პენსიონერთა, სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური პროგრამების განვითარება, რეგიონული ფონდების შექმნა და ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების ინტეგრირება.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური ტურიზმი, სოციალური პოლიტიკა, ინკლუზიური ტურიზმი, რეგიონული განვითარება, ეკონომიკური უსაფრთხოება.*

* * *

XXI საუკუნეში ტურიზმი აღარ განიხილება მხოლოდ დასვენებისა და გართობის საშუალებად. კვლევები აჩვენებს, რომ მოგზაურობა ხელს უწყობს: სტრესის შემცირებას, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, სოციალური იზოლაციის შემცირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. იგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კულტურული ინტეგრაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტად იქცა. ამ დროიდან ფეხი მოიკიდა ტერმინმა „სოციალური ტურიზმი“.

სოციალური ტურიზმი თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მიზანია ტურისტულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ სოციალური ჯგუფებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური, ფიზიკური ან სხვა ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. სოციალური ტურიზმი არა მხოლოდ სოციალური თანასწორობისა და ინკლუზიის მექანიზმია, არამედ ეკონომიკური განვითარების, რეგიონული დასაქმებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა.

სოციალური ტურიზმის იდეა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა, როდესაც სახელმწიფოთა უმეტესობამ აღიარა, რომ დასვენება და მოგზაურობა ადამიანის ერთ-ერთი სოციალური უფლებაა. მისი თეორიული საფუძვლები ემყარება კეთილდღეობის სახელმწიფოს (Welfare State) კონცეფციას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველყოფა.

ტურიზმის ამ მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება შვეიცარიელი მკვლევარი ვალტერ ჰანზიკერი. მან 1951 წელს ჩამოაყალიბა სოციალური ტურიზმის პირველი მეცნიერული დეფინიცია. მისი განმარტებით „სოციალური ტურიზმი გულისხმობს ტურიზმის ისეთ ფორმას, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის სპეციალური სოციალური ღონისძიებების მეშვეობით“. მოგვიანებით, 1957 წელს, მან დაამატა, რომ ეს არის ტურიზმის სპეციფიკური ტიპი, რომელიც ხასიათდება დაბალი შემოსავლის მქონე პირთა მონაწილეობით, რისთვისაც მათ სპეციალური, საზოგადოების მიერ აღიარებული სერვისები მიეწოდებათ.

სოციალური ტურიზმი ზრდის რა მოსახლეობის მობილობას, ჯანმრთელობის დონეს, სოციალურ ინტეგრაციას, დასაქმებას რეგიონებში და ადგილობრივი ბიზნესის მდგრადობას, პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას. იგი წარმოადგენს როგორც სოციალური პოლიტიკის, ასევე ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მისი მეშვეობით შესაძლებელია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სოციალური უთანასწორობის შემცირება, რეგიონული ეკონომიკის გაძლიერება და შიდა ტურიზმის სტიმულირება.

სოციალური ტურიზმის ბენეფიციარები ძირითადად არიან: პენსიონერები, სტუდენტები, **სოციალური მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვები და ახალგაზრდები,** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები, ვეტერანები.

ევროპაში სოციალური ტურიზმის კვლევის წამყვანი ორგანიზაციაა **სოციალური ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია ISTO (International Social Tourism Organisation). იგი** წარმოადგენს საერთაშორისო არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი

კვლევების შედეგად ჩამოყალიბებული კონცეფციის მიხედვით სოციალური ტურიზმი უზრუნველყოფს სოციალური თანასწორობის ზრდას, სოციალური კაპიტალის გაძლიერებას და ტურისტული სექტორის სტაბილურობას, ამცირებს სეზონურობის გავლენას ტურიზმის ძირითად მაჩვენებლებზე. აქედან გამომდინარე, სოციალური ტურიზმი ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას, ზრდის ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობას და აუმჯობესებს სოციალური სამართლიანობის ხარისხს. **ყველაზე ყურადსაღები კი ის არის, რომ იგი ემსახურება** მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კვლევები აგრეთვე აჩვენებს, რომ სოციალური ტურიზმის პროგრამებში ჩართული მოქალაქეების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი საშუალოდ 15–20%-ით მაღალია იმ ჯგუფებთან შედარებით, რომლებიც მოგზაურობაში არ მონაწილეობენ. სამაგალითოა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მიღწევები აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ესპანეთში სოციალური ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა IMSERSO (Instituto de Mayores y Servicios Sociales) — ხანდაზმულთა და სოციალური მომსახურების ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ხანდაზმულთა სოციალური მხარდაჭერისა და სოციალური ტურიზმის პროგრამებს, იგი ფუნქციონირებს 1985 წლიდან და ემსახურება პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და დაბალშემოსავლიან ოჯახებს. ეს პროგრამა მოიცავს წელიწადში 800 ათასზე მეტ ადამიანს, მისი მეშვეობით იქმნება 90 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი და სასტუმრო, რომელიც არასეზონზეც კი დატვირთულია 30-40%-ზე მეტით. ეს პროგრამა მნიშვნელოვნად ამცირებს სეზონურობის გავლენას ტურიზმის მაჩვენებელზე და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობას.

საფრანგეთში სოციალური ტურიზმის მთავარი ინსტრუმენტია დასვენების ვაუჩერების სისტემა. მისი ადმინისტრირება ხდება **დასვენების ვაუჩერების ეროვნული სააგენტო ANCV (Agence Nationale pour les Chèques-Vacances)**-ის მიერ. ამ სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომელი იხდის ღირებულების ნაწილს, დამსაქმებელი აფინანსებს დანარჩენ ნაწილს და სახელმწიფო უზრუნველყოფს საგადასახადო შეღავათებს. წლიურად პროგრამით სარგებლობს დაახლოებით 4–5 მილიონი მოქალაქე.

პოლონეთში სოციალური ტურიზმის პროგრამები განსაკუთრებით აქტიურად განვითარდა COVID-19 პანდემიის შემდეგ. 2020 წელს შემოიღეს ტურისტული ვაუჩერი, თითო ბავშვზე 500 ზლოტი მხოლოდ შიდა ტურიზმისთვის. ამ პროგრამების შედეგად აქ გაიზარდა შიდა ტურიზმი, შენარჩუნდა და განვითარდა მცირე სასტუმროების ქსელი და, რაც ყველაზე ყურადსაღებია, შეიქმნა დამატებითი სამუშაო ადგილები.

ევროპული გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ წარმატებული სოციალური ტურიზმის პოლიტიკა ეფუძნება სახელმწიფო მხარდაჭერას და წარმოადგენს ტურიზმის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც მოგზაურობის ხარჯები სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო, მუნიციპალური, პროფესიული კავშირების, სოციალური ფონდების ან სხვა სოციალური პროგრამების მიერ, თანაც კერძო სექტორის მონაწილეობით.

სოციალური ტურიზმის გლობალური ბაზრის შესახებ აკადემიურ კვლევებს აწარმოებენ სხვადასხვა საერთაშორისო მარკეტინგული და ეკონომიკური ორგანიზაციები და იძლევიან ზუსტ ციფრობრივ სტატისტიკას. მათი მონაცემებით, მსოფლიოში ადგილი აქვს შიდა ტურიზმის დომინირებას: სოციალური ტურიზმის მონაწილეთა 67.9% შიდა ტურისტია, რაც ლოგიკურია, რადგან სახელმწიფო პროგრამები უპირატესობას საკუთარი ქვეყნის კურორტების სუბსიდირებას ანიჭებენ.

ლოგიკურია ისიც, რომ გლობალურ ბაზარზე ლიდეროზენ ის რეგიონები, სადაც სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა ძლიერია: ევროპა: იკავებს ბაზრის უდიდეს წილს — 38.2%-ს (დაახლოებით 22.6 მლრდ აშშ დოლარი). აქ ლიდერები არიან საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მეორე ადგილზეა (ბაზრის 29% -17.8 მლრდ აშშ დოლარი). აქ წამყვანი ქვეყნებია ჩინეთი და სამხრეთ კორეა, რომლებიც აქტიურად ასუბსიდირებენ დაბალშემოსავლიანი მუშახელის დასვენებას. ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონში, რომელიც მესამე ადგილს იკავებს (ბაზრის 24% -14.7 მლრდ აშშ დოლარი). აქცენტი ძირითადად შშმ პირთა და ვეტერანთა სპეციალიზებულ პროგრამებზე კეთდება. აქ უპირობო ლიდერია აშშ (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

გლობალური ბაზრის მოცულობა და რეგიონული განაწილება (2025)

მაჩვენებელი / რეგიონი	ციფრობრივი მონაცემები მლრდ აშშ დოლარი	ბაზრის წილი გლობალურ ბაზარზე (%)
გლობალური ბაზრის ზომა	61.4	100
ევროპა	22.6	38.2
აზია-წყნარი ოკეანე	17.8	29.0
ჩრდილოეთ ამერიკა	14.7	24.0
დანარჩენი მსოფლიო	6.3	8.8

სოციალური ტურიზმის ფარგლებში განხორციელებული მოგზაურობები კატეგორიების მისედვით ასე იყოფა: სოციალურ-საგანმანათლებლო ტურები (Socio-Educational) (ყველაზე დიდი სეგმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტურ, სასკოლო და ახალგაზრდულ ბანაკებს) - 32.1%; სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (სანატორიუმები): (ძირითადად პენსიონერებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის) - დაახლოებით 25%; საოჯახო სუბსიდირებული დასვენება (მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლებისთვის) - დაახლოებით 22% . თუ გადავხედავთ მოგზაურობის მაჩვენებლებს ასაკობრივი ჯგუფების კატეგორიის მიხედვით, აქ ლიდეროზენ ტურისტები 25-45 წლის ასაკში და წარმოადგენენ სოციალური ტურისტების თითქმის ნახევარს. სწორედ ეს ასაკობრივი ჯგუფია მაქსიმალურად დასაქმებული და პროფკავშირის წევრი, რომელთა დაფინანსებითაც სარგებლობენ და აქტიურად მოგზაურობენ, თანაც მათ შორის ბევრია ახალგაზრდა ოჯახი, რომელთა მოგზაურობის დაფინანსებას სხვადასხვა ფონდი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია უზრუნველყოფს. მათ 30%-იანი მაჩვენებლით მოსდევს 65 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ჯგუფი. ამ ჯგუფის უდიდესი უმეტესობა პენსიონერია და ბევრი დრო გააჩნია სამოგზაუროდ, თუ მითუმეტეს სახელმწიფო მათ ტურების დიდ ნაწილს უფინანსებს. ამიტომ ისინი, როგორც წესი, ყველაზე ხანგრძლივ ტურებს ირჩევენ.

მოგზაურობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპი შიდა ტურიზმის შემადგენელი ნაწილია, რაც გლობალური ბაზრის საკმაოდ დიდ სეგმენტს 67.9%-ს მოიცავს (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

გლობალური ბაზრის სეგმენტაცია ტურის ტიპისა და ასაკის მიხედვით

კატეგორია	სეგმენტის დასახელება	წილი ბაზარზე (%)	სამიზნე აუდიტორია
ტურის ტიპის მიხედვით	სოციალურ-საგანმანათლებლო	32.1	სტუდენტები, სასკოლო და ახალგაზრდული ბანაკების წევრები

	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი	25.0	პენსიონერები, სანატორიუმები და კურორტები
	საოჯახო სუბსიდირებული	22.0	მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლები
	სხვა მიმართულებები	20.9	სპეციალიზებული და კულტურული ტურები
ასაკობრივი დაჯგუფება	25 – 45 წელი	49.2	ახალგაზრდა ოჯახები, პროფკავშირის წევრები
	65+ წელი (ხანდაზმულები)	30	პენსიონერები
მოგზაურობის ტიპი	შიდა ტურიზმი	67.9	მოგზაურობა საკუთარი ქვეყნის ფარგლებში

ევროპული კვლევების მიხედვით სოციალურ ტურიზმში სახელმწიფოს მიერ ჩადებული ყოველ 1 ევროზე, ბიუჯეტში უკან ბრუნდება საშუალოდ 1.10 - 1.20 ევრო. ყურადსაღებია, რომ ეს ხდება არასეზონურ პერიოდში სასტუმროების მუშაობის ხარჯზე, რაც ამცირებს უმუშევრობის შემწეობის გაცემას და ზრდის ქვეყანაში დღგ-ს (VAT) შემოსავლებს.

ჩვენთვის საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში სოციალური ტურიზმი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. საქართველოსთვის, სადაც ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული სექტორია, სოციალური ტურიზმის განვითარება შეიძლება იქცეს სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების ეფექტიან მექანიზმად. მისი განვითარებისათვის საქართველოს ძლიერი მხარეებია მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ოთხსეზონიანი ტურიზმის განხორციელების შესაძლებლობა, ხელმისაწვდომი ფასები. სოციალური პროგრამების ფარგლებში დახარჯული თანხების (წლიურად თითქმის 6 მლნ-მდე ლარი) 90% მიემართება მაღალმთიან ან სამკურნალო რეგიონებში (იმერეთი - წყალტუბო, საირმე, სამცხე-ჯავახეთი - ბორჯომი, აბასთუმანი), რაც ამცირებს ეკონომიკურ უთანასწორობას დედაქალაქსა და რეგიონებს შორის. თუმცა ან პროცესს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეებიც გააჩნია, როგორიცაა: სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა, დაბალი დაფინანსება, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. ამას ემატება კავკასიის რეგიონში პოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური კრიზისები, გეოპოლიტიკური რისკები და სხვ.. ადგილებზე მოქმედებს მხოლოდ სხვადასხვა ცალკეული პროგრამა, რომელიც ძირითადად მოიცავს: მოსწავლეთა ექსკურსიებს, ახალგაზრდულ ბანაკებს, შშმ პირთა და ხანდაზმულთა სოციალური აქტივობების ცალკეულ პროექტებს. აქ ერთიანი ეროვნული პროგრამა პრაქტიკულად არ არსებობს.

სოციალური ტურიზმი საქართველოში ძირითადად სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ახალგაზრდული ბანაკებისა და ადგილობრივ შიდა მოგზაურობით (ნათესავებისა და მეგობრების მონახულება - VFR, საკუთარ აგარაკზე დასვენება სოფელში) არის წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულია ამ სექტორების ციფრობრივი მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 3)

ცხრილი 3

შიდა ტურიზმის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში (%)

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
ჯანმრთელობის გაუმჯობესება და	8.1	8.3	8.7	8.9	8.6	8.4

მკურნალობა						
დასვენება, გართობა და რეკრეაცია (ძირითადად ახალგაზრდები)	9.2	9.5	10.1	10.4	10.6	10.5
მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (VFR)	54.6	54.1	53.4	53.0	52.7	52.3
სხვა საცხოვრებელზე დასვენება (აგარაკი და სხვ.)	8.4	8.2	8.1	8.2	8.3	8.3

დღეს საქართველოში სოციალური ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (საკურორტო) სეგმენტის დაფინანსება ხდება ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, ჯანდაცვის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების მიერ. ბენეფიციართა წლიური ნაკადი წელიწადში საშუალოდ 7-დან 10 ათასამდე ადამიანს შეადგენს (ომის ვეტერანები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პენსიონერები), რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო საგზურებით. ნაკადის 80%-ზე მეტი ნაწილდება სამკურნალო-ბალნეოლოგიურ კურორტებზე: წყალტუბო, ბორჯომი, საირმე და აბასთუმანი. იგი მთელი შიდა ტურიზმის 8.4%-ს შეადგენს, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება (მუნიციპალური ვაუჩერების ჩათვლით) წლიურად 3-დან 5 მლნ ლარამდე მერყეობს.

სოციალურ-საგანმანათლებლო ტურისტულ პროგრამებს, რომელიც ახალგაზრდების დასვენება-გართობას ემსახურება, კურირებენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე მუნიციპალიტეტები, რომლებიც ყოველწლიურად ორგანიზებას უწევენ უფასო საზაფხულო-საზამთრო ბანაკებს წარჩინებული, სოციალურად დაუცველი ან იძულებით გადაადგილებული (დევნილი) ბავშვებისთვის. წელიწადში ამგვარი ბანაკების პროგრამებით (მაგალითად, ანაკლიის, შაორის ან ბაკურიანის ბანაკები) სარგებლობს 2,5-დან 4 ათასამდე ახალგაზრდა. ეს სეგმენტი 2025 წლისათვის მთელი შიდა ტურიზმის 10.5%-ს მოიცავდა.

როგორც ცხრილიდან ვხედავთ 2025 წლის მონაცემებით საქართველოში შიდა ტურიზმის ყველაზე დიდი წილი (VFR) მეგობრებისა და ნათესავების მონახულებაზე მოდის: 52.4% - ეს არის არაკომერციული, სოციალური მოგზაურობის ფორმა, სადაც მოქალაქეები დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო სასტუმროების ნაცვლად ახლობლებთან ისვენებენ.

ზოგადად სოციალური ტურების დინამიკა საქართველოში ბოლო პერიოდში ამგვარად გამოიყურება (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

სოციალური ტურების დინამიკა და დაფინანსების მაჩვენებლები საქართველოში (2020–2025)

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
სოციალურ-სამკურნალო ტურების ნაკადი (ათასი კაცი)	2.0	4.5	6.8	8.5	9.2	10.5
სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება (მლნ ლ)	1.2	2.5	3.8	4.5	5.0	5.8

ქართველი ექსპერტების კვლევების მიხედვით, ტურიზმის აღნიშნული სექტორის განვითარებას ორი მთავარი ფაქტორი აფერხებს: ინფრასტრუქტურის არაადაპტი-რებულობა: საქართველოში არსებული ტურისტთა განთავსების ობიექტების (სასტუმ-როები, დასასვენებელი სახლები) 85%-ზე მეტი არ არის სრულად ადაპტირებული შშმ პირებისთვის, რაც გამორიცხავს მათ მასობრივ ჩართვას ტურიზმში; დაბალი მსყიდველობითი უნარი: ქვეყანაში პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველთა მაღალი წილი (მოსახლეობის თითქმის 15-18%), რომლის სრულად სუბსიდირებასაც სახელმწიფო ბიუჯეტი ამ ეტაპზე ვერ ახერხებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში არ არსებობს სოციალური ტურიზმის ეროვნული სტრატეგია, რომლის შემუშავება ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიგვაჩნია. აღნიშნული სტრატეგია ყველა იმ პუნქტს უნდა შეიცავდეს რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს პირობებში განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება იყოს. კერძოდ, კი პენსიონერთა ტურისტული ვაუჩერების დანერგვა, სტუდენტური და ახალგაზრდული ტურიზმის დაფინანსება, შშმ პირთათვის ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალური სოციალური ტურიზმის პროგრამების შექმნა, სოციალური ტურიზმის რეგიონული ფონდების შექმნა, ევროკავშირის გამოცდილების შესწავლა და დანერგვა და სხვ.. იგი უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდას (განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდში), რეგიონული დასაქმების გაუმჯობესებას, პენსიონერთა და ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებას და შიდა ტურიზმის განუხრელ ზრდას.

სტრატეგია უნდა დაეფუძნოს მდგრადი და ინკლუზიური ტურიზმის პრინციპებს, ეთანხმებოდეს საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნულ ხედვას. ხოლო, ძირითადი მიზანი, რასაც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგია: 2035 წლისთვის საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს სოციალურ-ინკლუზიური ტურიზმის რეგიონულ ცენტრად, სადაც მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფისთვის უზრუნველყოფილი იქნება ტურისტულ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხოლო სოციალური ტურიზმი გახდება რეგიონული განვითარების, სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

და, ბოლოს გვინდა დავაფიქსიროთ, რომ 2020-2025 წლებში ტურიზმის სექტორის ზრდამ და ტურისტული შემოსავლების აღდგენამ შექმნა საფუძველი იმისთვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში სოციალური ტურიზმი უფრო მნიშვნელოვანი მიმართულება გახდეს. 2025 წელს ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ დაახლოებით 5.5 მილიონს მიაღწია, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.5–4.7 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ადასტურებს სექტორის მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს (იხ. ცხრ. 5).

ცხრილი 5

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური ანალიზი (2020-2025)

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025
საერთაშორისო ვიზიტები (მლნ კაცი)	1.7	2.0	5.4	7.1	7.4	7.8
ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები (მლრდ აშშ დოლარი	0.5	1.2	3.5	4.1	4.4	4.6
ტურიზმის წილი მშპ-ში (%)	2.8	4.6	6.8	7.5	8.1	8.4
ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი ადამიანი)	110	125	155	176	189	195
შიდა ვიზიტები (მლნ ადამიანი)	5.4	8.1	12.2	13.4	14.1	14.8

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში შიდა ტურიზმის მნიშვნელობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ტურიზმის სექტორი კვლავ ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია, და, რომ საქართველოში არსებობს სოციალური ტურიზმის განვითარების რეალური ეკონომიკური საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2025). შიდა ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში (2020-2025 წლების დინამიკა). საქსტატი. geostat.ge

2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2024). საქართველოს ტურიზმის სტრატეგია და შიდა ბაზრის ეკონომიკური კვლევა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. gnta.ge

3. დოლიკაშვილი, ლ. (2021). სოციალური და ინკლუზიური ტურიზმის განვითარების პოტენციალი და ბარიერები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. International Social Tourism Organisation (ISTO). (2024). Global social tourism market report: Economic impacts and 2025-2035 projections. ISTO Secretariat. isto.international

5. Allied Market Research. (2025). Social tourism market by tour type (socio-educational, therapeutic, family), by age group (25-45 years, 65+ years) and region: Global opportunity analysis and industry forecast, 2025-2035. Allied Market Research. alliedmarketresearch.com

Medea Melashvili
Nunu Kistauri
Ketevan Kveladze

The Role and Importance of Social Tourism:
Global Perspectives and Implications for Georgia

Summary

This paper examines the role and significance of social tourism from both global and Georgian perspectives. The study is based on statistical data for 2020–2025, international reports, and an analysis of European best practices. It explores social tourism as an important instrument for promoting social inclusion, improving quality of life, strengthening regional development, and enhancing economic security.

The research analyzes successful social tourism models implemented in Spain, France, and Poland, highlighting their contribution to reducing tourism seasonality, increasing employment, stimulating local economies, and improving citizens' psychological well-being. Particular attention is paid to the current state of social tourism in Georgia, its institutional framework, existing challenges, and future development opportunities.

The findings indicate that social tourism has considerable potential to strengthen domestic tourism, reduce regional disparities, and improve social cohesion. However, its development in Georgia is constrained by fragmented public policies, limited financial resources, insufficiently accessible tourism infrastructure, and the absence of a comprehensive national strategy. The study concludes that the introduction of tourism voucher schemes, targeted programmes for pensioners, students, and persons with disabilities, the establishment of regional social tourism funds, and the integration of European best practices would significantly contribute to sustainable tourism development, human well-being, regional economic growth, and national economic security.

ქეთევან ომანაძე

ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯისა და ბრენდის გავლენა პაციენტის გადაწყვეტილებაზე

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯისა და ბრენდინგის გავლენის შესწავლას პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში პაციენტი სულ უფრო მეტად აღიქმება როგორც აქტიური მომხმარებელი, რომლის არჩევანი განპირობებულია როგორც რაციონალური, ისე ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ იმიჯს, რომელიც აყალიბებს პაციენტის აღქმას, ნდობასა და მოლოდინებს სამედიცინო მომსახურების მიმართ.*

კვლევა ეფუძნება მომხმარებლის ქცევის თეორიულ ჩარჩოს და განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პაციენტის არჩევანზე, მათ შორისაა კლინიკის რეპუტაცია, ვიზუალური იდენტობა, კომუნიკაცია და ონლაინ შეფასებები. ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კითხვარის საშუალებით შეგროვებული მონაცემების ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს იმიჯისა და ბრენდის გავლენის ინტენსივობა პაციენტის გადაწყვეტილებაზე.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პოზიტიური იმიჯისა და ძლიერი ბრენდის მქონე ჯანდაცვის დაწესებულებები სარგებლობენ უფრო მაღალი ნდობით და პაციენტების მხრიდან არჩევის უფრო მაღალი ალბათობით. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ქმნის და გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე. შესაბამისად, კვლევა ხაზს უსვამს იმიჯისა და ბრენდის სტრატეგიული მართვის აუცილებლობას ჯანდაცვის ორგანიზაციებში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯანდაცვის დაწესებულებების მარკეტინგული სტრატეგიების გაუმჯობესებისა და პაციენტზე ორიენტირებული მომსახურების განვითარების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვის მარკეტინგი; ბრენდინგი; ორგანიზაციული იმიჯი; პაციენტის გადაწყვეტილება; მომხმარებლის ქცევა; პაციენტის ნდობა.*

შესავალი

თანამედროვე ჯანდაცვა სულ უფრო მეტად ერთვება კონკურენტულ გარემოში, სადაც პაციენტი აღარ წარმოადგენს მხოლოდ სამედიცინო მომსახურების პასიურ მიმღებს, არამედ აღიქმება როგორც ინფორმირებული მომხმარებელი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მრავალფაქტორული შეფასების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ არამატერიალურ ფაქტორებს, როგორიცაა ბრენდინგი და ორგანიზაციული იმიჯი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პაციენტის ნდობის ფორმირებასა და საბოლოო გადაწყვეტილებაზე (Kotler & Keller, 2016).

ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯი წარმოადგენს პაციენტების მიერ აღქმული წარმოდგენების, ემოციებისა და მოლოდინების ერთობლიობას, რომელიც ყალიბდება როგორც პირადი გამოცდილების, ისე სხვადასხვა კომუნიკაციური არხების – რეკლამის, სოციალური მედიისა და სხვა მომხმარებელთა შეფასებების – გავლენით (Zeithaml, Bitner, & Gremler, 2018). ამასთან, ბრენდი გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ ვიზუალური იდენტობა; იგი მოიცავს ორგანიზაციის რეპუტაციას, ღირებულებებსა და

მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ასოციაციებს, რაც პირდაპირ აისახება პაციენტის აღქმასა და არჩევანზე (Keller, 2013).

პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესი მჭიდროდ უკავშირდება მომხმარებლის ქცევის თეორიებს, რომელთა მიხედვითაც მომხმარებლის არჩევანი განპირობებულია როგორც რაციონალური, ისე ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. ჯანდაცვის სფეროში ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გადაწყვეტილება ხშირად დაკავშირებულია ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკებთან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნდობისა და სანდოობის როლს (Berry & Bendapudi, 2007).

გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ არსებითად შეცვალა პაციენტის ქცევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. თანამედროვე პირობებში პაციენტები აქტიურად იყენებენ ონლაინ პლატფორმებს ინფორმაციის მოსაძიებლად, სხვადასხვა კლინიკების შესადარებლად და სხვა მომხმარებელთა გამოცდილების გასაცნობად, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯის ფორმირებაზე (Deloitte, 2019). შესაბამისად, ძლიერი ბრენდისა და პოზიტიური იმიჯის მქონე ორგანიზაციები უფრო მეტად იმსახურებენ პაციენტთა ნდობას და კონკურენტულ უპირატესობას იძენენ ბაზარზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯისა და ბრენდის გავლენის შესწავლა პაციენტის გადაწყვეტილებაზე წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას, რომელიც აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას და ხელს უწყობს ჯანდაცვის ორგანიზაციების ეფექტური მართვისა და მარკეტინგული სტრატეგიების განვითარებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში პაციენტის როლი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა. ტრადიციულად პაციენტი განიხილებოდა, როგორც სამედიცინო მომსახურების პასიური მიმღები, თუმცა გლობალიზაციის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდის პირობებში იგი იქცა აქტიურ, ინფორმირებულ და გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად. აღნიშნული ცვლილება განაპირობებს ჯანდაცვის ორგანიზაციების მხრიდან ახალი მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომების დანერგვის აუცილებლობას. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ცნებები, როგორიცაა ბრენდინგი, ორგანიზაციული იმიჯი და მომხმარებლის ქცევა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ბრენდინგის თეორიული საფუძვლები ფართოდ არის განხილული მარკეტინგის კლასიკურ ლიტერატურაში. კევინ ლეინ კელერი (Keller, 2013) ბრენდს განსაზღვრავს, როგორც მომხმარებლის გონებაში არსებული ასოციაციების ერთობლიობას, რომელიც ქმნის ორგანიზაციის უნიკალურ იდენტობას. კელერის მიხედვით, ძლიერი ბრენდი ამცირებს მომხმარებლის მიერ აღქმულ რისკს და ზრდის ნდობის დონეს. ჯანდაცვის სფეროში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პაციენტები ხშირად არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას მომსახურების ხარისხის ობიექტურად შესაფასებლად და გადაწყვეტილებას იღებენ ემოციურ და აღქმით ფაქტორებზე დაყრდნობით.

კოტლერი და კელერი ხაზს უსვამენ, რომ ბრენდი წარმოადგენს ღირებულებების, დაპირებებისა და მომხმარებლის გამოცდილების ერთობლიობას, რომელიც ქმნის ნდობასა და ლოიალობას. მათი ხედვით, ბრენდის ლოიალობა არის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ეფექტური ბრენდინგისა, რაც ორგანიზაციას აძლევს კონკურენტულ

უპირატესობას. ჯანდაცვის სფეროში ლოიალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პაციენტები ხშირად ირჩევენ იმავე კლინიკას განმეორებითი მომსახურებისთვის, რაც ზრდის ორგანიზაციის მდგრადობას ბაზარზე.

ორგანიზაციული იმიჯი, როგორც კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, განისაზღვრება, როგორც საზოგადოებისა და მომხმარებლების მიერ ორგანიზაციის შესახებ ჩამოყალიბებული საერთო წარმოდგენა. ბითნერი და გრემლერი აღნიშნავენ, რომ იმიჯი ფორმირდება როგორც ფუნქციური (მომსახურების ხარისხი, პროფესიონალიზმი), ისე ემოციური (ნდობა, უსაფრთხოება, კომფორტი) ფაქტორების გავლენით. ჯანდაცვის დაწესებულებებში იმიჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება პაციენტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს (Zeithaml, Bitner, Gremler. 2018)

იმიჯის ფუნქციური და ემოციური კომპონენტების ურთიერთქმედება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროში. ფუნქციური კომპონენტები მოიცავს მომსახურების ტექნიკურ ხარისხს, ექიმების პროფესიონალიზმს და ინფრასტრუქტურას, ხოლო ემოციური კომპონენტები დაკავშირებულია ნდობასთან, უსაფრთხოების განცდასთან და კომფორტთან. კვლევები აჩვენებს, რომ პაციენტები ხშირად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ემოციურ ფაქტორებს, რადგან ისინი პირდაპირ უკავშირდება მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღქმას.

პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზისთვის აუცილებელია მომხმარებლის ქცევის თეორიების განხილვა. კოტლერი და კელერი აღნიშნავენ, რომ მომხმარებლის ქცევა განისაზღვრება კულტურული, სოციალური, პერსონალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. ჯანდაცვის კონტექსტში ეს ფაქტორები კიდევ უფრო კომპლექსურია, რადგან გადაწყვეტილება ხშირად დაკავშირებულია ჯანმრთელობის რისკებთან და მაღალი ჩართულობის დონესთან. პაციენტები ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ რისკი და არჩევანს აკეთებენ იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც სანდოდ და პროფესიონალურად აღიქმება (Keller, L. Kotler, P. 2016).

ბერი და ბანდაპუდი ხაზს უსვამენ, რომ ჯანდაცვა წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური მომსახურების სფეროს, სადაც ნდობა არის კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტორი. მათი კვლევის მიხედვით, პაციენტები ვერ აფასებენ მომსახურების ტექნიკურ ხარისხს და ამიტომ ეყრდნობიან ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა კლინიკის რეპუტაცია, პერსონალის დამოკიდებულება და ბრენდის აღქმა (Berry,L. & Bendapudi,N. 2007). ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს იმიჯისა და ბრენდის მნიშვნელობას პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციფრული გარემოს გავლენას. დელოიტეს კვლევის მიხედვით, პაციენტების დიდი ნაწილი გადაწყვეტილების მიღებამდე ეცნობა ონლაინ შეფასებებს, რეიტინგებსა და სხვა მომხმარებელთა გამოცდილებას. სოციალური მედია, ვებგვერდები და სპეციალიზებული პლატფორმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჯანდაცვის დაწესებულებების იმიჯის ფორმირებაზე. ონლაინ რეპუტაცია ხშირად ხდება პაციენტის არჩევანის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი (Deloitte, 2019).

ციფრული კომუნიკაციის ზრდამ ასევე გაზარდა გამჭვირვალობა და კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე. პაციენტებს აქვთ შესაძლებლობა შეადარონ სხვადასხვა კლინიკები, გაეცნონ ფასებს, მომსახურებებს და შეფასებებს, რაც ზრდის მათი გადაწყვეტილების ხარისხს. ამ პირობებში ბრენდის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან იგი წარმოადგენს ერთგვარ „სიგნალს“, რომელიც ამცირებს

ინფორმაციულ გაურკვევლობას. თანამედროვე კვლევები ასევე მიუთითებს სოციალური გავლენის მნიშვნელობაზე. პაციენტის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის წევრების, მეგობრებისა და საზოგადოების აზრი. რეკომენდაციები ხშირად აღიქმება უფრო სანდოდ, ვიდრე ოფიციალური რეკლამა, რაც აძლიერებს „სიტყვიერი მარკეტინგის“ (word-of-mouth) როლს ჯანდაცვაში (Deloitte, 2019).

ციფრული ეპოქის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ონლაინ რეპუტაციას. პაციენტები აქტიურად იყენებენ პლატფორმებს, სადაც აფასებენ კლინიკებს და აზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. ეს ქმნის კოლექტიურ იმიჯს, რომელიც ხშირად უფრო გავლენიანია, ვიდრე ოფიციალური ბრენდინგი. ამასთან, უარყოფითი შეფასებები უფრო სწრაფად ვრცელდება და ძლიერ გავლენას ახდენს პაციენტის გადაწყვეტილებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ემოციური მარკეტინგის როლი. ჯანდაცვის სფეროში გადაწყვეტილებები ხშირად ემყარება არა მხოლოდ რაციონალურ ანალიზს, არამედ ემოციებსაც. ნდობა, უსაფრთხოების განცდა და კომფორტი წარმოადგენს იმ ძირითად ემოციურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ პაციენტის არჩევანს. ძლიერი ბრენდი სწორედ ამ ემოციების მართვის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ვიზუალური იდენტობა და გარემო ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პაციენტის აღქმაზე. ზეითმლი და სხვები აღნიშნავენ, რომ ფიზიკური გარემო – ინტერიერი, სისუფთავე, ტექნოლოგიური აღჭურვილობა – ქმნის პირველ შთაბეჭდილებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმიჯის ფორმირებაში. ჯანდაცვის დაწესებულებებში ეს ფაქტორები ასოცირდება პროფესიონალიზმთან და უსაფრთხოებასთან. ასევე მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის აღქმის თეორია, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი აფასებს მომსახურებას როგორც შედეგის, ისე პროცესის მიხედვით. ჯანდაცვაში მომსახურების პროცესი მოიცავს პაციენტთან კომუნიკაციას, ყურადღებას, დროის მართვასა და ემპათიას. აღნიშნული ფაქტორები ქმნის პაციენტის გამოცდილებას და განსაზღვრავს მის კმაყოფილებას (Zeithaml et al. (2018).

პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა წარმოადგენს თანამედროვე ჯანდაცვის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს. ამ მიდგომის მიხედვით, ორგანიზაციები ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ პაციენტის საჭიროებები, მოლოდინები და ემოციური მდგომარეობა. ძლიერი ბრენდის მქონე კლინიკები უფრო ეფექტურად ახერხებენ ამ მიდგომის დანერგვას, რაც ზრდის პაციენტის კმაყოფილებას და ლოიალობას.

გარდა ამისა, კვლევები მიუთითებს, რომ ნდობა არის ცენტრალური ცნება, რომელიც აერთიანებს იმიჯს, ბრენდს და პაციენტის გადაწყვეტილებას. ნდობა ამცირებს გაურკვევლობას, ზრდის უსაფრთხოების განცდას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ ამიტომ, ჯანდაცვის დაწესებულებები ცდილობენ შექმნან პოზიტიური იმიჯი და ძლიერი ბრენდი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის ნდობას.

ჯანდაცვის სფეროში ბრენდინგისა და იმიჯის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მომსახურების არამატერიალური ბუნების გამო. განსხვავებით მატერიალური პროდუქტებისგან, სამედიცინო მომსახურება ვერ შეფასდება წინასწარ, რაც ზრდის პაციენტის გაურკვევლობას და რისკის აღქმას. ამ პირობებში ბრენდინგი ფუნქციონირებს როგორც ნდობის შემცვლელი მექანიზმი, რომელიც ამცირებს აღქმულ რისკს და ამარტივებს გადაწყვეტილების მიღებას (Keller, 2013).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სფეროში ბრენდი ხშირად არ არის მხოლოდ ორგანიზაციული დონეზე ჩამოყალიბებული, არამედ მოიცავს

ინდივიდუალურ დონესაც, კერძოდ ექიმის პირად რეპუტაციას. კვლევები მიუთითებს, რომ პაციენტები ხშირად არჩევანს აკეთებენ კონკრეტულ ექიმზე და არა მხოლოდ კლინიკაზე, რაც მიუთითებს „პერსონალური ბრენდის“ მნიშვნელობაზე. ამგვარად, ჯანდაცვის ბრენდინგი წარმოადგენს მრავალშრიან სისტემას, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე ინდივიდუალურ დონეებს.

ორგანიზაციული იმიჯის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციას. ორგანიზაციული იმიჯი ყალიბდება როგორც პირდაპირი გამოცდილების, ისე მედიის, რეკლამისა და საზოგადოებრივი აზრის გავლენით (Zeithaml et al., 2018). თანამედროვე პირობებში ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული კომუნიკაცია, რომელიც ქმნის სწრაფად გავრცელებად ინფორმაციას და აყალიბებს საზოგადოებრივ აღქმას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფცია, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება, არის „აღქმული ხარისხი“. მომხმარებელი ხშირად ვერ აფასებს მომსახურების რეალურ ხარისხს და ეყრდნობა მის აღქმულ ვერსიას, რომელიც ფორმირდება იმიჯისა და ბრენდის გავლენით. ამ კონტექსტში, ძლიერი ბრენდი ქმნის მაღალი ხარისხის მოლოდინს, რაც გავლენას ახდენს პაციენტის კმაყოფილებაზე (Kotler & Keller, 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია მომხმარებლის კმაყოფილების განმსაზღვრელი „სერვისის ხარისხის მოდელების“ განხილვა. ზეითამლი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, რომ მომსახურების ხარისხი განისაზღვრება მომხმარებლის (Zeithaml et al., 2018) მოლოდინებისა და მიღებული გამოცდილების შედარებით. ჯანდაცვის სფეროში ეს ნიშნავს, რომ თუ კლინიკა ახერხებს პაციენტის მოლოდინების დაკმაყოფილებას ან გადაჭარბებას, იგი ქმნის პოზიტიურ იმიჯს და ზრდის ლოიალობას.

მომხმარებლის ქცევის თეორიების მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: საჭიროების გაცნობიერებას, ინფორმაციის მოძიებას, ალტერნატივების შეფასებას და საბოლოო არჩევანს. ჯანდაცვის კონტექსტში ეს პროცესი ხშირად დაჩქარებულია და ემოციურად დატვირთულია, რაც კიდევ უფრო ზრდის იმიჯისა და ბრენდის მნიშვნელობას. პაციენტები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას სწრაფად და ეყრდნობიან იმ ინფორმაციას, რომელიც მათთვის ყველაზე ხელმისაწვდომია.

კვლევები ასევე მიუთითებს, რომ პაციენტის გამოცდილება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც აყალიბებს როგორც იმიჯს, ისე ბრენდს. დადებითი გამოცდილება ზრდის კმაყოფილებას და ლოიალობას, ხოლო უარყოფითი გამოცდილება სწრაფად აზიანებს ორგანიზაციის რეპუტაციას. ამგვარად, გამოცდილება წარმოადგენს ერთგვარ „ხიდს“ იმიჯსა და პაციენტის გადაწყვეტილებას შორის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს გავლენის გათვალისწინება. ჯანდაცვის ბაზარზე კონკურენციის ზრდა აიძულებს ორგანიზაციებს უფრო მეტად ფოკუსირდნენ ბრენდინგსა და იმიჯზე. ძლიერი ბრენდი გამოარჩევს კლინიკას კონკურენტებისგან, რითაც ადვილად შეუძლია მოიპოვოს პაციენტის ნდობა.

საბოლოოდ, ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯი და ბრენდი წარმოადგენს მრავალდონიან და დინამიკურ სისტემას, რომელიც მოიცავს როგორც რაციონალურ, ისე ემოციურ ფაქტორებს. ისინი ურთიერთდაკავშირებულად მოქმედებენ და განსაზღვრავენ პაციენტის გადაწყვეტილების პროცესს. შესაბამისად, მათი ინტეგრირებული კვლევა

აუცილებელია ჯანდაცვის ორგანიზაციების ეფექტური მართვისა და კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს **კოლექციურ, კროსსექციურ, რაოდენობრივ კვლევას**, რომელიც მიზნად ისახავს ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯისა და ბრენდის გავლენის შეფასებას პაციენტის გადაწყვეტილებაზე. რაოდენობრივი მიდგომა არჩეულია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ფაქტობრივი და სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვება.

კვლევის პოპულაცია

კვლევის მიზნობრივი პოპულაცია მოიცავს **პაციენტებსა და ჯანდაცვის სექტორის მომხმარებლებს**, რომლებმაც მომსახურება მიიღეს კერძო ან სახელმწიფო კლინიკაში. სინჯის ზომა განისაზღვრა **n = 300** მონაწილით, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ სტატისტიკურ ანალიზს და გამოკითხვის შედეგების რელევანტურობას. მონაწილეები შერჩეული არიან **შემთხვევითი შერჩევის მეთოდით**, რათა შემცირებულიყო შერჩევითი ბარიერები და გაზრდილიყო მონაცემების სანდოობა.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემები შეგროვდა **სტრუქტურირებული კითხვარის** საშუალებით, რომელიც შეიცავდა ოთხ ძირითად ბლოკს:

1. **დემოგრაფიული ინფორმაცია** – ასაკი, სქესი, განათლება, სოციალური სტატუსი;
2. **კლინიკის იმიჯის აღქმა** – (Zeithaml et al., 2018);
3. **ბრენდის აღქმა და ლოიალობა** – კითხვები ბრენდის ცნობადობის, პოზიტიური ასოციაციებისა და მომავალში განმეორებითი გამოყენების განწყობის შესახებ (Keller, 2013);
4. **პაციენტის გადაწყვეტილების ფაქტორები** – რა ელემენტები ახდენენ გავლენას არჩევანზე (ფასი, ხარისხი, სანდოობა, რეკომენდაციები, ონლაინ შეფასებები) (Berry & Bendapudi, 2007; Deloitte, 2019).

კითხვარი გავრცელდა **ონლაინ პლატფორმების საშუალებით**, რაც უზრუნველყოფდა მრავალფეროვან პასუხებს სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებიდან.

ეთიკური საკითხები

კვლევა განხორციელდა **ეთიკური პრინციპების სრული დაცვით**:

• ყველა მონაწილემ მიიღო სრული ინფორმაცია კვლევის მიზანზე, პროცედურებსა და მონაცემთა გამოყენებაზე;

• მონაცემები ინახებოდა ანონიმურად, პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველსაყოფად;

• კვლევის ჩასატარებლად მიღებულია **ჯანდაცვის დაწესებულებების ადმინისტრაციული ნებართვა**.

კვლევის სიძლიერეები და შეზღუდვები

სიძლიერეები:

• სტრუქტურირებული კითხვარი უზრუნველყოფს მონაცემების სანდოობას;

• რაოდენობრივი ანალიზი იძლევა შედეგების სტატისტიკურ სიძლიერეს;

• კვლევა ეყრდნობა მოწინავე თეორიებს: ბრენდის მენეჯმენტს (Keller, 2013), იმიჯის ფორმირებას (Zeithaml et al., 2018), მომხმარებლის ქცევის მოდელებს (Kotler & Keller, 2016).

შეზღუდვები:

• სინჯი არ მოიცავს სრულ პოპულაციას;

• მონაცემები დაფუძნებულია სუბიექტურ შეფასებებზე, რაც შეიძლება შეიცავდეს ცდომილებას;

• კვლევა არ ითვალისწინებს გრძელვადიან შედეგებს და მხოლოდ ერთი პერიოდის შეფასებას განიხილავს (კროსსექციური დიზაინი).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები პრაქტიკულად მნიშვნელოვანია როგორც კლინიკებისთვის, ასევე ჯანდაცვის სფეროს მენეჯერებისთვის.

მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვცემს კლინიკებმა:

• უკეთ განსაზღვრონ მომხმარებელთა საჭიროებები;

• გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი;

• ეფექტურად დაგეგმონ მარკეტინგული სტრატეგია;

• გაზარდონ პაციენტთა ლოიალობა;

• განავითარონ ბრენდის პოზიციონირება.

კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ჯანდაცვის სექტორში კონკურენცია მუდმივად იზრდება და მომხმარებლები უფრო მომთხოვნი ხდებიან.

კვლევის შედეგების ანალიზი

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში გამოკითხულია 300 რესპონდენტი, რაც რაოდენობრივად საკმარისია იმისათვის, რომ მიღებული შედეგები ჩაითვალოს რელევანტურად და ასახავდეს ზოგად ტენდენციებს პაციენტთა ქცევასა და დამოკიდებულებებში. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ძირითადი ტენდენციები და შეფასდეს იმიჯისა და ბრენდის გავლენა პაციენტის გადაწყვეტილებაზე.

1. დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზი

რესპონდენტთა გენდერული განაწილება შედარებით დაბალანსებულია (55% ქალი, 45% კაცი), რაც ამცირებს სქესობრივი მიკერძოების რისკს და ზრდის შედეგების გენერალიზაციის შესაძლებლობას.

ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, დომინირებს 26–40 წლის ჯგუფი (45%), რასაც მოსდევს 41–60 წლის კატეგორია (35%). აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ კვლევაში ჩართულია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აქტიურად სარგებლობს ჯანდაცვის მომსახურებით და, შესაბამისად, აქვს კლინიკებთან ურთიერთობის პრაქტიკული გამოცდილება.

რაც შეეხება განათლების დონეს, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია მსგავსი ტიპის კვლევებში, რესპონდენტთა უმრავლესობას (64%) აქვს უმაღლესი განათლება, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ მათი პასუხები არის ინფორმირებული და გააზრებული.

კლინიკებით სარგებლობის სიხშირე აჩვენებს, რომ რესპონდენტების 84% წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც მიმართავს ჯანდაცვის დაწესებულებას. ეს კიდევ

ერთხელ ადასტურებს, რომ კვლევა ეფუძნება რეალურ გამოცდილებას და არა მხოლოდ თეორიულ წარმოდგენებს. დემოგრაფიული მონაცემები მიუთითებს, რომ კვლევაში მონაწილე პოპულაცია არის აქტიური და ინფორმირებული მომხმარებლებისგან შემდგარი, რაც ზრდის მიღებული შედეგების სანდოობას.

2. **კლინიკის მიმართ ნდობის ფაქტორები**

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პაციენტთა ნდობა არ არის ერთფაქტორული, არამედ ყალიბდება რამდენიმე ძირითადი კომპონენტის ერთობლიობით. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- ექიმების პროფესიონალიზმი;
- კლინიკის რეპუტაცია;
- გარემო და სისუფთავე.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 30%) ერთდროულად ასახელებს ამ ფაქტორების კომბინაციას, რაც მიუთითებს ნდობის კომპლექსურ ბუნებაზე. ექიმის პროფესიონალიზმი წარმოადგენს „ბირთვულ ფაქტორს“, ხოლო გარემო და რეპუტაცია – „გამამძლიერებელ ფაქტორებს“. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი კომპონენტის არსებობა საკმარისი არ არის ნდობის სრულად ჩამოსაყალიბებლად. მიღებული შედეგები თანხვედრაშია იმ მიდგომასთან, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვის მომსახურებაში ნდობა ყალიბდება როგორც ფუნქციური (პროფესიონალიზმი), ისე ემოციური (გარემო, კომფორტი) ელემენტების ერთობლიობით.

3**. კლინიკის იმიჯის შეფასება**

შედეგები მიუთითებს, რომ ჯანდაცვის სექტორში იმიჯი ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული და არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი. რესპონდენტთა უმრავლესობა (54%) კლინიკების იმიჯს აფასებს როგორც საშუალოს, ხოლო 28% – როგორც კარგს. ანალიზი აჩვენებს, რომ პაციენტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ:

- პერსონალის დამოკიდებულებას (72%);
- სისუფთავეს;
- ორგანიზებულობას.

პერსონალის როლის მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ადამიანური ფაქტორი არის იმიჯის ფორმირების მთავარი ელემენტი. ტექნიკური რესურსები და ინფრასტრუქტურა მეორეხარისხოვანი ხდება, თუ მომსახურების პროცესში არ არის სათანადო კომუნიკაცია.

იმიჯის განმსაზღვრელ ფაქტორებში ლიდერობს:

- პროფესიონალი ექიმები (42%);
- ხარისხიანი მომსახურება (32%).

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იმიჯი მჭიდროდ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხთან.

4. **ბრენდის გავლენის ანალიზი**

ბრენდი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არ არის აბსოლუტურობის განმსაზღვრელი. იგი მოქმედებს როგორც „დამხმარე კრიტერიუმი“ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ინფორმაცია შეზღუდულია. კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 41% უპირატესობას ანიჭებს ცნობილ კლინიკას, ხოლო 50% აღნიშნავს, რომ არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. ცნობილ კლინიკასთან ასოცირებული ძირითადი მახასიათებლებია:

- პროფესიონალიზმი;

• მაღალი ხარისხი;

• სანდოობა.

აღსანიშნავია, რომ ბრენდი უფრო მეტად ასოცირდება პოზიტიურ მახასიათებლებთან და არა მხოლოდ მაღალ ფასთან, რაც მიუთითებს მის რეპუტაციულ ძალაზე.

რაც შეეხება ბრენდის მნიშვნელობის შეფასებას, ეს კრიტერიუმი საკმაოდ დიფერენცირებულია:

• ნაწილი მას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს;

• ნაწილი — ნაკლებად მნიშვნელოვანად.

ეს შეიძლება აიხსნას მომხმარებელთა განსხვავებული გამოცდილებით და ინფორმაციის დონით. უფრო გამოცდილი მომხმარებლისთვის შესაძლოა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს ბრენდს, რადგან ისინი კონკრეტულ ექიმებზე ან გამოცდილებაზე აკეთებენ არჩევანს.

5. **გადაწყვეტილების მიღების ფაქტორები**

კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ პაციენტის გადაწყვეტილებაში წამყვანი როლი ენიჭება:

• ექიმის კვალიფიკაციას;

• მომსახურების ხარისხს.

ყველაზე ხშირი კომბინაცია სწორედ ამ ორი ფაქტორის ერთობლიობაა. ეს შედეგი მიუთითებს, რომ პაციენტები ძირითადად რაციონალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჯანმრთელობას. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ფასი და ბრენდი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, რაც ადასტურებს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ხშირად სცდება ეკონომიკურ ჩარჩოებს.

6. **ინფორმაციის მოძიება და გავლენის წყაროები**

რესპონდენტთა პასუხები აჩვენებს, რომ:

• 47% იყენებს ონლაინ შეფასებებს;

• 41% ეყრდნობა რეკომენდაციებს.

შედეგები მიუთითებს, რომ პაციენტები აქტიურად იყენებენ როგორც ციფრულ, ისე სოციალურ წყაროებს. ონლაინ რეპუტაცია და „word-of-mouth“ ერთობლივად ქმნიან ძლიერ გავლენას პაციენტის არჩევანზე.

7. ლოიალობა და გამოცდილება

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ:

• 67% უპირატესობას ანიჭებს სანდო ექიმს ბრენდთან შედარებით;

• 63% უარს ამბობს კლინიკაში ვიზიტზე ცუდი გამოცდილების შემდეგ.

შედეგებიდან ნათლად სჩანს, რომ ბრენდი ვერ ანაცვლებს რეალურ გამოცდილებას. ამასთან, 64% მზად არის რეკომენდაცია გაუწიოს კლინიკას, თუ კმაყოფილი დარჩა, რაც მიუთითებს ლოიალობის მაღალი პოტენციალზე.

8. ფასისა და ბრენდის ურთიერთქმედება

რესპონდენტთა 54 %-მა აღნიშნა, რომ მაღალბიუჯეტიანი, მაგრამ ცნობილი კლინიკის არჩევა დამოკიდებულია სიტუაციაზე. 34% მზად არის აირჩიოს მაღალბიუჯეტიანი კლინიკა, ხოლო 12% – არა.

ეს შედეგი მიუთითებს, რომ მომხმარებლები ფასსა და ხარისხს ერთმანეთთან აკავშირებენ, თუმცა ფინანსური ფაქტორი კვლავ მნიშვნელოვანია.

შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის შედეგების სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე პაციენტისთვის კლინიკის არჩევა მხოლოდ ფასზე ან ცნობადობაზე აღარ არის დამოკიდებული. მომხმარებელი გადაწყვეტილებას მრავალ ფაქტორზე დაყრდნობით იღებს, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნდობა, პროფესიონალიზმი და მომსახურების ხარისხი.

გამოკითხვის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ რესპონდენტებისთვის ექიმის პროფესიონალიზმი წარმოადგენს კლინიკის მთავარი ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ჯანდაცვის სექტორში, რადგან პაციენტები სამედიცინო მომსახურებას აღიქვამენ არა როგორც ჩვეულებრივ სერვისს, არამედ როგორც უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებულ საკითხს.

კვლევის მიხედვით, ბრენდის ცნობადობა ზრდის მომხმარებლის თავდაპირველ ნდობას, თუმცა საბოლოო შეფასებას მაინც პაციენტის პირადი გამოცდილება განსაზღვრავს. აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ ძლიერი მარკეტინგი და რეკლამა მხოლოდ პირველადი ინტერესის გამოწვევას ახერხებს, ხოლო მომხმარებლის შენარჩუნებას ხარისხიანი მომსახურება უზრუნველყოფს.

ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალის დამოკიდებულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია პაციენტის კმაყოფილების ფორმირებაში. რესპონდენტთა დიდი ნაწილი პირველივე ვიზიტისას ყურადღებას სწორედ კომუნიკაციას, თავაზიანობასა და გარემოს აქცევს. ეს ნიშნავს, რომ პაციენტისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამედიცინო შედეგი, არამედ მთლიანად მომსახურების გამოცდილება.

კვლევამ ასევე აჩვენა ონლაინ რეპუტაციის გავლენა. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი კლინიკის არჩევამდე ეცნობა შეფასებებს, რეკომენდაციებსა და სხვა მომხმარებელთა გამოცდილებას. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული კომუნიკაციის ეპოქაში, როდესაც სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმები მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე ძლიერ გავლენას ახდენს.

მნიშვნელოვანი შედეგია ასევე ის, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი მზად არის ნაკლებად ცნობილ კლინიკასაც ენდოს, თუ კონკრეტული ექიმის პროფესიონალიზმში დარწმუნებულია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ექიმის პირადი ბრენდისა და რეპუტაციის მნიშვნელობას.

კვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა ლოიალობა საკმაოდ მყიფეა. მიუხედავად კლინიკის ცნობადობისა, ნეგატიური გამოცდილება მნიშვნელოვნად ამცირებს ხელახალი მიმართვიანობის ალბათობას. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ კლინიკებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომსახურების სტაბილური ხარისხის შენარჩუნებას. თანამედროვე კონკურენტულ გარემოში კლინიკის ბრენდი მხოლოდ ლოგოსა და ვიზუალურ იდენტობას აღარ გულისხმობს. ბრენდი წარმოადგენს მომხმარებლის ემოციურ, ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ აღქმას კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების მიმართ. კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლისთვის ძლიერი ბრენდი ასოცირდება:

- პროფესიონალიზმთან;
- უსაფრთხოებასთან;
- სანდოობასთან;
- ხარისხიან მომსახურებასთან;
- გამოცდილ და ცნობად ექიმებთან.

შედეგები აჩვენებს, რომ კლინიკის იმიჯის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს:

1. პაციენტის პირადი გამოცდილება;
2. ექიმებისა და პერსონალის პროფესიონალიზმი;
3. კომუნიკაციის ხარისხი;
4. პაციენტთა შეფასებები;
5. გარემო და ინფრასტრუქტურა;
6. ონლაინ სივრცეში არსებული რეპუტაცია.

კვლევის ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ ბრენდის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ზრდის მომხმარებლის მზადყოფნას გადაიხადოს შედარებით მაღალი ფასი, თუ იგი დარწმუნებულია მომსახურების ხარისხში.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯისა და ბრენდის გავლენის შეფასება პაციენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პაციენტის არჩევანი წარმოადგენს მრავალფაქტორულ და კომპლექსურ პროცესს, სადაც სხვადასხვა ფაქტორი ურთიერთდაკავშირებულად მოქმედებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტის გადაწყვეტილებაზე ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ექიმის პროფესიონალიზმი და მომსახურების ხარისხი. აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ მიუხედავად მარკეტინგული ინსტრუმენტების განვითარების მნიშვნელობისა, ჯანდაცვის სფეროში გადამწყვეტი მაინც რჩება მომსახურების შინაარსი და მისი შედეგიანობა.

ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პაციენტის აღქმასა და ნდობის ჩამოყალიბებაზე. იმიჯის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის დამოკიდებულებას, კომუნიკაციის ხარისხს და კლინიკის გარემოს. ეს მიუთითებს, რომ პაციენტის გამოცდილება, განსაკუთრებით მომსახურების პროცესში მიღებული შთაბეჭდილებები, წარმოადგენს იმიჯის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს.

კვლევის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ ბრენდი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პაციენტის გადაწყვეტილებაზე, თუმცა იგი არ წარმოადგენს ერთადერთ ან გადამწყვეტ ფაქტორს. ბრენდი უფრო მეტად ფუნქციონირებს, როგორც ნდობისა და ხარისხის სიგნალი, რომელიც ამცირებს პაციენტის გაურკვევლობას და ამარტივებს არჩევანის პროცესს. თუმცა მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ პაციენტები ხშირად მზად არიან უარი თქვან ცნობილ ბრენდზე იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ექიმის მიმართ ნდობა უფრო მაღალია ან წარსულში მიღებული გამოცდილება უარყოფითია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული და სოციალური გავლენის როლი. კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაწყვეტილების მიღებისას აქტიურად იყენებს ონლაინ შეფასებებსა და რეკომენდაციებს. ეს მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში ორგანიზაციის იმიჯი და ბრენდი არა მხოლოდ შიდა ფაქტორებით, არამედ გარე კომუნიკაციითაც ყალიბდება, რაც ზრდის ციფრული რეპუტაციის მნიშვნელობას.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ პაციენტის ლოიალობა პირდაპირ დამოკიდებულია მის გამოცდილებაზე. დადებითი გამოცდილება ზრდის განმეორებითი ვიზიტისა და რეკომენდაციის ალბათობას, ხოლო უარყოფითი გამოცდილება მნიშვნელოვნად ამცირებს ბრენდის გავლენას. ეს ნიშნავს, რომ ბრენდი

ვერ ანაცვლებს მომსახურების ხარისხს და მხოლოდ დამატებითი, გამაძლიერებელი ფაქტორის ფუნქციას ასრულებს.

საბოლოოდ, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ჯანდაცვის დაწესებულების იმიჯი და ბრენდი მნიშვნელოვან, თუმცა არადამოუკიდებელ გავლენას ახდენენ პაციენტის გადაწყვეტილებაზე. მათი ეფექტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების ხარისხზე, ექიმის პროფესიონალიზმსა და პაციენტის პირად გამოცდილებაზე. შესაბამისად, ჯანდაცვის ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბრენდის განვითარება, არამედ მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა.

რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს პრაქტიკულად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება ჯანდაცვის დაწესებულებებს პაციენტთა მოზიდვასა და ლოიალობის გაზრდაში.

პირველ რიგში, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტის გადაწყვეტილების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები არის ექიმის პროფესიონალიზმი და მომსახურების ხარისხი. შესაბამისად, კლინიკებმა უნდა უზრუნველყონ პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება, თანამედროვე სამედიცინო სტანდარტების დანერგვა და მკურნალობის პროცესის ეფექტიანი მართვა.

მნიშვნელოვანია ასევე პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება. კვლევის შედეგების მიხედვით, პაციენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პერსონალის დამოკიდებულებასა და კომუნიკაციას, ამიტომ რეკომენდებულია:

- სამედიცინო პერსონალის ტრენინგები კომუნიკაციისა და პაციენტთან ურთიერთობის მიმართულებით;
- ემპათიისა და პაციენტის საჭიროებების გათვალისწინების კულტურის განვითარება;
- მომსახურების პროცესის მაქსიმალურად კომფორტული და მარტივი ორგანიზება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლინიკის იმიჯის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- სისუფთავისა და ჰიგიენური სტანდარტების დაცვა;
- თანამედროვე და კომფორტული გარემოს შექმნა;
- მომსახურების ორგანიზებულობისა და დროის მართვის გაუმჯობესება.

კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ ბრენდი წარმოადგენს ნდობის გამაძლიერებელ ფაქტორს, თუმცა მისი ეფექტი დამოკიდებულია რეალურ გამოცდილებაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია:

- ბრენდის პოზიციონირება ხარისხთან და პროფესიონალიზმთან კავშირში;
- ერთიანი და თანმიმდევრული კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება;
- პაციენტების დადებითი გამოცდილების ხაზგასმა მარკეტინგულ აქტივობებში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ციფრული კომუნიკაცია და ონლაინ რეპუტაციის მართვა. კვლევის მიხედვით, პაციენტები აქტიურად იყენებენ ონლაინ შეფასებებს გადაწყვეტილების მიღებისას, ამიტომ აუცილებელია:

- ონლაინ პლატფორმებზე აქტიური ყოფნა;
- პაციენტთა შეფასებების მონიტორინგი და უკუკავშირის მართვა;

• უარყოფით შეფასებებზე დროული და პროფესიული რეაგირება.

ასევე რეკომენდებულია სიტყვიერი რეკომენდაციების (word-of-mouth) სტიმულირება, რაც შესაძლებელია კმაყოფილი პაციენტების ჩართულობით. კლინიკებმა უნდა შექმნან ისეთი მომსახურების გამოცდილება, რომელიც პაციენტებს უბიძგებს დადებითი რეკომენდაციისკენ.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ექიმის ინდივიდუალური რეპუტაციის მართვაც, რადგან პაციენტები ხშირად არჩევანს კონკრეტულ სპეციალისტზე აკეთებენ. შესაბამისად საჭიროა:

• ექიმების პროფესიული იმიჯის გაძლიერება;

• მათი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის კომუნიკაცია;

• პაციენტებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

გარდა ამისა, რეკომენდებულია ფასისა და ხარისხის ბალანსის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ფასი არ არის მთავარი ფაქტორი, იგი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამიტომ კლინიკებმა უნდა უზრუნველყონ მომსახურების ღირებულების შესაბამისობა მის ხარისხთან.

საბოლოოდ, ჯანდაცვის დაწესებულებებმა უნდა გააცნობიერონ, რომ იმიჯი, ბრენდი და მომსახურების ხარისხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ეფექტური მართვა მოითხოვს ამ კომპონენტების ინტეგრირებულ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს როგორც პაციენტთა კმაყოფილების, ისე ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bryman, A., & Bell, E. (2015). *Business Research Methods* (4th ed.). Oxford University Press.
2. Berry, L. L., & Bendapudi, N. (2007). Health care: A fertile field for service research. *Journal of Service Research*, 10(2), 111–122.
3. Creswell, J. W. (2014). *Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches* (4th ed.). SAGE Publications.
4. Deloitte (2019). *Global Health Care Consumer Survey*.
5. Kotler, P., & Keller, K. L. (2016). *Marketing Management* (15th ed.). Pearson.
6. Keller, K. L. (2013). *Strategic Brand Management*. Pearson.
7. Zeithaml, V. A., Bitner, M. J., & Gremler, D. D. (2018). *Services Marketing: Integrating Customer Focus Across the Firm*. McGraw-Hill.

Ketevan Omanadze

The impact of healthcare institution image and brand on patient decision-making

Summary

This study aims to examine the impact of healthcare institution image and branding on patient decision-making. In the modern healthcare environment, patients are increasingly perceived as active consumers whose choices are influenced by a combination of rational, emotional, and psychological factors. In this context, organizational image plays a crucial role in shaping patients' perceptions, trust, and expectations toward medical services.

The research is grounded in the theoretical framework of consumer behavior and explores the key determinants influencing patient choice, including institutional reputation, visual identity, communication strategies, and online reviews. The study employs a quantitative research method, using a structured questionnaire to collect data, which allows for the assessment of the extent to which image and branding affect patient decisions.

The findings indicate that healthcare institutions with a strong brand and positive image enjoy higher levels of patient trust and are more likely to be chosen. These factors create a significant competitive advantage and influence the perceived quality of services. Therefore, the study highlights the importance of strategic management of image and branding in healthcare organizations.

The practical significance of the research lies in its applicability to improving marketing strategies and enhancing patient-centered care within healthcare institutions.

Keywords: *Healthcare marketing; Branding; Organizational image; Patient decision-making; Consumer behavior; Patient trust.*

რუსუდან პაპასკირი

გეოპოლიტიკური პროცესების გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე

ანოტაცია. *ნაშრომი იკვლევს, თუ რა გავლენას ახდენს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესები, გლობალური ბაზარი, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარება გეოპოლიტიკურ კონტექსტში. სტატიის მიზანია ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის,საერთაშორისო ვაჭრობის,აგრარული სექტორისა და გეოპოლიტიკური ფაქტორების ანალიზი.კვლევაში წარმოჩენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები,დარგში არსებული გამოწვევები,დაბალი პროდუქტიულობა,იმპორტზე დამოკიდებულება და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის პრობლემები.*

ნაშრომში აგრეთვე შემოთავაზებულია აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებები, რომელიც მოიცავს ადგილობრივი წარმოების გაძლიერებას, თანამედროვე ინოვაციების დანერგვას,საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციასა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სტატიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მნიშვნელობას, ასევე რეგიონული კონფლიქტებისა და საერთაშორისო სანქციების გავლენას საქართველოს აგრარულ ბაზარზე.

სტატია მკითხველს მისცემს შესაძლებლობას, რომ უკეთ გააანალიზოს საქართველოს აგრარული სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკაში,გაიაზროს მისი კავშირი გლობალურ ბაზართან და შეაფასოს თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების გავლენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს აგრარული სექტორი, სოფლის მეურნეობა, გოპოლიტიკა, საერთაშორისო ვაჭრობა,ექსპორტი, იმპორტი.*

შესავალი

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის, კულტურისა და იდენტობის უძველესი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენია. მრავალფეროვანი ნიადაგობრივი რესურსები, კლიმატური ზონები და მიწათმოქმედების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ქვეყანას უდიდეს პოტენციალს აძლევს, მოწინავე ნაბიჯები გადადგას აგრარულ სექტორში განვითარებისთვის. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს აგრარული ბაზარი ტრანსფორმაციის რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეტაპს გადის. კლიმატური ცვლილებების, გლობალიზაციის, რეგიონული და საერთაშორისო გეოპოლიტიკური მდგომარეობების ფონზე, ადგილობრივი აგრობიზნესის განვითარება

და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტად იქცა.


საქართველოს აგრარული ბაზარი სტრუქტურილი პარადოქსით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქვეყნის სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილია დასაქმებული, დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში(მშპ) შედარებით დაბალია. აღნიშნული დისბალანსი გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით. მათგან მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ნაკლებობა, მიწების მაღალი ფრაგმენტაცია, ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების (ISO, HACCP) ნელი ტემპით დანერგვა, ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის სისუსტე და სხვ.

მეორეს მხრივ, საქართველოს აგრარული ბაზრის განვითარებისთვის უნიკალურ შანსს ადლევს ევროკავშირთან შეთნხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA-Deep and Comprehensive Free Trade Area), რომელიც გაფორმდა 2014 წელს. ეს და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები ერთგვარი გასაღებია ქვეყნისთვის მოახდინოს საქესპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და თავი დააღწიოს არასტაბილურ ბაზრებზე დამოკიდებულებას. ქართული ღვინო, თხილი,ციტრუსი და კენკროვანი კულტურები თანდათან იმკვიდრებენ თავს მაღალმსყიდველობით გლობალურ ბაზრებზე,რაც ადგილობრივ მწარმოებლებს ადლვეს განვითარების ახალ სტიმულს.

საქართველოს აგრარული სექტორის როლი ეკონომიკაში

აგრარული სექტორი (იგივე სოფლის მეურნეობა) არის ეკონომიკის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგი,რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას საკვები პროდუქტებით და მრეწველობის სხვადასხვა დარგს - ნედლეულთ. ტრადიციულად, ეს სექტორი იყოფა ორ დიდ ნაწილად: მემცენარეობად და მეცხოველეობად. მოცემულ სექტორზეა დამოკიდებული თუ რა რაოდენობის, ხარისხის, რა ფასის საკვებ და სასმელ პროდუქტებს მიიღებს საბოლოო მომხმარებელი. საქართველო გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული,ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებთ. შესაბამისად, აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკაში.

რაც შეეხება სტატისტიკას, 2000-2003 წლებში, მიუხედავად არასტაბილური მაკროეკონომიკური პირობებისა, აგრარულ სექტორში შენარჩუნებული იყო სუსტი ზრდა. ეროვნულ ეკონომიკაში კი აგრარული სექტორის წილი 20%-ზე მეტი იყო. 2004-2012 წლებში აგრარული სექტორი რეალური მშპ-ის შედარებით მაღალი ზრდის ტემპის კვალობაზე (წლიური 6%) დაცემის ტენდენციით ხასაიდებოდა(დაახლოებით 2,8%). 2013 წლიდან მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა, მნიშვნე-ლოვნად გაზარდა მისი დაფინანსება და შეიმუშავა განვითარების სტრატეგია. მიუხედავად დიდი ფინანსური რესურსისა, მიღებული შედეგი არ აღმოჩნდა ადეკვატური. მთელი რიგი წარმოება ან ისევ მცირდებოდა, ან უმნიშვნელოდ იზრდებოდა.



წყარო 1: საქართველოს სტატისიკის ეროვნული სამსახური.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს საქართველოს აგრარული სექტორის ფარდობითი წონის დინამიკას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2010 წლიდან 2024 წლის ჩათვლით (იხ. წყარო 1). 2010-2012 წლებში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკის საერთო მოცულობაში ყველაზე მაღალი იყო და 10 %-11%-ის ფარგლებში მერყეობდა. თუმცა, მომდევნო წლებში ფიქსირდება დარგის წილის სტაბილური კლება, რამაც 2024 წლის წინასწარი მონაცემებით ისტორიულ მინიმუმს 5.8%-ს მიაღწია. კლარკ-ფიშერის მოდელის მიხედვით,ეს ტენდენცია მიანიშნებს ეკონომიკის მოდერნიზაციაზე, სადაც ეკონომიკური სექტორის ძირითადი წილი უკავია მომსახურებისა და ინდუსტრიულ სექტორებს. ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკის სხვა დარგები (ტურიზმი, მშენბლობა, საფინანსო სექტორი) ბევრად უფრ სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე სოფლის მეურნეობა.

გრაფიკზე კარგად ჩანს აგრეთვე 2020 წლის მონაცემები, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი მკვეთრად გაიზარდა და დაახლოებით 9% შეადგინა. ეს ზრდა აიხსნება COVID-19-ის პანდემიით გამოწვული კრიზისით: ტურიზმისა და მომსახურების სფერო საგრძნობლად შემცირდა.იქიდან გამომდინარე,რომ სურსათსა და მოხმარების პროდუქტებზე მოთხოვნა არაელასტიურია, აგრარულმა სექტორმა შეინარჩუნა სტაბილურობა.

2021 წლიდან,როდესაც უკვე მოიხსნა პანდემური შეზღუდვები, ტურიზმისა და მომსახურბის სფერო კვლავ დაუბრუნდა ძველებურ ტენდენციას და მისი წილი მშპ-ში გაიზარდა, რის ფონზეც სოფლის მეურნეობის წილმა ოთხ წელიწადში 9%-დან 5.8%-მდე იკლო.

მოცემული სტატისტიკური დიაგრამა გვიჩვენებს საქართველოს ეკონომიკის მკვეთრ სურათს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ქვეყნის მოსახელობის და სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწლია,მათ მიერ შექმნილი ეკონომიკური დოვლათის წილი ქვეყნის მასშტაბით მინიმალურია. ეს მიუთიტებს დარგში შრომის დაბალ ზღვრულ პროდუქტიულობაზე და იმაზე, რომ ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა სუფსიდირების პროგრამებმა ვერ უზრუნველყო სექტორის


ისეთი ტექნოლოგიური გარდატეხა, რომრლიც მას საერტო ეკონომიკური ზრდის ტემპთან დააახლოვებდა.

საქართველოს აგრარული სექტორი და გლობალური ბაზარი

საქართველოს მსგავსი მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ექსპორტ-იმპორტი. ვინაიდან შიდა ბაზარი პატარაა,ქვეყანა ვერ იქნება სრულად თვითკმარი და მთლიანად დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, ნებისმიერ ეკონომიკურ სექტორს სჭირდება გაფართოება, წარმოების მოცულობის გაზრდის და დანახარჯების შემცირებისთვის. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის საქონლის ან მომსახურების ექსპორტზე გატანა. მოდით გავაანალიზოთ საქართველოს დღევანდელი ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა (იხ. წყარო2).

2024 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა 16777.7 მლნ. აშშ დოლარი, რაც წინა წლის ამ პერიოდთან შედარებით 3.7%-ით მეტია.

სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის წილი შეადგენს 4786.7 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 4,1%-ით), ხოლო იმპორტის წილია 11991,0 მლნ. აშშ დოლარი (გაიზარდა 3,6%-ით). სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ნათლად ვხედავთ სავაჭრო დისბალანსს, რადგან საქართველოში იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 7204,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.




წყარო 2: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2024 წელს საქართველოდან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 107 ქვეყანაში განხორციელდა. 2024 წელს აგროსასურსათო პროდუქტებიდან ძირითადად ექსპორტირებულია: სპირტიანი სასმელები-მთლიანი ექსპორტის 17%. ღვინო-16%, მინერალური და მტკნარი წყლები-10%, კაკლოვანი ხილი-6% და სხვ. ყველაზე მეტი აგროპროდუქცია ძირითადად ექსპორტირდა რუსეთში,

ევროკავშირის ქვეყნებში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. რაც შეეხება იმპორტს, 2024 წელს 2196 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადად იმპორტირებული იყო სიგარეტი, შინაური ფრინველის ხორცი, შაქარი, საკვები დანამატი, სპირტიანი სასმელები, ღორის ხორცი და სხვ. იმპორტი ძირითადად განხორციელდა ევროკავშირის ქვეყნებიდან-28%, რუსეთი-22%, თურქეთი-13%, უკრაინა-6%, ბრაზილია-5% და სხვ.

ამ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ნათელია, რომ სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია ადგილობრივი წარმოების ზრდა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება. აგრარული სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და მნიშვნელოვნადაა დაკავშირბული გლობალურ ბაზართან.



წყარო 3: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს აგრარულ სექტორზე

საქართველო მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ სივრცეში. შესაბამისად, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აგრარული სექტორი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული გეოპოლიტიკურ გარემოზე. ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სავაჭრო პროცესებში. რეგიონული კონფლიქტები, საერთაშორისო სანქციები და სატრანზიტო დერეფნების ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის წარმოებაზე. მაგალითისთვის ავიღოთ რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც საქართველოს აგრარულ სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ომის პერიოდში გაიზარდა საწვავის, ხორბლის და სასუქის ფასები. ამ ყოველივემ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება გააძვირა. საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხორბლის იმპორტზე, განსაკუთრებით - რუსეთიდან, ამიტომ საერთაშორისო ბაზარზე შექმნილმა არასტაბილურობამ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

გავლენა იქონია საერთაშორისო სანქციებმაც. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა რეგიონში სავაჭრო მარშრუტების ცვლილება გამოიწვია. ამ პროცესში საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან გაიზარდა შუა დერეფნის დატვირთვა, რომელიც ჩინეთს, ცენტრალურ აზიას, კავკასიასა და

ევროპას აკავშირებს. აღნიშნულმა პროცესმა საქართველოს ეკონომიკური და ლოჯისტიკური მნიშვნელობა გაზარდა, თუმცა ამავე დროს ქვეყანას მეტი პასუხისმგებლობაც დააკისრა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სტაბილური სავაჭრო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოს მაგალთი გვიჩვენებს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნლოვანია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, აგრარული პოლიტიკის განვითარება და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია, რათა შემცირდეს დამოკიდებულება გარე ფაქტორებზე და გაიზარდოს სასურსათო უსაფრთხოება.

დასკვნა

საქართველოს აგრარული სექტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოპოლიტიკურ პროცესებთან და გლობალურ ბაზართან, რაც მის განვითარებას როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს უქმნის. რეგიონული კონფლიქტები, საერთაშორისო სანქციები და მსოფლიო ბაზარზე ფასების მერყეობა პირდაპირ აისახება ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე, განსაკუთრებით იმპორტდამოკიდებულ პროდუქტებზე, როგორიცაა ხორბალი და საწვავი.

ამავდროულად, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და სატრანზიტო პოტენციალი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობას ქმნის, განსაკუთრებით შუა დერეფნის განვითარების პირობებში. ეს ზრდის საქართველოს როლს საერთაშორისო ვაჭრობაში და აძლიერებს მის კავშირს გლობალურ ბაზართან.

ვფიქრობთ, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების აქტიური დანერგვა სოფლის მეურნეობაში. სახელმწიფომ მეტი ყურადრება უნდა დაუთმოს ფერმერების განათლებასა და გადამზადებას.მნიშვნელოვანია ადგილობრივი წამოების მხარდაჭერა, სარწყავი და აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენი აზრით აგრარული სექტორის განვითარებისთვის მეტი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს მასში, რათა გაიზარდოს კონკურენტუნარიანობა და წარმოების მოცულობა.

საბოლოოდ, საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება და ექსპორტის ბაზრების დივერსიფიკაცია. მხოლოდ ამ გზით შეძლებს ქვეყანა გეოპოლიტიკური რისკების ზემოქმედების შემცირებას და გლობალურ ეკონომიკაში უფრო სტაბილური პოზიციის დაკავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე.ი — აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში, ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“.

2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, 2023 (mepa.gov.ge).

3. გნომონ ვაიზი (Gnomon Wise) — საქართველოს აგრარული სექტორის მაჩვენებლებისა და გამოწვევების ანალიზი, 2023 (gnomonwise.org).

4. საქსტატი — საქართველოს საგარეო ვაჭრობა: 2024 წლის იანვარი-სექტემბერი (geostat.ge).

5. ფაქტ -მეტრი (FactCheck.ge) — აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, 2025 (factcheck.ge).

6. Hooleconomics — საქართველოს ექსპორტის და იმპორტის სტატისტიკა (hooleconomics.org).

Rusudan Papaskiri

The Impact of Geopolitical Processes on the Development of Agriculture in Georgia

Summary

The paper examines the development of Georgia's agricultural sector in the context of globalization and geopolitical processes. The aim of the article is to analyze the economic importance of the agricultural sector, the structure of export and import, international trade relations, and the impact of geopolitical factors on the country's agrarian market. The study presents the main trends in the development of Georgian agriculture, including existing challenges such as technological backwardness, low productivity, dependence on imports, and limited competitiveness in international markets.

The paper proposes several directions for the development of the agricultural sector, including strengthening local production, implementing modern standards and innovations, diversifying export markets, and ensuring food security. Particular attention is paid to the significance of the Deep and Comprehensive Free Trade Area agreement (DCFTA) with the European Union, as well as the influence of regional conflicts and international sanctions on Georgia's agricultural market.

The article will help readers better understand the role of the agricultural sector in Georgia's economy, its connection with the global market, and the influence of modern geopolitical processes on the development of agriculture.

Keywords: *Georgian Agricultural Sector, Agriculture, Geopolitics, International Trade, Export, Import.*

ნინო ჟორჟიკაშვილი

ჯანდაცვის სისტემის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

ანოტაცია. *ჯანმრთელობა ადამიანის ფუნდამენტური უფლება და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვის საკითხები სულ უფრო მეტად უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს. სახელმწიფოს უსაფრთხოება მხოლოდ სამხედრო თავდაცვისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას აღარ გულისხმობს. ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გაგება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, კიბერუსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებებსაც. ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე სახელმწიფოს მდგრადობისა და ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე, შრომითი რესურსების ხარისხზე, სოციალურ სტაბილურობასა და სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, ეფექტიანად გაუმკლავდეს კრიზისებსა და საგანგებო სიტუაციებს. შესაბამისად, ჯანდაცვის პოლიტიკის განხილვა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის ჩრილში აღარ არის საკმარისი და იგი ეროვნული უსაფრთხოების ფართო კონცეფციის ნაწილად უნდა განიხილებოდეს. საქართველოს შემთხვევაში ჯანდაცვის სისტემის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც დემოგრაფიული ცვლილებების, ისე ინფექციური დაავადებების, ქრონიკული დაავადებების, სოციალური უთანასწორობისა და შესაძლო საგანგებო სიტუაციების ფონზე. ბოლო წლებში საქართველოში უნივერსალური ჯანდაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, თუმცა კვლავ არსებობს ფინანსური*

ხელმისაწვდომობის, რეგიონული უთანაბრობის, სამედიცინო პერსონალის განაწილებისა და ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სოციალური უსაფრთხოება, ჯანდაცვის სისტემის მდგრადობა.*

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა და ეროვნული უსაფრთხოება ეკონომიკური და სოციალური უსაფრთოების თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში

ეროვნული უსაფრთხოება თანამედროვე სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია და იგი მხოლოდ სამხედრო ან პოლიტიკური საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვას არ გულისხმობს. ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფცია მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, ენერგეტიკულ, კიბერ და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასაც. ამ თვალსაზრისით, ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ვინაიდან მოსახლეობის ჯანმრთელობა ქვეყნის ადამიანური კაპიტალის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური სტაბილურობისა და კრიზისებისადმი მედეგობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეროვნული უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესების დაცვას, მდგრადი სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროცესების მიმდინარეობას დროული იდენტიფიკაცია [ომანაძე ქ., 2023:181].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მიხედვით, პანდემიები, ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციები და სუსტი ჯანდაცვის სისტემები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეს, არამედ გლობალურ ეკონომიკასა და უსაფრთხოებასაც. ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიზანია სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა საფრთხისა და რისკისგან. ამ კონტექსტში ჯანდაცვა ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებამ შესაძლოა გამოიწვიოს შრომისუნარიანობის შემცირება, ეკონომიკური ზარალი, სოციალური დაძაბულობა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე გაზრდილი დატვირთვა. ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაავადებების პრევენცია, არამედ ისეთი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, რომელსაც კრიზისის დროს მუშაობის გაგრძელება შეუძლია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ჯანდაცვის სისტემის მდგრადობას განსაზღვრავს როგორც უნარს, წინასწარ განჭვრიტოს, გაუმკლავდეს, აღდგეს და მოერგოს ისეთ შოკებს, როგორიცაა პანდემიები, კლიმატის ცვლილება, გეოპოლიტიკური კონფლიქტები და კიბერსაფრთხეები [Zimmermann J., McKee Ch., Karanikolos M., Cylus J., 2024:2].

საქართველოში ჯანდაცვის მომსახურებაზე მოთხოვნა ამჟამად ძირითადად განპირობებულია ასაკთან დაკავშირებული დაავადებების მზარდი პრევალენტობით და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, რასაც მხარს უჭერს სახელმწიფო ხარჯების ზრდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები თითქმის სამჯერ გაიზარდა 2014–2022 წლებში ორ მილიარდ ლარამდე, რამაც შეამცირა ჯიბიდან გადახდების წილი ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 66%-დან 51%-მდე. 2024 წელს, ჯანდაცვის სამინისტროსთვის ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სისტემის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სისტემის აქტივობებთან დაკავშირებული აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხა 119.2 მილიონ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მთლიანი ბიუჯეტის 7%-ს

შეადგენს. 2024 წელს ჯანმრთელობის საერთაშორისო ჯანდაცვასთან პირდაპირ დაკავშირებული საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება შემდეგი სახელმწიფო პროგრამები: ეპიდემიური ზედამხედველობა (2.7 მილიონი ლარი), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (14.1 მილიონი ლარი), საზოგადოებრივი ჯანდაცვა, გარემო და შრომის ჯანმრთელობა (0.3 მილიონი ლარი), ჯანმრთელობის ხელშეწყობა (2 მილიონი ლარი), იმუნიზაცია (30 მილიონი ლარი) და რეფერალური მომსახურება (70 მილიონი ლარი) [WHO, 2024:12].

საქართველოში ჯანდაცვის სისტემა შემდეგი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დგას:

ჯანდაცვის დაფინანსება - ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური გამოწვევა საკმარისი და მდგრადი დაფინანსებაა. ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება მოითხოვს ფინანსურ რესურსებს. საჭიროა ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება, საავადმყოფოების ინფრასტრუქტურის განვითარება, თანამედროვე აპარატურის შეძენა, მედიკამენტების დაფინანსება, ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესება და პრევენციული პროგრამების განხორციელება. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო და კერძო დაფინანსების არსებული თანაფარდობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის პროგრამებზე გამოყოფილი თანხები გაიზარდა, მოსახლეობის პირდაპირი გადახდების წილი კვლავ ძალიან მაღალია. WHO-ს 2024 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯები 2022 წელს მშპ-ის 3.1%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდებთან შედარებით დაფინანსება გაიზარდა, ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით დაბალია [WHO, 2024:7]. დაფინანსების არასაკმარისი დონე შეიძლება აისახოს მომსახურების ხარისხზე, რეგიონულ ხელმისაწვდომობაზე და სამედიცინო პერსონალის სამუშაო პირობებზე. სახელმწიფო ჯანდაცვის დაფინანსების ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია ბოლო წლებში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2025 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის დაახლოებით 1.9 მილიარდი ლარი იყო გათვალისწინებული, მათ შორის 1.2 მილიარდი ლარი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დასაფინანსებლად. უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება 2024 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით დაახლოებით 185 მილიონი ლარით გაიზარდა. კიდევ უფრო გაიზარდა ჯანდაცვის მიმართულების დაფინანსება 2026 წლის ბიუჯეტში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2026 წელს ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად 2.1 მილიარდ ლარზე მეტი გამოიყო. ამ თანხაში გათვალისწინებულია, მათ შორის, პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდაც [საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2024:41].

მოსახლეობის პირდაპირი ხარჯები - საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მოსახლეობის მიერ სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებაში საკუთარი სახსრების გამოყენებაა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებისა და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის გაფართოებამ მოსახლეობის ფინანსური დაცვის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი, ჯანდაცვაზე პირდაპირი დანახარჯები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში არიან დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ხანდაზმულები და ის ოჯახები, რომელთა წევრებსაც რეგულარულად ესაჭიროებათ მედიკამენტები ან ხანგრძლივი მკურნალობა. WHO-ის შეფასებებით, საქართველოში ჯანდაცვის ფინანსური ტვირთი არათანაბრად ნაწილდება და ყველაზე მეტად დაბალშემოსავლიან ოჯახებს აწვება. კატასტროფული ჯანდაცვის ხარჯების ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად ამბულატორიული მედიკამენტების შეძენა მიიჩნევა. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, როდესაც პაციენტს მედიკამენტის მიღება ერთჯერადად კი არა, ყოველდღიურად და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უწევს. მედიკამენტების მაღალი ხარჯების პრობლემა რამდენიმე მიმართულებით აისახება. პირველ რიგში, ოჯახებს უწევთ ყოველდღიური მოხმარების სხვა ხარჯების შემცირება იმისთვის, რომ აუცილებელი მკურნალობა დააფინანსონ. მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტები მედიკამენტების შეძენაზე უარს ამბობენ ან ამცირებენ მათი მიღების სიხშირეს. ასეთმა ქცევამ შეიძლება დაავადების კონტროლის გაუარესება და მომავალში უფრო ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების საჭიროება გამოიწვიოს. შესაბამისად, მედიკამენტებზე მაღალი პირდაპირი ხარჯები მხოლოდ მიმდინარე ფინანსურ პრობლემას კი არ ქმნის, არამედ ჯანმრთელობის გრძელვადიან შედეგებზეც მოქმედებს.

მედიკამენტების ხელმისაწვდომობა - 2025 წლის ბოლოს OECD-სთვის საქართველოს მიერ წარდგენილი ანგარიში აღნიშნავს, რომ ფარმაცევტული ბაზრის რეფორმების მათ შორის რეფერენტული ფასების სისტემისა და გენერიკული მედიკამენტების წახალისების შედეგად საქართველოში მედიკამენტების ფასები დაახლოებით 45–70%-ით შემცირდა. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მომხმარებლების წლიური დანაზოგი მედიკამენტებზე შეფასებულია დაახლოებით 70–75 მილიონ აშშ დოლარად. რეფერენტული ფასების სისტემა ვრცელდება 7 000-ზე მეტ მედიკამენტზე [OECD, Capobianco A., 2025:5-6].

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში რამდენიმე პოლიტიკურმა ღონისძიებამ მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა გააუმჯობესა:

- 2022 წელს პარალელური იმპორტის მექანიზმის გამარტივება;
- 2023 წელს გარე რეფერენტული ფასების სისტემის ამოქმედება;
- 2024 წლისთვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამაში თანაგადახდის გაუქმება გარკვეული მედიკამენტების პაკეტზე;
- რეფერენტული ფასების მოქმედების არეალის გაფართოება დაახლოებით 7 100 მედიკამენტამდე;
- ონკოლოგიური მედიკამენტების დაფინანსების გაფართოება.

ფასების შემცირების მიუხედავად, საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის სტრუქტურა კვლავ პრობლემურია. 2025 წლის OECD-ისთვის მომზადებულ საქართველოს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჯანდაცვისა და ფარმაცევტულ სექტორში მსხვილი ჰოლდინგური ჯგუფები მოქმედებენ წარმოების/იმპორტის,

დისტრიბუციის, საცალო აფთიაქების, საავადმყოფოების, დაზღვევისა და სხვა მიმართულებების მასშტაბით და მათი ერთობლივი კონტროლი ბაზრის 80%-ზე მეტს აღწევს. ასეთი ვერტიკალურად ინტეგრირებული და კონცენტრირებული ბაზარი, OECD-ის დოკუმენტის მიხედვით, ქმნის ფასების ზრდისა და მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვის რისკებს [OECD, Capobianco A., 2025:5-6]. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალური, არამედ ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს აუცილებელი მედიკამენტების შეძენას, იზრდება დაავადებების გართულებისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის

კიბერუსაფრთხოება ჯანდაცვის სფეროში - თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა სულ უფრო მეტად ეყრდნობა ციფრულ ტექნოლოგიებს. ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები, ტელემედიცინა, ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემები, სამედიცინო მოწყობილობები და ონლაინ სერვისები პაციენტებისთვის მომსახურების მიღებას ამარტივებს და სამედიცინო დაწესებულებების მუშაობას უფრო ეფექტიანს ხდის. თუმცა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება კიბერუსაფრთხოების რისკებიც. ჯანდაცვის სფერო კიბერშეტევებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი სამიზნეა, რადგან სამედიცინო დაწესებულებები ამუშავებენ დიდი რაოდენობით პერსონალურ და ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს. ამასთან, კიბერშეტევამ შეიძლება მხოლოდ მონაცემების გაჟონვა კი არ გამოიწვიოს, არამედ შეაფერხოს სამედიცინო მომსახურება და საფრთხე შეუქმნას პაციენტების უსაფრთხოებას. ამიტომ ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული კიბერუსაფრთხოების ნაწილი. ჯანდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოების დარღვევა განსაკუთრებით სერიოზულია, რადგან მისი შედეგები შეიძლება პირდაპირ აისახოს ადამიანების ჯანმრთელობაზე. თუ საავადმყოფოს ელექტრონული სისტემა ransomware-ის (სისტემების დაბლოკვა და მონაცემების დაშიფვრა გამოსასყიდის მოთხოვნით) გამო გაითიშა, ექიმებმა შესაძლოა ვერ შეძლონ პაციენტის სამედიცინო ისტორიის, ანალიზების ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულად მიღება. შედეგად შეიძლება შეფერხდეს დიაგნოსტიკა, მკურნალობა ან გადაუდებელი დახმარების გაწევა. კიბერშეტევებმა შეიძლება დააზიანოს პაციენტების კონფიდენციალურობა, შეაფერხოს ჯანდაცვის სერვისები, დააყოვნოს მკურნალობა და უკიდურეს შემთხვევაში პაციენტის სიცოცხლესაც შეუქმნას საფრთხე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2026 წლის 2 მარტიდან ამოქმედდა კანონში გათვალისწინებული ახალი მოთხოვნები, მათ შორის გარკვეულ შემთხვევებში მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასებასთან (DPIA) და ინციდენტების შესახებ ინფორმირებასთან დაკავშირებული დებულებები.

დასკვნა

ჯანდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია. თანამედროვე სახელმწიფოს უსაფრთხოება შეუძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მდგრადი ჯანდაცვის სისტემის გარეშე. საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის განვითარებამ გაზარდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, ხოლო პირდაპირი გადახდების წილი წინა პერიოდებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები. მათ შორისაა ჯანდაცვის დაფინანსების შეზღუდული დონე, მედიკამენტების ღირებულება, მოსახლეობის კატასტროფული

ჯანდაცვის ხარჯები, რეგიონული უთანასწორობა, სამედიცინო პერსონალის საკითხები, მოსახლეობის დაბერება და არაგადამდები დაავადებების მაღალი ტვირთი. ჯანდაცვის პრობლემები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც. ძლიერი ჯანდაცვის სისტემა ნიშნავს არა მხოლოდ ჯანმრთელ მოსახლეობას, არამედ უფრო მდგრად ეკონომიკას, უფრო დაცულ საზოგადოებას და კრიზისების მიმართ უფრო მომზადებულ სახელმწიფოს. საქართველოსთვის აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის კრიზისებისადმი მდგრადობის გაძლიერება. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკმარისი სამედიცინო მარაგები, ძლიერი ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემა, თანამედროვე ლაბორატორიული შესაძლებლობები, მომზადებული სამედიცინო პერსონალი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მკაფიო მექანიზმები. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის აუცილებელია ისეთი ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ერთდროულად იქნება სოციალურად სამართლიანი, ეკონომიკურად მდგრადი და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული. სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს არა მხოლოდ დაავადების მკურნალობა, არამედ დაავადების პრევენცია, ადრეული გამოვლენა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ომანაძე ქ., ჯანდაცვის სისტემის სოციალურ - ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ანტიკრიზისული მენეჯმენტის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები, 2023, ჟურნალი „ეკონომისტი“ N 1, გვ. 181

2.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026

3.საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, Georgia – Economic Reform Programme 2025-2027, January 2025, pp.41

4.OECD, Capobianco A., Competition in the Healthcare Sector – Contribution from Georgia, December 2025, pp. 5-6

5.WHO, Joint external evaluation of the International Health Regulations (2005) core capacities of Georgia, 2024, pp.12

6.WHO, Prevention and control of noncommunicable diseases in Georgia, 2026, pp.1,3

7.Zimmermann J., McKee Ch., Karanikolos M., Cylus J., and members of the OECD Health Division, Strengthening Health Systems, 2024, A PRACTICAL HANDBOOK FOR RESILIENCE TESTING, pp. 2

Nino Zhorzhikashvili

Economic and Social Challenges of the Healthcare System in Georgia at the Present Stage

Summary

Health is a fundamental human right and one of the most important foundations for the development of society. In the modern world, health issues are increasingly linked to national security issues. State security no longer refers only to military defense and the protection of territorial integrity. The modern understanding of national security also includes economic, social, demographic, cybersecurity, and public health.The healthcare system is one of the important foundations of the sustainability of a modern state and national security. The health status of the population affects the country's economic productivity, the quality of labor resources, social stability, and the state's ability to effectively cope with crises and emergencies. Accordingly, discussing healthcare policy only in the context of social policy is no longer sufficient and it should be considered as part of a broader concept of national security. In the case of Georgia, the development of the healthcare system is particularly important against the backdrop of demographic changes, infectious diseases, chronic diseases, social inequality, and possible emergencies. In recent years, significant progress has been

made in Georgia towards universal healthcare, although problems of financial accessibility, regional inequality, distribution of medical personnel, and sustainability of the healthcare system still exist.

***Keywords**: healthcare, national security, economic security, social security, sustainability of the healthcare system.*

ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური

ეკოლოგიური ნარჩენები, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია ერთერთი მეტად აქტუალური მნიშვნელობის საკითხი, როგორიცაა ეკოლოგიური ნარჩენების ზრდისა და მათი მართვის თანამედროვე პრობლემების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე გლობალურ და საქართველოს დონეზე. კვლევა ყურადღებას ამახვილებს ტურიზმის ინდუსტრიის მიერ წარმოქმნილ ძირითად ეკონარჩენებზე (პლასტმასი, საკვები, ჩამდინარე და მუნიციპალურ ნარჩენები და სხვ.) და მათგან გამომდინარე, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ შედეგებზე. ნაშრომში გაანალიზებულია ეკოლოგიური ნარჩენების ზრდის ძირითადი მიზეზები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურისტულ რეგიონებში ნარჩენების მართვის სისტემებზე გაზრდილ დატვირთვას და იმ ეკონომიკურ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან.*

კვლევაში წარმოდგენილია გლობალური და საქართველოს სტატისტიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი, განხილულია ნარჩენების მართვის სფეროში არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების ძირითადი გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმის სექტორი, ეკოლოგიური ნარჩენები, ეკონომიკური ხარჯები, ზარალი, ნარჩენების მართვა.*

* * *

დღეს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმი, რომელიც ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სფეროდ ჩამოყალიბდა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC-World Travel & Tourism Council) 2025 წლის მონაცემებით, ტურიზმის სექტორის საერთო წვლილმა მსოფლიო ეკონომიკაში რეკორდულ 11.6–11.7 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) დაახლოებით 9.8–10.3%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ყოველი 10 დოლარიდან დაახლოებით 1 დოლარი ტურიზმის სექტორთან არის დაკავშირებული. WTTC-ს შეფასებით ამ პერიოდში, სექტორის ზრდამ (4.1%) მსოფლიო ეკონომიკის საერთო ზრდას თითქმის 50%-ით გადააჭარბა, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა კი 1.5 მლრდ ადამიანით გაიზარდა. დასაქმების მიმართულებით ტურიზმის სექტორმა 2025 წელს უზრუნველყო დაახლოებით 366–371 მლნ სამუშაო ადგილი, რაც მსოფლიო დასაქმების დაახლოებით 10%-ს შეადგენს, ანუ მსოფლიოში ყოველი სამი ახალი სამუშაო ადგილიდან ერთი სწორედ ტურიზმის სექტორზე მოდიოდა.

ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოური ვალუტის შემოდინების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მხრივ. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციები ხაზს უსვამენ, რომ ტურიზმის ზრდასთან ერთად იზრდება სასურსათო უსაფრთხოების, ეკოლოგიური მდგრადობისა და მისი ხარისხის შემცირების რისკი, ამიტომ განსაკუთრებულად იზრდება ამ მაჩვენებლების კონტროლის მნიშვნელობაც, რაც თანამედროვე ტურისტული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა.

ტურიზმის სექტორის და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის სწრაფ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება მისი გავლენა გარემოზე, რაც უმეტესწილად უარყოფითად შეიძლება შევაფასოთ. ტურისტული ნაკადების მატება ზრდის რესურსების მოხმარებას, ენერგიის გამოყენებასა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნას, განსაკუთრებით ტურისტულ და საკურორტო ზონებში. სასტუმროები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები და გასტრონომიული ტურიზმის სხვა მიმართულებები ყოველდღიურად წარმოქმნიან დიდი რაოდენობით პლასტმასის, საკვების და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, რაც განსაკუთრებით ბოლო წლებში მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემად იქცა. სწორედ ამიტომ თანამედროვე ტურიზმის განვითარებაში სულ უფრო მეტად აქტუალურ ხასიათს იძენს ეკოლოგიური ნარჩენების მართვის პრობლემები.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა **UNEP-ის (**United Nations Environment Programme**)** და მსოფლიო ბანკის განმარტებით: **ეკოლოგიური ნარჩენი** არის ნებისმიერი მყარი, თხევადი ან აირადი მასალა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ეკონომიკური ან სოციალური საქმიანობის შედეგად და რომლის არასწორი მართვა იწვევს გარემოს ხარისხის გაუარესებას. იგი არ არის უბრალოდ „ნაგავი“ - ეს არის რესურსი, რომელიც არასწორად დამუშავების შემთხვევაში ხდება გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორი, იწვევს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას, ეკოსისტემების დაზიანებასა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის დამატებითი რისკების წარმოქმნას.

ჩვენ გვაინტერესებს ტურიზმთან დაკავშირებულ ნარჩენები (როგორც ჩვეულებრივი მუნიციპალური, ისე ეკოლოგიურად საშიში ნარჩენები), რომელიც შეიძლება იყოს:

- საყოფაცხოვრებო (მუნიციპალური) ნარჩენები - პლასტმასი, ქაღალდი, მინა, ალუმინი, შესაფუთი მასალები, ერთჯერადი მოხმარების ნივთები;

- საკვების ნარჩენები - სასტუმროებში, რესტორნებში, სწრაფი კვების ობიექტებსა და გასტრონომიულ ტურიზმში წარმოქმნილი ორგანული ნარჩენები;

- სახიფათო ნარჩენები - ანუ ქიმიური, ტოქსიკური და ინფექციური თვისებების მქონე ნარჩენები, როგორიცაა ბატარეები, ქიმიური საწმენდი საშუალებები, საღებავები, ზეთები, სამედიცინო და ჰიგიენური ნარჩენები;

- სამშენებლო და სარემონტო ნარჩენები - სასტუმროების, კურორტებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განახლების შედეგად მიღებული ნარჩენები;

- ჩამდინარე წყლები და თხევადი ნარჩენები - სასტუმროებიდან, სპა-ცენტრებიდან, აუზებიდან და კვების ობიექტებიდან მიღებული თხევადი ნარჩენები;

- ელექტრონული ნარჩენები — ტურისტულ ობიექტებში გამოყენებული ტექნიკისა და ელექტრონული მოწყობილობების მოძველებული ან დაზიანებული ნაწილები.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ტურისტები ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ორჯერ მეტ ნარჩენს წარმოქმნიან, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დატვირთვას მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასა და

ნარჩენების მართვის სისტემებზე, ეს საკმაოდ მძიმედ ზემოქმედებს გარემოზე და დამატებით გამოწვევებს ქმნის.

რა თქმა უნდა გარემოზე ზემოქმედების ფორმები მრავალმხრივია, მაგრამ უმეტესობა მათგანი უარყოფითია: ტრანსპორტის, გათბობისა და გაგრილების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების შედეგად იზრდება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების რისკი; ბუნებრივ ეკოსისტემებზე გადაჭარბებული ტურისტული დატვირთვა იწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებასა და ეკოლოგიური სისტემების დეგრადაციას; ტურისტული ტერიტორიების დაბინძურება ნარჩენებით უარყოფითად აისახება კლიმატზე და აგრეთვე ლანდშაფტის ესთეტიკურ მდგომარეობაზე, რაც ამცირებს ტურისტული გარემოს მიმზიდველობას. არასათანადოდ მართვადი ნარჩენები ასევე ქმნის ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ტურიზმის განვითარების აუცილებლობას.

უარყოფითი გავლენა, პირველ რიგში, ვლინდება ეკოლოგიური ნარჩენების რაოდენობის ზრდაში, რომელიც ყოველწლიურად კატასტროფულად იმატებს და ერთ-ერთ სერიოზულ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოწვევად რჩება. მსოფლიო ბანკის ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 2.24 მლრდ ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, აქედან 35 მლნ ტონამდე მყარ ნარჩენს შეადგენს. UNEP-ის შეფასებით, 2050 წლისთვის ტურიზმის სექტორში მათი მოცულობა დაახლოებით ორნახევარი პროცენტით გაიზრდება. ხოლო პროგნოზების მიხედვით, 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი 3.4 მლრდ ტონას მიაღწევს. აღნიშნული ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის მატებასთან, ურბანიზაციასთან, ტექსტილის წარმოების და მოხმარების ზრდასა და ტურიზმის ინდუსტრიის გაფართოებასთან, ტურისტების ყოველდღიურ მოხმარებასთან და სხვ. ძალიან ბევრ რეგიონში ტურიზმი სეზონურ ხასიათს ატარებს. სწორედ სეზონური ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იზრდება სეზონური ნარჩენების მოცულობაც, რაც განპირობებულია სასტუმროების, რესტორნების, სწრაფი კვების ობიექტების, ავიაკომპანიების, გასტრონომიული ტურიზმის, საკურორტო ზონების და გასართობი ინფრასტრუქტურის მიერ ყოველდღიურად წარმოქმნილი დიდი რაოდენობით ნარჩენებით. განსაკუთრებით გამწვავებულია პლასტმასისა და ერთჯერადი პლასტმასის გამოყენება ტურისტულ მომსახურებაში — წყლის ბოთლები, საკვების შეფუთვები, პლასტმასის ჭურჭელი და ჰიგიენური პროდუქტები, რომელიც გამოუსწორებელ ეკოლოგიურ დატვირთვას ახდენს გარემოზე. პლასტმასის ნარჩენები გარემოში ერთ-ერთ ყველაზე მდგრად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგან მათი დაშლის პერიოდი რამდენიმე ათწლეულიდან რამდენიმე ასეულ წლამდე მერყეობს. მაგალითად, პლასტმასის ბოთლის სრულ დაშლას საშუალოდ 450 წელი სჭირდება, ხოლო ზოგიერთი სახეობის პლასტმასი გარემოში 500 წელზე მეტხანსაც ნარჩუნდება. დაშლის პროცესში პლასტმასი გარდაიქმნება მიკროპლასტმასად, რაც ნიადაგის, წყლისა და ეკოსისტემების დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. 2025 წლის კვლევების მიხედვით, პლასტმასის წარმოება ნარჩენების მართვის შესაძლებლობებზე ბევრად სწრაფად იზრდება, ამასთან მიუხედავად არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა, ბევრი მასალა ტექნიკურად ან ეკონომიკურად რთულად გადასამუშავებელია და გადამუშავება ხშირად ფინანსურად წამგებიანია. პლასტმასის ნარჩენების არაეფექტიანი მართვა ყოველწლიურად დაახლოებით 80 –120 მლრდ აშშ დოლარის ეკონომიკურ დანაკარგს ქმნის. პროგნოზით, 2040 წლისთვის პლასტმასით დაბინძურება თითქმის გაორმაგდება. ეკოლოგიური

ნარჩენები პირდაპირ ზრდის ეკონომიკურ ხარჯებს, როგორიცაა; მუნიციპალური დასუფთავების ხარჯების ზრდა; ინფრასტრუქტურის დამატებითი დატვირთვა (ნაგავსაყრელები, ტრანსპორტი); ტურისტული შემოსავლების შემცირება დაბინძურების გამო; ბიზნესის დანახარჯების ზრდა (სასტუმროები, რესტორნები) და ამცირებს ტურიზმის ეფექტიანობას: დაბინძურებულ სანაპიროზე ტურისტი ნაკლებ დროს ატარებს და ნაკლებს ხარჯავს, რაც პირდაპირ ამცირებს ადგილობრივ ეკონომიკურ სარგებელს.

საყურადღებოა ისიც, რომ ტურიზმი მხოლოდ ნარჩენების მოცულობას არ ზრდის - ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატურ ცვლილებებზეც. 2024 წლის საერთაშორისო კვლევებით დადგინდა, რომ ტურიზმის სექტორი მსოფლიო სათბური აირების ემისიების დაახლოებით 8.8–9%-ს წარმოქმნის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკოლოგიური ნარჩენები პირდაპირ აზიანებს ბუნებრივ სისტემებს: ნიადაგის და წყლის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების შემცირება, პლასტმასის დაგროვება ეკოსისტემებში; ჰაერის ხარისხის გაუარესება (განსაკუთრებით ურბანულ ზონებში). ტურიზმის ზონებში ეს განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება, რადგან ბუნებრივი რესურსი არის ტურიზმის მთავარი მამოძრავებელი „პროდუქტი“.

ამიტომ ნარჩენების მზარდ მოცულობასთან ერთად და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების ფონზე, სულ უფრო მწვავდება და აქტიური ხდება ნარჩენების გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების სისტემების განვითარება. გლობალურად მათი მხოლოდ დაახლოებით 19% გადამუშავდება. დანარჩენი ნარჩენებიდან დაახლოებით 37% თავსდება ნაგავსაყრელებსა და პოლიგონებზე, ხოლო დაახლოებით 33% ღიად იწვება ან არაკონტროლირებად გარემოში ინახება, რაც ნიშნავს, რომ ნარჩენების დიდი ნაწილი ეკონომიკურ რესურსად არ გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ მათი გადამუშავება და ხელახალი გამოყენება შესაძლებელია. ეს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობასა და შესაბამისად ეკონომიკურ სტაბილურობას.

ნარჩენების არაეფექტიან მართვას უკავშირდება საკმაოდ დიდი ეკონომიკური დანაკარგები. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად დაახლოებით 300–400 მლრდ აშშ დოლარს კარგავს, რადგან წარმოქმნილი ნარჩენების დიდი ნაწილი არ გადამუშავდება და არ ბრუნდება ეკონომიკურ ციკლში. „წრიული ეკონომიკის“ კონცეფციის თანახმად, ნარჩენები შეიძლება იქცეს მეორად რესურსად. 2025 წლის „ცირკულარულობის ანგარიშის“ **(**Circularity Gap Report) მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ დაახლოებით 6.9% ითვლება რეალურად ცირკულარულად, სწორედ ამიტომ თანამედროვე ტურიზმის განვითარებაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მწვანე ტურიზმის“ და „წრიული“ ეკონომიკის პრინციპების დანერგვას, რაც გულისხმობს ნარჩენების შემცირებას, რესურსების ხელახალ გამოყენებასა და ეკოლოგიურად მდგრადი ტურისტული პრაქტიკის განვითარებას.

რაც შეეხება ადგილებზე ნარჩენების მართვას, იგი მუნიციპალური ხარჯების სახით წარმოდგება და მოიცავს: ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, პოლიგონების მართვასა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დაფინანსებას ეკოლოგიური ზიანის შემცირების მიზნით. გარემოსდაცვითი და მუნიციპალური დანახარჯების ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტურისტულ და ურბანულ რეგიონებში, სადაც მოსახლეობისა და ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად იზრდება ნარჩენების მართვის, სანიტარული მომსახურებისა და ეკოლოგიური

დაცვის ხარჯებიც. მსოფლიო ბანკის 2025 წლის მონაცემებით მუნიციპალური ნარჩენების მართვის გლობალური ხარჯები ყოველწლიურად უკვე - 250 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს, ხოლო პროგნოზით 2050 წლისთვის იგი დაახლოებით 426 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს ტურისტულ რეგიონში. ჩვენთან მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 7–8%-ის ფარგლებში მერყეობს (პირდაპირი წვლილი), ხოლო ირიბი ეფექტის გათვალისწინებით უფრო მაღალია. ამასთან ერთად ჩვენთან ტურიზმის განვითარების ინტენსიური ზრდის ტენდენციას აქვს ადგილი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საერთაშორისო ვიზიტორები და ტურისტული შემოსავლები საქართველოში

წელი	საერთაშორისო ვიზიტორები (მლნ კაცი)	ტურისტული ვიზიტები (მლნ ვიზიტი)	შემოსავალი ტურიზმიდან (მლნ აშშ)	ზრდა წინა წელთან (%) შედარებით
2023	5.2	4.9	1 350	+5%
2024	5.4	5.1	1 420	+5.2%
2025	5.8	5.5	1 530	+7-8%

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოში ტურიზმის ზრდამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა ეკოლოგიური ნარჩენების მოცულობა, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც საქართველოა გამონაკლისი. მსოფლიოს წამყვან ტურისტულ ქვეყნებთან მიმართებაში, ეს მაჩვენებელი ჩვენთან გაცილებით მცირეა, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური მასშტაბიდან გამომდინარე, პრობლემამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და მუნიციპალური მონაცემების (2022-2024) მიხედვით, ქვეყანაში ყოველწლიურად წარმოიქმნება დაახლოებით 900 ათ. – 1.2 მლნ ტონა მუნიციპალური მყარი ნარჩენი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 270–280 კგ-ია წელიწადში. ტურისტული სეზონის პერიოდში ეს მაჩვენებელი ტურისტულად პოპულარულ რეგიონებში, თბილისში, მთიან რეგიონებში (მაგ. რაჭა, ყაზბეგი, სვანეთი) საგრძნობლად იზრდება. პიკური სეზონის თვეებში, განსაკუთრებით ზღვის კურორტებზე (მაგ. ბათუმი, ქობულეთი, ურეკი), ნარჩენების მოცულობა 30–40%-ით იზრდება. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, მარტო პლასტმასის ნარჩენებზე ქვეყანაში მთლიანი ნარჩენების დაახლოებით 15–16% მოდის, რაც პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის აქტიურობას და დამატებით დატვირთვას ქმნის მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე. საქართველოში ერთჯერადი პლასტმასის მოხმარების შემცირება უკვე სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად განიხილება, რადგან ტურისტულ ქალაქებში - განსაკუთრებით ბათუმში, თბილისსა და შავი ზღვის სანაპიროზე - პლასტმასის ნარჩენები მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ დატვირთვას ქმნის. იმის გამო, რომ სეპარაციისა და გადამუშავების სისტემა სრულად გამართული არ არის, ნარჩენების დიდი ნაწილი დაახლოებით 90% პოლიგონებზე ხვდება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ საშუალო მაჩვენებლებს. ყოველივე ეს კი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ძალიან ზრდის ეკოლოგიურ რისკებს, იწვევს ლანდშაფტის დეგრადაციას (არა მარტო ვიზუალურს) და ეკოსისტემურ ზიანს, რის გამოც ტურისტული აქტივობა ძალიან მალე შეიძლება ეკოლოგიური დეგრადაციის ფაქტორად იქცეს. მართალია საქართველოში ეკოლოგიური ნარჩენების გადამუშავებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დანახარჯები ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი

არ არის. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები 650 მლნ ლარზე მეტს შეადგენდა, საიდანაც დაახლოებით 450 მლნ ლარი მუნიციპალურ გარემოსდაცვით პროგრამებზე იყო გათვალისწინებული ცალკე მიმართულებად, 2024 წელს მყარი ნარჩენების მართვაზე დაახლოებით 88 მლნ ლარი გამოიყო (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

ეკოლოგიური ნარჩენების ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი (მსოფლიო და საქართველო)

მაჩვენებელი	მსოფლიო	საქართველო
მუნიციპალური ნარჩენების წლიური მოცულობა	დაახლოებით 2.24 მლრდ ტონა	დაახლოებით 900 ათ. –1.2 მლნ ტონა
პროგნოზი 2050 წლისთვის	3.4 მლრდ ტონა	ზრდის ტენდენცია ტურიზმისა და ურბანიზაციის გამო
ნარჩენების გადამუშავების დონე	19%	10%-ზე ნაკლები
ნარჩენების ძირითადი ნაწილი	37% ნაგავსაყრელებსა და პოლიგონებში, 33% ღიად იწვება ან არაკონტროლირებად გარემოში ინახება	დიდი ნაწილი ნაგავსაყრელებზე ხვდება
ეკონომუკური დანაკარგი	300–400 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში	მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ხარჯები 450-650 მლნ ლარი
პლასმასის ნარჩენების ეკონომიკური ზარალი	80–120 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში	განსაკუთრებით პრობლემურია ტურისტული ზონები
გარემოსდაცვითი და მუნიციპალური დანახარჯები	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გლობალური ხარჯები 250 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია წელიწადში, პროგნოზით 2050 წლისთვის — 426 მლრდ დოლარამდე	დაახლოებით 650 მლნ ლარზე მეტი (2024)
მყარი ნარჩენების მართვის ხარჯები	მუდმივად მზარდი გლობალური ინვესტიციები	დაახლოებით 88 მლნ ლარი (2024)
ტურიზმთან დაკავშირებული ძირითადი ნარჩენები	პლასტმასი, საკვების ნარჩენები, შეფუთვა, ჩამდინარე წყლები, სახიფათო და ელექტრონული ნარჩენები	პლასტმასი, საკვების ნარჩენები, ერთჯერადი მოხმარების ნივთები, სახიფათო ნარჩენები, ჩამდინარე წყლები
ძირითადი გამოწვევა	გადამუშავების დაბალი დონე და ეკოლოგიური და ეკონომიკური ზიანი	ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა და სეზონური დატვირთვა, გარემოს დაბინძურება

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში განსხვავებული მასშტაბების მიუხედავად, ეკოლოგიური ნარჩენები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დაურეგულირებელი ნაგავსაყრელები იწვევს რა ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, ზრდის ინფექციური და რესპირატორული დაავადებების გავრცელების რისკს. ეს პირველ რიგში, მოქმედებს

ჯანმრთელობაზე, ზრდის სამედიცინო ხარჯებს, ამცირებს შრომის პროდუქტიულობას და აუარესებს ცხოვრების ხარისხს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD-ის (Organisation for Economic Co-operation and Development) შეფასებით, ჰაერის დაბინძურების ხარჯები გამოიხატება არა მხოლოდ ჯანდაცვის დანახარჯების ზრდით, არამედ შრომის პროდუქტიულობის შემცირებითა და ნაადრევი სიკვდილიანობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგებით. OECD-ის ორგანიზაციის (2026 წლისთვის აერთიანებს მსოფლიოს ყველაზე განვითარებული და მაღალი შემოსავლის მქონე ეკონომიკების მქონე 38 წევრ ქვეყანას) მონაცემებით მხოლოდ PM2.5 ნაწილაკებით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები საშუალოდ მშპ-ის 2.4%-ის ეკვივალენტს აღწევს, ხოლო მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 5.8%-ს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ნარჩენების არაეფექტიანი მართვა ზრდის მუნიციპალურ ხარჯებს. როდესაც არ ხდება პრევენცია და გადამუშავება, იზრდება შეგროვებისა და განთავსების ხარჯები, საჭირო ხდება გარემოს აღდგენის დამატებითი რესურსები. ეს თანხები შეიძლება მიმართულიყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ტურისტული სერვისების განვითარებაზე, თუმცა რეალურად იხარჯება პრობლემების ლიკვიდაციაზე, რომელთა აღმოსაფხვრელად როგორც მოწინავე, ისე განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ ეკოლოგიური ნარჩენების მართვის თანამედროვე საკმაოდ ძვირადღირებული მექანიზმების ინტენსიურ ამოქმედებას. ეს მექანიზმებია:

1. ნარჩენების სეპარაცია: - ნარჩენების დაყოფა ადგილზე: პლასტმასი, ქაღალდი, ორგანული, მინა;

2. გადამუშავება: - პლასტმასის, ქაღალდის, მინის ხელახალი გამოყენება;

3. კომპოსტირება: - საკვების და ორგანული ნარჩენების გადამუშავება სასუქად;

4. ნარჩენების შემცირება: - (ნულოვანი ნარჩენების („Zero Waste“) პოლიტიკა ტურისტულ ობიექტებში)

- ერთჯერადი პლასტმასის შეზღუდვა;

5. ეკო-სერტიფიცირება: - ეკო-მეგობრული სასტუმროების სტანდარტები; საერთაშორისო პროგრამები (მაგ. Green Key-ის საერთაშორისო ეკოლოგიური სერტიფიკაციის სისტემები, რომელიც ენიჭება სასტუმროებს, ჰოსტელებს, საკონფერენციო ცენტრებს, ტურისტულ ობიექტებსა და სხვა სტუმარმასპინძლობის დაწესებულებებს);

6. საგანმანათლებლო და ქცევითი ცვლილების რეკლამები:

- ტურისტების ინფორმირება (ბანერები, კამპანიები, მაგ., „წაიღე შენი ნარჩენი შენთან ერთად“(„Take your waste with you“));

- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა;

ამ ყველაფერს ასახავს სახელმწიფო რეგულაცია, რაც მოითხოვს: ნარჩენების მართვის კანონმდებლობის სრულყოფას, კონტროლის გამკაცრებას ტურისტულ ზონებზე და ჯარიმების დაწესებას გარემოს დაბინძურებისათვის.

საქართველოში ეკოლოგიური ნარჩენების მართვა რეგულირდება „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ (2015), საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიებით (2022–2026) და სამოქმედო გეგმებით, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის გარემოსდაცვით პრინციპებს და მიზნად ისახავს ნარჩენების პრევენციას, გადამუშავების განვითარებას, პლასტმასის, განსაკუთრებით ერთჯერადი პლასტმასის მოხმარებისა და ნარჩენების შემცირებას, და მდგრადი გარემოსდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული უარყოფითი გავლენისა ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის სექტორს, ეკონარჩენების რეგულირების მხრივ, შეუძლია გარკვეული

დადებითი გავლენაც იქონიოს. მაღალი ტურისტული კონკურენციის პირობებში ქვეყნები და რეგიონები იძულებულნი ხდებიან გააუმჯობესონ გარემოს სისუფთავე და დანერგონ ნარჩენების თანამედროვე მართვის სისტემები. სუფთა გარემო ტურისტული იმიჯის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ ხელისუფლება და ბიზნესი ხშირად ახორციელებს სხვადასხვა ერთობლივ პროგრამებს, როგორიცაა: ეკო-მეგობრული სასტუმროები და „მწვანე სერტიფიცირების“ პროგრამები, რომელიც ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებას, ენერგიის დაზოგვას და პლასტმასის გამოყენების შეზღუდვას. ტურისტული მოთხოვნა ეკოლოგიურად “მწვანე“ სერვისებზე ზრდის კერძო სექტორის მოტივაციას დანერგოს გარემოსდაცვითი და რესურსების დამზოგავი პრაქტიკა, რაც გულისხმობს ისეთი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიდგომების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნარჩენების შემცირებას, გადამუშავების ხელშეწყობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციას, რაც მდგრადი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ტურიზმი ქმნის ფინანსურ რესურსს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის: ტურისტული გადასახადები, მომსახურების ზრდა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მატება საშუალებას იძლევა დაფინანსდეს ახალი პოლიგონები, გადამამუშავებელი საწარმოები და სეპარაციის ინფრასტრუქტურა. ამრიგად, ტურიზმის გავლენა ნარჩენების რეგულირებაზე ორმხრივია: თუ მართვა სუსტია - ტურიზმი აძლიერებს პრობლემას; თუ მართვა ეფექტიანია - ტურიზმი ხდება სტიმული სისტემის გაუმჯობესებისა და ეკოლოგიური სტანდარტების ამაღლებისთვის.

აუცილებლად ყურადსაღებია, რომ ბოლო წლებში ეკოლოგიური ნარჩენების ინტენსიური მატების გამო მართვის თანამედროვე სისტემების მთავარი გამოწვევების დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის ძალისხმევით - აუცილებელია სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტების, კერძო სექტორის, ტურიზმის ინდუსტრიისა და საზოგადოების კოორდინირებული თანამშრომლობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური ნარჩენები და მისი მართვა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გლობალურ გამოწვევად ჩამოყალიბდა. ნარჩენების მზარდი მოცულობა, გადამუშავების დაბალი დონე, პლასტმასის ფართო გამოყენება და ტურიზმის ინტენსიური განვითარება მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს როგორც გარემოზე, კლიმატზე, ისე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ეკოლოგიური ნარჩენების ზრდა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესებთან, რადგან საერთაშორისო ტურიზმის, თავისუფალი ვაჭრობის, მასობრივი წარმოებისა და მოხმარების ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეკოლოგიური ნარჩენების მოცულობა, რამაც გაზარდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დატვირთვა, გარემოსდაცვითი დანახარჯები და ეკოლოგიური-სოციალურ-ეკონიმიკური რისკები. ყოველივე ეს აზიანებს ბუნებრივ გარემოს საკურორტო ტერიტორიებზე, ამცირებს ტურისტული გარემოს ესთეტიკურ ღირებულებას და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ტურისტულ იმიჯზე, შედეგად მცირდება ვიზიტორთა ნაკადი, კლებულობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი და ზარალდება როგორც ადგილობრივი ბიზნესები, ასევე ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. ეკოლოგიურ ნარჩენებთან ბრძოლის ღონისძიებებში მნიშვნელოვანია ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია, გადამუშავების განვითარება, ერთჯერადი პლასტმასის მოხმარების შემცირება და წრიული ეკონომიკის პრინციპების ფართო დანერგვა, რადგან აღნიშნული მიდგომები მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზეწოლასა და ეკონომიკურ დანახარჯებს. პრაქტიკამ უკვე

დაამტკიცა, რომ დაგროვებული ნარჩენების შემდგომი გადამუშავება უფრო მეტ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ვიდრე პრევენცია - ნარჩენების რაოდენობის შემცირება ჯერ კიდევ წარმოებისა და მოხმარების ეტაპზე. ეკოლოგიური ნარჩენების მართვის სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლება და ცნობიერების ამაღლება, ეკოლოგიური კამპანიები, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლიანი მოხმარების კულტურის ფორმირებასა და ნარჩენების პრევენციის პრინციპების დანერგვას, რასაც უნდა ამყარებდეს სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე მკაცრი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზა.

საბოლოოდ, სწორად დაგეგმილი ტურიზმი შეიძლება იქცეს არა გარემოს საფრთხედ, არამედ ნარჩენების მართვის მოდერნიზაციის მამოძრავებელ ძალად. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე ეკოლოგიური ნარჩენების ეფექტიანი მართვა მსოფლიო მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ტურიზმის უსაფრთხო განვითარების და ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2022). *საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2022–2026. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმა*. თბილისი:
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GeoStat). (2024). *გარემოს დაცვისა და მუნიციპალური ნარჩენების სტატისტიკა*. თბილისი: GeoStat.
3. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA). (2024). *საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2024*. თბილისი: GNTA.
4. ქალაქ ბათუმის მერია. (2024). *მუნიციპალური ნარჩენების მართვის წლიური ანგარიში*. ბათუმი: ბათუმის მერია.
5. საქართველოს პარლამენტი. (2015). *საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი*. თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
6. BM.ge. (2024). *მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით 2024 წლის დაფინანსება*. თბილისი: BM.ge.
7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. (2024). *გარემოს დაცვისა და მუნიციპალური მომსახურებების დაფინანსების მაჩვენებლები*. თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
8. World Bank. (2025). *What a Waste 3.0: Global Waste Management Database and Trends*. Washington, DC: World Bank Group.
9. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2022-2024). *Global Plastics Outlook: Economic Drivers, Environmental Impacts and Policy Options*. Paris: OECD Publishing.
10. United Nations Environment Programme (UNEP). (2024). *Global Waste Management Outlook 2024*. Nairobi: UNEP.
11. United Nations World Tourism Organization (UNWTO). (2024). *Tourism and Waste Management: Global Challenges and Sustainable Solutions*. Madrid: UNWTO.
12. World Travel & Tourism Council (WTTC). (2024). *Environmental Sustainability and Tourism Industry Report*. London: WTTC.
13. Milman, O. (2025, May 16). *Global recycling rates have fallen for eighth year running, report finds*. The Guardian.
14. Springer Nature. (2025). *Tourism, Urbanization and Waste Management Challenges in Developing Economies*. Cham: Springer.

Ketevan Kveladze
Medea Melashvili
Nunu Kistauri

Ecological Waste as One of the Main Challenges to Tourism Development

Summary

The paper discusses the impact of the increase in ecological waste and the contemporary problems of waste management on tourism development at the global and Georgian levels. The study addresses the main types of waste generated by the tourism industry — plastic, food, municipal, wastewater, and other types of waste, which exert significant pressure on the environment, climate, as well as ecological and economic systems. The paper analyzes the impact of tourism development, urbanization, and the growth of mass consumption on the increase in waste volume. It also discusses the main challenges of modern waste management systems, including the rapid growth of plastic waste, low recycling rates, and the overloading of infrastructure in tourist regions. Particular attention is paid to the economic costs and environmental risks associated with tourism.

The research is based on comparative, statistical, and analytical methods, using international and Georgian literature, as well as official statistical data and legislative documents. The paper presents an analysis of global and Georgian data, evaluates the existing regulations in the field of waste management and their effectiveness. The study concludes that effective management of ecological waste is one of the essential prerequisites for sustainable tourism development, environmental protection, and economic stability in the modern era. Accordingly, special importance is attached to the development of recycling systems, the promotion of environmental awareness, and coordinated cooperation among the state, the private sector, and society.

Keywords: *Tourism Industry, Ecological Waste, Economic Costs, Economic Losses, Waste Management.*

ნუნუ ქისტაური
ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი

ტურიზმის გავლენა სოციალურ უსაფრთხოებაზე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში (მსოფლიო ტენდენციები და საქართველო)

ანოტაცია. *სტატია ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა ტურიზმის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში. კვლევა ეფუძნება 2020–2025 წლების მსოფლიო და საქართველოს სტატისტიკურ მონაცემებს და აანალიზებს ტურიზმის განვითარების დინამიკას გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაციების, გეოპოლიტიკური დაძაბულობის, რეგიონალიზაციის, მიწოდების ჯაჭვების ცვლილებისა და ეკონომიკური ფრაგმენტაციის ფონზე.*

ნაშრომში განხილულია ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე, დასაქმებაზე, მოსახლეობის შემოსავლებზე, რეგიონულ განვითარებასა და სოციალურ სტაბილურობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს, რომლისთვისაც ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების, საგარეო ვალუტის შემოდინებისა და დასაქმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. კვლევაში მითითებულია, რომ მიუხედავად გეოეკონომიკური რისკებისა, ტურიზმი ინარჩუნებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში,

აგრეთვე განხილულია სექტორის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, როგორიცაა ბაზრების დივერსიფიკაცია, ციფრული ტრანსფორმაცია, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება და მდგრადი ტურიზმის პრინციპების დანერგვა. კრიზისებისადმი მდგრადობის გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, სოციალური უსაფრთხოება, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, გეოპოლიტიკა, მდგრადი განვითარება, საქართველო.*

* * *

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სოციალური უსაფრთხოება ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას. მისი მაღალი დონე უზრუნველყოფს სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას და ეკონომიკური განვითარების მდგრადობას, მოსახლეობის დაცვას სიღარიბის, უმუშევრობის, სოციალური უთანასწორობისა და სხვა რისკებისგან.

დარგი, რომელიც ერთდროულად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აგრეთვე სოციალურ სტაბილურობას და ამით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური უსაფრთხოების სისტემების ფორმირებასა და მდგრადობაზე, არის ტურიზმი, რომელიც ბოლო პერიოდში ხდება ბევრი სახელმწიფოს სტრატეგიული პრიორიტეტი.

ზოგადად ტურიზმი ასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით ფუნქციებს. ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი ქმნის დამატებით ღირებულებას, სამუშაო ადგილებს და ზრდის სავალუტო შემოსავლებს, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას. სოციალური თვალსაზრისით, ტურიზმი მოიცავს ეკონომიკის ისეთ სფეროებს, როგორიცაა სოციალურ დაცვის პროგრამები, სოციალური დაზღვევა, ჯანმრთელობისა და განათლების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის კულტურათაშორის ურთიერთობებს და ამით ხელს უწყობს სოციალური ინტეგრაციის პროცესებს.

ამავდროულად, სოციალური უსაფრთხოების საკითხები ტურიზმის სფეროში რჩება პრობლემატურად. ამ კონტექსტში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ტურიზმთან მიმართებაში მრავალმხრივ და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

ტურიზმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორიცაა: პოლიტიკური არასტაბილურობა; ეკონომიკური კრიზისები; სამხედრო კონფლიქტები; სანქციები; სავიზო შეზღუდვები; ენერგეტიკული პრობლემები და სხვ. ამიტომ, იგი საჭიროებს უსაფრთხოების სისტემების ისეთი ფორმების განსახორციელებას, რაც გააძლიერებს ტურიზმის სფეროს და ამით ქვეყნის სოციალურ კეთილდღეობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ თანამედროვე ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია წარმოადგენს. XXI საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები ახალ ფორმას ღებულობს, როდესაც ხდება საერთაშორისო სისტემის დაყოფა სხვადასხვა ძალთა ცენტრებს შორის და როდესაც ქვეყნები ერთიანდებიან პოლიტიკური, სამხედრო ან იდეოლოგიური ნიშნით. შედეგად წარმოიქმნა ტერმინი „ფრაგმენტაციის ეპოქა“. მისი ძირითადი ფორმებია: გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, რომელიც გულისხმობს მსოფლიო პოლიტიკური სივრცის დაყოფას კონკურენტულ ბლოკებად, რაც ამცირებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს; აგრეთვე გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, რომელიც გამოიხატება გლობალური ეკონომიკური კავშირების დაქუცმაცებაში, ვაჭრობის შეზღუდვებსა და ფინანსური ნაკადების დეზორიენტაციაში.

იგი ასუსტებს გლობალიზაციას და აძლიერებს ბლოკურ დაყოფას, თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას.

„ფრაგმენტაციის ეპოქის“ ძირითადი მახასიათებლებია: ძალთა პოლარიზაცია (მრავალპოლარული სისტემა); სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბება და გაძლიერება; რეგიონული კონფლიქტების ზრდა; საერთაშორისო ინსტიტუტების დასუსტება; სავაჭრო ბარიერების ზრდა და სხვადასხვა სახის ეკონომიკური სანქციები ამა თუ იმ ქვეყნისადმი და მისი ეკონომიკური იზოლაცია. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის შემცირება, რაც ხელს უშლის გლობალური პრობლემების კოორდინირებულ მართვას. შედეგად, სახელმწიფოები (ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე მსოფლიო წესრიგს) სულ უფრო მეტად მიმართავენ დამოუკიდებელ ან ბლოკურ პოლიტიკას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისტემის ფრაგმენტაციას.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაგმენტაცია ხშირად არის გეოპოლიტიკური დაძაბულობის პირდაპირი შედეგი, როდესაც ეკონომიკური ინსტრუმენტები გამოიყენება როგორც პოლიტიკური გავლენის მექანიზმები. მის საფუძვლად მიიჩნევა სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტი, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პოლიტიკურად და ეკონომიკურად უძლიერეს ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გავლენის შენარჩუნებასა და გაძლიერებას როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ დონეზე.

ტურიზმის როლი მსოფლიო პრაქტიკაში მუდმივად იზრდება. როგორც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, მაღალშემოსავლიანი და დინამიკური დარგი, იგი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, პლანეტის საწარმოო-სერვისული ბაზრის ბრუნვის დაახლოებით 10%-ს უზრუნველყოფს. ტურიზმზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 6%, მსოფლიო ინვესტიციების 7%, ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი, მსოფლიო სამომხმარებლო ხარჯების 11% და საგადასახადო შემოსავლების 5%. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც ეკონომიკის დივერსიფიკაცია და დასაქმების ზრდა კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მათ რიგშია საქართველოც.

ჩვენთან მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XXI საუკუნეში, როდესაც ქვეყანა აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე და ამის შედეგად ტურიზმი ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სექტორი და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ტურიზმის ზრდა ხელს უწყობს საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ გააქტიურებასა და ადგილზე მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლების ზრდას, რაც განპირობებულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ადგილზე არსებული უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობითა და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ტურიზმის სექტორი განსაკუთრებით აქტიურად განვითარდა 2010-იანი წლებიდან. (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

ტურიზმის განვითარების დინამიკა საქართველოში (2020-2025)

წელი	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
საერთაშორისო ვიზიტები (მლნ კაცი)	1.7	3.1	5.4	6.1	6.5	6.9

ტურიზმიდან შემოსავლები (მლრდ აშშ დოლარი)	0.54	1.24	3.50	4.10	4.40	4.69
ტურიზმის წილი მშპ-ში (%)	5.6	6.8	14.1	15.3	15.8	-

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა წლების განმავლობაში მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც აისახა როგორც ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე, ისე დასაქმების მაჩვენებელზე. ბოლო წლებში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურიზმის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში.

ტურიზმის სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი დარგია. იგი უზრუნველყოფს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დასაქმებას. აქ სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი სეზონურია, რაც სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას აჩენს. ამაზე მეტყველებს ბოლო წლების სტატისტიკა (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

დასაქმება ტურიზმის სექტორში საქართველოში (2020-2025)

წელი	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
ტურიზმის სექტორში დასაქმებულები (ათასი კაცი)	94.0	89.8	103.5	113.5	126.1	132.0
საერთო დასაქმება მლნ კაცი)	1.2	1.2	1.3	1.4	1.4	1.4
წილი საერთო დასაქმებაში (%)	7.6	7.2	8.1	8.5	9.0	9.5

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადად ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია უსაფრთხო გარემო, თავისუფალი გადაადგილებაის შესაძლებლობა და ეკონომიკური სტაბილურობა. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი გეოპოლიტიკური დაძაბულობა ტურისტული ნაკადების შემცირებას იწვევს.

რაც შეეხება საქართველოს, იგი გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში მდებარეობს, რის გამოც აქ ტურიზმის სექტორს ექმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი რისკები, როგორიცაა:

1. რეგიონული კონფლიქტები (რუსეთ-უკრაინის და ირანის ომები);
2. რეგიონის ეკონომიკური დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), რაც ზრდის სექტორის მოწყვლადობას პოლიტიკური ცვლილებების მიმართ;
3. ინფლაცია და ფასების ზრდა (პირველი ორი პუნქტიდან გამომდინარე დარგში იზრდება სასტუმროს ფასები; ტრანსპორტირების ხარჯები; კვების ობიექტების მომსახურების ღირებულება);
4. ტურისტების მიერ უსაფრთხოების აღქმა, რაც უშუალოდაა დამოკიდებული პოლიტიკურ სტაბილურობასთან რეგიონში, რადგან, ნებისმიერი პოლიტიკური დაძაბულობა უარყოფითად აისახება ქვეყნის ტურისტულ იმიჯზე.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს ტურიზმის სექტორს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მისი ძირითადი სახეობებია: ეკოტურიზმი; აგროტურიზმი, მთის ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი,

კულტურული ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი. რაც საქართველოსთვის მეტად წარმატებული მიმართულებებია.

როგორც დარგის სპეციალისტები მიუთითებენ გეოპოლიტიკური არასტაბილურობა ხშირად ამცირებს კონკრეტული რეგიონების ტურისტულ მიმზიდველობას და გეოეკონომიკურ მაჩვენებელს, რის შედეგადაც ტურისტული ნაკადები უფრო მშვიდ და უსაფრთხო მიმართულებებზე გადაინაცვლებს. მაგალითად, ქვეყნებს შორის დაძაბულობის ესკალაციის პირობებში მოგზაურები ერიდებიან მაღალი რისკის ზონებს, რაც უარყოფითად აისახება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე და მომსახურების სექტორში დასაქმებაზე. ეს კი საბოლოოდ იწვევს მსოფლიო ტურისტული რესურსების არათანაბარ გადანაწილებას. აღნიშნული პროცესი ამცირებს სასტუმრო ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების სფეროების შემოსავლებს, ამავდროულად კი ზრდის იმ ადგილობრივი ეკონომიკების მოწყვლადობას, რომლებიც სეზონურ ტურისტულ შემოსავლებზე არიან დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული დინამიკა მხოლოდ უარყოფითი შედეგებით არ შემოიფარგლება. ტურიზმის განვითარება ამ მიმართულებით ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს. ერთი მხრივ, იზრდება დასაქმება, ადგილობრივი შემოსავლები და სოციალური პროგრამების დაფინანსების პოტენციალი; მეორე მხრივ კი ჩნდება სეზონურობის, სამუშაო ადგილების არასტაბილურობისა და რეგიონული უთანასწორობის გაღრმავების საფრთხე. იგი ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების გადამისამართებას იმ რეგიონებისკენ, სადაც პოლიტიკური ვითარება შედარებით სტაბილურია. ეს ტრანსფორმაცია ნათლად წარმოაჩენს ტურიზმის სექტორის მაღალ ადაპტაციურ შესაძლებლობებს, რომლის ფარგლებშიც გეოპოლიტიკური არასტაბილურობა შეიძლება იქცეს ფინანსური რესურსებისა და მომხმარებელთა ინტერესის გადანაწილების კატალიზატორად. შედეგად, ადგილობრივი ეკონომიკური სისტემები იღებენ დამატებით სტიმულს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და ტურისტული პროდუქტის აქტიური პოპულარიზაციისთვის, რაც ამავდროულად ხელს უწყობს შიდა ტურიზმის განვითარებას და მათი კონკურენტული პოზიციების განმტკიცების შესაძლებლობას აძლევს. მაგ., ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, მიიღო ახალი ტურისტული ნაკადები რეგიონიდან. ამასთან ერთად, ქვეყნები ასევე ცდილობენ დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების, სავიზო პროცედურების გამარტივებისა და ერთობლივი მარკეტინგული კამპანიების მეშვეობით, ხელი შეუწყონ შემომყვანი ტურიზმის ზრდას.

ტერმინი გეოეკონომიკა ფართოდ დაამკვიდრა ამერიკელმა მკვლევარმა ედუარდ ლუკვაკმა, რომელმაც გეოეკონომიკა განსაზღვრა, როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება ეროვნული ინტერესების გასაძლიერებლად. გეოეკონომიკა ტურიზმის განვითარების პროცესში სულ უფრო მნიშვნელოვან მაჩვენებლად ყალიბდება. ქვეყნებს, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენებენ გეოეკონომიკურ ფაქტორებს: საერთაშორისო ვაჭრობა; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ქსელები; ენერგეტიკული უსაფრთხოება; საინვესტიციო ნაკადები; სავიზო პოლიტიკა; რეგიონული ინტეგრაცია; გლობალური კრიზისები, ექმნებათ მეტი შესაძლებლობა ტურიზმის სექტორში კონკურენტული პოზიციების გასაძლიერებლად.

საქართველოსთვის ბოლო წლებში ტურიზმი ერთ-ერთი სტრატეგიული სექტორია. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის მის კონკურენტულ უპირატესობებს: ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მდებარეობა; კულტურული მემკვიდრეობა; ბუნებრივი მრავალფეროვნება; უვიზო რეჟიმები; განვითარებადი სატრანსპორტო დერეფნები.

გეოეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: შუა დერეფნის საერთაშორისო პროექტში წარმატებული ადაპტირება; საერთაშორისო ავიამიმოსვლების გაფართოება; ციფრული ტურიზმის პლატფორმების განვითარება; მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის განხორციელება; ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაცია; ევროკავშირის ბაზარზე ორიენტაციის გაძლიერება; რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება; ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ.

კვლევები მიუთითებს, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს შორის ბალანსის დაცვა.

ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ ეროვნულმა მთავრობებმა რესურსები მიმართონ მრავალმხრივი დიპლომატიის განვითარებისა და ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაციისკენ, რათა შემცირდეს დარგის მოწყვლადობა და გაიზარდოს მისი კონკურენტუნარიანობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია უსაფრთხოებისა და პარტნიორობის საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი განვითარება UN Tourism (ყოფილი UNWTO)-ის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის მდგრად პროგრესს და საშუალებას მისცემს მას, რომ გლობალური არასტაბილურობის პირობებშიც კი შეინარჩუნოს კულტურებს შორის ურთიერთდაკავშირების ხიდის მნიშვნელოვანი ფუნქცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UN Tourism. (2025). *World Tourism Barometer*. Madrid, Spain.
2. World Travel & Tourism Council. (2025). *Economic Impact Research 2025*. London.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2025.* თბილისი.
4. საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია. (2025). *Tourism Statistical Review 2025*. თბილისი.
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2025). *Annual Report.* თბილისი.
6. საქართველოს მთავრობა. (2024). *Georgia 2030 Development Strategy*. თბილისი.
7. საქართველოს მთავრობა. საქართველო 2030 – განვითარების სტრატეგია.

Nunu Kistauri
Ketevan Kveladze
Medea Melashvili

Impact of Tourism on Socio-Economic Security under Conditions of Geo-Economic Fragmentation (Global Trends and Georgia)

Summary

The present study is devoted to assessing the impact of tourism on socio-economic security under the conditions of geoeconomic fragmentation.

The paper analyzes contemporary trends in international tourism, the impact of geopolitical processes on tourist flows, and the role of tourism in economic growth, employment generation, regional development, and the well-being of the population. Special attention is paid to the specific characteristics of the development of Georgia's tourism sector, as well as to the new challenges and opportunities arising under the conditions of geoeconomic changes. The global crises that have developed in recent years have clearly demonstrated that the tourism sector is directly dependent on the stability of the international political and economic environment. For the sustainable development of the sector, it is essential to diversify markets, ensure security, and formulate a long-term economic strategy.

The statistical data presented in the paper demonstrate that tourism is one of the important factors of Georgia's socio-economic security. However, to ensure the sustainability of the sector, it is necessary to promote economic diversification, apply innovative technologies, expand tourism markets, effectively manage crises, formulate an appropriate state policy for the tourism sector, and thereby ensure its successful management and development. All these measures will strengthen not only the tourism sector but will also create a solid foundation for the growth of the country's overall social well-being.

Shykhyly Kamran Shahin oglu

IMPACT OF INDUSTRIAL DEVELOPMENT ON DEMOGRAPHIC INDICATORS IN THE OCCUPIED TERRITORIES OF AZERBAIJAN: ANALYSIS OF THE KARABAKH AND EASTERN ZANGAZUR ECONOMIC REGIONS

Annotation: *The article examines the relationship between industrial development and demographic indicators (population, labor force, employment, individual entrepreneurship) in the liberated Karabakh and East Zangezur economic regions of Azerbaijan for 2020–2024 based on statistical-economic analysis and correlation analysis. Calculations based on official indicators of the State Statistics Committee and reports on industrial parks confirm the existence of a statistically very strong positive relationship between the growth of industrial production, enterprise and entrepreneurial activity and population settlement (in Karabakh r=0.9980). The results obtained create a scientific basis for planning the next stage of the "I State Program on the Great Return".*

Keywords: *industrial development, demography, liberated territories, Karabakh and East Zangezur, industrial parks.*

INTRODUCTION

The restoration and reintegration of Karabakh and East Zangezur, liberated from occupation, occupy a central place in the socio-economic development strategy of modern Azerbaijan. Karabakh and East Zangezur have never been just a geographical part of Azerbaijan. These lands have served as an important pillar of the country's economic backbone, the cradle of its cultural identity, and the guarantor of its strategic security. Agriculture, especially viticulture, grain growing, and livestock breeding, formed the backbone of the region's economy; the Soyudlu (Zod) gold deposit in Kalbajar, and the mercury, chromite, and copper deposits in the Lachin, Kalbajar, and Zangilan regions created a rich raw material base for the non-ferrous metallurgy industry. Before the occupation, more than 700,000 Azerbaijanis, approximately 10% of the country's population, lived in the region; the displacement of these people opened wounds in the country's socio-economic life that will not heal for many years.

During the years 1988–1993, as a result of Armenia's aggression against Azerbaijan, more than 900 villages and settlements were completely destroyed in the occupied territories, and about 6 thousand industrial, agricultural and other enterprises were destroyed (Ministry of Economy, 2024). According to recent estimates, the total damage caused to the Azerbaijani economy by this destruction exceeded 300 billion US dollars (Ministry of Economy, 2024). This historical context clearly shows how large-scale the task of restoring industrial infrastructure from scratch in the liberated territories is.

The Agdam Industrial Park and the "Araz Valley Economic Zone" industrial parks, established within the framework of the "I State Program on the Great Return" (2022–2026), are the locomotives of this strategy. According to the State Statistical Committee as of May 2025, 13,745 people (3,464 families) returned to the liberated settlements, and the number of the settled population reached 43,144 people (State Statistical Committee, 2025). Sociological studies show that 43.3% of those wishing to return are young people aged 26–35 (Shikhili, 2026). The attraction of this young demographic segment to the region will create the basis for the creation of new families,

an increase in the birth rate, and the acceleration of urbanization. International experience also confirms the decisive role of industrialization: the restoration of the Ruhr Basin in Germany after World War II laid the foundation for the "German economic miracle"; the creation of export-oriented industrial zones in Vietnam and South Korea became the main engine of economic growth and urbanization. Researchers identify the phased implementation of economic reforms, attracting private investment, increasing employment, and effective management of international financial assistance as key priorities for the success of post-conflict recovery (Mammadov et al., 2022: 13).

However, there are still limited systematic, statistically and econometrically based studies in Azerbaijani science that target the interaction between the industrial potential of the liberated territories and population dynamics. The aim of the article is to assess the relationship between industrial development indicators and demographic indicators in the Karabakh and East Zangezur economic regions for 2020–2024 based on statistical analysis.

RESEARCH METHODOLOGY

The information base of the study is the regional socio-economic indicators of the State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan for 2020–2025, reports of the Azerbaijan Investment Company, as well as official data on the Agdam Industrial Park and the Araz Valley Economic Zone. The methodological basis is based on the classification of research methods of the science of economics: economic analysis, statistical-economic method, sociological method and economic modeling (Aliyev, 2019: 58). In this framework, comparative statistical-economic analysis, trend analysis and correlation analysis were applied. The strength and direction of the relationship between industrial development indicators (total industrial product, number of operating enterprises, number of individual entrepreneurs) and demographic indicators (population, labor force, number of employed population) were measured using the Pearson correlation coefficient (r). Due to the limited number of observations (N=4–5), statistical significance tests (p-values) were not calculated. In economic analysis practice, coefficients at the $r>0.9$ level are interpreted as a strong and significant relationship.

ANALYSIS OF INDUSTRIAL DEVELOPMENT INDICATORS

An analysis of the development of industrial sectors in the liberated territories of Azerbaijan during 2020–2024 shows that a multifaceted and dynamic development process took place in both the Karabakh and East Zangezur economic regions during this period. In terms of gross industrial output, the East Zangezur economic region surpassed the Karabakh economic region (2.76 times increase) with an increase of more than 35 times (Table 1).

Table 1. Volume of the total industrial product of Karabakh and Eastern Zangezur economic regions, thousand manats

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	114 680,1	2 543,0
2021	194 776,3	7 888,2
2022	193 829,0	7 134,8
2023	274 771,6	23 907,5
2024	316 593,1	91 196,8

Source: Azerbaijan Investment Company, 2024

Industrial production indices also confirm this development. In the Karabakh economic region, the index, which was 102.4% in 2020, increased to 106.1% in 2024. In the East Zangezur economic region, the index, which was 91.5% in 2020, reached 131.7% in 2024, after a decrease (53.5%) recorded in 2022 (Table 2).

Table 2. Industrial production indices, at constant prices, in percentage terms compared to the previous year

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	102,4	91,5
2021	100,8	101,2
2022	95,9	53,5
2023	116,3	110,8
2024	106,1	131,7

Source: Azerbaijan Investment Company, 2024

The revival of industrial activity in the liberated territories is also reflected in the increase in the number of operating enterprises and individual entrepreneurs. The number of enterprises in the Karabakh economic region increased from 78 in 2020 to 145 in 2024, and in East Zangezur from 13 to 38 (Table 3). The number of individual entrepreneurs increased from 161 to 240 in Karabakh and from 52 to 214 in East Zangezur (Table 4), which indicates the rapid development of small entrepreneurship in the region.

Table 3. Number of operating enterprises, units

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	78	13
2021	85	12
2022	93	20
2023	117	25
2024	145	38

Source: Azerbaijan Investment Company, 2024

Table 4. Number of individual entrepreneurs registered to engage in industrial activities, people

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	161	52
2021	181	89
2022	200	118
2023	220	148
2024	240	214

Mənbə: Azərbaycan İnvestisiya Şirkəti (AİC) hesabatına istinadən tərtib edilmişdir (Azərbaycan İnvestisiya Şirkəti, 2024).

One of the main driving forces of industrial development is public and private investment. Agdam Industrial Park (190 hectares, established in May 2021) (Decree of the President of the Republic of Azerbaijan, 2021) by the end of 2025, it had 32 residents and 5 non-residents, created about 1,000 permanent jobs, and sold 1.4 billion manat worth of products, of which 62.3 million manat was exported (Adigozalov, 2026). More than 43.8 million manat was invested in the Araz Valley Economic Zone in the Jabrayil district. 19 residents and 3 non-residents were registered, and about 100 jobs were created (Adigozalov, 2026). Both parks benefit from ready-made infrastructure provided by the state and tax and customs privileges for up to 10 years. The 10-year grace period coincides with the most productive decade of the career life of the 26–35 age group, which indicates that the tax break is a well-thought-out instrument to tie the young workforce to the region.

The process of industrial diversification is also noteworthy. The mining industry has shown growth in both regions: in the Karabakh economic region, it increased from 1968.3 thousand manat in 2020 to 6312.0 thousand manat in 2024, and in the East Zangezur region, it increased from 10.6 thousand manat in 2022 to 6587.9 thousand manat in 2024 (Table 5). The processing industry in the Karabakh economic region has shown significant growth, especially in the areas of food production (from 51,650.3 thousand manat to 191,831.6 thousand manat), construction materials production (approximately 43 times increase), and finished metal products production (approximately 74 times increase). In East Zangezur, the energy sector has become the leading force: electricity, gas, and steam production increased by approximately 31 times from 2020 to 2024.

Table 5. Karabakh and East Zangezur economic regions, distribution by mining industry, thousand manats

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	1 968,3	–
2021	1 662,8	–
2022	2 171,0	10,6
2023	4 138,3	2 933,0
2024	6 312,0	6 587,9

Source: Azerbaijan Investment Company, 2024

LABOR MARKET AND DEMOGRAPHIC INDICATORS

In parallel with industrial development, positive dynamics are also observed in the demographic indicators of the regions. During 2020–2025, the population of the Karabakh economic region increased from 715.3 thousand to 747.5 thousand, an increase of 4.50%. In the East Zangezur economic region, the population increased from 294.3 thousand to 302.2 thousand, an increase of 2.68% (Table 6).

Table 6. Population of Karabakh and East Zangezur economic regions, thousand people

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	715,3	294,3
2021	722,3	296,5
2022	728,7	298,1
2023	736,4	300,4
2024	741,3	302,5
2025	747,5	302,2

Source: State Statistics Committee, 2024.

The number of the labor force also showed a growth trend in both regions: during the years 2020-2023, the labor force in the Karabakh economic region increased by 3.72%, and in the East Zangezur economic region by 4.06% (Table 7). The number of employed population increased by 5.98% in Karabakh and by 6.69% in East Zangezur, indicating the increase in economic activity in the liberated territories (Table 8). According to the data of 2023, the employment rate in Karabakh economic region was 93.80%, and in Eastern Zangezur economic region was 92.38%, which is significantly higher than the national average.

Table 7. Number of labor force (end of year), people

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	355 965	136 949

2021	359 603	139 415
2022	364 332	140 832
2023	369 198	142 506

Source: State Statistics Committee, 2024

Table 8. Number of employed population (end of year), people

Years	Karabakh economic region	Eastern Zangezur economic region
2020	326 788	123 392
2021	335 094	127 657
2022	341 242	129 695
2023	346 325	131 641

Source: State Statistics Committee, 2024

CORRELATION ANALYSIS BETWEEN INDUSTRY AND DEMOGRAPHIC INDICATORS

Pearson correlation coefficients were calculated to statistically determine the strength of the relationship between industrial indicators and demographic indicators. A very strong positive correlation is observed between industrial and demographic indicators in the Karabakh economic region (Table 9). The value of r=0.9980 was recorded between the number of population and the number of individual entrepreneurs, which is an almost perfect positive correlation and reflects the mutual support of return programs to the region and economic revival. The relationship between the number of employed population and the number of individual entrepreneurs (r=0.9938) is also extremely strong.

Table 9. Correlation coefficients (r) for the Karabakh economic region

Indicator	Total industrial output	Number of enterprises	Number of individual entrepreneurs
Population	0,9441	0,9465	0,9980
Employed population	0,8940	0,9145	0,9938

Source: author's calculations

Although a positive correlation is also observed in the East Zangezur economic region, the correlation is somewhat weaker than in Karabakh for some indicators (Table 10). The correlation between population and the number of individual entrepreneurs (r=0.9876) is still very strong, but the correlation between gross industrial product and demographic indicators (r=0.8118 and r=0.6604) is relatively weak. This difference can be explained by the fact that industrial development in East Zangezur is still at an early stage and the main focus is on the establishment of infrastructure and small businesses.

Table 10. Correlation coefficients (r) for the East Zangezur economic region

Indicator	Total industrial output	Number of enterprises	Number of individual entrepreneurs
Population	0,8118	0,9398	0,9876
Employed population	0,6604	0,8327	0,9887

Source: author's calculations

The combined analysis of data from both economic regions (a preliminary look at the panel data approach) also confirms the strong relationship between industry and demographic indicators (Table 11). The number of enterprises in the combined data shows the strongest correlation with both population (r=0.9667) and employed population (r=0.9721); this suggests that for both regions the institutional base of industrial activity (the creation of new enterprises) is the main driver of demographic revival.

Table 11. Comparison of economic regions: pooled correlation coefficients (r)

Indicator	Total industrial output	Number of enterprises	Number of individual entrepreneurs
Population	0,8942	0,9667	0,8434
Employed population	0,9034	0,9721	0,8554

Source: author's calculations

The conducted correlation analysis statistically confirms the positive impact of industrial development on demographic indicators. First, there is a strong positive correlation (in most cases r>0.9) between all analyzed indicators, that is, as industrial development indicators (production volume, number of enterprises and entrepreneurs) increase, the population and the number of employed people also increase. Second, in both economic regions, the number of individual entrepreneurs and enterprises has the highest correlation with demographic indicators, which indicates that new jobs created within the framework of the "Great Return" program are the most influential factor in the population's settlement decisions. Third, the relationship between gross industrial output and demographic indicators in the Karabakh economic region (r≈0.94) is stronger than in East Zangezur (r≈0.81), which is due to the larger and faster development of industrial production in Karabakh.

ASSESSMENT OF EMPLOYMENT POTENTIAL IN INDUSTRIAL PARKS

One of the main conditions for sustainable demographic settlement in the liberated territories is the creation of stable jobs. The Agdam Industrial Park and the Araz Valley Economic Zone Industrial Park demonstrate different development rates in this direction (Table 12). Actual employment in the Agdam Industrial Park has approached 1,000 people, which is about half of the planned 2,000+ jobs; when the park is fully operational, the number of people who will work here is projected to reach 2,300. In the Araz Valley Economic Zone, actual employment does not yet exceed 100, and less than 10% of the planned 950+ jobs have been filled; this difference is explained by the fact that a significant part of the residents are still at the construction and design stages.

Table 12. Employment indicators in the Agdam Industrial Park and the Araz Valley Economic Zone (2025)

Indicator	Agdam Industrial Park	Araz Valley Economic Zone
Resident / non-resident enterprise	32 / 5	19 / 3
Actual number of employees, people	~1000	~100
Planned workplace, people	2000+	950+
Attracted investment	1.4 billion manat product sales	43.8 million manat

Mənbə:Adıgözəlov, 2026

From a comparative perspective, the combined full-capacity employment potential of both parks (over 3,000) is almost equal to the current population of 3,009 in Lachin district (Asadov, 2024). This figure suggests that the industrial parks could theoretically create enough jobs for the current population size; however, this potential would need to be significantly expanded for the expected return mass across the region.

CAUSE-EFFECT ANALYSIS OF THE LOW SETTLEMENT RATE

Despite the strong statistically proven correlation, there is still a significant gap between potential and actual settlement: as of January 1, 2025, the East Zangezur economic region accounted for only 3.0% of the country's population, while Karabakh accounted for 7.3%. Four main structural reasons lie behind this gap.

Mine risk. Over 240,000 hectares of land were cleared of mines during 2020–2025, and over 227,000 mines were neutralized; however, mines caused 30 deaths in the last year alone (Ministry of Economy, 2024).

Limited employment opportunities. The number of jobs created in the industrial parks of the Agdam and Araz Valley Economic Zones is still insufficient to meet the employment needs of hundreds of thousands of internally displaced persons who wish to return to the region.

Incomplete social infrastructure. Settlement behavior is strongly linked not only to physical conditions (house, road, electricity), but also to social conditions (school, hospital, public transport); since not all services are restored at the same time, the first returnees fall into the position of "experimental residents".

Psycho-demographic factor. Thirty years of forced migration have brought up a new generation; for these people, Karabakh has become a concept of "ancestral homeland" with high emotional value, but far from the substance of everyday life, which acts as a brake on migration, especially in the 30–45 age group.

These four factors form a chain reaction: mine danger → unused agricultural lands → lack of jobs → late formation of social infrastructure → strengthening of psychological barriers → slowdown in settlement. Nevertheless, the statistical analysis clearly shows that industrial investments are the main driving force in the demographic revival of the region.

RESULT

This study statistically and correlationally validates the relationship between industrial development and demographic processes in Azerbaijan's liberated Karabakh and East Zangezur economic regions. Between 2020 and 2024, the total volume of industrial products increased 2.76 times in the Karabakh economic region and more than 35 times in the East Zangezur economic region; during this period, the number of enterprises increased 1.86 and 2.92 times, respectively. In parallel, the population increased by 4.50% in Karabakh and 2.68% in East Zangezur, and the employment rate in both regions exceeded 92%.

A comparative analysis of the experience of post-conflict reconstruction shows that industrial employment should precede infrastructure reconstruction: In Georgia's Shida Kartli region, a reconstruction policy consisting solely of housing construction was insufficient to retain the population, and residents migrated again due to a lack of job creation. While Bosnia's excessive reliance on foreign aid created a long-term dependency effect, Azerbaijan's model financed by domestic resources eliminates this trap.

The main scientific result of the study is that there is a statistically proven, almost perfect correlation between industrial development and demographic revitalization in the liberated areas ($r=0.9980$ in Karabakh). This result shows that every additional investment in industrial parks and entrepreneurial activities not only creates jobs but also activates the demographic mechanism that increases the population. Therefore, in planning the next phase of the "First State Program on the Great Transformation," it is recommended that industrial investments and demographic targets be defined simultaneously in a single policy document. In particular, the fact that the industrial-demographic relationship is weaker in Eastern Zangezur than in Karabakh indicates the need for industrial diversification, acceleration of agricultural-industrial clusters, and completion of social infrastructure in this region. The creation of a real-time monitoring system to continuously track the industrial-demographic relationship across the two economic regions could be an additional tool to scientifically support future policy decisions.

REFERENCES

1. Adıgözəlov, S., 2026, Ağdam və "Araz Vadisi İqtisadi Zonası" sənaye parklarına investisiya qoyuluşunun məbləği açıqlanıb. Report.az (elektron resurs), 24 fevral.
2. AR Prezidentinin Fərmanı, 2021, Ağdam Sənaye Parkının yaradılması haqqında (elektron resurs), 28 may.
3. Azərbaycan İnvestisiya Şirkəti (AİC), 2024, Azərbaycan İnvestisiya Şirkətinin hesabatı. Rəsmi hesabat (elektron resurs).
4. Dövlət Statistika Komitəsi (DSK), 2024, Azərbaycan Respublikasının regionları: sosial-iqtisadi göstəricilər. Bakı: DSK (elektron resurs).
5. Dövlət Statistika Komitəsi (DSK), 2025, Azərbaycanda əhalinin sayı açıqlanıb. Bakı: DSK (elektron resurs).
6. Əliyev, Ə.B., 2019, Tədqiqat metodları. Bakı: AzMİU, səh. 58.
7. Əsədov, N., 2024, Laçın rayonunda məskunlaşma vəziyyəti haqqında. Sherg.az (elektron resurs), 12 iyul.
8. İqtisadiyyat Nazirliyi, 2024, Postmünaqişə dövründə dövlətin Qarabağ və Şərqi Zəngəzurda apardığı bərpa siyasəti üzrə hesabat (elektron resurs).
9. Məmmədov, M.A., Məmmədova, F.Ə., Əlizadə, Ş.İ., 2022, Strateji menecment. Bakı: AzMİU Nəşriyyat-Poliqrafiya Mərkəzi, səh. 13.

ეკა ჩოხელი
დავით ნარმანია
მანანა ხარხელი
ნინო ვარდიაშვილი
მიხეილ მაკასარაშვილი
მიხეილ მაჩიტიძე
თემურ თორდინავა

ენერგოინფრასტრუქტურის მართვა: არსებული მდგომარეობა და მართვის გამოწვევები საქართველოს ქალაქებში[24]

ანოტაცია. *ქალაქების მდგრადი განვითარების პირობებში ენერგოინფრა-სტრუქტურის ეფექტიანი მართვა სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობით, არამედ ფინანსური, ადამიანური, ინსტიტუციური და მენეჯერული შესაძლებლობებით. კვლევის მიზანია საქართველოს ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობისა და მისი მართვის ძირითადი გამოწვევების შეფასება დაინტერესებულ მხარეთა ხედვების საფუძველზე. კვლევა ეფუძნება 105 რესპონდენტის გამოკითხვას და მოიცავს თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის კონტექსტს, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და რეგიონების წარმომადგენელთა შეფასებებს. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი სტატისტიკური მეთოდები, მათ შორის სიხშირეები, პროცენტული განაწილებები, რანჟირება და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების შედარება; ღია პასუხები გაანალიზებულია თემატური კონტენტ-ანალიზის საფუძველზე. შედეგები*

[24] სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფუნდამენტური კვლევებისათვის კონკურსის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „ენერგოინფრასტრუქტურის მზაობისა და ჭკვიანი ქალაქების განვითარების შესაძლებლობების კვლევა საქართველოს კონტექსტში (FR-25-4852)“ ფარგლებში.

აჩვენებს, რომ რესპონდენტთა 60.0% ენერგოინფრასტრუქტურის მიმდინარე მდგომარეობას დადებითად აფასებს, ხოლო 69.5% ჭკვიანი ქალაქის (Smart City) ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალს მაღალ დონეზე მიიჩნევს. ამავე დროს, ინფრასტრუქტურული და ჭკვიანი ქალაქის პროექტების განხორციელების მთავარ დაბრკოლებებად გამოიკვეთა ფინანსური რესურსების ნაკლებობა (81.0%), კვალიფიციური ადამიანური რესურსის დეფიციტი (67.6%) და საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა (46.7%), ასევე ინსტიტუციური კოორდინაციისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის, შესყიდვის, შესრულებისა და ზედამხედველობის ხარისხი. კვლევის შედეგები ქმნის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ საფუძველს ქალაქების ენერგოინფრასტრუქტურის მართვისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ენერგოინფრასტრუქტურის მართვა; ურბანული ენერგოსისტემები; ენერგოეფექტურობა; ჭკვიანი ქალაქი (Smart City); ინსტიტუციური შესაძლებლობები; დაინტერესებული მხარეები; საქართველო.*

შესავალი

თანამედროვე ქალაქების მდგრადი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ენერგოინფრასტრუქტურის საიმედოობაზე, ეფექტიან მართვასა და განვითარების შესაძლებლობებზე. ენერგიის მოხმარების ზრდა, ელექტრიფიკაცია, განაწილებული ენერგიის წყაროების განვითარება, ელექტრომობილობა, ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაცია ქალაქის ენერგო-სისტემების მიმართ ახალ მოთხოვნებს ქმნის. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურა აღარ განიხილება მხოლოდ ფიზიკური ქსელებისა და ობიექტების ერთობლიობად; მისი ეფექტიანი ფუნქციონირება დაკავშირებულია მონიტორინგთან, მონაცემთა გამოყენებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, ოპერაციულ კოორდინაციასა და მენეჯერულ გადაწყვეტილებებთან (IEA, 2024; Zheng et al., 2024).

ქალაქის ენერგოინფრასტრუქტურის მართვა მოიცავს ენერგიის წარმოების, გარდაქმნის, გადაცემის, განაწილების, დაგროვებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფიზიკური და ციფრული აქტივების დაგეგმვას, ექსპლუატაციას, მონიტორინგს, განახლებასა და განვითარებას. შესაბამისად, მართვის ხარისხი განისაზღვრება არა მხოლოდ ტექნიკური მდგომარეობით, არამედ რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, პასუხისმგებლობების განაწილებით, მონაცემთა ხელმისაწვდომობითა და სხვადასხვა მონაწილეს შორის კოორდინაციით.

ენერგოსისტემების გაციფრულება ერთდროულად ზრდის მართვის შესაძლებლობებსა და ახალ რისკებს წარმოშობს. ჭკვიანი აღრიცხვა, მონიტორინგის სისტემები, ავტომატიზებული კონტროლი და მონაცემთა ანალიტიკა აუმჯობესებს სისტემის დაკვირვებადობასა და ოპერაციულ მართვას, თუმცა ზრდის მოთხოვნას სისტემების ურთიერთთავსებადობაზე, მონაცემთა ხარისხსა და კიბერუსაფრთხოებაზე (Mahmood et al., 2024; Monaco et al., 2024; Strasser et al., 2024). ამდენად, ენერგოინფრასტრუქტურის ციფრული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ მენეჯერული და ინსტიტუციური ამოცანაა.

მნიშვნელოვანია ასევე სისტემის მდგრადობა და რეზილიენტობა. თანამედროვე ქალაქებში ენერგიის მიწოდების შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს ფართო გავლენა ტრანსპორტის, მუნიციპალური სერვისების, სამრეწველო საქმიანობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მართვის შეფასებისას აუცილებელია როგორც მიმდინარე მდგომარეობის, ისე სისტემის

მდგრადობისა და აღდგენის შესაძლებლობის გათვალისწინება. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის კვლევები ასევე მიუთითებს ენერგოუსაფრთხოებისა და სისტემური რეზილიენტობის ურთიერთკავშირზე (Chokheli et al, 2026).

ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარისხზე. ასეთი პროექტები მოითხოვს ფინანსურ რესურსებს, ტექნიკურ კომპეტენციას, მრავალ-აქტორულ კოორდინაციასა და კონტრაქტების ეფექტიან მართვას. შედეგიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ დაფინანსების არსებობით, არამედ საპროექტო მომზადების, ტექნიკური მოთხოვნების, შესყიდვის, კონტრაქტორის შერჩევის, შესრულების ვადების, ხარისხის ზედამხედველობისა და საბოლოო შედეგების კონტროლის ხარისხით. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების პრობლემები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საინჟინრო, ისე მენეჯერულ და ინსტიტუციურ გამოწვევებად.

საქართველოს ქალაქები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკური ფუნქციითა და ინფრასტრუქტურული საჭიროებებით: თბილისი ქვეყნის უდიდესი ურბანული და ადმინისტრაციული ცენტრია; რუსთავი გამოირჩევა სამრეწველო ფუნქციით; ბათუმი აერთიანებს ტურისტულ, ურბანულ და საპორტო საქმიანობას; ფოთი მნიშვნელოვანი საპორტო და ლოგისტიკური ცენტრია; ქუთაისი კი რეგიონული მნიშვნელობის ქალაქია. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის მართვის პრობლემები და განვითარების პრიორიტეტები ქალაქების მიხედვით ერთგვაროვანი ვერ იქნება.

საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო ქმნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ენერგიის უფრო ეფექტიანი გამოყენების საფუძველს. თუმცა პოლიტიკის რეალური შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ დონეზე განხორციელების შესაძლებლობაზე, ფინანსურ რესურსებზე, ადამიანურ კაპიტალზე, ადმინისტრაციულ კოორდინაციასა და პროექტების მართვის ხარისხზე. ამასთან, ენერგიის ხელმისაწვდომობა და ენერგეტიკული დანახარჯები დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთანაც (Narmania et al., 2025).

მიუხედავად ურბანული ენერგოსისტემების, ციფრულიზაციისა და ჭკვიანი ქალაქების შესახებ საერთაშორისო კვლევების ზრდისა, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა საქართველოს ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის მართვის არსებული მდგომარეობის დაინტერესებულ მხარეთა შეფასებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, როგორ აფასებენ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, რა მენეჯერულ და ინსტიტუციურ გამოწვევებს ხედავენ და რა პირობებს მიიჩნევენ მისი გაუმჯობესებისთვის აუცილებელად.

კვლევის ძირითადი პრობლემებია: როგორია ენერგოინფრასტრუქტურის აღქმული მდგომარეობა საქართველოს ქალაქებში, რა ძირითადი გამოწვევები ზღუდავს მის განვითარებას და რა ინსტიტუციური და ადმინისტრაციული მექანიზმებია საჭირო მართვის გასაუმჯობესებლად.

კვლევის მიზანია საქართველოს შერჩეულ ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობისა და მართვის ძირითადი გამოწვევების შეფასება დაინტერესებულ მხარეთა ხედვების საფუძველზე. კვლევის მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა შემდეგი კვლევის კითხვები:

1. როგორ აფასებენ დაინტერესებული მხარეები საქართველოს შერჩეულ ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობას?

2. რა ძირითადი მენეჯერული, ფინანსური, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და რეგულატორული გამოწვევები მოქმედებს მის განვითარებასა და მართვაზე?

3. განსხვავდება თუ არა შეფასებები დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფს შორის?

4. რა სახელმწიფო, ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ღონისძიებები მიაჩნიათ დაინტერესებულ მხარეებს აუცილებელად ენერგოინფრასტრუქტურის მართვის გასაუმჯობესებლად?

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქალაქების ენერგოინფრასტრუქტურის მართვის პრობლემების იდენტიფიცირების, რესურსების უფრო მიზნობრივი განაწილების, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები

ენერგოინფრასტრუქტურა თანამედროვე ქალაქის ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს, რადგან ენერგიის უწყვეტი, საიმედო და ეფექტიანი მიწოდება დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ საქმიანობასთან, ისე მუნიციპალური სერვისების, ტრანსპორტის, კომუნალური სისტემებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან. ენერგეტიკული სისტემების მზარდი სირთულე, ელექტრიფიკაციის გაფართოება, განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაცია, ელექტრომობილობის განვითარება და ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიების დანერგვა ქალაქის ენერგოინფრასტრუქტურის მართვის მიმართ ახალ მოთხოვნებს ქმნის (IEA, 2023, 2024).

ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებით, თანამედროვე ენერგოინფრასტრუქ-ტურის მართვა მხოლოდ ქსელებისა და ფიზიკური აქტივების ტექნიკური ექსპლუატაციით აღარ შემოიფარგლება. იგი მოიცავს ინფრასტრუქტურის დაგეგმვას, ტექნიკურ მომსახურებას, მოდერნიზაციას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რესურსების განაწილებას, რისკების მართვას, ინვესტიციების დაგეგმვასა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის კოორდინაციას. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ მისი ტექნიკური მახასიათებლებით, არამედ მისი მართვის ინსტიტუციური და ორგანიზაციული შესაძლებლობებით. Smart City-ის ენერგეტიკული კომპონენტის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაც ხაზს უსვამს ენერგიის წარმოების, შენახვის, ქსელების, შენობებისა და ტრანსპორტის ურთიერთდაკავშირებულ მართვას.

ქალაქებში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა მრავალდონიან სისტემას წარმოადგენს, რომელშიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლება, ენერგეტიკული კომპანიები, მუნიციპალური ორგანიზაციები, კერძო ბიზნესები და სხვა აქტორები. ამგვარი მრავალაქტორული გარემო ზრდის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილების, კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობას. თანამედროვე ურბანული ენერგოსისტემები ფიზიკური, ციფრული და სოციალური კომპონენტების ურთიერთქმედებაზეა დაფუძნებული, რაც ენერგიის მართვას უფრო ინტეგრირებულ და კომპლექსურ პროცესად აქცევს (Zheng et al., 2024).

ამრიგად, ენერგოინფრასტრუქტურის მართვა უნდა მოიცავდეს როგორც მიმდინარე ოპერაციული ეფექტიანობის, ისე გრძელვადიანი მდგრადობისა და

რეზილიენტობის უზრუნველყოფას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქებში, სადაც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს ფართო გავლენა სატრანსპორტო, მუნიციპალურ, სამრეწველო და სოციალური მომსახურებების ფუნქციონირებაზე.

ენერგეტიკული სისტემების ციფრულიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ინფრასტრუქტურის მართვის შესაძლებლობები. ჭკვიანი მრიცხველები, სენსორები, ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობები, ავტომატიზებული კონტროლის სისტემები და მონაცემთა ანალიტიკა ქმნის შესაძლებლობას, რომ ენერგიის წარმოება, განაწილება და მოხმარება უფრო დეტალურად იქნეს მონიტორინგებული და მიღებული ინფორმაცია ოპერაციულ გადაწყვეტილებებში იქნეს გამოყენებული. ტექნოლოგიური პროგრესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭკვიანი აღრიცხვის, ენერგოეფექტური შენობებისა და ელექტრომობილობის განვითარებისთვის.

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭკვიანი ქსელების, განახლებადი ენერგიის ინტეგრაციისა და მოთხოვნის მართვის გაუმჯობესებაში. თუმცა ციფრული ინსტრუმენტების ეფექტიანობა დამოკიდებულია მონაცემთა ხარისხზე, სისტემების ურთიერთთავსებადობაზე, კომუნიკაციის ინფრასტრუქტურასა და ორგანიზაციების შესაძლებლობაზე, რათა მიღებული მონაცემები გადაწყვეტილების პროცესში ეფექტიანად იქნეს გამოყენებული (Mahmood et al., 2024).

თანამედროვე აღრიცხვის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს დაბალი ძაბვის ქსელების მონიტორინგსა და ენერგომოხმარების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღებას (Pandraju et al., 2022). შესაბამისად, ენერგომონიტორინგი და აღრიცხვა შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ტექნიკური ინსტრუმენტები, არამედ როგორც ენერგოინფრასტრუქტურის მართვის ინფორმაციული საფუძველი. ამასთანავე, ციფრული სისტემების ფართო დანერგვა ზრდის ტექნოლოგიური ურთიერთთავსებადობის მნიშვნელობას. ჭკვიანი ენერგოსისტემების ეფექტიანი ინტეგრაციისთვის აუცილებელია სხვადასხვა ტექნოლოგიური კომპონენტის ურთიერთქმედებისა და მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობა (Strasser et al., 2024). შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისას ურთიერთთავსებადობა უნდა განიხილებოდეს როგორც მენეჯერული და არა მხოლოდ ტექნიკური საკითხი, რადგან ტექნოლოგიურად არათავსებადმა სისტემებმა შეიძლება გაზარდოს ხარჯები, გაართულოს ექსპლუატაცია და შეამციროს მომავალი გაფართოების შესაძლებლობა.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ციფრულიზაცია ზრდის მართვის შესაძლებლობებს, თუმცა ამავე დროს აჩენს ახალ რისკებს. ენერგოსისტემებში SCADA-სა და სხვა ოპერაციული ტექნოლოგიების, დისტანციური მონიტორინგისა და ციფრული კონტროლის გამოყენება ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის საიმედოობა უკვე დაკავშირებულია ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებასთან. IoT-ზე დაფუძნებული ენერგეტიკული სისტემები ზრდის მონიტორინგისა და მართვის შესაძლებლობებს, მაგრამ მათი ინტეგრაცია დაკავშირებულია კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა დაცვისა და ტექნოლოგიური საიმედოობის გამოწვევებთან (El-Afifi et al., 2024). საქართველოს ენერგეტიკული სექტორის კვლევა ასევე ადასტურებს ამ პრობლემის მნიშვნელობას. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მზარდი გაციფრულების პირობებში კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ენერგოსისტემის უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას (Narmania et al., 2026). შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის მართვის თანამედროვე მოდელში კიბერუსაფრთხოება არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ IT-საკითხი – იგი

წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მართვის, ოპერაციული რისკისა და ორგანიზაციული პასუხისმგებლობის ნაწილს.

ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების შედეგიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტიანად მოქმედებენ პასუხისმგებელი ორგანიზაციები. ინსტიტუციური შესაძლებლობები მოიცავს პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას, ადამიანურ რესურსებს, ტექნიკურ ცოდნას, ფინანსურ შესაძლებლობებს, მონაცემთა მართვის უნარს და პროექტების განხორციელების პროცესის ორგანიზებას.

ენერგეტიკული ქსელების ციფრულიზაციის ბარიერების ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და რეგულატორულ ფაქტორებზე (Monaco et al., 2024). ეს მიუთითებს, რომ ინფრასტრუქტურული ტრანსფორმაციის წარმატება ვერ განისაზღვრება მხოლოდ ტექნოლოგიური გადაწყვეტილების არჩევით. ინსტიტუციური გამოწვევების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებასთან. პროექტის დროული და ხარისხიანი შესრულება მოითხოვს სწორ საპროექტო მომზადებას, ტექნიკური მოთხოვნების მკაფიო ფორმულირებას, კონტრაქტორის შესაბამისობის შეფასებას, ვადებისა და ხარისხის კონტროლს, ზედამხედველობასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ამ თვალსაზრისით, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანება, არასრული შესრულება ან ხარისხის პრობლემები შეიძლება განიხილებოდეს როგორც პროექტების მართვისა და საჯარო მენეჯმენტის მნიშვნელოვანი გამოწვევა.

ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა ქსელების მოდერნიზაცია, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა ან ციფრული სისტემების დანერგვა. შესაბამისად, დაფინანსების ხელმისაწვდომობა, საინვესტიციო დაგეგმვა და რესურსების ეფექტიანი განაწილება ენერგოინფრასტრუქტურის მართვის ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტად გვევლინება.

ამასთან, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობით. საქართველოში ენერგეტიკული დანახარჯები და ენერგიის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური განზომილებაა (Narmania et al., 2025). აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული გადაწყვეტილებები საბოლოოდ დაკავშირებულია ენერგიის ხელმისაწვდომობასთან და მომხმარებელთა კეთილდღეობასთან.

აქედან გამომდინარე, ენერგოინფრასტრუქტურის მენეჯმენტი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ სისტემის ტექნიკურ ეფექტიანობას, არამედ მომსახურების ხელმისაწვდომობის, ეკონომიკური მდგრადობისა და მომხმარებელთა ინტერესების საკითხებსაც.

ქალაქის ენერგოინფრასტრუქტურის მართვა ხშირად სცდება ერთი ორგანიზაციის კომპეტენციას. მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო უწყებები, ენერგეტიკული კომპანიები, კერძო ბიზნესი, სამოქალაქო სექტორი და ექსპერტები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და ფუნქციონირების პროცესში. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის ეფექტიანი მართვა მოითხოვს პასუხისმგებლობების კოორდინაციას, ინფორმაციის გაზიარებასა და თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერებას.

ენერგოსისტემის სხვადასხვა კომპონენტის ინტეგრირებული მართვა მრავალაქტორული თანამშრომლობის მნიშვნელობას ზრდის (Zheng et al., 2024). ანალოგიურად, ურბანული ენერგეტიკული ტრანსფორმაციის განხორციელება მოითხოვს ქალაქის სხვადასხვა ინსტიტუტსა და დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობას, მონაცემთა გაზიარებასა და კოორდინირებულ დაგეგმვას (IEA, 2024). ურბანული ენერგეტიკული დაგეგმვის თანამედროვე მიმოხილვები ასევე მიუთითებს, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად პოლიტიკის, რეგულირების, უსაფრთხოების, მდგრადობისა და ხელმისაწვდომობის საკითხები ჭკვიანი ქალაქის (Smart City) პროექტების წარმატებისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებს, როდესაც ქალაქის ენერგეტიკულ პროფილზე გავლენას ახდენს ისეთი ობიექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის პირდაპირ კონტროლში არ იმყოფება. ინდუსტრიული საწარმოები, პორტები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და კერძო კომერციული ობიექტები შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდეს ადგილობრივ ენერგომოხმარებას. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის მართვა საჭიროებს საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებისა და თანამშრომლობის შესაბამის მექანიზმებს.

საქართველოს ქალაქები ერთმანეთისგან განსხვავდება ზომით, ეკონომიკური ფუნქციით, ინდუსტრიული და საპორტო საქმიანობის მოცულობით, ტურიზმის ინტენსივობითა და ინფრასტრუქტურული თავისებურებებით. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის მართვის გამოწვევებიც ერთგვაროვანი ვერ იქნება. თბილისში ენერგოინფრასტრუქტურის მართვა დაკავშირებულია დიდი ურბანული სისტემის ფუნქციონირებასთან და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საჭიროებასთან. რუსთავში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამრეწველო ენერგომომხმარებლების ინფრასტრუქტურა. ბათუმისა და ფოთის შემთხვევაში დამატებით მნიშვნელოვანია საპორტო და ლოგისტიკური ობიექტების ენერგეტიკული ფუნქცია, ხოლო ქუთაისში – მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და ენერგომონაცემების მართვის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში ფართოდ არის შესწავლილი ურბანული ენერგოსისტემების ციფრულიზაცია, ენერგეტიკული ქსელების მოდერნიზაცია, მდგრადობა და ჭკვიანი ენერგოტექნოლოგიები, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა საქართველოს ქალაქების ენერგოინფრასტრუქტურისა და მისი მართვის არსებული მდგომარეობის დაინტერესებულ მხარეთა შეფასებაზე დაფუძნებულ შედარებით ანალიზს. განსაკუთრებით ნაკლებად არის შესწავლილი, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, რა მართვით გამოწვევებს გამოყოფენ და რა ინსტიტუციურ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს მიიჩნევენ გაუმჯობესებისთვის აუცილებელად.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მიდგომებს და მიზნად ისახავს საქართველოს ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და მისი მართვის ძირითადი გამოწვევების შეფასებას დაინტერესებულ მხარეთა ხედვების საფუძველზე. ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს 2026 წელს ჩატარებული სტრუქტურირებული გამოკითხვა, რომელშიც მიღებულია **105** სრულად შევსებული პასუხი. რესპონდენტები დაკავშირებული არიან ადგილობრივ და სახელმწიფო მმართველობასთან, ენერგეტიკულ სექტორთან, კერძო ბიზნესთან, აკადემიურ და საექსპერტო საქმიანობასთან.

კვლევა არ წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობით სოციოლოგიურ გამოკითხვას. მისი მიზანია პროფესიული და ინსტიტუციური

გამოცდილების მქონე დაინტერესებულ მხარეთა შეფასებების გამოვლენა. შესაბამისად, შედეგები ინტერპრეტირდება როგორც დაინტერესებულ მხარეთა აღქმებზე დაფუძნებული მტკიცებულება და არა საქართველოს მთელი მოსახლეობის დამოკიდებულების სტატისტიკური განზოგადება.

ძირითადი კვლევითი კონტექსტია თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც. ქალაქების მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობის არათანაბარი განაწილების გამო ცალკეული ქალაქების შედეგები ძირითადად აღწერით დონეზე განიხილება.

ენერგოინფრასტრუქტურა კვლევაში განისაზღვრება როგორც ენერგიის წარმოების, გარდაქმნის, გადაცემის, განაწილების, დაგროვებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების უზრუნველმყოფი ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა. ამასთან, კვლევაში გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ რესპონდენტები ენერგოინფრასტრუქტურას ზოგჯერ უფრო ფართო ურბანული ინფრასტრუქტურის კონტექსტში აღიქვამენ. ამიტომ წყალმომარაგება, ტრანსპორტი, ქუჩის განათება და სხვა სისტემები განხილულია შესაბამის კონტექსტში, თუმცა ტექნიკურად გამოყოფილია ენერგოინფრასტრუქტურის უშუალო კომპონენტებისგან.

კითხვარი მოიცავდა დახურულ, მრავალპასუხიან და ღია კითხვებს. შეფასებული იყო ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა, განვითარების პრიორიტეტები, ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიების პოტენციალი და მზადყოფნა, მართვის ბარიერები, მონაწილე მხარეები, მმართველობითი მხარდაჭერის საჭიროებები და განვითარების სამომავლო მოლოდინი.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ეფუძნება აღწერით სტატისტიკას – აბსოლუტურ სიხშირეებსა და პროცენტულ განაწილებებს. მრავალპასუხიან კითხვებში თითოეული ვარიანტი დამოუკიდებლად განიხილება, პრიორიტეტებისა და ბარიერების შესაფასებლად გამოყენებულია რანჟირება, ხოლო სხვადასხვა ჯგუფის პოზიციების შესადარებლად — კროსტაბულაციური მიდგომა. ღია კითხვების პასუხები გაანალიზებულია თემატური კონტენტ-ანალიზის საფუძველზე. ამან შესაძლებელი გახადა რაოდენობრივი შედეგების შევსება რესპონდენტთა თავისუფალი მოსაზრებებით და დამატებითი მენეჯერული პრობლემების გამოვლენა.


კვლევის ძირითადი ცვლადებია: ენერგოინფრასტრუქტურის აღქმული მდგომარეობა; განვითარების პრიორიტეტები; ენერგოეფექტურობის ღონისძიებები; ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიების პოტენციალი და მზადყოფნა; ფინანსური, ადამიანური, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და რეგულატორული ბარიერები; მმართველობითი მხარდაჭერის საჭიროება და მომდევნო ხუთი წლის განვითარების მოლოდინი.

კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა. პირველ რიგში, 105 რესპონდენტი არ იძლევა მთელ მოსახლეობასთან განზოგადების შესაძლებლობას. მეორე, ქალაქების მიხედვით ნიმუში არათანაბარია. მესამე, კვლევა ზომავს აღქმულ მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ობიექტური ტექნიკური აუდიტის ან ოფიციალური ინფრასტრუქტურული ინდიკატორებისგან. მიუხედავად ამისა, მრავალსექტორული პროფესიული რესპონდენტების მონაწილეობა კვლევას მნიშვნელოვან დამატებით მტკიცებულებით ღირებულებას ანიჭებს.

კვლევის შედეგები და განხილვა

კვლევაში მონაწილეობდა 105 რესპონდენტი სხვადასხვა ინსტიტუციური და პროფესიული ჯგუფიდან (დიაგრამა 1). ყველაზე დიდი ჯგუფია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები – 55 რესპონდენტი (52.4%), შემდეგ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები – 20 (19.0%), ენერგეტიკული კომპანიები – 11 (10.5%), აკადემიური და კვლევითი სექტორი – 9 (8.6%), კერძო სექტორი – 5 (4.8%), დამოუკიდებელი ექსპერტები/კონსულტანტები – 4 (3.8%) და ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი – 1 (1.0%). ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ერთად ნიმუშის 71.4%-ს შეადგენენ.


დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება საქმიანობის სფეროს მიხედვით



წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

რესპონდენტთა გეოგრაფიული განაწილება ასევე არ არის თანაბარი (დიაგრამა 2). ყველაზე მეტი პასუხი მიღებულია ქუთაისთან დაკავშირებული რესპონდენტებისგან – 47 (44.8%), შემდეგ რუსთავიდან – 24 (22.9%) და თბილისიდან – 13 (12.4%). ბათუმსა და ფოთზე მოდის შესაბამისად 5-5 პასუხი (4.8% თითოეულზე), ხოლო დანარჩენი 11 პასუხი (10.5%) სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებზე ნაწილდება. შესაბამისად, ქალაქების მიხედვით მიღებული შედეგები უნდა განიხილებოდეს აღწერით კონტექსტში და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც თითოეული ქალაქის მოსახლეობის ან ყველა ინსტიტუციური ჯგუფის წარმომადგენლობითი შეფასება.


დიაგრამა 2. რესპონდენტთა განაწილება ქალაქების მიხედვით



წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

ენერგოინფრასტრუქტურის მიმდინარე მდგომარეობა რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ დადებითად ფასდება (დიაგრამა 3). 51 რესპონდენტი (48.6%) მდგომარეობას აფასებს როგორც „კარგს“, ხოლო 12 (11.4%) – „ძალიან კარგს“. შესაბამისად, დადებითი შეფასება შეადგენს 60.0%-ს. 33 რესპონდენტი (31.4%) მდგომარეობას საშუალოდ აფასებს, 8 (7.6%) – სუსტად, ხოლო 1 (1.0%) – ძალიან სუსტად. შედეგი მიუთითებს, რომ ენერგოინფრასტრუქტურა მთლიანად პრობლემურ მდგომარეობად არ აღიქმება, თუმცა დაახლოებით მესამედის მიერ საშუალო შეფასება მიუთითებს მოდერნიზაციისა და მართვის გაუმჯობესების საჭიროებაზე.


დიაგრამა 3. ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის შეფასება



წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

რაც შეეხება ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების შეფასებას (დიაგრამა 4), ყველაზე ხშირად დასახელდა ელექტროენერგიის მომარაგება – 37 პასუხი (35.2%) და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა – 33 (31.4%). გათბობის ინფრასტრუქტურა დასახელდა 17 შემთხვევაში (16.2%), ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურა – 11 შემთხვევაში (10.5%), ხოლო დანარჩენი პასუხები დაკავშირებული იყო ფართო ურბანულ ინფრასტრუქტურასთან, მათ შორის გზებთან, კანალიზაციასთან, სანიაღვრე და სატრანსპორტო სისტემებთან. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ქსელები ენერგოინფრასტრუქტურის უშუალო კომპონენტებია, ხოლო წყალმომარაგება და სხვა ჩამოთვლილი სისტემები უფრო ფართო ურბანული ინფრასტრუქტურის ნაწილია. მათი ერთიან კონტექსტში მოხსენიება მიუთითებს, რომ დაინტერესებული მხარეები ქალაქის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას ურთიერთდაკავშირებულ სისტემად აღიქვამენ.


დიაგრამა 4. ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებები



წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ყველაზე პრიორიტეტულ ღონისძიებად დასახელდა ენერგოეფექტური შენობების განვითარება – 66 რესპონდენტი (62.9%), ხოლო ჭკვიანი აღრიცხვის განვითარება – 65 (61.9%) (დიაგრამა 5). განახლებადი ენერგიის გამოყენების გაფართოებას მხარს უჭერს 53 რესპონდენტი (50.5%), ენერგომოხმარების მონიტორინგისა და მართვის სისტემებს – 47 (44.8%), ხოლო ჭკვიან გარე განათებას – 40 (38.1%). შედეგები მიუთითებს, რომ ენერგოეფექტურობა რესპონდენტთა აღქმაში მხოლოდ მოხმარების შემცირებას არ ნიშნავს და მოიცავს შენობების გაუმჯობესებას, ჭკვიან აღრიცხვას, განახლებად ენერგიასა და ენერგომონიტორინგს. შესაბამისად, ენერგოეფექტურობა აღქმულია როგორც ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და მენეჯერული გაუმჯობესების ერთობლივი შედეგი.

დიაგრამა 5. ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისათვის პრიორიტეტული ღონისძიებები




შენიშვნა: კითხვა მრავალპასუხიანი იყო. შესაბამისად, პროცენტული წილების ჯამი აღემატება 100%-ს.
წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალი ძირითადად დადებითად ფასდება (დიაგრამა 6). 61 რესპონდენტს (58.1%) პოტენციალი შეფასებული

აქვს როგორც მაღალი, ხოლო 12 (11.4%) – როგორც ძალიან მაღალი. შესაბამისად, მაღალი ან ძალიან მაღალი შეფასება 69.5%-ს შეადგენს. საშუალო შეფასება აქვს 24 რესპონდენტს (22.9%), დაბალი – 6-ს (5.7%), ხოლო ძალიან დაბალი – 2-ს (1.9%). ქალაქის/რეგიონის ჭკვიანი ქალაქების განვითარების მზადყოფნასთან დაკავშირებით 57 რესპონდენტმა (54.3%) აღნიშნა, რომ ქალაქი მეტწილად მზად არის, ხოლო 18-მა (17.1%) – სრულად მზად. შესაბამისად, დადებითი შეფასება 71.4%-ს შეადგენს. 24 რესპონდენტი (22.9%) ქალაქს ნაწილობრივ მზადყოფნად აფასებს, ხოლო დაბალი მზადყოფნა მხოლოდ 5.8%-ში ფიქსირდება.

ეს შედეგები მიუთითებს, რომ დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით საქართველოს ქალაქებში ჭკვიანი ტექნოლოგიების განვითარების პოტენციალი და ინსტიტუციური მზადყოფნა ძირითადად მაღალია, თუმცა შემდგომი შედეგები აჩვენებს, რომ ამ პოტენციალის რეალიზებას მნიშვნელოვანი რესურსული და მმართველობითი შეზღუდვები ახლავს.

დიაგრამა 6. ჭკვიანი ქალაქის (Smart City) ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალისა და ქალაქის მზადყოფნის შეფასება




წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიების პრიორიტეტულ სფეროებს შორის პირველ ადგილზეა ნარჩენების მართვა – 76 რესპონდენტი (72.4%), შემდეგ ტრანსპორტი – 68 (64.8%) (დიაგრამა 7). ელექტროენერგეტიკა დასახელდა 51 შემთხვევაში (48.6%), გარემოს მონიტორინგი – 50-ში (47.6%), ურბანული მმართველობა – 39-ში (37.1%), წყალმომარაგება – 37-ში (35.2%), ხოლო ქუჩის განათება – 26-ში (24.8%).

აღნიშნული შედეგები აჩვენებს, რომ Smart City-ის კონცეფცია რესპონდენტთა აღქმაში ფართო ურბანულ მმართველობას მოიცავს. ელექტროენერგეტიკის მნიშვნელობასთან ერთად მაღალი პრიორიტეტი ენიჭება ნარჩენების მართვას, ტრანსპორტსა და გარემოს მონიტორინგს, რაც მიუთითებს ქალაქის ციფრული განვითარების მრავალსექტორულ ხასიათზე.

დიაგრამა 7. ჭკვიანი ქალაქის (Smart City) ტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტული სფეროები




შენიშვნა: კითხვა მრავალპასუხიანი იყო; პროცენტული წილების ჯამი აღემატება 100%-ს.
წყარო: ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.

ჭკვიანი ქალაქების პროექტების წარმატებაში ყველაზე მნიშვნელოვან მონაწილეებად დასახელდა ადგილობრივი თვითმმართველობა — 87 პასუხი (82.9%) და სახელმწიფო — 84 (80.0%) (დიაგრამა 8). ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია 47 რესპონდენტისთვის (44.8%), კერძო სექტორის — 43-ისთვის (41.0%), საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების — 41-ისთვის (39.0%), ხოლო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების — 39-ისთვის (37.1%). არასამთავრობო ორგანიზაციები დასახელდა 9 შემთხვევაში (8.6%).

შედეგები მიუთითებს, რომ ჭკვიანი ქალაქების განვითარება უპირველესად საჯარო მმართველობის პასუხისმგებლობად აღიქმება, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია სხვა აქტორების — ბიზნესის, მოქალაქეების, საერთაშორისო პარტნიორებისა და ცოდნის ინსტიტუტების — ჩართულობაზეც.

დიაგრამა 8. ჭკვიანი ქალაქის (Smart City) პროექტების განხორციელებაში მნიშვნელოვანი მონაწილეები




შენიშვნა: *კითხვა მრავალპასუხიანი იყო.*
წყარო: *ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.*

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო შედეგია ენერგოეფექტური და ჭკვიანი ქალაქების პროექტების ძირითადი ბარიერების შეფასება (დიაგრამა 9). პირველ ადგილზეა ფინანსური რესურსების ნაკლებობა – 85 რესპონდენტი (81.0%), მეორე ადგილზე – კვალიფიციური კადრების ნაკლებობა – 71 (67.6%). საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა დასახელდა 49 შემთხვევაში (46.7%), ტექნოლოგიური შეზღუდვები – 36-ში (34.3%), ინსტიტუციური კოორდინაციის ნაკლებობა — 29-ში (27.6%), ხოლო საკანონმდებლო და რეგულაციური ბარიერები – 16-ში (15.2%).

ამრიგად, ძირითადი შეზღუდვები უფრო მეტად დაკავშირებულია ფინანსურ, ადამიანურ და ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან, ვიდრე მხოლოდ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რადგან თანამედროვე ენერგეტიკული და ციფრული სისტემების მართვა მოითხოვს როგორც ტექნიკურ, ისე მენეჯერულ კომპეტენციებს.

ინსტიტუციური კოორდინაციის ნაკლებობის არსებობა ასევე მიუთითებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატება მხოლოდ დაფინანსებაზე არ არის დამოკიდებული და მოითხოვს პასუხისმგებელ უწყებებსა და სხვა მონაწილეებს შორის კოორდინირებულ მოქმედებას.

დიაგრამა 9. ენერგოეფექტური და ჭკვიანი ქალაქის (Smart City) პროექტების განხორციელების ძირითადი ბარიერები




შენიშვნა: *კითხვა მრავალპასუხიანი იყო; პროცენტული წილების ჯამი აღემატება 100%-ს.*
წყარო: *ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.*

ღია პასუხების თემატურმა ანალიზმა დახურული კითხვების შედეგები გააძლიერა. ყველაზე ხშირად გამოიკვეთა ფინანსური რესურსების მობილიზაციის, კვალიფიციური ადამიანური რესურსის განვითარების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება. ასევე აღინიშნა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვა, ინსტიტუციური კოორდინაცია და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. აღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ ფინანსური რესურსების ზრდა განიხილება აუცილებელ, თუმცა არასაკმარის პირობად. რესპონდენტები მის პარალელურად მოითხოვენ პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას, მონაცემთა გამოყენებას, ინსტიტუციურ თანამშრომლობასა და საზოგადოებრივ ჩართულობას.

ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად დადებითად ფასდება (დიაგრამა 10). 54 რესპონდენტი (51.4%) ელოდება ზომიერ გაუმჯობესებას, ხოლო 40 (38.1%) – მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. შესაბამისად, 89.5% ელოდება გარკვეული ხარისხით გაუმჯობესებას. 10 რესპონდენტი (9.5%) მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელოდება, ხოლო მხოლოდ 1 (1.0%) პროგნოზირებს მნიშვნელოვან გაუარესებას.

დიაგრამა 10. ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში



წყარო: *ავტორის მიერ დამუშავებული კვლევის მონაცემები.*

რესპონდენტთა ღია პასუხებში ენერგოინფრასტრუქტურისა და ჭკვიანი ქალაქების განვითარება დაკავშირებულია ენერგოეფექტურ შენობებთან, განახლებად ენერგიასთან, ენერგომონიტორინგთან, ავტომატიზაციასთან, ეკოლოგიურ ტრანსპორტთან, ციფრულ მუნიციპალურ სერვისებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ მართვასთან. ამასთან, გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიანი დაგეგმვის, განხორციელების, ზედამხედველობისა და შედეგების მონიტორინგის მნიშვნელობა.

შედეგად, კვლევა აჩვენებს, რომ სამი ძირითადი ტენდენციიდან **პირველი**, ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა, ძირითადად დადებითად ფასდება, თუმცა გაუმჯობესების საჭიროება რჩება; **მეორე**, ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიებისა და ენერგოეფექტურობის განვითარების პოტენციალი და მომავლის მოლოდინი მაღალია; **მესამე**, ამ პოტენციალის რეალიზაციის მთავარი შეზღუდვები ფინანსურ რესურსებს, ადამიანურ კაპიტალსა და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს უკავშირდება.

მიღებული შედეგები შეესაბამება თანამედროვე ლიტერატურაში არსებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ურბანული ენერგოსისტემები ურთიერთდაკავშირებული ფიზიკური, ციფრული და ორგანიზაციული სისტემებია და მათი მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ დაგეგმვას, კოორდინაციასა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს (IEA, 2023, 2024; Zheng et al., 2024). რესპონდენტთა შედარებით დადებითი შეფასება მიუთითებს არსებული სისტემების ფუნქციურ სტაბილურობაზე, ხოლო ფინანსური და ადამიანური რესურსების მაღალი მნიშვნელობა აჩვენებს, რომ მოდერნიზაცია ახალი მმართველობითი შესაძლებლობების გაძლიერებას მოითხოვს.

კვლევის შედეგები ასევე ადასტურებს მრავალსექტორული კოორდინაციის აუცილებლობას. ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო სექტორის მაღალი მნიშვნელობის პარალელურად რესპონდენტები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ კერძო სექტორს, მოქალაქეებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და აკადემიურ

ინსტიტუტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო-კერძო თანამშრომლობა ისეთ პროექტებში, სადაც ენერგომოხმარების მნიშვნელოვანი ობიექტები მუნიციპალიტეტის უშუალო კონტროლს სცდება.

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის თვალსაზრისით, ღია პასუხები მიუთითებს პროექტის სრული ციკლის გაუმჯობესების საჭიროებაზე – საჭიროების იდენტიფიცირებიდან და საპროექტო მომზადებიდან შესყიდვის, კონტრაქტის შესრულების, ტექნიკური ზედამხედველობისა და საბოლოო შეფასების ჩათვლით. შესაბამისად, პროექტების შესაძლო დაგვიანება ან ხარისხის პრობლემა მხოლოდ ტექნიკურ სირთულედ არ უნდა განიხილებოდეს; იგი ასევე შეიძლება მიუთითებდეს დაგეგმვის, შესყიდვების, კონტრაქტების მართვისა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების სისუსტეებზე.

ენერგოეფექტურობის მიმართულებით ენერგოეფექტური შენობების, ჭკვიანი აღრიცხვის განახლებადი ენერგიისა და ენერგომონიტორინგის მაღალი პრიორიტეტი მიუთითებს, რომ რესპონდენტები ენერგოეფექტურობას ფართო ტექნოლოგიურ და მენეჯერულ ტრანსფორმაციასთან აკავშირებენ. ამასთან, ენერგოეფექტურობის რეალური შედეგი დამოკიდებულია მონაცემების არსებობაზე, მოხმარების მონიტორინგზე, ტექნიკურ მომსახურებასა და მიღებული შედეგების შეფასებაზე.

ჭკვიანი ქალაქების მაღალი პოტენციალის მიუხედავად, ციფრულ ტრანსფორმაციას თან ახლავს სისტემების ურთიერთთავსებადობის, მონაცემთა ხარისხისა და კიბერუსაფრთხოების საკითხები. ამიტომ ციფრული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტებში კიბერუსაფრთხოება და მდგრადობა დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე უნდა იქნეს ინტეგრირებული.

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიგნებაა ენერგოინფრასტრუქტურის ფართო ურბანულ სისტემებთან დაკავშირებული აღქმა. წყალმომარაგების, ტრანსპორტის, ნარჩენების მართვისა და გარემოს მონიტორინგის მაღალი პრიორიტეტი მიუთითებს, რომ დაინტერესებული მხარეები ქალაქის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას ურთიერთდაკავშირებულ სისტემად აღიქვამენ. მართვის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყალმომარაგების, ნარჩენების მართვისა და მუნიციპალური სერვისების განცალკევებული დაგეგმვა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ოპტიმალურ შედეგს.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა დაინტერესებულ მხარეთა მიერ ძირითადად დადებითად ფასდება, თუმცა მისი შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზაციის საჭიროება კვლავ მაღალია. ამასთან, კვლევამ დაადასტურა, რომ ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება მხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლების საკითხი არ არის და მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მისი მართვის ხარისხზე.

კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიგნებად გამოიკვეთა, რომ ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან, კვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალთან და ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან. ეს მიუთითებს, რომ ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის წარმატებისთვის მხოლოდ დამატებითი ინვესტიციების მობილიზება საკმარისი არ არის. აუცილებელია შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების, ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და პროექტების მართვის მექანიზმების გაძლიერებაც.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დაინტერესებული მხარეები ჭკვიანი ქალაქების ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგეტიკული ტრანსფორმაციის მიმართ ძირითადად პოზიტიურად არიან განწყობილი. ამასთან, ტექნოლოგიური შესაძლებლობების რეალიზაცია მოითხოვს საჯარო და კერძო სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ენერგეტიკული კომპანიების, აკადემიური და საექსპერტო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ მონაწილეობას. შესაბამისად, ენერგოინფრასტრუქტურის ეფექტიანი მართვა უნდა ეფუძნებოდეს მრავალსექტორულ თანამშრომლობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარისხს. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პროექტების დაგეგმვა, საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი, საჯარო შესყიდვების პროცესი, კონტრაქტების შესრულების კონტროლი, ტექნიკური ზედამხედველობა და პროექტების დროული დასრულება ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების საერთო ეფექტიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის გაუმჯობესება უნდა განიხილებოდეს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მუნიციპალური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

სისტემების მოდერნიზაციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა ციფრული მართვის, მონაცემთა გამოყენების, ტექნიკური უსაფრთხოებისა და პროექტების პროფესიული მართვის კომპეტენციებზე. ამდენად, ინფრასტრუქტურული ინვესტიციები მიზანშეწონილია დაკავშირებული იყოს კადრების გადამზადებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებთან.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს ქალაქებში ენერგოინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და მართვის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია:

- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის გაძლიერება** – ქალაქების ენერგეტიკული საჭიროებების, ენერგომოხმარების პროფილებისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ რეალური მონაცემების სისტემატური გამოყენება;
- **ფინანსური და ადამიანური რესურსების განვითარება** – დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია და ენერგეტიკული, ტექნოლოგიური და პროექტების მართვის კომპეტენციების გაძლიერება;
- **ინფრასტრუქტურული პროექტების სრული ციკლის მართვის გაუმჯობესება** – საპროექტო მომზადებიდან შესყიდვის, კონტრაქტის შესრულებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჩათვლით;
- **საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერება** – ინფორმაციის გაცვლის, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებისა და ერთობლივი დაგეგმვის მექანიზმების განვითარება;
- **მონაცემებზე დაფუძნებული და უსაფრთხო ენერგოსისტემების განვითარება** – ენერგომონიტორინგის, ჭკვიანი აღრიცხვის, ციფრული მართვის, სისტემების ურთიერთთავსებადობისა და კიბერუსაფრთხოების ინტეგრირება;
- **მრავალსექტორული ურბანული მართვის გაძლიერება** – ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის, გარემოს მონიტორინგისა და მუნიციპალური სერვისების ურთიერთკავშირის გათვალისწინება;
- **საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდა** – ჭკვიანი ქალაქებისა და ენერგოეფექტურობის პროექტებში მოქალაქეთა ცნობიერებისა და მონაწილეობის გაძლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Al Mamun Hridoy, M. A., Bordin, C., Baki, A. O., Masood, A., David, G. S., Parven, A., Jahan, T., Nasrin, K., Rahman, S., Hossain, A., Islam, M. H., Jamee, M. F., & Marine, S. S. (2025). Global perspectives on energy technology assessment and educational pathways for sustainable energy transitions. *Discover Applied Sciences, 7*, 1302. https://doi.org/10.1007/s42452-025-07834-0

2. Chokheli, E., Narmania, D., & Kharkheli, M. (2026). Assessing energy security and system resilience: Evidence from the Georgian energy sector. *Baltic Journal of Economic Studies, 12*(4), 105–111. https://doi.org/10.30525/2256-0742/2026-12-4-105-111

3. El-Afifi, M. I., Sedhom, B. E., Padmanaban, S., & Eladl, A. A. (2024). A review of IoT-enabled smart energy hub systems: Rising, applications, challenges, and future prospects. *Renewable Energy Focus, 51*, 100634. https://doi.org/10.1016/j.ref.2024.100634

4. European Commission. (2022). *Digitalising the energy system: EU action plan* (COM/2022/552 final).

5. European Commission. (2025). *Smart Readiness Indicator*. Directorate-General for Energy. https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-performance-buildings/smart-readiness-indicator_en

6. International Energy Agency. (2023). *Unlocking smart grid opportunities in emerging markets and developing economies*. IEA. https://doi.org/10.1787/3cd7a4b0-en

7. International Energy Agency. (2024). *Empowering urban energy transitions: Smart cities and smart grids*. IEA.

8. Mahmood, M., Chowdhury, P., Yeassin, R., Hasan, M., Ahmad, T., & Chowdhury, N.-U.-R. (2024). Impacts of digitalization on smart grids, renewable energy and demand response: An updated review of current applications. *Energy Conversion and Management: X, 24*, 100790. https://doi.org/10.1016/j.ecmx.2024.100790

9. Monaco, R., Bergaentzlé, C., Leiva Vilaplana, J. A., Ackom, E., & Sieverts Nielsen, P. (2024). Digitalization of power distribution grids: Barrier analysis, ranking and policy recommendations. *Energy Policy, 188*, 114083. https://doi.org/10.1016/j.enpol.2024.114083

10. Narmania, D., Chokheli, E., Kharkheli, M., Davitaia, S., Vardiashvili, N., Makasarashvili, M., & Morchiladze, G. (2025). Assessing household energy expenditure dynamics and energy availability in Georgia. *TEM Journal, 14*(1), 741–758. https://doi.org/10.18421/TEM141-66

11. Narmania, D., Chokheli, E., Kharkheli, M., Davitaia, S., Makasarashvili, M., Vardiashvili, N., & Morchiladze, G. (2026). Studying the peculiarities of cyber security in the energy sector and determining ways to ensure it on the example of Georgia. *TEM Journal, 15*(2), 1842–1850.

12. Pandiyan, P., Saravanan, S., Usha, K., Kannadasan, R., Alsharif, M. H., & Kim, M. K. (2023). Technological advancements toward smart energy management in smart cities. *Energy Reports, 10*, 648–677. https://doi.org/10.1016/j.egyr.2023.07.021

13. Pandraju, T. K. S., Samal, S., Saravanakumar, R., Yaseen, S. M., Nandal, R., & Dhabliya, D. (2022). Advanced metering infrastructure for low voltage distribution system in smart grid based monitoring applications. *Sustainable Computing: Informatics and Systems, 35*, 100691. https://doi.org/10.1016/j.suscom.2022.100691

14. Strasser, T. I., Widl, E., Kuchenbuch, R. A., Lázaro-Elorriaga, L., Tellado Laraudogoitia, B., Ginocchi, M., Penthong, T., Ponci, F., Gyrard, A., Kung, A., Mac Gregor, C. A., Garcia Montero, C., & Relano Algaba, E. (2024). Towards interoperability testing of smart energy systems: An overview and discussion of possibilities. *IET Conference Proceedings*. https://doi.org/10.1049/icp.2024.4670

15. Zheng, Z., Shafique, M., Luo, X., & Wang, S. (2024). A systematic review towards integrative energy management of smart grids and urban energy systems. *Renewable and Sustainable Energy Reviews, 189*, 114023. https://doi.org/10.1016/j.rser.2023.114023

16. APM Terminals Poti. (2025a). *The new project significantly improves lighting in Poti Port*.

Despite the fact that Georgia has been a full member of the World Trade Organization since 2006, Georgia's microeconomic situation has not improved at all. The country is in a catastrophic state in terms of total deindustrialization and technology, which cannot use the enormous economic potential of the country, whether in terms of natural resources or human capital. It is especially noteworthy that the country cannot use the richest and unique agricultural sector and is 80% or more import-dependent.

It is necessary for countries like Georgia to unite and jointly exert influence on the existing ultraliberal unfair trade policy.

მაია თეთრუაშვილი
ნათია კახნიაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე
ნატო კაკაშვილი

ირანის ომი და მისი შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ სტაბილურობასა და ფინანსურ ბაზრებზე

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომი ეხება გლობალურ დონეზე ირანის სამხედრო კონფლიქტის ეკონომიკურ შედეგებს.*

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა გლობალურ ხასიათს ატარებს, რის გამოც რეგიონული სამხედრო დაძაბულობაც ხშირად საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისში შეიძლება გადაიზარდოს. ირანი წარმოადგენს ენერგორესურსებით მდიდარ სახელმწიფოს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზრებზე.

კვლევაში განხილულია კონფლიქტის გავლენა ენერგეტიკულ ფასებზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე, საფონდო ბირჟებზე, ინფლაციაზე, ეკონომიკურ ზრდასა და სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ირანის სამხედრო კონფლიქტი წარმოადგენს მაღალი რისკის მქონე ფაქტორს, რომელიც მოკლევადიან და გრძელვადიან ნეგატიურ შედეგებს წარმოშობს მსოფლიო ეკონომიკისთვის.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო ეკონომიკა, ნავთობი, ინფლაცია, საფონდო ბაზარი, გეოეკონომიკა, ენერგეტიკული კრიზისი.*

შესავალი

XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გლობალურ სტაბილურობაზე. ენერგეტიკული ბაზრები, საერთაშორისო ვაჭრობა, საბანკო სექტორი და კაპიტალის მოძრაობა იმდენად ინტეგრირებულია, რომ ერთი რეგიონის კრიზისი სწრაფად ვრცელდება სხვა ეკონომიკებზე.

ირანი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოა, რომელიც ფლობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან მარაგებს. ამასთანავე, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა მას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტებში.

კვლევის მიზანია ირანის სამხედრო კონფლიქტის ეკონომიკური შედეგების ანალიზი და მისი გავლენის შეფასება მსოფლიო ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ფინანსურ ბაზრებზე, ენერგეტიკულ სექტორსა და საერთაშორისო ვაჭრობაზე. ასევე ნაშრომი მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენას რეგიონულ და გლობალურ ჭრილში.

ირანის სამხედრო კონფლიქტი შესაძლოა იქცეს გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობის წყაროდ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული თემის ეკონომიკური ანალიზი თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია.

ეკონომიკურ მეცნიერებაში სამხედრო კონფლიქტი განიხილება როგორც **უარყოფითი გარე შოკი,** რომელიც ამცირებს წარმოებას, ზრდის ხარჯებს და აუარესებს მოლოდინებს. ომის დროს ეკონომიკაზე მოქმედებს სამი ძირითადი არხი: **ენერგეტიკული არხი** – რესურსების გაძვირება; **ფინანსური არხი** – ბაზრების ვარდნა და

კაპიტალის გადინება; **ვაჭრობის არხი** – მიწოდების ჯაჭვების დარღვევა. ირანის შემთხვევაში სამივე არხი ერთდროულად ამოქმედდა.

ცხრილი 1. ირანის კონფლიქტის გავლენის ძირითადი ეკონომიკური არხები

გავლენის არხი	მოკლევადიანი გავლენა	გრძელვადიანი შესაძლო შედეგი	ძირითადი ეკონომიკური რისკი
ენერგეტიკული არხი	ნავთობისა და გაზის ფასების ზრდა; ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა	ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია და ენერგეტიკული სისტემების გარდაქმნა	ენერგეტიკული შოკი და იმპორტირებული ინფლაცია
ფინანსური არხი	ფინანსური ბაზრების მერყეობა; ინვესტორთა რისკისადმი დამოკიდებულების ზრდა	რისკის პრემიის ზრდა და ინვესტიციების შემცირება	ფინანსური არასტაბილურობა
ვაჭრობის არხი	მიწოდების ჯაჭვების შეფერხება; ლოგისტიკური ხარჯების ზრდა	სავაჭრო მარშრუტების ცვლილება და მიწოდების ჯაჭვების გადალაგება	საერთაშორისო ვაჭრობის ფრაგმენტაცია
ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა	ინფლაციური წნეხის ზრდა; მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება	ფინანსური რესურსების გაძვირება და ინვესტიციების შენელება	სტაგფლაციური რისკი
ფისკალური არხი	თავდაცვისა და ენერგეტიკული ხარჯების ზრდა	სახელმწიფო ვალისა და ფისკალური დატვირთვის ზრდა	ფისკალური მდგრადობის გაუარესება
ტურიზმი და მომსახურება	ტურისტული ნაკადების შემცირება; ავიარეისებისა და მომსახურების შეფერხება	ტურისტული ბაზრების გადანაწილება	შემოსავლებისა და დასაქმების შემცირება
სასურსათო ბაზარი	საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა; საკვების გაძვირება	სასურსათო ფასების ხანგრძლივი ზრდა	სასურსათო ინფლაცია და სოციალური მოწყვლადობა

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ ნაშრომში გამოყენებული წყაროების საფუძველზე.

როგორც ცხრილი 1 აჩვენებს, ირანის კონფლიქტის ეკონომიკური გავლენა ერთ კონკრეტულ სექტორში არ შემოიფარგლება. შოკი ერთდროულად გადაეცემა ენერგეტიკულ, ფინანსურ და სავაჭრო არხებს, ხოლო მათი ურთიერთქმედება გავლენას ახდენს ინფლაციაზე, მონეტარულ პოლიტიკაზე, ფისკალურ მდგომარეობაზე, ტურიზმსა და სასურსათო ბაზრებზე. შესაბამისად, კონფლიქტის ეკონომიკური შედეგების შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირდაპირი ეფექტების, არამედ ურთიერთდაკავშირებული გადაცემის მექანიზმების გათვალისწინებაც.

ომი და ეკონომიკა

ირანი მსოფლიო ენერგობაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა. კონფლიქტმა შექმნა მოსალოდნელი მიწოდების შემცირების მოლოდინი, რამაც ავტომატურად გაზარდა ფასები.

ისტორიული პრაქტიკა აჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური დაძაბულობის დროს Brent ტიპის (ჩრდილოეთის ზღვაში მოპოვებული ნედლი ნავთობის ერთ-ერთი მთავარი სტანდარტი (ბენჩმარკი)) ნავთობი მკვეთრად ძვირდება.

ირანის კონფლიქტმა და განსაკუთრებით, ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვამ გამოიწვია:

- ბარელზე ფასის ზრდა;
- საწვავის გაძვირება;
- ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა;
- წარმოების თვითღირებულების ზრდა,რაც ბუნებრივად გადავიდა ინფლაციაში.

ჰორმუზის სრუტე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო არხია. მისი გავლით ენერგომატარებლების დიდი ნაწილი გადაადგილდება, შესაბამისად მისმა ჩაკეტვამ გამიწვია:

- საზღვაო ტრანსპორტის შეფერხება;
- სადაზღვევო ტარიფების ზრდა;
- ტვირთების დაგვიანება;
- საერთაშორისო ვაჭრობის ხარჯების ზრდა.

ამან განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო იმპორტზედამოკიდებული ქვეყნებისათვის.

ირან-ისრაელის, ირან-ამერიკის კონფლიქტმა მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ფინანსურ ბაზრებზე და კერძოდ საფონდო ბირჟებზეც. ისინი საკმაოდ მგრძნობიარენი არიან გაურკვევლობის და არასტაბილურობის მიმართ. ასეთ სიტუაციებში ინვესტორები ცდილობენ თავიდან მოიცილონ რისკიანი აქტივები და კაპიტალდაბანდებებს შედარებით უსაფრთხო ინსტრუმნეტებში ახორციელებენ. ინვესტორთა ასეთ ქცევას მყისიერად მოჰყვა ფინანსურ ბაზრებზე სხვადასხვა კომპანიების აქციებზე ფასების ვარდნა; ოქროს ფასის ზრდა; დოლარის გამყარება და განვითარებადი ბაზრებიდან კაპიტალის გადინება.

არსებულმა კონფლიქტმა შეამცირა საინვესტიციო აქტივობები და შეანელა ეკონომიკური ზრდა.

ცხადია, რომ ზოგადად ენერგიის გაძვირება ზრდის პროდუქციისა და მომსახურების ფასებს. ამ პირობებში ცენტრალური ბანკები ხშირად იძულებულნი არიან გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები. ომის გაგრძელების პირობებში, ასეთი პოლიტიკის შედეგები შეიძლება იყოს:

- დაკრედიტების შემცირება;
- ბიზნესაქტივობის შენელება;
- უმუშევრობის ზრდა;
- ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ამრიგად, ომი, როგორც მასში მონაწილე ქვეყნებისთვის, ასევე რეგიონულად და გლობალურადაც ქმნის როგორც ინფლაციურ, ისე რეცესიულ საფრთხეს.

რეგიონული ეკონომიკური შედეგები

ევროპა განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა ენერგეტიკული ფასების ზრდის მიმართ. მისმა იმპორტზე დამოკიდებულებამ საფრთხე შეუქმნა:

- გაზისა და საწვავის გაძვირებას;
- მრეწველობის ხარჯების ზრდას;
- ეკონომიკური ზრდის შენელებას.

ჩინეთისთვის, როგორც რეგიონის მოთამაშისთვის მაღალ რისკს წარმოადგენდა წარმოების ხარჯების ზრდა და ექსპორტის გაძვირება. თუმცა მის ხელთ არსებულმა ენერგო რესურსების მარაგებმა, (ჩინეთი რუსეთისა და ირანის სანქციების ფონზე, ამ ორი ქვეყნისგან საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლებ ფასად ყიდულობს ნავთობს). შესაძლებელი გახადა ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის სტაბილურობის შენარჩუნება, ამ

უკანასკნელის არარსებობა, გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად გამოიწვევდა წარმოების შეფერხებასა და გაძვირებას.

ისრაელმა მილიარდობით დოლარი დაიხარჯა სამხედრო ოპერაციებზე, რეზერვისტების მობილიზაციასა და საჰაერო თავდაცვაზე, გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი. ომის პერიოდში ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სასტუმროებმა, ავიაკომპანიებმა და მომსახურების სექტორმა დიდი ზარალი განიცადა.

ასიათასობით რეზერვისტი დროებით გამოეთიშა ეკონომიკურ საქმიანობას. ზოგიერთ საწარმოსა და ტექნოლოგიურ კომპანიას კადრების დეფიციტი შეექმნა.

ომის პირველ თვეებში უცხოური ინვესტიციების ნაწილი შეჩერდა ან შემცირდა. გაიზარდა ქვეყნის რისკის შეფასება საერთაშორისო ბაზრებზე.

შედარებით მდგრადი აღმოჩნდა ტექნოლოგიური სექტორი. ისრაელის IT და კიბერუსაფრთხოების ინდუსტრიას მუშაობა არ შეუწყვეტია, ამასთანავე გაიზარდა მოთხოვნა სამხედრო ტექნოლოგიებზე.

რუსეთმა მოკლევადიან პერიოდში შეიძლება მიიღოს სარგებელი ნავთობის მაღალი ფასებიდან, კერძოდ: ნავთობისა და გაზის მაღალი ფასები ზრდის საექსპორტო შემოსავლებს; მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლებზე მოთხოვნა იზრდება; დასავლეთის ყურადღების ნაწილი უკრაინიდან ახლო აღმოსავლეთზე გადადის. თუმცა გრძელვადიანად გლობალური არასტაბილურობა მისთვისაც პრობლემურია.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ეს კონფლიქტი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგების მომტანი აღმოჩნდა.

- გაიზარდა სამხედრო ტექნიკის ექსპორტი.
- ენერგეტიკული სექტორში გაიზარდა ფასები.
- დოლარი გამყარდა, რაც გამოწვეული იყო ინვესტორების ფრთხილი ქცევით ბაზარზე.
- სამხედრო ოპერაციებისა და რეგიონში კონფლიქტში ჩართულობამ გამოიწვია ბიუჯეტის ხარჯების ზრდა;
- ნავთობის მაღალმა ფასებმა ინფლაციურ ზეწოლა შექმნა ეკონომიკაში.

რაც შეეხებათ სპარსეთის ყურის ქვეყნებს, მათ, მოკლევადიან პერიოდში განსაკუთრებით საუდის არაბეთს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს და კატარს, ენერგორესურსების გაძვირებით უნდა მიეღოთ ფინანსური სარგებელი, მაგრამ კონფლიქტის მათ ტერიტორიაზე გაფართოებამ საფრთხე შეუქმნა რეგიონულ უსაფრთხოებას და ამ ქვეყნებმა ინვესტიციების, ტურიზმისა და ვაჭრობის შემცირების გამო უდიდესი ზარალი მიიღეს.

რეგიონული უსაფრთხოების გამო, კიდევ უფრო მოწყვლადები აღმოჩნდნენ ქუვეითი და ომანი,შედარებით ნაკლებად ბაჰრეინი, [25] (International Monetary Fund. (2024), რადგან მათი ეკონომიკები, ნაკლებად დივერსიფიცირებულია და მათი ფინანსური შემოსავლების დიდი ნაწილი სწორედ ნავთობის ექსპორტით ფორმირდება. სწორედ ამიტომ ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვამ ეს ქვეყნები სწრაფად გადაიყვანა მაღალი რისკის ზონაში.

ამ კონფლიქტმა დადებით შედეგზე გაცილებით მეტი უარყოფითი მოუტანა ევროკავშირის ქვეყნებს.

[25] International Monetary Fund. (2024). *Kuwait: Selected Issues – Advancing Economic Diversification in Kuwait: Reform Prioritization and Sequencing*. IMF Staff Country Reports, 2024(329). https://doi.org/10.5089/9798400295331.002.A001

• ენერგეტიკულმა კრიზისებმა ევროპა აიძულა სწრაფად განევითარებინა განახლებადი ენერგია (მზე, ქარი, წყალბადი).

• შემცირდა დამოკიდებულება ერთი ან რამდენიმე მომწოდებლის მიმართ.

• გაიზარდა სამხედრო ბიუჯეტები და შეკვეთები. გაიზარდა ევროპის იარარის მწარმოებელი კომპანიების შემოსავლები.

• აშენდა ახალი ტერმინალები და გაფართოვდა გაზის მიღების შესაძლებლობები.

• ენერგომომარაგების სისტემა უფრო მოქნილი გახდა.

• გაურკვევლობის დროს კაპიტალის ნაწილმა ევროპულ ფინანსურ ბაზრებზე გადაინაცვლა, განსაკუთრებით სტაბილურ ქვეყნებში.

• ენერგიის მაღალმა ფასებმა კომპანიებს უბიძგა უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვისკენ. გაიზარდა ინვესტიციები ენერგიის დაზოგვისა და მწვანე ტექნოლოგიების მიმართულებით. თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით ეს სარგებელი ვერ ფარავს იმ დანაკარგებს, რომლებიც გამოიწვია ენერგორესურსების გაძვირებამ, ინფლაციამ და ეკონომიკური ზრდის შენელებამ.

საომარი სიტუაციებისა და კონფლიქტების დროს, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მცირე ეკონომიკები გარე შოკების მიმართ. **საქართველოს** შემთხვევაში რეგიონულმა გეოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა და საერთაშორისო ეკონომიკური ნაკადების გადანაწილებამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები გამოიწვია. დადებით შედეგებს შორის აღსანიშნავია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება,

• ტურიზმის სექტორის ზრდა, ფულადი გზავნილებისა და უცხოური ვალუტის შემოდინების ზრდა,

• ასევე ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება. აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და ეკონომიკური აქტივობის გაფართოებას.

ამასთანავე, კონფლიქტების ფონზე გაიზარდა:

• ინფლაციური ზეწოლა,

• გაძვირდა უძრავი ქონება და საცხოვრებელი ფართების ქირა,

• ხოლო რეგიონული უსაფრთხოების გარემოს გაუარესებამ დამატებითი გეოპოლიტიკური რისკები შექმნა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ გარკვეული სარგებელი მიიღო საერთაშორისო ეკონომიკური ნაკადების გადანაწილებიდან, გრძელვადიანი შედეგები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის უნარზე, დროებითი ეკონომიკური უპირატესობები გარდაქმნას მდგრად ეკონომიკურ განვითარებად.

ჯერ რუსეთ-უკრაინის, ხოლო შემდგომ ირანის კონფლიქტმა გლობალურად შეცვალა სახელმწიფოების ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიები. რუსეთ-უკრაინის ომის გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ გეოპოლიტიკური კონფლიქტის შედეგები მხოლოდ უშუალოდ კონფლიქტის მონაწილე ქვეყნებით არ შემოიფარგლება და გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, სავალუტო ნაკადებზე, ფულად გზავნილებზე, ინფლაციასა და ფინანსურ სტაბილურობაზე (Tetruashvili et al., 2026).

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში **ენერგეტიკული უსაფრთხოება** ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება. სახელმწიფოები ცდილობენ, მინიმუმამდე დაიყვანონ დამოკიდებულება არასტაბილურ რეგიონებზე, რადგან ენერგიის მიწოდების შეფერხება პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

ირანის კონფლიქტის შემთხვევაში ბევრი ქვეყანა იძულებული გახდება გადახედოს საკუთარ ენერგეტიკულ პოლიტიკას. განსაკუთრებით აქტუალური ხდება:

- სტრატეგიული ენერგორეზერვების შექმნა;
- ენერგომომწოდებლების დივერსიფიკაცია;
- განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარება;
- შიდა ენერგოპროდუქციის ზრდა.

ენერგეტიკული კრიზისები ხშირად აჩქარებს ტექნოლოგიურ ცვლილებებსაც. მაგალითად, ნავთობის ფასების მკვეთრმა ზრდამ შესაძლოა გაზარდოს ელექტრომობილებზე მოთხოვნა და განახლებადი ენერგიის პროექტებში ინვესტიციები.

ამრიგად, ირანის ომი შეიძლება იქცეს იმ ფაქტორად, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას ენერგეტიკული ტრანსფორმაციისკენ უფრო სწრაფად უბიძგებს.

სამხედრო კონფლიქტების დროს სახელმწიფოები მნიშვნელოვნად ზრდიან **თავდაცვის ხარჯებს.** ეს განსაკუთრებით ეხება იმ რეგიონებს, სადაც უსაფრთხოების რისკი იზრდება.

სამხედრო ბიუჯეტების ზრდას კი რამდენიმე ეკონომიკური შედეგი მოაქვს:

- მცირდება სოციალური პროგრამების დაფინანსება;
- იზრდება საბიუჯეტო დეფიციტი;
- სახელმწიფოები იღებენ დამატებით ვალს;
- იზრდება საგადასახადო დატვირთვის რისკი.

თუ კრიზისი გახანგრძლივდება, სახელმწიფო ფინანსებზე ზეწოლა გაძლიერდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური უკმაყოფილება და ეკონომიკური სტაბილურობის შესუსტება.

თუმცა სამხედრო ინდუსტრიისთვის მსგავსი ვითარება ხშირად ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს. თავდაცვითი ტექნოლოგიების, იარაღის წარმოებისა და უსაფრთხოების სექტორის კომპანიები კრიზისულ პერიოდებში ხშირად ზრდიან შემოსავლებს.

ეკონომიკური კრიზისები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზარზეც. ირანის კონფლიქტის შემთხვევაში განსაკუთრებით დაზარალდებიან რეგიონის ქვეყნების

- ტურიზმის სექტორი;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;
- მცირე და საშუალო ბიზნესი;
- ენერგოდამოკიდებული საწარმოები.

კომპანიები ხარჯების შემცირების მიზნით ხშირად ამცირებენ სამუშაო ადგილებს. შედეგად იზრდება უმუშევრობა და მცირდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა.

მეორე მხრივ, თავდაცვითი და ენერგეტიკული სექტორები შესაძლოა ნაწილობრივ გაფართოვდეს. თუმცა ეს ზრდა ვერ ანაზღაურებს ეკონომიკის სხვა სფეროებში წარმოქმნილ დანაკარგებს.

გეოპოლიტიკური დაძაბულობა ტურიზმის სექტორზე თითქმის ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს. უსაფრთხოების რისკები ამცირებს საერთაშორისო გადაადგილების ოდენობას, რაც განსაკუთრებით მძიმეა ტურიზმზე დამოკიდებული ეკონომიკებისთვის.

ირანის კონფლიქტს, მოკლევადიან პერიოდში უკვე მოჰყვა

- ავიაბილეთების გაძვირება;
- ტურისტული ნაკადების შემცირება მაღალი რისკის ქვეყნებში
- სასტუმრო და მომსახურების სექტორის შემოსავლების კლება;

• საერთაშორისო ავიარეისების შეფერხება.

მსგავსი პროცესები განსაკუთრებით პრობლემურია მცირე ეკონომიკებისთვის, სადაც ტურიზმი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით,

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შედეგად 2026 წელს ენერგორესურსების ფასები საშუალოდ 24%-ით გაიზარდა, ხოლო საქონლის საერთო ფასები 16%-ით.

Brent-ის ტიპის ნავთობის საშუალო ფასი 2026 წელს პროგნოზირებულია 86 დოლარად ბარელზე, რაც 2025 წელთან შედარებით დაახლოებით 25%-იანი ზრდაა (69 დოლარიდან 86 დოლარამდე). [26](World Bank, 2026).

თუ კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდება, მსოფლიო ბანკი ვარაუდობს, რომ Brent-ის ფასი შესაძლოა 115 დოლარამდე ბარელზე გაიზარდოს.

მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპი 2026 წლისთვის შემცირდა 2.5%-მდე, რაც COVID-19-ის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

გლობალური ინფლაცია 2026 წელს პროგნოზირებულია 4.0%-ის დონეზე, მაშინ როდესაც 2025 წელს ის 3.3% იყო. [27] (orld Bank. (2026). *Global Economic Prospects – June 2026*. Washington, DC: World Bank.)

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჰორმუზის სრუტეზე მოდის მსოფლიო საზღვაო ნავთობვაჭრობის დაახლოებით 35%, ამიტომ მისი შეფერხება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ჰორმუზის სრუტით გადის მსოფლიო ნავთობის 25-30% და თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) დაახლოებით 20%.[28] (IMF, 2026).

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის ეკონომიკური ზრდა 2026 წელს 4.0%-დან 1.8%-მდე შემცირდა.

სასუქების ფასები 2026 წელს მოსალოდნელია 31%-ით გაიზარდოს, ხოლო შარდოვანას (Urea) ფასი დაახლოებით 60%-ით, რაც სურსათის ფასების დამატებით ზრდას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კონფლიქტების პირველი ეფექტები სწრაფად ჩანს, მათი გრძელვადიანი შედეგები ხშირად უფრო მძიმეა.

ირანის კონფლიქტის ხანგრძლივი შედეგები შეიძლება იყოს:

• გლობალური ეკონომიკური პოლარიზაცია;

• ენერგეტიკული სისტემების გარდაქმნა;

• საერთაშორისო სავაჭრო მიმართულებების ცვლილება;

• ახალი ეკონომიკური ბლოკების ფორმირება;

• ეკონომიკური ნაციონალიზმის გაძლიერება.

მსოფლიო ეკონომიკა შესაძლოა გადავიდეს უფრო ფრაგმენტირებულ მოდელზე, სადაც სახელმწიფოები ნაკლებად იქნებიან დამოკიდებული გლობალურ მიწოდების ჯაჭვებზე.

დასკვნა

ირანის კონფლიქტი ეკონომიკური თვალსაზრისით განსხვავდება ჩვეულებრივი რეგიონული კრიზისებისგან, რადგან იგი ერთდროულად ეხება:

• ენერგეტიკულ უსაფრთხოებას;

[26] World Bank, 2026

[27] orld Bank. (2026). *Global Economic Prospects – June 2026*. Washington, DC: World Bank.

[28] IMF, 2026.

• საერთაშორისო ფინანსურ სტაბილურობას;
• ვაჭრობის გლობალურ მარშრუტებს;
• ინფლაციასა და მონეტარულ პოლიტიკას;
• სოციალურ კეთილდღეობას.

ამ მრავალშრიანი გავლენის გამო, მსგავსი კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს არა მხოლოდ ეკონომიკურ კრიზისში, არამედ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნაშიც.

ირანის სამხედრო კონფლიქტი მსოფლიო ეკონომიკისთვის წარმოადგენს სისტემურ რისკს.

კვლევა აჩვენებს, რომ ყველაზე სწრაფი შედეგი ნავთობის გაძვირება , საფონდო ბაზრების არასტაბილურობა და ინფლაციის ზრდა. კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგი ნავთობის ბაზარზე დაფიქსირდა. სამხედრო ოპერაციების დროს ბაზრები შიშობდნენ, რომ ჰორმუზის სრუტეში გადაადგილება შეიზღუდებოდა, რაც მსოფლიო მიწოდების მნიშვნელოვან ნაწილს დააზარალებდა. შედეგად, ნავთობის ფასები მკვეთრად გაიზარდა.

თუმცა ცეცხლის შეწყვეტისა და რეგიონში შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ ფასებმა კლების ტენდენცია აჩვენა. ბაზარმა პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ნავთობის ღირებულებაზე ხშირად არა მხოლოდ რეალური დეფიციტი, არამედ გეოპოლიტიკური რისკის აღქმაც მოქმედებს.

გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის შენელება და სოციალური პრობლემების გამწვავება.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ენერგეტიკული შოკები ხშირად იწვევს ეკონომიკური აქტივობის შემცირებას.

ენერგიის გაძვირება ამცირებს როგორც წარმოებას, ასევე მოხმარებას. კომპანიები ზრდიან ფასებს, რაც ამცირებს მოთხოვნას, ხოლო მომხმარებლები ხარჯებს ამცირებენ რეალური შემოსავლების შემცირების გამო. შედეგად, ეკონომიკა გადადის შენელების ფაზაში.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ენერგეტიკული კრიზისების პერიოდში გლობალური ზრდა საშუალოდ 1–2 პროცენტული პუნქტით მცირდება. ირანის კონფლიქტის შემთხვევაში ეს ეფექტი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს, თუ კრიზისი გახანგრძლივდება.

ირანის ომის შემთხვევაში მოსალოდნელია:
• აშშ დოლარის გამყარება;
• განვითარებადი ქვეყნების ვალუტების გაუფასურება;
• კაპიტალის გადინება მცირე ეკონომიკებიდან;
• სავალუტო რეზერვებზე ზეწოლა.

ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც მაღალი საგარეო ვალი აქვთ.

ენერგეტიკული კრიზისი ხშირად იწვევს სასურსათო ბაზრების დესტაბილიზაციას. საწვავის გაძვირება ზრდის ტრანსპორტირების და წარმოების ხარჯებს, რაც საბოლოოდ აისახება საკვების ფასებზე.

მოსალოდნელია:
• მარცვლეულის ფასების ზრდა;
• ლოჯისტიკური ხარჯების მატება;
• სასურსათო ინფლაცია;

• დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში.

2025–2026 წლების ირანის კრიზისმა ნათლად აჩვენა, რომ XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკა ვერ განიხილება გეოპოლიტიკური პროცესებისგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დაპირისპირების აქტიური ფაზა დასრულდა, მისი ეკონომიკური ეფექტები კვლავ იგრძნობა ენერგეტიკულ ბაზრებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და საინვესტიციო გარემოში. აღნიშნულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეკონომიკური მდგრადობა თანამედროვე სამყაროში არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებზე, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზეც არის დამოკიდებული, შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესია კონფლიქტის პრევენცია და ეკონომიკური რისკების მართვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bank for International Settlements. (2022). Annual economic report.
2. International Energy Agency. (2023). World energy outlook 2023.
3. International Institute for Strategic Studies. (2024). The military balance 2024. Routledge.
4. International Monetary Fund. (2023). World economic outlook: Navigating global divergences.
5. International Monetary Fund. (2024). Kuwait: Selected issues—Advancing economic diversification in Kuwait: Reform prioritization and sequencing. IMF Staff Country Reports, 2024(329). https://doi.org/10.5089/9798400295331.002.A001
6. Organisation for Economic Co-operation and Development. (2023). OECD economic outlook.
7. Organisation of the Petroleum Exporting Countries. (2023). World oil outlook 2023.
8. Stockholm International Peace Research Institute. (2024). SIPRI yearbook 2024: Armaments, disarmament and international security.
9. Tetruashvili, M., Kakhniashvili, N., Barbakadze, K., & Kakashvili, N. (2026). The impact of the Russia–Ukraine War on Georgia's financial system (2022–2025). Georgian Scientists, 8(2), 751–758. https://doi.org/10.52340/gs.2026.08.02.58
10. United Nations Conference on Trade and Development. (2023). Trade and development report 2023.
11. United Nations Development Programme. (2023). Human development report 2023.
12. World Bank. (2022). Global economic prospects.
13. World Economic Forum. (2024). The global risks report 2024.
14. World Trade Organization. (2023). World trade statistical review 2023.

Maia Tetruashvili
Natia Kakhniashvili
Khatuna Barbakadze
Nato Kakashvili

The Impact of the Iran Conflict on Global Economic Stability and Financial Markets

Summary

This study examines the economic implications of the Iran conflict for global economic stability and financial markets, with particular attention to energy prices, inflation, financial-market volatility, international trade, investment flows, and economic growth. The study considers the conflict as a multidimensional geopolitical shock that affects the global economy through

interconnected energy, financial, trade, and supply-chain channels. Particular attention is paid to Iran's strategic position in global energy markets and the importance of the Strait of Hormuz for international oil and liquefied natural gas transportation.

The analysis shows that the most immediate economic effects of the conflict include higher energy prices, increased inflationary pressures, greater financial-market uncertainty, higher transportation and logistics costs, and disruptions to international trade. The conflict may also generate longer-term structural effects, including changes in energy supply patterns, diversification of trade routes, increased economic fragmentation, and stronger economic nationalism. These effects are particularly significant for small and developing economies that are more vulnerable to external energy and financial shocks.

The experience of the Russia–Ukraine War provides an important comparative perspective. Research on the impact of the Russia–Ukraine War on Georgia demonstrates that geopolitical shocks can influence economic growth, foreign exchange flows, remittances, inflationary pressures, banking-sector performance, and monetary policy, while also creating longer-term vulnerabilities for financial stability (Tetruashvili et al., 2026). This comparative perspective reinforces the importance of examining the Iran conflict not only as a regional military confrontation but also as a potential source of broader systemic economic risk.

The study concludes that the Iran conflict represents a high-risk geopolitical factor for the global economy, with effects extending beyond the directly affected countries. Effective risk management therefore requires coordinated energy, monetary, fiscal, trade, and financial-stability policies.

დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და შრომის ეკონომიკის სექცია
SECTOR OF DEMOGRAPHY, SOCIOLOGY AND LABOR ECONOMICS

გვანცა ერისთავი

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა: არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები

ანოტაცია. *საქართველოს დემოგრაფიული განვითარება ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებით ხასიათდება, მათ შორის შობადობის შემცირებით, ბუნებრივი კლების გაძლიერებით, მოსახლეობის დაბერებითა და საერთაშორისო მიგრაციის მაღალი მერყეობით. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, შრომის ბაზარზე, ადამიანურ კაპიტალსა და სოციალური დაცვის სისტემების მდგრადობაზე.*

ნაშრომის მიზანია საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის არსებული მდგომარეობის, ძირითადი დემოგრაფიული ტენდენციებისა და გამოწვევების შეფასება და პოლიტიკის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა. კვლევა ეფუძნება საქსტატის, UNFPA-ის, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტისა (UN DESA) და OECD-ის ოფიციალური მონაცემებისა და კვლევების ანალიზს. გამოყენებულია აღწერითი, დინამიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში დემოგრაფიული ცვლილებები სისტემურ ხასიათს ატარებს. 2019–2025 წლებში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 48 296-დან 37 867-მდე, ანუ დაახლოებით 21.6%-ით შემცირდა, ხოლო ბუნებრივი მატება 1 637 ადამიანიდან 6 452-იან ბუნებრივ კლებამდე შეიცვალა (საქსტატი, 2026). ამასთან, 2024 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14.3%-დან 17.6%-მდე გაიზარდა, ხოლო 15–64 წლის მოსახლეობის წილი 67.1%-დან 62.8%-მდე შემცირდა (საქსტატი, 2026).

კვლევა აჩვენებს, რომ დემოგრაფიული გამოწვევების დაძლევა მხოლოდ შობადობის ფინანსური წახალისებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი. აუცილებელია ოჯახური პოლიტიკის, ახალგაზრდების ეკონომიკური მხარდაჭერის, დასაქმების, მიგრაციის მართვის, ადამიანური კაპიტალის განვითარების, აქტიური დაბერებისა და რეგიონული განვითარების ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება.

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფიული პოლიტიკა, დემოგრაფიული მდგრადობა, შობადობა, ბუნებრივი კლება, მიგრაცია, მოსახლეობის დაბერება, ადამიანური კაპიტალი, საქართველო.*

შესავალი

დემოგრაფიული პროცესები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური განმსაზღვრელი ფაქტორია. მოსახლეობის რაოდენობა და ასაკობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს შრომითი რესურსების მოცულობას, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებზე მოთხოვნას, სოციალური დაცვის საჭიროებებსა და ეკონომიკური განვითარების ადამიანურ საფუძველს. შესაბამისად, დემოგრაფიული ცვლილებების შეფასება მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლების

აღწერას არ გულისხმობს; იგი აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გრძელვადიანი დაგეგმვისთვის (United Nations, 2024).

მსოფლიო დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელია ნაყოფიერების შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გარდაქმნა. გაეროს მოსახლეობის განყოფილების შეფასებით, მოსახლეობის ზომის, ასაკობრივი სტრუქტურისა და სივრცითი განაწილების ცვლილებები სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური დაცვის, ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაზე (United Nations, 2024).

საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან დაბალი შობადობა და ბუნებრივი კლება მიგრაციულ პროცესებთან და მოსახლეობის დაბერებასთან ერთად ვითარდება. UNFPA-ის კვლევის მიხედვით, საქართველოში დემოგრაფიული ცვლილებები დაკავშირებულია მოსახლეობის კლებისა და სტაგნაციის, დაბადების მაჩვენებლების შემცირების, მოსახლეობის დაბერებისა და ემიგრაციის გამოწვევებთან. აღნიშნული ტენდენციები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს (Guzmán et al., 2024).

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2016 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის დამტკიცება. აღნიშნულმა კონცეფციამ დემოგრაფიული სტაბილურობა ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილა და პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად გამოყო ნაყოფიერება, ავადობა და სიკვდილიანობა, მიგრაცია და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (UNFPA Georgia, 2026). თუმცა თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მიუთითებს, რომ არსებული მიდგომების შემდგომი განვითარება აუცილებელია. 2026 წელს UNFPA-ის მიერ გამოქვეყნებული დემოგრაფიული მდგრადობის სტრატეგიის მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტი მიუთითებს, რომ საქართველოში დემოგრაფიულ მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა უწყებასა და მმართველობით დონეზეა გადანაწილებული და არსებობს ერთიანი ხედვისა და კოორდინაციის გაძლიერების საჭიროება (UNFPA Georgia, 2026).

ამ პირობებში დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა არ უნდა იყოს. უფრო ფართო მიდგომა გულისხმობს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რომელიც ადამიანებს საშუალებას მისცემს, რეალიზება გაუკეთონ სასურველ ოჯახურ გადაწყვეტილებებს, ახალგაზრდებს ჰქონდეთ ქვეყანაში დარჩენისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, ხოლო სახელმწიფომ შეძლოს დაბერებული მოსახლეობის პირობებში სოციალური და ეკონომიკური სისტემების მდგრადობის შენარჩუნება.

ნაშრომის მიზანია საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის არსებული მდგომარეობის, ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების შეფასება. კვლევა ეფუძნება მეორეული მონაცემებისა და ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზს. ძირითად ემპირიულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომლის მონაცემებიდან გამოყენებულია მოსახლეობის რაოდენობის, ცოცხლად დაბადების, გარდაცვალების, ბუნებრივი მოძრაობისა და საერთაშორისო მიგრაციის მაჩვენებლები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის

საბოლოო შედეგებს, რომლებიც 2026 წელს გამოქვეყნდა და მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის განახლებული სურათი წარმოადგინა (საქსტატი, 2026).

დემოგრაფიული დინამიკის შესაფასებლად გამოყენებულია 2019–2025 წლების პერიოდი, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს როგორც პანდემიამდე არსებული მდგომარეობა, ისე 2020–2021 წლების დემოგრაფიული შოკი, შემდგომი ცვლილებები და 2025 წლის უახლესი მდგომარეობა. შერჩეული პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების აბსოლუტური და პროცენტული ცვლილებები. გამოყენებულია აღწერითი, დინამიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. აღწერითი ანალიზი გამოიყენება დემოგრაფიული მაჩვენებლების მოცულობისა და სტრუქტურის წარმოსაჩენად, დინამიკური ანალიზი — დროში ცვლილებების შესაფასებლად, ხოლო შედარებითი ანალიზი — საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის საერთაშორისო ტენდენციებთან დასაკავშირებლად. საერთაშორისო კონტექსტის შესაფასებლად გამოყენებულია OECD-ისა და გაეროს მონაცემები და ანალიტიკური ანგარიშები.

კვლევის მეთოდოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს 2024 წლის მოსახლეობის აღწერის საბოლოო შედეგების გათვალისწინება. აღწერის მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ საქსტატმა მოსახლეობის ისტორიულ სერიებში შესაბამისი გადაანგარიშებები განახორციელა. შესაბამისად, ნაშრომში მოსახლეობის რაოდენობის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება საქსტატის განახლებულ მონაცემებს, ხოლო დემოგრაფიული მოძრაობის მაჩვენებლები წარმოდგენილია მათი ოფიციალური წლიური სერიების მიხედვით (საქსტატი, 2026).

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა. საქსტატის განახლებული მონაცემებით, 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა 3.9411 მილიონ ადამიანს შეადგენდა. 2025 წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი 3.9304 მილიონი იყო (საქსტატი, 2026). ამავე მონაცემთა ბაზაში 2019 წლის მოსახლეობა 3.7235 მილიონად არის წარმოდგენილი.

მოსახლეობის საერთო რაოდენობის ცვლილების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ იგი წარმოადგენს ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის ერთობლივ შედეგს. შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა კონკრეტულ პერიოდში ავტომატურად არ ნიშნავს დაბადების მაჩვენებლების გაუმჯობესებას. საქართველოს ბოლო წლების მონაცემები სწორედ ამ ურთიერთკავშირს აჩვენებს.

ცხრილი 1

საქართველოს დემოგრაფიული მოძრაობის ძირითადი მაჩვენებლები, 2019–2025 წლები

წელი	ცოცხლად დაბადებულები	გარდაცვლილები	ბუნებრივი მატება/კლება
2019	48 296	46 659	+1 637
2020	46 520	50 537	−4 017
2021	45 946	59 906	−13 960
2022	42 319	49 118	−6 799
2023	40 214	42 756	−2 542

წელი	ცოცხლად დაბადებულები	გარდაცვლილები	ბუნებრივი მატება/კლება
2024	39 483	43 971	−4 488
2025	37 867	44 319	−6 452

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი, 2026).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში დაბადებულთა რაოდენობის შემცირება სტაბილურ ტენდენციად ჩამოყალიბდა. 2019 წელს 48 296 ცოცხალი დაბადება დაფიქსირდა, ხოლო 2025 წელს — 37 867. შესაბამისად, ექვსწლიან პერიოდში დაბადებულთა რაოდენობა 10 429-ით, ანუ დაახლოებით 21.6%-ით შემცირდა. ამასთან, დაბადების ზოგადი კოეფიციენტი 2019 წლის 13.0-დან 2025 წელს 9.6-მდე შემცირდა 1 000 მოსახლეზე (საქსტატი, 2026).

გარდაცვალების მაჩვენებლის დინამიკა განსხვავებულია. 2019 წელს ქვეყანაში 46 659 გარდაცვალება დაფიქსირდა, ხოლო 2021 წელს მაჩვენებელმა 59 906-ს მიაღწია. 2025 წელს გარდაცვლილთა რაოდენობა 44 319 იყო. შესაბამისად, 2021 წლის მკვეთრი ზრდა არ წარმოადგენს გრძელვადიან ნორმას და მნიშვნელოვანწილად პანდემიის პერიოდის განსაკუთრებულ პირობებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, 2025 წელსაც გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობას 6 452-ით აღემატებოდა (საქსტატი, 2026).

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოს დემოგრაფიული პრობლემა მხოლოდ სიკვდილიანობის ზრდით ვერ აიხსნება. უფრო მნიშვნელოვანი სტრუქტურული საკითხია დაბადებულთა რაოდენობის ხანგრძლივი შემცირება. სწორედ დაბალი შობადობის პირობებში ხდება ბუნებრივი კლება მდგრად დემოგრაფიულ ტენდენციად.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება ამ პროცესის გრძელვადიან შედეგებს კიდევ უფრო მკაფიოდ აჩვენებს. 2024 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 692 700 ადამიანს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 17.6%-ს შეადგენდა. 2014 წლის აღწერისას ეს წილი 14.3% იყო. შესაბამისად, ათწლეულის განმავლობაში 65+ ასაკობრივი ჯგუფის წილი 3.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამავე პერიოდში 15–64 წლის მოსახლეობის წილი 67.1%-დან 62.8%-მდე შემცირდა, ხოლო 0–14 წლის მოსახლეობის წილი 18.6%-დან 19.6%-მდე გაიზარდა (საქსტატი, 2026).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების წილი, 2014 და 2024 წლების აღწერის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	2014	2024	ცვლილება
0–14 წელი	18.6%	19.6%	+1.0 პპ
15–64 წელი	67.1%	62.8%	−4.3 პპ
65 წელი და მეტი	14.3%	17.6%	+3.3 პპ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები (საქსტატი, 2026).

აღნიშნული ცვლილებები საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილის 4.3

პროცენტული პუნქტით შემცირება და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის 3.3 პროცენტული პუნქტით ზრდა მიუთითებს ასაკობრივი დატვირთვის თანდათანობით ცვლილებაზე. გრძელვადიან პერიოდში ეს შეიძლება აისახოს სამუშაო ძალის მიწოდებაზე, საპენსიო სისტემაზე, ჯანდაცვის ხარჯებსა და სოციალური მომსახურებების მოთხოვნაზე.

მიგრაცია საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქსტატის მონაცემებით, წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი 2019 წელს −8 243 ადამიანს შეადგენდა, 2021 წელს −25 966-მდე შემცირდა, 2022 წელს კი +54 509-ს მიაღწია. 2023 წელს კვლავ უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა, −39 207 ადამიანი, ხოლო 2024 და 2025 წლებში წმინდა მიგრაცია დადებითი იყო — შესაბამისად, 14 386 და 17 127 ადამიანი (საქსტატი, 2026).

ცხრილი 3

საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი მაჩვენებლები, 2019–2025 წლები

წელი	იმიგრანტები	ემიგრანტები	წმინდა მიგრაცია
2019	96 864	105 107	−8 243
2020	89 996	74 264	+15 732
2021	74 008	99 974	−25 966
2022	179 778	125 269	+54 509
2023	205 857	245 064	−39 207
2024	135 811	121 425	+14 386
2025	131 501	114 374	+17 127

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი, 2026).

2025 წელს საქართველოში 131 501 იმიგრანტი და 114 374 ემიგრანტი დაფიქსირდა, რის შედეგადაც წმინდა მიგრაციამ +17 127 ადამიანი შეადგინა. იმავე წელს ბუნებრივი კლება 6 452 ადამიანი იყო. შესაბამისად, 2025 წელს დადებითმა წმინდა მიგრაციამ რაოდენობრივად გადააჭარბა ბუნებრივ კლებას და მოსახლეობის საერთო რაოდენობის დინამიკაზე მისი უარყოფითი ეფექტი ნაწილობრივ დააბალანსა. თუმცა ამ მონაცემის დემოგრაფიულად შეფასება მხოლოდ რაოდენობრივი ბალანსით არ არის საკმარისი. მიგრაციის გავლენა დამოკიდებულია იმიგრანტებისა და ემიგრანტების ასაკზე, განათლებაზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და შრომის ბაზარში ჩართულობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და სამუშაო ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება, რადგან იგი მომავალში არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას, არამედ შრომითი და ადამიანური კაპიტალის მოცულობასაც ამცირებს.

UNFPA-ის კვლევა საქართველოსთვის სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ დემოგრაფიული მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნიდან მოსახლეობის გადინების შემცირება, ახალგაზრდებისთვის საქართველოს მიმზიდველობის ზრდა, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება და განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ დაკავშირება (Guzmán et al., 2024).

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა: არსებული მდგომარეობა და კრიტიკული შეფასება

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი 2016 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციაა. კონცეფცია დემოგრაფიულ სტაბილურობას ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად გამოყოფს ნაყოფიერებას, ავადობასა და სიკვდილიანობას, მიგრაციასა და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას (საქართველოს პარლამენტი, 2016).

კონცეფციის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რადგან მან დემოგრაფიული საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის მრავალსექტორულ მიმართულებად ჩამოაყალიბა და დემოგრაფიული სტაბილურობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში განიხილა (საქართველოს პარლამენტი, 2016). ამასთან, თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა მიუთითებს, რომ არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება, მათი ეფექტიანობის შეფასება და სხვადასხვა მიმართულების უფრო მჭიდრო კოორდინაცია აუცილებელია.

UNFPA Georgia-ის 2026 წლის საკონსულტაციო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2016 წლის კონცეფციის შემდგომ დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებობდა გარკვეული ინსტიტუციური და ფინანსური გამოწვევები, ხოლო დემოგრაფიულ მდგრადობასთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა სამინისტროსა და მმართველობით დონეზეა გადანაწილებული. დოკუმენტი ხაზს უსვამს ერთიანი, მრავალსექტორული და კოორდინირებული დემოგრაფიული პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერების საჭიროებას (UNFPA Georgia, 2026).

აღნიშნული გარემოება საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ სისუსტეზე მიუთითებს: პრობლემა არ არის მხოლოდ კონკრეტული პროგრამების არსებობა, არამედ მათი ერთმანეთთან დაკავშირება და საერთო დემოგრაფიული მიზნის ფარგლებში კოორდინაცია.

დემოგრაფიული პოლიტიკა თავისი ბუნებით მრავალსექტორულია. შობადობაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ პირდაპირი ფინანსური დახმარება, არამედ დასაქმება, შემოსავლები, საცხოვრებლის ღირებულება, ბავშვის მოვლის სერვისები, განათლება და ოჯახური ცხოვრების ორგანიზების შესაძლებლობები. მიგრაცია დაკავშირებულია შრომის ბაზართან, რეგიონულ განვითარებასთან და ქვეყნის ეკონომიკურ მიმზიდველობასთან, ხოლო დაბერება — პენსიებთან, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებებთან. შესაბამისად, ცალკეული უწყებების მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემის სრულფასოვან მართვას.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოჯახური პოლიტიკის მიმართულებას. თუმცა აქაც მნიშვნელოვანია პოლიტიკის მიზნის სწორად განსაზღვრა. OECD-ის კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანების გადაწყვეტილება ბავშვის ყოლის შესახებ დაკავშირებულია ეკონომიკურ და ფინანსურ უსაფრთხოებასთან, ბავშვების აღზრდის ხარჯებთან, საცხოვრებლის ხელმისაწვდომობასთან, შრომის ბაზრის მდგომარეობასა და ოჯახურ პოლიტიკასთან. ამასთან, OECD აღნიშნავს, რომ მშობლებისთვის სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობა, ანაზღაურებადი მშობლის

შვებულება და ხელმისაწვდომი ბავშვზე ზრუნვის სერვისები ხელს უწყობს ოჯახების შესაძლებლობას, გააერთიანონ დასაქმება და მშობლობა (OECD, 2024).

ამიტომ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის შეფასებისას მხოლოდ შობადობის პირდაპირი ფინანსური წახალისების ეფექტიანობაზე კონცენტრირება არასაკმარისია. უფრო მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ამცირებს ოჯახის შექმნისა და ბავშვის აღზრდის ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ბარიერებს.

დემოგრაფიული ცვლილებების სოციალურ-ეკონომიკური გავლენა

დემოგრაფიული ცვლილებების ეკონომიკური გავლენა პირველ რიგში სამუშაო ძალის მოცულობის ცვლილებას უკავშირდება. 2024 წლის აღწერის მიხედვით, 15–64 წლის მოსახლეობის წილი 62.8%-ს შეადგენს, რაც 2014 წლის მაჩვენებელზე 4.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია (საქსტატი, 2026).

თუ აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდება, მომავალში საქართველოს ეკონომიკას შესაძლოა შეექმნას სამუშაო ძალის დეფიციტის, კვალიფიციური კადრების ნაკლებობისა და სოციალური დაცვის სისტემის ფინანსური დატვირთვის ზრდის პრობლემა. ამ პირობებში ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შრომის პროდუქტიულობის ზრდას, ტექნოლოგიურ განვითარებას და სამუშაო ძალაში სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის გაზრდას.

მოსახლეობის დაბერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპენსიო და ჯანდაცვის სისტემებისთვის. 2024 წლის აღწერის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა უკვე 692 700 ადამიანს, ანუ მოსახლეობის 17.6%-ს შეადგენს (საქსტატი, 2026).

გაეროს შეფასებით, მოსახლეობის დაბერება ზრდის მოთხოვნას სოციალურ დაცვაზე, ჯანდაცვასა და ხანგრძლივ ზრუნვაზე და ამავე დროს შეიძლება შეამციროს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შეფარდებითი წილი (United Nations, 2024).

დემოგრაფიული ცვლილებები გავლენას ახდენს განათლების სისტემაზეც. დაბადებულთა რაოდენობის ხანგრძლივი შემცირება მომავალში შეიძლება აისახოს მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობაზე, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის დატვირთვასა და მასწავლებელთა საჭიროებაზე. ამასთან, ადამიანური კაპიტალის ხარისხის ზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირების პირობებში ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ერთ დასაქმებულზე შექმნილ პროდუქტზე.

ამ კონტექსტში ტექნოლოგიური განვითარება, ავტომატიზაცია და შრომის პროდუქტიულობის ზრდა დემოგრაფიული ცვლილებების ეკონომიკური შედეგების ნაწილობრივი კომპენსირების საშუალებად შეიძლება იქცეს, თუმცა ტექნოლოგიური პროგრესი ვერ ჩაანაცვლებს დემოგრაფიული პოლიტიკის საჭიროებას. პირიქით, იგი უნდა იყოს ინტეგრირებული ადამიანური კაპიტალის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკასთან.

საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიდგომები

დაბალი ნაყოფიერება და მოსახლეობის დაბერება მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი პრობლემა არ არის. OECD-ის 2024 წლის მონაცემებით, ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ჯამური ნაყოფიერების კოეფიციენტი საშუალოდ 3.3

ბავშვიდან ერთ ქალზე 1960 წელს 1.5-მდე შემცირდა 2022 წელს, რაც მოსახლეობის მარტივი ჩანაცვლებისთვის საჭირო 2.1-იან დონეზე დაბალია (OECD, 2024).

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ დაბალი შობადობის საპასუხოდ სახელმწიფოების პოლიტიკა სულ უფრო მეტად სცდება მხოლოდ პირდაპირ ფინანსურ წახალისებას. OECD განსაკუთრებით გამოყოფს ოჯახური პოლიტიკის, ანაზღაურებადი მშობლის შვებულების, ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სერვისების, სამუშაოსა და ოჯახის ცხოვრების შეთავსებისა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას (OECD, 2024).

მაგალითად, OECD-ის ანალიზში საფრანგეთი, ნორდიკული ქვეყნები და უნგრეთი განხილულია იმ ქვეყნების მაგალითებად, სადაც ოჯახური პოლიტიკის ინსტრუმენტები შედარებით ფართო სისტემაშია გაერთიანებული. ამავე დროს, OECD ხაზს უსვამს, რომ ოჯახის პოლიტიკის გაძლიერება თავისთავად არ იძლევა ჩანაცვლების დონემდე ნაყოფიერების დაბრუნების გარანტიას, ამიტომ სახელმწიფოებმა ერთდროულად უნდა იზრუნონ დაბალნაყოფიერებიან მომავალთან ადაპტაციაზეც (OECD, 2024).

საქართველოსთვის აღნიშნული გამოცდილებიდან პირდაპირი მნიშვნელობა აქვს არა კონკრეტული ქვეყნის პროგრამების მექანიკურ გადმოტანას, არამედ პოლიტიკის პრინციპების ადაპტირებას. კერძოდ, მნიშვნელოვანია ოჯახების მხარდაჭერის ისეთი სისტემა, რომელიც აერთიანებს ფინანსურ დახმარებას, ბავშვზე ზრუნვას, სამუშაოსა და ოჯახის ცხოვრების შეთავსებას, ახალგაზრდების დასაქმებასა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას.

საერთაშორისო გამოცდილება ასევე აჩვენებს, რომ დაბალი ნაყოფიერების პირობებში სახელმწიფოები სულ უფრო მეტად იყენებენ დემოგრაფიულ პოლიტიკას ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად. OECD-ის რეკომენდაციით, დაბალი ნაყოფიერების მომავალთან ადაპტაცია მოიცავს მიგრაციის მართვას, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების შრომით ბაზარში ჩართულობის გაზრდასა და პროდუქტიულობის ამაღლებას (OECD, 2024).

საქართველოსთვის ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დემოგრაფიული პოლიტიკა ერთდროულად უნდა ემსახურებოდეს როგორც მოსახლეობის რაოდენობრივი კლების რისკების შემცირებას, ისე უკვე მიმდინარე ასაკობრივ ცვლილებებთან ადაპტაციას.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების მთავარი პრინციპი უნდა გახდეს დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახების მიერ სასურველი რაოდენობის შვილების ყოლის შესაძლებლობას, ახალგაზრდების ქვეყანაში დარჩენას, ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ასაკოვანი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით, დემოგრაფიული პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შობადობის წახალისებით და უნდა განიხილებოდეს როგორც მრავალსექტორული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც აერთიანებს სოციალურ, ეკონომიკურ, შრომით, ჯანდაცვის, განათლების, მიგრაციისა და რეგიონული განვითარების მიმართულებებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახზე ორიენტირებული ინტეგრირებული პოლიტიკის გაძლიერებას. სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა

მოიცავდეს ბავშვის დაბადებასა და აღზრდასთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შემცირებას და ოჯახებისთვის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას. ამასთან, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა მხოლოდ ერთჯერადი ფინანსური დახმარების მექანიზმებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. აუცილებელია ბავშვის მოვლისა და განათლების სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ჯანდაცვის სერვისების განვითარება და ისეთი სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც ოჯახებს გრძელვადიან პერიოდში შეუქმნის მხარდაჭერის შესაძლებლობას.

ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების ხელშეწყობა. OECD-ის კვლევის მიხედვით, ოჯახური პასუხისმგებლობებისა და დასაქმების შეთავსებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მნიშვნელოვანია როგორც ქალთა ეკონომიკური ჩართულობის, ისე ოჯახების მიერ შვილების ყოლის გადაწყვეტილებისთვის (OECD, 2024). შესაბამისად, საქართველოს პირობებში მიზანშეწონილია მოქნილი სამუშაო პირობების განვითარების, მშობლის შვებულების მექანიზმების გაუმჯობესებისა და ბავშვზე ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაფართოების ხელშეწყობა. ამასთან, მნიშვნელოვანია ოჯახური პასუხისმგებლობების უფრო თანაბარი განაწილების წახალისება, რაც მშობლებს დასაქმებისა და ოჯახური ცხოვრების უკეთ შეთავსების შესაძლებლობას მისცემს.

დემოგრაფიული მდგრადობისთვის ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ახალგაზრდების დასაქმების, პროფესიული განვითარების, სტაბილური შემოსავლისა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებასთან, ისე ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის შესაძლებლობასთან. UNFPA-ის შეფასებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია განათლებისა და შრომის ბაზრის უკეთ დაკავშირება, ახალგაზრდების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება და ქვეყნის მიმზიდველობის ზრდა ადამიანური კაპიტალის შესანარჩუნებლად (Guzmán et al., 2024). შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ახალგაზრდების დასაქმების, პროფესიული განათლებისა და ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებს.

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესებიც. 2025 წელს ქვეყანაში დადებითი წმინდა მიგრაციის დაფიქსირებამ აჩვენა, რომ მიგრაციას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაში (საქსტატი, 2026). თუმცა გრძელვადიანი დემოგრაფიული პოლიტიკისთვის მხოლოდ მიგრაციის რაოდენობრივი ბალანსის შეფასება საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია მიგრანტების ასაკობრივი, განათლებისა და პროფესიული სტრუქტურის გათვალისწინება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ახალგაზრდა და კვალიფიციური მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს როგორც სამუშაო ძალის მოცულობაზე, ისე ადამიანური კაპიტალის დაგროვებაზე. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაბრუნებითი მიგრაციის ხელშეწყობას და უცხოეთში მიღებული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრაციის მექანიზმების განვითარებას.

დემოგრაფიული პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსახლეობის დაბერებასთან ადაპტაცია. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის 14.3%-დან 17.6%-მდე ზრდა 2014–2024 წლებში მიუთითებს, რომ მოსახლეობის დაბერება საქართველოსთვის უკვე მიმდინარე და არა მხოლოდ მომავლის გამოწვევაა

(საქსტატი, 2026). შესაბამისად, აუცილებელია აქტიური დაბერების პოლიტიკის გაძლიერება, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და პრევენციის პროგრამების განვითარება, ხანგრძლივი ზრუნვის სერვისების გაფართოება და იმ ასაკოვანი ადამიანების შრომით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა, რომელთაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვთ. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც ხანდაზმული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შემცირებას.

დემოგრაფიული პროცესების მართვისას მნიშვნელოვანია რეგიონული განზომილების გათვალისწინებაც. მოსახლეობის სივრცითი განაწილების განსხვავებები დაკავშირებულია რეგიონებში დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების არათანაბარ ხელმისაწვდომობასთან. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან. რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობა შეამცირებს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, რეგიონებიდან გადინების მოტივაციას.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერება. UNFPA Georgia-ის 2026 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დემოგრაფიულ მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა უწყებასა და მმართველობით დონეზეა გადანაწილებული, რაც ერთიანი და მრავალსექტორული პოლიტიკის კოორდინაციის გაძლიერების საჭიროებაზე მიუთითებს (UNFPA Georgia, 2026). ამ პირობებში მიზანშეწონილია ერთიანი დემოგრაფიული მდგრადობის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება გრძელვადიანი მიზნები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები, დაფინანსების მექანიზმები და განხორციელების პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

ამგვარი მიდგომა საქართველოს დემოგრაფიულ პოლიტიკას ცალკეული პროგრამების ერთობლიობიდან უფრო თანმიმდევრულ, შედეგებზე ორიენტირებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკად გარდაქმნის. დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნების, არამედ ადამიანური კაპიტალის, შრომის ბაზრის, სოციალური დაცვისა და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის კონტექსტში.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყანა ხანგრძლივი დემოგრაფიული ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება. ძირითადი გამოწვევები ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე პროცესის ერთობლიობით არის განპირობებული: შობადობის შემცირება, ბუნებრივი კლების გაძლიერება, მოსახლეობის დაბერება, მიგრაციული ნაკადების მაღალი ცვალებადობა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება. აღნიშნული პროცესები მხოლოდ დემოგრაფიულ სფეროზე არ ახდენს გავლენას და პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

კვლევის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, 2019–2025 წლებში საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 48 296-დან 37 867-მდე შემცირდა, რაც დაახლოებით 21.6%-იან კლებას წარმოადგენს. ამავე პერიოდში ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელი დადებითი 1 637 ადამიანიდან უარყოფით 6 452 ადამიანამდე შეიცვალა. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს, რომ საქართველოში ბუნებრივი კლება უკვე არა დროებითი, არამედ მდგრადი დემოგრაფიული ტენდენციის სახით ყალიბდება (საქსტატი, 2026).

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება. 2024 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 2014 წლის 14.3%-დან 2024 წელს 17.6%-მდე გაიზარდა, ხოლო 15–64 წლის მოსახლეობის წილი 67.1%-დან 62.8%-მდე შემცირდა (საქსტატი, 2026). აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს მოსახლეობის დაბერების გაძლიერებაზე და მომავალში ზრდის როგორც სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სისტემებზე, ისე შრომის ბაზარზე დატვირთვის რისკს.

მიგრაციული პროცესები საქართველოს დემოგრაფიულ დინამიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 2025 წელს ქვეყანაში წმინდა მიგრაციამ 17 127 ადამიანი შეადგინა, რამაც რაოდენობრივად ბუნებრივი კლების ნაწილი დააბალანსა. თუმცა მიგრაციის დადებითი სალდო თავისთავად ვერ განიხილება დემოგრაფიული პრობლემის გრძელვადიან გადაწყვეტად. დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიგრანტთა რაოდენობა, არამედ მათი ასაკობრივი, განათლებისა და პროფესიული სტრუქტურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური მოსახლეობის ქვეყნიდან გადინების შემცირება და დაბრუნებითი მიგრაციის ხელშეწყობა (საქსტატი, 2026; Guzmán et al., 2024).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკის ინსტრუმენტების კოორდინაციის საჭიროება. 2016 წლის დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებამ მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა, თუმცა თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მოითხოვს უფრო ინტეგრირებულ, მრავალსექტორულ და შედეგებზე ორიენტირებულ პოლიტიკას. UNFPA-ის შეფასებით, დემოგრაფიულ მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა უწყებასა და მმართველობით დონეზეა გადანაწილებული, რაც ერთიანი სტრატეგიული მიდგომისა და კოორდინაციის გაძლიერების საჭიროებაზე მიუთითებს (UNFPA Georgia, 2026).

აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარი მიზანი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შობადობის რაოდენობრივი ზრდით. აუცილებელია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას, საკუთარი სასურველი ოჯახური და რეპროდუქციული გადაწყვეტილებები რეალურად განახორციელონ. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ დაბალი ნაყოფიერების პირობებში ეფექტიანი პოლიტიკა მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირ ფინანსურ დახმარებას, არამედ ბავშვზე ზრუნვის ხელმისაწვდომ სერვისებს, მშობლის შვებულებას, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობას, საცხოვრებლის ხელმისაწვდომობასა და ახალგაზრდების ეკონომიკურ მხარდაჭერას (OECD, 2024).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის გაძლიერებისთვის მიზანშეწონილია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიმართულების განვითარება.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობისთვის აუცილებელია ერთიანი დემოგრაფიული მდგრადობის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება სახელმწიფოს გრძელვადიანი მიზნები, კონკრეტული ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები, დაფინანსების მექანიზმები და განხორციელების შეფასების პერიოდულობა. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პოლიტიკის ფრაგმენტულობის შემცირებას, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას და განხორციელებული ღონისძიებების შედეგების სისტემურ შეფასებას.

დემოგრაფიული მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ოჯახებისა და მშობლობის მხარდამჭერი პოლიტიკის გაძლიერებაც. ფინანსურ დახმარებასთან ერთად მნიშვნელოვანია ბავშვზე ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში, სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ოჯახებისთვის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური ხარჯების შემცირება. ამასთან, მხარდაჭერის მექანიზმები უნდა იყოს გრძელვადიანი და არა მხოლოდ ერთჯერადი ხასიათის, რათა ოჯახებს სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო შეუქმნას.

ამასთან, მნიშვნელოვანი საკითხია სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობების გაუმჯობესება. აუცილებელია მოქნილი სამუშაო პირობების, მშობლის შვებულების ეფექტიანი მექანიზმებისა და ბავშვზე ზრუნვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პოლიტიკა ხელს შეუწყობს ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ქალთა ეკონომიკური აქტივობისა და შრომის ბაზარზე მათი მონაწილეობის შენარჩუნებას (OECD, 2024).

დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა გახდეს ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებაც. ახალგაზრდებისთვის დასაქმების, პროფესიული განვითარების, ღირსეული შემოსავლისა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც მათი ქვეყნის დატოვების მოტივაციის შემცირებას, ისე ოჯახის შექმნასთან და შვილების ყოლასთან დაკავშირებული ეკონომიკური ბარიერების შემცირებას. ამ თვალსაზრისით, დემოგრაფიული პოლიტიკა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ახალგაზრდობის, განათლების, დასაქმებისა და საცხოვრებლის პოლიტიკას.

მნიშვნელოვანია ემიგრაციის შემცირებისა და დაბრუნებითი მიგრაციის წახალისების მიმართულების გაძლიერებაც. სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშემწყობ მექანიზმებს, მათ შორის დასაქმების, პროფესიული რეინტეგრაციისა და ბიზნესსაქმიანობის მხარდაჭერას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მოქალაქეების დაბრუნების ხელშეწყობას, რომლებმაც უცხოეთში მიიღეს განათლება, პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, რადგან მათი დაბრუნება ხელს შეუწყობს ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას.

დაბალი შობადობისა და სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილის შემცირების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებასა და განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსად სწორედ შრომის პროდუქტიულობისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება უნდა განიხილებოდეს. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს განათლების, პროფესიული მომზადებისა და შრომის ბაზრის განვითარების პოლიტიკას.

მოსახლეობის დაბერების პროცესის გათვალისწინებით აუცილებელია ასაკობრივ სტრუქტურასთან ადაპტირებული პოლიტიკის განვითარებაც. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდის პირობებში მნიშვნელოვანია აქტიური დაბერების პროგრამების, ხანდაზმულთა ჯანდაცვის, ხანგრძლივი ზრუნვისა და სოციალური მომსახურებების განვითარება. ამასთან, იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვთ, უნდა შეიქმნას შრომის ბაზარზე ეკონომიკური აქტივობის გაგრძელების უფრო მოქნილი შესაძლებლობები. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც ხანდაზმული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შემცირებას.

დემოგრაფიული პოლიტიკის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული დემოგრაფიული უთანაბრობის შემცირება. პოლიტიკა უნდა იყოს დაკავშირებული რეგიონული განვითარების ღონისძიებებთან და ითვალისწინებდეს რეგიონებში დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. რეგიონებში ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადგილზე შენარჩუნებას, შეამცირებს შიდა მიგრაციისა და ქვეყნის დატოვების მოტივაციას, გააძლიერებს ადგილობრივ დემოგრაფიულ პოტენციალს.

საბოლოოდ, დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დემოგრაფიული მონაცემების მუდმივი მონიტორინგისა და პოლიტიკის შეფასების სისტემის გაძლიერება. სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დახარჯული ფინანსური რესურსების, არამედ მიღწეული შედეგების მიხედვით. ამ მიზნით მიზანშეწონილია ისეთი ინდიკატორების რეგულარული მონიტორინგი, როგორიცაა შობადობა, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, ახალგაზრდების დასაქმება, საერთაშორისო და დაბრუნებითი მიგრაცია, ბავშვზე ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგი სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს, დროულად გამოავლინოს არსებული პოლიტიკის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ან გააძლიეროს შესაბამისი მექანიზმები.

საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევების დაძლევა ვერ იქნება მიღწეული ერთი კონკრეტული პროგრამით ან პოლიტიკის ერთი მიმართულებით. აუცილებელია **მრავალსექტორული დემოგრაფიული პოლიტიკა**, რომელიც გააერთიანებს ოჯახურ, სოციალურ, ეკონომიკურ, შრომით, ჯანდაცვის, განათლების, მიგრაციისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკებს. დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველყოფა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნების, არამედ ქვეყნის ადამიანური კაპიტალის, ეკონომიკური პოტენციალისა და სოციალური სისტემების გრძელვადიანი მდგრადობის კონტექსტში.

ამრიგად, საქართველოსთვის დემოგრაფიული პოლიტიკის წარმატების მთავარი წინაპირობა იქნება **გრძელვადიანი, თანმიმდევრული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ინსტიტუციურად კოორდინირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება**, რომელიც ერთდროულად უპასუხებს როგორც დაბალი შობადობისა და მიგრაციის გამოწვევებს, ისე მოსახლეობის დაბერებასა და სამუშაო ძალის შემცირების რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Guzmán, J. M., Tsiklauri, S., & Tsekvava, T. (2024). *Demographic resilience and sustainable development in Georgia*. United Nations Population Fund (UNFPA) Georgia. https://georgia.unfpa.org/en/publications/demographic-resilience

2. National Statistics Office of Georgia. (2026a). *Main results of the 2024 population and agricultural census*. https://www.geostat.ge/en/single-news/3790/main-results-of-the-2024-population-and-agricultural-census

3. National Statistics Office of Georgia. (2026b). *Migration*. https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration

4. National Statistics Office of Georgia. (2026c). *Population and demography*. https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography

5. National Statistics Office of Georgia. (2026d). *Summary of vital statistics—2025*. https://www.geostat.ge/en/single-news/3711/summary-of-vital-statistics-2025

6. OECD. (2024). *Society at a glance 2024: OECD social indicators*. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/918d8db3-en

7. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. (2024). *World population prospects 2024: Summary of results*. United Nations. https://population.un.org/wpp/publications/

8. UNFPA Georgia. (2026). *International consultant: Demographic resilience strategy*. United Nations Population Fund Georgia. https://georgia.unfpa.org/en/DemRes

Gvantsa Eristavi

Demographic Policy of Georgia: Current State, Challenges, and Prospects

Summary

Georgia's demographic development has been characterized by significant structural changes over the past decades, including declining fertility, an increasing natural decrease in population, population ageing, and substantial fluctuations in international migration. These processes have important implications for the country's socio-economic development, labor market, human capital, and the sustainability of social protection systems.

The aim of this study is to assess the current state of Georgia's demographic policy, identify major demographic trends and challenges, and determine prospects for the further development of demographic policy. The study is based on an analysis of official data and research produced by the National Statistics Office of Georgia (Geostat), the United Nations Population Fund (UNFPA), the United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), and the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). Descriptive, dynamic, and comparative analysis methods are employed.

The findings indicate that demographic changes in Georgia have become systemic in nature. Between 2019 and 2025, the number of live births declined from 48,296 to 37,867, representing a decrease of approximately 21.6%, while the natural population change shifted from an increase of 1,637 persons to a natural decrease of 6,452 persons (National Statistics Office of Georgia [Geostat], 2026). In addition, according to the 2024 Population Census, the share of the population aged 65 and over increased from 14.3% to 17.6%, while the share of the working-age population aged 15–64 declined from 67.1% to 62.8% (Geostat, 2026).

The study demonstrates that demographic challenges cannot be addressed through financial incentives for fertility alone. A comprehensive and integrated policy approach is required, combining family policy, youth economic support, employment, migration management, human capital development, active ageing, and regional development.

Keywords: *demographic policy, demographic resilience, fertility, natural population decrease, migration, population ageing, human capital, Georgia.*

ლელა მენაბდიშვილი

სამუშაო და დედობა

ანოტაცია. *წარმოდგენილი ნაშრომში განხილულია სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც სრულად ავტორის მიერ იყო მომზადებული და ჩატარებული. ნაშრომში განხილულია თანამედროვე ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - სამსახურისა და დედობის ბალანსი. სამეცნიერო ლიტერატურაში და საზოგადოებაში გავრცელებულია სხვადასხვა მოსაზრება: ერთნი ფიქრობენ, რომ ქალთა მასიურმა დასაქმებამ ხელი შეუწყო შობადობის შემცირებას, ხოლო მეორეთა აზრით, ეს მოსაზრება მცდარია. ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინდივიდუალურ ფაქტორს. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტი დედების უმეტესობა მცირეშვილიანია ერთი (42%) ან ორი (48%) შვილით. რესპოდენტი დედებისთვის შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში შეადგენს 2,9 შვილს, ასევე იდეალურ შემთხვევაში ისინი იყოლიებდნენ ზუსტად ამდენივე შვილს. თუმცა, როგორც მონაცემებიდან ჩანს მათთვის იდეალური შემთხვევა არ არის, რადგან, ჯერ ერთი, გამოკითხული დედების ოჯახში ინტერვიუს პერიოდში ფაქტიურად საშუალოდ არის 1,7 შვილი და იმ შემთხვევაში თუ არაფერმა შეუშალა ხელი იგეგმება კიდევ 0,5 შვილის გაჩენა. ანუ სულ მოსალოდნელი შვილების რაოდენობა, თუ კი ხელს არაფერი შეუშლით იქნება 2,2. თუმცა რესპოდენტები ხელისშემშლელ მიზეზებსაც ასახელებენ, რომელთა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ფინანსურ პრობლემებს, შვილის აღზრდის სირთულეს და არახელსაყრელ სამუშაო გრაფიკის. კვლევამ აჩვენა რომ სასურველი რაოდენობის შვილთა ყოლის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია რესპოდენტი დედების 59%-ის ოჯახში და ამიტომ ისინი კიდევ შვილის გაჩენას აღარ აპირებენ. კიდევ ერთი შვილის გაჩენას აპირებენ ძირითადად ერთშვილიანი დედები. დასაქმება მეტ-ნაკლებად უქმნის პრობლემას რესპოდენტი დედების ნახევარზე მეტს შვილების აღზრდაში, ხოლო 1/3-ზე მეტის თქმით დასაქმება არანაირ პრობლემას არ ქმნის. ყველაზე მეტად პრობლემები ექმნებათ ბაგა-ბაღისა და დაწყებითი კლასების ბავშვების იმ მშობლებს, რომლებსაც ოჯახში დამხმარე არ ჰყავთ. რესპოდენტების ოჯახში არსებულ პრობლემათა შორის უმთავრესია ფინანსური პრობლემა და დროის სიმცირე. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახერხებს ორივე როლის დაბალანსებას ზომიერი კმაყოფილებით, არც თუ მცირე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს შვილებთან ერთად ყოფნის შეზღუდულ დროზე. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ინსტიტუციური და ოჯახური მხარდაჭერის მნიშვნელობას დასაქმებული დედების, მათი ოჯახების კეთილდღეობისა ეფექტურობის ხელშეწყობაში. მაგრამ დედების დასაქმება ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცირეშვილიანობის მიზეზი, რადგან მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ იმდენი შვილი ჰყავს რამდენიც უნდა. მცირეშვილიანობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაში.*

საკვანძო სიტყვები: *დასაქმება, შვილიანობა, ხელისშემშლელი მიზეზები, მნიშვნელოვანი პრობლემები.*

შესავალი. დღვანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ქალები აქტიურად არიან ჩართულები საოჯახო საქმიანობასა და სამუშაოში. ისინი ახერხებენ მაღალი თანამდებობების დაკავებას სხვადასხვა ინდუსტრიაში,

მართავენ საკუთარ ბიზნესს და, პარალელურად, უვლიან ოჯახს, შვილებს. მიუხედავად სირთულეებისა, ისინი ეძებენ გზებს, რომ წარმატებას მიაღწიონ კარიერასა და ოჯახში.

სამუშაო და დედობა, ანუ იმის დადგენა თუ როგორ გავლენას ახდენს ქალების ფორმალურ დასაქმებაზე წვდომა შობადობაზე, ცენტრალურ ადგილს იკავებს დემოგრაფიული ცვლილებებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ დებატებში. დიდი ხნის განმავლობაში როგორც აკადემიურ, ასევე პოლიტიკურ წრეებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად ქალების სამუშაო შესაძლებლობების გაფართოება შობადობის შემცირებას იწვევს. ეს შეხედულება დაფუძნებულია ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობასა და შობადობის შემცირებას შორის ფართო ისტორიულ კოლერაციაზე.

საქართველოში მიმდინარე საუკუნის პირველი მეოთხედი დემოგრაფიულად რთულად შეიძლება დახასიათდეს. შობადობა მკვეთრადაა შემცირებული. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც დემოგრაფიაში ყველაზე ზუსტ მაჩვენებლად მიიჩნევა და რომელიც საშუალოდ ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობას განსაზღვრავს მნიშვნელოვნად დაეცა. თუ ეს უკანასკნელი 2018 წელს 2,0 ბავშვს შეადგენდა, მომდევმო წლებში კიდევ უფრო შემცირდა და გასულ 2025 წელს მხოლოდ 1,5 ბავშვი იყო. თუ კლების ტენდენცია ასე გაგრძელდა ცოტა ხანში „ყველაზე დაბალი შობადობა“ გვექნება. ეს ტერმინი 2002 წელს ცნობილმა ამერიკელმა და იტალიელმა დემოგრაფებმა ჰანს-პიტერ კოლერმა, ფრანჩესკო კ. ბილარიმ და ხოსე ანტონიო ორეგამ გაავრცელეს, თუმცა დემოგრაფიულ კვლევებში 1990-იანი წლების ბოლოს ჩნდება. ტერმინი ზემოთ ხსენებულმა დემოგრაფებმა განსაზღვრეს, როგორც ერთი ქალის შობადობა, რომელიც ნაკლებია 1.3 ბავშვზე. [Kohler, Billari, Ortega. (2002).] საქართველოში 2025 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მაჩვენებელი მხოლოდ 0,2-ით უსწრებს ყველაზე დაბალი შობადობის მაჩვენებელს.

სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით ქვეყანაში მუდმივად იკლებს შობადობა, სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ შვილი კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ღირებულება, თუმცა მრავალშვილიანობაზე იგივეს ვერ ვიტყვით. იმ პირობებში, როდესაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.1 მაგივრად 1.5 გაუტოლდა და შეიძლება კიდევ დაეცეს, აუცილებელია მიზეზების ძიება და გამოსავლის პოვნა. იმის დასადგენად შობადობის შემცირება მხოლოდ ქალთა სამუშაო ძალაში ჩართულობის ბრალია თუ შვილის ყოლის მოთხოვნილებაა შეცვლილი? ძირითადად რა მიზეზები განსაზღვრადს მცირეშვილიანობას? 2026 წლის იანვარ - მარტში თბილისში ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა. გამოიკითხა ფერტილური ასაკის 120 ქალი. კვლევა იყო თვისებრივი და თოვლის გუნდას პრინციპით მოხდა დასაქმებული, დაოჯახებული და შვილიანი რესპოდენტების შერჩევა.

ძირითადი ნაწილი. დღეს დაოჯახებული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია და თანაბრად ინაწილებს მეუღლესთან ერთად ოჯახის მარჩენლის ფუნქციას. ისინი აერთიანებენ პროფესიულ სწრაფვასა და ოჯახურ ერთგულებას. დედების ფინანსური დამოუკიდებლობა, პიროვნული იდენტობა შვილებს მნიშვნელოვან მისაბაძ მაგალითს სთვაზობს. თუმცა დასაქმებულ დედებში ხშირად თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად შეზღუდულ დროს უკავშირდება. დემოგრაფიულ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინდივიდუალურ ფაქტორს. ესენია: ბავშვზე ზრუნვის კვალიფიციური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა, კულტურული

ნორმები, ინდივიდუალური შეხედულებები და პარტნიორის შესაფერისობა. [Abma J.C. & Martinez G. M. 2006.]

ჩვენი რესპოდენტებიდან შვილები ყველას ჰყავს, რადგან შერჩევაში ეს ფაქტორი იყო გათვალისწინებული. თუმცა უმეტესობა მცირეშვილიანი დედაა ერთი (42%) ან ორი (48%) შვილით. მხოლოდ 10%-ს ჰყავს სამი ან ოთხი შვილი. ერთშვილიანი დედების 70% კიდევ ერთი შვილის გაჩენას გეგმავს, ხოლო 19% ორის. მათ შემთხვევაში ვისაც მხოლოდ ორი შვილი სურს რომ ჰყავდეს, მაშინაც კი თუ ყველა მათგანი შეძლებს მათთვის სასურველი ორი შვილის რეალიზებას, მარტივ აღწარმოებასაც კი არ ექნება მათ ოჯახში ადგილი. ხოლო იმ დედების შემთხვევაში ვისაც სურს სულ სამი შვილის ყოლა მათ ოჯახებში მოხდება მარტივ აღწარმოება. რაც შეეხება ორშვილიან დედებს. მათგან მხოლოდ რვამ აღნიშნა რომ სურს კიდევ ერთი შვილის გაჩენა. მათ თუ შეძლეს სურვილის რეალიზება, მაშინ მათ ოჯახებში მოხდება მარტივი აღწარმოება, თუმცა, დამეთანხმებით, სამი შვილის მსურველი დედების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ქვეყნისათვის არ არის რეალური შედეგის მომტანი.

ოჯახში შვილების რაოდენობა ძირითადად ორივე მეუღლის შეთანხმებით წყდება. დედების 59% აღნიშნავს, რომ ოჯახში იმდენი შვილი ჰყავთ, რამდენიც უნდა მას და მის მეუღლეს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ოჯახებმა რეპროდუქციული ქცევა უკვე დაამთვრა. ამ მოსაზრებას ამყარებს მათივე პასუხი კითხვაზე „კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?“ - არცერთი - 59%. რესპოდენტების 36% გვპასუხობს, რომ ოჯახში ორივე მეუღლეს თანაბარი რაოდენობის შვილები უნდათ რომ ჰყავდეთ. ანუ მათ ჯერ არ ჰყავთ სასურველი შვილების რაოდენობა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ სასურველ შვილთა რიცხვი უმეტესად ორი შვილით შემოიფარგლება. ძალზედ მცირეა ისეთი ოჯახები სადაც ქმარს უფრო მეტი შვილი უნდა ვიდრე ცოლს.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტი დედებისთვის შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში შეადგენს 2,9 შვილს, ასევე იდეალურ შემთხვევაში ისინი იყოლიებდნენ ზუსტად ამდენივე შვილს. თუმცა, როგორც მონაცემებიდან ჩანს მათთვის იდეალური შემთხვევა არ არის, რადგან, ჯერ ერთი, გამოკითხული დედების ოჯახში ინტერვიუს პერიოდში ფაქტიურად საშუალოდ არის 1,7 შვილი და იმ შემთხვევაში თუ არაფერმა შეუშალა ხელი იგეგმება კიდევ 0,5 შვილის გაჩენა. ანუ სულ მოსალოდნელი შვილების რაოდენობა, თუ კი ხელს არაფერი შეუშლით იქნება 2,2. ცნობილია, რომ ყველაზე დაბალი მოკვდავობის პირობებში მოსახლეობის მარტივი აღწარმოება მიიღწევა 2,1 შვილის შობადობის ჯამური კოეფიციენტის დონით. იდეალურ შემთხვევაში რესპოდენტთა ოჯახები მოახდენენ მარტივ აღწარმოებას, რაც ნაკლებ სავარაუდოა, იმ მიზეზების გათვალისწინებით რასაც თავად რესპოდენტები აღნიშნავენ.

მეორე, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის აზრით ოჯახს უკვე ჰყავს იმდენი შვილი რამდენიც ორივე მეუღლეს უნდოდა რომ ჰყოლოდათ, და ამიტომ, ისინი მომავალში შვილის კიდევ ყოლას აღარ აპირებენ.

რესპოდენტ დედებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ კიდევ შვილის გაჩენას შეეძლოთ დაესახელებინათ რამდენიმე უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლით მათთვის სასურველი შვილების რეალიზებას.

ცხრილი 1. სასურველი რაოდენობის შვილების ყოლის ხელის შემშლელი მიზეზები

ხელის შემშლელეი მიზეზები	პასუხები პროცენტებში
ჩემი ან მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა	19
ჩემს კარიერულ წინსვლას შეაფერხებს	15
ფინანსური სირთულეები	46
ოჯახური უთანხმოება	10
ცუდი საბინაო პირობები	10
არახელსაყრელი სამუშაო გრაფიკი	25
შვილების აღზრდის სირთულე	25

წყარო: უშუალოდ ავტორის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, 2026 წელი.

სასურველი შვილების რაოდენობის ყოლის ხელის შემშლელ მიზეზებს შორის დასახელების სიხშირის მიხედვით გამოირჩევა ფინანსური პრობლემები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეკითხვას: „ამჟამად ყველაზე მეტად რა პრობლემის წინაშე დგას თქვენი ოჯახი?“ რესპოდენტთა უმეტესობა პასუხობს „ფინანსური პრობლემები“. საკითხის ღრმად შესწავლამ აჩვენა, რომ ოჯახების უმეტესობას არ აქვს სამყოფი შემოსავალი, ნაწილს სესხი აქვს აღებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ნაწილს ბევრი ფული ეხარჯება ბავშვის კვებასა და ჰიგიენის საშუალებებზე, ან ძიძის და კერძო ბაღის გადასახადია მაღალი და ა.შ.

რესპოდენტთა ოჯახები ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით ასე განაწილდა: 33% სამსულიანი ოჯახები, 43% ოთხსულიანი ოჯახები და 24% ხუთი, ექვსი და შვიდ სულიანი ოჯახები. ყველაზე მეტია ის ოჯახები სადაც ორი წევრია დასაქმებული (76%), მათზე 6,5-ჯერ ნაკლებია ოჯახები სადაც სამი წევრია დასაქმებული. შემოსავლების მიხედვით რესპოდენტთა ოჯახების ანალიზმა აჩვენა, რომ სამსულიანი ოჯახების საშუალო შემოსავალი თვეში შეადგენს 1 205 ლარს, ხოლო ოთხსულიანის 2 985ლარს. ასეთი შემოსავლების პირობებში ოჯახებს, ბუნებრივია, ექნება ფინანსური პრობლემები.

სასურველი შვილების ყოლის ხელის შემშლელ მიზეზებში ფინანსური სირთულეების მერე თანაბრად დასახელდა არახელსაყრელი სამუშაო გრაფიკი და შვილების აღზრდის სირთულე. განვიხილოთ თითოეული მათგანი სიღრმისეულად. სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილე რესპოდენტები დასაქმებულები იყვნენ საჯარო (62%) და კერძო (38%) სექტორში. მათი დიდი ნაწილისთვის სამუშაო მუდმივია (91%) და სრულ განაკვეთზე მუშაობს (91%). საჯარო სექტორში დასაქმებული ქალების 30%-ს უწევს იშვიათად ან მუდმივად კვირაში იმაზე მეტის მუშაობა ვიდრე ხელშეკრულებაშია გაწერილი, კერძო სექტორში დასაქმებულებში ასეთი დედების რაოდენობა უფრო მეტია (43%). რაც უფრო მეტ დროს ატარებს დასაქმებული დედა სამსახურში მით ნაკლები დრო რჩება შვილებთან გასატარებლად. როგორც დასაქმებული დედები აღნიშნავენ, ასევე დიდი დრო ეხარჯებათ სამსახურიდან სახლში დასაბრუნებლად. ოჯახში არსებულ ყველაზე დიდი პრობლემად რესპოდენტთა ამ ნაწილმა დრიოს დეფიციტი დაასახელა. ისინი უკმაყოფილოები არიან, რომ შვილებთან ნაკლებ დროს ატარებენ, რომ ფაქტიურად ღამე უწევთ საოჯახო საქმეების შესრულება, რადგან ოჯახში დამხმარე არ ჰყავთ (62%).

ცხრილი 2. სამუშაო დღეებში
დედების შვილებთან გატარებული დრო

შვილებთან გატარებული საათების რაოდენობა	დასახელების სიხშირე %
არაუმეტეს 2 საათისა	7
2-3 საათი	12
4-5 საათი	60
6-7 საათი	19
8 და მეტი საათი	2

წყარო: უშუალოდ ავტორის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, 2026 წელი.

შვილების აღზრდის სირთულე ერთ-ერთი პრობლემაა, რომელიც შესაძლოა ხელის შემშლელი მიზეზი აღმოჩნდეს სასურველი რაოდენობის შვილების ყოლაში და არა მხოლოდ. დასაქმება, რომ პრობლემებს ქმნის შვილების აღზრდაში ამაზე საუბრობდნენ ის დედებიც, რომლებმაც რეპროდუქციული ქცევა უკვე დაამთავრეს, ანუ აღარ აპირებენ ბავშვების კიდევ ყოლას. შვილების აღზრდის სირთულე უკავშირდება როგორც ფინანსებს, ისე დროს დეფიციტს. ვერ ხერხდება ბალანსი სამუშაოსა და შვილების აღზრდას შორის და ხშირად შვილები იჩაგრებიან.

დასაქმებული დედები თვლიან, რომ მათთვის აუცილებელია იმუშაონ, რათა შემოსავალი მიიღონ, თუმცა ბავშვებზე ზრუნვის ღირებულება სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც აუცილებელ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე ფასების მატებასთან არის დაკავშირებული. დედები საუბრობენ იმაზე, რომ ბავშვებზე ზრუნვის ხარჯები მათი ხელფასის უმეტეს ნაწილს შეადგენს, არ არსებობს ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის მომსახურება, საკმაოდ დიდი პრობლემაა ბავშვის მოვლის სერვისების სანდოობა და ხელმისაწვდომობა.

ცხრილი 3. დასაქმება და შვილების აღზრდა

დასაქმება შვილების აღზრდაში პრობლემებს გიქმნით თუ არა	პასუხები %
დიახ, დიდი პრობლემებს	6
მეტ-ნაკლებად	52
არანაირ პრობლემას არ ქმნის	42

წყარო: უშუალოდ ავტორის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, 2026 წელი.

დროის ნაკლებობა, ფსიქიკური დატვირთვა, შვილების განათლების საქმეში ნაკლები ჩართულობა ეს პრობლემები აწუხებთ დასაქმებულ დედებს. შვილების აღზრდასა და დასაქმებას შორის პრობლემებზე განსაკუთრებით ის დედები ამახვილებენ ყურადღებას, რომლებსაც ბაგა-ბაღის და დაწყებითის მოსწავლეები ჰყავთ. განსაკუთრებით მწვავდება პრობლემა, როცა საგანმანათლებლო დაწესებულებები წყვეტენ მუშაობას. იმ დედებს, ვისაც არც ძიძა ჰყავთ და არც დამხმარე ოჯახის წევრი უწევთ ალტერნატიული გზების ძებნა. ეს კი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

რესპოდენტ დედებს უნდა შეეფასებინათ თავიანთი ოჯახური ცხოვრების კმაყოფილების დონე 10 ბალიანი შკალით, სადაც ერთი აღნიშნავდა სრულიად უკმაყოფილოს, ხოლო ათი ძალიან კმაყოფილს. აღმოჩნდა, რომ ოჯახური ცხოვრებით ძალიან კმაყოფილია დასაქმებული დედების 28%. თუ ხმებს გადავანაწილებთ

კმაყოფილებსა და უკმაყოფილოებს შორის, ასეთ შედეგს მივიღებთ: 1-5 ქულით შეაფასა თავისი ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილება რესპოდენტთა 21%-მა, ხოლო 6-10 ქულით 77%-მა დანარჩენმა შეფასებაზე თავი შეიკავა.

დასკვნა. დასაქმებულ დედებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად რესპოდენტთა აზრით, ოჯახებში შვილთა ოპტიმალური რაოდენობა უნდა იყოს სამი შვილი თუმცა რეალურად სამშვილიანი ოჯახები მათ შორის ძალიან მცირე (6%). თითქმის ნახევარია ორშვილიანი ოჯახები. დედების დასაქმება ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცირეშვილიანობის მიზეზი, რადგან მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ იმდენი შვილი ჰყავს რამდენიც უნდა. მაგრამ როცა საკითხი ეხება სასურველ შვილთა რაოდენობის ყოლის ხელის შემშლელ მიზეზებს და ოჯახში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემას, მაშინ დასაქმებული დედები ყურადღებას ამახვილებენ ფინანსურ საკითხებზე, ბავშვთა აღზრდის სირთულეზე და არახელსაყრელ სამუშაო გრაფიკზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახერხებს ორივე როლის დაბალანსებას ზომიერი კმაყოფილებით, ბევრი მაინც მიუთითებს შვილებთან ერთად ყოფნის შეზღუდულ დროზე. მათთვის ძირითადი გამოწვევებია დროის ნაკლებობა, ფსიქიკური დატვირთვა, შვილების განათლებაში შეზღუდული ჩართულობა, რაც ხაზს უსვამს მოქნილი სამუშაო პოლიტიკის, ბავშვთა მოვლის ხელმისაწვდომი დაწესებულებებისა და დამხმარე სისტემების საჭიროებას რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის უკეთესი ინტეგრაცია. კვლევის შედეგები ნათელ ფენს ინსტიტუციური და ოჯახური მხარდაჭერის მნიშვნელობას დასაქმებული დედების, მათი ოჯახების კეთილდღეობის ეფექტურობის ხელშეწყობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abma, J. C., & Martinez, G.M .(2006). Childlessness among oider women in the United States: Trends and profiles. Journal of Marriage and Familly, 68(4). 1045-1056. [DOI] {Google Scholar}

2. Hans-Peter Kohler, Francesco Billari and José Ortega (2002) „Population and Development Review“. vol. 28, issue 4, 641-680

Lela Menabdishvili

Work and motherhood

Summary

The presented work discusses the results of a sociological study, which was fully prepared and conducted by the author. The work discusses one of the important issues of modern life - the balance of work and motherhood. Different opinions are widespread in scientific literature and society: some believe that the massive employment of women has contributed to the decrease in the birth rate, while others believe that this opinion is erroneous. Making a decision about having a child is a complex process that includes many social, economic, political and individual factors. Our study showed that most of the respondent mothers have one (42%) or two (48%) children. For respondent mothers, the optimal number of children in a family is 2.9 children, and ideally they would have exactly the same number of children. However, as the data shows, it is not an ideal situation for them, because, firstly, the average number of children in the families of the mothers surveyed at the time of the interview was 1.7, and if nothing prevented them, they planned to have another 0.5 children. That is, the total expected number of children, if nothing prevented them, would be 2.2. However, the respondents also name hindering reasons, among which the highest rate is financial problems, the difficulty of raising a child, and an unfavorable work schedule. The study

showed that the need to have the desired number of children is satisfied in the families of 59% of the respondent mothers, and therefore they do not plan to have another child. Most mothers who have only one child plan to have another child. Employment creates more or less a problem for more than half of the respondent mothers in raising their children, while more than 1/3 say that employment does not create any problems. The most problems are faced by parents of children in kindergarten and primary school who do not have a helper in the family. Among the problems in the families of the respondents, the most important are financial problems and lack of time. Although a significant part of the respondents manages to balance both roles with moderate satisfaction, not a small part focuses on the limited time spent with their children. The results of the study emphasize the importance of institutional and family support in promoting the well-being and efficiency of employed mothers and their families. However, the employment of mothers cannot be considered unambiguously as a reason for having few children, since the majority of them note that they have as many children as they want. The reason for having few children should be sought in the need to have children.

Keywords: *employment, children, hindering reasons, significant problems.*

ნანა მენაბდიშვილი

საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის თავისებურება

ანოტაცია. *საქართველოში ახალი XXI საუკუნე მძიმე დემოგრაფიული პრობლემებით დაიწყო. გასული 25 წლის განმავლობაში ქვეყანაში ორი ტალღა იყო ბუნებრივი კლების და მეორე ტალღა დღემდე გრძელდება. თუმცა ბოლო წლებია ქვეყნის მოსახლეობა გაზრდილია. ერთდროულად მოსახლეობის ზრდა და ბუნებრივი კლება აჩვენებს, რომ ზრდა მექანიკურია, ანუ იმიგრანტთა მხრიდანაა. ნაშრომში სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოცემული და გაანალიზებულია დემოგრაფიული ცვლადები: მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი მატება და მიგრაციული სალდო. ნაჩვენებია, რომ ორი - 2024-2025 წწ-ში, ერთობლივად, საქართველოში ბუნებრივი კლების მაჩვენებელმა შეადგინა 10 940 კაცი. ხოლო ქვეყანაში შემოსული იმიგრანტების რაოდენობა მოცემული ორი წლის განმავლობაში 267 312-ს გაუტოლდა. რაც უდაოდ ადასტურებს მოსხლეობის მექანიკურ ზრდას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონებში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე. ნაჩვენებია, რომ რეგიონების მოსახლეობა წლიდან წლამდე იკლებს. რაც განპირობებულია, როგოც შიდა ისე საერთშორისო ემიგრაციით. 2024 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერის მიხედვით ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა და 62% შეადგინა. რეგიონებში ათი წლის განმავლობაში ბუნებრივი მატების მხრივ მდგომარეობა მკვეთრადაა გაუარესებული. 2014 წელს კახეთში, სამცხე ჯავახეთში და შიდა ქართლში ბუნებრივი მატება გვქონდა, 2024 წელს კი ბუნებრივი კლებაა. იმერეთში ბუნებრივი კლების მაჩვენებელი თითქმის 19-ჯერ არის გაზედილი, მცხეთა-მთიანეთში 11-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთში 11,5-ჯერ. აჭარასა და ქვემო ქართლში სადაც ამ პერიოდში მუდმივად ბუნებრივი მატება გვაქვს, მაჩვენებელი შემცირებულია: აჭარაში 2-ჯერ, ხოლო ქვემო ქართლში 10-ჯერ. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცესში საერთოდ არ არის ჩართული ბუნებრივი ფაქტორი და მექანიკური ზრდა ხდება. ეს უკანასკნელი კი სწრაფად ცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას. რაც ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის საფრთხის შემცველია.*

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, ბუნებრივი მატება, მექანიკური ზრდა.*

შესავალი. დღეს პოლიტიკურმა და შრომითმა მიგრაციამ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა მულტიკულტურული, მულტიეთნიკური გახადა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმრავლესობა კვლავ აგრძელებს ცხოვრებას იმ ქვეყანაში სადაც დაიბადა, საერთშორისო მიგრაციის მასშტაბები ფართოა და მზარდი. მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას ამოსავალი წერტილი რიცხვებია. დღევანდელ ცვალებად სამყაროში ახალი ტენდენციების, გლობალური სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების პირობებში მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ცვლილებების გააზრება. ამჟამინდელი გლობალური შეფასებით, რომელიც გაკეთებულია 2024 წლის მსოფლიო მიგრაციის ანგარიშში (IOM UN MIGRATION), 2020 წელს მსოფლიოში დაახლოებით 281 მილიონი ადამიანი საერთშორისო მიგრანტი იყო და ეს რიცხვი მსოფლიოს მოსახლეობის 3,6 პროცენტის ტოლია. [https://worldmigrationreport.iom.int/msite/wmr-2024-interactive/]

ყოველი ერის წინაშე დგას ფიზიკური უწყვეტობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პასუხისმგებლობა, რომლის უგულვებელყოფაც ეგზისტენციალური საფრთხის შემცველია. დემოგრაფიული ცვლილების წმინდა საზომს წარმოადგენს ბუნებრივი მატების ტემპი და მიგრაცია. ერთი მოსახლეობის მატების ბუნებრივი საფუძველია, ხოლო მეორე მექანიკური. მოსახლეობის მექანიკური ზრდა - წმინდა მიგრაცია - გულისხმობს მოსახლეობის რიცხოვნობის მატებას შიდა ან საერთაშორისო მიგრაციით. იგი ტოლია ემიგრანტებისა და იმიგრანტების სხვაობისა. რაც შეეხება ბუნებრივ მატებას - ეს არის სხვაობა დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის. ქვეყანაში ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი შეიძლება კომპენსირებული იყოს შემომავალი მიგრაციის მაღალი დონით, ხოლო ბუნებრივი მატების დაბალი ტემპი შეიძლება კომპენსირებული იყოს გამავალი მიგრაციის მაღალი დონით.

გასულ საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა ზრდა ხდებოდა ბუნებრივი მატების მეშვეობით. რასაც ვერ ვიტყვით XXI -ე საუკუნეზე. ახალი საუკუნე იწყება არა ბუნებრივი მატებით, არამედ ბუნებრივი კლებით. 2000-2007 წწ ბუნებრივი კლების პირველ ტალღად შეიძლება ჩავთვალოთ. ამ პერიოდში ბუნებრივი კლება მოხდა 16 987 კაცით. მოსახლეობის ბუნებრივი კლების მეორე ტალღა 2020 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება. 2020-2025 წწ ქვეყანაში ბუნებრივი კლება მოხდა 38 258 კაცით. როგორც ციფრები გვამცნობენ მეორე ტალღის დროს უფრო მეტი კაცით მოხდა ბუნებრივი კლება, ვიდრე პირველის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტალღის პერიოდი, ჯერჯერობით, შედარებით უფრო ნაკლებია. ასეთ ვითარებაში ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება. მაშასადამე, ზრდა ხდება მექანიკური გზით, ანუ მიგრაციით.

დღეს საქართველოში საკმაოდ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა. ქვეყანაში ადგილი აქვს შობადობის დაბალ და მოკვდაობის შედარებით მაღალ დონეზე კვაზი-წონასწორობის ახალ ერას, რომლისთვისაც ძირითადად, დამახასიათებელია: მოსახლეობის რეგრესული-დაბერებული სტრუქტურა, მოკვდაობის გადამეტება შობადობაზე და დეპოპულაცია. გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით ქვეყანის მოსახლეობაში გაზრდილია 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 9.2%-დან 15.6%-მდე, მოხუცების თანაფარდობა ბავშვების რაოდენობასთან შედარებით გაზრდილია 37.4%-დან 71.1%-მდე. ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქართველოში მოსახლეობის რეგრესულ-დაბერებული სტუქტურაა. [სულაბერიძე ა, არჩვაძე ი. 2025.} სწორედ ასეთ ვითარებაში მოსახლეობის მექანიკური ზრდით საფრთხე ექმნება ქვეყნის დემოგრაფიულ შემადგენლობას. სურათის ნათლად გასააზრებლად განვიხილოთ XXI საუკუნეში ქვეყანის დემოგრაფიული ცვლადები.

ძირითადი ნაწილი. ქვეყანაში ბოლო 25 წლის განმავლობაში ბუნებრივი კლების ორი ტალღა დაფიქსირდა და მეორე ტალღა დღემდე გრძელდება. მიუხედავად საქართველოში მიმდინარე ბუნებრივი კლებისა, 2024 წელს ჩატარებული საყოველთო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობა გაზრდილია 200 ათსი კაცით, ანუ ზრდა მოხდა 5,4%-ით. აღწერის წინასწარი მონაცემებით კი ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის 6,6%-ს (დაახლოებით 257 ათას კაცს) უცხო ქვეყნის მოქალაქეები შეადგენენ. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის ზრდა დაფიქსირებულია მიგრაციის მეშვეობით. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საყოველთაო აღწერაში მოხვდა 1. საქართველოს მოქალაქე (მათ შორის ქვეყანაში დროებით არ მყოფი პირი); 2. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე, მიუხედავად ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობისა და 3. ქვეყანაში მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირი. [https://www.geostat.ge/media/71877/Census-2024_25.06.2024.pdf]

გასული 25 წელის განმავლობაში ქვეყანაში მხოლოდ 2008-2019 წლებში გვქონდა ბუნებრივი მატება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოცემულ პერიოდში უფრო მეტად არის ბუნებრივი კლება, ვიდრე მატება. ანუ ფაქტიურად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ბუნებრივად არ ხდება.

ცხრილი 1. დემოგრაფიული ცვლადები ახალ საუკუნეში

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა	ბუნებრივი მატება	მიგრაციული სალდო
2000	4116.8	-83	-79 235
2005	3917.0	-3 471	-25 518
2010	3799.8	4 164	-30 438
2015	3721.9	10 128	-3 408
2020	3716.9	4 017	15 732
2025	3930.4	-6 452	17 127

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე საქართველოში დადებითი მიგრაციული სალდო დაფიქსირდა მხოლოდ 2020, 2024 და 2025 წლებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის მიგრაციის სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში შემოსული იმიგრანტების რაოდენობამ 131 501 შეადგინა, ემიგრანტების რიცხვმა კი 114 374. ამავე წელს ქვეყანაში ადგილი აქვს ბუნებრივ კლებას, მიუხედავად ამისა მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ადგილი აქვს მექანიკურ მატებას.

თვალს თუ გადავავლებთ ბუნებრივი მატების მაჩვენებლებს რეგიონების და ბოლო ორი აღწერების (2014 და 2024 წწ) მიხედვით, ჩვენ წინ საგანგაშო სურათი გადაიშლება. 2014 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი კლება დაფიქსირდა მხოლოდ ოთხ რეგიონში: გურია (-243), იმერეთი (-229), სამეგრელო ზემო სვანეთი (-169) და მცხეთა-მთიანეთი (-49). დანარჩენ რეგიონებში ბუნებრივ მატებას ჰქონდა ადგილი. ათი წლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა გაუარესების მხრივ. 2024 წლის მონაცემებით თბილისის, აჭარის და ქვემო ქართლის გარდა ბუნებრივი კლება ყველა რეგიონისთვისაა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი. დასახელებული სამი რეგიონიდან გამოვყოთ ორი: აჭარის არ-ი და ქვემო ქართლი. აჭარაში არსებული ექვსი მუნიციპალიტეტიდან ბუნებრივი კლება არის მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტში, დანარჩენებში კი ბუნებრივი მატებაა. ქვემო ქართლში შემავალი შვიდი მუნიციპალიტეტიდან ბუნებრივი კლებაა რუსთავის, დმანისის,

თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში დანარჩენებში კი ბუნებრივი მატებაა. ყველა სხვა რეგიონების ბუნებრივი კლების მონაცემების განხილვამ 2024 წლისთვის აჩვენა, რომ ბუნებრივი კლება ყველაზე მაღალია იმერეთში (-2 718). ბუნებრივი კლების მონაცემებს თუ კლების მიხედვით დავალაგებთ ასეთ სურათს მივიღებთ: სამეგრელო-ზემო სვანეთი (-1 951), კახეთი (-1 008), შიდა ქართლი (-745), გურია (-707), მცხეთა-მთიანეთი (-557), რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი (-296), სამცხე ჯავახეთი (-156). ბუნებრივი კლება გაგრძელდა 2025 წელსაც. ამასთან, ეს მაჩვენებელი 1 964 კაცით კიდეც აღემატებოდა 2024 წლის მონაცემს. მთლიანად 2024-2025 წწ-ში საქართველოში ბუნებრივი კლების მაჩვენებელმა შეადგინა 10 940 კაცი. ხოლო ქვეყანაში შემოსული იმიგრანტების რაოდენობა მოცემული ორი წლის განმავლობაში 267 312-ს გაუტოლდა.

ცხრილი 2. დემოგრაფიული ცვლადები რეგიონების მიხედვით

საქართველოს რეგიონები	მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 2014-2024 წწ აღწერებს შორის	ბუნებრივი მატება 2014 წელი	ბუნებრივი მატება 2024 წელი
თბილისი	20,0%	5 645	1 923
აჭარის არ	20,1%	2 919	1 435
გურია	-11,1%	-243	-707
იმერეთი	-5,3%	-229	-2 718
კახეთი	-5,4%	187	-1 008
მცხეთა-მთიანეთი	1,2%	-49	-557
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	-9,8%	-399	-296
სამეგრელო, ზემო სვანეთი	-6,6%	-169	-1 951
სამცხე-ჯავახეთი	-5,1%	248	-156
ქვემო ქართლი	3,4	2 977	292
შიდა ქართლი	-4,8%	661	-745

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba

რეგიონებში ათი წლის განმავლობაში ბუნებრივი მატების მხრივ მდგომარეობა მკვეთრადაა გაუარესებული. 2014 წელს კახეთში, სამცხე ჯავახეთში და შიდა ქართლში ბუნებრივი მატება გვქონდა, 2024 წელს კი ბუნებრივი კლებაა. იმერეთში ბუნებრივი კლების მაჩვენებელი თითქმის 19-ჯერ არის გაზრდილი, მცხეთა-მთიანეთში 11-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთში 11,5-ჯერ. აჭარასა და ქვემო ქართლში სადაც ამ პერიოდში მუდმივად ბუნებრივი მატება გვაქვს, მაჩვენებელი შემცირებულია: აჭარაში 2-ჯერ, ხოლო ქვემო ქართლში 10-ჯერ. ხოლო გასული - 2025 წლის მონაცემების მიხედვით, მოცემულ სამ რეგიონში სადაც ბუნებრივი მატებაა - თბილისი, აჭარა და ქვემო ქართლი, ეს მონაცემი წინა წელთან შედარებით შემცირებულია, თბილისში 332 კაცით, აჭარაში 427 კაცით, ხოლო ქვემო ქართლში 236 კაცით. უდაოა, რომ რეგიონებში დემოგრაფიული სურათი საკმაოდ მძიმეა.

მინდა განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემებიც გავეცნობით საკითხის სიმწვავე კიდევ უფრო ნათელი გახდება. განათლების სამინისტროს მონაცემებით, 2024-2025 სასწავლო წლისათვის პირველი კლასის ასაკის ბავშვების არ არსებობის გამო რამდენიმე ასეულ სოფელში პირველი კლასი არ შედგა, ხოლო 2025-2026 სასწავლო წლისათვის პირველი კლასი, რამდენიმე ათეულ სოფლებში არ შედგა.

რეგიონებში არსებული მწვავე დემოგრაფიული ვითარების კარგად აღსაქმელად საკმარისია მხოლოდ იმის გახსენება, რომ 2014 წლის აღწერით 223 სოფელი სრულიად იყო დაცარიელებული. დიდი ალბათობით 2024 წლის აღწერის მონაცემები ამ მხრივ სასიკეთოს არაფერს გვამცნობს. იმის გავითვალისწინებით, რომ 2014 წელს ქალაქის მოსახლეობის წილი შეადგენდა 57%-ს, ხოლო 2024 წლის აღწერის მიხედვით 62%-ია. ე.ი. რეგიონების მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირებულია. რადგან რეგიონების მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული როგორც შიდა ისე საერთშორისო მიგრაციაში.

მიგრანტების უმეტესობა ნებაყოფლობით გადაადგილდება სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მოსაძებნად - გასაუმჯობესებლად. ასეთი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შრომისუნარიანია და ფერტილურ ასაკშია. სოფლებში ძირითადად რჩებიან ხანდაზმულები, რომელთა გარდაცვალების მერე სოფლები ცარიელდება. 2024 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით წინა აღწერიდან ბოლო აღწერანდე დაცლილია 200 სოფელი. [https://www.geostat.ge/ka/modules/categories/12/sakartvelos-2024-tslis-mosakhleobis-aghtseris-shedegebi]

ქვეყანაში არსებული ვითარება ასეთია: მოსახლეობის გამრავლება ბუნებრივი გზით არ ხდება, მაგრამ მოსახლეობა იზრდება. ზრდა მექანიკურია. მექანიკური ზრდა კი სწრაფად ცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას. რაც ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს. ჩვენთვის არ უნდა იყოს სულერთი ჩვენი მამა-პაპის სისხლით გაჯერებულ მიწა-წყალზე ვინ იცხოვრებს.

დასკვნა. ახალი XXI საუკუნიდან იწყება მკვეთრი ნეგატიური დემოგრაფიული ცვლილებები და დღემდე გრძელდება. სულ რაღაც საუკუნის მეოთხედ ნაწილში ქვეყანაში ბუნებრივი კლების წლები უფრო მეტი გვქონდა ვიდრე ბუნებრივი მატების. სამწუხაროთ ბუნებრივი კლება დღემდე გრძელდება. რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მხოლოდ შიდა ბიოლოგიური ფაქტორების მეშვეობით კი არ იზრდება, არამედ მცირდება. თუმცა სტატისტიკური მონაცემები მიუთითებენ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე. რაც მექანიკური ზრდის შედეგია. საყოველთოდაა ცნობილი, რომ მექანიკური ზრდა სწრაფად ცვლის ქვეყანაში დემოგრაფიულ შემადგენლობას. ეს კი მცირერიცხოვანი ერისთვის საფრთხილოა. აუცილებელია სწრაფი და ეფექტური ღონისძიებების გატარება, რათა ერმა შეძლოს ბიოლოგიური ფაქტორების მეშვეობით საკუთარი უწყვეტობის შენარჩუნება. და ბოლოს, ბატონი პაატა გუგუშვილის სიტყვებს გავიხსენებ - „ნებით ნუ გადავშენდებით!“

გამოყენებული ლიტერატურა

1. სულაბერიძე ა, არჩვაძე ი. (2025) დემოგრაფიული ტენდენციები. თავი წიგნიდან: „ოჯახის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში.“
2. 2024 წლის მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები
3. https://worldmigrationreport.iom.int/msite/wmr-2024-interactive/
4. https://www.geostat.ge/media/71877/Census-2024_25.06.2024.pdf
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/12/sakartvelos-2024-tslis-mosakhleobis-aghtseris-shedegebi

Nana Menabdishvili

Peculiarities of population growth in Georgia
Summary

The new 21st century in Georgia began with severe demographic problems. Over the past 25 years, there have been two waves of natural decline in the country, and the second wave continues to this day. However, in recent years, the country's population has increased. Simultaneous population growth and natural decline show that the growth is mechanical, that is, from the side of immigrants. The paper presents and analyzes demographic variables based on statistical data: population size, natural increase, and migration balance. It is shown that in two years - 2024-2025, the total natural decline in Georgia amounted to 10,940 people. And the number of immigrants entering the country during these two years amounted to 267,312. Which undoubtedly confirms the mechanical growth of the population. The paper focuses on the severe demographic situation in the regions. It is shown that the population of the regions is decreasing from year to year. This is due to both internal and international emigration. According to the 2024 general population census, the urban population increased and amounted to 62%. Over the past ten years, the situation in the regions has deteriorated sharply in terms of natural increase. In 2014, we had a natural increase in Kakheti, Samtskhe-Javakheti and Shida Kartli, while in 2024 there was a natural decrease. In Imereti, the natural decrease rate is almost 19 times higher, in Mtskheta-Mtianeti 11 times, in Samegrelo-Zemo Svaneti 11.5 times. In Adjara and Kvemo Kartli, where we have had a constant natural increase during this period, the rate has decreased: in Adjara by 2 times, and in Kvemo Kartli by 10 times. The main feature of the growth of the population of Georgia is that this process does not involve any natural factors at all and mechanical growth occurs. The latter is rapidly changing the demographic structure of the country. Which is dangerous for a small nation like ours.

Keywords: *population, natural increase, mechanical growth.*

მარიამ ოქრუაშვილი
გიორგი მიქელაძე
ანა ვარამაშვილი

ბავშვთა განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის (ISSCDD) მეთოდოლოგიური საფუძვლები[29]

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საქართველოში 2027 წელს დაგეგმილი ბავშვთა განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მიზანია საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 0–17 წლის ბავშვების განვითარების, განათლების, აღზრდის მეთოდების, მშობელთა ჩართულობის, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ფუნქციური სირთულეების, მატერიალური დეპრივაციის, ასევე ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება.*

სტატიაში წარმოდგენილია კვლევის დიზაინი, შერჩევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტარი და მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროსტატის (Eurostat) რეკომენდაციებს, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების

[29] კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“ პროექტის №FR-25-10142

საერთაშორისო შეასადარისობასა და მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას.

კვლევის განხორციელება შესაძლებლობას შექმნის შეფასდეს ბავშვთა კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტი, გამოვლინდეს მატერიალური დეპრივაციისა და ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების გავლენა ბავშვთა განვითარებაზე, განათლებასა და ფუნქციურ მდგომარეობაზე, ასევე, გაანგარიშდეს საერთაშორისო მეთოდოლოგიებით განსაზღვრული ინდიკატორები. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირებას, მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგს და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

საკვანძო სიტყვები: *ბავშვთა განვითარება, მატერიალური დეპრივაცია, ბავშვთა კეთილდღეობა, ციფრული ტექნოლოგიები.*

შესავალი

ბავშვთა განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის ინტეგრირებული სტატისტიკური გამოკვლევის ჩატარება დაგეგმილია 2027 წელს. კვლევის ფარგლებში დაგეგმილია მონაცემების შეგროვება საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების, ბავშვთა განათლებისა და განათლების მიღებაში მშობლების ჩართულობის, ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების შესახებ. კვლევის აქტუალობას განაპირობებს რიგი მიზეზები: 1) შეფასდება საქართველოში მცხოვრები ბავშვების ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება სხვადასხვა მახასიათებლის (დასახლების ტიპის, ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და სხვა) მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს საკვლევი თემატიკის მრავალი სტატისტიკური მაჩვენებლის ემპირიული მნიშვნელობის გაანგარიშებას საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით წინასწარ შემუშავებული ტაბულაციის გეგმის მიხედვით; 2) გამოვლინდება ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულების ზეგავლენის დონე, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციურ სირთულეებზე, აკადემიურ მოსწრებასა და ბავშვის ადრეულ განვითარებაზე. 3) შეფასდება ბავშვების მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები და მატერიალური მდგომარეობა ცხოვრების დონის მაჩვენებლებისა და მატერიალური დეპრივაციის ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე; 4) შეფასდება საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების, ბავშვთა განათლებისა და განათლების მიღებაში მშობლების ჩართულობის, ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების საერთაშორისო მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სტატისტიკური მაჩვენებლები, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება 1) ადრე განხორციელებული სტატისტიკური გამოკვლევების შედეგებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეფასდეს ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენცია; 2) განხორციელდეს სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარება, რაც საშუალებას მისცემთ შესაბამისი

დარგის პოლიტიკის გამტარებლებს შეიმუშაონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობებს წარმოშობს.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტარი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება. 2027 წელს დაგეგმილია სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება და სამეცნიერო გრანტის მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე რეპრეზენტატული მონაცემების მიღება ქვეყნის დონეზე. საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველო დაყოფილია 10,000-მდე სააღწერო უბნად [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016]. ინტერვიუერების სამგზავრო ხარჯების შესამცირებლად, გამოყენებულ იქნება სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევა, სადაც შერჩევის პირველადი ერთეული (PSU) იქნება სააღწერო უბანი, შერჩევის მეორადი ერთეული (SSU) - შინამეურნეობის მისამართი, ხოლო შერჩევის მესამედი ერთეული (TSU) შინამეურნეობებში მცხოვრები 0-17 წლის ბავშვ(ებ)ი. გარდა ამისა, შერჩევის ცდომილების შესამცირებლად შემოღებული იქნება სტრატიფიცირება.

კვლევის ინსტრუმენტარი ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) მეთოდოლოგიისა [UNICEF, 2017] და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგიას [Eurostat, 2022].

კვლევის ინსტრუმენტარი შედგება 4 კითხვარისგან [Eurostat, 2022; United Nations Children's Fund, Multiple Indicator Cluster Survey (6th round) toolkit]

- დემოგრაფიული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობაში მცხოვრები პირების პიროვნულ მახასიათებლებსა და განათლების შესახებ.
- შინამეურნეობის კითხვარი მოიცავს ზოგად ინფორმაციას შინამეურნეობის, ბავშვთა ზრუნვის, შინამეურნეობის შემოსავლების, დახმარების მიღების, საცხოვრებელი პირობების, ბავშვთა დეპრივაციისა და ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ.
- კითხვარი 0-17 წლის ასაკის ბავშვების შესახებ, რომელიც მოიცავს ზოგად ინფორმაციას, ბავშვთა შესახებ ცნობებს, ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვის აღზრდის, მშობლების ჩართულობის, ფუნქციური სირთულეების, ციფრული ტექნოლოგიებისა და ვიდეო /კომპიუტერული თამაშების შესახებ.
- გამოუპასუხებლობის ფორმა - აღნიშნული ცხრილი ივსება თუ სამი ვიზიტის განხორციელების შემდეგ არ ჩატარდა ინტერვიუ (ვერ მოხერხდა "დემოგრაფიული კითხვარის" და შესაბამისად „ძირითადი კითხვარის" შევსება).

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობიდან გამომდინარე, გამოკითხვა უნდა განხორციელდეს რამდენიმე ენაზე [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016]. გამოკვლევის ფარგლებში დაგეგმილია გამოკითხვის განხორციელება ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რაც შეეხება ოპტიმალურად მიჩნეულ კითხვართა რაოდენობას:

- ქალაქის სტრატა – 15 დემოგრაფიული და 5 შინამეურნეობის გამოკითხვა ძირითადი კითხვარებით;
- სოფლის სტრატა – 24 დემოგრაფიული და 8 შინამეურნეობის გამოკითხვა ძირითადი კითხვარებით.

შედეგები და დისკუსია

საქართველოში არ არსებობს უახლესი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების, ბავშვთა განათლებისა და განათლების მიღებაში მშობლების ჩართულობის, ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განახორციელა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ნაციონალიზაცია და აიღო პასუხისმგებლობა მათი წარმოების შესახებ, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვნად ზრდის მოცემული კვლევის ჩატარების მნიშვნელოვნებას [საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ელექტრონული პლატფორმა. მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორები; United Nations Statistics Division, SDG metadata structure definition]. ამასთან ერთად კვლევის ფარგლებში ევროსტატის ცხოვრების დონის რიგი ინდიკატორების გაანგარიშებასა და საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების, ბავშვთა განათლებისა და განათლების მიღებაში მშობლების ჩართულობის, ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/ კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების შეფასებას სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ ჭრილში (საცხოვრებელი პირობების, სქესის, ასაკისა და სხვა) [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019; Washington Group on Disability Statistics, Functioning difficulties module/question sets]. განათლების, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე ბავშვთა დამოკიდებულების და ცხოვრების დონის შესახებ დამატებითი და უახლესი სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში განათლების და ჯანდაცვის სისტემის შესახებ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ასევე, ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან და დაკისრებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

კვლევა მჭიდრო კავშირშია რიგ სამეცნიერო დისციპლინებთან, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, სტატისტიკა, სოციოლოგია, ეკონომეტრიკა, მაკროეკონომიკა. კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათის უკეთ აღსაქმელად, სასურველია განვიხილოთ კავშირი მეცნიერების შესაბამისი მიმართულების ჭრილში, ინდივიდუალურად:

ჯანდაცვა: პროექტის ფარგლებში შეგროვდება რიგი ინფორმაცია ბავშვების ჯანმრთელობის, განვითარებისა და მატერიალური მდგომარეობის შესახებ. კვლევა მოიცავს საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აღზრდის მეთოდების, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ბავშვთა ფუნქციური სირთულეების და სხვა ჯანდაცვის შესაბამისი საკითხების დეტალურ შესწავლას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება განხორციელდეს ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირება და სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

განათლება: სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიის ადაპტაცია, ტაბულაციის გეგმისა და სტატისტიკურ მაჩვენებელთა მნიშვნელობების გაანგარიშება, რაც გულისხმობს განათლების საერთაშორისო და ადგილობრივი სისტემისა და შესაბამისი საკითხების დეტალურ შესწავლას, მსგავსებებისა თუ განსხვავებების გამოვლენას.

სტატისტიკის სამეცნიერო მიმართულება: პროექტის ფარგლებში მოხდება სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების რესტრუქტურიზაცია, მონაცემთა ბაზების დამუშავება განსხვავებული სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით (მონაცემთა აგრეგირება, შეწონილი მნიშვნელობის გამოთვლა თუ სხვა). კვლევის ფარგლებში დაგეგმილია სტატისტიკური კვლევის დიზაინის, შერჩევის და მონაცემთა შეწონვის მეთოდების, სტრატიფიცირების კრიტერიუმის ანალიზი. კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ვალიდაციისთვის მოხდება ინდიკატორების სტატისტიკური მახასიათებლების (ნდობის ინტერვალის საზღვრების და ზღვრული ცდომილებების) გამოთვლა.

სოციოლოგიის სამეცნიერო მიმართულება: კვლევის ფარგლებში განისაზღვრება სოციალური უთანასწორობისა და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხები. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს ბავშვთა მატერიალური დეპრივაციის გავლენა მათ სოციალურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სოციალური პოლიტიკის მიზანმიმართულ ფორმირებას.

ეკონომეტრიკის სამეცნიერო მიმართულება: კვლევის პროცესში ეკონომეტრიკული ანალიზი გამოყენებულ იქნება სტრატების კოლაფსის და იმპუტაციის მეთოდის გამოყენების დროს.

მაკროეკონომიკის სამეცნიერო მიმართულება: ნებისმიერი სახის ეკონომიკური კვლევის აუცილებელ ნაბიჯს მიღებული შედეგების მაკროეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს. პროექტის შედეგების მიხედვით მოხდება ძირითადი მიგნებების წარმოდგენა, კვლევის ძირითად ანგარიშში და მოკლე აღწერილობებში, რაც გულისხმობს მიღებული სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზსა და კავშირ-ურთიერთობების გამოვლენას სხვა მაჩვენებლებთან.

საერთაშორისო მეთოდოლოგიების საფუძველზე წინასწარ განხორციელდა გამოკვლევის ინსტრუმენტარის შემუშავება, რომელიც შედგება 4 კითხვარისგან: დემოგრაფიული კითხვარი, შინამეურნეობების კითხვარი, ძირითადი კითხვარი და გამოუპასუხებლობის ფორმა. წარმოდგენილი კითხვარები სრულად ეფუძნება ევროსტატის [Eurostat, 2022] და გაეროს ბავშვთა ფონდის [UNICEF, 2017] მეთოდოლოგიებს.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა ქმნის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს საქართველოში ბავშვთა განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის შესახებ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისთვის. კვლევის ფარგლებში შემუშავებული დიზაინი, შერჩევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტარი და ინდიკატორთა გაანგარიშების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ქვეყნის დონეზე რეპრეზენტატული და მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, რაც შესაძლებელს გახდის მრავალმხრივ შეფასდეს ბავშვთა კეთილდღეობა.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეფასდება ბავშვთა ადრეული განვითარება, აღზრდის მეთოდები, განათლება და მშობელთა ჩართულობა, შფოთვისა და დეპრესიის სახით გამოხატული ფუნქციური სირთულეები, მატერიალური დეპრივაცია, ასევე ციფრულ ტექნოლოგიებსა და ვიდეო/კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება. აღნიშნული მონაცემები გაანალიზდება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა

განვითარებისა და მატერიალური დეპრივაციის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეულ შესწავლასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას.

კვლევის მნიშვნელოვანი უპირატესობაა საერთაშორისო მეთოდოლოგიების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების საერთაშორისო შესადარისობას [Eurostat, Living conditions statistics], საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების მიზნებისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერას.

ამასთანავე, კვლევა გამოირჩევა ინტერდისციპლინარული ხასიათით და აერთიანებს სტატისტიკის, ჯანდაცვის, განათლების, სოციოლოგიის, ეკონომეტრიკისა და მაკროეკონომიკის მიმართულებებს. კვლევის შედეგები შექმნის მყარ ემპირიულ საფუძველს მტკიცებულებაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის, მიზნობრივი სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავებასა და დაგეგმვას.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის განვითარებაში, ბავშვთა მდგომარეობის მონიტორინგსა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ელექტრონული პლატფორმა. მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორები. https://sdg.gov.ge/sdg-tracker. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi . ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). *მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (მე-6 რაუნდი).* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/707/mravalindikatoruli-klasteruli-gamokvleva. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *მოსახლეობა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba. ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22.06.2026
5. Eurostat. (2022). Housing statistics. European Commission.
6. OECD. (2019). OECD skills outlook 2019: Thriving in a digital world. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/df80bc12-en
7. UNICEF. (2017). Multiple Indicator Cluster Surveys (MICS6) tools. UNICEF.
8. Eurostat. (n.d.). Living conditions statistics. Retrieved June 22, 2026, from https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Living_conditions
9. United Nations Children's Fund. (n.d.). Multiple Indicator Cluster Survey (6th round) toolkit. Retrieved June 22, 2026, from https://mics.unicef.org/tools?round=53
10. United Nations Environment Programme, OECD, & Eurostat. (2025, March 28). Material footprint and resource productivity. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/metadata/files/Metadata-12-02-01.pdf
11. United Nations Statistics Division. (2022, March). SDG metadata structure definition. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/files/SDG_MSD_Guidelines.pdf

12. United Nations Statistics Division. (n.d.). Metadata for Sustainable Development Goal indicators. Retrieved June 22, 2026, from https://unstats.un.org/sdgs/metadata/?Text=&Goal=&Target=

13. Washington Group on Disability Statistics. (n.d.). Functioning difficulties module/question sets. Retrieved June 22, 2026, from https://www.washingtongroup-disability.com/question-sets/

Mariam Okruashvili
Giorgi Mikeladze
Ana Varamashvili

Methodological Framework of the Integrated Statistical Survey on Child Development and Material Deprivation (ISSCDD)[30]

Summary

The production of reliable, internationally comparable statistical information on children's well-being has become an increasingly important prerequisite for evidence-based policymaking. In response to this need, Georgia is planning to implement the Integrated Statistical Survey on Child Development and Material Deprivation (ISSCDD) in 2027. The survey aims to establish a comprehensive statistical system capable of measuring multiple dimensions of child well-being, including early childhood development, parenting practices, educational participation, parental involvement, functional difficulties related to anxiety and depression, material deprivation, and children's dependence on digital technologies and video/computer games. The study presented in this paper provides the methodological foundation for the implementation of this nationally representative statistical survey.

The methodological framework has been developed in accordance with internationally recognized standards and recommendations issued by UNICEF and Eurostat, thereby ensuring the international comparability, methodological consistency, and high quality of the resulting official statistics. The survey is designed not only to generate new statistical indicators but also to enable comparisons with previous national surveys and corresponding international indicators, supporting the monitoring of child well-being across different countries and over time.

The survey will employ a three-stage stratified cluster sampling design, taking into account the territorial structure of Georgia established through the latest population census. Enumeration areas will serve as the primary sampling units, households as the secondary sampling units, and children aged 0-17 years living in selected households as the final sampling units. Stratification procedures will be applied to improve sampling efficiency and reduce sampling errors while maintaining national representativeness. Considering Georgia's multilingual population, data collection is planned in Georgian, Azerbaijani, and Armenian to ensure inclusiveness and improve response quality.

The research instrument consists of four integrated questionnaires covering demographic characteristics, household conditions, children's development and education, parenting practices, parental involvement, functional difficulties, material deprivation, digital technology use, video/computer gaming behavior, and survey non-response. The questionnaire design follows internationally validated instruments, including UNICEF's Multiple Indicator Cluster Survey (MICS) methodology and Eurostat's Living Conditions framework, while being carefully adapted to Georgia's social, cultural, and institutional context.

An important feature of the survey is its multidimensional approach to child well-being. Beyond measuring living conditions and material deprivation, the survey introduces several contemporary dimensions that remain insufficiently studied in Georgia, particularly children's digital technology use, gaming dependence, emotional well-being, anxiety, depression, and parental engagement in education. These components will allow researchers and policymakers to investigate complex

[30] This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) Project № FR-25-10142

relationships between socioeconomic conditions, family environment, educational outcomes, digital behavior, and children's overall development.

The collected data will enable the calculation of a wide range of internationally recognized statistical indicators and facilitate detailed analyses by demographic and socioeconomic characteristics, including age, sex, place of residence, and household living conditions. Furthermore, the methodology incorporates procedures for data validation, weighting, variance estimation, confidence interval calculation, and quality assessment, ensuring that the produced estimates satisfy the standards of official statistics.

The survey has a strong interdisciplinary character, integrating concepts and methods from statistics, econometrics, sociology, education, public health, and macroeconomics. The resulting database will provide valuable empirical evidence for evaluating children's developmental outcomes, identifying vulnerable population groups, measuring material deprivation, and assessing inequalities affecting children's well-being. In addition, the collected information will support advanced statistical and econometric analyses examining the relationships between children's developmental outcomes and various socioeconomic determinants.

The implementation of the ISSCDD is expected to make a significant contribution to the modernization of Georgia's official statistical system. The survey will strengthen the country's capacity to monitor child well-being, support the calculation of indicators required under the Sustainable Development Goals (SDGs), and contribute to fulfilling Georgia's commitments under the Association Agreement with the European Union. Moreover, the results will provide policymakers with reliable evidence for designing targeted social, educational, and healthcare interventions aimed at improving children's quality of life and reducing inequalities.

Overall, the proposed methodological framework establishes a scientifically rigorous and internationally harmonized basis for producing high-quality statistical information on child development and material deprivation in Georgia. The survey will generate an essential evidence base for academic research, official statistics, and public policy, while significantly advancing knowledge about children's living conditions and developmental outcomes at the national level.

დავით ჭელიძე

საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის შედეგები: არსებული პრობლემები და მათი დაძლევის ზოგიერთი მიმართულება

ანოტაცია. *საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის პროცესში და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიურ პუბლიკაციებში მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენისას გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომების ურთიერთშედარების პარალელურად, ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პარამეტრების დინამიკა.*

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის უკანასკნელი წლების არასასურველი ტენდენციების დაძლევისათვის წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს სახელმწიფო ქართულ- და აფხაზურენოვანი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა-ამოქმედების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს მოსახლეობის დინამიკა, დემოგრაფიული პროცესების სტიმულირება*

შესავალი

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების შესაბამისად პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებული

დატვირთვის მატარებელია მცირერიცხოვანი ერების ისტორიული განვითარების ნებისმიერი ეტაპზე.

ამდენად სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ „2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგების“ შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მიმდინარე წლის 22 ივნისს გამოქვეყნებული დოკუმენტის მიმართ არსებული მაღალი ინტერესი. ხოლო ამ ინტერესის ძირითად საგნად იმ ფრაზის არსებობა, სადაც დაფიქსირდა, რომ: „2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 929 581 კაცი შეადგინა“ („2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგები“, გვ. 3).

საქართველოს მოსახლეობის (განსკუთრებით ქვეყნის ტიტულარული ერის – ეთნიკური ქართველების) რიცხოვნობის და მისი დინამიკის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის შედეგების თუნდაც წინამდებარე სტატიის შეზღუდულ ფორმატში განხილვა.

საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის ძირითადი შედეგები და ტენდენციები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია 2024 წლის აღწერის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტის ტექსტში არსებული განმარტება იმის შესახებ, რომ 2024 წლის: -„აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ყველა მოქალაქე, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები“ („2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგები“, გვ. 2).

საქმე ისაა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის მოსახლეობის 2024 წლის აღწერის შედეგად 3 929 581 კაცის ოდენობით ფიქსირებული საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებით არის გაზრდილი და არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცნობიერებაში (დიდი ალბათობით საბჭოთა პერიოდში მოქმედი ჩაწერის ინსტიტუტის ზემოქმედებით) დამკვიდრებულ შეხედულებას, ქვეყნის მოსახლეობად მხოლოდ ქვეყნის მკვიდრი და მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის – ქვეყნის მოქალაქეების მიჩნევის თაობაზე.

იმ გარემოების გათვალიწინებით, რომ მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების აღწერის შედეგებში ჩართვის წესი (როგორც სტატისტიკის ეროვნული სამასახური გვამცნობს) საერთაშორისო პრაქტიკით არის განპირობებული, ნაკლებად ლოგიკურად მიგვაჩნია, წინამდებარე სტატიის ფორმატში, მის მართებულობაზე მსჯელობა.

მოსახლეობის 2024 წლის აღწერის შედეგებსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ პუბლიკაციებში, ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ გამოქვეყნებულ მონაცემებში არსებული სხვაობის გამომწვევ მიზეზებში გარკვევა, ჩვენი აზრით, მეტად აქტუალურ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერისას გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის შესაბამისად აღწერას დაექვემდებარნენ „საქართველოს მოქალაქეები (მათ შორის ქვეყანაში დროებით არ მყოფი პირები)“, ანუ

ქვეყნის ყველა მოქალაქე, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებოდა აღწერის ჩატარებისას.

ამასთან ერთად, საქართველოს მოსახლეობის სახით აღწერას ასევე დაექვემდებარნენ „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები (მიუხედავად ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობისა) და მოქალაქეობის არმქონე პირები“ (აღწერა 2024).

ამდენად, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაში აისახა როგორც ქვეყნიდან გასული (დროებით არმყოფი – ემიგრირებული) ქვეყნის მკვიდრი მოქალაქეები, ისე აღწერის მომენტისათვის ქვეყანაში იმიგრირებული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2024“ სახელწოდებით გამოქვეყნებული ცნობარი.

კერძოდ, აღნიშნული ცნობარის შესაბამისად ყოველი წლის პირველი იანვრისათვის ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა იანგარიშება წინა წლის პირველი იანვარის მდგომარეობით მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა (ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის სხვაობა) და წინა წლის მიგრაციული სალდოს (ქვეყანაში შემოსულ იმიგრანტთა და ქვეყნიდან გასულ ემიგრანტთა სხვაობა) ჯამური მაჩვენებლით (იხ. ცხრილი#1).

ცხრილი#1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა პირველი იანვრის მდგომარეობით

(ათასი კაცი)

წლები	მოსახლეობა	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივი მატება	მიგრაციის სალდო	მოსახლ. ზრდა/კლებ	მოსახლეობა აღწერ შედეგ
2002	3 991 300	45 127	47 514	-2 387	-23 100	-25 487	**4 371 535**
2003	**3 965 800**	45 450	47 114	-1 664	-26 400	-28 064	
2004	3 937 700	45 751	49 746	-3 995	-16 800	-20 795	
2005	3 917 000	46 063	49 534	-3 471	-25 500	-28 971	
2006	3 888 000	46 845	50 014	-3 169	-12 100	-15 269	
2007	3 872 700	48 499	50 204	-1 705	-23 400	-25 105	
2008	3 847 600	52 442	50 490	1 952	-20 500	-18 548	
2009	3 829 000	56 568	50 794	5 774	-34 900	-29 126	
2010	3 799 800	55 230	51 066	4 164	-30 400	-26 236	
2011	3 773 600	51 565	49 818	1 747	-36 000	-34 253	
2012	3 739 300	49 969	49 347	622	-21 600	-20 978	
2013	3 718 400	49 657	48 564	1 093	-2 600	-1 507	
2014	**3 716 900**	60 635	49 087	11 548	-6 500	5 048	**3 713 804**
2015	3 721 900	59 249	49 121	10 128	-3 400	6 728	
2016	3 728 600	56 569	50 771	5 798	-8 100	-2 302	
2017	3 726 400	56 293	47 822	5 471	-2 200	3 271	
2018	3 729 600	51 138	46 524	4 614	-10 800	-6 186	
2019	3 723 500	48 296	46 659	1 637	-8 200	-6 563	
2020	3 716 900	46 520	50 537	-4 017	15 700	11 683	
2021	3 728 600	45 946	59 906	-13 960	-26 000	39 960	
2022	3 688 600	42 319	49 118	-6 799	54 500	47 701	
2023	3 736 400	40 214	42 750	-2 542	-39 200	-41 742	
2024	3 694 600	39 483	43 971	-4 488	14 400	9 9121	**3 929 581**
2025	**3 704 500**						

წყარო: *„ დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2024“ https://www.geostat.ge/media/74476/%E1%83%9*

აღნიშნულის გათვალისწინებით აბსოლუტურად ცხადია, რომ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერისას გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომისაგან განსხვავებით, საქსტატის ზემოაღნიშნულ პუბლიკაციაში, მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ქვეყნიდან დროებით გასული – ემიგრირებული მოქალაქეების რიცხოვნობა.

აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელში ასევე არ აისახება ქვეყნიდან ემიგრირებული მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის“ სახელწოდებით გამოცემულ ყოველწლიურ ცნობარებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ (რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით საქსტატის განმარტებები არ იძებნება), რომ საქართველოს მოსახლეობის 2002, 2014 და 2024 წლების აღწერის შედეგებით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლებსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2024-სა“ და „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2025-ის“ სახელწოდების ცნობარებში ფიქსირებულ ანალოგიურ პარამეტრებს შორის არსებული სხვაობა განპირობებულია ქვეყანაში დროებით არ მყოფი საქართველოს მოქალაქეების აღრიცხვასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური თავისებურებებით, რასაც, ჩვენი აზრით, ცალსახად ადასტურებს ცხრილი #1-ით წარმოდგენილი მონაცემები.

როგორც ცხრილი #1-დან ვრწმუნდებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ზემოაღნიშნული („დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2024“ და „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2025“) გამოცემებით, 2003 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა **3** 965 800 კაცის ოდენობით არის ფიქსირებული, ხოლო 2002 წლის 17-24 იანვარს ჩატარებული მოსახლეობის პირველი ეროვნული აღწერის შედეგებით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა 4 371 535 კაცს უტოლდება და 405 735 კაცით (4 371535 − 3 965 800), ანუ 10,23 პროცენტული ერთეულით აღემატება ზემოაღნიშნულ გამოცემებში ფიქსირებულ პარამეტრს.

ნაკლები სხვაობა იკვეთება საქსტატის გამოცემების მიხედვით 2015 წლის პირველი ინავრისათვის, 3 721 900 კაცის ოდენობით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელსა და 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებით 3 713 804 კაცის ოდენობით წარმოდგენილ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლებს შორის. მოცემულ შემთხვევაში საქსტატის მაჩვენებლები მხოლოდ 8 096 კაცით (3 721 900 − 3 713 804), ანუ 0,21 პროცენტული ერთეულით აღემატება 2014 წლის ქვეყნის მოსახლეობის აღწერის შედეგებს.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ საქსტატის გამოცემებსა და აღწერის შედეგებს შორის განსხვავებების სახით არსებული პრობლემის კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ზემოაღნიშნულ გამოცემებში 2025 წლის პირველი იანვრისათვის 3 704 500 კაცის ოდენობით ფიქსირებულ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობასა და 2024 წლის 14 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული აღწერის შედეგებით 3 929 581 კაცის ოდენობით ფიქსირებულ მოსახლეობის რიცხვნობის მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობა. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგებით ქვეყნის მოსახლეობის

რიცხოვნობა, 225 081 (3 929 581 − 3 704 500) კაცით, 6,7 პროცენტული ერთეულით აღმატება საქასტატის ყოველწიურ ბიულეტენებში ფიქსირებულ მაჩვენებლებს.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ჩატარებული მოსახლეობის სამივე (2002, 2014 და 2024 წლების) აღწერის შედეგებით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პერიოდულ გამოცემებში ფიქსირებულ პარამეტრებზე პერმანენტული გადამეტების (ცხრილი #1-ით წარმოდგენილი) ფაქტების არსებობა, როგორც აღვნიშნეთ, ამ მაჩვენებელების გაანგარიშების პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომების თავისებურებებით უნდა იყოს გამოწვეული, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებების არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის საქმეში არსებული ზემოაღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით, ქვეყანაში შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციაში უკეთ გარკვევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას ცხრილი #2-ით წარმოდგენილი მონაცემები იმსახურებს.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, 1989 წლიდან 2025 წლამდე პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 513 778 (5 443 359 − 3 929 581) კაცით, ანუ 27,8 პროცენტული ერთეულით, ხოლო ეთნიკური ქართველების რიცხოვნობა 676 925 კაცით (3 981 000–3 304 075), ანუ 17,0 პროცენტული ერთეულით არის შემცირებული.

ცხრილი# 2

საქართველოს მოსახლეობის 1989, 2002 და 2014, 2024 წლების საყოველთაო აღწერის შედეგები

	1989	**2002**	**2014**	**2024**
საქართველოს მოსახლეობა	5 443 359	4 371 535	3 713 804	3 929 581
ზრდა/კლება 1989; %	100,0	80,3	68,23	72,2
ზრდა/კლება 2002; %	-	100,0	85,0	89,9
საქართველოს მოქალაქეები *	-	4 358 513	3 677 833	3 775 415
ზრდა/კლება 1989; %	-	-	-	-
ზრდა/კლება 2002; %	-	100,0	84,38	86,62
ხვ. წილი სულ მოსახლეობასთან	-	99,7	99,03	96,1
ტიტულარული ერი - ქართველები	3 981 000	3 661 173	3 224 564	3 304 075
ზრდა/კლება 1989; %	100,0	91,97	81,0	83,0
ზრდა/კლება 2002; %	-	100,0	88,1	90,25
ხვ. წილი სულ მოსახლეობასთან	73,13	83,75	86,83	84,1

წყარო: მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1989; საქართველოს მოსახლეობის 2002; 2014 და 2024 წლების აღწერის შედეგები; საქართველოს სატატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულისა“ და „მოსახლეობა და დემოგრაფიის“ სახელწოდებით გამოქვეყნებული ყოველწლიური ცნობარები.


***** 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებში, საქართველოს მოქალაქეების რიცხოვნობა არ ფიქსირდება.

მეტად არასასურველ აღნიშნულ ტენდენციებს მნიშვნელოვნად ამძიმებს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, კერძოდ 2002-დან 2024 წლის ჩათვლით ისტორიულ პერიოდში (მოსახლეობის 2002; 2014 და 2024 წლების აღწერის შედეგებით) გამკვეთილი ტენდენციები. ამ მონაცემების შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის 1 441 954 (4 371 535 – 3 929 581) კაცით (ანუ 33,0 პროცენტული ერთეულით) შემცირების ფონზე, ქვეყნის მკვიდრი საქართველოს მოქალაქეთა რიცხოვნობა 583 098 (4 358 513 – 3 775 415) კაცით (ანუ 15,9 პროცენტული ერთეულით), ხოლო ეთნიკური ქართველების

რიცხვი 357 098 (3 661 173 – 3 304 075) კაცით (ანუ 9,75 პროცენტული ერთეულით) არის შემცირებული.

არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს დიაგრამა #1-ით წარმოდგენილი, ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან დაკავშირებული პროცესები. კერძოდ: «უკანასკნელი ხუთი (2020-2024) წლის განმავლობაში, წინა ხუთი (2015-2019) წლისაგან განსხვავებით, ქვეყანაში მოკვდაობის მაჩვენებლის შობადობის მაჩვენებელზე გადამეტების, ანუ ქვეყნის მოსახლეობის კლების (ბუნებრივი მატების არარსებობის) საგანგაშო ტენდენციები.

დიაგრამა#1. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების/კლების დინამიკა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „დემოგრაფიულ ვითარება საქართველოში 2024“ თბილისი, 2025, გვ. 13.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების დაძლევის რეალურ მიმართულებას შობადობის მაჩვენებლის გაუმჯობესება წარმოადგენს, რაც, რიგი სირთულეების პარალელურად, ქვეყანაში რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის და ერის დაბერების პრობლემებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მეტად საყურადღებოა ცხრილი #3-ით წარმოდგენილი ტენდენციები.

საქმე ისაა, რომ ცხრილის მონაცემებით უკანასკნელი ათი (2015-2024) წლის განმავლობაში ოთხ ასაკობრივ ჯგუფად (0-14 – ბავშვები და მოზარდები; 14-49 – რეპროდუქციული ასაკის ქალები; 50-54 – წინა საპენსიო ასაკის მოსახლეობა; 65-85 – ხანდაზმული მოსახლეობა) დიფერენცირებულ ქვეყნის მოსახლეობას შორის შემცირების (კლების) ყველაზე მაღალი (8,3 პროცენტული ერთეულით) მაჩვენებელი შეინიშნება რეპროდუქციულ ასაკში (14-დან 49 წლამდე) მყოფი ქალების ფონზე, ზრდის გამოკვეთილად მაღალი (13,2 პროცენტული ერთეულით) მაჩვენებელით ქვეყნის

ხანდაზმული მოსახლეობის (65-85 წლის ასაკობრივ დიაპაზონში მყოფი) კატეგორია ხასიათდება.

ცხრილი #3

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების დინამიკა

	2015			2024		
ასაკი	**ორივე სქესი**	**კაცი**	**ქალი**	**ორივე სქესი**	**კაცი**	**ქალი**
0	49,5	25,7	23,9	39,8	20,7	19,0
1-4	207,5	108,3	99,2	178,2	92,3	85,9
5-9	220,0	116,4	103,6	269,0	139,1	130,0
10-14	208,3	110,5	97,8	234,6	122,3	112,3
სულ	**685,3**	**360,9**	**234,5**	**721,6**	**374,4**	**347,2**
ზრდა/კლება %				**105,3**	**103,7**	**107,0**
15-19	230,9	121,3	109,6	202,6	107,5	95,1
20-24	276,0	140,2	135,8	215,2	112,6	102,6
25-29	279,9	140,6	139,4	226,4	117,5	108,9
30-34	259,0	128,0	131,0	270,4	136,1	134,3
35-39	249,3	122,1	127,1	273,6	136,8	136,8
40-44	242,4	117,4	125,0	247,5	122,3	125,2
45-49	245,1	116,6	128,4	233,9	115,1	118,8
სულ	**1 782,6**	**886,2**	**896,3**	**1 669,6**	**847,9**	**821,7**
ზრდა/კლება %				**93,7**	**95,7**	**91,7**
50-54	273,2	127,2	146,0	227,0	110,2	117,3
55-59	241,1	109,6	131,5	228,2	106,8	121,4
60-64	207,8	90,8	117,0	251,0	111,4	139,6
სულ	**722,1**	**327,6**	**394,5**	**706,2**	**328,4**	**378,3**
ზრდა/კლება %				**97,8**	**199,24**	**95,9**
65-69	141,1	58,9	82,2	212,4	88,8	123,6
70-74	139,4	54,7	84,7	167,9	64,9	103,0
75-79	130,9	48,5	82,4	99,0	35,0	64,0
80-85	**72,8**	**25,5**	**47,3**	**70,1**	**22,0**	**48,2**
85	42,8	11,5	31,3	47,3	13,1	34,1
სულ	**527**	**199,1**	**327,9**	**596,7**	**223,8**	**372,9**
ზრდა/კლება %				**113,0**	**112,4**	**113,7**

წყარო: მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1989; საქართველოს მოსახლეობის 2002, 2014 და 2024 წლების აღწერის შედეგები; საქართველოს სატატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულისა“ და „მოსახლეობა და დემოგრაფიის“ სახელწოდების გამოცემები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აბსოლუტურად ცხადია, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის დაძლევა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ძალისხმევის საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილების შესაბამისად პრაქტიკულად ნებისმერი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემის აღმოფხვრა ძირითადად ფინანსური სტიმულირების მწყობრი სისტემის არსებობასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სისტემის ფინანსური უზრუნველყოფა, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად ქვეყნის „მთლიანამა საგარეო ვალმა, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით 27,1 მლრდ აშშ დოლარი (73,2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ის 68,7 პროცენტია“ (საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, 30 ივნისი, 2026),

უაღრესად რთულ და აქედან გამომდინარე მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

ქვეყანაში არსებულ ზემოაღნიშნულ დემოგრაფიულ პრობლემებს მეტად საყურადღებო დატვირთვას მატებს ის გარემოება, რომ 2024 და 2014 წლების აღწერებს შორის პერიოდში: -„მთლიან მოსახლეობაში ეროვნებით ქართველების წილი 86,8 პროცენტიდან 84,1 პროცენტამდე შემცირდა“, ხოლო „ქართულენოვანი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 87,6 პროცენტიდან 85,1 პროცენტამდე არის შემცირებული“ („2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგები“ 2026, გვ.13; 15).

ამდენად ზემოაღნიშნული ტენდენციების, სახელმწიფო ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობებისა და ქვეყანაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების შობადობის განსხვავებული ტრადიციებისა და მაჩვენებლების გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ტიტულარული ერის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევა, ჩვენი აზრით, სამართლებრივად და მორალურად მართებული, მაქსიმალურად მიზანმიმართული და ეფექტიანი ღონისძიებების მწყობრი სისტემის ამოქმედებით არის შესაძლებელი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მოქმედი სისტემის ნაკლებად ქმედითი ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) ფარგლებში ჩამოყალიბებდეს საქართველოს სახელმწიფო ქართულ- და აფხაზურენოვანი მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის სპეციალიზებული სახელმწიფო ფონდი.

აღნიშნული ფონდის უმთავრეს ამოცანად საქართველოს სახელმწიფო-ქართულ- და აფხაზურენოვანი მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის, კერძოდ, ამ „ოჯახების მესამე და შემდგომი შვილებისათვის ყოველთვიური სტიპენდიების (გარკვეული ასაკის მიღწევამდე) დაწესების საკითხი“ (სულაბერიძე ა., ჭელიძე დ., 2025. გვ. 12) უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალიზებული სახელმწიფო ფონდების ფორმირების ერთ-ერთ წინაპირობად მიჩნეული შემოსავლების დამოუკიდებელი წყარო(ები)ს არსებობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ფონდის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს, საქართველოს არარეზიდენტი ფიზიკური პირების, მათ შორის „უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში არსებული და სულ უფრო მზარდი უძრავი ქონების დაბეგვრის წესის სრულყოფა“ (ჭელიძე ლ., ჭელიძე დ., 2024. გვ.32) და ამ გზით მობილიზებული ფინანსური სახსრები.

როგორც ცნობილია „საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების (გარდა მიწისა) მფლობელ რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება იმ შემთხვევებში ეკისრებათ, როცა მათი და მათი ოჯახების წევრების ჯამური შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში მიაღწევს ან გადააჭარბებს 40 000 ლარს“ (სულაბერიძე ა., ჭელიძე დ., 2025 გვ. 20).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამავე კოდექსის 34-ე და მე-100 მუხლების მე-2 ნაწილების შესაბამისად არარეზიდენტ ფიზიკურ პირებად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც საგადასახადო წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე

183 დღეზე ნაკლები დროით იმყოფებიან, ხოლო მათი ერთობლივი შემოსავალი იანგარიშება მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალის ოდენობით. ამ შემთხვევაში ადვილი წარმოსადგენია ქონების გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით რაოდენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ქვეყნის არარეზიდენტი (ხშირად ქონების გადასახადის გადამხდელ რეზიდენტებზე ბევრად მდიდარი) ფიზიკური პირები.

